


K 290 /2  
1956  
w 61





სტალინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

240

# შრომები

Т Р У Д Ы

ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО  
УНИВЕРСИТЕТА  
ИМЕНИ С Т А Л И Н А

7128

61



სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა  
Издательство Тбилисского государственного университета имени Сталина

თ ბ ი ლ ი ს ი

1956



დაიბეჭდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით.

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა :

- ვ. კუპრაძე (მთავარი რედაქტორი)
- ილ. აბულაძე
- მ. ალექსიშვილი
- ა. ზრეგაძე
- კ. გარდაფხაძე
- ლ. გორგილაძე
- პ. გუჯაბიძე
- ს. ჟღენტა
- ა. ფანცხავა
- გ. ხავთასი
- ა. ხარაძე
- გ. ხუციშვილი



61. ტომის  
**ზინაარსი**

1. თ. წერეთელი, ანალოგია საბჭოთა სისხლის სამართალში	1—28
2. ალ. ვაჩეიშვილი, სამართლის წყაროს ცნება საბჭოთა სამართლის მეცნიერების მიხედვით . . . . .	29—52
3. გ. ჭანუყვაძე, საზოგადოებრივი წარმოების ორ ქვედანაყოფს შორის თანაფარდობის საკითხისათვის . . . . .	53—70
4. ვ. კალანდარიშვილი, ფრიდრიხ ენგელსის ფილოსოფიურ შეხედულებათა განვითარება 1838—1845 წლებში	71—92
5. ა. გელაშვილი, გამოჩენილი ფრანგი მოაზროვნე (შ. ლ. მონტესკიეს გარდაცვალებიდან 200 წლისთავის გამო) .	93—107
6. ვ. კოპალიანი, ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან . . . . .	109—141
7. ვ. მაჭარაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან . . . . .	143—177
8. ო. ჯინორია, დანტე როგორც „შუასაუკუნეთა უკანასკნელი და უხალი დროის პირველი პოეტი“ . . . . .	179—210
9. კ. ფალავა, დემოკრატიული მიმდინარეობა ირანის თანამედროვე პროზაში . . . . .	211—232
10. გ. გიგოლოვი, ა. პუშკინის სონეტის „Суровый Дант“-ის შესახებ . . . . .	233—246
11. ვ. ბერიძე, როგორ აღინიშნება „სიმწარის“ ცნება მეგრულში?	247—248
12. ი. იმნაიშვილი, ნაწევარი ძველ ქართულში . . . . .	249—276
13. თ. ბელინსკაია, თანამედროვე რუსული ენის არსებითი ნახელების ფუძის ბოლოკიდურ რბილ თანხმოვანთა შესახებ ბრუნვათა ფორმებში . . . . .	277—287
14. დ. მგელაძე, ნ. კოლესნიკოვი, საკუთარი სახელები ა. პ. ჩეხოვის მოთხრობებში . . . . .	289—300
15. ა. ხიდეშელი, მ. შოლოხოვის „წყნარი დონის“ ზოგიერთი ენობრივი თავისებურებანი . . . . .	301—306
16. ფ. ერთელიშვილი, რატომ იყენებს II რბძანებითი წყვეტილის ფუძეს . . . . .	307—313



## СОДЕРЖАНИЕ

### 61. тома

1. Т. Церетели, Аналогия в советском уголовном праве . . . . .	1—28
2. Ал. Вачеишвили, Понятие источника права в советской правовой науке . . . . .	29—52
3. Г. Чануквадзе, К вопросу соотношения между двумя подразделениями общественного производства . . . . .	53—70
4. В. Каландаришвили, Развитие философских взглядов Фридриха Энгельса в 1838—1845 годах . . . . .	71—92
5. А. Гелашвили, Выдающийся французский мыслитель (к 200-летию со дня смерти Монтескье) . . . . .	93—107
6. В. Копалиани, Из истории грузино-византийских отношений . . . . .	109—141
7. В. Мачарадзе, Из истории русско-грузинских взаимоотношений . . . . .	143—177
8. О. Джинория, Данте—„последний поэт средневековья и первый поэт нового времени“ . . . . .	179—210
9. К. Пагава, Демократическое направление в современной прозе Ирана . . . . .	211—232
10. Г. Гиголов, О сонете А. С. Пушкина „Суровый Дант“ . . . . .	233—246
11. В. Беридзе, Как обозначается понятие „горького“ в мегрельском языке . . . . .	247—248
12. И. Имнайшвили, Артикль в древнегрузинском языке . . . . .	249—276
13. Т. Белинская, О конечных мягких согласных основ в формах склонения имен существительных современного русского языка . . . . .	277—287
14. Д. Мгеладзе, Н. Колесников, Собственные имена в рассказах А. П. Чехова . . . . .	289—300
15. А. Хидешели, Некоторые языковые особенности „Тихого Дона“ М. Шолохова . . . . .	301—306
16. Ф. Эртелишвили, К вопросу об употреблении основы аориста для образования повелительного наклонения . . . . .	307—313



## თინათინ ნაკათელი

### ანალოგია საბჭოთა სისხლის სამართალში

თავი პირველი

#### ანალოგიის მხევა საბჭოთა სისხლის სამართალში

საბჭოთა კანონების ზუსტად და ერთგვაროვნად განხორციელება მართლ-მსაჯულების ორგანოების მიერ სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა განმტკიცებისა და განვითარების, საბჭოთა მოქალაქეების კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვის აუცილებელი პირობაა.

სამართლის შეფარდება ცხოვრების კონკრეტული ურთიერთობებისადმი რთულსა და საპასუხისმგებლო საქმეს წარმოადგენს. მოსამართლე როდია კანონის სიტყვის მექანიკური შემსრულებელი, მხოლოდ „ბაგე, რომელიც წარმოთქვამს კანონის სიტყვებს“, როგორც ამას XVIII საუკუნის ფრანგი განმანათლებლები ჰეიქრობდნენ. ხოლო თვით კანონიც არ არის ისეთი მარტივი და ყოვლისმომცველი დებულება, რომ მისი შეფარდება ცხოვრების მრავალფეროვანი შემთხვევებისათვის აზროვნების იოლი ოპერაციით ამოიწურებოდეს<sup>1</sup>.

კანონის სწორად შეფარდების აუცილებელ წინამძღვარს მისი ნამდვილი აზრის დადგენა წარმოადგენს. დიალექტიკური მეთოდის საფუძველზე, სხვადასხვა ხერხების გამოყენების მეშვეობით, კანონის შემფარდებელი არკვევს სამართლის ნორმის ჭეშმარიტ სოციალურ-პოლიტიკურ არსს, რათა მოსძებნოს შესაფერისი გადაწყვეტილება ცხოვრების კერძო შემთხვევისათვის. კანონის ნამდვილი აზრის დადგენას ახსნა-განმარტება ეწოდება.

კანონის ახსნა-განმარტების შედეგად მისი შემფარდებელი, როგორც წესი, იმ დასკვნამდე მიდის, რომ კანონის ასო-ანბანური ტექსტი ზუსტად შესაბამეობა მის ნამდვილ არსს. მაგრამ ასეთი შესაბამისობა ყოველთვის როდის არსებობს. კანონის ახსნა-განმარტებამ შეიძლება იმ დასკვნამდე მიგვიყვანოს, რომ კანონის სიტყვასა და მის ჭეშმარიტ არსს შორის ერთგვარი უთან-

<sup>1</sup> სამართლიანად მიუთითებდა ცნობილი რევოლუციამდელი კრიმინალისტი ნ. ტაგანცევი: „ყოველი კანონი ნათელია და მისი შეფარდება მარტივია მხოლოდ იმისათვის, ვინც კანონს გოგოლის პეტრუშკის მსგავსად კითხულობს“ (Н. С. Таганцев, Русское уголовное право, Лекции, 1902, стр. 185, примечание 1).



ხმოებაა. ასეთ შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიეცეს არა კანონის სიტყვას, არამედ მის ნამდვილ არსს: კანონის ახსნა-განმარტებას შესწორება შეაქვს კანონის ასო-ანბანურ ტექსტში ან იმით, რომ აფართოებს მასში ნახმარი სიტყვებისა და გამოთქმების მნიშვნელობას (ეგრედწოდებული განვრცობითი ანუ ექსტენსიური ახსნა-განმარტება) ან იმით, რომ ზღუდავს მას (ეგრედწოდებული შეზღუდვითი ანუ რესტრიქციული ახსნა-განმარტება).

ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტის აზრით, მოსამართლეს არა აქვს კანონის შეზღუდვითი და, მით უმეტეს, განვრცობითი ახსნა-განმარტების უფლება. მაგალითად, პროფ. გერცენზონი ამტკიცებს: „...საბჭოთა სისხლის სამართლით შეზღუდვითი და განვრცობითი ახსნა-განმარტება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი მოცემულია აუტენტური ახსნა-განმარტების წესით ან სათანადოდ სანქციონირებულია კანონმდებლის მიერ. მოსამართლეთა მიერ სისხლის სამართლის კანონების ნებისმიერი შეზღუდვითი ან განვრცობითი ახსნა-განმარტება დაუშვებელია და სოციალისტური კანონიერების საფუძვლების უხეშ დარღვევას წარმოადგენს“<sup>1</sup>.

ასეთი შეხედულება არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს.

რა თქმა უნდა, თუ ახსნა-განმარტება სცილდება კანონის არა მარტო სიტყვას, არამედ აზრსაც, იგი დაუშვებელია. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ჩვენ საქმე ახსნა-განმარტებასთან როდი გვექნება, არამედ კანონის აზრის დამახინჯებასთან, რისი უფლებაც არავის არ შეიძლება მიეცეს. სინამდვილეში კანონის შეზღუდვითი და განვრცობითი ახსნა-განმარტება არ წარმოადგენს კანონის ქვეშაირი აზრის ნებისმიერ შეზღუდვას ან გაფართოებას. კერძოდ, განვრცობითი ახსნა-განმარტების დროს ჩვენ ვცილდებით მხოლოდ კანონის ასო-ანბანურ ტექსტს, ვასწორებთ კანონის სიტყვას, რომელიც არაჯეროვნად გადმოსცემს მის აზრს. ამავე დროს იგულისხმება, რომ კანონის აზრი მაინც ასე თუ ისე (თუმცა არაზედმიწევნით ნათლად) გამომდინარეობს მისი ტექსტიდან, თუ მხედველობაში იქნება მიღებული საქმის გარემოებათა ერთობლიობა. ასეთ შემთხვევებში, როდესაც კანონის ასო-ანბანური ტექსტი აშკარად არ შეესაბამება მის ნამდვილ არსს, შეუძლებელია მოსამართლემ კანონმდებლის ნების ახალ გამომჟღავნებას უცადოს, მას უფლება აქვს შეასწოროს კანონის სიტყვიერი ტექსტი მისი ნამდვილი აზრის შესაბამისად.

საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაში ვხვდებით კანონის განვრცობითი ახსნა-განმარტების შემთხვევებს. მაგალითად, საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა უკრაინის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 206<sup>14</sup> მუხლის (რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 193<sup>14</sup> მუხლის) განვრცობით ახსნა-განმარტებას. ეს მუხლი ითვალისწინებს იმ სამხედრო ტანისამოსისა და საჭურვლის შენახვის წესების დარღვევას, რომელიც მიღებულია დროებითი ან მუდმივი სარგებლობისათვის. უ.-მ

<sup>1</sup> А. А. Герцензон, Уголовное право. Часть общая, 1948, стр. 197; იხ. აგრეთვე: С. А. Голуцкий и М. С. Строгович, Теория государства и права, 19, стр. 265.

თვითნებურად წაიყვანა დივიზიის ერთ-ერთი პოლკის ცხენი. ცხენის მიმართ აშკარა დაუდევრად მოპყრობის გამო ეს უკანასკნელი დაიკარგა (შ. მეგობრებთან ერთად ქეიფობდა, ცხენი კი უმეტეაღყუროდ გაუშვა ეზოში, საიდანაც იგი ბოროტმოქმედებმა გაიტაცეს). უმაღლეს სასამართლოს პლენუმმა 1948 წ. 19 მარტის დადგენილებით განმარტა: „შენახვის წესების ქვეშ უნდა გავიგოთ ყოველგვარი მოთხოვნა, რომელიც წარედგინება თვითეულ სამხედრო მსახურს მის პირად სარგებლობაში ან სამსახურებრივ ხმარებაში მყოფი სამხედრო ქონების მოვლის საქმეში, იმისდა მიუხედავად, აღნიშნულია თუ არა ეს მოთხოვნა წესდებებში, ინსტრუქციებში, ბრძანებებში და სხვ.. ის გარემოება, რომ შ.-მ ცხენი თვითნებურად წაიყვანა, არ ათავისუფლებდა მას მოვალეობისაგან ფრთხილად მოპყრობაში მის სარგებლობაში მყოფ სამხედრო ქონებას“<sup>1</sup>.

როგორც პროფ. ისაევი აღნიშნავს, „კანონის ახრი მდგომარეობს იმაში, რომ ყოველ სამხედრო მსახურს მოეთხოვება სამხედრო ქონების შენახვის წესების დაცვა... შ.-ს საქმეზე რსფსრ 1931<sup>14</sup> მუხლის განვრცობითი ახსნა-განმარტება სავსებით დასაბუთებულია; პირიქით, მისი შეფარდების შეზღუდვა მხოლოდ იმ შემთხვევებით, როდესაც სამხედრო მსახურს „მისცეს“ სარგებლობაში სამხედრო ქონება, ეწინააღმდეგება რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 1931<sup>14</sup> მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლების სოციალურ-პოლიტიკურ არსს“<sup>2</sup>.

ამგვარად, სისხლის სამართლის კანონის როგორც შეზღუდვითი, ისე განვრცობითი ახსნა-განმარტება არათუ არ შელახავს მართლმსაჯულების ინტერესებს, არამედ აუცილებელიც არის მისი შეუფერხებლად განხორციელებისათვის.

მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ახსნა-განმარტების ყველა საშუალების ამოწურვის შემდეგ მოსამართლე იმ დასკვნამდე მივა, რომ ესა თუ ის ურთიერთობა სრულიად არ არის გათვალისწინებული კანონმდებლობით, რომ ამგვარად არსებობს ხარვეზი სამართალში.

ხარვეზი სამართალში შეიძლება სხვადასხვა მიზეზით იყოს გამოწვეული. სამართლის ხარვეზის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ კანონმდებელს ყოველთვის როდი შეუძლია წინასწარ გაითვალისწინოს ყველა ურთიერთობა, რომელსაც საკანონმდებლო რეგლამენტაცია ესაჭიროება. კანონის გამოცემის მომენტში ზოგი ურთიერთობა შეიძლება სრულიად არ არსებობდეს, ან არსებობდეს ისეთი უმნიშვნელო რაოდენობით, რომ მისი ანგარიშში მიღება საჭირო არ იყოს. ასეთი ურთიერთობანი ყოველ წუთს შეიძლება წარმოიშვან და სამართლის შემფარდებელ ორგანოთა წინაშე ხარვეზის შევსების ამოცანა დააყენონ. ხარვეზის არსებობის მიზეზი ზოგ შემთხვევაში შეიძლება იყოს საკანონ-

<sup>1</sup> М. М. Исаев, Вопросы уголовного права и уголовного процесса в судебной практике Верховного суда СССР, 1948, стр. 35.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 38 — 39.



მდებლო ტექნიკის არასათანადო სისრულე, წინააღმდეგობა კანონთა შორის და სხვ. მისთ..

ასეთ შემთხვევაში მართლმსაჯულების ორგანოების წინაშე იბადება დი-  
ლემა: ან უარი თქვან საკითხის გადაჭრაზე სათანადო კანონის არ არსებობის  
გამო ანდა თვით შეავსონ კანონში არსებული ხარვეზი. საქართველოს სსრ სის-  
ხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლისა და მოკავშირე რეს-  
პუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების შესაბამისი მუხ-  
ლების თანახმად, მოსამართლეს უფლება არა აქვს შეაჩეროს საქმის განხილ-  
ვა კანონთა უსრულობის, გაურკვევლობის ან წინააღმდეგობის გამო. მაშასა-  
დამე, მან თვითონ უნდა შეავსოს კანონში არსებული ხარვეზი.

სამართლის ხარვეზის შევსების ერთ-ერთ ძირითად საშუალებას ანალო-  
გია წარმოადგენს.

ანალოგია, საერთოდ, დასკვნის გამოტანის განსაზღვრული სახეა. მას  
ფართოდ იყენებენ არა მარტო სამართალში, არამედ მეცნიერების ყოველ  
სხვა დარგში. ლოგიკის მეცნიერების თანახმად, „ანალოგია არის დასკვნა,  
რომელშიც ორი საგნის რამდენიმე ნიშნის მსგავსების საფუძველზე გამოიყვა-  
ნება დანასკვი ამ საგნების სხვა ნიშნების მსგავსების შესახებ“<sup>1</sup>. იგი დედუქ-  
ციურ დასკვნას წარმოადგენს და განსხვავდება კატეგორიული სილოგიზმისა-  
გან მხოლოდ იმით, რომ საშუალო ტერმინის მაგივრად გვაქვს მსგავსი ტერ-  
მინი. ამით განპირობებულია ანალოგიის საფუძველზე მიღებული დასკვნის  
სააღბათო ხასიათი<sup>2</sup>. ასეთი დასკვნის მეტი თუ ნაკლები დამარწმუნებლობა  
დამოკიდებულია როგორც მსგავსი ნიშნების რაოდენობაზე, ისე იმაზე, თუ  
რამდენად არსებითი მნიშვნელობა აქვს მსგავს ნიშნებს უწყებული შემთხვევი-  
სათვის.

თუ ანალოგია საერთოდ დასკვნის გამოტანის განსაკუთრებული ხერხია,  
სამართლის მეცნიერებაში მას თავისებური მნიშვნელობა აქვს, განსხვავებუ-  
ლი იმ მიზნის მიხედვით, რასაც იგი ემსახურება.

პირველ ყოვლისა, მოსამართლემ შეიძლება გამოიყენოს ანალოგია, რო-  
გორც საშუალება ამა თუ იმ კანონის შინაგანი აზრის გამოსარკვევად. ასეთ  
შემთხვევაში ანალოგია არაფრით არ განსხვავდება ანალოგიური დასკვნის გა-  
მოტანის იმ საერთო ცნებიდან, რომლის არსიც ლოგიკაშია დადგენილი. მაგა-  
ლითად, საქართველოს სსრ 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსი ქურ-  
დობის ცნების განსაზღვრების დროს არ აღნიშნავდა, რომ ქურდობის ობი-  
ექტი არის სხვისი ქონება, მაშინ როდესაც გაძარცვის შემადგენლობის  
აღწერის დროს მას ეს ნიშანი მოცემული ჰქონდა. ამ ორი მსგავსი შემადგენ-  
ლობის ნიშნების შედარებისა და ანალოგიური დასკვნის საფუძველზე მოსა-  
მართლე მიდიოდა იმ დასკვნამდე, რომ პირველ შემთხვევაშიც, ე. ი ქურდო-  
ბის დროსაც იგულისხმება სხვისი ქონების გატაცება. ეს დასკვნა გამომ-  
დინარეობს იმ წინამძღვრებიდან, რომ გაძარცვა და ქურდობა — მოსაზღვრე

<sup>1</sup> კ. ბაქრაძე, ლოგიკა, 1955, გვ. 408.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 409 — 411.

იურიდიული ცნებებია, რომ ორივენი გატაცების ცალკეულ სახეებს წარმოადგენენ, რომ ისინი ემსგავსებიან ერთმანეთს ყველა მნიშვნელოვანი ნიშნით, გარდა ერთისა — გატაცების საშუალებისა და, მაშასადამე, ქურდობისათვის უცნობი ნიშანი („სხვისი“ ქონება) იგივე უნდა იყოს, რაც გაძარცვისთვის არის გათვალისწინებული.

ანალოგიური დასკვნის გამოტანა სამართალში, ე. ო. ანალოგიური ახსნა-განმარტება დამოუკიდებელ პრობლემას არ წარმოადგენს. იგი არსებითად ლოგიკური ახსნა-განმარტების ერთ-ერთი სახეა და ამგვარად ეკუთვნის მოძღვრებას ახსნა-განმარტების წესების შესახებ.

სულ სხვაა ანალოგია, როგორც სამართალში არსებული ხარვეზის შევსების საშუალება. იგი არ წარმოადგენს დასკვნას სხვადასხვა იურიდიულ ურთიერთობათა რამდენიმე ნიშნის მსგავსების საფუძველზე ამ ურთიერთობათა სხვა ნიშნების მსგავსების შესახებ. პირიქით, ანალოგია როგორც კანონის ხარვეზის შევსების საშუალება, წინასწარ გულისხმობს, რომ ორივე ურთიერთობის ნიშნები ჩვენთვის სავსებით ცნობილია: ცნობილია, რომ ამ ურთიერთობათა არსებითი თვისებები ერთმანეთის მსგავსია, ხოლო ზოგიერთი არა არსებითი ნიშანი ერთმანეთისაგან განსხვავდება. თანაც ერთ-ერთი ამ ურთიერთობათაგანი კანონით მოწესრიგებული არ არის და საჭიროა მისთვის შესაფერისი ნორმის გამოძებნა. ამგვარად, ანალოგიის, როგორც სამართალში არსებული ხარვეზის შევსების საშუალების, ამოცანას წარმოადგენს სამართლით მოუწესრიგებელი ურთიერთობისათვის შესაფერისი სამართლის ნორმის შეფარდება. ამიტომ მართებულად არ შეიძლება ჩაითვალოს ზოგიერთი კრიმინალისტიკის მტკიცება, თითქოს ანალოგიით სამართლის ნორმის შეფარდების დროს სასამართლო ანხორციელებს ანალოგიური დასკვნის გამოტანის ჩვეულებრივ ლოგიკურ ოპერაციას<sup>1</sup>.

ანალოგიის ცნების გასაგებად აუცილებელია განვასხვავოთ იგი კანონის ახსნა-განმარტებისაგან.

ზოგიერთი საბჭოთა იურისტიკის აზრით ანალოგიასა და ახსნა-განმარტებას შორის პრინციპული განსხვავება არ არსებობს, უფრო მეტიც, ანალოგია ახსნა-განმარტების ერთ-ერთი სახეა. მაგალითად, პროფ. ლიუბლინსკი უწოდებდა ანალოგიას „კანონის ახსნა-განმარტების ერთ-ერთ მეთოდს“, მის „კვალიფიციურ სახეს“<sup>2</sup>. ასევე, პროფ. სტროგოვიჩის აზრით, „ანალოგია წარმოადგენს კანონის ახსნა-განმარტების საშუალებას, რომელიც უზრუნველყოფს კანონის აუცილებელი უსრულობის თავიდან აცილებას კონკრეტული სასამართლო საქმეების გადაჭრის დროს“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> იხ., მაგალითად, М. Д. Шаргородский, Уголовный закон, 1948, стр. 180 — 181.

<sup>2</sup> Н. И. Люблинский, Применение уголовного закона по аналогии, „Право и жизнь“, 1924, кн. первая, стр. 48.

<sup>3</sup> М. С. Строгович, Природа советского уголовного процесса и принцип неотвратимости, 1939, стр. 33.



ამ შეხედულებას არ შეიძლება დავეთანხმოთ. ახსნა-განმარტების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გაარკვიოს სამართლის ნორმის ნამდვილი არსი, რომელიც ან პირდაპირ და ნათლად არის გამოხატული კანონის სიტყვებში ან და გამოაშკარავდება სხვადასხვა ლოგიკური წესების ხმარებისა და კანონის შეფარდების სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გამორკვევის შედეგად. ხოლო ანალოგიის ამოცანა მდგომარეობს არა სამართლის ნორმის ქეშმარიტი აზრის აღმოჩენაში, არამედ არ არსებული სამართლის ნორმის შექმნაში, კანონის ხარვეზების შევსებაში.

კერძოდ, ანალოგია უნდა განვასხვავოთ კანონის განვრცობითი ახსნა-განმარტებისაგან. განვრცობითი ახსნა-განმარტება, როგორც უკვე დავინახეთ, კანონის ასო-ანბანური ტექსტის შესწორებას წარმოადგენს, იგი სწორედ იმ ურთიერთობებს შეეხება, რომელნიც კანონმდებელს კანონის გამოცემის დროს მხედველობაში ჰქონდა, და კანონის ქეშმარიტი აზრის ფარგლებს არ სცილდება. ანალოგია კი ავრცელებს კანონს ისეთ ურთიერთობებზე, რომლებიც კანონმდებელს კანონის გამოცემის დროს მხედველობაში არ ჰქონდა, იგი წარმოადგენს კანონის შემდგომ განვითარებას, მისი აზრის გაფართოებას.

განასხვავებენ კანონის ანალოგიას და სამართლის ანალოგიას.

კანონის ანალოგია არის რომელიმე კანონით გათვალისწინებული უფლებრივი დებულების ვაერცელება ისეთ ურთიერთობაზე, რომელიც მოწესრიგებული არ არის კანონით, მაგრამ მსგავსია ამ კანონით მოწესრიგებული ურთიერთობისა. კანონის ანალოგია გულისხმობს კანონით მოწესრიგებული ურთიერთობის არსებით მსგავსებას მის მიერ მოუწესრიგებელ ურთიერთობასთან. თანაც, როგორც სამართლიანად აღნიშნავს პროფ. ვილნიანსკი, „მსგავსება უნდა იყოს არა ფაქტიური, არამედ იურიდიული, ე. ი. აუცილებელია, რომ კანონით გათვალისწინებელი, მაგრამ არსებითად მსგავსი ურთიერთობა ჰგავდეს კანონით გათვალისწინებულ ურთიერთობას როგორც სამართლებრივი ურთიერთობა, მისი იურიდიული ნიშნების მხრივ...“<sup>14</sup>

სამართლის ანალოგია არის საკითხის გადაჭრა იმ ზოგადი სამართლებრივი პრინციპის საფუძველზე, რომელიც დადგენილია კანონმდებლობის მიერ ანალოგიური სამართლებრივი ინსტიტუტებისათვის ან სამართლის გარკვეული დარგებისათვის. სამართლის ანალოგიის დროს ემყარებიან არა ერთ სამართლებრივ ნორმას, არამედ ნორმათა ერთობლიობას, რომელთა საფუძველზე ინდუქციური დასკვნის გზით მიდიან ზოგად პრინციპებამდე (იურიდიული კონსტრუქცია), ხოლო შემდეგ ამგვარად მიღებულ ზოგად პრინციპს დედუქციური გზით ავრცელებენ იმ ურთიერთობაზე, რომელიც მოწესრიგებული არ არის კანონით.

არსებითად პრინციპული განსხვავება კანონის ანალოგიასა და სამართლის ანალოგიას შორის არ არსებობს. როგორც სამართლიანად აღნიშნავენ ზოგიერთი იურისტები, კანონის ანალოგიის შეფარდებაც აუცილებლად გუ-

<sup>14</sup> С. Н. Вильнянский, Толкование и применение гражданско-правовых норм, Методические материалы ВЮЗИ, 1948, вып. 2, стр. 56.

ლისხმობს გარკვეულ ძირითად პრინციპებზე დამყარებას. მართლაც, კანონის ანალოგიის დროსაც მოსამართლე არკვევს კანონში მოცემულ სამართლებრივ დებულებას, ჩამოაცილებს მას არა არსებით მხარეებს, ანეითარებს მას და იღებს ამგვარად უფრო ზოგად ძირითად პრინციპს, რომელსაც ავრცელებს მსგავს შემთხვევაზე. არ შეიძლება ამიტომ არ დავეთანხმოთ პროფ. ლიუბლინსკის, რომელიც აღნიშნავდა, რომ „სამართლის ანალოგია იგივე კანონის ანალოგიაა, მხოლოდ გამეშვებოებული იურიდიული კონსტრუქციით (ზოგადი პრინციპის აგებით)“<sup>1</sup>.

სამართლის ანალოგიას ითვალისწინებს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლი. ამ მუხლის თანახმად, „უკეთეს კანონი და განკარგულება საქმაო არ არის რომელიმე საქმის გადასაწყვეტად, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს საბჭოთა კანონმდებლობის ზოგადი საფუძველი და მუშათა და გლეხთა მთავრობის საერთო პოლიტიკა“.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მსგავსი ნორმა არ მოიპოვება, მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ სამართლის ანალოგია სისხლის სამართლის სფეროში აკრძალულია. რა თქმა უნდა, სამართლის ანალოგია არ შეიძლება გამოყენებული იქნეს კოდექსით გაუთვალისწინებელი საზოგადოებრივად საშიში ქმედობის კრიმინალიზაციისათვის; ასეთი მიზნისათვის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილია კანონის ანალოგია, გათვალისწინებული სპეციალური მუხლით (საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლი). ხოლო სხვა შემთხვევებში სამართლის ანალოგიის გამოყენება სრულიადაც არ არის აკრძალული, თუკი იგი ბრალდებულის დასჯადობის გაძლიერების საშუალებას არ წარმოადგენს. ამიტომ სწორად უნდა ჩაითვალოს პროფ. ისაევის აზრი, რომ სამართლის ხარვეზის შევსების მეთოდი მითითებული სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში, არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ისეთი წესი, რომელიც მართო სამოქალაქო სამართალს შეეხება<sup>2</sup>.

სისხლის სამართლის სფეროში სამართლის ანალოგიის გამოყენების შესაძლებლობას პირდაპირ უშვებს სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის 1946 წ. 17 მაისის დადგენილება ზატიკას საქმეზე. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ნორმების დისპოზიციებში არსებული ხარვეზი არ შეიძლება შევსებულ იქნეს სისხლის სამართლის კანონმდებლობის საერთო საწყისების საფუძველზე, არამედ მხოლოდ რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლისა და მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი მუხლების საფუძველზე. „რაც შეეხება კანონის ხარვეზს ისეთი საკითხის გადაჭრის დროს, რომელიც სისხლის სამართლის კო-

<sup>1</sup> П. И. Люблинский. Техника, толкование и казуистика уголовного кодекса, 1917, стр. 139.

<sup>2</sup> М. М. Исаев, Судебная практика Пленума Верховного суда СССР как источник советского уголовного права, Ученые записки ВЮОН, вын. V, 1947, стр. 79 — 80.



დექსის ზოგად ნაწილს ეკუთვნის, სასამართლოს, როდესაც იგი სისხლის სამართლის კანონში ხარვეზის არსებობას დაადგენს, უფლება აქვს მიმართოს საბჭოთა სისხლის სამართლის ზოგად საწყისებს და მათი მეშვეობით შეავსოს კანონის ხარვეზი...“<sup>1</sup>.

სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის ზემოაღნიშნული დადგენილება პასუხს იძლევა აგრეთვე მეორე საკითხზე, რომელიც დავას იწვევს საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში. შესაძლებელია თუ არა სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის მუხლების ანალოგია? ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტი უარყოფს ზოგადი ნაწილის ანალოგიის შესაძლებლობას. მაგალითად, იურიდიულ მეცნიერებათა საერთო საკავშირო ინსტიტუტის კოლექტივის მიერ მომზადებულ სისხლის სამართლის სახელმძღვანელოს ზოგად ნაწილში გამოთქმულია დებულება, რომ „ანალოგიის შეფარდება დასაშვებია მხოლოდ საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის განსაკუთრებული ნაწილის ნორმების მიმართ“<sup>2</sup>.

ასეთი შეხედულება ეწინააღმდეგება საბჭოთა სასამართლო პრაქტიკას, როგორც ეს დამაჯერებლად დაასაბუთა პროფ. ისაევმა თავის წერილში სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის სასამართლო პრაქტიკის შესახებ<sup>3</sup>.

პროფ. ისაევს ამ წერილში მოჰყავს რამდენიმე მაგალითი ზოგადი ნაწილის მუხლების ანალოგიით შეფარდებისა. ერთ-ერთი მაგალითი არის სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საწყისების მე-19<sup>2</sup> მუხლის შეფარდება ანალოგიით. აღნიშნული მუხლის თანახმად, იმ განაჩენის აღსრულება, რომლითაც სამხედრო მსახურს ომიანობის დროს გადაეწყვიტა თავისუფლების აღკვეთა უფლებების აუყრელად, სასამართლოს შეუძლია გადასდოს სამხედრო მოქმედებათა დამთავრებამდე, იმ პირობით, რომ მსჯავრდებული გაიჯავნოს მოქმედ არმიაში. უკეთუ ასეთი პირი თავს გამოიჩენს სამშობლოს მედგარ დამცველად, სათანადო სამხედრო სარდლობის შუამდგომლობით, მას შეიძლება სასჯელი შეეცვალოს უფრო მსუბუქ სასჯელად ან იგი შეიძლება სრულიად განთავისუფლდეს სასჯელის მოხდისაგან ნასამართლობის მოხსნით. უმაღლეს სასამართლოს პლენუმმა აღნიშნული წესი, სამხედრო ვალდებულებებზედაც გაავრცელა. (სსრკ უმაღლეს სასამართლოს პლენუმის 1942 წ. 22 იანვრის და 1943 წ. 26 ივნისის დადგენილებანი). „სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ შეუფარდა ასეთ შემთხვევებს კანონი, რომელიც მსგავს შემთხვევებს ითვალისწინებდა, თანაც იგი გამოდიოდა საბჭოთა კანონმდებლობის ზოგადი საწყისიდან, რომელიც

<sup>1</sup> М. М. Неаев и А. А. Понотковский, Вопросы уголовного права, военно-уголовного права и уголовного процесса в судебной практике Верховного суда СССР, 1947, стр. 8.

<sup>2</sup> Советское уголовное право. Часть общая, 195., стр. 119. ამავე თვალსაზრისის იზიარებენ სისხლის სამართლის კომენტარიების ავტორები. იხ. Уголовный кодекс РСФСР Комментарий, 1944, стр. 21.

<sup>3</sup> დასახ. წერილი, Учёные записки, вып. V, 1947.

დამოხატულია კონსტიტუციაში: „სამშობლოს დაცვა ყოველი მოქალაქის წმინდადამიწებდა მოვალეობა“ (მუხ. 133) <sup>1</sup>.

სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ნორმების ანალოგია შეიძლება მდგომარეობდეს ან სასჯელის ანალოგიაში ან დანაშაულის ანალოგიაში. სასჯელის ანალოგიას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინ, როდესაც კანონმდებელი ცნობს ამათუიმ ქმედობას დანაშაულად, მაგრამ არ უკავშირებს მას განსაზღვრულ სასჯელს (აბსოლუტურად განუსაზღვრელი სანქცია). ასეთ შემთხვევაში მოსამართლე უფარდებს ქმედობას იმ სასჯელს, რომელიც კანონით დადგენილია ყველაზე უფრო მსგავსი დანაშაულებრივი ქმედებისათვის. აბსოლუტურად განუსაზღვრელი სანქციები გვხვდებოდა საბჭოთა ხელისუფლების პირველ საკანონმდებლო აქტებში, განსაკუთრებით, ოქტომბრის რევოლუციის ჩატარების პერიოდში. ამჟამად აბსოლუტურად განუსაზღვრელი სანქციები არ გვხვდება.

დანაშაულის ანალოგია არის კანონით უშუალოდ გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედებისათვის იმ სისხლის სამართლის ჯანონის შეფარდება, რომელიც ყველაზე უფრო მსგავს დანაშაულებრივ ქმედებას ითვალისწინებს. დანაშაულის ანალოგია გათვალისწინებულია 1924 წლის „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საწყისების“ მე-3 მუხლით (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლით).

დანაშაულის ანალოგია, რომლის მეშვეობითაც მოსამართლე ჰქმნის დანაშაულის ახალ შემადგენლობებს, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

შეიძლება თუ არა მიენიჭოს მოსამართლეს უფლება მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში ისეთი საზოგადოებრივად საშიში ქმედობისათვის, რომელიც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსით, — აი ის ძირითადი საკითხი, რომელიც უნდა იქნეს გარკვეული საბჭოთა კრიმინალისტების მიერ და რომლის გადაჭრასაც უდიდესი პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება სსრ კავშირის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შედგენის პერიოდში.

თავი მეორე

### ანალოგიის ისტორია საბჭოთა სისხლის სამართალში

საბჭოთა სისხლის სამართალში ანალოგიის შემოღება განპირობებული იყო კლასობრივი ბრძოლის განსაკუთრებული პირობებით. პირველი სისხლის სამართლის კოდექსის შემოღებამდე მოსამართლეებს უხდებოდათ საკითხის გადაჭრა ცალკეული დეკრეტებისა და რევოლუციური შეგნების საფუძველზე. სისხლის სამართლის კოდიფიკაციამდე მოსამართლის სოციალისტური მართლშეგნების გამოყენება სავსებით გამართლებული იყო. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პირველ წლებში მოსამართლეს უხდებოდა ბრძოლა მთელი რიგ ახლად წარმოშობილ და სწრაფად ცვალებად დანაშაულებრივ ქმედობებ-

<sup>1</sup> М. М. Исаев, Цит. статья, стр. 80.



თან, რომლებშიც კლასობრივი მტრის წინააღმდეგობა ვლინდებოდა. ძნელი იყო კლასობრივი ბრძოლის ამ ცვალებადი სახეების ზუსტი ფიქსაცია და მთელი მრავალგვარობის წინასწარ განჭვრეტა. გასაგებია ამიტომ, რომ საბჭოთა სისხლის სამართლის პირველ კოდექსს — 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსს — ანგარიში უნდა გაეწია ამ გარემოებისათვის. მას არ შეეძლო არ მიეცა მოსამართლეთათვის უფლება შეეესოთ კანონმდებლობაში აღვილად მოსალოდნელი ხარვეზები. რსფსრ-ის იუსტიციის სახალხო კომისარმა დ. კურსკიმ სრულიად რუსეთის ცაკის სხდომაზე მიუთითა: „არც ერთ სისხლის სამართლის კოდექსს არ შეუძლია მოიცვას სისხლის სამართლებრივ ქმედობათა მთელი მრავალგვარობა, რომელიც სინამდვილეში არსებობს და შეიძლება არსებობდეს, — და თუ ჩვენ გვსურს შევქმნათ კოდექსი, რომლის მეოხებით შესაძლებელი იქნება საბჭოთა წყობილებისათვის საშიშ ქმედობებთან წარმატებით ბრძოლა, მაშინ უნდა გვქონდეს მუხლები, რომლებიც საშუალებას მისცემენ მოსამართლეს გამოიყენოს ანალოგია, საშუალებას მისცემენ მოსამართლეს იხელმძღვანელოს სოციალისტური მართლშეგნებით, რათა ამით მონახოს გამოსავალი მდგომარეობიდან“<sup>1</sup>.

მართლაც, რსფსრ-ის 1922 წ. სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი იქნა მუხ. მე-10 შემდეგი შინაარსისა: „უკეთეს სისხლის სამართლის კოდექსში არ არის პირდაპირი მითითება დანაშაულის ცალკეულ სახეზე, სასჯელი ან სოციალური დაცვის ღონისძიება შეფარდებულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს მნიშვნელობით და გვარით ყველაზე უფრო მსგავს დანაშაულს, თანაც დაცული უნდა იქნეს ამ კოდექსის ზოგადი ნაწილის წესები“. მსგავსი მუხლები შეტანილ იქნა სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში.

კოდექსის შეფარდების პირველ წლებშივე ნათლად დადასტურდა საბჭოთა კანონმდებლის მიერ არჩეული გზის სისწორე. გამოირკვა, რომ კოდექსს მნიშვნელოვანი ხარვეზები ჰქონდა, განსაკუთრებით, მიძიმე დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედების დასაწყისშივე აღმოჩნდა, რომ კოდექსში არ არის მუხლი, რომელიც სჯის სამხედრო აღრიცხვისაგან თავის არიდებას. სასამართლოს ამიტომ მოუხდა პირველ ხანებში ანალოგიის შეფარდება, ხოლო სრ. რუსეთის ცაკის უახლოეს სესიაზე მიღებული იქნა კანონი, რომელმაც კოდექსის ეს ხარვეზი შეავსო.

1923 წლის გაზაფხულზე რსფსრ უმაღლესმა სასამართლომ გაარჩია ერთი საქმე, რომლის განხილვის დროსაც მან ანალოგიის მეშვეობით ეკონომიური კონტრარევიოლუციის ცნება ჩამოაყალიბა. ამ შემთხვევაშიც სრ. რუსეთის ცაკის უახლოეს სესიაზე (1923 წ. 10 ივლისს) მიღებული იქნა დადგენილება, რომლითაც სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულ იქნა აღნიშნული დანაშაულებრივი შემადგენლობა. მრავალი სხვა ასეთი ხარვეზი გამოირკვა კოდექსის მოქმედების პირველი 2 წლის განმავლობაში.

<sup>1</sup> Д. И. Курский, Избранные статьи и речи, 1948, стр. 86.

აღსანიშნავია, რომ აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში სასამართლო ორგანოები და იუსტიციის სახალხო კომისარიატი შედიოდნენ სათანადო წარდგინებით საკანონმდებლო ორგანოში, რომელსაც სისხლის სამართლის კოდექსში სათანადო ცვლილებები შეჰქონდა და რომელიც ამგვარად ცდილობდა კანონის ანალოგიით შეფარდების მაგივრად სამართლის მტკიცე ნორმა გამოეცა.

ანალოგიის შეფარდების შემთხვევები საბჭოთა სასამართლოს მიერ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენდა, რსფსრ-ის იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1922 წ. 8 ივნისის ცირკულარში „სისხლის სამართლის კოდექსის ცხოვრებაში შემოღების შესახებ“ პირდაპირ მითითებული იყო: „საერთო წესით სასჯელი და სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებანი შეიძლება შეფარდებულ იქნენ სასამართლოთა მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ზუსტადაა გათვალისწინებული კანონით. ამ წესის გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ იმ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც თუმცა სამართალში ნიციემულის ქმედობა ზუსტად არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსით, მაგრამ სასამართლო სცნობს მას აშკარად საშიშად მუშურ-გლეხური ხელისუფლების მიერ დამყარებული ახალი მართლწესრიგის საფუძვლების თვალსაზრისით და არა დამხობილ მთავრობათა კანონების თვალსაზრისით“

ანალოგიის შეფარდების შესაძლებლობა დაშვებულ იქნა სისხლის სამართლის საერთსაკავშირო კანონმდებლობის პირველ კოდიფიკაციურ ცდაში — 1924 წლის „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითად საწყისებში“. ძირითადი საწყისების მე-3 მუხლის მესამე აბზაცში აღნიშნულია: „უკეთეს საზოგადოებრივად საშიში ქმედობა პირდაპირ არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის კანონმდებლობით, პასუხისმგებლობის საფუძველსა და ფარგალს, აგრეთვე სოციალური დაცვის ღონისძიებას სასამართლო განსაზღვრავს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლის ანალოგიით, რომელიც ითვალისწინებს მნიშვნელობათა და გვარით ყველაზე უფრო მსგავს დანაშაულს“.

ანალოგიური ნორმა მცირეოდენი ცვლილებებით შეტანილ იქნა რსფსრ 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსში (მუხ. 16) და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში.

### თავი მესამე

#### ანალოგიის შეფარდების პირობები საბჭოთა სისხლის სამართალში

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, „უკეთეს ესა თუ ის საზოგადოებრივად საშიში ქმედობა სისხლის სამართლის კანონმდებლობით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, პასუხისმგებლობის საფუძველსა და ფარგალს, აგრეთვე სოციალური დაცვის ღონისძიებას სასამართლო განსაზღვრავს ამა კოდექსის კერძო ნაწილის იმ მუხლის ანალოგიით, რითაც გათვალისწინებულია მნიშვნელობით და გვარით ყველაზე უფრო მსგავსი დანაშაული“. მაშასადამე, საკითხი ანალოგიის შესახებ შეიძლება



წამოიჭრას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსამართლეს საქმე აქვს აშკარად საზოგადოებრივად საშიშ ქმედობასთან და როდესაც ეს ქმედობა პირდაპირ არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსში.

I. ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნიშანს წარმოადგენს. იგი შეტანილია საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსების მიერ დანაშაულის ცნების განმარტებაში როგორც მისი კონსტიტუციური და აუცილებელი ელემენტი. ამიტომ ცხადია, რომ უკეთეს რომელიმე ქმედობა, თუნდაც იგი თავისი ზოგიერთი ნიშნებით ჰგავდეს სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში აღნიშნულ დანაშაულის შემადგენლობას, საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენს, იგი ვერ მიუღებება დანაშაულის ზოგად ცნებას, მოცემულს საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 მუხლში და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლებში. ამასთან მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის შენიშვნა და მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსების ანალოგიური ნორმები, რომელთა მიხედვით ქმედობა, რომელიც აშკარად უმნიშვნელოა და რომელსაც მანვე შედეგი არ მოჰყოლია, არ ჩაითვალება საზოგადოებრივად საშიშად, თუნდაც იგი დანაშაულის შემადგენლობის ფორმალურ ნიშნებს შეესაბამებოდეს. მით უმეტეს არ შეიძლება ასეთი ქმედობის ანალოგიით კრიმინალიზაცია.

II. ანალოგიის შეფარდების მეორე ძირითად პირობას სამართალში ხარვეზის არსებობა წარმოადგენს. სისხლის სამართლის კანონის ანალოგიით შეფარდების დროს, მოსამართლე უნდა დაარწმუნდეს, რომ კანონმდებელს მართლაც გამოორჩა მხედველობიდან აღნიშნული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა. ანალოგია არასდროს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონმდებლის პირდაპირ გამოხატულს ან ლოგიკური დასკვნის საფუძველზე გამომდინარეებულ ნებას. თუ ჩვენ ვვაქვს პირდაპირი ან არაპირდაპირი საფუძველი ვიფიქროთ, რომ კანონმდებელმა განზრახ არ გაითვალისწინა განსაზღვრული ქმედობა, ვინაიდან არ თვლის მას საზოგადოებრივ საშიშად ან საჭიროდ არ თვლის მის დევნას სისხლის სამართლის წესით და სჯერდება სამოქალაქო, ადმინისტრაციულ ან დისციპლინურ პასუხისმგებლობას ან საზოგადოებრივ გაკიცხვას — ასეთი შემთხვევების მიმართ ანალოგიის შეფარდება ანალოგიის ინსტიტუტის მნიშვნელობისა და არსის დამახინჯება იქნებოდა.

აქედან მთელი რიგი პრაქტიკული დასკვნები გამოდინარეობს:

1) ანალოგია არ შეეფარდება ისეთ ქმედობებს, რომლებიც წინათ გათვალისწინებული იყო სისხლის სამართლის კოდექსში, ხოლო შემდეგ კანონმდებელმა რაიმე მოსაზრებით გამოორიცხა კოდექსიდან. ასეთ შემთხვევაში ნათლად გამოვლინებულია კანონმდებლის ნება არ დასაჯოს უწყებელი ქმედობა;

2) ანალოგია არ შეეფარდება ისეთ ქმედობას, რომლის შესახებაც კანონი პირდაპირ აღნიშნავს, რომ იგი ადმინისტრაციული ან დისციპლინური წესით უნდა იდევნებოდეს;

3) ანალოგია არ შეიძლება შეფარდებული იქნეს, უკეთეს კანონმდებელი პირდაპირ მიუთითებს, რომ გარკვეული ქმედობა შეიძლება დაისაჯოს მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი დასჯადობა სპეციალურადაა გათვალისწინებული კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლში. მაგალითად, საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, „დანაშაულის ან დანაშაულის კვალის ისეთ დაფარვას, რაც დანაშაულის ჩადენისათვის ხელის შეწყობას არ წარმოადგენს, აგრეთვე ჩადენილი ან ჩასადენად განზადებული დანაშაულის განუცხადებლობას სოციალური დაცვის ღონისძიება შეეფარდება მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, რაც სისხლის სამართლის კოდექსით სპეციალურადაა გათვალისწინებული“. ამის გამო არ შეიძლება, მაგალითად, ანალოგიის საფუძველზე დავსაჯოთ განზრახი მკვლელობის განუცხადებლობა, მიუხედავად იმისა, რომ დამამძიმებელ შემთხვევებში განზრახი მკვლელობა სიკვდილით დასჯასაც კი იწვევს და ამგვარად მეტად მძიმე დანაშაულად ითვლება;

4) ანალოგია არ შეიძლება შეფარდებულ იქნეს იმ შემთხვევაში, როდესაც ამა თუ იმ ქმედობის დასჯადობა განპირობებულია რაიმე შედეგის განხორციელებით, ხოლო ეს შედეგი არ განხორციელებულა. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 164 მუხლის თანახმად, დახმარების აღმოუჩენლობა ისეთი პირისათვის, რომელიც სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფება, ისჯება მხოლოდ მაშინ, უკეთეს მას შედეგად მოჰყვა სიკვდილი ან სხეულის მძიმე დაზიანება. ამიტომ, უკეთეს დახმარების აღმოუჩენლობას ასეთი შედეგი არ მოჰყოლია, 164 მუხლი არ შეიძლება შეფარდებულ იქნეს არც პირდაპირ და არც ანალოგიით;

5) საერთოდ ანალოგიის შეფარდება არ შეიძლება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ნათლად ჩანს კანონმდებლის სურვილი შემოფარგლოს პასუხისმგებლობა ზუსტი და გარკვეული პირობებით, უკეთეს ეს განსაკუთრებული პირობები მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს. ეს დებულება განსაკუთრებით ნათლად და მკვეთრად არის გამოხატული სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის 1924 წლის 29 ნოემბრის დადგენილებაში ტკალენკოს საქმეზე. ანალოგიის შეფარდება, პლენუმის მითითების თანახმად, „გულისხმობს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის ანალოგიით შესაფარდებელ მუხლში არ არის გათვალისწინებული სპეციალური მითითებანი, რომელნიც პირდაპირ ზღუდავენ მისი შეფარდების ფარგალს. უკანასკნელ შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსის მუხლის შეფარდება ისეთი ქმედობისათვის, რომელიც ამ მუხლის შემადგენლობის მსგავს ელემენტებთან ერთად მოიცავს ამ მუხლის შეფარდების სფეროდან პირდაპირ გამორიცხულ ელემენტებსაც, წარმოადგენს უკვე არა ანალოგიის გამოყენებას, არამედ კანონის არასწორად შეფარდებას, თვით კანონში აღნიშნული შეზღუდვის საწინააღმდეგოდ.“<sup>1</sup>

<sup>1</sup> М. М. Неаев и А. А. Пионтковский, Вопросы уголовного права, военно-уголовного права и уголовного процесса в судебной практике Верховного суда СССР, 1947, стр. 12.



იმ დებულებიდან, რომ ანალოგიის შეფარდება დასაშვებია მხოლოდ ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, მეორე ძირითადი დასკვნა გამომდინარეობს: შეუწყნარებელი ანალოგიის შეფარდება ისეთი ქმედობისათვის, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის რომელიმე მუხლით პირდაპირ გათვალისწინებულია. ეს უდავო დებულება ხშირად ირღვეოდა ჩვენი სასამართლოების მიერ: უკეთუ მათ ამა თუ იმ ქმედობისათვის კანონით გათვალისწინებული სასჯელი მსუბუქად ეჩვენებოდათ, ისინი იყენებდნენ ანალოგიით მუხლს, რომელიც უფრო მძიმე სასჯელს ითვალისწინებდა.

უმაღლეს სასამართლოს პლენუმმა 1939 წლის 14 ივლისის დადგენილებაში მიროშნიჩენკოს საქმეზე მიუთითა ასეთი პრაქტიკის არასისწორეზე: „სასამართლომ არასწორად დააკვალიფიცირა მსჯავრდადებულ მიროშნიჩენკოს მოქმედება რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 — 59<sup>2</sup>-ბ მუხლის მიხედვით. მუხ. 59<sup>2</sup>-ბ ითვალისწინებს მოძრავი შედგენილობის დანგრევას ან დაზიანებას მატარებლის დალუპვის გამოწვევის მიზნით. ამ შემთხვევაში კი არ არის დადასტურებული, რომ მიროშნიჩენკოს ასეთი მიზანი ჰქონდა. მეორე მხრით, სასამართლომ არასწორად შეუფარდა ეს მუხლა ანალოგიით, ვინაიდან მიროშნიჩენკოს მოქმედება, რომელიც ქონების დაზიანებაში გამოიხატა, პირდაპირ არის გათვალისწინებული რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 79 მუხლის 1 ნაწილით“<sup>1</sup>.

ანგვარადვე სსრკ უმაღლეს სასამართლოს რკინიგზის კოლეგიის 1949 წ. 25 ივნისის დადგენილებაში ნათქვამია: „...ანალოგია შეიფარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც უწყებთული ქმედობა პირდაპირ არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსში ან სხვა სისხლის სამართლის კანონში. ხოლო კოვალჩუკის დანაშაულებრივი ქმედობა პირდაპირაა გათვალისწინებული უსსრ სისხლის სამართლის კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლით (საგზაო სამინისტროს მიერ მოძრაობის დაცვისა და უშიშროების შესახებ გამოცემული სავალდებულო დადგენილებების დარღვევა)“<sup>2</sup>.

III. საზოგადოებრივად საშიში ქმედობის არსებობა და სისხლის სამართლის კანონის ხარვეზის დადასტურება ჯერ კიდევ არ არის საკმარისი ანალოგიის შეფარდებისათვის. აუცილებელია მესამე პირობა: მოქმედება, რომელსაც კანონი ანალოგიით ეფარდება, თავისი გვარისა და მნიშვნელობის მიხედვით უნდა ემსგავსებოდეს იმ ქმედობას, რომელსაც ანალოგიით შესაფარდებელი კანონი ითვალისწინებს.

კანონმდებელი სისხლის სამართლის განსაკუთრებულ ნაწილში დანაშაულის შემადგენლობათა აღწერით ზუსტად და ნათლად მიუთითებს, თუ რა სახის ქმედობანი აღწევენ საზოგადოებრივი საშიშროების ისეთ ხარისხს,

<sup>1</sup> Сборник постановлений Пленума и определений коллегий Верховного суда Союза ССР за второе полугодие 1939 г., 1941, стр. 22.

<sup>2</sup> Судебная практика Верховного суда СССР, 1949, № 11, стр. 38.

რომ აუცილებელი იყოს მათი კრიმინალიზაცია. სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობის შედარება ამ შემადგენლობებთან გვაძლევს მკვეთრ მასშტაბს იმისათვის, რათა ვიმსჯელოთ ასეთი ქმედობის დასჯადობის აუცილებლობის შესახებ. ასეთი შედარება ამყარებს მოსამართლის მსჯელობას ზუსტ საფუძველზე და ამით უზრუნველყოფს მისი დასკვნის სისწორეს. ხოლო თუ მოსამართლე დასკვნას მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების შესახებ ასეთი მტკიცე საფუძვლის გარეშე გამოიტანს, მაშინ მან შეიძლება სრულიად დაჰკარგოს ყოველგვარი ობიექტური მასშტაბი და მართლმსაჯულების ასრულებაში ისეთი სუბიექტივიზმი შეიტანოს, რომელიც სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებას ხელს ვერ შეუწყობს. აქედან ნათელია, რომ ანალოგიის სწორად შეფარდება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ მოსამართლეს ზედმიწევნით კარგად აქვს შესწავლილი სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში აღწერილი დანაშაულის შემადგენლობანი.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, ანალოგიის შეფარდების საფუძველს წარმოადგენს მსგავსება გვარისა და მნიშვნელობის მიხედვით. საერთოდ ორი მოვლენის მსგავსება ნიშნავს მათ ნაწილობრივ იგივეობას, რაც საშუალებას გვაძლევს მივაკუთვნოთ ისინი მოვლენათა ერთსა და იმავე გვარს. იბადება საკითხი: ქმედობის რა ნიშნები უნდა იყოს იგივე კანონით გათვალისწინებული ქმედობის ნიშნებთან და რა ნიშნები შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი იმისათვის, რათა ვცნოთ ამ ქმედობათა მსგავსება და შევუფარდოთ ანალოგია?

ჩვენი აზრით, ამის გადასაჭრელად რაიმე ფორმალური წესის წამოყენება შეუძლებელია, ვინაიდან აქ მნიშვნელობა აქვს, ერთის მხრით, იმ გარემოებას, თუ, სახელდობრ, რომელი ნიშნები არიან არსებითნი, კონსტიტუციური ანა თუ იმ შემადგენლობისათვის, ხოლო, მეორე მხრით, კონკრეტული შემთხვევის თავისებურებებს. ყოველ შემთხვევაში, მსგავსებას ისეთი ხასიათი უნდა ჰქონდეს, რომ მოსამართლეს შეეძლოს ასეთი დასკვნის გამოტანა: თუ კანონმდებელი სჯის კანონში აღწერილ შემთხვევას, მაშინ საჭიროა ასევე შევაფასოთ თანასწორუფასოვანი კონკრეტული შემთხვევა, რომელიც მოვლენათა იმავე კატეგორიას, იმავე გვარს ეკუთვნის.

ზოგიერთი საბჭოთა იურისტის აზრით, „სუბიექტის, სუბიექტური მხარის და ობიექტის მიხედვით საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რომელიც კანონით ბირდაპირ არ არის გათვალისწინებული, უნდა ემთხვეოდეს განსაკუთრებული ნაწილის იმ მუხლით გათვალისწინებულ ქმედობას, რომელსაც ანალოგიით ვუფარდებთ. აქედან ცხადია, რომ განსხვავება საზოგადოებრივად საშიში ქმედობის შემადგენლობაში და სისხლის სამართლის კოდექსის ნორმით გათვალისწინებული იმ დანაშაულის შემადგენლობაში, რომელსაც ანალოგიით ვუფარდებთ, შეიძლება შეეხებოდეს შემადგენლობის მხოლოდ



დარჩენილ მეოთხე კატეგორიის ელემენტებს, ე. ი. ელემენტებს, რომლებიც დანაშაულის ობიექტურ მხარეს ახასიათებენ<sup>1</sup>.

ეს შეხედულება ასეთი კატეგორიული ფორმულირებით არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. მართალია, უფრო ხშირად, ანალოგიას ადგილი აქვს დანაშაულის ობიექტური მხარის ნიშნების მიხედვით, მაგრამ გამორიცხული არ არის ანალოგიის შეფარდება დანაშაულის ობიექტის მიხედვითაც. მაგალითად, სახელმწიფო ხურდა ლითონის (ვერცხლის, ნიკელის, სპილენძის, ბრინჯაოს) ფულის შესყიდვა ხელობის სახით, სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს და სსრ კავშირის პროკურატურის 1935 წლის 29 ივნისის სადირექტივო წერილის თანახმად, კვალიფიცირებულ უნდა იქნეს რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 16 — 107 მუხლების (საქ. სსრ სსკ ი მ-8 — 142 მუხლ.) მიხედვით. აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში განსხვავება არსებობს არა დანაშაულის ობიექტურ ან სუბიექტურ მხარეში (შესყიდვა სპეკულაციის მიზნით), არამედ სწორედ ობიექტის მიხედვით. სპეკულაციის ობიექტს წარმოადგენს საბჭოთა ვაჭრობა და მომხმარებლის ინტერესები, ხოლო ამ კაზუსში დანაშაულის ობიექტია საბჭოთა ფულის სწორი მიმოქცევა.

შემდეგ, სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის 1951 წ. 20 აპრილის დადგენილება წინადადებას იძლევა სახელმწიფო სესხის ობლიგაციების ნომინალზე დაბლა დიდი რაოდენობით შესყიდვა კვალიფიცირებულ იქნეს რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 59<sup>12</sup> მუხლის მიხედვით (სავალუტო ოპერაციებისათვის დადგენილი წესების დარღვევა), თუმცა ეს ორი ქმედობა სწორედ ობიექტის მიხედვით განსხვავდება ერთმანეთისაგან<sup>3</sup>.

სულ სხვაა ისეთი შემთხვევები, როდესაც კანონმდებელი ზღუდავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას სპეციალური სუბიექტით, მაგალითად, როდესაც დანაშაულის სპეციალურ სუბიექტს წარმოადგენს თანამდებობის პირი. ასეთ შემთხვევაში დანაშაულებრივი ქმედობის განსაკუთრებული საშიშროება დაკავშირებულია გარკვეულ სამსახურებრივი, თანამდებობრივი მოვალეობის დარღვევასთან. ამიტომ არა თანამდებობის პირზე იმ კანონის გავრცელება, რომელიც თანამდებობრივ დანაშაულს ითვალისწინებს, ეწინააღმდეგება კანონის პირდაპირ მოთხოვნას.

უმაღლეს სასამართლოს პლენუმმა 1944 წლის 6 იანვრის დადგენილებით განმარტა: „...კოლეგიამ უსაფუძვლოდ დააკვალიფიცირა ციბინას მოქმედება რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე 16 — 121 მუხლებით...121 მუხლი გულისხმობს მასში აღნიშნულ მოქმედებათა ჩადენას თანამდებობის პირის მიერ; რამდენადაც, ამგვარად, თვით კანონი ზღუდავს იმ პირთა წრეს, რომ-

<sup>1</sup> А. Н. Трайнин, Состав преступления по советскому уголовному праву, 1951, стр. 286.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 291.

<sup>3</sup> Сборник действующих постановлений Пленума Верховного суда СССР, 1952, стр. 9.

<sup>4</sup> Судебная практика Верховного суда СССР за 1944 г., вып. III, стр. 6.

ლებზედაც იგი ვრცელდება, არასწორია მისი ანალოგიით გავრცელება იმ პირებზე, რომლებიც პირდაპირ არ არიან აღნიშნული კანონში<sup>4</sup>.

ყოველთვის არსებითი, კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვს დანაშაულის შემადგენლობისათვის მის სუბიექტურ მხარეს. დანაშაული, ჩადენილი განზრახვით, გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე დანაშაული, ჩადენილი გაუფრთხილებლობით, ვინაიდან განზრახვა ბრალის უფრო მძიმე ფორმას წარმოადგენს. განზრახვის დროს სუბიექტი ამჟღავნებს მტრულ განწყობილებას სოციალისტური მართლწესრიგის მოთხოვნებისადმი, ხოლო გაუფრთხილებლობის დროს — დაუდევარ, უყურადღებო დამოკიდებულებას მათთან. ამის შესაბამისად განზრახ ჩადენილი დანაშაული, როგორც საერთო წესი, გაცილებით უფრო მკაცრ სასჯელს იწვევს, ვიდრე გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული. გასაგებია ამიტომ, რომ საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მიერ ანალოგიის შეფარდებისათვის გათვალისწინებული ერთ-ერთი პირობა — ქმედობათა მსგავსება მათი მნიშვნელობის მიხედვით — აუცილებლად მოითხოვს დანაშაულის სუბიექტური მხარის იგივეობას. ეს გარემოება არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაში.

ჯერ კიდევ 1926 წ. რსფსრ უმაღლესმა სასამართლომ განმარტა, რომ „სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, რომელიც ითვალისწინებს რაიმე ქმედობის მხოლოდ განზრახ ჩადენას, არ შეიძლება შეფარდებულ იქნეს სისხლის სამართლის კოდექსის 10 (16) მუხლის მეშვეობით იმავე ქმედობის გაუფრთხილებლობით ჩადენისათვის“.

ამგვარადვე სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს რკინიგზის კოლეგიის 1949 წლის 25 ივნისის განჩინებაში ნათქვამია: „გაუფრთხილებელი მოქმედება არ შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს ანალოგიით იმ მუხლის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას განზრახი დანაშაულისათვის“<sup>1</sup>.

არ შეიძლება ანალოგიის შეფარდება აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც კანონი ითვალისწინებს როგორც დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ კონსტიტუციურ ელემენტს განსაზღვრულ მოტივს, უკეთეს ქმედობა ჩადენილი იყო სხვა მოტივით. მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 161 მუხ. ითვალისწინებს ბავშვის მოტაცების, დაფარვის ან გამოცვლის დასჯადობას იმ შემთხვევაში, უკეთეს ეს მოქმედება ჩადენილია ანგარებით ან სხვა რაიმე პირადი მოტივით. ამიტომ ბავშვის მოტაცებას სიბრალულის გრძნობის გამო 161 მუხლი ანალოგიით არ შეიძლება მიუყენოთ. ასეთივე მნიშვნელობა აქვს ზოგიერთი დანაშაულისათვის მიზანს. სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის 1939 წ. 20 სექტემბრის დადგენილებაში მითითებული იყო, რომ „რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 59<sup>ბ</sup> მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლები შეეფარდება ისეთ პირებს, რომლებმაც ამ მუხლში მითითებული მოქმედება ჩაიდინეს მატარებლის დამსხვრევის გამოწვევის მიზნით. ხოლო ამ საქმეზე სმირნოვისათვის ინკრიმინირებულ მოქმედებაში არათუ არ

<sup>1</sup> Судебная практика Верховного суда СССР, 1949, № 11, стр. 38.





არის დადგენილი ასეთი მიზნის არსებობა, არამედ საქმიდან საერთოდ არა ჩანს, რომ განძელი აღმოჩნდა ლიანდაგზე მატარებლის მოძრაობისათვის საშიშარ მდგომარეობაში სმირნოვის რაიმე აქტიური მოქმედების შედეგად<sup>1</sup>. უმაღლესმა სასამართლომ ამ დადგენილებაში პირდაპირ მიუთითა, რომ 58<sup>3</sup>.ბ მუხლისათვის კონსტიტუციურ ნიშანს წარმოადგენს სპეციალური მიზანი, ურომლისოდაც აღნიშნული დანაშაულებრივი შემადგენლობა არ არსებობს. აქედან ნათელია, რომ იგივე მოქმედება, ჩადენილი ამ მიზნის გარეშე, აღნიშნული მუხლით არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს.

4. სისხლის სამართლის კანონის ანალოგიით გამოყენების შემთხვევაში იბადება კითხვა: შეზღუდულია თუ არა მოსამართლე იმ სანქციის ფარგლებით, რომელსაც ითვალისწინებს ანალოგიით შეფარდებული კანონი, თუ მის უფლება აქვს შეუფარდოს ისეთი სასჯელიც, რომელიც ამ კანონით გათვალისწინებული არ არის?

აღსანიშნავია, რომ რსფსრ უმაღლეს სასამართლოს პლენუმის 1925 წლის 29 ივნისის დადგენილების თანახმად, მოსამართლეს არ შეუძლია შეუფარდოს უფრო მძიმე სასჯელი, ვიდრე სასჯელი, რომელიც გათვალისწინებულია ანალოგიით შეფარდებულ კანონში, მაგრამ მოსამართლეს შეუძლია შეუფარდოს უფრო მსუბუქი სასჯელი. როგორც სწორად აღნიშნავს პროფ. დურმანოვი, ასეთი განმარტება არ შეესაბამება „ძირითადი საწყისების“ მე-3 მუხლს, რომლის თანახმად, არა მარტო პასუხისმგებლობის საფუძველი, არამედ მისი ფარგლებიც განისაზღვრება ანალოგიით შეფარდებული კანონის შესაბამისად<sup>2</sup>.

## თავი მეოთხე

### საკითხი ანალოგიის შინაარსის შესახებ მომავალ საქმეში სისხლის სამართლის კოდექსში

საკითხი იმის შესახებ, უნდა დარჩეს თუ არა ანალოგია მომავალ სისხლის სამართლის კოდექსში, დიდი ხანია დავას იწვევს საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში.

ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტიკის აზრით, ანალოგიის ინსტიტუტი განუყრელად დაკავშირებულია დანაშაულის მატერიალურ განმარტებასთან და ამ განმარტებიდან თანამიმდევრობით გამომდინარე დებულებას წარმოადგენს. მაგალითად, ვ. ი. კამინსკაიას აზრით, „რამდენადაც ჩვენი კანონი დანაშაულის მატერიალური გაგებიდან გამოდის და ამათუმი ქმედობის დანაშაულად აღიარება მის სოციალურ საშიშროებაზე დამოკიდებული, ანალოგიის დაშვება ჩვენს მართლმსაჯულებაში აუცილებელია“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> Сборник постановлений Пленума и определенных коллегий Верховного суда СССР за второе полугодие 1939 г., 1941, стр. 39.

<sup>2</sup> Н. Д. Дурманов, Понятие преступления, 1948, стр. 225 — 226.

<sup>3</sup> В. И. Каминская, Роль Верховного суда СССР в развитии советского права, „Советское государство и право“, 1948, № 6, стр. 38.

აღნიშნული შეხედულება მართებულად ვერ აფასებს დანაშაულის მატერიალურ განმარტებას, მოცემულს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში და დანაშაულის ცალკეული შემადგენლობების მნიშვნელობას, რომლებიც მოცემული არიან სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში.

დანაშაულის მატერიალური განმარტება მიუთითებს დანაშაულის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნიშანზე, რომლის გარეშე არავითარი ქმედობა ჩვენში არ შეიძლება დანაშაულად ჩაითვალოს. ეს არის — მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროება. მაგრამ მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროება თავის თავად არ წყვეტს საკითხს მისი კრიმინალიზაციის შესახებ. იმისათვის, რომ რაიმე საზოგადოებრივად საშიში ქმედობა დანაშაულად იქნეს აღიარებული, საჭიროა იგი დანაშაულის შემადგენლობას შეესაბამებოდეს. დანაშაულის როგორც საზოგადოებრივად საშიში ქმედობის კონკრეტიზაცია სწორედ დანაშაულის შემადგენლობათა დადგენით ხდება. დანაშაულის შემადგენლობა იმ ნიშნების ერთობლიობას ეწოდება, რომლებიც, კანონის თანახმად, ახასიათებენ ქმედობას როგორც საზოგადოებრივად საშიშს და დასასჯელს. დანაშაულის შემადგენლობის შექმნის დროს კანონმდებელი ცხოვრების მრავალრიცხოვან ურთიერთობათა სფეროდან ირჩევს ფაქტების განსაზღვრულ კომპლექსს და სწორედ ამ კომპლექსს უკავშირებს დასჯელის მუქარას. ამით კანონმდებელი აღიარებს, რომ მის მიერ დადგენილი ნიშნების ერთობლიობა წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას, თანაც ისეთი ხარისხის საზოგადოებრივ საშიშროებას, რომელიც ასეთი ქმედობის კრიმინალიზაციას მოითხოვს. მოსამართლისათვის დანაშაულის შემადგენლობის არსებობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. იგი საკითხს ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების არსებობის თუ არ არსებობის შესახებ წყვეტს არა თავისი სუბიექტური შეხედულების საფუძველზე, არამედ კონკრეტულ ქმედობაში დანაშაულის შემადგენლობის ზუსტი და გარკვეული ნიშნების არსებობის თუ არ არსებობის საფუძველზე.

შეხედულება, რომელიც ფიქრობს, რომ ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების დადგენა მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის მიერ მოცემულ დანაშაულის ზოგადი განმარტების საფუძველზე უნდა ხდებოდეს, არსებითად განუსაზღვრელ ანალოგიას ჰქადავობს. ამ აზრის თანამიმდევრობით განვითარება მიგვიყვანდა კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის არა ამომწურავი, არამედ სანიმუშო ხასიათის აღიარებამდე.

იმის დასამტკიცებლად, რომ დანაშაულის მატერიალურ განმარტებასა და ანალოგიას შორის არავითარი შინაგანი და განუწყვეტელი კავშირი არ არსებობს, საკმარისია მიუთითოთ შემდეგ ფაქტებზე: გერმანიის 1871 წლის სისხლის სამართლის დებულება იძლევა დანაშაულის წმინდა ფორმალურ განმარტებას, მაგრამ ამ გარემოებამ სულაც არ შეუშალა ხელი ფაშისტურ ხელისუფლებას 1935 წელს დანაშაულის ანალოგია შემოეღო. მეორე მხრით, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთისა და ბულგარეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბ-



ლიკების კოდექსები დანაშაულის მატერიალურ განმარტებას იძლევიან, მაგრამ ამავე დროს დანაშაულის ანალოგიას არ ითვალისწინებენ<sup>1</sup>.

ამგვარად, ერთადერთი არგუმენტი, რომელიც ანალოგიის მომხრეებს რჩებათ და რომელთაც უთუოდ ანგარიში უნდა გავუწიოთ, მდგომარეობს შემდეგში: არც ერთ სისხლის სამართლის კოდექსს არ შეუძლია წინასწარ გაითვალისწინოს ყველა საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, და თუ სისხლის სამართლის კანონმდებლობით ნებადართული არ იქნება ანალოგია, მრავალი ნამდვილად საზოგადოებრივად საშიში ქმედება დაუსჯელი დარჩება. ასე, მაგალითად, ანალოგიის მომხრე აკად. ვიშინსკი აღნიშნავდა: „ჩვენ გაჭირვება გვაიძულებს ანალოგიას მივმართოთ, ვინაიდან შეუძლებელია გავითვალისწინოთ და ჩავწეროთ კანონში დანაშაულის ყველა შესაძლებელი შემთხვევა. მაგრამ არ შეიძლება გაჭირვება სიკეთედ ჩავთვალოთ, არ შეიძლება იგი პრინციპად გამოვაცხადოთ, თანაც ისეთ პრინციპად, რომელზედაც ავებული უნდა იყოს მთელი ჩვენი სასამართლო საქმიანობა — ეს კანონიერებისათვის ძირის გამოთხრა იქნებოდა“<sup>2</sup>.

სწორი არ იქნებოდა ამ მოსაზრებაზე ისეთი პასუხის გაცემა, თითქოს შეიძლება არსებობდეს სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც დაზღვეული იქნება ხარვეზებისაგან. შეუძლებელია დავეთანხმოთ თავგაზოგს, რომელიც წერდა: „კანონმდებელმა სსრ კავშირის სისხლის სამართლის კოდექსის საბოლოო ტექსტის შემუშავების დროს დანაშაულის ყველა სახე უნდა გაითვალისწინოს. ეს — შესაძლებელი და თანაც აუცილებელი ამოცანა“<sup>3</sup>. ასეთი მოსაზრება ქეშმარიტი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, სამართლის ხარვეზების ერთადერთი მიზეზი საკანონმდებლო ტექნიკის ნაკლოვანებანი რომ ყოფილიყო. მაგრამ საკანონმდებლო ტექნიკის უსრულობა ერთ-ერთი მიზეზია ხარვეზებისა და არა ერთადერთი მიზეზი. სამართლის ხარვეზების არსებობის ძირითადი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ცხოვრების ახალ ურთიერთობათა წარმოშობის შესაბამისად შეიძლება წარმოიშვან ახალი საზოგადოებრივად საშიში ქმედობანი, რომელთა გათვალისწინება კოდექსის გამოცემის დროს არ შეიძლებოდა.

ამიტომ საკითხი ასე უნდა იქნეს დაყენებული: რა უფრო მიზანშეწონილია: სისხლის სამართლის ხარვეზების მხოლოდ საკანონმდებლო საქმიანობით შევსება, თუ მისი შევსება აგრეთვე მოსამართლის მიერ ანალოგიის მეშვეობით?

საბჭოთა კრიმინალისტები, რომელნიც ანალოგიის წინააღმდეგ ილაშქრებენ, ამ საკითხს ისტორიულად უდგებიან. ისინი სავსებით მართებულად მიუთითებენ, რომ ვიდრე საბჭოთა კავშირში გადაწყვეტილი არ იყო საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების პირველი მთავარი თაზის ძირითადი ამოცანა — ექსპლოატატორული კლასების დათრგუნვა — და ვიდრე მოსალოდნელი იყო

<sup>1</sup> ბულგარეთის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ანალოგია გაუქმებული იქნა 1956 წ. 3 თებერვლის კანონით. ანალოგია გაუქმებულია აგრეთვე რუმინეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში 1956 წ. 29 თებერვალს.

<sup>2</sup> А. Я. Вышинский, Цит. статья, стр. 7.

<sup>3</sup> К. Тавгазов, Несовместимость аналогии с Конституцией СССР, „Советская юстиция“. 1938, № 23 — 24, стр. 8.

ამ კლასების სასტიკი და მძაფრი წინააღმდეგობა, გამოვლინებული მრავალ სხვადასხვა ფორმაში, რომელთა წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელი იქნებოდა, — შემოღება პრინციპისა „არ არის დანაშაული კანონის გარეშე“ ნაადრევი იყო. ამიტომ ამ პერიოდში ანალოგიის შემოღება პოლიტიკური მიზანშეწონილობის თვალსაზრისით გამართლებული იყო. ამავე დროს ამ პერიოდში ჩვენს სახელმწიფოს არ ჰქონდა ჯერ კიდევ საკმარისი გამოცდილება საზოგადოებრივად-საშიშ კმედობასთან ბრძოლის საქმეში, რასაც ადვილად შეეძლო გამოეწვია სამართლის ხარვეზები<sup>1</sup>. ამიტომ ანალოგიამ თავის დროზე დადებითი როლი შეასრულა.

მაგრამ დღევანდელ პირობებში, როდესაც საბჭოთა სახელმწიფომ უკვე დიდი ხანია გადასჭრა საკითხი ექსპლოატატორული კლასების დათრგუნვის შესახებ, როდესაც ჩვენს სახელმწიფოს დიდი საკანონმდებლო გამოცდილება აქვს, ანალოგიის შენარჩუნება პოლიტიკური თვალსაზრისით არ შეიძლება გამართლებული იქნეს. საკმარისია მითითება იმ გარემოებაზე, რომ საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების მეორე პერიოდში ჩვენ ვერ შევხვდებით ანალოგიის გამოყენებას კონტრევოლუციური დანაშაულის მიმართ. სისხლის სამართლის კოდექსის ნორმები კონტრევოლუციური დანაშაულის შესახებ ზუსტად არის რეგლამენტირებული თვით კანონის მიერ და საჭიროების შემთხვევაში არა მოსამართლე, არაწედ კანონმდებელი ჰქმნის ახალ სამართლებრივ ნორმას.

მოსამართლისათვის ისეთი ფართო სამართლშემოქმედების უფლების მინიჭება, როგორსაც ანალოგია იძლევა, დღევანდელ პირობებში არაფრით არ შეიძლება იქნეს გამართლებული. ანალოგია ისეთი ორმხრივ მჭრელი იარაღია, რომელიც სოციალისტური საზოგადოების დაცვის მაგივრად შეიძლება მისი ინტერესების დარღვევის წყაროდ გადაიქცეს. და მართლაც, თუ შევამოწმებთ ანალოგიის შეფარდების პრაქტიკას საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების მეორე მთავარ ფაზაში, ნათლად დავრწმუნდებით, რომ მრავალ შემთხვევაში იგი კანონიერების დარღვევას წარმოადგენდა.

საინტერესოა ის გარემოება, რომ თვით ანალოგიის მომხრეთ თითქმის არ მოჰყავთ ან შეტად მცირედ მოჰყავთ ანალოგიის სწორად შეფარდების შემთხვევები, მაგრამ სამაგიეროდ ძალიან ბევრი შემთხვევა მოჰყავთ ანალოგიის არასწორად შეფარდებისა. მაგალითად, პ. ვ., რომელმაც შეამოწმა ანალოგიის შეფარდების პრაქტიკა მოსკოვის ერთ-ერთი რაიონის სახალხო სასამართლოში, წერს, რომ მან 1937 წ. და 1938 წ. მე-16—105 მუხლებით გარჩეული საქმეებიდან აიღო 15 საქმე და აღმოჩნდა, რომ ამ 15 საქმიდან არც ერთში საერთოდ არავითარი დანაშაულის შემადგენლობა არ იყო<sup>2</sup>. იმავე პ. ვ-მ გამო-

<sup>1</sup> об. А. А. Герцензон, Основные принципы и положения проекта Уголовного кодекса СССР: Труды первой научной сессии ВЮЮП, 1940, стр. 141 — 144; его же, Уголовное право, часть общая, 1948, стр. 204 — 208; А. А. Пионтковский, Сталинская Конституция и проект Уголовного кодекса СССР, 1947, стр. 10 — 11.

<sup>2</sup> П. В., Понятие аналогии в советском уголовном праве и практика её применения, „Советская юстиция“, 1939, № 3, стр. 12—13.



იკვლია მოსკოვის საოლქო სასამართლოს და მოსკოვის საქალაქო სასამართლოს პრაქტიკა 20 თვის განმავლობაში და აღმოაჩინა, რომ „ეს პრაქტიკა ადასტურებს ანალოგიის მეტად ფართოდ გამოყენებას სისხლის სამართლის კოდექსის მრავალი მუხლის მიმართ“<sup>1</sup>. სახელდობრ ანალოგიის გამოყენება ხდებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 53 მუხლის მიმართ და თანაც ანალოგიის შეფარდება „არავითარი აუცილებლობით არ იყო გამოწვეული“<sup>2</sup>.

ანალოგიის მომხრენი აღნიშნავენ, რომ ანალოგიის ცუდად გამოყენება არ უნდა წარმოადგენდეს არგუმენტს მის საწინააღმდეგოდ, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს საერთოდ მოსამართლეთა ცუდად მუშაობას და მაშინ ანალოგიის შეფარდებაც სწორ კალაპოტში ჩადგება. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ანალოგიის დაშვება აუცილებლობით არის დაკავშირებული შეცდომებთან, ვინაიდან იგი ფართო გასაქანს აძლევს მოსამართლის სუბიექტივიზმს. ასეთი სუბიექტივიზმი საბჭოთა მართლმსაჯულებისათვის დიდად საზიანო შეიძლება შეიქნეს. იგი წარმოადგენს წყაროს კანონის დარღვევისათვის, ხოლო, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლის, „სულ მცირეოდენი უკანონობა, საბჭოთა წესრიგის სულ მცირეოდენი დარღვევა უკვე ის ხვრელია, რომელსაც დაუყოვნებლივ გამოიყენებენ მშრომელთა მტრები“<sup>3</sup>.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ დანაშაულის ანალოგია ახალი დანაშაულებრივი შემადგენლობის შექმნას წარმოადგენს, ვინაიდან იგი ავრცელებს კანონს ისეთ ქმედობაზე, რომელიც თავისი შემადგენლობის ნიშნებით არ შეესაბამება კანონში აღწერილ დანაშაულის შემადგენლობას. დანაშაულის ანალოგიის დაშვება ეწინააღმდეგება იმ დებულებას, რომ დანაშაულის შემადგენლობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს, იგი სათანადოდ ვერ აფასებს დანაშაულის შემადგენლობის პოლიტიკურ და იურიდიულ მნიშვნელობას საბჭოთა სისხლის სამართალში.

დანაშაულის შემადგენლობის შექმნით კანონი განსაზღვრავს იმ ქმედობათა წრეს, რომლებიც სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს ხელყოფენ და სასჯელს იწვევენ. დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების ზუსტად აღწერა საშუალებას იძლევა ნათლად გავმიჯნოთ სისხლის სამართლის წესით დასასჯელ ქმედობათა წრე იმ ქმედობებისაგან, რომლებსაც სისხლის სამართალი არ შეეხება. დანაშაულის შემადგენლობის მეშვეობით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სხვადასხვა სიმძიმის დანაშაულებრივი ქმედობანი, რომელთაც კანონი, მათი საზოგადოებრივი საშიშროების მიხედვით, სხვადასხვა ზომის სასჯელს უფარდებს.

დანაშაულის შემადგენლობას, როგორც დანაშაულებრივ და არადანაშაულებრივ ქმედობათა გამიჯვნის საშუალებას და როგორც სისხლის სამართლის კანონით აკრძალულ ქმედობათა სხვადასხვა საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის დადგენის საშუალებას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზო-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 12.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 12.

<sup>3</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 661.

გადობრივად საშიშ ქმედობებთან ბრძოლის ერთიანი სოციალისტური კანონიერების საფუძველზე განხორციელებისათვის. დანაშაულის მტკიცე შემადგენლობების არსებობის გარეშე შეუძლებელია საბჭოთა სახელმწიფოს დასჯითი პოლიტიკის ერთგვაროვნად გატარება. ჯერ კიდევ 1922 წელს ი. ბ. სტალინისადმი მიწერილ წერილში „ორმაგი“ დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ“ ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „კანონიერება შეუძლებელია არსებობდეს კალუგისა და ყაზანისა, არამედ უნდა იყოს ერთიანი სრულიად რუსეთისა და ერთიანი საბჭოთა რესპუბლიკების მთელი ფედერაციისათვისაც კი“<sup>1</sup>.

ერთიანი კანონიერების გატარებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის სფეროში და შენთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციამ მთელ რიგ სხვა კოდექსებთან ერთად, სისხლის სამართლის კოდექსის გამოცემის უფლება სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს დააკისრა. ამჟამად ახალი სისხლის სამართლის კანონების გამოცემის უფლება და, მაშასადამე, დანაშაულის ახალ შემადგენლობათა შექმნა მხოლოდ საკავშირო საკანონმდებლო ორგანოს შეუძლია.

დანაშაულის ზუსტ და მტკიცე შემადგენლობათა დადგენა კანონის მიერ არა მარტო სოციალისტური კანონიერების ერთგვაროვნად განხორციელების ამოცანას ემსახურება, დანაშაულის შემადგენლობა უზრუნველყოფს ამავე დროს მოქალაქეთა კანონიერი უფლებების და ინტერესების დაცვას საგამომძიებლო-სასამართლო ორგანოების ცალკეულ წარმომადგენელთა თვითნებობისა და ბოროტმოქმედებისაგან.

სასჯელი პიროვნების უმნიშვნელოვანეს ინტერესებს ემუქრება. იგი შეიძლება მდგომარეობდეს თავისუფლების აღკვეთაში, სამოქალაქო უფლებების აყრაში, ქონების ჩამორთმევაში და სხვ. მისთ., ხოლო ზოგჯერ — თვით სიცოცხლის მოსპობაშიც. სასჯელი ყოველთვის დაკავშირებულია დამნაშავის მორალურ-პოლიტიკურ გაკიცხვასთან. ცხადია, მოქალაქენი მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნენ უზრუნველყოფილნი მათ კანონიერ უფლებებსა და ინტერესებში დაუსაბუთებელი შეჭრისაგან, თუკი სასჯელი დაკავშირებული იქნება თვით კანონში პირდაპირ და ზუსტად აღწერილ დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებთან.

დანაშაულის შემადგენლობის აღიარება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის აუცილებელ საფუძვლად საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი პრინციპის — სოციალისტური დემოკრატიზმის პრინციპის გამოხატულებას წარმოადგენს.

ეწინააღმდეგება თუ არა დანაშაულის შემადგენლობის ასეთ დიდ პრინციპულ მნიშვნელობას მოსამართლის უფლება თავისი შეხედულების მიხედვით სცნოს დანაშაულად ისეთი მოქმედება, რომელიც არ შეესაბამება დანაშაულის შემადგენლობის კანონით დადგენილ ნიშნებს? — რასაკვირველია, ეწინააღმდეგება. საბჭოთა სისხლის სამართლის კანონის ადგილს, კანონისა, რო-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 428.



მელიც მთელი საბჭოთა ეშრომელი მასების ნების გამოხატულებას წარმოადგენს და რომელიც გარკვეული წესის თანახმად მხოლოდ უმაღლეს საკავშირო ორგანოს შეუძლია გამოსცეს, იჭერს სასამართლოს განაჩენი, რომელიც ცალკეულ შემთხვევისათვის დანაშაულის ახალ შემადგენლობას ჰქმნის.

ანალოგიის მომხრენი ცდილობენ თავი დაიციონ ამ მოსაზრებისაგან მითითებით, რომ სასამართლო ანალოგიის შეფარდების დროს არ ჰქმნის ახალ დანაშაულებრივ შემადგენლობას, რომ „სასამართლოებმა უნდა გამოიყენონ ანალოგია ცალკეულ კონკრეტულ საქმეებზე ისე, რომ არ შექმნან პრეცედენტი და, მაშასადამე, დანაშაულის ახალი შემადგენლობა.“<sup>1</sup> მაგრამ თუ ანალოგიის შეფარდება მხოლოდ ერთ შემთხვევაში მოხდა, თუ მან სათანადო სასამართლო პრაქტიკა არ შექმნა, ეს სწორედ იმის დამადასტურებელია, რომ მოსამართლის მიერ კონკრეტული საქმისათვის შექმნილი ნორმა სწორი არ იყო, რომ ეს ქმედობა არ წარმოადგენს ნამდვილ, რეალურ საზოგადოებრივ საშიშროებას. მით უფრო მიზანშეუწონლად უნდა იქნეს ცნობილი მოსამართლისათვის იმის უფლების მინიჭება, რომ მან მხოლოდ ცალკეული კონკრეტული შემთხვევისათვის შექმნას დანაშაულის ახალი შემადგენლობა.

ზოგიერთი საბჭოთა იურისტი იმის დამტკიცებასაც კი ცდილობს, რომ სისხლის სამართლის კანონის ანალოგიით შეფარდების დროს ჩვენ საქმე არა გვაქვს მოსამართლის სამართალშემოქმედებასთან, ვინაიდან იგულისხმება, რომ ქმედობა, რომელსაც ანალოგიით კანონს უფარდებთ, თუმცა პირდაპირ არ არის გათვალისწინებული კანონით, მაგრამ „ზოგადი გვაროვნული ნიშნებით“ გათვალისწინებულია მის მიერ და ამიტომ ეს ქმედობა არა მარტო საზოგადოებრივად საშიშია, არამედ, იგი ფორმალურადაც მართლსაწინააღმდეგო ხასიათს ატარებს<sup>2</sup>. ეს აზრი საფუძველს მოკლებულია. დანაშაულის შემადგენლობა და მასთან ერთად ქმედობის მართლსაწინააღმდეგობა მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, თუ ქმედობა კანონით დადგენილი დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანს შეესაბამება. ანალოგიას კი ჩვენ სწორედ იმ შემთხვევაში ვუფარდებთ, როდესაც დანაშაულის შემადგენლობის რომელიმე ნიშანი გვაკლია. ცხადია, ასეთი ქმედობა არ შეიძლება სისხლის სამართლის კანონის საწინააღმდეგო ქმედობად ჩაითვალოს.

ანალოგიის შეფარდება ეწინააღმდეგება ამავე დროს სისხლის სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დებულებას, რომლის თანახმად ქმედობის დანაშაულებრივი ხასიათის დამდგენ სისხლის სამართალურ ნორმას არ შეიძლება უკუქცევითი ძალა ჰქონდეს. ეს დებულება გამოხატულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომლის მე-2 მუხლი მიუთითებს, რომ „ქმედობის დანაშაულებრივობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით, რომელიც დანაშაულის ჩადენის მომენტში მოქმედებდა.“ ეს ნორმა უბრალო ტექნიკური ხასიათის წესი როდია. იგი სოციალისტური დემოკრატიზმის პრინ-

<sup>1</sup> М. Д. Шаргородский, Уголовный закон, 1948, стр. 206.

<sup>2</sup> Н. Д. Дурманов, Понятие преступления, 1948, стр. 224 — 225.



ციბიდან გამომდინარეობს. იგი წარმოადგენს საბჭოთა მოქალაქის პირადი თავისუფლების ერთ-ერთ გარანტიას, იცავს საბჭოთა მოქალაქეს იმ თვითნებობისაგან, რომელიც ამათუიმ ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება გამოიჩინონ ხელისუფლების ერთეულმა წარმომადგენლებმა. იგი ერთ-ერთი პირობაა საბჭოთა მართლმსაჯულების სამართლიანობისა. თუ კანონმა წინასწარ არ გამოაცხადა ქმედობა დასასჯელად, არ არსებობს მართლსაწინააღმდეგო ქმედობა, არ არსებობს კანონისადმი დაუმორჩილებლობა: მოქალაქემ არათუ არაფერი იცოდა ქმედობის აკრძალვისა და დასჯადობის შესახებ, არამედ მას არც შეეძლო სცოდნოდა, ვინაიდან თვით ამკრძალავი კანონი არ არსებობდა. სისხლის სამართლის კანონის უკუქცევითი ძალის აკრძალვას იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ზოგიერთი დემოკრატიული სახელმწიფო მას თვით კონსტიტუციაშიც ითვალისწინებს მოქალაქის ძირითად უფლებათა შორის. მაგალითად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1949 წლის კონსტიტუციის 135 მუხლში აღნიშნულია:

„სასჯელი შეიძლება შეფარდებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი გათვალისწინებული იყო კანონით დანაშაულის ჩადენის მომენტში“.

ქმედობის დანაშაულებრივი და დასასჯელი ხასიათის განმსაზღვრელ კანონს მხოლოდ მაშინ შეიძლება მიეცეს უკუქცევითი ძალა, როდესაც ამის შესახებ პირდაპირ ნათქვამია თვით კანონში. და აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კანონმდებელი მეტად იშვიათ შემთხვევაში უშვებს ამ გამოწვევას.

დანაშაულის ანალოგიის დროს მოსამართლე არა მარტო ჰქმნის დანაშაულის ახალ შემადგენლობას, არა მარტო ჰქმნის ახალ სამართლებრივ ნორმას, არამედ ამავე დროს მას უკუქცევით ძალას აძლევს. მაშასადამე, სასამართლო პრაქტიკას მეტი ძალა ენიჭება, ვიდრე კანონს, მოსამართლეს შეუძლია გააკეთოს ის, რისი გაკეთება თვით კანონმდებელსაც არ შეუძლია. საესებით სამართლიანად აღნიშნავდა თავის დროზე რევოლუციამდელი კრიმინალისტი პროფ. ტაგანცევი: „თუ ჩვენ იმასაც კი არ ვუშვებთ, რომ თვით ახალმა კანონმა აღიაროს დანაშაულად ქმედება, რომელიც წინად დანაშაულად არ ითვლებოდა, როგორ შეიძლება ასეთი უფლება მოსამართლეებს მივანიჭოთ...“<sup>1</sup>

ანალოგიის შეფარდება გამართლებული არ არის სასჯელის მიზანშეწონილების თვალსაზრისითაც. როდესაც კანონმდებელი რაიმე ქმედობას დანაშაულად გამოაცხადებს, ამას მოქალაქეთათვის ზოგადი გამაფრთხილებელი მნიშვნელობა აქვს. მოქალაქეს ამის მეშვეობით შეუძლია გაიგოს, რომ აღნიშნულ ქმედობას ჩვენი სახელმწიფო აფასებს როგორც საშიშს სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობებისათვის; ამავე დროს აკრძალვის განმტკიცება სასჯელის მუქარით საკმაოდ ძლიერ სტიმულს წარმოადგენს იმისათვის, რომ მერყევა ელემენტებმა თავი შეიკავონ დანაშაულის ჩადენისაგან. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასჯელის მუქარამ არ მოახდინა სათანადო ზემოქმედება ამა თუ იმ მოქალაქეზე, სახელმწიფო საჭიროდ თვლის ამ მოქალაქის მიმართ სასჯელის შეფარდებას. ანალოგიის შეფარდების დროს სასჯელის ზოგადი

<sup>1</sup> Н. С. Таганцев, Русское уголовное право, Лекции, т. 1, 1902, стр. 189.



პრევენციული ამოცანა სრულიად არ ხორციელდება: მოქალაქემ არათუ არაფერი იცის სასჯელის არსებობის შესახებ, არამედ არც შეიძლება იცოდეს, ვინაიდან სასჯელის დამდგენი კანონი სრულიად არ არსებობს.

დაბოლოს, არ შეიძლება სერიოზულ არგუმენტად ჩაითვალოს ანალოგიის მომხრეთა ის მოსაზრება, რომ კანონით გაუთვალისწინებელ საზოგადოებრივად საშიშ ქმედობათა დასჯის შეუძლებლობა დიდ საფრთხეს წარმოადგენს სოციალისტური საზოგადოებისათვის.

საბჭოთა კანონმდებელი საკმაოდ სწრაფი და მოქნილი იმისათვის, რომ დროულად შეავსოს სისხლის სამართლის კანონში არსებული ხარვეზი, გამოაცხადოს დასასჯელად ახლად წარმოშობილი საზოგადოებრივად საშიში ქმედობანი, რომელნიც კოდექსით გათვალისწინებული არ არიან. ის ზიანი, რომელიც შეიძლება გამოიწვიონ ასეთმა ქმედობებმა ახალი კანონის გამოცემამდე, მეტად უმნიშვნელო იქნება და საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებას, რა თქმა უნდა, ვერ შეასუსტებს.

დღეს ყოველმხრივ მომწიფებულია ნიადაგი დანაშაულის ანალოგიის უარსაყოფად და თუ საბჭოთა კავშირის მომავალი სისხლის სამართლის კოდექსი უარს იტყვის ანალოგიაზე, ეს მისასალმებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

სტალინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სისხლის სამართლის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1955. IX. 15)

## Т. Церетели

### Аналогия в советском уголовном праве

#### Резюме

Вопрос о сохранении аналогии в будущем Уголовном кодексе Союза ССР является одним из наиболее дискуссионных в науке советского уголовного права. Для решения этого вопроса необходимо выяснить сущность аналогии и отграничить это понятие от толкования законов, в частности, от распространительного толкования.

Следует признать неточным мнение некоторых юристов, что аналогия является одним из видов распространительного толкования (Люблинский, Строгович). Толкование ставит задачу установления смысла закона в соответствии с той социально-политической обстановкой, в которой он применяется.

Распространительное толкование не выходит за пределы действитель-

ნოი სმისლა ჯაკონა, ა ლიშ ჯა პრედელა ეო ბუკვალნიო ტექსტა. ონო იპრავლავთ ტექსტ ჯაკონა, პრივოდი ეო ვ სოოტვეტსთვი ს სმისლმ ჯაკონა.

ჯადაჩეი ანალიგიი ჯვალეტსა ვოსპოლნიენი სუცესთვოიუჩნიხ ვ პრავე პრობელოვ. ანალიგია რასპროსტრანავთ დეიქთვიე პრავოვი ნორმი ნა ოთნიშენია, ნე პრედუსატრავიანეაე ეთი ნორმი. ონა ჯვალეტსა დალნიეშიმი რავნიქთვიე მისლი ჯაკონა ვ ნამეჩენნი ჯაკონომ ნაპრავლენი. სლედოვატელნიო, ანალიგია სოდერჯიტ ელემენტს პრავოტვორჩესკოი დეიქთვლენოსი სუდა.

რავნიქთვავთ ანალიგიო ჯაკონა ი ანალიგიო პრავა. ანალიგია ჯაკონა — პრინენიენი ჯაკონა კ ოთნიშენიამ, ნე პრედუსატრენნიმ პრავოვი ნორმი, ნო ვ სუცესთვლენნიხ ჯერტა სოხოდნიმ ს თემი ოთნიშენიამ, კოტორე ოხვავთვანეტს ეთიმ ჯაკონომ. ანალიგია პრავა — იქვლეჩენიე იქ ნორმ დეიქთვოიუჩენი ჯაკონოდატელსთვა ობიეკთ პრავოვი პრინციპი (ჯურიდიქსეა კონსტრუქციი) ი ჯათემ რეშენიე ჯაქთნიო სლუჩაი, ნე რეგულირუემო ჯაკონომ, ნა ოსთვე ეთო ობიეკთნი პრინციპი.

ვ სოვეტსკომ უგოლვნიმ პრავე პრინენიანეტს ობა ვიდა ანალიგიი. ოდნაკო, ვ სოვეტსკომ უგოლვნიმ ჯაკონოდატელსთვე სოდერჯიტსა ლიშ ანალიგია ჯაკონა დია კრიმინალიზაციი ობიეკთნი-ოპასნიხ დეიქთვიე, პრიაკო ნე პრედუსატრენნიხ უგოლვნიმი ჯაკონამი.

ვვედენიე ანალიგიი ვ სოვეტსკომ უგოლვნიმ ჯაკონოდატელსთვე ვ 1922 გ. ბიო ობუსოვლენო ოსობიმი უსოვიამი კლასოვი ბორბა ვ ეთოტ პერიოდ, ბიქთრი ოქმენიქთვიე ფორმ, ვ კოტორიხ პრიაქვლავთს ეთა ბორბა, ი ოსუქთვნიემ უ სოვეტსკომ გოსუდარსთვა დოსატოქთნი ჯაკონოდატელნიო ოსოქთნი. პრი ეთომ ანალიგია რასმავრინავთს კაკ ისკლუქთთვიელნიო სრედსთვო, პრინენიანეო სუდომ ლიშ ვ თეხ სლუჩაიქ, კოდა დეიქთვიე, ნე პრედუსატრენნიე ჯაკონომ, პრედსტავლიათ ოსობუ ოპასნოქ დია ოსთავოქნიენიო რაბოქე-კრესთვლენსკოი ვლასთუე პრავოპორადკა.

სოვეტსკომ უგოლვნიე პრავო ოსთავნავლიავთ ოპრედელენნიე უსოვიამ, პრი კოტორიხ დონუსაკეტსა პრინენიენი უგოლვნიო ჯაკონა ნო ანალიგიი. პოლოჯითელნიმი უსოვიამი პრინენიენი ანალიგიი ჯვალეტსა: 1) ნალიქთვიე დეიქთვიე, ნოსიქთვიე ობიეკთნი-ოპასნიხ ხარაკთერი ი 2) სუცესთვლენიე სოხოდსთვა, პოდობია ნო როდუ ი სთენიე ობიეკთნი-ოპასნოქი მეჯდუ დანიმ დეიქთვიემ ი დეიქთვიემ, პრედუსატრენნიმ კაკოი-ლიბო სთავთეი ოსობენიო ქაქთი უგოლვნიო კოდექსა. ნეგატივნიმი უსოვიამი პრინენიენი ანალიგიი ჯვალეტსა: 1) ოსუქთვნიე ოსთავოქნიენი ჯაკონომ სოსთავა პრესთუქთვიენი, პრიაკო პრედუსატრავიანეო რასმავრინავთნიე დეიქთვიე ი 2) ოსუქთვნიე ვ ჯაკონე კოსვენნიხ უკავანიი, კოტორე ისკლუქთვავთ ვოქმოჯთვიე რასპროსტრანენიე ნო ანალიგიი დანიი სთავთი ნა ოპრედელენნიუ კატეგორიუ სლუჩაევ.

ანალიგია პრესთუქთვიენი, კოტორა ვ ქერვი კლავნიი ფავნიქთვიე რავნიქთვიე სოციალისტიქსეაკო გოსუდარსთვა სიქრავა პოლოჯითელნიუ როლ ვ დელე ბორბა ს ოპასნიმი დია სოციალისტიქსეაკო პრავოპორადკა დეიქთვიემი, ვ ნასთავთეე ვრეამ, კოდა სოვეტსკომ გოსუდარსთვა უჟე დავნი რავრეშინო ჯადაქთვიე პოდავლენიე ექს-



плататорских классов и приобрело большой законодательный опыт, не должна больше допускаться Уголовным кодексом.

Практика применения аналогии советскими судебными органами показывает, что аналогия нередко применяется судами неправильно: так, она применялась с целью искусственного повышения наказания в отношении преступлений, предусмотренных уголовными законами; были случаи, когда закон распространялся по аналогии на такие деяния, которые по смыслу закона не подлежали вовсе криминализации.

Сторонники аналогии недооценивают правового и политического значения установленных законом составов преступлений.

Точным описанием в законе признаков составов преступлений достигается ясное отграничение уголовно-наказуемой области от области, которая не затрагивается сферой уголовного права. При помощи составов преступлений отличаются друг от друга различные по тяжести преступления, с которыми закон, в зависимости от их общественной опасности, связывает ту или иную меру наказания. Установление законом точных составов преступлений является необходимым условием для проведения Советским государством единообразной карательной политики. Возложение ответственности только в случае полного соответствия совершенного деяния составу преступления представляет надежную гарантию для ограждения советских граждан от возможного произвола и злоупотреблений со стороны отдельных представителей судебно-следственных органов.

Применяя уголовный закон по аналогии и создавая для единичного случая новый состав преступления, судья тем самым присваивает функции законодателя. Аналогия противоречит принципу стабильности установленных законом составов преступлений, препятствует проведению единообразной карательной политики и может создать почву для необоснованных вторжений в сферу законных прав и интересов советских граждан.

Возникшая в результате применения аналогии новая норма, устанавливающая новый состав преступления, приобретает обратную силу, которой не обладают обычно даже нормы, изданные в установленном порядке законодательной властью Советского государства.

Допущение уголовной ответственности по аналогии не служит задачам общего предупреждения преступлений, так как лицо в момент совершения деяния не только не сознает, но и не может сознавать его запрещенного характера.

По указанным соображениям аналогия преступления, по мнению автора, не должна предусматриваться в будущем Уголовном кодексе Союза ССР.

აღ. ვაჩიშვილი

## სამართლის წყაროს ხეობა საბჭოთა სამართლის მეცნიერების მიხედვით

### I

სამართლის წყაროს ცნება წარმოადგენს სამართლის თეორიის ერთ-ერთ ძირითადსა და უმნიშვნელოვანეს ცნებას. თავისი ბუნებით იგი მეტად რთულია და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ, მიუხედავად მრავალი ცდებისა, მისი შინაარსი, დამახასიათებელი ნიშნები აქამდე, როგორც ხაზგასმით აღნიშნავენ სხვადასხვა მეცნიერნი, გარკვეული არაა, ბუნდოვანია<sup>1</sup>. შეიძლება ითქვას, რომ არაა გარკვეული და ზუსტად განსაზღვრული არც მისი ზოგადი ცნება და არც მისი ცალკეული სახეები. სამართლის მეცნიერებაში მიმდინარეობს ხანგრძლივი დისკუსია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნას გაგებული სამართლის წყაროს შინაარსი, რა არის სამართლის წყარო.

დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ ეს არაა ერთნაირი აზრის გამომხატველი ტერმინი, რომ იგი გულისხმობს სულ სხვადასხვა მნიშვნელობის ცნებებს. ამ განსხვავებული შინაარსის საფუძველზე წარმოიშვა სამართლის წყაროს ორი ძირითადი გაგება: სამართლის წყარო მატერიალური და ფორმალური, ე. ი. ტექნიკურ-იურიდიული გაგებით. აღნიშნული ორი გაგების გარდა, არსებობს კიდევ მესამე: სამართლის წყარო როგორც სამართლის შემეცნების საშუალება. იურისტს, რასაკვირველია, ბუნებრივად აინტერესებს სამართლის წყარო ფორმალური მნიშვნელობით, სწორედ ეს უკანასკნელია დაკავშირებული მისი უშუალო კვლევა-ძიების ამოცანებთან. თუ გავითვალისწინებთ, რომ მეცნიერული დავა წარმოებს იმის შესახებაც, თუ რამდენი სახე აქვს სამართლის წყაროს ფორმალური გაგებით, — კანონი, ადათობრივი სამართალი, სასამართლო პრაქტიკა, ხელშეკრულება, — მაშინ ჩვენთვის ცხადი გახდება ის სირთულე, რომლითაც განსახილველი საკითხი ხასიათდება, და სიძნელეები, რომლებიც წინ ეღობება მის დამუშავებას.

დაყენებული საკითხი ისტორიულად მჭიდროდ დაკავშირებულია იმ საერთო მიმდინარეობებთან, რომლებიც ამა თუ იმ ეპოქაში გაბატონებულია.

<sup>1</sup> უკანასკნელ დროს საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში სამართლის წყაროს ნაცვლად ხმარობენ ტერმინს „ნორმატიული აქტი“.



სამართლის და პოლიტიკის დარგში ანდა ამა თუ იმ იურისტის საერთო მსოფლ-მხედველობასთან, რომელიც განსაზღვრავს ავტორის სამართლებრივ იდეებსა და შეხედულებებს.

ისტორიის გარკვეულ საფეხურებზე განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობდა ის მოძღვრება, რომელიც ცნობილია ბუნებითი სამართლის სახელწოდებით. ხელისუფლების დასაპყრობად მიმავალი ბურჟუაზია სარგებლობდა ამ მოძღვრებით წამოყენებული პრინციპებითა და პოლიტიკური პროგრამით. ბუნებითი სამართლის თეორია, ასხვავებდა რა მარადიულსა და დადებით სამართალს, თავისი იდეებისა და პოლიტიკური რეფორმების დასაბუთების მიზნით ხელმძღვანელობდა უმთავრესად დედუქციის მეთოდით. ეს იყო უაღრესად რაციონალისტური თეორია. სამართლის წყაროდ იგი თვლიდა ადამიანის მორალურ ბუნებას, აქედან გამოჰყავდა საზოგადოებრივი ცხოვრების ბუნებრივი კანონები, მაგრამ მის მომხრეებს ამ მორალური ბუნების შინაარსი სხვადასხვანაირად ჰქონდათ წარმოდგენილი. ბუნებითი სამართალი, XVIII საუკუნის საფრანგეთის ბურჟუაზიის იდეოლოგთა აზრით, დადებითი, პოზიტიური სამართლის საფუძველს შეადგენდა. საერთოდ მიღებული რაციონალისტური მეთოდის მიხედვით დადებითი სამართლის წყაროდ აღიარებული იყო კანონი, როგორც რაციონალური სამართლის გამოხატულება.

ისტორიული სკოლა სულ სხვა დებულებებიდან გამოდიოდა. მან უარჰყო ის წარმოდგენა, რომელიც კანონმდებელს განუსაზღვრელი შემოქმედების უნარს მიაწერდა. ამ სკოლის შეხედულებით, სამართალი ვითარდება ორგანულად, შინაგანი კანონზომიერების ძალით, იგი „ხალხის სულის“ გამოვლინებას წარმოადგენს. „ხალხის სულის“ შინაარსი უცვლელია, მისი უშუალო გამოსახვა ადათობრივი სამართალია და ამით აიხსნება ის, რომ ისტორიული სკოლა სამართლის წყაროებს შორის ყველაზე მეტი ყურადღებით სწორედ ადათობრივ სამართალს შეისწავლიდა და უპირატესობას სამართლის ამ ფორმას ანიჭებდა.

სოციოლოგიური მიმართულების თვალსაზრისით სამართალი არის არა ნორმა, რომელიც მოცემულია საკანონმდებლო აქტებში, არამედ ის, რაც ხორციელდება, ტარდება ცხოვრებაში. ამ აზრით, მაგალითად, ერლიხი ლაპარაკობს, რომ სამართლის წყარო უნდა ვეძიოთ საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტებში, როგორცაა ჩვეულება, ნებისყოფის გამოცხადება, მფლობელობა და სხვ. სამართალი და სამართლის ნორმა ერთი და იგივე არაა<sup>1</sup>.

სამართლის თეორიაში ვნახულობთ აგრეთვე თავისებურ მიმართულებას, რომელიც სამართლის წყაროდ თვლის ფსიქიური ცხოვრების მოვლენებს. ამ მიმართულების ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი წარმომადგენელია პროფ. პეტრაუიკი, რომლის თეორია დახასიათებული იქნება ქვემოთ. ამავე მიმართულებას ეკუთვნიან ბირლინგი, ადიკესი, შლოსმანი, კრაბე და სხვ. ბირლინგი ამტკიცებს, რომ სამართლის სავალდებულობის საფუძველს

<sup>1</sup> ამ მიმართულებას ეკუთვნიან კორნფელდი, ფრენცელი და სხვ.



„ალიარება“ შეადგენს. ალიარების შინაარსი მეტად გაუზრკვეველია: ალიარება თავისი ბუნებით უნდა იყოს ფსიქიური აქტი, მაგრამ ბირლინგის მიხედვით იგი სინამდვილეში ფიქციას წარმოადგენს. ბირლინგი აცხადებს, რომ ალიარება ყოველ ცალკეულ ნორმაზე მიმართული არაა, საკმარისია ალიარება იმ ზოგადი ნორმისა, რომელიც ადგენს, რომ სახელმწიფოს კანონები სავალდებულოა. მაგრამ სწორედ აქ აშკარადდება ამ შეხედულების ფიქტიური ხასიათი.

დავასახელოთ კიდევ კელზენი, რომელმაც ნორმატივიზმი უკიდურესობამდე და ამით ლოგიკურ აბსურდამდე მიიყვანა. კელზენი ცდილობს შექმნას სამართლის წმინდა ფორმალური ცნება, ე. ი. განდევნოს სამართლის დარგიდან ყველაფერი, რასაც კი თუნდაც შორეული კავშირი აქვს ფაქტიურ სინამდვილესთან, სულ ერთია, იქნება ეს სინამდვილე ფსიქიური თუ სოციალური შინაარსის. თავისი სისტემა მას გამოჰყავს ეგრეთ წოდებული „ძირითადი ნორმის“ (Grundnorm) ცნებიდან, რომელიც, მისივე სიტყვით, თავისი წარმომობით იურიდიულ ქვეყანას არ ეკუთვნის. მაშასადამე, კელზენის სისტემის სიწმინდე დარღვეულია და გარდა ამისა „Grundnorm“-ის ცნება, ცოტა არ იყოს, მოგვაგონებს ბუნებითი სამართლის თეორიას, რომელსაც თვით კელზენი თავგამოდებით ებრძვის.

## II

რევოლუციამდელ რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით სამართლის წყაროს ცნების განსაზღვრის ცდებს. რა თქმა უნდა, ყველა ასეთ ცდას საფუძვლად უდევს იდეალისტური მეთოდოლოგია, ავტორები ხშირად უკავშირებენ სამართლის წყაროს ცნებას სამართლის სუბიექტურ პრინციპებს — სამართლებრივ ცნობიერებას, სამართლებრივ ემოციას და სხვ. ჩვენ აქ განვიხილავთ და მოკლედ დავახასიათებთ მხოლოდ ზოგიერთის შეხედულებებს. დავიწყებთ რუსი მეცნიერის პროფ. კორკუნოვის შეხედულებების გადმოცემით.

კორკუნოვი განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიაწერს სამართლის წყაროს საკითხს, რომელსაც იგი განიხილავს როგორც სწავლებას იმ ფორმებზე, რომლებშიც ხდება ნორმათა ობიექტივირება. მისი აზრით, ნორმათა ობიექტივირების ეს ფორმები, რომლებიც მათი სავალდებულობის ნიშნებია მოცემულ საზოგადოებაში და მოცემულ დროს, სამართლის წყაროებს წარმოადგენენ. ასეთია მნიშვნელობა, რომელიც ენიჭება გამოთქმას „სამართლის წყაროები“, როგორც ტექნიკურ ტერმინს. კორკუნოვის სიტყვით, იმისათვის, რომ სწორად გავიგოთ სწავლება სამართლის წყაროს შესახებ, არ უნდა ავრიოთ წყაროების ტექნიკური ცნება სხვა ცნებებში, რომლებიც იმავე სახელწოდებით გამოდიან.

პირველ ყოვლისა, არ უნდა ავრიოთ ერთმანეთში სამართლის წყაროს ცნება, როგორც ნორმის საერთო — სავალდებულობის ნიშანი, და წყაროს ცნება, როგორც შემეცნების საშუალებისა, fontes ex quibus notitia juris hauritur — ისტორიული ძეგლის ცნება — ე. ი. ის მნიშვნელობა,



რომლითაც ამ სიტყვას ხმარობენ ისტორიულ მეცნიერებაში. ეს ცნებები შესაძლოა დაემთხვეს ერთმანეთს, მაგრამ ამგვარი დამთხვევა შემთხვევითი მოვლენაა და სრულიად არ იგულისხმება ამ ცნებათა არსით. თუ ვვაქვს რომელიმე კანონის ნამდვილი ტექსტი, ეს კანონი იმავე დროს არის სამართლის წყაროც, ტექნიკური მნიშვნელობით, და სამართლის შემეცნების წყაროც. მაგრამ თუ კანონის ტექსტმა ჩვენამდე ვერ მოაღწია და ჩვენ კანონის არსებობის და შინაარსის შესახებ ცოდნას ვღებულობთ სხვა წყაროებიდან, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, XII ტაბულის კანონების მიმართ, ასეთი კანონი მაინც რჩება სამართლის წყაროდ, იგი უკვე არაა სამართლის შემეცნების წყარო. ამგვარადვე, როცა ჩვენ ვეცნობით რომელიმე გლეხურ ადათს ეფიმენკოს ან პახმანის თხზულებებიდან, ეს თხზულებები სამართლის შემეცნების წყაროა, ხოლო თვით ადათი — სამართლის წყარო.

ეს ცნებები ხშირად არეული იყო ერთმანეთში, განსაკუთრებით ძველ დროში. მაგალითად, რომის სამართალში, ალბათ, ამ აღრევის გამო, მიღებული იყო სამართლის დაყოფა — *jus scriptum* და *jus non scriptum*, ამავე დროს დაწერილ სამართალს მიაკუთვნებდნენ არა მარტო კანონს, არამედ პრეტორის ედიქტს და *responsa prudentium*-ს. მოითხოვდნენ მხოლოდ, რომ სამართალს უკვე წარმოშობისას ჰქონოდა წერილობითი ფორმა. ამიტომ ჩაწერილი ადათი მაინც დაუწერელ სამართლად იყო მიჩნეული; ეს იყო იმის საფუძველი, რომ ზოგი იურისტი ატარებდა განსხვავებას დაწერილ და მხოლოდ ჩაწერილ სამართალს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ეს განსხვავება არ იყო მნიშვნელოვანი, იგი მაინც შეინარჩუნეს და განავითარეს კიდევ ახალი დროის იურისტებმა (ტიბო, გლიუკი).

ცნებათა მეორე აღრევას, კორკუნოვის შეხედულებით, ადგილი აქვს მაშინ, როცა არ ასხვავებენ სამართლის წყაროს ცნებას, როგორც მისი საერთო სავალდებულობის ნიშანს, იმის ცნებისაგან, თუ საიდან და რით განისაზღვრება იურიდიულ ნორმათა შინაარსი. ასეთი აღრევა დამკვიდრდა უმთავრესად იმის გამო, რომ ისტორიულ სკოლამდე ფიქრობდნენ, რომ სამართალი იქმნება კანონმდებლის თვითნებობით. კანონმდებლის ნება ალიარებული იყო ამა თუ იმ ნორმების დაწესების ერთადერთ და უკანასკნელ მიზეზად. უზენაესი ხელისუფლების ბრძანება განსაზღვრული ნორმის შესრულების შესახებ, ამ შეხედულების თანახმად, წარმოადგენდა ნორმის სავალდებულობის ერთადერთ ნიშანს და ერთადერთ მის შემქმნელ ძალას.

ჩვენ ვაღიარებთ, წერს კორკუნოვი, განვითარების კანონზომიერებას და, რასაკვირველია, არ შეგვიძლია ვცნოთ კანონი სამართლის შემოქმედ ძალად, ესაა მხოლოდ ფორმა, რომელშიც საზოგადოებრივი ცნობიერების ყველა ელემენტით შემუშავებული სამართალი ნახულობს თავის გარეგან გამოსახულებას. კანონმდებელი არ ჰქმნის თვითნებურად სამართალს, მას არ ძალუძს დააწესოს ნორმები, რომლებიც არაა მომზადებული საზოგადოებრივი ცხოვრების მსვლელობით. კანონები, რომელთაც აქვთ ასეთი შინაარსი, მკვდარია, მოკლებულია პრაქტიკულ მნიშვნელობას. ამიტომ კანონმდებლობა არაა სამართლის წყარო მისი შემოქმედი ძალის მნიშვნელობით. საკითხის ამგვარი



დაყენებისას ლაპარაკია უკვე არა საერთო სავალდებულობის ნიშნებზე, არამედ იმ ფაქტორებზე, რომლებიც სამართლის შექმნაში მონაწილეობენ.

კორკუნოვი იღებლისტური მსოფლმხედველობის წარმომადგენელია და ჩვენთვის სავსებით გასაგებია, რომ იგი ეთანხმება აღიქვს, რომლის თანახმად სამართლის საერთო წყარო სუბიექტური გონებაა ანუ სუბიექტური ცნობიერება. ყველა სხვა ფაქტორი, მისი აზრით, მოქმედებს სამართლის წარმოშობაზე ადამიანის ცნობიერების მეშვეობით. საგანთა ბუნება, გონების მოთხოვნები, მიზანშეწონილების მოსაზრებები, ზნეობრივი მოვალეობის შთაგონებები, — ყველაფერს ამას შეუძლია გამოიწვიოს სათანადო სამართლებრივი ნორმების წარმოშობა მხოლოდ მაშინ, როცა შეთვისებულია ადამიანის ცნობიერებით. საერთო ცნობიერება არის მხოლოდ ცალკეულ პირთა სუბიექტური ცნობიერების შეჯამება (суммирование). ამიტომ სუბიექტური ცნობიერება ნამდვილად არის, ასე ვთქვათ, წერტილი, სადაც თავმოყრილია სამართლის წარმოშობის ყველა ფაქტორის მოქმედება. მაგრამ იგი არ შეიძლება მიჩნეულ იქნას სამართლის წყაროდ ამ სიტყვის ტექნიკური მნიშვნელობით, ვინაიდან რომელიმე ნორმის სუბიექტური შეცნობა არ არის მისი საერთო სავალდებულობის ნიშანი, არაა მისი ობიექტივირების ფორმა.

ამ ტექნიკური თვალსაზრისით კორკუნოვი ცნობს მხოლოდ სამ წყაროს: ადათს, სასამართლო პრაქტიკასა და კანონს. ყველაფერი სხვა არ შეიძლება ვალიდაროთ სამართლის წყაროდ. სამართლის წყაროდ არ შეიძლება აღიარებულ იქნას საგანთა ბუნება, ვინაიდან ეს ბუნება სხვადასხვა ადამიანებს ესმით სხვადასხვანაირად. იგივე უნდა ითქვას სამართლიანობის შესახებ, რომელიც არ ხასიათდება ობიექტური გარკვეულობით. არანამდვილ წყაროების კატეგორიას ეკუთვნის აგრეთვე, იმავე საფუძვლებით, სამართლის მეცნიერება.

სპეციალურ ლიტერატურაში არსებული აზრთა სხვაობა იმის შესახებ, თუ რა უნდა იყოს მიჩნეული სამართლის წყაროდ, კორკუნოვის აზრით, განპირობებულია უმთავრესად მცდარი წარმოდგენებით სამართლის წყაროს მნიშვნელობის შესახებ. ისტორიულ სკოლამდე, როცა დადებით სამართალს თვლიდნენ ადამიანის ნებისმიერ დაწესებულებად, კანონს უყურებდნენ როგორც ერთადერთ ძალას, რომელიც ჰქმნიდა დადებით სამართალს. კანონმდებლობა მაშინ აღიარებული იყო დადებითი სამართლის ერთადერთ წყაროდ იმ მნიშვნელობით, რომ ესაა ძალა, რომელიც ჰქმნის სამართალს<sup>1</sup>. კორკუნოვი აქ გულისხმობს ბუნებითი სამართლის ბატონობის ხანას.

ისტორიულ სკოლა გადავარდა მეორე უკიდურესობაში. მისი შეხედულებით, სამართლის შემოქმედად აღიარებული იყო „ხალხის სული“, რომელიც თითქოს მთლიანად შეიცავდა დადებითს სამართალს უფრო ადრე, ვიდრე იგი გამოისახებოდა გარეგნულად სამართლის წყაროებში, რომლებიც განხილული იყო მხოლოდ როგორც ჩვენ მიერ სამართლის შემცენების წყაროები. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ისტორიული სკოლა მეტისმეტად აფარ-

<sup>1</sup> Общая теория права, 1909, стр. 285.



თოვებდა სამართლის წყაროების ცნებას და აკუთვნებდა მათ სამართლის მეცნიერებასაც, რომელიც, ცხადია, წარმოადგენს სამართლის შემეცნების წყაროს, მაგრამ არ შეიძლება მიჩნეულ იქნას იურიდიული ნორმების სავალდებულობის ნიშნად.

ამგვარად, დასკვნის კორკუნოვი, სამართლის წყარო წარმოადგენს მხოლოდ მასში გამოსახული ნორმის საერთო სავალდებულობის ნიშანს. კანონი ან ადრთი არ შეადგენენ სამართლის შემოქმედ ძალებს, ანდა ნორმის ძალის საფუძველს, მისი სავალდებულობის საფუძველს, არამედ მხოლოდ სავალდებულობის ნიშანს<sup>1</sup>.

ზემოთ მოტანილი სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ კორკუნოვი ასხვავებს სამართლის წყაროს სამ მნიშვნელობას, რომლებიც არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან:

1. სამართლის წყარო როგორც ის ძალები, რომლებიც ჰქმნიან სამართლის ნორმებს, განაპირობებენ მათ წარმოშობას. თავისთავად ცხადია, რომ კორკუნოვის მთელი კონცეფციის შესაბამისად, ეს საკითხიც მას გადაჭრილი აქვს იდეალისტურად: სამართლის წყაროდ მას სუბიექტური ცნობიერება მი-აჩნია.

2. სამართლის წყარო როგორც ამა თუ იმ სახელმწიფოში განსაზღვრულ დროს მოქმედი სამართლის შემეცნების საშუალება — ისტორიული ძეგლების შესწავლის, გამოკვლევის წყაროს მნიშვნელობით. ეს გაგება შეიძლება დაემთხვეს პირველს, მაგრამ ასეთი დამთხვევა აუცილებელი არაა.

3. სამართლის წყარო როგორც იურიდიული ნორმების ობიექტივიზაციის ფორმები, რომლებიც მათი სავალდებულობის ნიშანს წარმოადგენენ. კორკუნოვი ხაზს უსვამს ამ გარემოებას, იგი წერს: ნორმის სავალდებულობის ნიშანიო, და არა სავალდებულობის საფუძველი, არა ნორმის ძალის საფუძველი.

რევოლუციამდე რუსულ ლიტერატურაში თავისებური შეხედულება გამოთქვა პროფ. პეტრაჟიციმ. პეტრაჟიციკის აზრით, სამართლებრივ მოვლენათა საფუძველს შეადგენენ განსაკუთრებული ხასიათის ფსიქიური აქტები, რომელთაც მან უწოდა იმპერატიულ-ატრიბუტული ემოციები. ამ ემოციების და მათთან დაკავშირებულ ნორმების თვალსაზრისით განიხილავს და შეისწავლის ავტორი სამართლის წყაროების საკითხს.

პეტრაჟიციკი ჰყოფს სამართალს პოზიტიურ და ინტუიტიურ სამართლად. პოზიტიური სამართალი მას ესმის როგორც იმპერატიულ-ატრიბუტული განცდები, რომლებიც შეიცავენ ნორმატიული ფაქტების წარმოდგენებს, როგორც სავალდებულობის საფუძველებს. ეს ცნება ბევრად უფრო ფართეა, ვიდრე ის წარმოდგენა „სამართალზე“, „პოზიტიურ სამართალზე“, რომელიც მიღებული და გავრცელებულია თანამედროვე სამართლის მეცნიერებაში და

<sup>1</sup> Общая теория права, 1909, стр. 285.



მოიცავს ბევრ ისეთ რამეს, რასაც ჩვეულებრივ აკუთვნებენ სამართლის საწინააღმდეგო დარგებს — ზნე-ჩვეულებას, რელიგიას და სხვ.

მოძღვრება პოზიტიური სამართლის სახეებზე, თუმცა სუსტად განვითარებული და საერთოდ არადადამაკმაყოფილებელი ფორმით არსებობს უკვე თანამედროვე მეცნიერებაში, რომელმაც იგი ისესხა ძველი რომელი იურისტებისაგან; მაგრამ, პეტრაჟიციკის სიტყვით, ეს მოძღვრება იმალება იმ ცნების ქვეშ, რომელსაც „სამართლის წყაროები“ ეწოდება.

პეტრაჟიციკი აყენებს საკითხს: რა არის „სამართლის წყაროები“? საერთოდ მიღებული აზრით, წერს იგი, სამართლის წყაროებს მიეკუთვნება კანონი და ადათობრივი სამართალი. გაბატონებული, თუმცა არა საერთოდ აღიარებული შეხედულებით, სამართლის წყაროდ ითვლება აგრეთვე სასამართლო პრაქტიკა. სამართლის წყაროს ცნების განსაზღვრის მხრივ აზრთა სხვაობაა. ყველა თანახმაა, რომ სამართლის წყარო ტექნიკური მნიშვნელობით უნდა იქნას განსხვავებული სამართლის შემეცნების წყაროებისაგან, ე. ი. ისტორიული-დოკუმენტებისაგან, მათ შორის კერძო მწერალთა თხზულებებისა, და სხვა მონაცემებისაგან, საიდანაც ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ რაიმე ცნობები წინათ არსებული ან თანამედროვე სამართლის შესახებ. ესაა უარყოფითი განსაზღვრა აღნიშნული ცნებისა. მაგრამ როცა ლაპარაკია სამართლის წყაროს დადებით და არსებითად განსაზღვრაზე, მაშინ იწყება უთანხმოება: ერთნი სამართლის წყაროებს განსაზღვრავენ, როგორც სამართლის შექმნის ფორმებს, მეორენი — როგორც სამართლის წარმოშობის საფუძვლებს, მესამენი — როგორც ფაქტორებს, რომლებიც ასაბუთებენ სამართალს ობიექტური მნიშვნელობით, მეოთხენი — როგორც იურიდიულ ნორმათა სავალდებულობის ნიშნებს, მეხუთენი — როგორც სამართლის, ე. ი. საერთო ნების, გამოხატულების სხვადასხვა ფორმებს და სხვ.

ყველა ეს ცდა, რომლის მიზანია სამართლის წყაროს ზოგადი განსაზღვრა და საერთოდ სამართლის წყაროების შესახებ მოძღვრების წამოყენება პეტრაჟიციკის აზრით მცდარია, იგი ვერ უძლებს მეცნიერულ კრიტიკას და ელემენტარულ-ლოგიკური თვალსაზრისით კიდევ უცნაურ და არანორმალურ მოვლენას წარმოადგენს.

აგტორს მოყავს შემდეგი მოსაზრება. ზოოლოგებმა რომ დაიწყონ დავა, თუ რა არის ცხოველთა წყაროები, რა დამოკიდებულებაში არიან ისინი ცხოველებთან, წარმოადგენენ თუ არა ისინი ცხოველთა შექმნის ფორმებს, თუ მათი არსებობის საფუძვლებს ან მათი ცხოველური ბუნების ნიშნებს და სხვ. — ეს იქნებოდა აზროვნების იმდაგვარი მოვლენა, რასაც ვხედავთ სამართლის მეცნიერებაში სამართლის წყაროების შესახებ მოძღვრების დარგში.

ეგრეთ წოდებული „სამართლის წყაროები“: ადათობრივი სამართალი, კანონი და სხვ. თვით სამართალია, პოზიტიური სამართლის სახეებია, სამართლის ნაირსახეობანია და უცნაურია; როცა მათ უწოდებენ „სამართლის წყაროებს“ და მსჯელობენ, თუ რა დამოკიდებულებაშია ისინი სამართალთან და სხვ.

ამის შესაბამისად, ამბობს პეტრაჟიციკი, ახლანდელ სწავლებას „სამარ-



თლის წყაროების შესახებ“ უნდა გამოეცვალოს სახელი და დაერქვას „სწავლება პოზიტიური სამართლის და მისი სახეებისა და ნაირსახეობათა შესახებ“<sup>1</sup>.

პოზიტიური სამართლის დარგში პეტრაჟიცი ასხვავებს სამ რამეს:

1) ნორმატიულ ფაქტებს, ადამიანთა შესაფერ მოქმედებებს, კანონმდებელთა დადგენილებებს და სხვ.;

2) იმპერატიულ-ატრიბუტულ განცდებს, რომლებიც დაკავშირებულია ამ ფაქტების წარმოდგენებთან — თვით პოზიტიური სამართალი, როგორც რეალური ფენომენი;

3) შესაბამის ნორმებს, ემოციურ ფანტაზმებს, რომლებიც აღნიშნული განცდებითაა გამოწვეული<sup>2</sup>.

ტრადიციული მოძღვრება ამ სამ სხვადასხვა კატეგორიას არ იცნობს და მათ არ ასხვავებს — ამბობს პეტრაჟიცი; იგი უყურადღებოდ სტოვებს მთავარ კატეგორიას, თვით რეალურ პოზიტიურ სამართალს, რეალურ პოზიტიურ სამართლად მას მიაჩნია ემოციური ფანტაზმები, ე. ი. ნორმები და, ბოლოს, ურევს ამ ნორმებს კანონმდებელთა ბრძანებებში და სხვა შესაბამის ფაქტებში. სხვათა შორის, უნდა აღვნიშნოთ, რომ პეტრაჟიციის შესაძლოდ მიაჩნია, რომ შენარჩუნებულ იქნას იურისპრუდენციაში დამკვიდრებული გამოთქმა „სამართლის წყაროები“, მხოლოდ, მისი აზრით, ეს გამოთქმა უნდა მიეკუთვნოს ნორმატიულ ფაქტებს და იგი მკვეთრად უნდა იქნას განსხვავებული თვით სამართლისაგან, ადათობრივი სამართლისაგან, კანონისაგან და სხვ<sup>3</sup>.

საერთოდ, წერს პეტრაჟიცი, პოზიტიური სამართლის სათანადოდ შესწავლისათვის უნდა იქონიონ მხედველობაში არა გარეგანი მოვლენები და მათი თვისებები, არამედ ის, რასაც ადგილი აქვს სამართლებრივი განცდების სუბიექტის ფსიქიკაში; ადათობრივი სამართლის, კანონის და პოზიტიური სამართლის სხვა სახეების შესწავლის სათანადო მეთოდს წარმოადგენს თვითდაკვირვების და შინაგანი და გარეგანი დაკვირვების შეერთებული მეთოდი.

ფაქტების რომელ კატეგორიებს შეუძლიათ ითამაშონ ნორმატიული ფაქტების როლი და, ამის შესაბამისად, პოზიტიური სამართლის რომელი სახეები არსებობენ?

შეხედულებას სამართალზე, როგორც ნორმათა ერთობლიობაზე, და ნორმებზე, როგორც ბრძანებებზე, ნების, საერთო ნების გამოხატულებაზე და სხვ., შეესაბამება მოძღვრება, რომლის თანახმად სათანადო ნება შეიძლება გამოიხატოს კანონის სახით, ანდა საერთო ნება შესაძლოა გამოისახოს ისეთი საერთო ყოფაქცევის გზით, საიდანაც შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა შესაბამისი ნებისყოფის არსებობის შესახებ და ასეთი გამოსახვა სა-

<sup>1</sup> Теория права и государства, 1910, 518.

<sup>2</sup> იქვე, 519.

<sup>3</sup> იქვე.



ზოგადობრივი ნებისყოფისა არის ადათობრივი სამართალი; ამგვარად, ვლენ-ბულობთ სამართლის ორ წყაროს: კანონს და ადათობრივ სამართალს. მაგ-რამ ხშირად ამათ უმატებენ კიდევ მესამეს — სასამართლო პრაქტიკას.

სამართლის ფსიქოლოგიური თეორიის თვალსაზრისით, განაგრძობს პეტ-რაჟიციკი, ფაქტების წრე, რომელთაც შეუძლიათ ითამაშონ ნორმატიული რო-ლი პოზიტიური სამართლის დარგში, მნიშვნელოვნად უფრო ფართეა და პო-ზიტიური სამართლის სახეები უფრო მეტია, ვიდრე ეს აღიარებულია გაბა-ტონებული შეხედულებით.

ამისდა მიხედვით პეტრაჟიციკი ცნობს სამართლის შემდეგი წყაროების არსებობას: 1. კანონი (законное право), 2. ადათობრივი სამართალი, 3. სა-სამართლო პრაქტიკა და სასამართლო პოზიტიური სამართლის სხვა სახეები, 4. წიგნის სამართალი (книжное право) და პოზიტიური სამართლის სხვა სა-ხეები, რომლებიც უცნობია თანამედროვე მეცნიერებისათვის ან არაა მის მი-ერ აღიარებული. ეს უკანასკნელი კატეგორია განსაკუთრებით დიდი მოცუ-ლობისაა: ავტორი ამ უკანასკნელ ჯგუფში ათავსებს პოზიტიური სამართლის მრავალ სხვადასხვა სახეებს.

ჩვენ არ შევუდგებით ამ ცალკეული სახეების შესწავლას. ეს არც შედის ჩვენს გეგმაში. ჩვენს ამოცანას შეადგენდა მხოლოდ იმის შესწავლა და გა-მორკვევა, თუ როგორ ესმის პეტრაჟიციკის სამართლის წყარო, როგორია მის მიერ მოცემული განსაზღვრა სამართლის წყაროს ზოგადი ცნებისა. ამ მოკ-ლე გადმოცემიდან ირკვევა, რომ პეტრაჟიციკის შეხედულება თავისი შინაარსით იდეალისტურია, მეთოდი, რომლითაც იგი სარგებლობს მეტად სუბიექტურია, მისი აზრით, მკვლევარმა უნდა იხელმძღვანელოს თვითდაკვირვებით, ე. ი. ეგრეთ წოდებული ინტროსპექციით. სამართალი ამ სიტყვის ნამდვილი, რეა-ლური მნიშვნელობით მას წარმოდგენილი აქვს როგორც შინაგანი განცდა, იმპერატიულ-ატრიბუტული ემოცია, ხოლო სამართლებრივი ნორმები — რო-გორც ფანტაზმები, ყოველივე რეალურ არსებობას მოკლებული აბსტრაქციე-ბი. სრულიად ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ასეთი ძი-რითადი ღებულებებიდან განომდინარე, მისი კონცეფცია ღებულობს უცნაურ შინაარსს და მეტად აფართოებს სამართლის წყაროების მოცულობას. რო-გორც ვნახეთ, იგი იძლევა წინადადებას „სამართლის წყაროების“ ტრადი-ციის გზით დამკვიდრებული სახელწოდების ნაცვლად შემოღებულ იქნას ახა-ლი ტერმინი — „ნორმატიული ფაქტები“.

რევოლუციამდელ რუსულ ლიტერატურაში სამართლის წყაროების სა-კითხი დაამუშავა თავის „სამართლის ენციკლოპედიის სახელმძღვანელოში“ პროფ. ტარანოვსკიმ (სხვათა შორის საჭიროდ მიმაჩნია ალვნიშნო, რომ ეს სახელმძღვანელო თავისი შინაარსით და სისტემით წარმოადგენს უფრო სა-მართლის და სახელმწიფოს ზოგად თეორიას, ვიდრე ენციკლოპედიას).

გავეცნოთ ამ ავტორის შეხედულებას იმ საკითხზე, რომელიც ჩვენი ნაშ-რომის საგანს შეადგენს.

ტარანოვსკიც ეკუთვნის მწერალთა იმ ჯგუფს, რომელიც იდეალისტურ მსოფლმხედველობას იზიარებს.



პირველ ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ ტარანოვსკის მიერ მოცემული დადებითი სამართლის განსაზღვრა. დადებითს სამართალს იგი განსაზღვრავს როგორც იურიდიულ ნორმათა ერთობლიობას, რომლებიც მოქმედებენ ორგანიზებული საზოგადოებრივი კავშირის ფარგლებში (ახალ დროში უპირატესად სახელმწიფოსი), აგრეთვე ორგანიზებული საზოგადოებრივი კავშირების (საერთაშორისო ან სახელმწიფოთაშორისო) ურთიერთობებში. ტერმინი „დადებითი“ ნიშნავს სამართლის ორ დამახასიათებელ მომენტს: ა) იმას, რომ სამართალი ახდენს დადებით ეფექტს, ე. ი. ნამდვილად აწესრიგებს ადამიანთა ყოფაქცევას, და ბ) იმას, რომ ეს სამართალი დადგენილია, ანუ დაწესებულია გარკვეული გარეგანი ავტორიტეტით. სამართლის საფუძველს ავტორი ხედავს სუბიექტურ სამართლებრივ გრძნობასა და ცნობიერებაში; მატერიალური მნიშვნელობით, წერს იგი, მთელი დადებითი სამართალი გამომდინარეობს მოცემულ საზოგადოებაში არსებულ სუბიექტურ სამართლებრივ წარმოდგენებიდან. სამართლის სუბიექტური გრძნობის და ცნობიერების გადაქცევას დადებით სამართლად შეიძლება სამართლის პოზიტივაცია ეწოდოს. სამართლის პოზიტივაცია ხდება იმ სხვადასხვა გარეგანი ფაქტების შემოქმედების გზით, რომლებსაც ტრადიციულად სამართლის წყაროები ეწოდება, და რომლებისთვისაც პეტრაჟიციკიმ შემოიღო ნორმატიული ფაქტების სახელწოდება.

ტერმინს „სამართლის წყაროები“ აქვს რამდენიმე მნიშვნელობა, ჩვეულებრივად ასხვავებენ: 1) სამართლის შემეცნების წყაროები, 2) სამართლის წყაროები მატერიალური მნიშვნელობით ანუ მართლშემოქმედი ფაქტორები (правопроизводящие факторы), 3) სამართლის წყაროები ფორმალური მნიშვნელობით, ანუ ფაქტები, რომლებიც სამართლის პოზიტივაციას იწვევენ.

პირველი მნიშვნელობით სამართლის წყაროებზე ლაპარაკობს ისტორიული მეცნიერება. სამართლის წყარო აქ გაგებულია როგორც ყველა მონაცემი, საიდანაც შეიძლება ამა თუ იმ საზოგადოების სამართალი ამა თუ იმ ეპოქაში. ასეთია კანონთა ტექსტები, ადათთა ჩანაწერები, სასამართლო საქმეები, მატრიანეები, თანამედროვეთა ჩანაწერები, ხალხური სიტყვიერების ძეგლები, ლიტერატურული ნაწარმოებნი და სხვ.

მეორე გაგებით, ავტორის აზრით, სამართლის წყარო პირველ ყოვლისა არის სუბიექტური მართლშეგნება. მაგრამ, გვარწმუნებს ავტორი, ეს უკანასკნელი არაა რაღაც თვითკმარი, საერთო საკაცობრიო, სახალხო სულის მისტიკური შინაარსის შემცვლელი. იგი წარმოიშვება სხვადასხვა საზოგადოებრივი ინტერესების, ზნეობრივი იდეების და რელიგიური რწმენის ზეგავლენით.

ბოლოს, სამართლის წყარო ფორმალური გაგებით წარმოადგენს სპეციალურ იურიდიულ ტერმინს იმ გარეგანი ფაქტების აღსანიშნავად, რომელთაც უკავშირდება სამართლის პოზიტივაცია, ე. ი. ობიექტურად სავალდებულო იურიდიული ნორმების დაწესება.

„სამართლის წყაროების“ მნიშვნელობის ეს მრავალსახეობა და ამ ტერმინის სპეციალური აზრის აღნიშვნის საჭიროება მოწმობს, რომ ეს ძველი



ტერმინი არაა ზუსტი და მოხერხებული. ამ მოსაზრებით ავტორი იზიარებს ახალ სახელწოდებას, რომელიც შემოიღო პეტრაჟიციკიმ, მას უფრო მოსწონს ტერმინი „ნორმატიული ფაქტი“, ვინაიდან იგი არ იძლევა საბაბს \*გაუგებრობისათვის და უფრო შეესაბამება სათანადო ცნების არსს. მართლაც, ამბობს იგი, სამართლის პოზიტივაციის პროცესი წარმოადგენს უფლებებზე და მოვალეობებზე განსაზღვრული წარმოდგენის, აზრის, მსჯელობის გადაქცევას ყოფაქცევის სავალდებულო ნორმად. იმ ფაქტს, რომელთანაც დაკავშირებულია ასეთი გადაქცევა, სრული საფუძვლით შეიძლება ეწოდოს ნორმატიული ფაქტიო<sup>1</sup>.

ამასთან დაკავშირებით ზედმეტი არ იქნება შეგვირდეთ ერთ საკითხზე, რომელსაც სამართლის მეცნიერებისათვის აქვს გარკვეული მნიშვნელობა. სამართლის დარგში ხშირად ვხვდებით იურიდიული ფაქტების ცნებას. ბუნებრივად იბადება კითხვა: რა განსხვავებაა იურიდიულ ფაქტსა და ნორმატიულ ფაქტს შორის?

ტარანოვსკი ეხება ამ საკითხს და ამბობს, რომ ნორმატიული ფაქტები უნდა იქნას განსხვავებული იურიდიული ფაქტებისაგან, ან, როგორც ზოგი მეცნიერი (ბირლინგი, პეტრაჟიციკი) უწოდებს მათ, რელევანტურ ფაქტებისაგან. იურიდიული ფაქტები ისეთი ფაქტებია, რომელთაც უკავშირდება იურიდიული ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა და მოსპობა. ნორმატიული ფაქტები კი ის ფაქტებია, რომელთაც სამართლის პოზიტივაცია უკავშირდება, ე. ი. თვით სამართლის ნორმის დაწესება. მაშასადამე, მსჯელობს ტარანოვსკი, იურიდიული ფაქტები შეუძლებელია იურიდიული ნორმის წარმოდგენის გარეშე და მათი აღრევა ნორმატიულ ფაქტებთან დაუშვებელია. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მეცნიერი ურევენ ერთმანეთში ამ ორი სხვადასხვა კატეგორიის ფაქტებს. ასეთია, მაგალითად, ბირლინგის შეხედულება, რომლის თანახმად, სამართლის წყაროებს წარმოადგენენ, ერთის მხრივ, იურიდიული გარიგებანი, ხოლო მეორეს მხრივ, — იურიდიული ადათი. ამგვარად, იურიდიული გარიგება ბირლინგმა აიყვანა ნორმატიული ფაქტის ხარისხში და ისეთი დიდმნიშვნელოვანი ნორმატიული ფაქტი, როგორიცაა კანონი, მან ჩათვალა მხოლოდ იურიდიული გარიგების ერთ-ერთ სახედ. ბირლინგის შეცდომა იმაშია, რომ მას არასწორად აქვს წარმოდგენილი სუბიექტური და ობიექტური სამართლის ურთიერთდამოკიდებულება; მან სუბიექტური მხარე სამართლისა მოაშორა, მოწყვიტა ობიექტურს. იურიდიული გარიგება, რომელიც იურიდიულ ურთიერთობას აწესებს, უკვე თავის თავად გული სხმობს იურიდიული ნორმის არსებობას<sup>2</sup>. ტარანოვსკი გამოთქვამს აზრს, რომ თითქოს პეტრაჟიციკიმაც ჩაიღინა იგივე შეცდომა: ისიც ურევენ ერთმანეთში ზემოთ დასახელებულ ორი კატეგორიის ფაქტებსო.

თვითონ ტარანოვსკი იძლევა სამართლის წყაროების ანუ ნორმატიული ფაქტების შემდეგ დაჯგუფებას:

<sup>1</sup> Уч. энцикл. права, 1917, 169.

<sup>2</sup> იქვე, 169.



1) ერთპიროვნული ავტორიტეტის დადგენა (ფიზიკური ან იურიდიული პირისა),

2) კოლექტიური (მასობრივი) ავტორიტეტის დადგენა,

3) ხელშეკრულება ან შეთანხმება ორი ან მრავალი პირისა (ფიზიკური ან იურიდიულისა).

4) სახელმწიფო დაწესებულებათა პრაქტიკა, განსაკუთრებით სასამართლო პრაქტიკა.

როგორც ვხედავთ, სამართლის წყაროების მოცულობა და მისი ცალკეული სახეები ავტორს ფართოდ აქვს წარმოდგენილი. ჩვენ მიზანს არ შეადგენს მათი დაახლოებითი განხილვა.

ჩვენ მოკლედ დავახსიათეთ ზოგიერთი რევოლუციამდელი რუსი იურისტის შეხედულება სამართლის წყაროების საკითხთან დაკავშირებით, და იმ შრომების მიხედვით, რომლებიც სამართლის ზოგადი თეორიის დარგს ეკუთვნიან. ვფიქრობთ, რომ ამ მოკლე მიმოხილვიდან შეიძლება გამოვიტანოთ ის დასკვნა, რომ რუსულ სამართლის მეცნიერებაში გარკვევით იყო დადგენილი, რომ სამართლის წყაროს აქვს სამი სხვადასხვა მნიშვნელობა, მაგრამ სამართლის წყაროს ცალკეული ცნების შინაარსი სხვადასხვანაირად იყო გაგებული. სამართლის წყარო მატერიალური გაგებით ესმოდათ იდეალისტურად, როგორც სუბიექტური სამართლის ცნობიერების ანდა სამართლის გრძნობის გამოხატულება. სამართლის წყარო ფორმალური, ტექნიკურ-იურიდიული აზრითაც ერთნაირად გაგებული არ იყო.

შეიძლებოდა მაგალითის სახით მოგვეყვანა აგრეთვე სპეციალური იურიდიული დარგების წარმომადგენლნი, ცივილისტები და ისტორიკოსები.

პროფ. გამბაროვი ამტკიცებს, რომ სწავლებაში ობიექტური სამართლის შესახებ ცენტრალური ადგილი უკავია „სამართლის წყაროების“ ცნებასო მაგრამ ეს ტერმინი იხმარება სხვადასხვა აზრით და ჩვენ, პირველ ყოვლისა, უნდა დავადგინოთ მისი ტექნიკურ-იურიდიული მნიშვნელობაო. შემდეგ იგი გარკვევით ასხვავებს სამართლის წყაროს სამ გაგებას — სამართლის ისტორიული ძეგლების შემეცნების საშუალება, სამართლის გამომწვევი ფაქტორები და ტექნიკურ-იურიდიული მნიშვნელობით. უკანასკნელი გაგებით, ე. ი. ტექნიკურ-იურიდიული აზრით, სამართლის წყაროები „მხოლოდ არსებული სამართლის ორგანოებია, მხოლოდ მოქმედი იურიდიული ნორმების საფუძვლები ან მიზეზებია (causa efficiens), სხვანაირად რომ ვთქვათ, — ისაა, საიდანაც ყველა, ვინც ეძებს სამართალს, და, უმთავრესად, მოსამართლე, იღებს ნორმებს ყოველი მის წინაშე წამოჭრილი კონკრეტული შემთხვევის გადასატრელად. ეს ფორმებია, რომლებშიც წარმოიშობიან და მოქმედებენ სამართლის ყოველგვარი ბრძანებანი“<sup>1</sup>.

გაუგებარი რჩება ავტორის აზრი, რომ სამართლის წყაროები ფორმალური გაგებით „იურიდიული ნორმების მიზეზებიაო (causa efficiens)“. აქ აშკარად არეულია ერთმანეთში სამართლის წყაროს ორი გაგება — ფორმალური და მატერიალური. მიზეზად შეიძლება იქნას მიჩნეული მხოლოდ უკა-

<sup>1</sup> Курс гражданского права, 1911, 182.



ნასკნელი — ის, რაც წარმოშობს იურიდიულ ნორმებს. ფორმალურად გაგებული სამართლის წყაროსათვის „მიზეზის“ ცნება, რასაკვირველია, ვერ გამოდგება.

რუსული სამართლის ისტორიკოსთა შორის შეიძლება დავასახელოთ სერგეევიჩი (Лекции и исследования, 1903, 4—5) და დიაკონოვი (Очерки общественного и государственного строя древней Руси, 1908, 7). ორივე გარკვევით ასხვავებს სამართლის წყაროს სამგვარ მნიშვნელობას.

### III

სამართლის წყაროების საკითხი საბჭოთა სამართლის მეცნიერებაში დიდ ინტერესს იწვევდა და დაკვირვებითი შესწავლის საგანს შეადგენდა. საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაშიც ასხვავებენ სამართლის წყაროს სამ ძირითად ცნებას, მაგრამ ამ ცნებათა შინაარსის განმარტება მკვეთრად განსხვავდება იმისგან, რასაც ჩვენ ბურჟუაზიული იურისტების მოძღვრებათა გადმოცემისას გავეცანით.

ამ საკითხს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა პროფ. კეჩეკიანმა<sup>1</sup>.

კეჩეკიანი სწორად აღნიშნავს, რომ სამართლის წყაროს ცნება სამართლის თეორიაში ყველაზე უფრო ბუნდოვან ცნებათა რიგს ეკუთვნისო. არ არსებობს არათუ მხოლოდ საერთოდ აღიარებული განსაზღვრა ამ ცნებისა, არამედ სადავოა თვით ამ სიტყვის მნიშვნელობაო. ისტორიულად წარმოიშვა სამართლის წყაროს ორგვარი გაგება. სამართლის წყარო მატერიალური გაგებით — ეს მიზეზებია, რომელთაც განაპირობებს სამართლის შინაარსი, ხოლო სამართლის წყარო ფორმალური გაგებით — ნორმის იურიდიული სავალდებულობის მიზეზი. ამას დაემატა კიდევ ამ ცნების მესამე გაგება: სამართლის წყარო როგორც სამართლის შემეცნების წყარო, ე. ი. ძეგლის, დოკუმენტის და სხვ., რომლებშიაც ჰპოვა თავისი ანარეკლი ამა თუ იმ ეპოქის სამართალში. მატერიალური აზრით სამართლის წყაროს შეადგენენ საბოლოო ანგარიშით საზოგადოების ცხოვრების მატერიალური პირობები. ცხოვრების მატერიალური პირობები განსაზღვრავენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, საზოგადოების კლასობრივ აგებულებას იქ, სადაც საზოგადოებამ მიიღო კლასობრივი ხასიათი. მატერიალური პირობებით განისაზღვრება აგრეთვე გაბატონებული კლასის ნებისყოფის შინაარსი, მაშასადამე, სამართლის ნორმის შინაარსიც.

საწარმოო ძალთა განვითარების დონე, წარმოებითი ურთიერთობათა ტიპი, მათი, მოცემული ქვეყნისათვის დამახასიათებელი, თავისებურებანი განსაზღვრავენ სამართლის ნორმების შინაარსს და ამ აზრით სამართლის წყაროს წარმოადგენენ.

მაგრამ, განავრძობს კეჩეკიანი, გაბატონებული კლასის ნებისყოფა არის არა მხოლოდ განსაზღვრული შინაარსი, არამედ გარკვეული შინაარსის გამა-

<sup>1</sup> Ученые записки Московского ун-та, 1946, вып. 116.



ფორმებელი აქტი, ე. ი. გარკვეული სპეციფიკური ფორმა, რომელიც სამართლის ნორმის სავალდებულობის საფუძველს წარმოადგენს.

გაბატონებული კლასის არა ყოველი ნებისყოფა შეადგენს სამართალს და არა ყოველი ნებისყოფა გაბატონებული კლასისა, ადამიანთა ყოფაქცევის მოსაწესრიგებლად მიმართული, შეადგენს სამართალს. არსებობს ყოფაქცევის წესები, რომლებიც გაბატონებული კლასის ნებისყოფას გამოსახავენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სამართლის ნორმებს მაინც არ შეადგენენ. კეჩეიანის აზრით, იმისათვის, რომ ამა თუ იმ წესმა მიიღოს სამართლის ნორმის მნიშვნელობა, საჭიროა გაბატონებული კლასის ნებისყოფის გამოხატულების განსაკუთრებული, სპეციფიკური ფორმა. სწორედ ამ სპეციფიკურ ფორმას უწოდებენ სამართლის წყაროს. ამ ფორმის მეშვეობით წარმოებს ნებისყოფის ამა თუ იმ შინაარსის „აყვანა კანონში“, ე. ი. მისი გადაქცევა ყოფაქცევის საერთო სავალდებულო ნორმად, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფო ძალაუფლებით.

ნებისყოფის განსაკუთრებულ შინაარსს მისი ასახვის განსაკუთრებული-სპეციფიკური ფორმები შეესაბამება. ნებისყოფა გამოისახება, მაგალითად, კანონში, ადმინისტრაციულ აქტში, ადათში და სხვ. ნებისყოფის გამოხატულების ამ განსაკუთრებულ ფორმებს, რომლებიც ამა თუ იმ წესებს სამართლის ნორმების მნიშვნელობას ანიჭებენ, ეწოდება სამართლის წყაროები ამ სიტყვის ფორმალური აზრით<sup>1</sup>.

კეჩეიანის შეხედულებას რომ ვეცნობით, ბუნებრივად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ნორმების სავალდებულობის საფუძველი ყოფილა იმდენი, რამდენიც ნებისყოფის გამოხატულების სპეციფიკური ფორმები არსებობს. აქედან ლოგიკური აუცილებლობით გამომდინარეობს, რომ ყოველ ცალკეულ ფორმას, ე. ი. ყოველ ცალკეულ სამართლის წყაროს აქვს სავალდებულობის საკუთარი საფუძველი. ადათობრივ სამართალს, მაგალითად, სავალდებულობის დამოუკიდებელი საფუძველი ჰქონია. შეიძლება დავსვათ კითხვა: რამდენად სწორია კეჩეიანის შეხედულება მარქსისტული თვალსაზრისით? ჩვენ ვფიქრობთ, რომ სახელმწიფოსა და სამართლის მარქსისტული თეორიის თვალსაზრისით სამართლის ყველა ცალკეული წყაროს სავალდებულობის საფუძველი ერთადერთია: ესაა სახელმწიფო ხელისუფლების ბრძანება. ადათობრივი სამართლის სავალდებულობა დამყარებულია სახელმწიფო ძალაუფლების ამკარად გამოთქმულ ან ფარულ თანხმობაზე. კეჩეიანი არსებითად იმეორებს იმ აზრს, რომელიც უკვე გამოთქმული იყო ბურჟუაზიული იურისტის რეგელსბერგერის მიერ. რეგელსბერგერი წერს: სამართლის დებულებათა სავალდებულო ძალას აქვს სხვადასხვა საფუძველი: კანონმდებლობა, ადათობრივი სამართლის წარმოშობა, იურისპრუდენცია და ხელშეკრულება (უფრო შეზღუდული მოცულობით). ერთიანი პირვანდელი წყარო არ არსებობს<sup>2</sup>. როგორც ვხედავთ,

<sup>1</sup> Ученые записки Моск. ун-та, 1946, вып. 116. 5.

<sup>2</sup> Общее учение о праве. 1897, 54.



კეჩეკიანი იზიარებს ამ შეხედულებას, რომელსაც სწორად გაგებულ მარქსისტულ თეორიასთან არაფერი აქვს საერთო.

კეჩეკიანი განაგრძობს სამართლის წყაროს განმარტებას. სამართლის წყარო, ამბობს იგი, არ წარმოადგენს, წინააღმდეგ იმისა, რასაც ამტკიცებს პეტრაჟიციკი, პოზიტიური სამართლის რომელიმე ნაწილს ან მის ნაირსახეობას, არამედ პოზიტიური სამართლის ნორმათა წარმოშობის წესს, რომელიც სხვადასხვაა სხვადასხვა შემთხვევაში. სამართლის წყარო ნებისყოფის გამოხატულების ესა თუ ის ფორმაა, და არა თვით ნორმა. პეტრაჟიციკის მსჯელობა კანონის და „კანონიერი“ სამართლის იგივეობის შესახებ დამყარებულია კანონის, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს განსაკუთრებული აქტის, აღრევაზე იმ ნორმასთან, რომელსაც ადგენს კანონი. ნებისყოფის გამოხატულების ფორმები არ უნდა ავრიოთ თვით ნორმებში.

კეჩეკიანის სიტყვით, შეიძლება სამართლის დაყოფა კანონად, ადათად, პრეცედენტად, მაგრამ ისინი, წარმოადგენენ რა სამართლებრივი ნორმების კლასიფიკაციის საფუძველს, არ უნდა იქნას გაიგივებული კანონიერი, ადათობრივი, პრეცედენტული სამართლის ნორმებთან. მაშასადამე, ავტორი ასხვავებს სამართლის ფორმებს და ამ ფორმებში მოქცეულ ნორმებს. იგი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ლიტერატურაში ამგვარ შეცდომას უშვებს ვილნიანსკი, რომელიც სამართლის წყაროებს ფორმალური მნიშვნელობით განსაზღვრავს, როგორც „სამართლის ნორმებს, ე. ი. წესებს, რომლებიც სავალდებულოა აღსრულებისათვის და აღჭურვილია სახელმწიფო იძულების ძალით“. სამართლის წყაროებისა და ნორმათა სახეების იმავე გაიგივების მავალითს იძლევა საბჭოთა ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, — დასძენს კეჩეკიანი.

უნდა ითქვას, რომ კეჩეკიანის მიერ აღნიშნულ და უარყოფილ შეხედულებას მრავალი მომხრე ჰყავს. შეცდომას არ დავუშვებთ, თუ ვიტყვით, რომ იგი გაბატონებული შეხედულებაა: იურისტთა უმრავლესობას სამართლის წყაროების ცნება გაგებული აქვს ნორმების მნიშვნელობით და წყაროთა განსხვავება წარმოდგენილი აქვთ ნორმათა სპეციფიკური დარგების აზრით.

იმ მიზნით, რომ უფრო მკვეთრად დავახასიათოთ კეჩეკიანის კონცეფცია, მოვიყვანოთ კიდევ მის დებულებას განხილული საკითხის შესახებ. კეჩეკიანი წერს: საკითხის გადაწყვეტა „თუ რაა სამართლის წყარო ფორმალური გაგებით, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ვუბასუხებთ კითხვაზე — რა შეადგენს სამართლის სავალდებულობის საფუძველს, ე. ი., სახელდობრ, რომელი ფორმები ანიჭებენ ნორმებს სამართლებრივ ხასიათს“<sup>1</sup>.

აღნიშნული განსაზღვრა მოცემულია აგრეთვე „სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის“ სახელმძღვანელოში, სადაც სათანადო თავი შედგენილია პროფ. კეჩეკიანის მიერ<sup>2</sup>.

<sup>1</sup> დასახ. შრომა, 7.

<sup>2</sup> Теория государства и права, 1949, гл. XII.



სამართლის წყაროს საკითხი განმარტებული აქვთ გოლუნსკისა და სტროგოვიჩის „სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის“ სახელმძღვანელოში.

ჩვეულებრივ სიტყვათხმარებაში, აღნიშნულია ამ უკანასკნელ შრომაში, რომელმაც მოვლენის წყაროდ ითვლება ის ძალა, რომელიც ჰქმნის ამ მოვლენას; ამ თვალსაზრისით სამართლის წყაროს შეადგენს სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც სამართლის მეშვეობით გაბატონებული კლასის ნებისყოფას გამოსახავს. სოციალისტური სამართლის წყაროს წარმოადგენს მუშათა კლასის დიქტატურა, რომელიც სოციალისტური სახელმწიფოს მთელი მშრომელი ხალხის ნებისყოფას გამოხატავს.

მაგრამ სამართლის წყაროს აქვს სხვა, სპეციალური იურიდიული მნიშვნელობაც. სამართლის წყაროდ იურიდიული მნიშვნელობით ან სხვანაირად სამართლის იურიდიული წყაროდ ეწოდება იმ წესს, რომლითაც ყოფაქცევის ნორმას ენიჭება სახელმწიფო ხელისუფლების მიერ საერთოსავალდებულო ძალა. სამართალს შეადგენენ ადამიანთა ყოფაქცევის წესები, რომლებიც დადგენილია ან სანქციონირებულია სახელმწიფო ხელისუფლების მიერ. ადამიანთა ყოფაქცევის წესების განმტკიცების საშუალებებს (способы закрепления правил поведения), რომელთაც სახელმწიფო ანიჭებს სამართლებრივ ძალას, ეწოდება სამართლის წყაროები იურიდიული მნიშვნელობით<sup>1</sup>. საბჭოთა სამართლის წყაროებად, ამ ავტორთა აზრით, ჩაითვლება: 1) კანონი, 2) სახელმწიფო ხელისუფლების სხვა აქტები, 3) ადათი (მეტად შეზღუდულ ფარგლებში)<sup>2</sup>. სასამართლო პრაქტიკა საბჭოთა სამართალში არ წარმოადგენს სამართლის წყაროს<sup>3</sup>.

სამოქალაქო სამართლის სახელმძღვანელო, გამოცემული 1944 წ., ავტორების და გენკინის რედაქციით, სამართლის წყაროს მატერიალური გაგებით განმარტავს როგორც გაბატონებული კლასის ნებისყოფას, ხოლო ფორმალური გაგებით — როგორც იმ ფორმებს, რომელშიც პოულობენ თავის გამოხატულებას სამართლის მოქმედი ნორმები (გვ. 27).

საბჭოთა სამოქალაქო სამართლის სახელმძღვანელო, გამოცემული 1950 წელს, პროფ. ბრატუსის რედაქციით, იძლევა შემდეგ განსაზღვრას: საბჭოთა სამოქალაქო სამართლის წყაროს მატერიალური მნიშვნელობით წარმოადგენს სოციალისტური საზოგადოების მუშათა კლასის და ყველა მშრომელთა ნებისყოფა. ეს ნებისყოფა, წარმოადგენს რა სახელმწიფო ნებისყოფას, ეყრდნობა სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობებს და მიმართულია მათ განმტკიცებაზე და შემდგომ განვითარებაზე კომუნისტური საზოგადოების აშენების მიზნით. სახელმწიფო ნებისყოფა გამოიხატება ყოფაქცევის საერთო-სავალდებულო წესებში სხვადასხვა ფორმით. სამოქალაქო სამართლის წყაროებს იურიდიული გაგებით წარმოადგენენ განსაკუთრებული სპეციფიკური ფორმები, რომელშიც იმოსება წესები, რომელთა მიზანია ქონებრივ და მათთან დაკავშირებულ პი...

<sup>1</sup> Теория государства и права, 1940, 173.

<sup>2</sup> იქვე, 173.

<sup>3</sup> იქვე, 185.



რად არაქონებრივ ურთიერთობათა მოწესრიგება სოციალისტურ საზოგადოებაში. სამოქალაქო სამართლის წყაროებს ამ აზრით შეადგენენ პირველ რიგში საბჭოთა სახელმწიფოს კანონები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები (გვ. 32).

საბჭოთა სახელმწიფო სამართლის სახელმძღვანელო, გამოცემული 1950 წელს, განმარტავს, რომ სამართლის და კერძოდ სახელმწიფო სამართლის წყაროს წარმოადგენენ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალური პირობები. ისინი განაპირობებენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს და ყოფაქცევის იმ წესების, იმ იურიდიული ნორმების შინაარსს, რომლებიც დადგენილია სახელმწიფოს მიერ და რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფო ხელისუფლებით.

საბჭოთა სამართლის წყაროებად, ამ სახელმძღვანელოს მიხედვით, უნდა მივიჩნიოთ სამართლის გამოსახვის ფორმები, რომლების მეშვეობითაც სოციალისტური სახელმწიფო ადგენს მოქალაქეთა ყოფაქცევის და სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოთა მოქმედების წესების სავალდებულობას (გვ. 11). მოცემულ ფორმულაში ყველაზე უკეთ, მოკლედ და ნათლად გამოთქმულია დაყენებული საკითხის არსი, მითითებულია მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები.

რომ ავიღოთ ისეთი მნიშვნელოვანი დარგის სახელმძღვანელოები, როგორცაა სისხლის სამართალი, იქ ვერ აღმოვაჩინთ ვერაფერს განხილული საკითხის შესახებ. სხვადასხვა დროს გამოცემული სახელმძღვანელოები სრულად უყურადღებოდ სტოვებენ ამ დიდ საკითხს. მათი ავტორები კმაყოფილდებიან მხოლოდ საკანონმდებლო მასალის განხილვით, კოდექსების და ცალკეული ნორმების ანალიზით.

სისხლის სამართლის სახელმძღვანელო, შედგენილი მენშაგინის და ვიშინსკაიას მიერ (1950), მკრთალად აღნიშნავს, რომ საბჭოთა სამართლის და, მაშასადამე, საბჭოთა სისხლის სამართლის ძირითად წყაროს წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურა; შემდეგ ამისა ავტორები უშუალოდ გადადიან ნორმატიული მასალის გადმოცენაზე, უკეთ რომ ვთქვათ, გადათვალაზე (გვ. 49).

ამავე დროს ყველასათვის გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს განხილულ საკითხს. შეიძლება თქვან, რომ იგი სამართლის თეორიის დარგს ეკუთვნისო. რასაკვირველია, სამართლის წყაროების ცნება პირველ ყოვლისა სამართლის თეორიის ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ იგი მივიწყებული უნდა იყოს სპეციალურ იურიდიულ დისციპლინებში.

ზემოთ ჩვენ გავეცანით სამართლის წყაროების ცნების სხვადასხვა განსაზღვრას. რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ განხილულ განმარტებებიდან?

ყველაზე უფრო სწორად ჩვენ მიგვაჩნია ის განსაზღვრა, რომელიც ზემოთ უკვე იყო მოტანილი და რომლის მიხედვით „საბჭოთა სამართლის



წყაროებს იურიდიული გაგებით წარმოადგენენ სამართლის გამოსახვის ფორმები, რომლების მეშვეობითაც სოციალისტური სახელმწიფო აღდგენს მოქალაქეთა ყოფაქცევის და სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, დაწესებულებების და საწარმოთა მოქმედების წესების სავალდებულობას<sup>1</sup>. როგორც აღნიშნული იყო, ამ განსაზღვრაში მოცემულია ყველა ძირითადი ნიშანი განხილული ცნებისა და მათ შორის ისეთებიც, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიეწეროს. ესაა: სამართლის ფორმები და ნორმათა სავალდებულობის ნიშანი. რაც შეეხება სამართლის წყაროს მატერიალურ გაგებას საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალური პირობების მნიშვნელობით, ეს აზრიც მართებულად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან იგი ეთანხმება მარქსისტულ მსოფლმხედველობას.

აღნიშნავთ კიდევ ნ. ალექსანდროვის შეხედულებას განხილულ საკითხზე. სამართლის წყაროდ ალექსანდროვი თვლის იმ ფაქტებს, „რომლებიც უშუალოდ განაპირობებენ სამართლებრივ სოციალურ ნორმების განსხვავებას არასამართლებრივისაგან და ამგვარად განსაზღვრავენ სამართლის სპეციფიკას... ეს სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ იურიდიულ ნორმებს აქვთ გარეგნულად სავალდებულო, იძულებითი ხასიათი“<sup>2</sup>. საერთოდ, ამ ავტორის შეხედულებანი ბუნდოვანია, სათანადოდ მოფიქრებული არაა. გაუგებრობას იწვევს ის, რომ იგი სამართლის წყაროებად აცხადებს სამართლის ფორმებს და ამავე დროს უპირისპირებს მათ ერთმანეთს. დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რომ, მისი აზრით, სასამართლო პრაქტიკა, ისე როგორც აღმინისტრაციული პრაქტიკა, შეიძლება წარმოადგენდეს იურიდიულ ნორმათა შემუშავების წყაროს<sup>2</sup>.

#### IV

როგორც პირველ თავში იყო აღნიშნული, ჩვენი შრომის მიზანს შეადგენდა სამართლის წყაროების ზოგადი ცნების ანალიზი და მისი დამახასიათებელი ნიშნების გამოკვლევა და დადგენა.

მაგრამ იძულებული ვართ ამ წინასწარ მიღებულ გეგმიდან გავაკეთოთ ერთი გამონაკლისი. ეს გამონაკლისი ეხება სასამართლო პრაქტიკას. სამართლის ცალკეული წყაროები ამ შრომაში შესწავლილი არაა, ეს არც იყო თავალისწინებული ჩვენი გეგმით. და თუ, მიუხედავად ამისა, მაინც ვიხილავთ სასამართლო პრაქტიკის, როგორც სამართლის წყაროს საკითხს, ეს აიხსნება იმით, რომ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნული საკითხი შეადგენდა ცხოველი დისკუსიის საგანს, ხოლო, მეორეს მხრივ, ეს წყარო თავისი შინაარსით შედარებით სხვა წყაროებთან, მეტად რთულია და ბუნებრივად იწვევს დავას და აზრთა სხვაობას.

საბჭოთა ლიტერატურაში, როგორც უკვე მითითებული იყო, გოლუხენკი და სტროგოვიჩი გადაჭრით უარყოფენ სასამართლო პრაქტიკას სამართლის

<sup>1</sup> Ученые труды ВИОН, вып. VIII, 1946; Понятие источн. права, 51.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 53.



წყაროს მნიშვნელობით. მეორეს მხრივ, ისაევი, ორლოვსკი და ვილნიანსკი გამოთქვამენ აზრს, რომ სასამართლო პრაქტიკა წარმოადგენს სამართლის ნამდვილ წყაროს.

თავისი შეხედულების გასამაგრებლად ისაევს მოყავს შემდეგი მოსაზრებანი.

სასამართლო პრაქტიკის როგორც სამართლის წყაროს უარყოფას, წერს ისაევი, საფუძვლად უდევს კონსტიტუციის 112-ე მუხლი, რომელიც ადგენს პრინციპს: მოსამართლეები ემორჩილებიან მხოლოდ კანონს. მაგრამ არავინ არ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ 112-ე მუხლს მხედველობაში აქვს მხოლოდ კანონები ფორმალური მნიშვნელობით, ე. ი. სსრკ-ის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს აქტები. საერთოდ აღიარებულია, რომ სამართლის წყაროებს შეადგენენ სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი და განკარგულებანი. მინისტრთა ბრძანებანი და ინსტრუქციები და სხვ. ყველა აღნიშნულ ორგანოს შეუძლია, როგორც წერენ გოლუნსკი და სტროგოვიჩი, თავისი აქტებით დაადგინონ სამართლებრივი ნორმები მოცემული ორგანოს კომპეტენციის ფარგლებში<sup>1</sup>.

გოლუნსკი და სტროგოვიჩი იძულებული არიან აღიარონ, რომ რაც უნდა სრული იყვნენ კოდექსები და კანონები, რომლებითაც ხელმძღვანელობენ ჩვენი სასამართლოები, მათ არასოდეს არ შეუძლიათ გაითვალისწინონ ცხოვრების მოვლენათა მრავალსახეობა. ამ აუცილებელი ხარვეზების შევსების საშუალებას კი წარმოადგენს კანონის გამოყენება ანალოგიის საფუძველზე.

კანონის საფუძველზე და ფარგლებში გამოცემული კანონქვემდებარე აქტები ჰქმნიან სამართლის ახალ ნორმებს. იბადება კითხვა — იქმნება თუ არა სამართლის ახალი ნორმა კანონის ანალოგიის გზით გამოყენების პროცესში, მისი გამოყენებისას „კანონის საფუძველზე და ფარგლებში“? ავტორები, რომლებიც არ ხედავენ სასამართლოს პრაქტიკაში სამართლის წყაროს, რასაკვირველია, უარყოფენ ანალოგიის გამოყენების მართლშემოქმედებით ძალას. ჩვენ, ამბობს ისაევი, ასეთი შეხედულება არასწორად მიგვაჩნიაო. ისაევი კატეგორიულად ამტკიცებს, რომ ანალოგიის გამოყენების გზით წარმოიშობიან სამართლის ახალი ნორმები<sup>2</sup>.

სამართლის თეორიაში ჩვეულებრივ ასხვავებენ კანონის ანალოგიას და სამართლის ანალოგიას. პირველი ნიშნავს კანონის გამოყენებას იმ ურთიერთობათა მიმართ, რომლებიც კანონით პირდაპირ არაა გათვალისწინებული, მაგრამ მსგავსია იმ ურთიერთობისა, რომელსაც კანონი აწესრიგებს. სამართლის ანალოგია კი გავებულია როგორც საქმის გადაწყვეტა იმ საერთო სამართლებრივი საწყისების მიხედვით, რომლებიც დაწესებულია მსგავსი სამართლებრივი ინსტიტუტისათვის ან სამართლის მთელი დარგისათვის. პირ-

<sup>1</sup> Ученые записки ВШЮН, вып. V, 1947, 77.

<sup>2</sup> იქვე, 78.



ველი გათვალისწინებულია რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხ-ლით, ხოლო მეორე — სამოქ. სამ. საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით.

ისავეი აღნიშნავს, რომ ყველა მეცნიერს არ გაყავს მკვეთრი განსხვავება კანონის ანალოგიასა და სამართლის ანალოგიას შორის. მაგალითად, პროფ. ლიუბლინსკის აზრით, კანონის ანალოგიის და სამართლის ანალოგიის განსხვავებას აქვს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა. იგი წერდა, რომ „სამართლის ანალოგია არის იგივე კანონის ანალოგია, მხოლოდ გაშუალებული (опосредствованная) იურიდიული კონსტრუქციით — საერთო პრინციპის აგებით“. გოლუნსკის და სტროგოვიჩის მეტად ხელოვნურად მიაჩნიათ ანალოგიის ერთი სახეობის მეორე სახეობისადმი დაპირისპირება. მათი სიტყვით, არ შეიძლება გამოყენება კანონისა, რომელიც მსგავსს შემთხვევას ითვალისწინებს, თუ არ გამოვდივართ სამართლის მოცემული დარგის ძირითად პრინციპებიდან, მის მიერ დადგენილ ძირითად ცნებებიდან.

მაგრამ, დასძენს ისავეი, თუ არ არის პრინციპული განსხვავება, ყოველ შემთხვევაში მინც არსებობს უდავო განსხვავება ანალოგიის გამოყენებასა სამოქალ. სამ. საპროც. კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით და მის გამოყენებას შორის სისხლ. სამ. კოდექსის მე-16 მუხლის საფუძველზე. სასამართლოს არ შეუძლია აღიაროს დანაშაულებრივად და დასჯადად რომელიმე საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის მხოლოდ „საერთო საწყისებზე“ დაყრდნობით<sup>1</sup>.

სისხლის სამართლის დარგში ხარვეზები შეიძლება აღმოჩნდეს ზოგადი ნაწილის ნორმებშიც. უმაღლესი სასამართლოს პლენუმი პრაქტიკა უკანასკნელ წლებში იძლევა მთელ რიგ სახელმძღვანელო მითითებებს, რომლებშიც პლენუმი სარგებლობდა სამართლის ანალოგიით. ისავეს მოჰყავს იმის მაგალითები, თუ როგორ იყენებდა უმაღლესი სასამართლოს პლენუმი სამართლის ანალოგიას. მოყვანილია აგრეთვე უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება, საიდანაც ჩანს, რომ კანონის ანალოგიის გამოყენება სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლის მიხედვით (საქართველოს სსრ. სისხლ. სამ. კოდექსის მე-8 მუხლი) ჰქმნის სამართლის ახალ ნორმას. ისავეი ამტკიცებს, რომ მართლშემოქმედება და ახალი ნორმების შექმნა ჩვენ გვაქვს იმ შემთხვევებშიც, როცა უმაღლესი სასამართლოს პლენუმი მიმართავს არა ანალოგიას, არამედ განვრცობით ან შეზღუდვით ახსნა-განმარტებას და საილუსტრაციოდ აღნიშნავს იმ სახელმძღვანელო მითითებას, რომლის ძალით ქურდობა საზოგადო სარგებლობის ყველა ადვილას, სხვა დამამძიმებელ გარემოების არარსებობისას, უნდა დაკვალიფიცირდეს რსფსრ-ის სისხლ. სამ. კოდექსის 162-ე მუხლის, პუნქტი „გ“, ანალოგიის მიხედვით. უცნაურია ის, რომ პლენუმი ფიქრობდა, რომ იგი იყენებდა ანალოგიას, სინამდვილეში კი აქ ჩვენ გვაქვს, როგორც სამართლიანად წერს ისავეი, კლასიკური შემთხვევა ეგრეთ წოდებული განვრცობითი ახსნა-განმარტებისა<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Ученые записки ВШОН, вып. V, 1947, 79.

<sup>2</sup> იქვე, 85.



ჩვენ ვერ წაგყვებით ასე შორს პროფ. ისაევს და არ დავიწყებთ იმის მტკიცებას, რომ განვრცობით ახსნა-განმარტებას შეუძლია მოგვეცეს წინამძღვარი მართლშემოქმედებისათვის, ახალი ნორმების შექმნისათვის. თანამედროვე სამართლის მეცნიერებაში მკვეთრად არის გატარებული განმასხვავებელი ზღვარი განვრცობით ახსნა-განმარტებასა და ანალოგიას შორის. უნდა აღინიშნოს, რომ ძველად გავრცელებული იყო შეხედულება, რომელიც ერთმანეთში ურევდა განვრცობით ახსნა-განმარტებას და ანალოგიას, მათ შორის იგივეობას ჰპოულობდა, ამ შეხედულებას ახალ დროშიც ჰყავდა ზოგიერთი წარმომადგენელი<sup>1</sup>, მაგრამ თანამედროვე სამართლის მეცნიერებაში მიღებულია შეხედულება, რომელიც ანალოგიის ძირითად ნიშანს ხედავს იმაში, რომ ანალოგია დაკავშირებულია სამართლის ხარვეზთან, მისი დანიშნულებაა ამ ხარვეზის შევსება, იმ დროს როცა განვრცობითი ახსნა-განმარტება იკვლევს კანონმდებლის აზრს, მის ნებისყოფას; იგი აფაროებს კანონის გარეგან, სიტყვიერ ფორმას, ვინაიდან ეს გარეგანი ფორმა უფრო ვიწროა, ვიდრე კანონის შინაგანი აზრი.

დაყენებულ საკითხს იკვლევს პ. ორლოვსკი, რომელიც წერს: „საერთო სავალდებულო ნორმები პოულობენ თავის გამოსახულებას გარკვეულ ფორმებში, რომლებიც წარმოადგენენ სამართლის წყაროს ამ სიტყვის იურიდიული მნიშვნელობით.“

ამ ფორმების საშუალებით საერთო-სავალდებულო ნორმები ღებულობენ იურიდიული ნორმების ხასიათს.

სამართლის წყაროს, ამ სიტყვის იურიდიული მნიშვნელობით, ძირითად ნიშნებს შეადგენენ:

- 1) იურიდიული ნორმის საერთო-სავალდებულო ხასიათი,
- 2) სახელმწიფო იძულების ძალა, რომელიც დგას იურიდიული ნორმის უკან,
- 3) იურიდიული ნორმის შესაბამისობა გაბატონებული კლასის ინტერესებთან და მის მიერ დამყარებულ მართლწესრიგთან<sup>2</sup>.

ორლოვსკის აზრით, სასამართლო გადაწყვეტილებანი ცალკეულ კონკრეტულ საქმეებზე არ შეადგენენ სასამართლო პრაქტიკას და ამიტომ ისინი არც შეიძლება განხილულ იქნან როგორც სამართლის წყარო. სასამართლო პრაქტიკად ორლოვსკის მიაჩნია არა ცალკეული სასამართლო გადაწყვეტილებანი და განჩინებანი (определения), თუნდაც რომ ისინი ეკუთვნოდნენ ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასამართლო ორგანოს — სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს, არამედ დასკვნები და განზოგადებანი, სსრკ-ის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მიერ გაკეთებული ერთგვაროვან სასამართლო გადაწყვეტილებებიდან, რომლებსაც საბჭოთა სასამართლოები იყენებენ განსაზღვრული დროის განმავლობაში ერთგვაროვან საქმეებზე.

<sup>1</sup> Васильковский, Учение о толковании гражд. законов, 1901, 269.

<sup>2</sup> Значение судебной практики в развитии советского гражданского права, „Сов. гос. и право“, 1940, № 8—9.



ამ სახით, — განაგრძობს ორლოვსკი, — ჩვენი სასამართლო პრაქტიკა ღებულობს სახელმძღვანელო, სავალდებულო მნიშვნელობას სასამართლოებ-სათვის და, მაშასადამე, საბჭოთა სამოქალაქო სამართლის წყაროს წარმოადგენს.

ორლოვსკის შეხედულებით, საბჭოთა სამოქალაქო სამართლის წყაროს წარმოადგენენ აგრეთვე სსრკ-ის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ის სახელმძღვანელო მითითებანი, რომლებსაც მათ მიღებამდე არ ჰქონიათ ფართო გავრცელება სასამართლო გადაწყვეტილებებში და უმაღლესი სასამართლოს მიერ პირველად იყო გამოთქმული. შემდეგ ორლოვსკი ასახელებს კონკრეტულად პლენუმის მთელ რიგ სახელმძღვანელო მითითებებს საბჭოთა სამოქალაქო სამართლის სხვადასხვა საქმეებზე.

ამგვარად, ორლოვსკი ცნობს, რომ სასამართლო პრაქტიკა შეადგენს სამართლის წყაროს, მაგრამ სასამართლო პრაქტიკა მას ესმის არა როგორც ცალკეული სასამართლო გადაწყვეტილებანი და განჩინებანი, არამედ როგორც დასკვნები, გამოტანილი უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მიერ ერთგვაროვან სასამართლო გადაწყვეტილებებიდან, რომლებსაც იყენებენ საბჭოთა სასამართლოები ერთგვაროვან საქმეებზე განსაზღვრული დროის განმავლობაში. სამართლის წყაროდ ორლოვსკი თვლის აგრეთვე უმაღლესი სასამართლოს პლენუმის იმ სახელმძღვანელო მითითებებს, რომლებიც პირველად იყო მოცემული პლენუმის მიერ.

განხილულ საკითხზე თავისი შეხედულება გამოთქვა პროფ. ს. ვილნიანსკიმ. ვილნიანსკი ასხვავებს სასამართლო მართლშემოქმედების სამ ფორმას: სასამართლო პრეცედენტს, სასამართლო პრაქტიკას და უშუალო სასამართლო შემოქმედებას. იგი მიუთითებს, რომ საბჭოთა ლიტერატურაში ეს სამი ფორმა არეულია ერთმანეთში (ასეთ შეცდომას უშვებენ გოლუნიკი და სტროგოვიჩი). სახელმწიფოს და სამართლის თეორიის სახელმძღვანელოს ავტორები). რასაკვირველია, წერს ვილნიანსკი, საბჭოთა სასამართლოს არ შეუძლია და მან არც უნდა შექმნას კანონები, ასეთი ხელისუფლება სასამართლოს არ ეკუთვნის. მაგრამ კანონის ცნება არ ემთხვევა სამართლის ნორმის ცნებას, სამართლის ნორმას ქმნის არა მხოლოდ კანონი. საბჭოთა სასამართლოებმა უნდა გადაწყვიტონ საქმე არსებული სამართლის საფუძველზე, ხოლო სამართალი არ ამოიწურება კანონის ცნებით<sup>1</sup>.

სახელმწიფოს და სამართლის თეორიის სახელმძღვანელოს ავტორები ფიქრობენ, რომ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მითითებანი არ ჰქმნიან სასამართლო პრეცედენტს, საერთოდ არ შეადგენენ სამართლის წყაროს, ვინაიდან ისინი მოცემულია კანონის ფარგლებში და კანონის საფუძველზე. მათი აზრით, პლენუმის სახელმძღვანელო მითითებანი მხოლოდ „აჯამებენ“ სასამართლოების ყველაზე უფრო ტიპიურ შეცდომებს და მიუთითებენ მათ, თუ როგორ უნდა აიცილონ თავიდან შეცდომები მომავალში. ეს აზრი ვილნიანსკის მკდარად მიაჩნია. არ შეიძლება, ამბობს იგი, პლენუმის ამოცანის დაყვანა მხოლოდ სასამართლო ორგანოთა შეცდომების გასწორებაზე. თვით ავტორები აღი-

<sup>1</sup> Ученые труды ВШЮН, 1947, вып. IX, „Значение суд. практики в советском праве“.



რებენ, რომ მოქმედ კანონმდებლობაში აუცილებელია ხარვეზები და გაურკვეველი ადგილები. ვინ ავსებს ამ ხარვეზებს? ვილნიანსკის მოჰყავს უმაღლესი სასამართლოს 82-რე პლენუმის დადგენილება, რომელიც ეწინააღმდეგება დასახელებულ ავტორთა აზრს. ჩვენ კანონმდებლობაში არაა წესები სხვადასხვა ადგილების კანონების გამოყენების შესახებ (უკეთეს მოკავშირე რესპუბლიკების კანონები ერთმანეთს არ ეთანხმება), უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა კი ეს წესები დაადგინა.

სასამართლო წყობალების კანონის 75-ე მუხლიც არ ზღუდავს პლენუმის ამოცანებს შეცდომების გასწორებით. თუ შევადარებთ ერთმანეთს 1938 წ. 16 აგვისტოს კანონს სასამართლო წყობილების შესახებ 1929 წ. 24 ივლისის დებულებას სსრკ-ის უმაღლესი სასამართლოს შესახებ, დავინახავთ, რომ კანონი სასამართლო წყობილების შესახებ აფართოებს პლენუმის ამოცანებს. დებულების მიხედვით პლენუმის ამოცანას შეადგენდა მოქმედი კანონმდებლობის ახსნა-განმარტება, ხოლო სასამართლო წყობილების კანონის 75-ე მუხლის თანახმად უმაღლესი სასამართლოს პლენუმი იძლევა „სახელმძღვანელო მითითებებს“ სასამართლო პრაქტიკის საკითხებში<sup>1</sup>.

ვილნიანსკი არ ეთანხმება ორლოვსკის აზრს, რომ პლენუმის სახელმძღვანელო მითითებანი წარმოადგენენ სასამართლო პრაქტიკას, ვინაიდან ეს მითითებანი არ შეადგენენ გადაწყვეტილებას ამა თუ იმ საქმეზე. პლენუმის მითითებანი, ამბობს ვილნიანსკი, უფრო ნორმატიული აქტებია, რომლებიც ენათესავენ, მაგალითად, სამინისტროთა ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და, მაშასადამე, სამართლის წყაროს წარმოადგენენ. მაგრამ იმის გამო, რომ უმაღლეს სასამართლოს უკავია განსაკუთრებული მდგომარეობა, იგი არაა მმართველობის ორგანო და ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასამართლო ორგანოს წარმოადგენს, იმის გამო, რომ იგი იძლევა სახელმძღვანელო მითითებებს იმ გადაწყვეტილებათა საფუძველზე, რომლებიც სსრკ-ის უმაღლესმა სასამართლომ მიიღო განხილულ სასამართლო საქმეებზე. ეს მითითებანი იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკასთან, რომ საბჭოთა სამართლის წყაროების სისტემაში ისინი განხილულ უნდა იქნას სასამართლო პრაქტიკასთან ერთად<sup>2</sup>.

გოლუნსკი და სტროგოვიჩი ფიქრობენ, რომ პლენუმის სახელმძღვანელო მითითებანი სამართლის წყაროს არ წარმოადგენენ, ვინაიდან ისინი მოცემულია კანონის ფარგლებში და კანონის საფუძველზე. მაგრამ, წერს ვილნიანსკი, სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი და განკარგულებანიც, სამინისტროთა ბრძანებანიც და ინსტრუქციებიც კანონის საფუძველზე გამოიცემა, ამავე დროს არავინ არ გამოთქვამს ეჭვს, რომ ისინი სამართლის წყაროებს შეადგენენ<sup>3</sup>.

ჩვენ შევჩერდით პროფ. ვილნიანსკის მოსაზრებებზე იმიტომ, რომ ეს მოსაზრებანი თავისი დასაბუთებით და ლოგიკური დამაჯერებლობით გამო-

<sup>1</sup> Ученые труды ВШОН, вып. IX, „Значение суд. практики в советском праве“.

<sup>2</sup> იქვე, 250.

<sup>3</sup> იქვე.



ირჩევიათ. ვილნიანსკის არგუმენტები თავისი ბუნებით იმდენად ნათელი და ცხადია, რომ განსაკუთრებულ განმარტებას არ საჭიროებენ.

იმ მოსაზრებების შედეგად, რაც ზემოთ იყო მოტანილი, ვფიქრობთ, რომ საკითხი, წარმოდგენს თუ არა სასამართლო პრაქტიკა სამართლის წყაროს საბჭოთა სამართალში, დადებითად უნდა იქნას გადაჭრილი.

სტალინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სისხლის სამართლის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1955. X. 15)

ალ. ვაჩეიშვილი

## Понятие источника права в советской правовой науке

### Резюме

В своей статье автор дает характеристику общего состояния учения об источниках права. Как известно, вопрос об источниках права является одним из основных вопросов теории права. В статье рассмотрены и подвергнуты анализу взгляды дореволюционных авторов — Коркунова, Петражицкого, Тарановского и др. и указана ошибочность их позиции в данном вопросе.

Следует отметить, что в специальной литературе понятие источника права имеет различное содержание. В статье, естественно, преимущественное внимание уделяется юридическому его пониманию.

Главным образом изучены концепции советских юристов — проф. Кечекьяна, Исаева и др. Автора интересовало общее понятие источника права. С этой точки зрения наиболее правильным следует считать следующее определение: „Источниками советского права в юридическом смысле являются формы выражения права, при помощи которых социалистическое государство устанавливает обязательность правил поведения граждан и деятельности государственных и общественных организаций, учреждений и предприятий“.

Что же касается отдельных видов источника права, то в виде исключения рассмотрена судебная практика. В результате изучения данного вопроса автор разделяет взгляд тех ученых, которые судебную практику признают источником права.



ბ. ჭანუყვაძე

## საზოგადოებრივი წარმოების ორ ქვედანაყოფს შორის თანაუარლოვის საკითხისათვის

საზოგადოებამ რომ ცხოვრება და განვითარება შეძლოს, ამისათვის აუცილებელია ადამიანებს ჰქონდეთ საკვები პროდუქტები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საცხოვრებელი ბინა, სათბობი და მატერიალური დოვლათის სხვა მრავალი სახე, ე. ი. ადამიანთა არსებობისათვის აუცილებელი საშუალებები, საარსებო საშუალებები. ამრიგად, მატერიალური დოვლათის წარმოება აუცილებელია ადამიანთა საზოგადოების განვითარების ყველა საფეხურისათვის. საზოგადოება წარმოდგენილია მოხმარების გარეშე, მოხმარება კი წარმოების გარეშე არ არსებობს. „წარმოება შესაძლებლად ხდის მოხმარებას, რომლის მასალასაც იგი ქმნის და რომელიც უმისოდ მოკლებული იქნებოდა ობიექტს. მაგრამ მოხმარებაც შესაძლებლად ხდის წარმოებას, რადგან მხოლოდ იგი ქმნის პროდუქტებისათვის სუბიექტს, რომლისთვისაც ისინი პროდუქტებს წარმოადგენენ. პროდუქტი თავის უკანასკნელ დასრულებას (finisch) მხოლოდ მოხმარებაში ლებულობს“<sup>1</sup>.

წარმოების მუდმივი განახლება არის კვლავწარმოების პროცესი. კვლავწარმოების ერთადერთ სწორ მეცნიერულ ახსნას იძლევა კვლავწარმოების მარქსისტულ-ლენინური თეორია. მარქსიზმი გვასწავლის, რომ წარმოება ყოველთვის საზოგადოებრივი წარმოებაა. წარმოება საერთოდ არის აბსტრაქცია და გონივრული აბსტრაქცია. როცა ვლაპარაკობთ წარმოების შესახებ, აქ აუცილებლად ვგულისხმობთ წარმოების განსაკუთრებულ დარგებს (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მრეწველობა და სხვ.), ე. ი. წარმოება ყოველთვის წარმოების განსაკუთრებული დარგების ერთობლიობაა.

მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომია სწავლობს წარმოების არა რომელიმე ცალკეულ დარგს, ან საქონლის სახმარ ღირებულებას, რაც საქონელმოცოდნობის კვლევის საგანია, არამედ იგი სწავლობს მატერიალური დოვლათის წარმოების, საზოგადოებრივი წარმოებისა და განაწილების კანონებს ადამიანთა საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე.

ამრიგად, წარმოების ტექნიკურ მხარეს შეისწავლის საქონელმოცოდნობა, ტექნოლოგია, ფიზიკა, აგრონომია, ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მეც-

<sup>1</sup> კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953, გვ. 267.



ნიერებათა სხვა დარგები. ხოლო წარმოების საზოგადოებრივ მხარეს, ადამიანთა ურთიერთობებს წარმოების პროცესში, ე. ი. ეკონომიურ ურთიერთობებს საწარმოო ძალებთან ურთიერთმოქმედებაში შეისწავლის პოლიტიკური ეკონომია.

წარმოება არის ამოსავალი პუნქტი, ხოლო მოხმარება საბოლოო პუნქტი. რაც შეეხება განაწილებასა და გაცვლას, ისინი წარმოადგენს შუაგულს. წარმოება, განაწილება, გაცვლა, მოხმარება შეადგენს ნამდვილ სილოგიზმს,—აღნიშნავს კ. მარქსი. წარმოება არ არსებობს მოხმარების გარეშე—და პირიქით. წარმოების პირობები იმავე დროს არის კვლავწარმოების პირობებიც. კვლავწარმოების ნამდვილი, მეცნიერული თეორია შექმნეს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა. კვლავწარმოების მარქსისტულ-ლენინური თეორია იძლევა ერთადერთ, სწორ მეცნიერულ გარკვევას წარმოების საზოგადოებრივი მხარისას.

ყველა ეკონომისტის ცდა მარქსამდე—აეხსნა კაპიტალისტური წარმოებისა და კვლავწარმოების არსი, მარცხით მთავრდებოდა. ეს ეკონომისტები გამოხატავდნენ ექსპლოატატორული კლასების ინტერესებს და მათ ხელიდან არ გაუშვიათ შემთხვევა, რათა არსებული წარმოების წესი აეხსნათ ექსპლოატატორული კლასების სასარგებლოდ.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ფრანსუა კენემ პირველად სცადა მოეცა წარმოებისა და კვლავწარმოების პროცესის ახსნის სქემა. მან თავის „ეკონომიურ ტაბულაში“ დააყენა საკითხი საზოგადოებრივი წარმოების ანალიზის შესახებ, მაგრამ ვერ შეძლო კვლავწარმოების პროცესის პრობლემის ახსნა, თუმცა კ. მარქსი კვლავწარმოების პროცესის კენეს მიერ მოცემულ გამოსახულებას თავისი დროისათვის გენიალურ გამოსახულებად თვლიდა. კვლავწარმოების პროცესის მეცნიერული ახსნა ვერც კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ შეძლო. პირიქით, ა. სმიტმა კენესა და ფიზიოკრატებთან შედარებით არათუ განავითარა კვლავწარმოების კენეს სქემები, არამედ, უფრო მეტიც, არეგდარევა შეიტანა მასში. „კვლავწარმოების პროცესის, მაშასადამე, ასევე დაგროვების, დახასიათების მხრივ ა. სმიტმა ბევრ შემთხვევაში არამცთუ წინ ვერ გადადგა ნაბიჯი, არამედ, თავის წინამორბედებთან და განსაკუთრებით ფიზიოკრატებთან შედარებით, გადაქრით უკან დაიხია“<sup>1</sup>.

კ. მარქსმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ბურჟუაზიული ეკონომისტების (სმიტის, რიკარდოს, სისმონდის და სხვ.) შეხედულებანი, ახსნა კაპიტალისტური წარმოების წესის წარმოშობის, განვითარებისა და დაღუპვის კანონები და შეიმუშავა ნამდვილი, მეცნიერული თეორია კვლავწარმოების შესახებ. კ. მარქსმა უკუაგდო სმიტის „მოძღვრება“ კვლავწარმოებისა და ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის შესახებ. „ა. სმიტის პირველი შეცდომა,—წერს კ. მარქსი,—იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ განასხვავებს წლიურ პროდუქტთა ღირებულებას წლიური ღირებულებითი პროდუქტისა-

<sup>1</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, 1954, გვ. 745.



გან<sup>1</sup>. სმიტის ერთერთი მთავარი შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ მან საზოგადოებრივი პროდუქტიდან ამოგდო მუდმივი კაპიტალის ამნაზღაურებელი ნაწილი და არეგდარევა შეიტანა საზოგადოებრივი პროდუქტის დაყოფისა და რეალიზაციის საკითხში. სმიტის შეცდომა (სმიტის დოგმა) გადაიღეს და აქედან გამომდინარე მცდარად ჰქონდათ გაგებული კვლავწარმოების საკითხი სისმონდისა და რუს სისმონდისტებს — ლიბერალურ-ნაროდნიკებს (ვორონცოვს, მიხაილოვსკის, დანიელსონს და სხვ.). ვ. ი. ლენინმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა სმიტის, სისმონდის, ნაროდნიკების ეკონომიური მოძღვრება. ნაროდნიკების ეკონომიურ მოძღვრებას უწოდა საერთოევროპული რომანტიზმის რუსული სახესხვაობა. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა ნილაბი ჩამოგლიჯეს ბურჟუაზიულ ეკონომისტებს და მოგვცეს საზოგადოებრივი წარმოებისა და კვლავწარმოების ნამდვილი, მწყობრი, მეცნიერული თეორია.

\* \* \*

კვლავწარმოების მარქსისტულ-ლენინური თეორიის თანახმად, საზოგადოების მიერ დროის გარკვეულ-მონაკვეთში (მაგალითად, ერთი წლის განმავლობაში) შექმნილი პროდუქტი არის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი. სოციალიზმის დროს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის განაწილების მეცნიერული სქემა შემუშავა კ. მარქსმა თავის ნაშრომში „გოთას პროგრამის კრიტიკისათვის“. სოციალისტურ საზოგადოებაში ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი, ე. ი. წლის განმავლობაში შექმნილი მთელი მატერიალური დოვლათი, ნაწილდება შემდეგნაირად: მოხმარებულ წარმოების საშუალებათა ასანაზღაურებლად საქირო ნაწილი ანუ ანაზღაურების ფონდი. ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ეს ნაწილი — ანაზღაურების ფონდი, უბრუნდება ისევ წარმოებას და გამოიყენება წარმოების განახლებისათვის იმავე მასშტაბით (მარტივი კვლავწარმოება). ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტიდან ანაზღაურების ფონდის გამოკლების შემდეგ რჩება ნაციონალური შემოსავალი, რაშიც ახლად დახარჯული შრომაა განხორციელებული. ნაციონალური შემოსავალი თავის მხრივ იყოფა ორ ძირითად ფონდად: 1) დაგროვების ფონდად და 2) მოხმარების ფონდად. დაგროვების ფონდი გამოიყენება წარმოების გაფართოებისათვის — ახალი ფაბრიკა-ქარხნების, ელექტროსადგურების, რკინიგზების, კულტსაყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობისათვის და სხვა საერთო-საზოგადოებრივი ღონისძიებებისათვის, გაფართოებული კვლავწარმოების მიზნებისათვის. მოხმარების ფონდი გამოიყენება სოციალისტური საზოგადოების წევრთა პირადი მოხმარებისათვის. ამრიგად, ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ერთი ნაწილი ხმარდება წარმოების განახლებასა და გაფართოებას, ხოლო მეორე ნაწილი — საზოგადოების წევრთა პირად მოხმარებას. ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ნაწილის გამოყენებას სახალხო მოხმარებისათვის კ. მარქსი უწოდებს პირად მოხმარებას, ხოლო მეორე ნაწილის გამოყენებას წარმოების



განახლებისა და გაფართოების მიზნებისათვის საწარმოო ანუ პროდუქტიულ მოხმარებას. ამიტომ კვლავწარმოების პროცესის ანალიზის დროს „მარქსი მთელ საზოგადოებრივ წარმოებას—და, მაშასადამე, მთელ საზოგადოებრივ პროდუქტსაც,—ჰყოფს ორ ქვეგანაყოფად: 1) წარმოება წარმოების საშუალებებისა, ე. ი. პროდუქტიული კაპიტალის ელემენტებისა, —საქონლისა, რომელიც შეიძლება დაიხარჯოს მხოლოდ პროდუქტიულ მოხმარებაზე, და II) წარმოება მოხმარების საშუალებებისა, ე. ი. საქონლისა, რომელიც იხარჯება მუშათა კლასისა და კაპიტალისტთა კლასის პირად მოხმარებაზე“<sup>1</sup>. მაშასადამე, მთელი საზოგადოებრივი წარმოება იყოფა ორ ძირითად ქვეგანაყოფად— 1) წარმოების საშუალებათა წარმოება და 2) მოხმარების საგნების წარმოება. საზოგადოებრივი წარმოების ორივე ქვეგანაყოფში შექმნილი პროდუქციაც თავისი ნატურალური ფორმის მიხედვით იყოფა წარმოების საშუალებებად და მოხმარების საშუალებებად.

ისმება კითხვა: საზოგადოებრივი წარმოების რომელი დარგები მიეკუთვნება წარმოების საშუალებათა წარმოებას, ე. ი. I ქვეგანაყოფს, და მზა პროდუქციის რა ნაწილი შეადგენს წარმოების საშუალებებს? ამ კითხვაზე ნათელ პასუხს იძლევა კვლავწარმოების მარქსისტულ-ლენინური თეორია. წარმოების საშუალებებს შეადგენს შრომის საგანი და შრომის საშუალებები (წარმოების იარაღები, საწარმოო შენობები, საწყობები, მიწა, არხები, გზები და სხვ.), წარმოების საშუალებებში გადამწყვეტ როლს თამაშობს წარმოების იარაღები რომელთა საშუალებითაც მზადდება მატერიალური დოვლათი. წარმოების საშუალებებში შედის აგრეთვე მიწა, ტყე, წყალი, წიაღი და სხვ. წარმოების სხვა საშუალებებისაგან, წარმოების იარაღებისაგან განსხვავებით, მაგალითად, მიწა, წყალი, წიაღი და სხვა არ არის ადამიანური შრომის პროდუქტი, წარმოების პროდუქტი. როცა ვლახარაკობთ წარმოების საშუალებათა წარმოებაზე უნდა გვახსოვდეს განსხვავება, რომელიც არსებობს წარმოების იარაღების წარმოებასა და შრომის საგნების (ნედლეული და დამხმარე მასალები) წარმოებას შორის. წარმოების საშუალებათა წარმოება გულისხმობს უპირველეს ყოვლისა წარმოების იარაღების წარმოებას, რადგან გამორიცხულია წარმოების იმ საშუალებათა წარმოება როგორცაა მიწა, ტყე, წიაღი და სხვ. ხოლო ნედლეულის წარმოება და საერთოდ წარმოება შეუძლებელია წარმოების იარაღების გარეშე. გამომდინარე აქედან, როცა ვლახარაკობთ წარმოების საშუალებათა წარმოებაზე, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება წარმოების იარაღების წარმოება, რომელსაც წამყვანი ადგილი უჭირავს წარმოების საშუალებებში. მაშასადამე, წარმოების საშუალებების წარმოებას მიეკუთვნება მანქანებისა და მოწყობილობის წარმოება, ლითონის წარმოება, სათბობის წარმოება, ელექტროენერჯის წარმოება და სხვ.

საზოგადოებრივი წარმოება შედგება მრავალი დარგისა და ქვედარგისაგან. საზოგადოებრივი წარმოების ის დარგები, რომლებიც წარმოების საშუალებებს ამზადებს, პირველ რიგში წარმოების იარაღებს, შეადგენს I ქვე-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I, გვ. 80—81.



დანაყოფს ანუ წარმოების საშუალებათა წარმოებას, გამომდინარე აქედან I ქვედანაყოფს მიეკუთვნება არა მთელი მრეწველობა, არამედ მძიმე მრეწველობა. მთელი მრეწველობა იყოფა „ა“ და „ბ“ ჯგუფებად. „ა“ ჯგუფი არის წარმოების საშუალებათა დამამზადებელი დარგი, ხოლო „ბ“ ჯგუფი მოხმარების საგნების მწარმოებელი. „ა“ ჯგუფს მიეკუთვნება მძიმე მრეწველობა— მისი გულით მანქანათმშენებლობით. „ა“ ჯგუფში შედის შავი და ფერადი მეტალურგია, ელექტროსადგურების მშენებლობა, ქვანახშირის მრეწველობა, ჩარხმშენებლობა, ქიმიური მრეწველობა, საშენ მასალათა წარმოება და სხვ.

ამრიგად, საზოგადოებრივი წარმოების I ქვედანაყოფში შედის პირველ რიგში მძიმე მრეწველობა, მრეწველობის „ა“ ჯგუფი მთლიანად. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი წარმოების I ქვედანაყოფი და „ა“ ჯგუფი ერთი და იგივე იყოს. I და II ქვედანაყოფი არის მთელი საზოგადოებრივი წარმოების ორი შემადგენელი ნაწილი, ხოლო დაყოფა „ა“ და „ბ“ ჯგუფად ეხება მარტო მრეწველობას. მაშასადამე, I ქვედანაყოფი უფრო ფართო ცნებაა და მასში გარდა „ა“ ჯგუფისა შევა სახალხო მეურნეობის ზოგიერთი სხვა დარგი და ქვედარგი, რომლებიც ნედლეულს ამზადებს, მაგალითად, სოფლის მეურნეობის ზოგიერთი დარგი (შაქრის ჭარბლისა და სხვა სახის ნედლეულის წარმოება მრეწველობისათვის).

მრეწველობის ის დარგები, რომლებიც მოხმარების საგნებს ამზადებს, შეადგენს „ბ“ ჯგუფს, მსუბუქ მრეწველობას (საფეიქრო და კვების მრეწველობა და სხვ.), „ბ“ ჯგუფი მიეკუთვნება II ქვედანაყოფს. გარდა „ბ“ ჯგუფისა, საზოგადოებრივი წარმოების II ქვედანაყოფში შევა პირადი მოხმარების საგნების დამამზადებელი დარგები სოფლის მეურნეობიდან. მოხმარების საშუალებათა წარმოებას მიეკუთვნება—საკვები პროდუქტების წარმოება, ქსოვილების, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის წარმოება, საყოფაცხოვრებო და ნიშნულების საგნების წარმოება და სხვ.

მეგვრამი ორგანოებისა და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ მიღებულია მრეწველობის დარგებისა და გამოშვებული პროდუქციის სხვადასხვა სახეობის კლასიფიკაცია. სახალხო მეურნეობის ის დარგები, რომლებიც წარმოების საშუალებებს ამზადებს, მიეკუთვნება I ქვედანაყოფს, ხოლო მოხმარების საგნების დამამზადებელი დარგები—II ქვედანაყოფს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მძიმე მრეწველობის დარგები ამზადებს მხოლოდ და მხოლოდ წარმოების საშუალებებს, ან პირიქით, მოხმარების საგნების დამამზადებელი დარგები—მხოლოდ მოხმარების საგნებს. არის პროდუქციის ისეთი სახეები, რომლებიც გამოიყენება როგორც საწარმოო, ისე პირადი მოხმარებისათვის; მაგალითად, ელექტროენერგია, სათბობი და სხვ. მიეკუთვნება I ქვედანაყოფს, წარმოების საშუალებათა წარმოებას, მაგრამ ამასთან ერთად გამოიყენება პირადი მოხმარებისათვის (ვანათება, გათბობა და სხვ.). ასევე, მსუბუქი მრეწველობის ისეთი სახის პროდუქცია, როგორიც არის ქსოვილები, ფქვილი, შაქარი და სხვ., გამოიყენება პირადი მოხმარებისთვისაც და აგრეთვე საწარმოო მოხმარებისათვისაც (მაგალითად, ქსოვილი გამოიყენება როგორც შრომის სავანი სამკერვალო ფაბრიკებში, შაქარი—საკონ-



დიტრო წარმოებაში და სხვ.). გამოდის, რომ პროდუქციის ზოგიერთი სახეობა შეიძლება მიეკუთვნოს როგორც I, ასევე II ქვედანაყოფს. საერთო პროდუქციის აღრიცხვისა და განაწილების სიმარტივისა და სიზუსტისათვის მიღებულია ასეთი კლასიფიკაცია: „ა“ ჯგუფს მიეკუთვნება პროდუქციის ის ნაწილი, რომელიც მიდის საწარმოო მოხმარებისათვის, ხოლო „ბ“ ჯგუფს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც მიდის უშუალოდ პირად მოხმარებაზე. მაშასადამე, ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი შეიცავს როგორც პროდუქტიულ, ისე ინდივიდუალურ მოხმარებას. წარმოების საშუალებებს (ძირითადად წარმოების იარაღებს) აქვს ისეთი ფორმა, რომ მათ შეუძლიათ და უნდა შევიდნენ პროდუქტიულ მოხმარებაში, ე. ი. უბრუნდებიან მატერიალური წარმოების სფეროს, ხოლო პირადი მოხმარების საგნები მიდის სახალხო მოხმარებაზე. „მაშასადამე, წლიური პროდუქტის განსახვრული რაოდენობა წარმოებას ეკუთვნის. იგი იმთავითვე მწარმოებლური მოხმარებისათვის არის განკუთვნილი და უმთავრესად ისეთი ნატურალური ფორმით არსებობს, რომელიც თავისთავად უარყოფს ინდივიდუალურ მოხმარებას“<sup>1</sup>.

\* \* \*

კაპიტალისტური წარმოებისა და კვლავწარმოების მეცნიერული თეორია შექმნა კ. მარქსმა. კვლავწარმოების მარქსისტული სქემები, მისი თეორია კაპიტალისტური წარმოების სპეციფიკას ასახავს. ამასთან ერთად ეს სქემები შეიცავს კვლავწარმოების მთელ რიგ ძირითად დებულებებს, რომლებსაც ძალა აქვს არა მარტო კაპიტალისტური ფორმაციისათვის, არამედ სოციალისტურ საზოგადოებაშიც.

როგორც ი. ბ. სტალინი აღნიშნავს, კვლავწარმოების მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძირითადი დებულებები მარტივი და გაფართოებული კვლავწარმოების შესახებ, ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის შესახებ, საზოგადოებრივი წარმოების დანაწილების შესახებ წარმოების საშუალებათა წარმოებად და მოხმარების საშუალებათა წარმოებად, I და II ქვედანაყოფს შორის თანაფარდობის შესახებ, გაფართოებული კვლავწარმოების დროს წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდის შესახებ და სხვ.—ყოველივე ეს მთელ თავის მნიშვნელობას ინარჩუნებს სოციალიზმისა და კომუნისმის დროს.

ამრიგად, კვლავწარმოების მარქსისტულ-ლენინური თეორიის ერთ-ერთი ძირითადი დებულება, რომელსაც ძალა აქვს როგორც კაპიტალისტურ საზოგადოებაში, ასევე სოციალიზმის დროსაც, არის მთელი საზოგადოებრივი წარმოების დაყოფა ორ დიდ ქვედანაყოფად, ხოლო ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა—წარმოების საშუალებებად და მოხმარების საშუალებებად. კვლავწარ-

<sup>1</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 713.



მოების მარქსისტულ-ლენინურ თეორიაში უაღრესად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს თანაფარდობას საზოგადოებრივი წარმოების I და II ქვედანაყოფებს შორის.

საზოგადოებრივი წარმოების I და II ქვედანაყოფს შორის თანაფარდობის ფორმულები შეიქმნა კ. მარქსმა. ეს თანაფარდობა იმაში მდგომარეობს, რომ  $I(v+m) > IIc$ , რაც გაფართოებულ კვლავწარმოების ამოსავალ პირობას წარმოადგენს. აღნიშნული ფორმულა იმას გვიჩვენებს, რომ I ქვედანაყოფის ცვალებადი კაპიტალისა (V) და ზედმეტი ღირებულების (m) ჯამი მეტი უნდა იყოს II ქვედანაყოფის მუდმივ კაპიტალზე (C-ზე), ე. ი. პირველი ქვედანაყოფის  $(v+m)$ -ის ჯამი ყოველთვის უფრო სწრაფად უნდა იზრდებოდეს მეორე ქვედანაყოფის მუდმივი კაპიტალის (C) ზრდასთან შედარებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი არ ექნებოდა გაფართოებულ კვლავწარმოებას, წარმოების გაფართოებას, დაგროვებას. იმ შემთხვევაში, თუ  $I(v+m) = IIc$ , ე. ი. პირველი ქვედანაყოფის ცვალებადი კაპიტალისა და ზედმეტი ღირებულების ჯამი ტოლია II ქვედანაყოფის მუდმივი კაპიტალისა, ადგილი ექნება წარმოების განმეორებას, განახლებას იმავე მასშტაბით ანუ მარტივ კვლავწარმოებას. საზოგადოების განვითარებისათვის კი აუცილებელია გაფართოებული კვლავწარმოება, რომლის ამოსავალ პირობას შეადგენს თანაფარდობა  $I(v+m) > IIc$ . ეს თანაფარდობა იმას გვიჩვენებს, რომ წარმოების საშუალებათა წარმოება მუდამ წინ უნდა უსწრებდეს მოხმარების საშუალებათა წარმოებას. სხვანაირად რომ ვთქვათ, საზოგადოებრივი შრომის წილი, რომელიც I ქვედანაყოფშია მოთავსებული, ე. ი. წარმოების საშუალებათა წარმოებას ხმარდება, უფრო სწრაფად უნდა იზრდებოდეს, ვიდრე ამას ადგილი აქვს II ქვედანაყოფში. მაშასადამე, საზოგადოებრივი წარმოების ქვედანაყოფთა განვითარების ტემპი სხვადასხვაა, I ქვედანაყოფის ზრდის ტემპი წინ უსწრებს II ქვედანაყოფის ზრდის ტემპს, როგორც ობიექტური აუცილებლობა.

ასეთი თანაფარდობა საზოგადოებრივი წარმოების ორი ქვედანაყოფის განვითარებაში აიხსნება შემდეგი გარემოებით: წარმოების გასაფართოებლად საჭიროა დამზადდეს იმაზე მეტი წარმოების საშუალებები (ლითონი, დაზვები, ქვანახშირი, სხვადასხვა მანქანა-დანადგარი, ნედლეული და სხვ.), რაც მოხმარებულ იქნა. „წარმოების გასაფართოებლად („დასავგროვებლად“ — ამ ტერმინის კატეგორიული მნიშვნელობით) საჭიროა შეიქმნას ჯერ წარმოების საშუალებანი, ამისათვის კი საჭიროა, მაშასადამე, გაფართოვდეს საზოგადოებრივი პროდუქციის ის განყოფილება, რომელიც წარმოების საშუალებებს ამზადებს“<sup>1</sup>. ამრიგად, მთელი საზოგადოებრივი წარმოების გაფართოება და აღმავლობა შესაძლებელია მხოლოდ წარმოების საშუალებათა უპირატესი წარმოების საფუძველზე. II ქვედანაყოფის განვითარება თავის მხრივ დამოკიდებულია I ქვედანაყოფის განვითარებაზე. წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდა, — გვასწავლის მარქსიმ-ლენინიზმი, — აიხსნება შემდეგით: საზოგადოებრივი წარმოების I ქვედანაყოფი საჭირო მოწყობილობით უზრუნველ-

<sup>1</sup> ე. ი. ლენინი, თხზ., ტ. II, გვ. 176—177.



ყოფს პირველ რიგში თვით წარმოების საშუალებათა დამამზადებელ დარგებს; მანქანა-დანადგარებსა და სხვა საშუალებებს II ქვედანაყოფს აწვდის I ქვედანაყოფი; წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი განვითარება აუცილებელია იმიტომაც, რომ ამის გარეშე შეუქმნელია გაფართოებული კვლავწარმოებისა და დაგროვების განხორციელება, ხოლო ისეთი საზოგადოება, რომელიც წლითიწლობით არ აგროვებს და არ ვითარდება გაფართოებული კვლავწარმოების მასშტაბით, განწირულია დასაღუპავად.

I ქვედანაყოფის უფრო სწრაფი ტემპით ზრდის საფუძველზეა შესაძლებელი როგორც წარმოების საშუალებათა მწარმოებელი, ასევე სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი გაფართოება და განვითარება. გამომდინარე აქედან, წარმოების საშუალებათა წარმოება თავის მხრივ მოიცავს წარმოების საშუალებათა წარმოებას თვით I ქვედანაყოფისათვის და წარმოების საშუალებათა წარმოებას II ქვედანაყოფისათვის.

ცნობილია, რომ წარმოება არის ამოსავალი პუნქტი. წარმოებაში კი პრიმატი ეკუთვნის წარმოების საშუალებათა წარმოებას. წარმოების საშუალებათა უპირატესი ზრდა, როგორც ობიექტური აუცილებლობა, კანონზომიერება აღმოაჩინა კ. მარქსმა. ახალ ისტორიულ პირობებში, გაანადგურა რა ნაროდნიკების ეკონომიური შეხედულებანი. ვ. ი. ლენინმა თავის აღრინდელ შრომებში „ეგრეთწოდებული ბაზრების საკითხის გამო“, „ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის“, „კიდევ რეალიზაციის თეორიის საკითხისათვის“ და სხვ. დაიცვა და განავითარა კვლავწარმოების მარქსისტული სქემები. ლენინმა გააშუქა დიალექტიკური კავშირთა თეორიისათვის საზოგადოებრივი წარმოების ორ ქვედანაყოფს შორის, ახსნა აუცილებელი კავშირი, ურთიერთობა და პროპორციები კაპიტალისტური წარმოების ორ ქვედანაყოფს შორის.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომებში მეცნიერულად არის დასაბუთებული, რომ საზოგადოებრივი წარმოების I და II ქვედანაყოფს შორის თანათარღობის მარქსისტული ფორმულა  $I(v+m) > IIc$  ძალაში რჩება სოციალიზმისა და კომუნისმის დროსაც.

ვ. ი. ლენინი წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატეს ზრდას მოხმარების საშუალებათა წარმოების ზრდასთან შედარებით უწოდებს ეკონომიურ კანონს. ეს კანონი საზოგადოებრივი წარმოების ორ ქვედანაყოფს შორის მყარი შინაგანი, აუცილებელი კავშირისა და ურთიერთობის გამოხატულებაა. „ცნობილია, — აღნიშნავს ვ. ი. ლენინი, — რომ კაპიტალის განვითარების კანონი იმაში მდგომარეობს, რომ მუდმივი კაპიტალი ცვალებად კაპიტალზე უფრო ჩქარა იზრდება, ე. ი. ახლად წარმოქმნილი კაპიტალების სულ უფრო და უფრო მეტი ნაწილი გადადის საზოგადოებრივი მეურნეობის იმ განყოფილებაში, რომელიც წარმოების საშუალებებს ამზადებს, მაშასადამე, ეს განყოფილება აუცილებლად იმ განყოფილებაზე ჩქარა იზრდება, რომელიც მოხმარების საგნებს ამზადებს“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 177.



როცა ლაპარაკია წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდის ეკონომიური კანონის მოქმედებაზე, აუცილებლად უნდა ვიგულისხმოთ პირველ ყოვლისა წარმოების იარაღების—მანქანების, დაზგების, ლითონის და სხვათა, ე. ი. მძიმე მრეწველობის განვითარება, რადგან მარქსიზმი გამოდის წარმოების ყველა სხვა საშუალებასთან (წარმოების იარაღების, ნედლეულის, მიწის და ა. შ.) შედარებით წარმოების იარაღების განმსაზღვრელი როლიდან. წარმოების იარაღების გარეშე არ შეიძლება წარმოება არც ნედლეულისა და პროდუქციის არც სხვა სახეებისა. როდესაც მარქსისტები წარმოების საშუალებათა წარმოებაზე ლაპარაკობენ, მათ მხედველობაში აქვთ უწინარეს ყოვლისა წარმოების იარაღების წარმოება,—ის, რასაც მარქსი უწოდებს „შრომის მექანიკურ საშუალებებს, რომელთა ერთობლიობას შეიძლება ეწოდოს წარმოების ძვალოვანი და კუნთოვანი სისტემა“.

ამრიგად, როცა ვლაპარაკობთ წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდის ეკონომიური კანონის მოქმედების შესახებ მხედველობაში გვაქვს წარმოების იარაღების—ლითონის, მანქანების, დაზგების, სხვადასხვა მოწყობილობისა და დანადგარების უფრო დიდი მასშტაბითა და სწრაფი ტემპით წარმოება, ვიდრე მოხმარების საგნების წარმოებისა. აქედან ბუნებრივია, აღნიშნული ეკონომიური კანონის მოქმედება ნიშნავს მძიმე ინდუსტრიის უპირატეს ზრდას მსუბუქ ინდუსტრიასთან შედარებით.

სოციალისტურ საზოგადოებაში მოქმედი წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდის ეკონომიური კანონი ეკონომიური ცხოვრების პროცესთან ასახავს კავშირურთიერთობას, რომელიც მყარდება საზოგადოებრივი წარმოების ორ ქვედანაყოფს შორის—წარმოების საშუალებათა წარმოებასა და მოხმარების საშუალებათა წარმოებას შორის, მძიმე ინდუსტრიასა და მსუბუქ მრეწველობას შორის. ამ ეკონომიური კანონის არსებითს ნიშნებს შეადგენს საზოგადოებრივი წარმოების განვითარება გაფართოებული კვლავ წარმოების მასშტაბით, ე. ი. საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელი გაფართოება და ტექნიკური სრულყოფა. აღნიშნული ეკონომიური კანონის მოთხოვნაა საზოგადოებრივი წარმოების I ქვედანაყოფის, წარმოების საშუალებათა წარმოების, მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარება. მაშასადამე, წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდის ეკონომიური კანონი გაფართოებული კვლავ წარმოების ეკონომიური კანონია, რომელიც მოქმედებს როგორც სოციალიზმის დროს, ასევე კაპიტალიზმის დროსაც. ამასთან ერთად, უნდა გვახსოვდეს, რომ ამ კანონის მოქმედების შედეგები და გამოვლინების ფორმები სხვადასხვაა. კაპიტალისტურ საზოგადოებაში ეს კანონი, როგორც სხვა ეკონომიური კანონები, მოქმედებს ბრმად, შემოვლითი ვხვით. კაპიტალისტურ საზოგადოებაში, გაფართოებული კაპიტალისტური კვლავ წარმოების დროს თანაფარდობა I და II ქვედანაყოფს შორის, პროპორციები წარმოებასა და მოხმარებას შორის, დაგროვებასა და მოხმარებას შორის სტიქიურად მყარდება. „კაპიტალისტური წარმოების დროს წარმოებასთან მოხმარე-



რების წონასწორობის მიღწევა ხდება მხოლოდ მთელ რიგ მერყეობათა გზით<sup>1</sup>.

წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი განვითარების ეკონომიური კანონის მოქმედებას კაპიტალიზმის დროს მიმართულებას აძლევს კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონი, რის გამოც ის „შემოვლითი“, „გრძელი“ გზით მოქმედებს.

როგორია აღნიშნული ეკონომიური კანონის მოქმედების ხასიათი სოციალისტურ საზოგადოებაში? განსხვავებით კაპიტალიზმის ეკონომიური კანონებისა, სოციალიზმის დროს ეკონომიური კანონები ბრმად მოქმედნი არ არიან, სტიქიურად აღარ მოქმედებენ. სოციალისტურ საზოგადოებაში ეკონომიური კანონების მოქმედება შეცნობილია და ადამიანები, ჩვენი საზოგადოება მათ შეგნებულად იყენებენ. წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდის ეკონომიური კანონის მოქმედებას მიმართულებას აძლევს, განსაზღვრავს სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონი და სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების ეკონომიური კანონი.

კაპიტალიზმის დროს მოქმედებს რა კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონი, წარმოების ანარქიისა და კონკურენციის ეკონომიური კანონი და კაპიტალიზმის სხვა სპეციფიკური ეკონომიური კანონები, I და II ქვედანაყოფს შორის პროპორციები მყარდება განუწყვეტელი რყევისა და დისპროპორციების შედეგად. სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონისა და სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების ეკონომიური კანონის მოქმედებათა საფუძველზე წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდის ეკონომიური კანონი მოქმედებს მკაფიო ფორმითა და „უმოკლესი“ გზით. ამ ეკონომიური კანონის მოქმედების თავისებურებათა განმომხატველია ინდუსტრიალიზაციის კაპიტალისტური და სოციალისტური მეთოდების მაგალითი.

ინდუსტრიალიზაცია კაპიტალიზმის პირობებში, როგორც წესი, იწყება მსუბუქი მრეწველობის განვითარებით, რადგან ეს დარგი ნაკლებ კაპიტალდაბანდებებს მოითხოვს და მოგებასაც მალე იძლევა, ქმნის პირობებს კაპიტალის დაგროვებისათვის დიდი მასშტაბით. ამის შემდეგ იწყება მძიმე მრეწველობის განვითარება, ასეთი რყევისა და გრძელი გზის გავლის შემდეგ მყარდება აუცილებელი შესაბამისობა მძიმე და მსუბუქ მრეწველობას შორის, I და II ქვედანაყოფს შორის.

სულ სხვა სურათს აქვს ადგილი სოციალიზმის დროს. სკკპ მუდამ ეყრდნობა საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების მეცნიერულ ცოდნას, I ქვედანაყოფის უპირატესი ზრდის ეკონომიურ კანონს და მუდამ ატარებდა და ატარებს ცხოვრებაში წარმოების საშუალებათა წარმოების, მძიმე ინდუსტრიის უპირატესად განვითარების ლენინურ კურსს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ჩვენს ქვეყანაში ინდუსტრიალიზაცია დაიწყეს მძიმე მრეწვე-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I, გვ. 107.



ლობის მშენებლობით, წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი განვითარებით. ინდუსტრიალიზაციის ცენტრს, მის საფუძველს შეადგენს მძიმე მრეწველობის (სათბობი, ლითონი და სხვ.) განვითარება, ბოლოს და ბოლოს წარმოების საშუალებათა წარმოების განვითარება, საკუთარი მანქანათმშენებლობის განვითარება<sup>1</sup>.

ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა ისტორიულად ძალზე მოკლე პერიოდში შექმნეს მძლავრი ინდუსტრია. წარმოების საშუალებათა მწარმოებელი დარგები, მაშინ როცა კაპიტალისტურ ქვეყნებს ათეული და ასეული წლები დასჭირდათ ინდუსტრიალიზაციისათვის, მძლავრ სამრეწველო სახელმწიფოთა შექმნისა და განვითარებისათვის. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გატარების შედეგად მკვეთრად შეიცვალა თანაფარდობა საზოგადოებრივი წარმოების I და II ქვედანაყოფს შორის, შეიქმნა მძიმე მრეწველობის ახალი დარგები, სოციალისტურმა ინდუსტრიალიზაციამ უზრუნველყო სსრ კავშირის ტექნიკურ-ეკონომიური დამოუკიდებლობა და თავდაცვაუნარიანობა.

პარტია და მთავრობა მუდამ მთავარ ყურადღებას აქცევდნენ და აქცევენ მძიმე ინდუსტრიის, წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატეს განვითარებას, როგორც ობიექტურ აუცილებლობას, ახალი, კომუნისტური საზოგადოების აშენების საქმეში. დაგროვების ფონდის უდიდესი ნაწილი ყოველთვის ხმარდება იმას, რომ უზრუნველყოფილ იქნას I ქვედანაყოფის, მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარება. პირველ ხუთწლეულში (1929—1932 წწ.) მრეწველობაში კაპიტალდაბანდებებმა შეადგინა 35,1 მილიარდი მანეთი, აქედან იძიმე მრეწველობაში დაბანდდა 30,1 მილიარდი მან. (85,5%), მეორე ხუთწლეულში (1932—1937 წწ.)—82,8 მილიარდი მან., აქედან მძიმე მრეწველობას მოხმარდა 69,1 მილიარდი მან. (83,4%), მესამე ხუთწლეულის სამნახევარ წელიწადში (1938—1941 წწ.)—81,6 მილიარდი მან., აქედან მძიმე მრეწველობას მოხმარდა 70,3 მილიარდი მან. (84,9%). 1929 წლიდან 1952 წლამდე მსუბუქ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მთლიანად დაბანდებულ იქნა 166 მილიარდი მან., ხოლო მძიმე მრეწველობასა და ტრანსპორტზე—821 მილიარდი მანეთი.

დაგროვების ფონდის დიდი ნაწილის გამოყენებამ I ქვედანაყოფის, მძიმე მრეწველობის განვითარებაზე გამოიწვია I ქვედანაყოფის უპირატესი განვითარება მოხმარების საშუალებათა წარმოების განვითარებასთან შედარებით, რასაც ადასტურებს შემდეგი ცხრილი<sup>2</sup>.

	1932 წელს 1928 წელთან შედარებით	1937 წელს 1932 წელთან შედარებით	1950 წელს 1940 წელთან შედარებით	1955 წელს 1950 წელთან შედარებით
ა“ ჯგუფი	293	238	205	180
ბ“ ჯგუფი	184	200	123	165

<sup>1</sup> ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 8, გვ. 132.

<sup>2</sup> „Вопросы экономики“ № 4, 1955, გვ. 27.



როგორც ცხრილიდან ჩანს, ადგილი აქვს მთელი სამრეწველო პროდუქციის (რომელსაც წამყვანი ადგილი უჭირავს ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში) დიდ ზრდას, უპირველეს ყოვლისა კი წარმოების საშუალებათა („ა“ ჯგუფის) უპირატეს ზრდას მოხმარების საშუალებათა წარმოების („ბ“ ჯგუფის) ზრდასთან შედარებით.

თუ ავიღებთ მთლიანად წარმოების საშუალებათა წარმოებას (I ქვედანაყოფს) და მოხმარების საშუალებათა წარმოებას (II ქვედანაყოფს) და შევადარებთ მათი ზრდის ტემპებს, ნათლად დავინახავთ წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდის ეკონომიური კანონის მოთხოვნათა ცხოვრებაში გატარების შედეგებს. მაგალითად, 1925—1953 წწ. წარმოების საშუალებათა წარმოება სსრ კავშირში გაიზარდა 55-ჯერ, ხოლო მოხმარების საშუალებათა წარმოება 12-ჯერ, სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან I ქვედანაყოფის უპირატესი ზრდა არის ობიექტური აუცილებლობა, ეკონომიური კანონის მოთხოვნა. სამრეწველო პროდუქცია ამავ პერიოდში (1925—1952) გაიზარდა 29-ჯერ, სამრეწველო პროდუქციის მატების 70%-ზე მეტი მოდის წარმოების საშუალებათა წარმოების გადიდებაზე.

I ქვედანაყოფის უპირატესი ზრდის შედეგად შეიცვალა თანაფარდობა წარმოების საშუალებათა პროდუქციასა და მოხმარების საშუალებათა პროდუქციის შორის; თუ 1924/25 წწ. წარმოების საშუალებათა წილი მთელ სამრეწველო პროდუქციაში შეადგენდა 34%-ს, 1937 წ. შეადგინა 58%, ხოლო 1953 წელს 70%; საერთო პროდუქციაში წარმოების საშუალებათა წილის გადიდება თავის მხრივ ქმნის მატერიალურ პირობებს საზოგადოებრივი წარმოების I და II ქვედანაყოფის კიდევ უფრო დიდი მასშტაბით და ტემპით გადიდებისათვის, რეალური დაგროვებისათვის.

დაგროვების ფონდის უდიდესი ნაწილი ყოველთვის ხმარდებოდა და ხმარდება I ქვედანაყოფს, მძიმე ინდუსტრიის გაფართოებასა და ტექნიკური სრულყოფის მიზნებს. ამრიგად, I და II ქვედანაყოფის ზრდის ტემპებს შორის თანაფარდობას საფუძვლად უდევს წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდის ეკონომიური კანონის მოთხოვნა. ამ კანონის მოთხოვნის განხორციელება თავის მხრივ კავშირშია იმ პროპორციებთან, რომლებიც მყარდება ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის, ნაციონალური შემოსავლის შემადგენელ ნაწილებს შორის, განსაკუთრებით იმ პროპორციებთან, რომლებშიც ურთიერთიმყოფება დაგროვებისა და მოხმარების ფონდი. დაგროვების ფონდის წილი ნაციონალურ შემოსავალში გვიჩვენებს დაგროვების ნორმას; რაც უფრო მაღალია დაგროვების ნორმა, მით უფრო მაღალი ტემპით ვითარდება I ქვედანაყოფი. I ქვედანაყოფის ზრდა ყოველთვის წინ უსწრებს II ქვედანაყოფის ზრდას; I ქვედანაყოფის უპირატესი ზრდა როგორც ობიექტური აუცილებლობა, არის პირობა II ქვედანაყოფის, მთელი საზოგადოებრივი წარმოების განვითარების უზრუნველსაყოფად.

მაშასადამე, წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდა არის ობიექტური აუცილებლობა, ეკონომიური კანონის მოთხოვნა როგორც სოციალიზმის, ასევე კომუნიზმის დროსაც, ე. ი. ჩვენი საზოგადოების განვითარე-



ბის ყველა ეტაპზე. ამასთან ერთად იცვლება თანაფარდობა I და II ქვედანაყოფის ზრდის ტემპებს შორის, ისე რომ I ქვედანაყოფის ზრდის ტემპი უფრო მაღალია ვიდრე II ქვედანაყოფისა, ე. ი. I ქვედანაყოფი ყოველთვის წინ უსწრებს II ქვედანაყოფის განვითარებას. I და II ქვედანაყოფის ზრდის ტემპზე წარმოდგენას გვაძლევს დაგროვების ფონდის მოცულობის ზრდა, დაგროვების წილის ცვალებადობა სოციალისტური საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

პირველ ხუთწლეულში (1928—1932 წწ.) „ა“ ჯგუფის ზრდამ 1928 წელთან შედარებით შეადგინა 293%, ხოლო „ბ“ ჯგუფის ზრდამ—184%, ე. ი. წარმოების საშუალებათა წარმოება თითქმის 3-ჯერ გადიდა, მაშინ როცა „ბ“ ჯგუფის წარმოება თითქმის 2-ჯერ გაიზარდა, მეორე ხუთწლეულში „ა“ „ჯგუფის ზრდა უდრიდა დაახლოებით 2,5-ს, ხოლო „ბ“ ჯგუფის—2-ს, ომის შემდგომ მეორე ხუთწლეულში (1950—1955) განსაზღვრულია „ა“ ჯგუფის საშუალო წლიური ზრდა 13%-ით, ხოლო „ბ“ ჯგუფისა—11%-ით, წარმოების საშუალებათა წარმოება 1955 წელს 1950 წელთან შედარებით შეადგენს 189%-ს, ხოლო მოხმარების საგნების წარმოება—176%-ს. ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ I და II ქვედანაყოფის ზრდის ტემპი იცვლება (მაგალითად, 3:2; 2,5:2; 80:70 და სხვ.), ისე რომ I ქვედანაყოფის ზრდის ტემპი, როგორც წესი, ყოველთვის წინ უსწრებს II ქვედანაყოფის ზრდის ტემპს, სულერთია ეხება ეს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის პერიოდს თუ სოციალიზმიდან კომუნისმში თანდათანობით გადასვლის პერიოდს.

საკვ გენერალური ხაზი გამომდინარეობს საზოგადოების განვითარების კანონების ღრმა მეცნიერული ცოდნიდან. პარტიამ გამანადგურებელი პასუხი გასცა ყველა ჯურის ოპორტუნისტებს, რომლებსაც სურდათ პარტია აეცდინათ წარმოების საშუალებათა უპირატესი ზრდის, მძიმე ინდუსტრიის უპირატესად განვითარების ლენინური გზიდან. ჯერ კიდევ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გატარების პერიოდში აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებსაც მძიმე ინდუსტრიის, წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი განვითარება არ მიაჩნდათ ობიექტურ აუცილებლობად. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ დაგმო სოციალიზმის უბოროტესი მტრების—ტროცკისტებისა და ბუხარინელების—გეგმა როგორც ჩვენი ქვეყნის იმპერიალისტური სახელმწიფოების აგრარულ დანამატად გადაქცევის გეზი და კურსი აიღო ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისაკენ, როგორც პარტიის გენერალური ხაზის განხორციელებისაკენ. პარტია მუდამ მთავარ ყურადღებას აქცევდა მძიმე ინდუსტრიის მაღალი ტემპით განვითარების საქმეს. კომუნისტური პარტია თავის ეკონომიურ პოლიტიკაში ითვალისწინებს წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი, უფრო სწრაფი ზრდის ეკონომიური კანონის მოთხოვნებს. წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატეს ზრდას ითვალისწინებს პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951—1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ; მხოლოდ ამ პირობით შეიქმნა შესაძლებელი მეხუთე ხუთწლიანი გეგ-



მის ამოცანების ვადამდე შესრულება. სამრეწველო პროდუქციის ზრდის დავალება შესრულდა 1955 წლის 1 მაისისათვის, ე. ი. ვადამდე ადრე, ნაცვლად ხუთი წლისა 4 წელსა და 4 თვეში. წარმოების საშუალებათა წარმოება 1955 წლის ბოლოსათვის 1950 წელთან შედარებით გაიზარდა 84<sup>0</sup>/<sub>6</sub>-ით. ამრიგად, წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდის ეკონომიური კანონის მოთხოვნათა ცხოვრებაში გატარება აუცილებელია კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, სოციალიზმიდან კომუნისმში თანდათანობით გადასვლისათვის. იმისათვის, რომ მომზადდეს კომუნისმში გადასვლა აუცილებელია მტკიცედ უზრუნველყოთ მწარმოებლურ ძალთა განუხრელი აღმავლობა, მთელი საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელი ზრდა, ამასთან ერთად წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდა.

წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდის ეკონომიური კანონის მოთხოვნათა განხორციელებით, რაც გულისხმობს მძიმე ინდუსტრიის უპირატეს განვითარებას, შესაძლებელია მხოლოდ ქვეყნის თავდაცვაუნარიანობის განმტკიცება, იმ ამოცანების პირნათლად შესრულება, რომლებიც საბჭოთა ხალხის წინაშე საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ დააყენა. ამ ამოცანების შესრულება უშუალო კავშირშია კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასთან, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ საზოგადოებრივი წარმოების I ქვედანაყოფი განვითარდება უფრო სწრაფად.

უკანასკნელ ხანს ზოგიერთმა ეკონომისტმა სცადა მარქსიზმისათვის უცხო შეხედულებათა, რევიზიონისტულ შეხედულებათა, ე. ი. პოლიტიკურად მაგნე მსჯელობათა გადმოცემა და იმის მტკიცება, რომ თითქოს სოციალისტური ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე არ არის საჭირო წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდის ეკონომიური კანონის მოთხოვნათა, მძიმე ინდუსტრიის უფრო სწრაფი ტემპით ზრდის პოლიტიკის ცხოვრებაში გატარება. ზოგიერთი ასეთი „ვაითეორეტიკოსი“ იქამდეც კი მივიდა, რომ შესაძლებლად ჩათვალა I და II ქვედანაყოფის არამარტო თანაბარი ტემპით განვითარება, არამედ მოხმარების საგნების, ე. ი. II ქვედანაყოფის წარმოების უფრო სწრაფი ტემპით ზრდა პირველ ქვედანაყოფთან შედარებით.

უარყოფდნენ რა წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდის ეკონომიური კანონის მოთხოვნების განხორციელებას, ახლად მოვლენილი „თეორეტიკოსები“ წინადადებას იძლეოდნენ, რათა პარტიას ხელი აეღო თავის გენერალურ ხაზზე კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის საქმეში. ამ „თეორეტიკოსებმა“ ვერ გაიგეს, რომ პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული ისტორიული მნიშვნელობის ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი აღმავლობა, პარტიის გენერალური ხაზიდან გამომდინარეობს, რომ



ამ ღონისძიებათა შესრულების პირობას შეადგენს I ქვედანაყოფის, მძიმე ინდუსტრიის უპირატესი ზრდა.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის იანვრის პლენუმმა გამანადგურებელი პასუხი გასცა ცალკეული ეკონომისტის ანტიმარქსისტულს, მანკიერსა და რევიზიონისტულ შეხედულებებს, რომლებიც პარტიის მიერ დიდი ხნის წინათ მხილებულ და გაცამტვერებულ იქნა. კომუნისტური პარტია გამოდის იქიდან, რომ გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ იმ პირობით, თუ სამეურნეო პოლიტიკაში დავეყრდნობით წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდის ეკონომიური კანონის, სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების ეკონომიური კანონისა და სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის მოთხოვნებს.

წარმოების მიზანი სოციალიზმის დროს არის მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება, ხოლო ამ მიზნის მიღწევის საშუალებაა უმაღლესი ტექნიკის დანერგვის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდა და ტექნიკური სრულყოფა, საზოგადოებრივი წარმოების განვითარება გაფართოებული კვლავწარმოების მასშტაბით, წარმოების განუწყვეტელი სრულყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე.

წარმოების ტექნიკური სრულყოფა გულისხმობს წარმოებაში მეცნიერების უახლესი ნიღწევების—ავტომატიკის, ტელემექანიკის, რადიოტექნიკის, ელექტრონიკის დანერგვას. ეს კი შესაძლებელია წარმოების საშუალებათა წარმოების, მძიმე ინდუსტრიის, მისი გულის—მანქანათმშენებლობისა და ჩირბმშენებლობის უპირატესი განვითარების საფუძველზე.

საზოგადოებრივი წარმოების ტექნიკურ სრულყოფას, ტექნიკისა და მეცნიერების მიღწევათა წარმოებაში დანერგვას ყოველდღიური ყურადღება ეთმობა სსრ კავშირში. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე ეტაპის მწვერვალს წარმოადგენს პირველი სამრეწველო ელექტროსადგურის აგება ატომის ენერჯიაზე სსრ კავშირში. სოციალისტურ სახალხო მეურნეობაში ყოველწლიურად ინერგება 700-მდე ახალი ტიპის, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი დაზგები, სხვადასხვა მანქანა და რთული მექანიზმი.

წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი განვითარება, მძიმე ინდუსტრიის ყოველმხრივ აღმავლობა ნიშნავს ტექნიკურ პროგრესს, შრომის ნაყოფიერების შემდგომ აღმავლობას, სოციალიზმიდან კომუნისმში თანდათანობით გადასვლის მომზადებას. ეყრდნობა რა ეკონომიური კანონების მეცნიერულ ცოდნას, კომუნისტური პარტია მუდამ მთავარ ყურადღებას აქცევს წარმოების საშუალებათა წარმოების, მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარების საკითხებს. „მრეწველობის ამ უკანასკნელი წლების მუშაობის შედეგები კვლავ ადასტურებენ, რომ სწორია ჩვენი პარტიის გენერალური ხაზი—უპირატესად მძიმე მრეწველობის განვითარების ხაზი. განუხრელად მიჰყვება რა ამ ხაზს, პარტია ხელმძღვანელობს დიდი ლენინის მითითებებით,



რომ საჭიროა უფრო სწრაფად განვითარდეს წარმოების საშუალებათა წარმოება მოხმარების საგნების წარმოებასთან შედარებით, როგორც გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების აუცილებელი პირობა“, — ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის ივლისის პლენუმის დადგენილებაში.

სტალინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პოლიტიკური ეკონომიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1955 წ. XII. 10)

Г. Д. Чануквадзе

## К вопросу соотношения между двумя подразделениями общественного производства

### Резюме

Общество не может перестать потреблять, но без производства нет потребления. Поэтому условием существования и развития любого общества является постоянное возобновление производства материальных благ.

Процесс производства, рассматриваемый в постоянной связи и непрерывном потоке своего возобновления, К. Маркс называет процессом воспроизводства.

Единственно правильное, глубоко научное понимание процесса воспроизводства дает марксистско-ленинская теория воспроизводства, одним из основных положений которой является положение о разделении общественного производства на два подразделения: 1) производство средств производства и 2) производство средств потребления. Следовательно, и весь общественный продукт делится на два подразделения — средства производства (I подразделение) и средства потребления (II подразделение).

Средства производства (в основном орудия производства) предназначены для производственного (продуктивного) потребления, а средства потребления — для личного потребления.

К первому подразделению относятся отрасли, производящие средства производства (машины и оборудования, металл, уголь, электроэнергия и др.) — машиностроительная промышленность, металлургия, угольная промышленность, электропромышленность и др.



Отрасли, производящие предметы личного потребления (пищевые продукты, обувь, одежда и др.)—пищевая промышленность, текстильная промышленность, рыбная промышленность и др., составляют II подразделение общественного производства.

Вся промышленность и промышленная продукция делятся на две группы. Группа „А“—производство средств производства (тяжелая индустрия) и группа „В“—производство средств потребления (легкая промышленность).

Деление на два подразделения (I и II) касается всех отраслей народного хозяйства, всего общественного производства. Таким образом, I подразделение включает в себя группу „А“ (тяжелая индустрия) и другие отрасли народного хозяйства, производящие средства производства (например, отрасли сельского хозяйства производящие сырье для промышленности). II подразделение вместе с группой „В“ (легкая промышленность) включает в себя отрасли сельского хозяйства, производящие предметы личного потребления.

Важнейшим положением марксистско-ленинской теории воспроизводства является соотношение между двумя подразделениями общественного производства.

В трудах классиков марксизма-ленинизма научно обосновано, что ряд основных положений марксовой схемы воспроизводства, отражающий специфику капиталистического способа производства (положения—о разделении общественного производства на два подразделения, о преимущественном росте производства средств производства, о необходимости определенной пропорциональности между различными частями совокупного общественного продукта и др.), имеет силу и при социализме.

Если производство имеет социалистическую форму, то и воспроизводство имеет такую же форму.

Ведущую роль во всем общественном производстве играет I подразделение, в первую очередь тяжелая индустрия. Темпы расширения производства и технического прогресса всех отраслей народного хозяйства зависят от развития производства средств производства.

Преимущественный рост I подразделения общественного производства является объективной необходимостью. Без преимущественного роста производства средств производства невозможно осуществлять расширенное воспроизводство и накопление.

Преимущественный рост производства средств производства по сравнению с производством предметов потребления В. И. Ленин назвал экономическим законом.



В социалистическом обществе характер действия закона преимущественного роста производства средств производства определяется основным экономическим законом социализма.

Преимущественный рост I подразделения (прежде всего тяжелой индустрии) является необходимой предпосылкой для технического совершенствования всех отраслей народного хозяйства, систематического повышения производительности труда и постепенного перехода от социализма к коммунизму.

---



### 3. კალენდარიზმი

## ფრიდრიხ ენგელსის ფილოსოფიურ მახეულუბათა განვითარება 1838 — 1845 წლებში

მარქსიზმის უდიდესი თეორიული შინაარსის შესწავლა მკიდროდ დაკავშირებულია მარქსიზმის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის საკითხების შესწავლასთან, მეცნიერული შედეგების დარგში მარქსიზმის მიერ მოხდენილი რევოლუციური გადატრიალების არსის გაგებასა და შესწავლასთან. მარქსიზმის წარმოშობის ისტორიის ახსნის გარეშე, იმ რევოლუციური გადატრიალების ახსნის გარეშე, რომელიც ფილოსოფიაში მარქსმა და ენგელსმა მოახდინეს, შეუძლებელია მარქსისა და ენგელსის როლის გაგება ფილოსოფიის ისტორიაში. ფრიდრიხ ენგელსის ადრინდელ ფილოსოფიურ შეხედულებათა განვითარების საკითხი მარქსიზმის წარმოშობის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია.

ფრიდრიხ ენგელსი პროლეტარიატის კმედიითი მსოფლმხედველობის-მარქსიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელია. აღნიშნავდა რა კარლ მარქსის უდიდეს დამსახურებას და თავის მონაწილეობას მარქსიზმის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, ენგელსი წერდა: „მე თვით არ შემიძლია უარვყო, რომ ადრეც, და მარქსთან ორმოცი წლის თანამშრომლობის დროსაც, ერთგვარი დამოუკიდებელი მონაწილეობა მივიღე როგორც თეორიის დასაბუთებაში, რომელზედაც აქ ლაპარაკია, ისე განსაკუთრებით მის შემუშავებაში. მაგრამ სახელმძღვანელო ძირითადი იდეების უდიდესი ნაწილი, განსაკუთრებით ეკონომიურ და ისტორიულ დარგში, და სპეციალურად მათი საბოლოოდ ჩამოყალიბება, მარქსს ეკუთვნის. ჩემ მიერ შეტანილი წვლილი მარქსსაც ადვილად შეეძლო შეეტანა, გარდა, შეიძლება, ორიოდ სპეციალური საგნისა. მე კი არასოდეს არ შემეძლო იმის გაკეთება, რაც მარქსმა გააკეთა. მარქსი უფრო მაღლა იდგა. უფრო შორს ხედავდა, უფრო ფართო ჰორიზონტის პატრონი იყო და უფრო სწრაფად კვრეტდა, ვიდრე ჩვენ ყველანი. მარქსი გენიოსი იყო, ჩვენ დანარჩენები კი, საუკეთესო შემთხვევაში, ტალანტები ვიყავით. უმისოდ ჩვენი თეორია დღეს სრულადაც არ იქნებოდა, რაც არის. ამიტომ ეს თეორია სამართლიანად ატარებს მის სახელს“<sup>1</sup>.

ფრიდრიხ ენგელსის მოღვაწეობისა და ყველა მისი ნაშრომის ღრმად დაუფლება აუცილებელია მარქსიზმის არსის გაგებისათვის. „მარქსის შეხედულებათა სწორად შეფასებისათვის, — წერს ლენინი, — უსათუოდ საჭიროა გა-

<sup>1</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 2, 1950, გვ. 464.

ვეცნოთ მისი უახლოესი თანამოაზრისა და თანამშრომლის ფრიდრიხ ენგელსის ნაწარმოებებს. არ შეიძლება ვაიგო მარქსიზმი და არ შეიძლება მთლიანად გადმოსცე იგი, თუ ანგარიში არ გაუწიე ენგელსის ყველა თხზულებას<sup>1</sup>.

ფრიდრიხ ენგელსის ფილოსოფიურ შეხედულებათა ჩამოყალიბებისა და მარქსიზმის თეორიის შექმნაში ენგელსის როლის დახასიათებისათვის გამოსავალი პუნქტია მარქსიზმის წარმოშობისა და განვითარების ლენინური და ხასიათება. ფრიდრიხ ენგელსის ადრინდელი შრომების ანალიზი მაშინდელი ეპოქის ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური ვითარების მეცნიერულ ანალიზთან ერთად, ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მეცნიერული კომუნიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის ენგელსის ფილოსოფიურ შეხედულებათა განვითარების შესახებ მისი მოღვაწეობის ადრინდელ პერიოდში.

\* \* \*

ქარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა მეტად საინტერესო გზა განვლეს თავიანთი მოღვაწეობის ადრინდელი პერიოდის ფილოსოფიურ და სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათა განვითარებაში. მარქსი და ენგელსი თავიანთი იდეური განვითარების პირველ პერიოდში რადიკალ-რევოლუციონერ-დემოკრატები იყვნენ. ეს ის პერიოდია, როდესაც გერმანიაში ჯერ კიდევ დღის წესრიგში იდგა ბურჟუაზიული რევოლუცია. ამ პერიოდში რევოლუციური დემოკრატიზმი გამოხატავდა მაშინდელი ბურჟუაზიული საზოგადოების ყველაზე რევოლუციური ელემენტების იდეოლოგიას. მარქსი და ენგელსი, გადადიან რა იდეალიზმიდან მატერიალიზმისაკენ და რევოლუციური დემოკრატიზმიდან კომუნიზმისაკენ, ხდებიან პროლეტარიატის იდეოლოგებად.

ფრიდრიხ ენგელსი დაიბადა 1820 წლის 28 ნოემბერს პრუსიის სემეფოს რაინის პროვინციის ქალაქ ბარმენში, მეფაბრიკის ოჯახში. ამ ხანებში რაინის პროვინცია გერმანიაში ყველაზე განვითარებული იყო თავისი სამრეწველო ურთიერთობით. რაინის პროვინციაში პირველად განვითარდა მსხვილი კაპიტალისტური მრეწველობა, რომელსაც თან მოყვა მრავალრიცხოვანი სამრეწველო პროლეტარიატის წარმოშობა. ცხრამეტი წლის ფ. ენგელსი თავის პირველ ნაწარმოებში „წერილები ვუპერტალიდან“ (1839) გვიხატავს ბარმენსა და ელბერფელდში შრომის პირობებსა და სამრეწველო პროლეტარიატის ცხოვრებას. იგი აღნიშნავს, რომ დაბალ კლასებს შორის გაბატონებულია საშინელი სიღატაკე, განსაკუთრებით ვუპერტალის საფაბრიკო მუშებს შორის.

გიმნაზიაში სწავლის პერიოდიდან ყალიბდება ენგელსის დემოკრატიული რწმენა. „მან ჯერ კიდევ გიმნაზიელმა შეიძულა თვითმპყრობელობა და მოხელეების თვითნებობა“<sup>2</sup>. ენგელსი ყოველდღე დადიოდა ფაბრიკებში, მუშათა ბინებში და ეცნობოდა მუშათა მდგომარეობას. ენგელსს შესაძლებლობა ჰქონ-

<sup>1</sup> ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. 21, გვ. 97.

<sup>2</sup> ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 7.



და ახალგაზრდობის წლებში გაცნობილი წარმოების საფაბრიკო სისტემას. ამ გარემოებას კი უქვეყნად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისი მსოფლმხედველობის გამომუშავებისათვის.

1838 წელს ენგელსი, მამის დავალებით, სამსახურს იწყებს ბრემენში ჰენრიხ ლეიპოლდის საეაქრო ფირმაში. აქ ენგელსი არ შეზღუდულა საეაქრო კანტორაში მუშაობით. იგი თავისუფალ დროს თავისთავზე მუშაობდა. ბრემენში ენგელსი ცხოვრობდა 1841 წლის გაზაფხულამდე. ამ პერიოდში მისმა იდეურმა და პოლიტიკურმა განვითარებამ მნიშვნელოვნად წინ წაიწია. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს პოლიტიკურსა და ლიტერატურულ ბრძოლებში, იცავს რევოლუციური დემოკრატიზმის პრინციპებს და იბრძვის რეგენტობის წინააღმდეგ ლიტერატურაში.

1839 — 1840 წლებში ენგელსი თანამშრომლობდა ჟურნალ „გერმანულ ტელეგრაფში“ რომელიც ლიტერატურული ჯგუფის „ახალგაზრდა გერმანიის“ ორგანო იყო. „ახალგაზრდა გერმანიის“ ჯგუფში მონაწილეობა ენგელსისათვის იყო ერთგვარი გზა ნამდვილი ცხოვრებისა და აქტიური მოქმედების შეფასებისათვის. ამ პერიოდში ენგელსი ეცნობა გუცკოვის, ბერნესა და შემდეგ შტრაუსის იდეებს, რომლებმაც მიიყვანეს იგი ჰეგელის ფილოსოფიამდე. ამ დროიდან უაღრესად ენგელსის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის საფუძვლები.

ჰეგელის ფილოსოფიის გაცნობისა და შესწავლის ნიადაგზე ენგელსი ობიექტური იდეალისტი ხდება. „ფილოსოფიაში პეცადინეობამ უფრო შორს წაიყვანა იგი. იმ დროს გერმანულ ფილოსოფიაში გაბატონებული იყო ჰეგელის მოძღვრება და ენგელსი მისი მიმდევარი გახდა. თუმცა თვითონ ჰეგელი პრუსიის თვითმპყრობელური სახელმწიფოს დაყვანისმცემელი იყო და მის სამსახურში იმყოფებოდა ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორად, — ჰეგელის მოძღვრება რევოლუციური იყო“<sup>1</sup>. ჰეგელის ფილოსოფიის რევოლუციური მხარე ენგელსმა მაშინვე შეამჩნია და მისი პირველი შეფასება მოგვცა თავისი ადრინდელი მოღვაწეობის ბერლინის პერიოდში, როდესაც იგი დაუკავშირდა მემარცხენე ჰეგელიანელთა სკოლას.

ენგელსი ბრემენის პერიოდის თავის ნაწარმოებებში („წერილები ვუპერტალიდან“, „გერმანული სახალხო წიგნი“, „კარლ ბეკი“, „რეტროგრადული ნიშანი დროისა“, „ერნსტ — მორიც არნდტი“, „პლატენი“, „რეკვიემი გერმანული „სათავადაზნაურო გაზეთისათვის“, „იოელ იაკობი“, „ლანდშაფტები“, „ზიგფრიდის სამშობლო“ და „იმერმანის მოგონება“) იბრძვის მონარქიული წოდებრივი წყობილების წინააღმდეგ, გამოდის ულმობელი ბრძოლით გერმანული რევოლუციური სახელმწიფოს წინააღმდეგ და მოითხოვს გერმანიის გაერთიანებას. თავისი ადრინდელი მოღვაწეობის ბრემენის პერიოდის დასასრულს ენგელსი განთავისუფლდა „ვეუპერტალური რწმენისაგან“, გაფორმდა როგორც რევოლუციონერ-დემოკრატი, მიემხრო ახალგაზრდა ჰეგელიანელებს, როპელთა შორის იგი ყველაზე რევოლუციური პოზიციით გამოირჩევა.

ასეთივე გზით მიიმართებოდა კარლ მარქსის ფილოსოფიურ შეხედულებათა განვითარება. მარქსის ფილოსოფიური შეხედულებანი, ისევე როგორც ენგელსისა, გაფორმდა XIX საუკუნის 40-იან წლებში. მარქსი გიმნაზიის დამთავრების შემდეგ შედის უნივერსიტეტში, ჯერ ბონში, შემდეგ ბერლინში იურიდიულ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტში იურიდიულ მეცნიერებასთან ერთად იგი სწავლობს ისტორიასა და ფილოსოფიას. უნივერსიტეტის დამთავრებისას მან დაწერა და 1841 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „დემოკრიტეს ნატურფილოსოფიასა და ეპიკურეს ნატურფილოსოფიას შორის განსხვავების შესახებ“. დისერტაციაში, ლენინის თქმით, „თავისი შეხედულებებით მარქსი მაშინ ჯერ კიდევ ჰეგელიანელი — იდეალისტი იყო“<sup>1</sup>. მაგრამ განსხვავებით ჰეგელის ფილოსოფიისაგან, რომელიც მოწყვეტილი იყო ცხოვრებას, მარქსი მოითხოვს ფილოსოფიის მჭიდრო კავშირს ცხოვრებასთან, პოლიტიკასთან. მარქსი და ენგელსი, დგანან რა ამ პერიოდში ჰეგელის ფილოსოფიის პოზიციაზე, არ შეიძლება ჩავთვალოთ ჰეგელის ფილოსოფიის ორთოდოქსალურ მიმდევრებად.

1941 წელს ენგელსი ბრემენიდან მიემგზავრება ბერლინში სამხედრო სამსახურის გამო. ენგელსის ბერლინში ყოფნა ემთხვევა ბურჟუაზიული მოძრაობის აღმავლობას ნახევრადფეოდალური ჩაგვრის წინააღმდეგ. საზოგადოებრივი მოძრაობა გერმანიაში მთელი თავისი წინააღმდეგობებით ასახვას პოულობს მოწინავე ბურჟუაზიული ინტელიგენციის იდეურ ბრძოლაში. ბურჟუაზიის ოპოზიციური ნაწილი, აღმოჩნდა რა პოლიტიკურად უძლური ძველ რეჟიმთან პირდაპირი შეტევისათვის, იდეოლოგიურად გამოხატავს თავის მისწრაფებას ლიტერატურაში, ფილოსოფიასა და რელიგიის კრიტიკაში.

XIX საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო მემარჯვენე და მემარცხენე ჰეგელიანელებს შორის ბრძოლა, რომელმაც თავის უმაღლეს წერტილს მიაღწია 40-იანი წლების დასაწყისში. მემარჯვენე ჰეგელიანელები გამოდიან ჰეგელის ფილოსოფიის რეაქციული მხარიდან და ამ პოზიციებიდან უპასუხებენ თანამედროვე საკითხებს. მემარცხენე ჰეგელიანელები კი, პირიქით, ეყრდნობიან ჰეგელის ფილოსოფიის რევოლუციურ მხარეს — მის დიალექტიკურ მეთოდს, და აქედან გამომდინარე თვალსაზრისით უპასუხებენ თანამედროვე საკითხებს.

XIX საუკუნის 30-იანი წლების დასასრულს ბრძოლა გაჩაღდა ცენტრალური საკითხის — პოლიტიკისა და რელიგიის საკითხის გარშემო. მაგრამ რადგან პოლიტიკური ცენზურის უკიდურესი ზომა ჰეგელიანელებს საშუალებას არ აძლევდა პოლიტიკის საკითხებზე აშკარად გამოსულიყვნენ, ამიტომ ისინი რელიგიის სამოსელით იბრძოდნენ არსებული წყობილების წინააღმდეგ. მემარცხენე ჰეგელიანელები ჰეგელის ფილოსოფიიდან რადიკალურსა და ათეისტურ დასკვნებს აკეთებდნენ, ცხადია, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო იდეალიზმის ჩარჩოებში.

გერმანული ფილოსოფიური რადიკალიზმის ამ ქარიშხლიან პერიოდში

<sup>1</sup> ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. 21, გვ. 38.



ენგელსი ცხოვრობს ბერლინში და ახალგაზრდა ჰეგელიანელთა ჯგუფის საქმიანობის აქტიური მონაწილეა. ენგელსი მარქსთან ერთად თანმიმდევრულად იცავს რევოლუციური დემოკრატიზმის პრინციპებს. ეს ის პერიოდი, როდესაც პრუსიის მთავრობამ ლ. ფოიერბახსა და ბ. ბაუერს აუკრძალა უნივერსიტეტში ლექციების კითხვა და ლექციების წასაკითხად მოიწვია შელინგი. შელინგმა თავისი შესავალი ლექცია ბერლინის უნივერსიტეტში წაიკითხა 1841 წლის 15 ნოემბერს. შელინგის შესავალ ლექციებს უსმენს ფ. ენგელსი. ამ პერიოდში ენგელსი მემარცხენე ჰეგელიანელების დამცველი და შელინგიანელობის აშკარა მოწინააღმდეგეა.

შელინგის გვიანდელი ფილოსოფიური მოძღვრების კრიტიკას ენგელსმა უძღვნა ფილოსოფიური პამფლეტები: „შელინგი ჰეგელის შესახებ“, რომელიც „გერმანულ ტელეგრაფში“ 1841 წელს დაიბეჭდა, და „შელინგი და გამოცხადება“, რომელიც 1842 წელს გამოვიდა. ამათ გარდა ყურადღებას იქცევს პამფლეტი „შელინგი — ფილოსოფოსი ქრისტეში“, რომელიც „გერმანულ ტელეგრაფში“ დაიბეჭდა 1842 წლის მაისს-ივნისში.

ენგელსი შელინგის ფილოსოფიის კრიტიკის პროცესში შელინგის წინააღმდეგ იცავს ჰეგელის ფილოსოფიის პროგრესულ მხარეს — დიალექტიკას. ჰეგელის დიალექტიკის თვალსაზრისით ენგელსი აკრიტიკებს შელინგის მოძღვრებას დიალექტიკის კატეგორიების შესახებ. ენგელსი მიუთითებს, რომ შელინგმა დიალექტიკა გაიგო, როგორც ცალკეული კატეგორიების თვითცნობიერება. შელინგის სისტემაში კატეგორიებს შორის არ არის შინაგანი დიალექტიკური კავშირი. ჰეგელის დიალექტიკა, ენგელსის შეფასებით, „ყოვლისშემძლე შინაგანი მამოძრავებელი ძალაა“. „ჰეგელიანური დიალექტიკა, — წერს ენგელსი, — არის ყოვლისშემძლე, მარად მოქმედი, მამოძრავებელი ძალა აზრისა...“<sup>1</sup>. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ენგელსი ჰეგელის ფილოსოფიის ამ პროგრესული მხარის შეფასებასთან ერთად იმავედროულად იძლევა ჰეგელის ფილოსოფიის დამახასიათებელ შინაგან წინააღმდეგობათა ღრმა კრიტიკას. ენგელსის ფილოსოფიურ პამფლეტში „შელინგი და გამოცხადება“ გამოთქმულია საყურადღებო აზრი ჰეგელის ფილოსოფიაში სისტემა-სა და მეთოდს შორის არსებული წინააღმდეგობის შესახებ. ენგელსი შენიშნავს, რომ „მეტისმეტად ორთოდოქსალურია“ რელიგიისა და სამართლის შესახებ ჰეგელის დასკვნები. ჰეგელთან პრინციპები ატარებენ დამოუკიდებლობისა და თავისუფალი აზროვნების დაღს. დასკვნები კი — ამას ვერავინ უარყოფს — ხშირად ზომიერია, კონსერვატულიცაა. ჰეგელის პოლიტიკური შეხედულებანი „ატარებენ რესტავრაციის აშკარა იერს“<sup>2</sup>.

ამავე პერიოდში მარქსი კრიტიკულად განიხილავს რა ჰეგელის ფილოსოფიას, ხაზს უსვამს ჰეგელის იდეალიზმის სიცარიელეს. „ჰეგელის ინტერესი მიმართულია იქითკენ, — წერს მარქსი შრომაში „ჰეგელის სახელმწიფო სამართლის ფილოსოფიის კრიტიკა“, — რომ ყოველ ელემენტში, იქნება ეს სა-

<sup>1</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. II, стр. 162.

<sup>2</sup> Там же, стр. 117.

ხელმწიფოს ელემენტი თუ ბუნების ელემენტი, კვლავ ჰპოვოს „წმინდა იდეა“, „ლოგიკური იდეა“, ნამდვილი სუბიექტები კი...იქცევიან უბრალო სახელწოდებებად იდეისა“, და ჩვენ შედეგად გვაქვს ნამდვილი შემეცნების მხოლოდ მოჩვენებითობა“<sup>1</sup>.

ამრიგად, უკვე ამ პერიოდებიდანვე მარქსი და ენგელსი, მიუხედავად იმისა, რომ ღვაწლან ჰეგელიანური იდეალიზმის პოზიციასზე, დადებითად აფასებენ არა ჰეგელის ფილოსოფიურ სისტემას, არამედ მისი ფილოსოფიის რევოლუციურ მხარეს — დიალექტიკას, დიალექტიკას, რომელიც, ენგელსის სიტყვით, განვითარების შინაგანი მამოძრავებელი ძალაა.

შელინგის შესახებ თავის კრიტიკულ პამფლეტებში ენგელსი ჰეგელიანულ-იდეალისტია, მაგრამ ამავე პამფლეტებში ენგელსი ხაზს უსვამს ბუნებისა და სულის ერთიანობას, რომლიდანაც ენგელსმა შემდგომში შეიმუშავა მატერიალისტური შეხედულებანი. ამ მიმართულებით ენგელსს წინ ეწეოდა პოლიტიკური ბრძოლის პირობები და აგრეთვე ფოიერბახის ფილოსოფიის გაცნობა. ენგელსი აქვე მიუთითებს ფოიერბახის ფილოსოფიის შეზღუდულობაზე. განსხვავებით ფოიერბახისაგან, ენგელსი, ისევე როგორც მარქსი, ფილოსოფიის ყველაზე ღრმა საკითხებს ორგანულად უკავშირებს პოლიტიკის საითხებს.

მართალია, ჰეგელის მომდევნო ფილოსოფოსებს შორის მარქსსა და ენგელსზე ყველაზე მეტად იქონია გავლენა ფოიერბახმა, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ მარქსმა და ენგელსმა წინამორბედ მატერიალიზმის შეზღუდულობათა კრიტიკა დაიწყეს სწორედ ფოიერბახის ფილოსოფიის კრიტიკით. მარქსი და ენგელსი არასოდეს არ ყოფილან ორთოდოქსალური ჰეგელიანელები და ასევე თანმიმდევრული ფოიერბახიანელები. მარქსისა და ენგელსის ფილოსოფიური განვითარების გზა — ეს არის იდეალიზმის ყოველგვარი ნაირსახეობის თანმიმდევრული დაძლევისა და მატერიალიზმის თვისობრივად ახალი ფორმის — დიალექტიკური მატერიალიზმის შემუშავების გზა. მარქსისა და ენგელსის ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი მკიდროდ დაკავშირებული იყო სასიცოცხლო პრაქტიკულ საკითხებთან, მათი თანამედროვე სინამდვილის წინააღმდეგ ბრძოლასთან.

მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ შელინგეანელობის წინააღმდეგ ენგელსის პოლემიკურ ნაშრომებს დიდი გავლენა ჰქონდა მაშინდელ საზოგადოებრივ აზრზე. ენგელსის ფილოსოფიური პამფლეტები, როგორც მებრძოლი იარაღი პოლიტიკურსა და ფილოსოფიურ რეაქციასთან ბრძოლაში, ცნობილი გახდა არა მხოლოდ გერმანიაში, არამედ სხვა ქვეყნებშიც, კერძოდ რუსეთში. რუსეთის მოწინავე აზრის წარმომადგენლები, XIX საუკუნის დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები: გერცენი, ბელინსკი, ჩერნიშევსკი და სხვები ჰეგელის ფილოსოფიის რეაქციული მხარეების, მისი „აბსოლუტური შედეგების“ მკვეთრ კრიტიკას იძლევიან. ისინი თანაუგრძობენ ჰეგელის ფილოსოფიის მემარცხენე ფრთას, რომელიც უარყოფდა ჰეგელის ფი-

<sup>1</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. I, стр. 541.



ლოსოფიის აბსოლუტურ დასკვნებსა და ავითარებდა ჰეგელის დიალექტიკას.

ბელინსკის ძალიან ნოეწონა ბოტკინის სტატია „გერმანული ლიტერატურა 1843 წელს“, რომელიც დაიბეჭდა 1843 წელს ჟურნალ „Отечественные записки“-ში<sup>1</sup>. ბოტკინის ეს სტატია არაპირდაპირ გადმოსცენდა ენგელსის შრომის „შელინგი და გამოცხადების“ შინაარსს. ბელინსკი ამ სტატიის განო ბოტკინს სწერდა, რომ შენი სტატია გერმანული ლიტერატურის შესახებ ძალიან მნიშვნელოვანია, კეკიანურია, საქმიანი და ოსტატური. მაგრამ ბელინსკიმ არ იცოდა ის გარემოება, რომ ბოტკინის სტატიის შინაარსი ენგელსს ეკუთვნოდა. ეს არ იცოდა არც პლენხანოვმა, რომელმაც ბოტკინის სტატიას „საინტერესო“ უწოდა<sup>2</sup>. ბელინსკის, ნოეწონა რა ბოტკინის აღნიშნული სტატია, ამით იგი თანაუგრძობდა ჰეგელის მემარცხენე სკოლას, რომელმაც, განსხვავებით მემარჯვენე სკოლისაგან, დაიწყო ფილოსოფიის პრაქტიკასთან შერიგება და ჰეგელის ფილოსოფიიდან ბურჟუაზიული რადიკალური დასკვნების გაკეთება. ამ პერიოდში ბელინსკი მარქსისა და ენგელსის ადრინდელი ნაშრომების დიდ გავლენას განიცდის. 1845 წლის იანვარში იგი კითხულობს „გერმანულ-ფრანგულ ყოველწლიურში“ დაბეჭდილი მარქსის შრომებს „ებრაელთა საკითხისათვის“ და „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის“. შესავალი“ და ენგელსის შრომას „ნარკვევები პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“. მარქსისა და ენგელსის შრომებმა ბელინსკის განუმტკიცა რევოლუციურ-დემოკრატიული რწმენა და მატერიალისტური შეხედულებანი.

შელინგიანელობასთან ბრძოლის პერიოდში მნიშვნელოვანია ენგელსის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი, რომლებშიც ენგელსი წარმოგვიდგება როგორც რევოლუციონერ-დემოკრატი. რევოლუციური დემოკრატიული შეხედულებები განავითარა ენგელსმა ბერლინის პერიოდის თავის პუბლიცისტურ წერილებში, რომლებიც დაიბეჭდა „რაინის გაზეთში“. ეს ოპოზიციური გაზეთი დაარსებული იყო რაინის რადიკალური ბურჟუაზიის ხელმძღვანელობის მიერ, რომელსაც ზოგი რამ საერთო ჰქონდა მემარცხენე ჰეგელიანელებთან. 1842 წლის ოქტომბრიდან „რაინის გაზეთის“ მთავარი რედაქტორი გახდა მარქსი. მარქსის ფილოსოფიური განვითარების ამ პერიოდის შესახებ ლენინი წერდა, რომ „აქ ისახება მარქსის გადასვლა იდეალიზმიდან მატერიალიზმისაკენ და რევოლუციური დემოკრატიზმიდან კომუნიზმისაკენ“<sup>3</sup>.

ლენინის ეს სიტყვები მარქსის შესახებ საესებით შეეხება „რაინის გაზეთში“ დაბეჭდილ ენგელსის სტატიებს: „ჩრდილოეთ და სამხრეთ-გერმანული ლიბერალიზმი“ (1842 წლის 2 აპრილი), „პრესის შესახებ პრუსიული კანონის კრიტიკისათვის“ (1842 წლის ივლისი). მნიშვნელოვანია აგრეთვე ამავე პერიოდში დაწერილი ენგელსის სტატიები „ალექსანდრე იუნგი და ახალგაზრდა გერმანია“, რომელიც დაიბეჭდა „გერმანულ ყოველწლიურში“ და „ფრიდრიხ

<sup>1</sup> Отечественные записки, т. XXVI, 1843 г.

<sup>2</sup> Г. В. Плеханов, Сочинения, XXIII, 1926, стр. 174.

<sup>3</sup> ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. 21, გვ. 82.

ვილჰელმ IV — პრუსიის მეფე“, რომელიც ერთ და იმავე დროს დაიბეჭდა კრებულში „ოცდაერთი ფურცელი შვეიცარიიდან“ და არ. რუგეს „ანეგდოტაში“.

მარქსი და ენგელსი მიდიოდნენ მატერიალიზმისა და კომუნიზმისაკენ სხვადასხვა მიმდინარეობებთან შეუთრეგებელი ბრძოლის გზით როგორც პოლიტიკის, ისე ფილოსოფიის სფეროში. ყველაზე საკირობოროტო საკითხი მაშინდელ გერმანიაში იყო პრუსიულ წოდებრივ სახელმწიფოსთან, რელიგიასთან და ჰეგელის ფილოსოფიასთან დამოკიდებულების საკითხი. ენგელსი იძლევა პრუსიის წოდებრივი მონარქიული სისტემის დრმა კრიტიკას. იგი გვიჩვენებს პრუსიის მეფის, როგორც ხალხის მზავგრელის, ნამდვილ სახეს. ენგელსი მკვეთრად აკრიტიკებს პრუსიულ-მონარქიულ კანონმდებლობას, რომელიც ფულისა და მიწის არისტოკრატის ინტერესების გამომხატველი იყო. ენგელსი მოითხოვს ყოველგვარ წოდებათა მოსპობასა და მშრომელი მასებისათვის თანასწორუფლებიანობის მინიჭებას.

ასეთივე სიცხადით აკრიტიკებდა მარქსი გერმანულ რეჟიმს. მარქსმა ამ პერიოდში გამოაშკარავა სამართლის კლასობრივი ხასიათი და ხაზგასმით აღნიშნა, რომ პრივილეგიურ კლასთა სამართალი დაფუძნებულია კერძო საკუთრების ბატონობაზე. აქედან მარქსი ასკენის, რომ სახელმწიფო მხოლოდ მდიდრების კერძო ინტერესებს ემსახურება და მიმართულია ღარიბების წინააღმდეგ. მარქსი მოითხოვს წოდებრივი სახელმწიფოს შეცვლას სახალხო სახელმწიფოთი.

ენგელსის ამოცანა იყო არა მარტო აეხსნა შელინგის მიერ ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკის მიზეზები, არამედ დაემტკიცებინა „გონების უღმობელო კრიტიკის“ შეუქმე ლოგიკური არათანმიმდევრობა ქრისტიანობის ყველა ძირითადი პრინციპისა და ყველაფერი იმისა, რაც საერთოდ იწოდებოდა რელიგიად. ასე გაფორმდა ენგელსის ათეისტური მსოფლმხედველობა. ენგელსმა აშკარად აღიარა, რომ ჰეგელის პრინციპების განვითარება აუცილებლად მიგვიყვანს რელიგიის უარყოფამდე და ათეიზმამდე. ათეისტურ დასკვნებს აკეთებს აგრეთვე მარქსი ამ პერიოდში თავის სადოქტორო დისერტაციაში და სტატიებში, რომლებიც „რაინის გაზეთში“ გამოქვეყნდა. რელიგიის კრიტიკისას გვიჩვენებს რა მარქსი მის სოციალურ არსს, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რელიგია პოლიტიკურ ფაქტორად და პოლიტიკის საგნად ხდება.

მარქსი და ენგელსი ამ პერიოდში იყვნენ რა ჰეგელიანელები, არჩევენ ჰეგელის ფილოსოფიაში რაციონალურ ელემენტებს. ჰეგელის ფილოსოფიის რევოლუციურ განმარტებას დიდ მნიშვნელობას აძლევს ენგელსი პოლიტიკურ ბრძოლაში. ენგელსმა შრომაში „შელინგი და გამოცხადება“ რევოლუციურად განმარტა ჰეგელის ცნობილი დებულება „ყოველივე, რაც ნამდვილია, გონიერია, ყოველივე რაც გონიერია — ნამდვილია“; ენგელსს ჰეგელის ეს აღნიშნული ფორმულა მიაჩნია ისეთ დებულებად, რომლიდანაც პრაქტიკული შედეგები გამოიყვანება. „ეს არის, — წერს ენგელსი ჰეგელის ამ დებულების შესახებ, — ხიდი ახალი ფილოსოფიის უდიდესი პრაქტიკული შედე-



გებისაკენ“<sup>1</sup>. განსხვავებით ჰეგელისაგან, რომელიც აღნიშნულ ფორმულას იყენებდა თავისი დროის პროსიულ-რეაქციული მონარქიის გამართლებისათვის, ენგელსი მასში სდებს რევოლუციურ აზრს, რომელსაც იგი განავითარებს თავის შრომაში „ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული“.

ენგელსი ბერლინის პერიოდის თავის პუბლიცისტურ წერილებში ხაზს უსვამს თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობას, ფილოსოფიისა და პოლიტიკური პრაქტიკის ურთიერთმოქმედებას, „...მეცნიერებისა და ცხოვრების, ფილოსოფიისა და თანამედროვე ტენდენციების ურთიერთმოქმედებას“<sup>2</sup>. ამავე პერიოდში მარქსთან ფორმდება შეხედულება ფილოსოფიისა და სინამდვილის პრაქტიკული ურთიერთობის შესახებ. პრაქტიკას მარქსი უწოდებს ფილოსოფიის სასიცოცხლო გზას მის ყველაზე გონიერ გამოხატულებაში. თავიანთი ადრინდელი მოღვაწეობის ამ პერიოდში მარქსმა და ენგელსმა ერთნაირად გაიგეს ფილოსოფიის როლი და მნიშვნელობა. ამ პერიოდის შრომებში მარქსი და ენგელსი ხაზს უსვამენ ფილოსოფიის აქტიურ როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ენგელსის ფილოსოფიისა და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებების გადასვლა იდეალიზმიდან მატერიალიზმისაკენ და რევოლუციური დემოკრატიზმიდან კომუნისმისაკენ, რომელსაც იგი ახდენს თავისი ადრინდელი მოღვაწეობის ინგლისში ყოფნის დროს, მომზადებული იყო 1842 წლის დასასრულისათვის მისი მსოფლმხედველობის მთელი წინამორბედი განვითარებით.

1842 წლის ნოემბერში ენგელსი მიემგზავრება ინგლისში, სადაც ჯერ ლონდონში ცხოვრობს და შემდეგ მანჩესტერში. ინგლისში გამგზავრებისას ენგელსი გზად ჩერდება კელნში „რაინის გაზეთის“ რედაქციაში, სადაც ენგელსი და მარქსი პირველად შეხვდნენ ერთმანეთს. ენგელსის შეხედულებათა ინგლისის პერიოდი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მის ნაწარმოებთა რაოდენობით, არამედ იმითაც, რომ ამ პერიოდში ენგელსის ფილოსოფიურმა ევოლუციამ მნიშვნელოვნად წინ წაიწია.

ენგელსი ინგლისში ჩარტისტული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში ჩადის. ამ პერიოდში ენგელსის ამოცანაა ინგლისელებს გააცნოს კონტინენტის სოციალისტური თეორიები. ამ მიზნით იგი აქვეყნებს წერილებსა და სტატიებს ჩარტისტების ორგანოში „სამხრეთ ვარსკვლავში“ და სოციალისტების ორგანოში „ახალი ზნეობრივი სამყაროში“. ამასთან, ენგელსი ინგლისის შესახებ წერილებს წერს გერმანული გაზეთისათვის. ენგელსმა თავისი შთაბეჭდილებანი ინგლისის მდგომარეობის შესახებ დაბეჭდა პარიზის „Vorwärts“-ში 1844 წლის გაზაფხულზე. ამ ხანებში გამოდის მარქსისა და რუგეს რედაქტორობით „გერმანულ-ფრანგული ყოველწლიურის“ პირველი წიგნი (ორმაგი ნომერი), რომლის შესახებ ლენინი წერდა: „ამ ჟურნალში მოთავსებულ თავის სტატიებში მარქსი უკვე გაიოდის როგორც რევოლუციონერი, რომელიც აცხადებს „ყოველივე არსებულის უღმობელ კრიტიკას“, და კერძოდ „იარაღის კრიტიკას“, და რომელიც მიმართავს მასებსა და პროლეტარი-

<sup>1</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. II, стр. 122.

<sup>2</sup> Там же, стр. 43.



ატს“<sup>1</sup>. მარქსისა და ენგელსის გადასვლა მათი მოღვაწეობის ადრინდელ პერიოდში იდეალიზმიდან მატერიალიზმისაკენ და რევოლუციური დემოკრატიზმიდან კომუნიზმისაკენ საბოლოოდ ხდება „გერმანულ-ფრანგულ ყოველწლიურში“<sup>2</sup>. „გერმანულ-ფრანგულ ყოველწლიურში“ გამოქვეყნდა მარქსის შრომები „ებრაელთა საკითხისათვის“ და „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის. შესავალი“. აქვე ენგელსი აქვეყნებს თავის შრომებს ინგლისის მდგომარეობისა და პოლიტიკური ეკონომიის საკითხებზე.

ამ ჟურნალში გამოქვეყნებულ ენგელსის შრომებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია „ნარკვევები პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ენგელსის ადრინდელ ფილოსოფიურ შეხედულებათა ევოლუციაში. ენგელსის „ნარკვევები“ პირველი ცდაა სოციალიზმის დასაბუთებისა კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა ანალიზის გზით. ამ შრომაში ენგელსმა, — წერს ლენინი, — „...სოციალიზმის თვალსაზრისით განიხილა თანამედროვე ეკონომიური წყობილების ძირითადი მოვლენები, როგორც აუცილებელი შედეგები კერძო საკუთრების ბატონობისა“<sup>3</sup>.

პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის დროს ენგელსი შეეცადა ეკონომიური კატეგორიების სისტემის დიალექტიკურ გადმოცემას. ენგელსის შრომა „ნარკვევები პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, მარქსის თქმით, წარმოადგენს „...ეკონომიური კატეგორიების კრიტიკის შესახებ... გენიალურ ნარკვევს“<sup>4</sup>.

ენგელსი თავის ნარკვევებში თანმიმდევრობით განიხილავს ეკონომიურ კატეგორიებს: ვაჭრობის, ღირებულების, მიწის რენტის, შრომის, კაპიტალისა და სხვა კატეგორიებს. ენგელსს ყველა ეკონომიური კატეგორია დაყავს კონკურენციაზე. კონკურენცია, ენგელსის სიტყვით, ის დიდი სტიმულია, რომელიც მუჯღუფუნსა ჰკრავს სამოქმედოდ საზოგადოების სიბერეს და უძლეობაში შემავალ სოციალურ წყობილებას. ამიტომ იგი იწვევს სოციალურ რევოლუციას, რომელიც სპობს კერძო საკუთრებასა და მასთან კონკურენციასაც.

ამავე აზრს ავითარებდა მარქსი ამავე პერიოდის შრომებში „გერმანულ-ფრანგულ ყოველწლიურში“. მარქსი აღნიშნავს, რომ მხოლოდ მაშინ განხორციელდება ადამიანური ემანსიპაცია, ნამდვილი ადამიანური თავისუფლება, როდესაც კაცობრიობა კერძო საკუთრებისაგან განთავისუფლდება. ამ პერიოდის შრომაში „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის. შესავალი“ მარქსს უკვე გარკვეული აქვს პროლეტარიატის მსოფლიო-ისტორიული როლი. „მარქსის მოძღვრებაში მთავარია, — წერს ლენინი, — პროლეტარიატის, როგორც სოციალისტური საზოგადოების შემოქმედის, მსოფლიო-ისტორიუ-

<sup>1</sup> ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. 21, გვ. 40.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 82.

<sup>3</sup> ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 12.

<sup>4</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1950, გვ. 408.



ლი როლის გამოკვევა... პირველად იგი მარქსმა 1844 წელს წამოაყენა<sup>1</sup>.

ენგელსის ადრინდელი მოღვაწეობის, ინგლისში ყოფნის პერიოდის ნაწარმოებებში ჩანასახის სახით მოცემულია ახალი მსოფლმხედველობის — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ზოგიერთი არსებითი დებულების ფორმულირება. ღრმა იდეურ შინაარსს შეიცავს ენგელსის ამ პერიოდის ნაშრომები, რომლებიც ეხება პოლიტიკის, ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, ისტორიის, რელიგიის, ხელოვნებისა და სხვა საკითხებს. ამ პერიოდის ენგელსის ნაშრომებში მოცემულია ჰეგელისა და ფოიერბახის ფილოსოფიის, ინგლისური პოლიტიკური ეკონომიისა და უტოპიური სოციალიზმის კრიტიკული განხილვა. ენგელსი ამ პერიოდში საზოგადოებრივი მოვლენების გაგებაში მიდის მატერიალისტურ შეხედულებამდე. იგი კრიტიკულად განიხილავს რა წარსულ ისტორიას, ატარებს ღრმა თანმიმდევრულ ისტორიულ თვალსაზრისს. ენგელსის შრომაში „ინგლისის მდგომარეობა“ ნაჩვენებია რელიგიის არსება, რომლის გაგებაში ენგელსი ფოიერბახს ემიჯნება. „რელიგია, — წერს ენგელსი, — არსებითად ადამიანს და ბუნებას ართმევს მთელს მათს შინაარსს, გადააქვს ეს შინაარსი იმქვეყნიური ღმერთის ფანტომზე, რომელიც შემდეგ მოწყალების სახით უბრუნებს ადამიანებსა და ბუნებას თავისი სიუხვის ერთს ნამცეცს“<sup>2</sup>. რელიგიას ენგელსი სთვლის ყოველგვარი უზნეობისა და სიცრუის წყაროდ. ენგელსი მოითხოვს ყოველივე რელიგიურ ცრურწმენათა საფუძვლიან დაძლევისა და ადამიანისათვის თავისუფლების დაბრუნებას.

რელიგიის არსების გაგების საკითხზე ასეთივე თვალსაზრისია გატარებული მარქსის ამ პერიოდის შრომებში. შრომაში „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის. შესავალი“, სადაც გენიალური სიცხადით მოცემულია ახალი მსოფლმხედველობა, მარქსი არკვევს რელიგიის არსებას. მარქსის აზრით, რელიგია არის „ადამიანის არსების ფანტასტიკური განხორციელება“. იგი არის „ჩაგრულ ქმნილებათა ამოოხვრა, უგულო ქვეყნის სული და გულია, ისე როგორც იგი არის სული უსულო მდგომარეობათა. ის ოპიუმია ხალხისა“<sup>3</sup>. მარქსი მოითხოვს რელიგიის გაუქმებას, რომელიც მას ხალხის ნამდვილი ბედნიერების მოთხოვნად მიაჩნია. ამისათვის ზეცის კრიტიკა უნდა დაუკავშირდეს მიწის კრიტიკას, რელიგიის კრიტიკა-სამართლის კრიტიკას, თეოლოგიის კრიტიკა — პოლიტიკის კრიტიკას. ახალგაზრდა მარქსი მოითხოვს კრიტიკის დაკავშირებას იმ პოლიტიკის კრიტიკასთან, რომელიც გარკვეული პოლიტიკური პარტიის ინტერესების გამოხატულებაა.

ამრიგად, მარქსი და ენგელსი თავიანთ ადრინდელ შრომებში საზოგადოებრივი მოვლენების ანალიზისას აღმოაჩინენ კავშირს რელიგიისა და საზოგადოებრივ ურთიერთობებს შორის. მათი ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ

<sup>1</sup> ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. 18, გვ. 705.

<sup>2</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. II, стр. 341.

<sup>3</sup> ვ. მარქსი, ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის. შესავალი, 1946, გვ. 6.



იღებს პოლიტიკურ ხასიათს. ამ ბრძოლაში მარქსი და ენგელსი გამოდიან როგორც ათვისტები.

ენგელსი იხილავს ყველა საკითხს ისტორიულ ასპექტში და მის დიალექტიკურ განვითარებაში. მას ღრმად ესმის წინააღმდეგობის კანონის როგორც განვითარების ძირითადი კანონის არსი. როდესაც ენგელსი ეკამათება ბურჟუაზიული საზოგადოების აპოლოგეტს ბენტამს, რომელსაც სურდა კერძო საკუთრების ნიადაგზე შეერიგებინა კერძო და საერთო ინტერესები, ადრინდელ სტატიაში „ინგლისის მდგომარეობა — XVIII საუკუნე“ წერდა: „ბენტამი აქ თავის ემპირიაში უშვებს იმავე შეცდომას, როგორც დაუშვა ჰეგელმა თეორიაში. ის საკმაო ყურადღებას არ უთმობს წინააღმდეგობათა დაძლევის, ის სუბიექტს უმორჩილებს პრედიკატს, მთელს კი — ნაწილს და ამით ყველაფერს თავდაყირა აქცევს“<sup>1</sup>. აქ, როგორც ვხედავთ, ენგელსი აკრიტიკებს წინააღმდეგობის კანონის ჰეგელისეულ გაგებას, რომლის საწინააღმდეგოდ ენგელსს წინააღმდეგობის კანონი ესმის არა როგორც დაპირისპირებულ ნხარეთა შერიგება, არამედ დაპირისპირებულთა ბრძოლით წინააღმდეგობათა დაძლევა.

ამავე პერიოდში მარქსი გვაძლევს წინააღმდეგობის კანონის ჰეგელისეული გაგების კრიტიკას. თავის ადრინდელ შრომაში „ჰეგელის სახელმწიფო სამართლის ფილოსოფიის კრიტიკა“ მარქსმა მოგვცა ჰეგელის თეორიის კრიტიკა სახელმწიფოს შესახებ, რომლის მიხედვით სახელმწიფოს, როგორც „სამოქალაქო საზოგადოების“ უმაღლესს ზნეობრივ ორგანიზმს, უპირისპირდება მატერიალური ინტერესების სფერო. ჰეგელისათვის სახელმწიფო ყველა ეკონომიურ და პოლიტიკურ წინააღმდეგობათა გადაწყვეტასა და შერიგებას წარმოადგენდა. მარქსმა ჰეგელის კრიტიკის პროცესში გახსნა ანტაგონისტური წინააღმდეგობის სპეციფიკურობა და გვიჩვენა ამ წინააღმდეგობაში კონსერვატიული და რევოლუციური მხარეების მიმართება და როლი.

მარქსი და ენგელსი დაპირისპირებულთა ბრძოლაში ხედავენ განვითარების წყაროსა და შინაგან შინაარსს; დიალექტიკის ამ კანონის თვალსაზრისით განიხილავენ საზოგადოებრივ მოვლენებს.

XIX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში გერმანიაში პროლეტარიატის მსოფლმხედველობის განვითარების გზაზე მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენდა ის თვალსაზრისი, რომელიც უარყოფდა პროლეტარიატისა და ხალხთა მასების ისტორიულ როლს. მარქსმა და ენგელსმა თავიანთ ადრინდელ შრომებში გაანადგურეს რეაქციული თეორიები კარლელიისა და ახალგაზრდა ჰეგელიანელებისა, რომლებიც, უგულვებელყოფნენ რა მშრომელთა რევოლუციური მასების როლს, ქედს იხრიდნენ პიროვნების კულტის წინაშე.

კარლელი, რომელმაც ენგელსამდე მოგვცა ინგლისის მუშათა მდგომარეობის აღწერა და რომელმაც, ენგელსის სიტყვით, ყველა ინგლისელ ბურჟუაზიაზე უფრო ღრმად გაიგო სოციალური უწყსრიგობა, ისტორიას განიხილავდა როგორც გმირების ისტორიას, გმირების „გამოცხადებას“. კარლელი შრო-

<sup>1</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. II, стр. 365.



მის ორგანიზაციისათვის მოითხოვს ჭეშმარიტ ხელმძღვანელობას და ჭეშმარიტ მართველობას, რომელსაც განახორციელებს „ჭეშმარიტი არისტოკრატია“. ენგელსი ააშკარავებს კარლეილის შეხედულებათა ნათესაობას შელინ-გიანურ მოძღვრებასთან „გმირების კულტის“ ან „გენიის კულტის“ შესახებ. კარლეილის აღნიშნულ შეხედულებათა კრიტიკას ენგელსმა უძღვნა შრომა „ინგლისის მდგომარეობა“, რომელიც წარმოადგენს კარლეილის წიგნის „წარსული და აწმყო“ კრიტიკულ განხილვას.

მარქსი და ენგელსი თავიანთ ადრინდელ შრომებში გამანადგურებლად აკრიტიკებენ რა კარლეილისა და ახალგაზრდა ჰეგელიანელების რეაქციულ თეორიებს, რომლებიც უარყოფდნენ მშრომელი მასების ისტორიულ როლს, ამავე დროს გამოდიოდნენ მშრომელი მასების პოლიტიკური და სოციალური ინტერესების დამცველად.

თავისი ადრინდელ მოღვაწეობის ინგლისში ყოფნის პერიოდის შრომებში ენგელსი იძლევა ინგლისის სოციალური რევოლუციისა და მისი მნიშვნელობის ღრმა ანალიზს, რაც გამოიხატა ინგლისში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მომხდარ დიდ სამრეწველო გადატრიალებაში. ენგელსი ინგლისის მდგომარეობის ანალიზის შედეგად ასკვნის, რომ „ინგლისისათვის XVIII საუკუნის მნიშვნელოვანი შედეგი იყო სამრეწველო რევოლუციის შედეგად პროლეტარიატის შექმნა“<sup>1</sup>. ენგელსი სწორედ ინგლისში გაეცნო პროლეტარიატს, რომლის ისტორიულ ამოცანად იგი-სთელის სოციალიზმის განხორციელებას. ინგლისის განვითარების აღნიშნული ეპოქის უდიდეს შედეგად ენგელსს მიაჩნია აგრეთვე პრაქტიკაში სოციალური რევოლუცია და ფილოსოფიაში მატერიალიზმი, ამ უკანასკნელს იგი უკავშირებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარებას.

ასეთია ზოგიერთი ის საკითხი, რომლებიც განხილულია ენგელსის ადრინდელი მოღვაწეობის, ინგლისში ყოფნის პერიოდის შრომებში. დასმული პრობლემების გაშუქებისას ენგელსი მიდის ისტორიულ მატერიალიზმამდე. იგი ყველგან იძლევა არსებული საზოგადოების კონკრეტულ კრიტიკასა და ეკონომიური ფაქტების ღრმა ანალიზს.

ამ პერიოდის თავის შეხედულებათა განვითარების შესახებ ენგელსი გვიან შრომაში „კომუნისტთა კავშირის ისტორიისათვის“ შემდეგს წერდა: „მანჩესტერში რომ ვცხოვრობდი, მე პირდაპირ ცხვირით დავეჯახე იმას, რომ ეკონომიური ფაქტები, რომლებიც დღემდე ისტორიულ თხზულებებში სრულიად არავითარ ან მხოლოდ საცოდავ როლს თამაშობს, წარმოადგენს, ყოველ შემთხვევაში თანამედროვე მსოფლიოსათვის, გადამწყვეტ ისტორიულ ძალას; რომ ეკონომიური ფაქტები შეადგენს საფუძველს, რომელზედაც წარმოიშობიან თანამედროვე კლასობრივი წინააღმდეგობანი; რომ ეს კლასობრივი წინააღმდეგობანი ყველა ქვეყანაში, სადაც მათ, მსხვილი მრეწველობის მეოხებით, სრულ განვითარებას მიაღწიეს, — მაშასადამე, განსაკუთრებით ინგლისში, — წარმოადგენენ თავის მხრივ საფუძველს, პოლიტიკური პარტიების

<sup>1</sup> K. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. II, стр. 366.



შექმნისათვის, პარტიული ბრძოლისათვის, და ამით — მთელი პოლიტიკური ისტორიისათვის“<sup>1</sup>.

ენგელსის მიერ აქ მოცემულ დებულებათა განზოგადოება მარქსმა მოგვცა ჯერ კიდევ „გერმანულ-ფრანგულ ყოველწლიურში“ გამოქვეყნებულ შრომებში. მარქსი და ენგელსი გამოდიან უკვე რევოლუციონერები, აცხადებენ „ყოველივე არსებულის უღმობელ კრიტიკას“ და მიმართავენ მასებსა და პროლეტარიატს. მარქსი და ენგელსი პროლეტარიატში ეძიებენ საშუალებას კაპიტალისტურ საზოგადოებაში არსებული კონფლიქტის გადასაწყვეტად. უკვე ამ პერიოდში ენგელსი, ისევე როგორც მარქსი, არა მხოლოდ მატერიალისტია, არამედ სოციალისტიცაა. „ენგელსი მხოლოდ ინგლისში გახდა სოციალისტი,“ — წერს ლენინი<sup>2</sup>.

1844 წლის ზაფხულში, ინგლისიდან სამშობლოში დაბრუნებისას, ენგელსი შეხვდა მარქსს პარიზში. ამ დროიდან უკვე გამორკვეული იყო მარქსისა და ენგელსის სრული თანხმობა ყველა თეორიულ დარგში, რომლის შესახებ ენგელსი წერდა: „როდესაც მე 1844 წელს ზაფხულში მარქსი ვინახულე პარიზში, გამოირკვა ჩვენი სრული თანხმობა ყველა თეორიულ დარგში. ამ დროიდან იწყება ჩვენი ერთად მუშაობა“<sup>3</sup>.

1844 წელს მარქსი და ენგელსი გამოდიან ახალგაზრდა ჰეგელიანელთა გამანადგურებელი კრიტიკით ერთობლივ შრომაში „წმიდა ოჯახი ანუ კრიტიკული კრიტიკის კრიტიკა“, რომელშიც მოცემულია „საფუძვლები... რევოლუციურ-მატერიალისტური სოციალიზმისა“<sup>4</sup>. „წმიდა ოჯახში“, რომელიც მეტწილად მარქსის მიერ არის დაწერილი, გადმოცემულია ისტორიული მატერიალიზმის ზოგიერთი დებულება. ლენინი შენიშნავს, რომ აქ „ძალიან რელიეფურად წინ წამოწეულია მარქსის თითქმის უკვე ჩამოყალიბებული შეხედულება პროლეტარიატის რევოლუციურ როლზე“<sup>5</sup>.

1844 წლის შემოდგომაზე ენგელსი ცხოვრობს ბარმენში და ეწევა აგიტატორულსა და პროპაგანდისტულ მუშაობას. აქ უთვალავი ვითომდა სოციალისტური მიმართულებებისა და ფრაქციების წინააღმდეგ ბრძოლაში ენგელსმა შეძლო გაეკაფა გზა პროლეტარული სოციალიზმისაკენ.

1845 წლის მარტისათვის ენგელსმა დაასრულა თავისი შრომა „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მარქსიზმის დამფუძნებელ შეხედულებათა ჩამოყალიბებაში. ეს შრომა ამთავრებს და აგვირგვინებს ახალგაზრდა ენგელსის დამოუკიდებელ ფილოსოფიურსა და სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათა განვითარებას.

ენგელსის შრომაში „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“, რომელიც ღირსებისა თუ ნაკლის მხრივ ავტორის ახალგაზრდობის აშკარა დაღს

<sup>1</sup> კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 2, გვ. 413.

<sup>2</sup> ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 11.

<sup>3</sup> კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 414.

<sup>4</sup> ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 1.

<sup>5</sup> В. И. Ленин, Философские тетради, 1947 г. стр. 12.



ატარებს, მოცემულია მეცნიერული სოციალიზმისა და მისი ისტორიის პირველი ფაზის ფართო დასაბუთება.

ენგელსი თავის შრომაში განიხილავს წარმოების ცალკეული დარგების მუშების მდგომარეობას იმ წესრიგით, რომელიც გამომდინარეობს მრეწველობის ისტორიიდან. ამასთან ერთად ენგელსი განიხილავს კლასთა ანტაგონიზმის განვითარებას, რომელიც „მრეწველობის განვითარების თანაბარი ნაბიჯით მიმდინარეობს“<sup>1</sup>. მთელი სოციალური მოძრაობის ნამდვილ საფუძვლად და გამოსავალ წერტილად ენგელსს მიაჩნია მუშათა კლასის მდგომარეობა.

როდესაც ორთქლმა და ორთქლის მანქანებმა მანუფაქტურა თანამედროვე მსხვილ ინდუსტრიად აქცია და ამით ბურჟუაზიული საზოგადოების მთელი საძირკვლის რევოლუცია მოახდინა, ინგლისის ამ ქარიშხლიანი პერიოდის მუშათა მდგომარეობის ანალიზით ენგელსმა გვიჩვენა, თუ როგორი სისწრაფით მოხდა საზოგადოების გათიშვა მსხვილ კაპიტალისტებად და პროლეტარებად. ენგელსი გვიჩვენებს პროლეტარიატის ბრძოლას ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რაც მისი არსებობის დღიდან იწყება. იგი პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ადრინდელი ფორმებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ჩარტიზმს. ჩარტიზმის თავისებურებას ენგელსი იმაში ხედავს, რომ მასში „ბურჟუაზიის წინააღმდეგ ილაშქრებს მთელი მუშათა კლასი და უპირველესად თავს ესხმის მის პოლიტიკურ ძალაუფლებას, კანონებისაგან აგებულ კედელს, რომელიც მან გარს შემოვიღო“<sup>2</sup>. ჩარტიტული მოძრაობა იყო პირველი, თუმცა მოუმწიფებელი პოლიტიკური მოძრაობა მუშათა კლასისა მის ბრძოლაში კაპიტალის წინააღმდეგ. იხილავს რა ჩარტიტულ მოძრაობას, ენგელსი მოითხოვს ჩარტიზმის განვითარებას, რადგან იგი პროლეტარიატის ინტერესების გამომხატველია.

ჩარტიზმთან დაპირისპირებით ენგელსი იძლევა ინგლისური, ე. ი. ოუენის უტოპიური სოციალიზმის კრიტიკას. ენგელსის თქმით, ინგლისელი სოციალისტების პრინციპები აბსტრაქტულია, მათ ვერ შეაფასეს პროლეტარიატის მსოფლიო-ისტორიული როლი. აქედან გამომდინარე, ენგელსის დამსახურებას როგორც ავტორისას შრომისა „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“ ლენინი იმაში ხედავს, რომ აქ „ენგელსმა — პირველმა თქვა, რომ პროლეტარიატი არ არის მხოლოდ დატანჯული კლასი; რომ სწორედ ის სამარცხვინო ეკონომიური მდგომარეობა, რომელშიც პროლეტარიატი იმყოფება, შეუჩერებლად მიაქანებს მას წინ და აიძულებს იბრძოდოს თავისი საბოლოო განთავისუფლებისათვის. ხოლო მებრძოლი პროლეტარიატი თვითონ უშველის თავის თავს. მუშათა კლასის პოლიტიკური მოძრაობა აუცილებლად მიიყვანს მუშებს იმის შეგნებამდე, რომ სოციალიზმის გარეშე მათ გამოსავალი არა აქვთ. მეორე მხრივ, სოციალიზმი მხოლოდ მაშინ გადაიქცევა ძალად, როდესაც იგი მუშათა კლასის პოლიტიკური

<sup>1</sup> კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 45.

<sup>2</sup> ფ. ენგელსი, მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში, გვ. 211.



ბრძოლის მიზანი გახდება“<sup>1</sup>. ენგელსმა თავის შრომაში „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“ ახსნა პროლეტარიატის მსოფლიო-ისტორიული როლი და გვიჩვენა მისი რევოლუციური ბუნება. მან წინ წასწია სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ. მარქსის თქმით, ამ შრომაში „...ღრმად ჩასწვდა ფრ. ენგელსი კაპიტალისტური წარმოების არსებას“,<sup>2</sup> მოგვცა ღრმად მეცნიერული ახსნა კაპიტალისტურ საზოგადოებაში არსებული კონკურენციის ბუნებიდან გამომდინარე ე. წ. „ზედმეტი მოსახლეობის“ არსებობისა. ენგელსი მკაფიოდ გვიჩვენებს კაპიტალიზმის დროს კრიზისებისა და აყვავების პერიოდების ურთიერთშენაცვლების სურათს და აქედან გამომდინარე იმ უმუშევართა რეზერვის წარმოშობას, რაც კაპიტალისტურ მრეწველობას ყოველთვის უნდა ჰყავდეს მრეწველობის უაღრესად აყვავების მოკლე დროის გამოკლებით. „ეს რეზერვი, — წერს ენგელსი, — რომელიც კრიზისის დროს უზომოდ იზრდება, ხოლო აყვავებასა და კრიზისის შორის საშუალო პერიოდში მინც საკმაოდ დიდ რიცხვს შეიცავს, — ეს რეზერვი შეადგენს ...ზედმეტ მოსახლეობას“<sup>3</sup>.

მარქსისტულ ლიტერატურაში „ზედმეტი მოსახლეობის“ წარმოშობა პირველად ენგელსმა ახსნა ჯერ თავის „ნარკვევებში“ და შემდეგ უფრო ფართოდ შრომაში „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“. ლენინი თავის შრომაში „ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის“ წერს, რომ „პირველად ...შეხედულება ჰქარბ მოსახლეობაზე გამოსტყვა ენგელსმა თავის „Die Lage der arbeitenden Klasse in England“ (1845)<sup>4</sup>.

ეხება რა საერთოდ კაპიტალისტური წარმოების განვითარებასა და მუშათა მდგომარეობას, ენგელსი აღნიშნავს, რომ საერთო განვითარების გამო მუშებში თანდათან ვითარდება საკუთარი კლასობრივი შეხედულებები და იდეები. „ინგლისის მუშათა კლასი თანდათან სხვა ხალხად გადაიქცა, ვიდრე ინგლისის ბურჟუაზიაა“, რომ „მუშები სხვა დიალექტზე ლაპარაკობენ, აქვთ სხვა იდეები და წარმოდგენები, სხვა ადათები და ზნეობრივი პრინციპები, სხვა რელიგია და პოლიტიკა, ვიდრე ბურჟუაზიას. ეს ორი სულ სხვადასხვა ხალხია, იმდენად სხვადასხვა, რამდენადაც შეიძლება სხვადასხვა იყოს მხოლოდ ორი რასა“<sup>5</sup>. აღნიშნული დებულებები მეტად მნიშვნელოვანია ისტორიული მატერიალიზმის თვალსაზრისით. აქ ლაპარაკია კლასობრივ იდეებზე, წარმოდგენებზე, ზნე-ჩვეულებებზე, ზნეობრივ პრინციპებზე, პოლიტიკაზე, რელიგიაზე, მიუხედავად იმისა, რომ ერთ საზოგადოებაში ცხოვრობენ და მთელი ეკონომიკით არიან დაკავშირებული, „ბურჟუებსა და პროლეტარებს პირდაპირ საწინააღმდეგო იდეები, წარმოდგენები, ზნე-ჩვეულება, ზნეობრივი პრინციპები, რელიგია და პოლიტიკა აქვთ“<sup>6</sup>. ამასთან დაკავშირებით.

<sup>1</sup> ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 10.

<sup>2</sup> ვ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, 1930, გვ. 196.

<sup>3</sup> ენგელსი, მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში, გვ. 90.

<sup>4</sup> ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 208.

<sup>5</sup> ფ. ენგელსი, მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში, გვ. 122.

<sup>6</sup> ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 13 — 14.



ენგელსმა შრომაში „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“ მიუთითა თანამედროვე საზოგადოებაში არსებულ კლასობრივ ბრძოლაზე, როგორც ამ საზოგადოების განვითარების ძირითად მამოძრავებელ ძალაზე. ამავე დროს ენგელსი მიუთითებს ამ კლასობრივი ბრძოლიდან გამოსავალ გზაზე. ენგელსი კლასობრივი პროლეტარული პოზიციებიდან განიხილავს საზოგადოებრივ ურთიერთობას. იგი შეუთრევებელ კლასთა ბრძოლაში პოულობს სოციალიზმის გამარჯვებისა და კაპიტალიზმის დაღუპვის პირობებს. ენგელსმა დაამტკიცა, რომ მუშათა კლასი ისტორიული დიალექტიკის ძალით მოწოდებულია დაამხოს არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობა. ამ საზოგადოებრივი ურთიერთობის დამხობა, ენგელსის აზრით, შესაძლებელია არა მშვიდობიანი გზით, არამედ სოციალური რევოლუციის გზით.

ენგელსი შრომის „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“ მნიშვნელობა უდიდესია მეცნიერული კომუნისმის ჩამოყალიბებაში. ამ შრომის მთავარი საკითხების შესახებ მარქსი სწერდა ენგელსს: „თვით წვრილმანებშიც კი ისინი დაადასტურა მერმინდელმა განვითარებამ 1844 წლის შემდეგ. მე სწორედ ხელახლა შევადარე შენი წიგნი ჩემს შენიშვნებს მერმინდელი დროების შესახებ; მხოლოდ პაწია გერმანულ მეშხანებს, რომლებიც მსოფლიო ისტორიას წყრთით ზომავენ და მასზე ყოველთვის „გაზეთის საინტერესო ამბებით“ მსჯელობენ, შეუძლიათ წარმოიდგინონ, რომ ამგვარ დიდ განვითარებაში 20 წელიწადი მეტს ნიშნავს, ვიდრე ერთი დღე, თუმცა შემდეგში შეიძლება ისეთი დღეები დადგეს, რომელშიც ოც-ოცი წლები ერთად ჩაეტევა“<sup>1</sup>.

მარქსის ამ აზრიდან ის დასკვნა გამოდის, რომ მარქსი და ენგელსი თავიდანვე თეორიულ მუშაობასთან ერთად დიდ ყურადღებას აქცევდნენ რევოლუციური პრაქტიკული მოღვაწეობის პირობებს, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ტაქტიკის საკითხებს, რასაც მარქსი და ენგელსი განსაზღვრავდნენ თავიანთი მატერიალისტური მსოფლმხედველობის ყველა დებულების შესაბამისად. ამით მარქსმა და ენგელსმა დაძლიეს ძველი მატერიალიზმის ერთ-ერთი ძირითადი ნაკლი. მარქსმა, — წერს ლენინი შრომაში „კარლ მარქსი“, — „...ჯერ კიდევ 1844—1845 წლებში გამოაშკარავა ძველი მატერიალიზმის ერთ-ერთი ძირითადი ნაკლი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მას უნარი არ შესწევდა გაეგო რევოლუციური პრაქტიკული მოღვაწეობის პირობები და დაეფასებინა მისი მნიშვნელობა“<sup>2</sup>.

შრომაში „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“ ენგელსი უკვე მივიდა ისტორიულ მატერიალიზმამდე. ამის შესახებ ენგელსი „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ 1888 წლის ინგლისური გამოცემის წინასიტყვაობაში, სადაც იგი „მანიფესტის“ იმ ძირითად დებულებას, რომელიც მის დედაარსს შეადგენს, მარქსს მიაკუთვნებს, წერდა: „ეს დებულება იმაში მდგომარეობს,

<sup>1</sup> კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული წგონილები, 1949, გვ. 145.

<sup>2</sup> ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. 21, გვ. 75.



რომ თვითეულ ისტორიულ ეპოქაში ეკონომიური წარმოებისა და გაცვლა-გამოცვლის გაბატონებული წესი და მით გაპირობებული საზოგადოების აგებულება შეადგენს იმ საფუძველს, რომელზედაც დამყარებულია ამ ეპოქის პოლიტიკური ისტორია და მისი გონებრივი განვითარების ისტორია, საფუძველს, რომლის მიხედვითაც მარტოოდენ შეიძლება ახსნილ იქნას ესა თუ ის ეპოქა; რომ ამის შესაბამისად კაცობრიობის მთელი ისტორია (მას შემდეგ, რაც დაიშალა პირველყოფილი გვაროვნული საზოგადოება მისი სათემო მიწათმფლობელობით) იყო ისტორია კლასთა ბრძოლისა, ბრძოლისა ექსპლოატატორთა და ექსპლოატირებულთა, გაბატონებულ და დაჩაგრულ კლასებს შორის; რომ ამ კლასობრივი ბრძოლის ისტორიამ აშემადა იმ საფეხურს მიღწევა თავის განვითარებაში, როდესაც ექსპლოატირებულ და დაჩაგრულ კლასს — პროლეტარიატს — აღარ შეუძლია განთავისუფლდეს ექსპლოატატორული და გაბატონებული კლასის — ბურჟუაზიის — უღლისაგან, თუ იმავე დროს მან მთელი საზოგადოება არ გაათავისუფლა ერთხელ და სამუდამოდ ყოველგვარი ექსპლოატაციისა, ჩაგვრისა, კლასობრივი დანაწილებისა და კლასობრივი ბრძოლისაგან.

ამ აზრს, რომელსაც, ჩემი შეხედულებით, ისეთივე მნიშვნელობა უნდა ექნეს ისტორიისათვის, როგორც დარვინის თეორიას ჰქონდა ბიოლოგიისათვის, ჩვენ ორივენი (მარქსი და ენგელსი. — ვ. კ.) თანდათან ვუახლოვდებით ჯერ კიდევ 1845 წლამდე რამდენიმე წლით ადრე. თუ რამდენად მოვახერხებ მე დამოუკიდებლად წავწეული იყავი წინ ამ მიმართულებით, ამის შესახებ ყველაზე უკეთ შეიძლება სჯა ჩემი ნაშრომის მიხედვით: „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“<sup>1</sup>.

წინასიტყვაობაში „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ მარქსი აღნიშნავს, რომ ენგელსმა აგრეთვე ისტორიის მატერიალისტურ გაგებას მიღწევა სხვა გზით თავის შრომაში „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“<sup>2</sup>.

ენგელსის შრომა „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“ ცხოველ ინტერესს იწვევდა რუსეთში. ჩერნიშევსკის მიმდევარი რუსი კრიტიკოსი და პუბლიცისტი შელგუნოვი ენგელსის ამ შრომის შესახებ წერდა: „ევროპის ეკონომიური ლიტერატურა დავალებულია მისი (ენგელსის. — ვ. კ.) საუკეთესო ნაწარმოებებით ინგლისის მუშების ეკონომიური ცხოვრების შესახებ“<sup>3</sup>. შელგუნოვმა დიდი ყურადღება მიაქცია მუშათა კლასის მდგომარეობისა და მისი კლასობრივი ბრძოლის ფორმების შესწავლას. ეჟრნალ „სოცრემენიკის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა მისი შრომა „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში და საფრანგეთში“. ამ შრომის პირველი ნაწილი წარმოადგენს ენგელსის წიგნის „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“ მოკლე დალაგებას. მეორე ნაწილში კი მოცემულია მუშათა კლასის მდგომარეობის დახასიათება საფ-

<sup>1</sup> კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, 1952, გვ. 20 (ნახვასმა ჩვენია. — ვ. კ.).

<sup>2</sup> კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, გვ. 408 — 409.

<sup>3</sup> Н. В. Шелгунов, Сочинения, т. 1, 1871, стр. 69.



რანგეთში. სარგებლობს რა ენგელსის შრომის ძირითადი იდეებით, შელგუნოვი იცავს ამ იდეებს მუშათა საკითხზე გერმანული ვულგარული ეკონომისტის ბ. ვილდენბრანდისა და რუსეთში მის თანამოაზრეთა თავდასხმისაგან.

1845—1846 წლებისათვის ჩამოაყალიბეს რა ახალი მსოფლმხედველობა, მარქსმა და ენგელსმა მიცნიერული პასუხი გასცეს იმ კითხვაზე, რაც ძირითადია მთელი ისტორიისათვის, სახელდობრ, თუ რა შეადგენს ისტორიის ნამდვილ მამოძრავებელ ძალას. ეს ამოცანა შეასრულეს მარქსმა და ენგელსმა თავიანთ ერთობლივ შრომაში „გერმანული იდეოლოგია“ (1846 წ.), რომელშიც მარქსი და ენგელსი მიდიან დასკვნამდე, რომ აღამიანთა არსებობის მატერიალურ საშუალებათა წარმოება წარმოადგენს კლასობრიობის ისტორიის შესწავლის გამოსავალ პუნქტს. მარქსისა და ენგელსის მიერ „გერმანულ იდეოლოგიაში“ პირველად ფორმულირებულია პროლეტარიატის დიქტატურის იდეა. მარქსი და ენგელსი წერენ, რომ პროლეტარიატმა „...უწინარეს ყოვლისა, უნდა დაიპყროს პოლიტიკური ძალაუფლება, რათა, თავის მხრივ, საკუთარი ინტერესი წარმოგვიდგინოს, როგორც საყოველთაო ინტერესი, რაც პირველ მომენტში მან იძულებით უნდა ჩაიდინოს“<sup>1</sup>. ამ იძულებით მომენტში მარქსსა და ენგელსს ესმით რევოლუცია, რომელიც „აუცილებელია არა მარტო იმიტომ, რომ არავითარი სხვა წესით არ შეიძლება გაბატონებული კლასის დამხობა, არამედ იმიტომაც, რომ დამამხობებელ კლასს მხოლოდ რევოლუციაში შეუძლია მიაღწიოს იმას, რომ მთელი ძველი სისაძაგლე თავიდან მოიშოროს და ახალი საზოგადოების დამყარების უნარი მოიპოვოს“<sup>2</sup>.

1845—1846 წლებში მარქსი და ენგელსი უკვე მეცნიერული კომუნიზმის წარმომადგენლები არიან. ისინი პრაქტიკული მატერიალისტის ან კომუნისტის მთავარ საქმედ თვლიან არსებული სამყაროს გარეგოლუციურებას, არსებული ვითარების წინააღმდეგ პრაქტიკულ გალაშქრებასა და მის შეცვლას. ამ პერიოდში მარქსი და ენგელსი არ შემოზღუდულან თავიანთ წინანდელ ფილოსოფიურ სინდისთან ანგარიშის გასწორებით, არამედ მარქსმა და ენგელსმა კრიტიკულად დაძლიეს სოციალიზმის ყველა მარქსამდელი ფორმა და აგრეთვე აბოლოგეტური ბურჟუაზიული თეორიები, რომელთაც დემორალიზაცია შეჰქონდა მუშათა რიგებში და რომლებიც დაბრკოლებას წარმოადგენდა ნამდვილი მუშათა პარტიის შექმნის გზაზე.

1846 წელს ენგელსი იმყოფება პარიზში. იგი პირადად ეცნობა კაბეს, ლუი ბლანსა და სხვა გამოჩენილ სოციალისტებს. აქ მარქსმა და ენგელსმა „...მხურვალე მონაწილეობა მიიღეს პარიზის რევოლუციური ჯგუფების მჩქეფარე ცხოვრებაში (განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პრუდონის მოძღვრებას, რომელთანაც მარქსმა გადაჭრით გაასწორა ანგარიში თავის „ფილოსოფიის სილატაკეში“, 1847 წ.) და წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის სხვადასხვა მოძღვრებასთან მკაცრი ბრძოლის გზით შეიმუშავეს რევოლუცი-

<sup>1</sup> კ. მარქსი და ფ. ენგელსი, გერმანული იდეოლოგიიდან, 1948, გვ. 36.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 88.



ური პროლეტარული სოციალიზმის ანუ კომუნიზმის (მარქსიზმის) თეორია და ტაქტიკა“<sup>1</sup>.

სანამ მარქსის „ფილოსოფიის სილატაკე“ გამოქვეყნდებოდა, ენგელსმა მოგვცა პროდონიზმის ზოგიერთი დებულების კრიტიკა. ენგელსის მიერ პროდონიზმის კრიტიკა მოცემულია მარქსისადმი მისი 1846 წლის სექტემბერის წერილებში, რომლებშიც, ლენინის თქმით, ენგელსი „შეუბრალებელი გესლიანობით და შესანიშნავი სიღრმით აკრიტიკებს პროდონის ძირითად იდეებს“<sup>2</sup>; მაგრამ პროდონიზმის საბოლოო კრიტიკა მოცემულია მარქსის „ფილოსოფიის სილატაკეში“, რომელშიც გადმოცემულია რევოლუციური მარქსიზმის საფუძვლები, ამ შრომაში მარქსს, ენგელსის სიტყვით, გარკვეული ჰქონდა თავისი ახალი ისტორიული და ეკონომიური შეხედულების ძირითადი პრინციპები.

მარქსმა და ენგელსმა, გაემიჯნენ რა ყოველგვარ უტოპიზმსა და იდეალიზმს, ჩამოაყალიბეს მეცნიერული კომუნიზმი. კომუნიზმის მეცნიერულ დასაბუთებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ენგელსის შრომას „კომუნიზმის პრინციპები“ (1847 წ.), რომელშიც მეტად შეკუმშულ, მაგრამ იმავე დროს მეტად პოპულარულ ფორმაში მოცემულია პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის წარმოშობისა და განვითარების ისტორია, გამოაშკარავებულია კაპიტალისტური საზოგადოების ძირითადი წინააღმდეგობანი და დამტკიცებულია ამ საზოგადოების დაღუპვის აუცილებლობა.

თავიანთი მოღვაწეობის დასაწყისში მარქსმა და ენგელსმა დაასაბუთეს რა პროლეტარიატის მსოფლიო-ისტორიული როლი, დაამტკიცეს კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში პროლეტარული კომუნისტური პარტიის, როგორც ხელმძღვანელი და მარჯანიზებული ძალის, აუცილებლობა. მარქსი და ენგელსი თავიანთ ამოცანად სახავენ არა უბრალო მუშათა პარტიის შექმნას (ასეთი პარტია ამ პერიოდში უკვე არსებობდა ინგლისში ჩარტისტული პარტიის სახით), არამედ მეცნიერული კომუნიზმის თეორიით შეიარაღებული რევოლუციური პროლეტარული პარტიის შექმნას. სწორედ ამიტომ მარქსისა და ენგელსის მოღვაწეობაში ადრინდელი პერიოდიდანვე მთავარი და გადამწყვეტი იყო მეცნიერული კომუნიზმის შემუშავება.

მარქსმა და ენგელსმა მოხაზეს მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლები კომუნისტური პარტიის პირველ საპროგრამო დოკუმენტში „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“, რომლის გამოსვლა მოასწავებდა უდიდესს რევოლუციურ გადატრიალებას საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში; მათ მთელი თავიანთი ცხოვრება მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლების გამოქვეყნებას მოანდომეს. მარქსისტული ფილოსოფიის ჩამოყალიბება დაკავშირებულია პროლეტარული პოლიტიკური ეკონომიისა და მეცნიერული კომუნიზმის ჩამოყალიბებასთან. მარქსისა და ენგელსის ფილოსოფიურ შეხედულებათა ჩამოყალიბების პროცესი თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, რომ მარქსიზმის წარმოშობა იყო

<sup>1</sup> ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. 21, გვ. 40.

<sup>2</sup> ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. 19, გვ. 669.



ნამდვილი აღმოჩენა, რევოლუცია ფილოსოფიაში. მარქსისა და ენგელსის ახალი შეხედულება ფილოსოფიაზე, როგორც მშრომელთა მასების ბრძოლის ჩარაღზე, განუყრელად დაკავშირებულია მათ პოლიტიკურ მოღვაწეობასთან, დაკავშირებულია მათ გადასვლასთან პროლეტარული პარტიულობის პოზიციაზე. ამის საფუძველზე მარქსმა და ენგელსმა მოახდინეს რა ნამდვილი რევოლუცია ფილოსოფიაში, ძირფესვიანად შეცვალეს მისი კლასობრივი ბუნება, საგანი და ამოცანები.

მარქსმა და ენგელსმა ჩვენ დაგვიტოვეს უდიდესი მემკვიდრეობა და მოგვცეს მისი შემოქმედებითი გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპიც. ენგელსი ყოველთვის მიუთითებდა მარქსიზმის მოძღვრების მკვდარ დოგმად გადაქცევის ყოველად დაუშვებლობაზე. „ჩვენი თეორია დოგმა კი არაა, — წერდა ენგელსი, — არამედ განვითარების პროცესის ახსნა, რომელიც მთელ რიგ თანმიმდევრულ ფაზებს შეიცავს“<sup>1</sup>. ამ შემოქმედებითი პრინციპის გამოყენებით ლენინმა შემდგომ განავითარა და გაამდიდრა მარქსიზმი, აიყვანა იგი ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე, რომელიც განუწყვეტლივ მდიდრდება სოციალისტური მშენებლობის გამოცდილებისა და თანამედროვე მეცნიერებათა მიღწევების საფუძველზე.

სტალინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
დიალექტიკური და ისტორიული მატე-  
რიალიზმის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1954 წ. I. 25)

В. И. Каландаришвили

## Развитие философских взглядов Фридриха Энгельса в 1838—1845 годах

Резюме

Фридрих Энгельс является одним из основоположников научного мировоззрения пролетариата — теории марксизма. Исходным пунктом для характеристики формирования философских взглядов Фридриха Энгельса и его роли в создании теории марксизма является ленинская характеристика формирования и развития марксизма. Именно Ленину принадлежит первое научное освещение формирования взглядов Маркса и Энгельса.

Анализ ранних работ Фридриха Энгельса, наряду с научным анализом экономического и социально-политического положения тогдашней

<sup>1</sup> კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, გვ. 441.



эпохи, дают нам ясное представление о формировании и развитии философских взглядов Фридриха Энгельса в раннем периоде его идейного развития.

Исходным пунктом идейного развития Фридриха Энгельса является революционный демократизм, отражающий интересы и положение широких трудящихся масс Германии в условиях созревшей революционной ситуации. Фридрих Энгельс, защищая принципы революционного демократизма, требует осуществления революционного преобразования существующего реакционного строя. Такое революционно-демократическое отношение Энгельса к немецкой действительности способствовало развитию его философских взглядов.

Фридрих Энгельс, мировоззрение которого развивалось от идеализма к материализму и от революционного демократизма к коммунизму, вместе с Марксом становится основоположником научного коммунизма. Процесс формирования и развития политических и философских взглядов Маркса и Энгельса наглядно показывает то, что возникновение марксизма является подлинным открытием, революцией в философии.

В начале своей деятельности Маркс и Энгельс, показав всемирно-историческую роль пролетариата, доказали необходимость создания пролетарской коммунистической партии, как руководящей и организующей силы в борьбе против капитализма. Маркс и Энгельс с раннего же периода в своей деятельности основной задачей ставили создание революционной пролетарской партии, вооруженной теорией научного коммунизма. Именно поэтому в деятельности Маркса и Энгельса главным и решающим моментом являлась выработка научного коммунизма.

Коммунистическая партия Советского Союза, которая представляет руководящую и направляющую силу советского общества, во всей своей деятельности руководствуется всепобеждающим учением марксизма-ленинизма.



ა. გელაშვილი

## გაეოქონილი ურანში მოაზროვნე

(შ. ლ. მონტესკიეს გარდაცვალებიდან 200 წლისთავის გამო)

გასულ წელს საბჭოთა ხალხმა მთელი მსოფლიოს მოწინავე კაცობრიობასთან, მათ შორის ფრანგ ხალხთან ერთად აღნიშნა მსოფლიო კულტურის ღირსეული წარმომადგენლის, ფრანგი პოლიტიკური მოაზროვნის, სოციოლოგისა და ფილოსოფოსის—მონტესკიეს გარდაცვალებიდან 200 წლისთავი.

შარლ ლუი დე სეკონდა (მონტესკიე) დაიბადა 1689 წელს ქ. ბორდოს მახლობლად ბრედის ძველის-ძველ ციხე-კოშკში, გალატაკებული პროვინციელი აზნაურის ოჯახში. 7 წლის შარლი სასწავლებლად შეიყვანეს ორატორიაში, სადაც მან 11 წელი დაჰყო. აქ იგი სწავლობდა კლასიკურ ლიტერატურას, რამაც დიდი გავლენა მოახდინა შემდგომ მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. 18 წლის მონტესკიე დიდი ინტერესით ეკიდება სამართლისმცოდნეობის შესწავლას და 1714 წელს ინიშნება გიენის პროვინციის უმაღლესი სასამართლო დაწესებულების წევრად (ანუ ბორდოს პარლამენტის მრჩეველად).

1716 წელს მონტესკიეს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა, გარდაიცვალა მისი ბიძა (მამის მხრიდან), რომელმაც დაუტოვა მას გრაფის ტიტული და გვარი—მონტესკიე. ამასთან ერთად დაუტოვა აგრეთვე საკმარისი მამული და შემოსავლიანი მაღალი თანამდებობა—ბორდოს პარლამენტის პრეზიდენტობა<sup>1</sup>. ამ თანამდებობაზე ყოფნისას მონტესკიე კარგად ეცნობა უმაღლესი სასამართლოს ორგანოების პრაქტიკას, მათ მნიშვნელობასა და ნაკლოვანებებს. მაგრამ სასამართლოში სამსახური და აღმინისტრაციული საქმიებები ნაკლებად იზიდავდა მას. 1726 წელს იგი თავს ანებებს პრეზიდენტობას და ხელს ჰკიდებს ჯერ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ხოლო შემდგომ ისტორიისა და იურისპრუდენციის შესწავლას. ამის შემდეგ მონტესკიე გვევლინება როგორც განმანათლებლობის ეპოქის ცნობილი მოაზროვნე და თეორეტიკოსი საზოგადოებისა და სახელმწიფო საკითხებში. 1728 წელს მას ირჩევენ საფრანგეთის აკადემიის, ხოლო 1729 წელს ინგლისის სამეფო საზოგადოების წევრად.

<sup>1</sup> ეს თანამდებობა, რომელიც 1726 წლამდე ეჭირა მონტესკიეს, ნაყიდი იყო ბიძის მიერ. დაანება რა თავი ამ თანამდებობას, მონტესკიემ ასევე გაყიდა იგი. საერთოდ, მონტესკიე იცავდა სასამართლო თანამდებობათა ყიდვა-გაყიდვის სისტემას, რაც, მისი აზრით, წარმოადგენდა საუკეთესო გარანტიას მოსამართლის პრაქტიკული დამოუკიდებლობისათვის. ასეთი შეხედულებანი დიდი ფრანგ განმანათლებლის—ვოლტერის მხრივ სამართლიან გულისწყრომას იწვევდა.



მონტესკიეს კალამს მრავალი ღირსშესანიშნავი ნაშრომი ეკუთვნის, რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შემდეგ 3 წიგნს: 1) „სპარსული წერილები“ (Lettres persanes, 1721), 2) „მსჯელობანი რომელთა სიდიადისა და დაცემის მიზეზების შესახებ“ (Considérations sur les causes de la grandeur des Romains et de leur décadence, 1734), 3) „კანონთა სული“ (L'esprit des lois, 1748). ამ წიგნებმა დიდი სახელი მოუხვეჭეს ავტორს და მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს როგორც საფრანგეთის, ისე მთელი ევროპის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაზე.

აღსანიშნავია, რომ სამივე ეს წიგნი იბეჭდებოდა ანონიმურად საფრანგეთის საზღვრებს გარეთ, კერძოდ პირველი ორი წიგნი დაიბეჭდა ამსტერდამში, ხოლო მესამე—ჟენევაში.

„სპარსული წერილები“ ახალგაზრდა მონტესკიეს პირველ სერიოზულ ნაშრომად ითვლება. ამ წერილებში ჯერ კიდევ განუფიქრებელი სახით მოცემულია ის აზრები, რომლებმაც შემდგომ სრულყოფა პოვეს წიგნში „კანონთა სული“. „სპარსული წერილები“ წარმოადგენს გესლიან სატირას, მწარე ირონიას, რომელიც მიმართული იყო საფრანგეთის პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ. მონტესკიე დასცინოდა საფრანგეთის აბსოლუტიზმის პოლიტიკას და ფეოდალური უმაღლესი საზოგადოების ზნეობრივ დაცემულობას, მათ პირფერობას, სიცრუეს, ბოროტებას; ირონიულ ფორმებში ამხელდა იმ ინტრიგებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა სამეფო კარზე; დასცინოდა იმ თვითნებობას, რომელიც ბატონობდა საფრანგეთში სახელმწიფო ჩინოვნიკების დანიშვნისას; დასცინოდა ლუდოვიკო XIV-ის სამეფო კარზე გამეფებულ ფარისევლობასა და პირმოთნობას.

ღრმააზროვანი, გამანადგურებელი სატირის ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ ცნობილი წერილი ორი ჯადოქარის შესახებ, რომელშიც ნათქვამია: საფრანგეთის მეფე ყოვლისშემძლე ხელმწიფეა ევროპაში. მართალია, მას არა აქვს ოქროს ქვიშრობები, როგორც მის მეზობელ ესპანეთის მეფეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას უფრო მეტი სიმდიდრე გააჩნია. ამ სიმდიდრეს ჰპოვებს იგი თავისი დიდებისმაძიებელი ქვეშევრდომებისაგან, რომელნიც ქვიშრობებზე მეტად ულევლნი არიან. არაერთხელ უნახავთ, თუ როგორ აწარმოებდა საფრანგეთის მეფე დიდ ომებს იმ დროს, როდესაც მას არ გააჩნდა სხვა ფონდები, გარდა გასაყიდი საპატიო ტიტულებისა. მიუხედავად ამისა, მისი ჯარები ყოველთვის უზრუნველყოფილი იყვნენ ხელფასით, ხოლო ციხესიმაგრენი და ფლოტი—შეიარაღებული. ერთი სიტყვით, ეს მეფე დიდებული ჯადოქარია. იგი თავისი ქვეშევრდომების უღვაშებზეც კი მეფობს. იგი აიძულებს მათ, იაზროვნონ იმგვარად, როგორც მას მოესურვება. თუ მას ხაზინაში მხოლოდ ერთი მილიონი ეკიუ აქვს, საკმარისია შთაავაგონოს ქვეშევრდომები, რომ ერთი ეკიუ უდრის ორს, და ისინიც იჯერებენ. თუ მეფეს უხდება მძიმე ომის ჩატარება და არა აქვს ფული, მისთვის საკმარისია შთაავაგონოს ქვეშევრდომებს, რომ ქალაქის ნაჭერი ფულია და ისინიც მაშინვე რწმუნდებიან ამაში. მაგრამ ეს არც ისე დიდად საკვირველია, — დასძენს მონტესკიე.



არსებობს კიდევ უფრო დიდი ჯადოქარი, რომელიც პაპად იწოდება. იგი აიძულეს ხალხს უფრო მეტად საკვირველი ამბების დაჯერებასა და რწმენას.

ერთ-ერთ წერილში მონტესკიე აღნიშნავს, რომ ევროპაში ხელმწიფეთა ვნებებმა, ხალხთა ხანგრძლივმა მოთმინებამ, მთხველთა პირფრობამ და ცბიერებამ დაამახინჯეს სახელმწიფო სამართლის ძირითადი პრინციპები. ეს სამართალი ახლა სხვა არაფერია, თუ არა მეცნიერება, რომელიც ასწავლის ხელმწიფეებს მართლმსაჯულების დარღვევას. ასეთ სამართალს მონტესკიე უწოდებს უღირს ხელოვნებას, რომელიც მოწოდებულია იმისათვის, რათა დაამახინჯოს სამართლიანობა<sup>1</sup>.

გაკრიტიკებულია რა საფრანგეთის პოლიტიკური რეჟიმი, წერილებში ამავე დროს მოჩანს ერთგვარი მოწოდება რეფორმებისაკენ, სახელმწიფოს მოწყობისაკენ ახალ „სამოქალაქო“ საწყისებზე. აქვე მონტესკიე გამოთქვამს რესპუბლიკურ იდეებს და, ზოგ შემთხვევაში, იძლევა რესპუბლიკური წყობის იდეალიზაციას. ერთ-ერთ წერილში მონტესკიე წერს: მონარქია არის სრულ ძალადობაზე დამყარებული ხელისუფლება, რომელიც კიდევ უფრო მახინჯდება რესპოტიზმის პირობებში. როგორც ჩანს, პატიოსნების საკუთხეველი, კეთილი სახელი და სათნოება საჭიროა მოიძებნოს რესპუბლიკებში და იმ ქვეყნებში, სადაც ნებადართულია სამშობლოს სახელის წარმოთქმა.

„სპარსული წერილები“ ნათლად მოწმობს საფრანგეთის უმაღლესი საზოგადოების გულის გატეხას საფრანგეთის აბსოლუტიზმის მიმართ.

ცხადია, ზემოთ აღნიშნული იდეების აშკარად ქადაგება დიდ გაბედულებას მოითხოვდა. მონტესკიე ფრთხილად იქცეოდა. ამიტომაც იყო, რომ „სპარსული წერილები“ მან ანონიმურად გამოსცა საზღვარგარეთ. გარდა ამისა, სატირა იმითაც არის შენიღბული, რომ ავტორი თავის აზრებს გადმოსცემს უცხოელების პირით. კერძოდ, მასში გადმოცემულია სამი სპარსელის შთაბეჭდილება, რომლებიც თითქოს მოგზაურობდნენ იმ დროს ევროპაში.

„სპარსულ წერილებს“ გამოსვლისთანავე ბრწყინვალე წარმატება ჰქონდა. იგი ისე სწრაფად ვრცელდებოდა, რომ ჰოლანდიელი წიგნით მოვაკრეები მოუთმენლად ელოდნენ ამ წერილების გაგრძელებას ავტორის მიერ. ამ წიგნის გამოსვლამ მონტესკიეს სახელი გაუთქვა და ცნობილ პიროვნებად გახადა პარიზის საზოგადოებაში. უნდა აღინიშნოს, რომ „სპარსულ წერილებს“ ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მიწურულში იცნობდნენ საქართველოშიც.

1728 წელს მონტესკიე იწყებს მოგზაურობას ევროპაში. იგი ეცნობა იმ დროისათვის თითქმის ყველა მოწინავე ქვეყანას: გერმანიას, უნგრეთს, იტალიას, შვეიცარიას, ჰოლანდიას, ინგლისს. მონტესკიე გულდასმით აკვირდებოდა და სწავლობდა ამ ქვეყნების პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ წყობას. მოგზაურობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მონტესკიეს სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათა ჩამოყალიბებაში. ამ მოგზაურობიდან ყველაზე ნაყოფიერად მონტესკიე თვლიდა ინგლისში გატარებულ ორ წელს (1729 — 31 წ.). ინგლისში იგი ტრიალებდა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებში,

<sup>1</sup> Lettres persanes, I, LXXXVIII, XCIV.



ესწრებოდა პარლამენტის სხდომებს და სხვ. ინგლისის დაწესებულებათა შესწავლამ დიდი გავლენა იქონია მონტესკიეს ძირითად ნაშრომზე „კანონთა სულზე“.

მოგზაურობიდან სამშობლოში დაბრუნებისას მონტესკიე გვევლინება კონსტიტუციური მონარქიის თეორეტიკოსად და ფრანგული ზომიერი ლიბერალიზმის მამამთავრად.

1734 წელს გამოქვეყნდა მონტესკიეს მეორე მნიშვნელოვანი ნაშრომი „მსჯელობანი რომაელთა სიდიადისა და დაცემის მიზეზების შესახებ“. ამ ნაშრომებში მონტესკიე ეძებს ისტორიულ ცვალებადობათა მთავარ მიზეზებს და მნიშვნელოვან ნაბიჯს დგამს წინ ისტორიის მეცნიერულად დამუშავებისაკენ მრავალი ისტორიკოსი რომის რესპუბლიკის დაცემას მიაწერდა ცეზარისა და პომპეოსის პატივმოყვარობას, განსაკუთრებით კი ცეზარის გეგმებს. მონტესკიე უარყოფს ასეთ შეხედულებებს. მისი აზრით, ის, რაც ერთ შეხედვით გვევლინება როგორც ცალკეულ პიროვნებათა საქმე, სინამდვილეში გაპირობებულია მთელი რიგი ისტორიული ამბებით. რესპუბლიკა დამხობილ იქნა არა ცეზარისა და პომპეოსის მიერ, არამედ იმ გარემოებათა ძალით, რომელთაც შესაძლებელი გახადეს ცეზარისა და პომპეოსის მიღწევები.

აკრიტიკებდა რა ერთ-ერთ ბურჟუაზიულ თეორიას, ენგელსი შრომაში „ანტი-დიურინგი“ წერდა: „წარმოდგენა, თითქოს დიდი სახელმწიფოებრივი პოლიტიკური მოქმედებანი გადაწყვეტ მომენტს წარმოადგენენ ისტორიაში. ისევე ძველია, როგორც თვით ისტორიოგრაფია, და ესაა იმის მთავარი მიზეზი, რომ ჩვენამდე ასე ცოტა ცნობებია შემონახული ხალხთა განვითარების შესახებ, რომელიც ამ მყვირალა გამოსვლათა უკანა რიგში ჩუმად ხდებოდა და ნამდვილად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა. ეს წარმოდგენა ისტორიის მთელ ადრინდელ გაგებაში ბატონობდა და იგი პირველად რესტავრაციის დროის ფრანგმა ბურჟუაზიულმა ისტორიკოსებმა შეარყიეს“ („ანტი დიურინგი“, გვ. 188). ამ მხრივ გარკვეული ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე მონტესკიესაც.

მონტესკიეს დიდი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ ისტორიკოსებს ამოცანად დაუსახა შეესწავლათ არა ინდივიდუალურ ხასიათთა თავისებურებანი, არა ცალკეულ პიროვნებათა ბიოგრაფიები, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები, რომელთაც შეუძლიათ ისტორიულ ცვლილებათა ახსნა.

ეკამათებოდა რა პლუტარქს, მონტესკიე წერდა: ბედნიერება არ მართავს სამყაროს. ამის შესახებ შეგიძლიათ მიმართოთ რომაელებს, რომელთაც დიდი მიღწევები ჰქონდათ, როდესაც მართავდნენ ქვეყანას მათი ცნობილი სისტემით; ხოლო განიცადეს მთელი რიგი დამარცხებანი, როდესაც იწყეს სხვა სისტემით ხელმძღვანელობა. არსებობენ ზოგადი ზნეობრივი და ფიზიკური მიზეზები, რომლებიც მოქმედებენ ყველა სახელმწიფოში და ამტკიცებენ ან ანგრევენ მათ. ყველა ისტორიული მოვლენა ამ ზოგად მიზეზებს ექვემდებარება. თუ რომელიმე ბრძოლის შემთხვევეთმა შედეგმა, ე. ი. კერძო მიზეზმა, დაღუპა ესა თუ ის სახელმწიფო, სინამდვილეში ეს გამოწვეულია იმით,



რომ ამ კერძო მიზეზის უკან იმალებოდა ზოგადი მიზეზი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო აუცილებლად უნდა დაღუპულიყო ამ ერთი ბრძოლის გამო, ერთი სიტყვით, ხალხთა ისტორიის მთავარ ღირებებს თან სდევს ყველა კერძო შემთხვევა<sup>1</sup>.

ამრიგად, მონტესკიეს აზრით, სამყაროს მართავს არა შემთხვევითობა არამედ კანონზომიერება. ის, რაც ჩვენ შემთხვევითად გვეჩვენება, სინამდვილეში წარმოადგენს აუცილებლობის კერძო გამოვლენას. ამიტომ ისტორიკოსის ამოცანაა სწორედ ამ ზოგადი მიზეზების ახსნა.

მონტესკიე ასაბუთებს, რომ რომის სიდიადე დამოკიდებული იყო, უპირველეს ყოვლისა, რომაელების მიერ რესპუბლიკის ეპოქაში შექმნილ სახელმწიფო დაწესებულებებზე და რომაელთა ხასიათზე (თავისუფლების სიყვარული, მკაცრი ზნე-ჩვეულებანი, სამოქალაქო სიმამაცე და სხვ.). რომის დაცემის მიზეზს მონტესკიე ხედავს რომაელების მიერ ამ თვისებათა დაკარგვაში.

ამავე შრომაში მონტესკიე იძლევა რესპუბლიკური რომის იდეალიზირებულ სურათს, რაც, ცხადია, არ შეესაბამება სინამდვილეს.

„მსჯელობანი რომაელთა სიდიადისა და დაცემის მიზეზების შესახებ“ წარმოადგენს მონტესკიეს მთავარი შრომის — „კანონთა სულის“ ერთგვარ შესავალს; ის გამოქვეყნდა 1748 წელს. ამ შესანიშნავ თხზულებაში, რომელიც ოცი წლის მუშაობის ნაყოფს წარმოადგენდა, მოცემულია ავტორის ისტორიულ და სოციალურ კონცეპციითა შედარებით სრული და ნათელი გადმოცემა. შრომა წარმოადგენს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ დაწესებულებათა წარმოშობისა და მათი ფუნქციების საინტერესო გამოკვლევას. მასში მოცემულია პროგრამა იმ რეფორმებისა, რომლის საჭიროებასაც განიცდიდა XVIII საუკუნის ევროპა შემდგომი სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული პროგრესისათვის.

თუ როგორ ხდებოდა „კანონთა სულის“ ჩამოყალიბება და განვითარება, ამის შესახებ მონტესკიე შემდეგს გადმოგვცემს: მე დავიწყე ხალხთა დაკვირვებიდან და დავინახე, რომ ზნე-ჩვეულებათა და კანონების მრავალგვარობაში ადამიანები მხოლოდ თავიანთი ფანტაზიით არ ხელმძღვანელობდნენ; მე დავადგინე ზოგადი საწყისები და დავინახე, რომ ცალკეული შემთხვევები ექვემდებარებიან მათ; რომ ხალხთა ისტორიული ბედი წარმოადგენს ამ ზოგადი საწყისების შედეგს; რომ ყოველი ცალკეული კანონი სხვა კანონებთან კავშირში იმყოფება, ანდა გამომდინარეობს რომელიმე ზოგადი კანონიდან.

ბევრჯერ მიმიტოვებია და ხელახლა დამიწყია სამუშაო, — განაგრძობს მონტესკიე. კვლევის პროცესში მე არ მქონდა შედგენილი გეგმა, არ ვიცოდი არც წესები და არც გამონაკლისები. მაგრამ, როდესაც აღმოვაჩინე ზოგადი საწყისები, ყველაფერი, რასაც ვეძებდი, ნათლად წარმოსდგა ჩემს წინაშე.

მართალია, მონტესკიე ჯერ კიდევ შორს იდგა საზოგადოების განვითარების კანონების სწორი გაგებისაგან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან მნიშვნე-

<sup>1</sup> Grandeur et Décadence des Romaine, chap. XVIII, p. 172.



ნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ საზოგადოების აბსტრაქტული კვლევიდან მისი მეცნიერული შესწავლისაკენ.

ტრაქტატს „კანონთა სული“ მონტესკიე იწყებს კანონის განმარტებით. რა არის კანონი? კანონები, ამ სიტყვის ყველაზე ფართე გაგებით, — აღნიშნავს მონტესკიე, — არის აუცილებელი მიმართებანი, ისინი გამომდინარეობენ საგანთა ბუნებიდან. ამ გაგებით, ყოველ არსებას თავისი კანონები აქვს. კანონები აქვთ როგორც ნივთიერი (ე. ი. არაორგანული) სამყაროს საგნებს, ისე ცხოველებს, ადამიანს და თვით ღმერთსაც. იდეა იმის შესახებ, რომ ღმერთის მოქმედება გარკვეულ საზღვრებშია მოქცეული და გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილება, რა თქმა უნდა, შეუთავსებელი იყო ყოველგვარ რელიგიასთან. მონტესკიემ ღმერთს ყოვლისშემძლეობის უნარი წაართვა და გარკვეულ საზღვრებში მოაქცია იგი.

სამყაროში (როგორც ბუნებაში, ისე საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფეროში) ბატონობს არა ბრმა შემთხვევითობა, არამედ კანონზომიერება. უაზრობა და სისულელეა იმის თქმა, — აღნიშნავს მონტესკიე, — რომ თითქოს ბრმა შემთხვევითობამ წარმოშვა ყველა ის მოქმედება, რასაც ჩვენ ვხედავთ სამყაროში. რა უნდა იყოს იმაზე უაზრობა, რომ ბრმა შემთხვევითობას წარმოეშვა გონიერი არსებანი?

მიუხედავად ასეთი პროგრესული აზრებისა, მონტესკიეს მოძღვრება კანონებზე იდეალისტურ ხასიათს ატარებს. მონტესკიე ჯერ კიდევ შორსა დგას ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონების მეცნიერული გაგებისაკენ.

მონტესკიეს მიხედვით არსებობენ: ღვთაებრივი კანონები, რომლებიც მიუთითებს ურთიერთობაზე ღმერთსა და ადამიანებს შორის; მსოფლიო კანონები, რომლებიც განსაზღვრავს მსოფლიო მოვლენათა დამოკიდებულებას; ადამიანური კანონები, რომლებიც აღგენს ადამიანთა ურთიერთობას მათი ბუნების მიხედვით.

კანონები დგინდება გონების მიერ. კანონი საერთოდ, — აღნიშნავს მონტესკიე, — არის საკუთრივ ადამიანური გონება, რამდენადაც იგი მართავს დედამიწის ყველა ხალხს. ყოველი ერის პოლიტიკური და სამოქალაქო კანონები წარმოადგენს ამ ადამიანური გონების კერძო შემთხვევებს. კანონი — გონების პროდუქტია.

საერთოდ, კანონების ხასიათი გაპირობებულია მმართველობის ფორმით, ქვეყნის ფიზიკური მდგომარეობით, კლიმატური პირობებით, ნიადაგის ნაყოფიერებით, ტერიტორიის სიდიდით, ხალხთა საქმიანობით, თავისუფლების ხარისხით, რელიგიით, მოსახლეობის მიდრეკილებებით, მათი სიმდიდრით, რიცხვით, ზნე-ჩვეულებებით, ვაჭრობით და სხვ. ამ დამოკიდებულებათა ზოგადი ერთობლიობა, — აღნიშნავს მონტესკიე, — შეადგენს კანონთა სულს.

მონტესკიე არის ფუძემდებელი ე. წ. „გეოგრაფიული მიმართულებისა“ სოციოლოგიაში. ეს მიმართულება წარმოადგენს ბურჟუაზიული სოციოლოგიის ერთ-ერთ სახესხვაობას, რომელიც გეოგრაფიულ გარემოს მიაწერს გადამწყვეტ მნიშვნელობას საზოგადოების განვითარებაში.



მონტესკიეს აზრით, კანონების ხასიათი და მმართველობის წესი გაპირობებულია კლიმატით, ნიადაგით, ტერიტორიის სიდიდით და სხვ. საზოგადოების განვითარებისათვის ყველაზე ხელსაყრელ პირობად იგი თვლიდა ჩრდილოეთის ქვეყნების ცივ კლიმატს, ხოლო ყველაზე ნაკლებ ხელსაყრელად — სამხრეთის ქვეყნების ცხელ კლიმატს. ზომაზე დიდი სიციხეები ძირს უთხრის ადამიანის ძალასა და სიფხიზლეს, მაშინ როდესაც ცივი კლიმატი ადამიანის სხეულსა და გონებას ანიჭებს გარკვეულ ძალასა და დიდ შემოქმედებითს უნარს. სამხრეთის ქვეყნების ცხელ კლიმატში მცხოვრები ხალხების სულმოკლეობასა და სიმხდალეს ყოველთვის მიჰყავდა ისინი მონობისაკენ, მაშინ როდესაც ცივ კლიმატში მცხოვრებ ხალხთა მამაცობა უნარჩუნებდა მათ თავისუფალ მდგომარეობას.

ამ მოსაზრებათა დასადასტურებლად „კანონთა სულის“ XIV წიგნში მონტესკიეს შემდეგი არგუმენტები მოაქვს:

ცივი ჰაერი კუმშავს ჩვენი სხეულის გარეგანი ბოჭკოების კიდეურებს. ეს გარემოება სხეულს ჰმატებს დრეკადობას და ხელს უწყობს სისხლის მიმოქცევას ბოჭკოთა კიდეურებიდან გულისაკენ. ცივი ჰაერი ამცირებს ბოჭკოების სიგრძეს და ამით აღიძვებს მათ ძალას. წინააღმდეგ ამისა, თბილი ჰაერი აღიძვებს ბოჭკოთა კიდეურებს და აგრძელებს მათ, რის გამოც კლებულობს მათი ძალა და დრეკადობა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ადამიანები ცივ კლიმატში უფრო მაგარი აგებულებისანი არიან. გულის მოქმედება აქ გაცილებით უკეთ წარმოებს, გულისცემა უფრო ძლიერია. ეს კი ადამიანში იწვევს ისეთ თვისებებს, როგორც არის სიმამაცე, ენერგიულობა, გამძლეობა, გულახდილობა, რწმენა თავისი უპირატესობის შესახებ და სხვ. თუ დაამწყვდევთ ადამიანს თბილსა და დახშულ ადგილას, — გვეუბნება მონტესკიე, — იგი იგრძნობს გულის დასუსტებას და ასეთ მდგომარეობაში ვერ შეძლებს რაიმე საგმირო საქმის შესრულებას.

თბილი ქვეყნის ხალხები მოხუცებივით მხდალები და გაუბედავები არიან, მაშინ როდესაც ცივ ქვეყნებში ხალხები ახალგაზრდებივით მამაცი არიან.

თბილი ქვეყნის ხალხთა ორგანიზმის სისუსტეს ემატება გონების სიზარმაცე, რომელიც ბუნებრივად უერთდება სხეულის სიზარმაცეს და ართმევს გონებას ყოველგვარ შემოქმედებითს უნარს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებში კანონები და ზნე-ჩვეულებანი დღევანდლამდე ისეთივეა, როგორც იყო 1000 წლის წინათ.

ამგვარადვე უკავშირებს მონტესკიე კლიმატურ პირობებს ბერ-მონაზონობას და მრავალცოლიანობას. ბერ-მონაზონობა, — აღნიშნავს მონტესკიე, — ჩაისახა აღმოსავლეთის ქვეყნებში, სადაც ადამიანებს ნაკლები მიდრეკილება აქვთ შემოქმედებისაკენ. ამიტომაც არის, რომ აზიაში ბერ-მონაზონთა რიცხვი იზრდება სიციხის მომატებასთან დაკავშირებით. ინდოეთი, სადაც დიდი სიციხე იცის, ბერ-მონაზონებითაა სავსე — აღნიშნავს მონტესკიე.

ცხადია, მონტესკიეს ამ მსჯელობაში ნათლად მოჩანს სამღვდლოების კრიტიკა. სასულიერო პირთა სიმრავლე დამოკიდებულია ადამიანთა გონებ-



რივსა და ფიზიკურ სიჩლუნგეზე, რაც თავის მხრივ კლიმატით არის გაპირობებული.

კლიმატური პირობები საფუძვლად უდევს რელიგიურ კანონებს. ცხელ კლიმატში ადამიანის სისხლის წყლიანი ნაწილი ორთქლდება, რის გამოც საჭიროა მისი შეცვლა ასეთივე სითხით. ამისათვის ყველაზე კარგი საშუალებაა წყლის მიღება, რადგანაც მაგარ, სპირტიან სასმელებს შეუძლია შეასქლონ სისხლის ბურთულები, რომლებიც რჩება სისხლის წყლიანი ნაწილის აორთქლების შედეგად. ცივ კლიმატში სისხლის წყლიანი ნაწილი ნაკლებად აორთქლდება და რჩება დიდი რაოდენობით. ამიტომ ცივ ქვეყნებში შესაძლებელია სპირტიანი, მაგარი სასმელების ხმარება. სისხლის შედუღებას აქ ადგილი აღარ ექნება. დაბოლოს, მონტესკიე დასძენს: მაჰმადიანთა კანონი, რომელიც კრძალავს ღვინის დაღევას, არის არაბეთის კლიმატის კანონი. ესევე ითქმის კართაგენელთა კანონისა და კლიმატის შესახებ. მაგრამ ასეთი კანონი უკვე აღარ იქნებოდა შესაფერი ცივი ქვეყნებისათვის.

სხვადასხვა საჭიროება სხვადასხვა კლიმატურ პირობებში წარმოშობს ცხოვრების სხვადასხვა წესს, ხოლო ცხოვრების სხვადასხვა წესი წარმოშობს სხვადასხვაგვარ კანონებს. იმ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობას ხშირი ურთიერთობა აქვს ერთმანეთთან, გამოყენებულია ერთი სახის კანონები, ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც ასეთ ურთიერთობას არა აქვს ადგილი — მეორე სახის კანონები.

კლიმატით არის აგრეთვე გაპირობებული ისეთი საზოგადოებრივი მოვლენა, როგორც არის მრავალცოლიანობა. ცხელ კლიმატში, — აღნიშნავს მონტესკიე, — ადამიანს ნაკლები მოთხოვნილება აქვს. ასეთ კლიმატურ პირობებში ადგილია ცოლისა და ბავშვების შენახვა. ამიტომ ადვილია მრავალი ცოლის ყოლა.

მონობის გავრცელებას, უმთავრესად ცხელ ქვეყნებში, მონტესკიე ხსნის იმით, რომ სამხრეთის ხალხებს სიცხე იმდენად უუძლურებს სხეულს და უსუსტებს სულს, რომ მათ შეუძლიათ იზრომონ მხოლოდ დასჯის შიშის ქვეშ.

ამრიგად, მონტესკიეს აზრით, კლიმატი უდიდეს გავლენას ახდენს ადამიანთა გრძნობებზე, გონებაზე, წარმოდგენაზე, მათ ზნე-ჩვეულებებზე, ყოფაცხოვრებაზე, რელიგიასა და კანონებზე.

მონტესკიე ამყარებს აგრეთვე კავშირს ნიადაგსა და ხალხთა პოლიტიკურ წყობას შორის. ერთი პირის მმართველობას, — აღნიშნავს იგი, — ხშირად ადგილი აქვს ნაყოფიერ მიწებზე, ხოლო მრავალ პირთა მმართველობას — უნაყოფო მიწებზე. ასე, მაგალითად, უნაყოფო ნიადაგმა ატიკაში დააფუძნა სახალხო მმართველობა, ხოლო ნაყოფიერმა ნიადაგმა ლაკედემონიაში დააწესა არისტოკრატიული მმართველობა.

ასევე ამყარებს დამოკიდებულებას მონტესკიე სახელმწიფოებრივ წყობასა და ტერიტორიის სიდიდეს შორის. ძალიან დიდი ტერიტორიის მქონე სახელმწიფოებისათვის, მონტესკიეს აზრით, ყველაზე მოსახერხებელია დესპოტია, შედარებით ნაკლებად ვრცელ სახელმწიფოთათვის — მონარქია, ხოლო პატარა სახელმწიფოთათვის — დემოკრატია. ამ მოსაზრებათა დასასაბუთებლად მას მოჰყავს მრავალრიცხოვანი ისტორიული მაგალითი.



ცხადია, რომ „გეოგრაფიულ მიმართულებას“ სოციოლოგიაში არ შეუძლია მეცნიერულად აგვიხსნას საზოგადოების განვითარების ნამდვილი მიზეზი.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნის გამოჩენილმა ფრანგმა მატერიალისტმა და ათეისტმა ჰელვეციუსმა შენიშნა, რომ გეოგრაფიულ მიმართულებაში მოჩანს ხალხთა შორის უთანასწორობის ქადაგება. ჰელვეციუსი მტკიცედ უარყოფდა მონტესკიეს თეორიას. მონტესკიეს საწინააღმდეგოდ იგი ამბობდა, რომ, თუ ფიზიკური პირობები წარმოადგენს ადამიანთა ისტორიის გასაღებს, მაშინ როგორ უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ თავისი გეოგრაფიული მონაცემებით ერთი და იმავე ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხს სხვადასხვა პერიოდში აქვს საესეებით განსხვავებული ზნე-ჩვეულებანი, დაწესებულებები, კულტურა. თუ სხვადასხვა კლიმატის ტემპერატურა, — წერდა ჰელვეციუსი, — ასეთ გავლენას ახდენს გონებასა და სულიერ სამყაროზე, მაშინ რით აიხსნება, რომ რომაელნი, რომელნიც რესპუბლიკური მიმართველობის დროს ესოდენ დიდსულოვანნი და გამბედავნი იყვნენ, ახლა გარდაიქმნენ უძლურ და განაზებულ ხალხად. რატომ არის რომ ბერძნები და ეგვიპტელები, ოდესღაც განთქმულნი თავისი გონებითა და სიმამაცით, აღაფრთოვანებდნენ მთელ მსოფლიოს, მაშინ როდესაც ახლა ისინი მოკლებული არიან ამ თვისებებს. რატომ მოხდა ასე, ტემპერატურა ამ ქვეყნებში ხომ არ შეცვლილა?<sup>1</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ იმპერიალიზმის ეპოქის ბურჟუაზიულ სოციოლოგიაში „გეოგრაფიული მიმართულება“ გადაიზარდა რეაქციულ, ფაშისტურ თეორიაში, ე. წ. გეოპოლიტიკაში, რომელიც ცდილობდა გეოგრაფიული ფაქტების დახმარებით დაესაბუთებინა იმპერიალისტური ექსპანსიისა და მძარცველობის პოლიტიკა.

მიუხედავად გულუბრყვილობისა და თავისებურებებისა, მონტესკიეს ზემოხსენებული კონცეფცია წარმოადგენდა წინ გადადგმულ ნაბიჯს ისტორიული აზრის განვითარებაში. მართალია, მონტესკიეს არ ესმოდა, თუ რაში მდგომარეობდა ისტორიული განვითარების ნამდვილი საფუძველი და მამოძრავებელი ძალა, მაგრამ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თვით საკითხის დაყენებას სოციალურ კანონზომიერებაზე და ისტორიული განვითარების მამოძრავებელი ძალების შესახებ. მონტესკიეს უდიდესი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან სოციალურ მოვლენათა განხილვა წმინდა მკვრეტელობის, თეოლოგიის სფეროდან გადაიტანა ისტორიული ფაქტების კონკრეტული კვლევის სფეროში, საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში.

მიმართველობის ყველა არსებულ ფორმას მონტესკიე ყოფს სამ სახედ: რესპუბლიკად, მონარქიად და დესპოტად. რესპუბლიკას ორი სახესხვაობა გააჩნია: დემოკრატია და არისტოკრატია. რესპუბლიკას დემოკრატია ეწოდება იმ შემთხვევაში, როცა ძალაუფლება მასში ეკუთვნის მთელ ხალხს, ხოლო არისტოკრატია — იმ შემთხვევაში, როცა ძალაუფლება ეკუთვნის ხალხის ნაწილს.

<sup>1</sup> Гельвеций, Об уме, гл. 249—250.



მონარქიული მმართველობის დროს ძალაუფლება ეკუთვნის ერთ კაცს და ემყარება მონარქის მიერ დადგენილ კანონებს. დესპოტური მმართველობის დროს ძალაუფლება ემყარება მმართველის თვითნებობას.

რესპუბლიკის ქვეშ მონტესკიე გულისხმობდა საბერძნეთისა და რომის ქალაქ-სახელმწიფოებს, აგრეთვე ისეთ ახალ ქალაქ-სახელმწიფოებს, როგორც იყო ვენეცია და გენუა. მონარქიის ქვეშ — დასავლეთის შეზღუდულ მონარქიას. დესპოტიის ქვეშ მონტესკიეს მხედველობაში ჰქონდა აღმოსავლეთის თვითნებობის შეუზღუდავი რეჟიმი.

მმართველობის ყოველ ფორმას თავისი საკუთარი მამოძრავებელი პრინციპი გააჩნია. დემოკრატიის მამოძრავებელ პრინციპს წარმოადგენს — სათნოება, სიკეთე. არისტოკრატიის მამოძრავებელი პრინციპია — ზომიერება; მონარქიისა — პატიოსნება; დესპოტიისა — შიში. ეს პრინციპები ყოველთვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ამა თუ იმ სახელმწიფოსათვის შესაფერი კანონების შემუშავებისათვის.

ამ პრინციპებით უნდა იხელმძღვანელოს აღმზრდელმაც, ვინაიდან საუკეთესო კანონების შემოღება ამა თუ იმ სახელმწიფოში მოითხოვს ადამიანთა გონების წინასწარ მომზადებას. კარგი აღმზრდელი შთაუწერგავს ახალგაზრდებს იმ თვისებებს, რომლებიც მმართველობის ამა თუ იმ ფორმას შეესაბამება. ასე, მაგ., შთაუწერგავს შიშს იმ ხალხს, რომელიც დესპოტურ სახელმწიფოში ცხოვრობს, ზომიერებას — ვინც არისტოკრატიულ სახელმწიფოში ცხოვრობს, პატიოსნებას — ვინც მონარქიულ სახელმწიფოში ცხოვრობს და ა. შ.

საკითხი იმის შესახებ, თუ მმართველობის რომელი ფორმა უნდა ჩაითვალოს ყველაზე სრულყოფილად, წყდება კონკრეტულ პირობებთან დაკავშირებით. არ არსებობს სახელმწიფოს საუკეთესო ფორმა ან საუკეთესო კონსტიტუცია. განყენებულად აღებულ ამა თუ იმ კანონზე არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი კარგია ან ცუდია. სახელმწიფოს ყოველი კანონი განხილული და შეფასებული უნდა იქნეს გარემოსთან დამოკიდებულებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მის სრულყოფილობაზე ლაპარაკი შეუძლებელი იქნებოდა. თუ თქვენ გსურთ გაიგოთ რომელიმე კანონის სული, მისი არსება, მისი შინაგანი აზრი, ამისათვის საჭიროა შეისწავლოთ იგი გარემო პირობებთან კავშირში.

ამრიგად, არ არსებობს აბსოლუტურად მიზანშეწონილი, გონივრული სახელმწიფოებრივი წყობა, რელიგია, კანონები, ზნე-ჩვეულებანი. ყველაფერი დამოკიდებულია ადამიანთა ცხოვრების პირობებზე, რომლის ქვეშაც მონტესკიეს ესმოდა გეოგრაფიული პირობები.

მიუხედავად ამისა, არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ მონტესკიეს სიმპათია იხრება მმართველობის წარმომადგენლობითი სისტემისაკენ და უფრო მეტად რესპუბლიკისაკენ, ვიდრე მონარქიისაკენ.

საერთოდ, ახასიათებს რა მიდრეკილება ძველი ხალხების იდეალიზაციისადმი, მონტესკიე ყველაზე მეტად აიდეალებს ანტიკურ რესპუბლიკებს.

მონტესკიე იკვლევს იმ პირობებს, რომლებიც აუცილებელ გარანტიას წარმოადგენს სახელმწიფოში თავისუფლების განხორციელებისათვის. პოლიტიკური თავისუფლების მთავარ პირობად და საუკეთესო გარანტიად მონტეს-



კიეს მიაჩნდა ხელისუფლების დანაწილება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებად. ხელისუფლების დანაწილების ნიმუშად მონტესკიე ასახელებს ინგლისის სახელმწიფოებრივ წყობას, სადაც, მისი აზრით, განხორციელებულია პოლიტიკური თავისუფლების იდეალი.

მოქალაქის პოლიტიკური თავისუფლება, — აღნიშნავს მონტესკიე, — არის სულის სიმშვიდე, რასაც საფუძვლად უდევს უშიშროების რწმენა. იმისათვის, რათა მოპოვებულ იქნეს თავისუფლება, საჭიროა მმართველობა ისე იქნეს აგებული, რომ ერთ მოქალაქეს მეორესი არ ეშინოდეს. თავისუფლებას ადგილი არ ექნება იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოში ერთი პირი ან საზოგადოების ერთი რომელიმე ფენა სარგებლობს ერთდროულად საკანონმდებლო და აღმასრულებელი ძალაუფლებით. ასეთ შემთხვევაში მთავრობას შეუძლია ძალდატანებითი გზით დაადგინოს კანონები. თავისუფლებას ადგილი არ ექნება იმ შემთხვევაშიც, როდესაც სასამართლო ძალაუფლება შეერთებულია საკანონმდებლოსთან. მოსამართლეს, რომელიც ამავე დროს კანონმდებელს წარმოადგენს, შეუძლია გამოიტანოს თვითნებური, უსამართლო გადაწყვეტილება.

ამრიგად, ხელისუფლების დაყოფა თავისუფლების აუცილებელ გარანტიას წარმოადგენს. მონტესკიეს აზრით, საკანონმდებლო ძალაუფლება უნდა ხორციელდებოდეს ორი — ქვედა და ზედა პალატების საშუალებით. ქვედა პალატას მონტესკიე უწოდებს ხალხთა უმრავლესობის პალატას, ხოლო ზედას — არისტოკრატიული უმცირესობის პალატას. აღმასრულებელი ხელისუფლება ენიჭება მეფეს და მის მოხელეებს, ე. ი. თავადაზნაურობას და არისტოკრატიას მეფესთან ერთად. რაც შეეხება სასამართლო ძალაუფლებას, მონტესკიეს აზრით, იგი უნდა ეკუთვნოდეს არჩეულ ნაფიც მსაჯულებს და მთავრობის მოსამართლეებს.

ძალაუფლების სამივე მხარე სახელმწიფოში ერთმანეთს უნდა აწონასწორებდეს.

მონტესკიეს მოძღვრება ძალაუფლების დაყოფის შესახებ გამოხატავდა აღმავალი ბურჟუაზიის ინტერესებს, რომელიც ხელისუფლებისაკენ მიიწვედა ფეოდალურ თავადაზნაურთა შევიწროების ხარჯზე.

უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, ბურჟუაზიამ მეფის ხელისუფლებისა და არისტოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიყენა ხელისუფლების განაწილების თეორია, მაგრამ ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ მას არც ერთ სახელმწიფოში არ განუხორციელებია ძალაუფლების დაყოფა და არ დაუნაწილებია იგი სხვადასხვა კლასისათვის. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ძალაუფლება ერთიანია. ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში მმართველობის ყველა ორგანო ბურჟუაზიული დიქტატურის სამსახურშია ჩაყენებული. ამრიგად, ბურჟუაზიის დიქტატურისათვის დამახასიათებელია არა ძალაუფლების დაყოფა, არამედ მისი ერთიანობა.

მართალია, მონტესკიე არ ყოფილა ათეისტი და ისე ენერგიულად არ ებრძოდა რელიგიას, როგორც XVIII საუკუნის ფრანგი მატერიალისტები დიდრო, ჰოლბახი, ჰელვეციუსი და სხვები, მაგრამ თავის ნაშრომებში ი რეი



აკრიტიკებდა ეკლესიასა და სამღვდლოებას. მნიშვნელოვან ინტერესს იწვევს მონტესკიეს აზრები ეკლესიისა და სახელმწიფოს დამოკიდებულებების შესახებ.

მონტესკიეს კარგად ესმოდა ის „ბოროტება“, რომელიც მოჰქონდა ეკლესიას, როგორც პოლიტიკურ ძალას, მაგრამ სიფრთხილის გამო, გაუზრბოდა რა აშკარა ბრძოლას რელიგიის წინააღმდეგ, გამოთქვამდა მხოლოდ სურვილებს, რათა ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული ყოფილიყო სამღვდლოების უფლებები.

მონტესკიე არ ეხება საკითხს იმის შესახებ, თუ როგორი წარმოშობა აქვს რელიგიას—ზეციური თუ მიწიერი. იგი განიხილავს რელიგიის ფორმებს მხოლოდ იმ სიკეთესთან დაკავშირებით, რომელიც შეუძლიათ მოიტანონ მათ სამოქალაქო ცხოვრებაში. ამიტომ რელიგიას იხილავს იგი არა აბსტრაქტულად, არამედ მმართველობის ფორმებთან კავშირში. მონტესკიე ხაზს უსვამს რელიგიის შეფარდებითობას და უარყოფს ყოველგვარი რელიგიის აბსოლუტურ მნიშვნელობას. საკითხი ისე კი არ უნდა დაისვას, თუ რომელი რელიგიაა მისაღები, არამედ ისე, თუ რომელი რელიგია უფრო შეეფერება მმართველობის ამა თუ იმ ფორმას, რომელიც თავის მხრივ გეოგრაფიული პირობებით არის განსაზღვრული.

მონტესკიე მომხრეა რჯულშემწყნარებლობისა იმ შემთხვევაში, თუკი რწმენათა სხვაობა არ იწვევს სახელმწიფოში არეულობას.

წინააღმდეგ ვოლტერისა და ფრანგ მატერიალისტებისა, მონტესკიე არ თვლის რელიგიას როგორც მხოლოდ მცდარობასა და მოტყუებას, არამედ ცნობს რელიგიის გარკვეულ დადებითს, მაორგანიზებელ როლს.

განიხილავს რა ეკლესიის დამოკიდებულებას სამოქალაქო საზოგადოებასთან, მონტესკიე წინააღმდეგია ეკლესიის გამდიდრებისა, მონასტერთა და სასულიერო პირთა რიცხვის ზრდისა. იგი მოითხოვს საეკლესიო მიწების ნაწილობრივ სეკულარიზაციას<sup>1</sup> და რელიგიური კანონების გამოყოფას სამოქალაქო კანონებისაგან. იგი მომხრეა სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფისა.

მონტესკიე შესანიშნავია არა მხოლოდ როგორც პოლიტიკური მოაზროვნე და სახელმწიფოს თეორეტიკოსი, არამედ აგრეთვე როგორც მსხვილი ეკონომისტი. იგი იყო ფულის მერკანტილისტური თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელთაგანი. ავტორი ფულის ე. წ. „რიცხვობრივი თეორიისა“.

მონტესკიეს ეკონომიური ინტერესების ცენტრს წარმოადგენდა სამეურნეო რეფორმები, რასაც დაჟინებით მოითხოვდა საფრანგეთი ბურჟუაზიული რევოლუციის წინ.

მოუხედავად იმისა, რომ მონტესკიეს წიგნს „კანონთა სული“ მრავალი ნაკლოვანება გააჩნდა (როგორც არის, მაგალითად, მთელ რიგ განსაზღვრებათა ბუნდოვანობა, მრავალი ფაქტიური მონაცემების არა სიზუსტე და სხვ.), იგი მაინც დიდი პოპულარობით სარგებლობდა და უდიდესი გავლენა მოახდინა არა მხოლოდ საფრანგეთის, არამედ მთელი ევროპის მოწინავე კაცობრიობის აზროვნებაზე.

<sup>1</sup> ე. ი. საეკლესიო ქონების გადაქცევას კანონმდებლობის გზით სახელმწიფო საკუთრებად.



მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა ყოველთვის დიდ ინტერესს ამჟღავნებდა მონტესკიეს შემოქმედების მიმართ. როგორც ცნობილია, მონტესკიეს მთავარი ნაშრომი „კანონთა სული“ დავით ბატონიშვილმა ქართულად თარგმნა და კომენტარებიც დაურთო.

წიგნის უდიდესი პოპულარობის ერთ-ერთ მიზეზს სტილის სიმშვენიერე წარმოადგენს. როგორც სტილისტს ფრანგები მონტესკიეს მიაკუთვნებენ ლიტერატურის კლასიკოსთა რიგებს. უნდა აღინიშნოს, რომ მონტესკიეს დროს მეცნიერული წიგნები პოლიტიკურსა და იურიდიულ საკითხებზე მძიმე ენით იწერებოდა. ისეთ „მშრალ“ თემაზე, როგორიც არის კანონები და პოლიტიკური დაწესებულებანი, მონტესკიემ პირველმა შეძლო ცოცხალი, ბრწყინვალე ენით წერა.

წიგნი დიდი ინტერესით იკითხებოდა იმის გამოც, რომ მასში მონტესკიე არ ცდილა ამომწურავი პასუხი გაეცა ყველა მის მიერ დასმულ საკითხზე. პირიქით, იგი მრავალ საკითხს სვამდა მკითხველთა წინაშე და აიძულებდა მათ ავტორთან ერთად მონაწილეობა მიეღოთ მსჯელობაში. „კანონთა სულში“ მონტესკიე აღნიშნავს: მე არ ვცდილვარ ამომწურავ საგანს, რადგანაც ამას მხოლოდ სასიკვდილო მოწყენილობა შეეძლო გამოეწვია. ჩემი ამოცანა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ვაიძულო მკითხველი წაიკითხოს წიგნი, არამედ იმაში, რომ ვაიძულო იგი იფიქროს, იახროვნოს.

მონტესკიეს შრომის არაჩვეულებრივი პოპულარობა ევროპის მოწინავე ხალხებს შორის იმითაც აიხსნება, რომ, თუმცა მონტესკიე გვევლინება საფრანგეთის ბურჟუაზიის ზედა ფენის იდეოლოგად, მაგრამ საკითხს კვლევის პროცესში იგი ხშირად ცილდება ვიწრო კლასობრივსა და სპეციფიკური ფრანგული ინტერესების საზღვრებს, არ იზღუდება კლასობრივი და ნაციონალური ჩარჩოებით.

„კანონთა სულს“ ერთგვარი სიახლე და ორიგინალობა ახასიათებდა. მონტესკიეს დროს რაიმე მეცნიერულ-პოლიტიკური ან იურიდიული საკითხის დამუშავებისას, მათი ავტორები ემყარებოდნენ ცნობილ ავტორიტეტებს, როგორც იყვნენ არისტოტელე ან რომის იურისტები; მათ მიერ წამოყენებულ ზოგად დებულებებიდან გამოჰყავდათ ესა თუ ის დასკვნები. ასე იყო, მაგალითად, შედგენილი ბოდენის ტრაქტატი რესპუბლიკის შესახებ. მონტესკიემ უკუაგდო კვლევის ასეთი წესი. იგი იწყებს არა რომელიმე ავტორიტეტის დებულებებით, არა ზოგადი პრინციპების დადგენით, არამედ კონკრეტული ისტორიული მასალის ანალიზით. „კანონთა სულში“ მონტესკიე აღნიშნავს, რომ ამ თხზულების საგანს წარმოადგენს მსოფლიოს ხალხთა სხვადასხვა კანონი და ზნე-ჩვეულებანი.

დიდია მონტესკიეს დეაწლი ფილოსოფიურ და, კერძოდ, სოციალურ-პოლიტიკური აზრის ისტორიაში. თავის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებში მონტესკიემ გამოხატა საფრანგეთის წინარევოლუციური ბურჟუაზიის პროგრესული იდეები, ამიტომ იყო, რომ მონტესკიეს ნაშრომები ვოლტერისა და რუსოს თხზულებებთან ერთად განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის მოღვაწეთა შორის.



საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის წინამორბედთა—ე. წ. „ენციკლოპედისტთა“ შორის, რომლებიც აერთიანებდნენ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ყველა გამოჩენილ პროგრესულ ძალას, მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მონტესკიესაც.

მონტესკიეს პიროვნება შესანიშნავია იმიტაც, რომ იგი გამოდიოდა ხალხთა შორის მშვიდობისა და თანამშრომლობის იდეის დამცველად. მშვიდობიანი ურთიერთობა მსოფლიოს ხალხთა შორის წარმოადგენს ხალხთა კეთილდღეობის აუცილებელსა და უმნიშვნელოვანეს პირობას. „მშვიდობა წარმოადგენს ადამიანის პირველ ბუნებრივ კანონს“, — აღნიშნავს მონტესკიე. მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების მნიშვნელოვან საშუალებად მონტესკიე თვლიდა საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას. ქადაგებდა რა ხალხთა შორის ეკონომიური კავშირის განმტკიცებასა და მშვიდობის შენარჩუნებას, მონტესკიე ამავე დროს მკაცრად ილაშქრებდა დაპყრობითი ომების წინააღმდეგ. დღეს კიდევ უფრო ამაყად და ძლიერად გაისმის დიდი ფრანგი განმანათლებლისა და ჰუმანისტის სიტყვები, რომლებიც მიმართულია მტაცებლური ომების წინააღმდეგ და ემსახურება მშვიდობის შენარჩუნებას. საფრანგეთის მშრომელი ხალხი დღესაც იმეორებს თავისი სახელოვანი შვილის მონტესკიეს სიტყვებს, რომლებიც მოუწოდებს ხალხთა კეთილდღეობის, მშვიდობისა და პროგრესისაკენ.

ამიტომაც იყო, რომ საბჭოთა ხალხმა მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად აღნიშნა დიდი ფრანგი მოაზროვნისა და ჰუმანისტის მონტესკიეს გარდაცვალებიდან 200 წლისთავი.

სტალინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
დიალექტიკური და ისტორიული  
მატერიალიზმის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1954. III. 20)

А. Гелашвили

## Выдающийся французский мыслитель

### Резюме

Шарль Луи Монтескье — великий французский социолог, гуманист и просветитель XVIII века.

Деятельность Монтескье относится к тому периоду XVIII века, когда развитие капиталистических отношений во Франции должно было привести к гибели сословной монархии.

Выражая политические интересы французской буржуазии середины XVIII столетия, Монтескье выступает с острой критикой абсолютизма, роли церкви и духовенства.



Произведения Монтескье („О духе законов“, „Рассуждения о причинах величия римлян и их упадка“, „Персидские письма“ и др.) оказали большое влияние на буржуазных мыслителей и деятелей как его времени, так и периода французской революции конца XVIII века.

Монтескье был один из основоположников географического направления в социологии. Он утверждал, что в мире господствуют законы, необходимые отношения, вытекающие из природы вещей. Такая закономерность господствует и в истории. Монтескье пытался найти объяснение общественно-исторических явлений в географической среде.

С точки зрения Монтескье законы не являются следствием объективных общественных отношений. Законы истории устанавливаются разумом, который должен учитывать географическую среду и дух народов.

Несмотря на идеалистический характер учения о законах, основная идея Монтескье о закономерности в истории была прогрессивна.

Монтескье является творцом либеральной теории разделения власти. Требование Монтескье разделения власти на исполнительную, законодательную и судебную являлось прогрессивным для тех исторических условий.

В своих произведениях Монтескье подвергает острой критике церковь и духовенство.

Монтескье выступает активным защитником идеи мирного сотрудничества народов и правительств. Мирные отношения между народами Монтескье считал важным условием благосостояния людей и всего общества.

Монтескье резко выступал против захватнических войн. Передовая грузинская общественность всегда проявляла большой интерес к творчеству Монтескье. Царевич Давид перевел на грузинский язык трактат Монтескье „Дух законов“.



### 3. კოალიანი

## ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან

(ტაო-კლარჯეთი და ბიზანტია 970—980-იან წწ.)

ცნობილია, რომ VIII—X საუკუნეებში საქართველო ერთ მთლიან პოლიტიკურ ერთეულს არ წარმოადგენდა. მისი უდიდესი ნაწილი—აღმოსავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი, დიდი ხნის განმავლობაში არაბთაგან რბევა-განადგურებას განიცდიდა და მტრის თავიდან მოსაშორებლად შეუწევლებლად იბრძოდა, ხოლო დასავლეთი თავს უფრო თავისუფლად გრძნობდა და შედარებით ხელშეუშლელად ვითარდებოდა. აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის რაიონები არაბთა წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირეს საჭიროებდა, და ეს გარემოება მათ ბიზანტიასთან აახლოებდა. თავის მხრივ, არაბთაგან შევიწროებული ბიზანტიაც დამხმარეს ეძებდა და ქართველთა სახით ის საიმედო მოკავშირეს ხედავდა. ამ გარემოებამ VIII—IX საუკუნეების მიჯნაზე, ერთი მხრივ, ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლებისა, ხოლო, მეორე მხრივ, არაბთა მიერ ქართლიდან განდევნილი და ტაო-კლარჯეთში დამკვიდრებული აშოტ ბაგრატიონის პოლიტიკური კავშირურთიერთობა განაპირობა. ამ ურთიერთობის შინაარსი უცვლელი დარჩა მანამდე, სანამ ბიზანტიისათვის არაბთაგან საფრთხე იყო მოსალოდნელი.

ბიზანტია და საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბრძოლას აწარმოებდნენ არაბთა წინააღმდეგ. მაგრამ აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რაიონები ამ ბრძოლის დროს თანაბარ კავშირში როდი იმყოფებოდნენ ბიზანტიასთან: ზოგი დამოუკიდებლად იბრძოდა დამპყრობთა წინააღმდეგ, ხოლო ტაო-კლარჯეთი, აქ სამთავროს წარმოქმნის დღიდანვე, ბიზანტიასთან უფრო ახლოს, მასთან კავშირში მოქმედებდა. ეს შეთანხმებული მოქმედება, როგორც გარკვეული პოლიტიკური სიძნელეებით გაპირობებული, დროებითი ხასიათისა იყო.

ეკონომიურ, პოლიტიკურსა და კულტურულ განვითარებას, IX—X საუკუნეებში საქართველოს ცალკეული პოლიტიკური ერთეულები რომ განიცდიდნენ, ყველაზე სწრაფად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ვხედავთ. ამ მხარემ თავისი სიძლიერე X საუკუნის მეორე ნახევარში პოლიტიკურ სარბიელზე გამოამყვანა და საქართველოს გაერთიანებას სათავეში ჩაუდგა. მაგრამ X საუკუნის 70-იან წლებში პრაქტიკულად დაწყებული ქვეყნის გაერთიანება ამ მოვლენის დამთავრებისათვის სათანადო დროს საჭიროებდა. დამოუკიდებელი პოლიტი-



კური ერთეულები საქართველოში ჯერ კიდევ რჩებოდა და თითოეული მათგანი დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდა. ამდენად, ბიზანტიის იმპერიას ერთიან საქართველოსთან X საუკუნის მეორე ნახევარში ჯერ კიდევ საქმე არ ჰქონდა და ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებს ის, საქიროებისა და მიხედვით, სხვადასხვა ფორმითა და შინაარსით უკავშირდებოდა.

X ს. მეორე ნახევარში ბიზანტიის იმპერიისა და საქართველოს პოლიტიკური ერთეულების ურთიერთობიდან ყველაზე უფრო რელიეფურად ტაო-კლარჯეთისა და ბიზანტიის ურთიერთობა წარმოგვიდგება. მაგრამ სანამ ამ ურთიერთობის შინაარსის განმარტებას შევუდგებოდეთ, იმ მიზნით, რომ გასაგები გახდეს, თუ ვისთან აქვს საქმე ამ დროს ბიზანტიის ტაო-კლარჯეთში, საჭიროა ტაო-კლარჯეთის მოკლე პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მიმოხილვა მოვახდინოთ.

ფეოდალური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი მტრობისა და შუღლის მიუხედავად, მიწა-წყლისათვის რომ ჰქონდა ხშირად ადგილი ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებს შორის, აქ მაინც „იმთავითვე შეთვისებულ იქნა შეხედულება, რომ სამთავრო შეადგენს დინასტიურ საერთო საგვარეულო კერძო საკუთრებას“<sup>1</sup> და არა ბაგრატიონებს შორის ერთი რომელიმე პირის კუთვნილებას. აშოტის შემდეგ მის შთამომავლებს შორის, „როგორც ხელისუფლება, ისე თვით სამფლობელო თაობიდან თაობაში განუწყვეტილად ქუცმაცდებოდა“<sup>2</sup> და საქართველოს გაერთიანებამდე ის „ცალკეული შინაგან დამოუკიდებელი და ურთიერთშორის სუსტად დაკავშირებული სამფლობელოებისაგან შედგებოდა“<sup>3</sup>. საქართველოს ეს მხარე, როგორც აღნიშნული იყო, თავისი ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერების უმაღლეს მწვერვალს X საუკუნის მეორე ნახევარში მიაღწიეს, მაგრამ ეს გაძლიერება არ შეხებია შინაგან აღნაგობას, ე. ი. გავლენა არ მოუხდენია შინაგან აღნაგობაზე ცენტრალიზაციის სასარგებლოდ.

ცნობილია, რომ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებს, სამთავროს შექმნის დღიდანვე, გრცელი ტერიტორია ეჭირათ. ხანგრძლივ ბრძოლაში, რომელსაც ტაო-კლარჯეთი ბიზანტიასთან ერთად არაბთა წინააღმდეგ აწარმოებდა, ამ მხარის მფლობელებმა ეს ტერიტორია კიდევ უფრო გააფართოეს და სამხრეთის, საახრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის საზღვრები კიდევ უფრო შორს გადაიტანეს. თუმცა ეს მოვლენა ბიზანტიის იმპერიისათვის არასასურველი იყო, მაგრამ არაბთა წინააღმდეგ ბრძოლით დაინტერესებული სანიმპერიო ხელისუფლება იძულებული იყო თავისი მოკავშირის საზღვრების ასეთ გაფართოებას შეეუბნოდა და, როგორც წყაროებიდან ჩანს, X საუკუნის შუაწლებში ბიზანტიის იმპერიისა და ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სამფლობელოს საზღვარი, ბასიანში, მდინარე არაქსზე გადიოდა.

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, 1946 წ., გვ. 191.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.



ამ ხანის მოღვაწე ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი თავის შვილისადმი 952 წელს დაწერილს ანდერძში წერდა, რომ იბერიელებსა და ბიზანტიას შორის ბასიანში „იყვეს საზღვრად მდინარე არაქსი ანუ ფასისი, და მარცხენა (ჩრდილოეთი. — ვ. კ.) მხარე, იბერებისაკენ მიმართული, ეპყრას იბერებს, ხოლო მარჯვენა (სამხრეთი. — ვ. კ.), რაც თეოდოსიუპოლისაკენ არის, როგორც ციხეები, ისე სოფლები იყვეს ჩვენი მეუფების ქვეშ, ისე რომ, მასასადამე, ორივეს საზღვრად მდინარე იქნება“-ო<sup>1</sup>.

X საუკუნის მეორე ნახევარში ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სამფლობელო ფაქტიურად სამად იყო გაყოფილი და თითოეულ მათგანს ბაგრატიონთა საგვარეულოს გარკვეული შტოს წარმომადგენელი მართავდა: ამიერ და იმიერ-ტაო, ჩრდილო ბასიანითა და სხვა მოსაზღვრე რაიონებით, ბაგრატი აშოტის-ძის შთამომავლებს ეკუთვნოდათ და ორ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა, კერძოდ, იმიერ-ტაოსა და ჩრდილო ბასიანს X-ს. 60 იანი წლებიდან დავით III, შემდეგ კურაპალატად წოდებული, მართავდა. მის სამფლობელოში უნდა ყოფილიყო აგრეთვე თორთომი და სპერი. ამიერ-ტაოს 50-იანი წლების დასასრულიდან ქართველთა მეფედ წოდებული ბაგრატ II რეგულენი განაგებდა. ხოლო კლარჯეთი ადარნასე აშოტის-ძის შთამომავლებს ეკუთვნოდათ, რომელთა რეზიდენცია არტანუჯი იყო. რაც შეეხება ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სხვა რაიონებს, როგორც წყაროებიდან ჩანს, ისინი ყველას ჰქონდა განაწილებული და თითოეულ რაიონში აღნიშნული მხარეების ყოველ მმართველს გარკვეული რაოდენობის მამული ჰქონდა და ყმები ჰყავდა. მაგ. დავით კურაპალატს თავისი წილი ჰქონდა კოლა-არტაანს, ჯავახეთს და შავშეთს<sup>2</sup>.

როგორც ცნობილია, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შორის ერთი მათგანი კურაპალატის ტიტულს ატარებდა და ამ ტიტულს მას ბიზანტიის კეისარი აძლევდა, იმპერიის სათავეში მყოფი 18 დიდი თანამდებობის მქონე პირთაგან, კესაროსისა და ნოველისიმოსის შემდეგ, კურაპალატის პატივი ყველაზე დიდი იყო და, როგორც წესი, ერთ დროს ის მხოლოდ იმპერატორის საგვარეულოთა წევრებს ეძლეოდათ. ტაო-კლარჯეთთან ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკურ კავშირს უკანასკნელისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და ამიტომ ის ამ კავშირის შენარჩუნებას ცდილობდა. ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენლებისათვის ბიზანტიის ხელისუფლების მიერ კურაპალატობის, მაგისტროსობისა თუ ანთიპატროსობის წოდებათა მინიჭება, საკეისროს მხრივ ფორმალურ სიუზერენობის შთაბეჭდილების შექმნა-შენარჩუნების მიზნებს ემსახურებოდა. ამით კი ბიზანტიის მბრძანებლებს, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, „პატრონყმური დამოკიდებულების გამოხატვა

<sup>1</sup> გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმანი ს. ყაუხჩიშვილისა, ტ. IV, ნაკვეთი II, 1952, გვ. 271—272; შდრ. პ. ონგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 66.

<sup>2</sup> იხ. ქ. ცხ. ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, წიგნი II, ტ. I, 1897, გვ. 314.



სურდათ“<sup>1</sup>, მაგრამ „კეისრის უფლება საქართველოში არასდროს... უბრალო მფარველობისა და გავლენის სახელმძღვანელო არ გასცილებია, სამეფოს შინაურ საქმეებში ჩარევის უფლება მას არ ჰქონია“<sup>2</sup>.

კურაპალატისა თუ სხვა საკარისკაცო ტიტულის მატარებელი ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონები სრულებითაც არ გრძნობდნენ თავს ვალდებულად კეისრის განკარგულება შეესრულებიათ. გაეისხნოთ კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობა იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ X ს. პირველ ნახევარში ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა კლარჯეთის შტოს წარმომადგენელმა აშოტ კისკასმა, თანამემამულეებზე გაჯავრებულმა, არტანუჯის ცნობილი ციხე-სიმაგრე კონსტანტინე პორფიროგენეტის თანაკეისარს, რომანოზ I-ს, ლეკაპენს გადასცა. იმპერატორის ბრძანებით უკანასკნელის მოხელემ არტანუჯის ციხეში ლაშქარი შეიყვანა და იქ ბიზანტიის დროშა ააფრიალა. ამის გაგებისთანავე ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენლებმა დავით II ქართველთა მეფემ (928—937) და მაგისტროსმა, და გურგენ IV (+941) ერისთავთ-ერისთავმა და მაგისტროსმა, იმპერატორს მისწერეს: „თუ შენი მეუფება ამას დაუშვებს და ჩვენს მიწა-წყალში შემოიჭრება, შენი მეუფების მორჩილებიდან გამოვალთ და სარკინოზებს მივეკედლებით, რადგან რომაელებთან მოვეცხდება ბრძოლა და მტრობა და იძულებული ვიქნებით წავიყვანოთ ჯარი ადრანუჯის ციხის წინააღმდეგ, მისი მიწა-წყლის და თვით რომანიის წინააღმდეგ“. ეს რომ გაიგო მეფემ... რადგან მას შეეშინდა, რომ ისინი არ მიჰკედლებოდნენ სარკინოზებს და არ გამოეყვანათ სპარსეთის ჯარები რომანიის წინააღმდეგ, მან იუარა და თქვა: „მე არ მიმიწერია პროტოსპათარ კონსტანტი მანკლავიტისათვის ამ ციხისა და მისი მიწა-წყლის შესახებ, რომ იგი აელო; მან ეს, როგორც იტყვიან, თავისი უჭკუობით ჩაიდინა“ ასე თქვა მეფემ, რადგან უნდოდა ისინი დაემშვიდებინა“<sup>3</sup>.

ბიზანტიისა და ტაო-კლარჯეთის მფლობელ ბაგრატიონებს შორის ურთიერთ უფლებრივი დამოკიდებულების შესახებ კიდევ უფრო საყურადღებო ცნობას გვაძლევს იგივე ავტორი. ის ვრცლად მოგვითხრობს თეოდოსიუპოლისა (ერზერუმის) და არაქსის სანაპიროებზე მყოფ ციხე-სიმაგრეებიდან არაბების განდევნისათვის ბიზანტიისა და ტაო-კლარჯეთის ერთობლივი ბრძოლის შესახებ და აღნიშნავს, რომ ის—კონსტანტინე პორფიროგენეტი და მისი წინაპრები მოწიწებით სთხოვდნენ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებს, რომ ამ უკანასკნელებს თეოდოსიუპოლის მისადგომებთან მდებარე კეჯეს ციხე დაეთმობთ ბიზანტიისათვის. საიმპერიო ხელისუფალთ აქ მცველების ჩაყენება სურდათ, „რათა აქედან სურსათი არ მიეღო თეოდოსიუპოლს და არწმუნებდნენ

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 107.

<sup>2</sup> იქვე, 109.

<sup>3</sup> გეორგიკა, იქვე, გვ. 285—286; შდრ. К. Г а н, Известия древних греческих и римских писателей о Кавказе, II, 1890, стр. 36; ივ. ჯავახიშვილი, II, გვ. 109; ს. ჯანაშია, კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ; სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1941, №—XVII, გვ. 73—74; პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, გვ. 63.



კუროპალატს და მის ძმებს, რომ თეოდოსიუპოლის ალების შემდეგ ისინი დაუბრუნებდნენ ამ ციხეს. მაგრამ იბერებმა ამას მხარი არ დაუჭირეს“-<sup>1</sup>. კონსტანტინე იმასაც კი აღნიშნავს, რომ ტაო-კლარჯეთის მფლობელებმა იმპერატორისაგან „წერილობითაც კი მიიღეს ფიცი, რომ თეოდოსიუპოლის ალების შემდეგ მათ ეს ციხე უკან დაუბრუნდებოდა“<sup>2</sup>, მაგრამ ბიზანტიას ციხე არ გადასცეს, ხოლო უკანასკნელს ძალის გამოყენება არ შეეძლო.

კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობებიდან ჩანს, რომ ტაო-კლარჯეთის მმართველ ბაგრატიონებსა და ბიზანტიის ხელისუფლებას შორის დადებული შეთანხმების თანახმად, ის მიწა-წყალი და ციხე-სიმაგრეები, რომლებსაც ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონები საკუთარი ძალებით არაბთაგან გაანთავისუფლებდნენ, ბაგრატიონ მფლობელების განკარგულებაში უნდა გადასულიყო<sup>3</sup>.

ამ შეთანხმებამ და ბიზანტია-საქართველოს საერთო მტრის, არაბთა წინააღმდეგ აქტიურმა ბრძოლამ, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებს იმის შესაძლებლობა მისცათ, რომ არაქსის სამხრეთ სანაპიროზედაც პრეტენზიები განეცხადებიათ. ამის შესახებ კონსტანტინე პორფიროგენეტი წერდა: „კუროპალატი“<sup>4</sup> ჯიუტობს ფასიანის ადგილების შესახებ და მოითხოვს მთელს ფასიანსა და აბნიკის ციხეს“-<sup>5</sup>. ეს ციხე ფასიანის ანუ არაქსის სამხრეთით იყო და, ამრიგად, აშოტ IV კუროპალატი არაქსის სამხრეთით მდებარე მიწა-წყალს მოითხოვდა. ბიზანტიის მბრძანებელი კონსტანტინე პორფიროგენეტი შვილისადმი მიცემულ ანდერძში საყვედურს გამოთქვამდა იმის შესახებ, რომ კუროპალატი და ტაო-კლარჯეთის სხვა მმართველები არ ენდობოდნენ ბიზანტიის ხელისუფლებას, არ უნდოდათ მის ხელში გადასულიყო თეოდოსიუპოლი ამ ქალაქის „სიყვარულის გამო და იმის გამო, რომ თეოდოსიუპოლის ციხე არ განადგურებულყო“-<sup>6</sup>. ჩანს იმიტომ არ დაუთმეს ტაო-კლარჯეთის მმართველებმა კეისარს კეჯეს ციხე, რომ მათ ბიზანტიის გაძლიერება არ მოსწონდათ. ბაგრატიონების ეს მოქმედება სრულიად გამართლებული იყო. მათ კარგად იცოდნენ, რომ ბიზანტია, თუ მას ძალადობის განხორციელების შესაძლებლობა ექნებოდა, არა ნაკლები მტერი იყო ქართველებისათვის, ვიდრე სახალიფო<sup>7</sup>. ეს გარემოება ბიზანტიის იმპერიის მოქმედებამ მომდევნო წლებში დაადასტურა.

<sup>1</sup> გეორგიკა, IV, ნაკვ. II, გვ. 163—164; К. Ган, Известия древних греческих и римских писателей о Кавказе, II, стр. 26.

<sup>2</sup> გეორგიკა, IV, ნაკვ. II, გვ. 265.

<sup>3</sup> იხ. იქვე, გვ. 266—269.

<sup>4</sup> იგულისხმება აშოტ IV კუროპალატი, რომელიც 954 წ. გარდაიცვალა.

<sup>5</sup> გეორგიკა, IV, ნაკვ. II, გვ. 269.

<sup>6</sup> იქვე, 264.

<sup>7</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით პ. ინგოროყვა წერს: ქართველები „თავდაპირველად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ბრძოლებში არაბების წინააღმდეგ, რათა განედევნათ ისინი „აღმოსავლეთიდან“, თეოდოსიუპოლის მხაროდან, ბასიანიდან და მიმდგომი ოლქებიდან. მაგრამ როდესაც გამოირკვა, რომ ბიზანტიელები თვით აპირებენ ყველა ამ ქვეყნის შეერთებას, ქართველებს ბრძოლა შეუწყობიათ. ქართველებს საბიფათოდ მიუჩნევიათ ბიზანტიის ზედმეტი გაძლიერება უშუალოდ საქართველოს სანაპიროზე; ქართველები, ჩანს, არჩევდნენ, რომ სადაო



ტაო-კლარჯეთის მმართველი ბაგრატიონები ერთსა და იმავე დროს რამდენიმე ატარებდა ბიზანტიის საკარისკაცო ტიტულს. საკეისროს ხელისუფლების წარმოდგენით უფროსი ის უნდა ყოფილიყო, ვისაც კურაპალატის წოდება ჰქონდა მინიჭებული. მაგრამ კურაპალატის წოდების მატარებელი ბაგრატიონის განკარგულება ისევე არ იყო სავალდებულო ბაგრატიონთა სხვა მმართველებისათვის, როგორც კეისრის განკარგულება და ბრძანება არ იყო სავალდებულო ბაგრატიონ კურაპალატისათვის. ისეთი მტკიცე, სახელგანთქმული და ენერგიული მმართველის დროსაც კი, როგორც იყო დავით III კურაპალატი, ამ უკანასკნელის ბრძანება-განკარგულება სავალდებულო არ იყო არც არტანუჯისა და არც ამიერ-ტაოს მმართველისათვის. მართალია, დავითის მეთაურობით ისინი ხშირად ერთიანდებოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ეს ერთიანობა ნებაყოფლობის პრინციპზე იყო დამყარებული და მას მოკავშირეთა საერთო ინტერესები უფრო განსაზღვრავდა ვიდრე დავითის ბრძანება და უფლებრივი მდგომარეობა. ამრიგად, კურაპალატის საშუალებით ბიზანტიის ხელისუფლებას არ შეეძლო თავისი მიზნები განეხორციელებინა ტაო-კლარჯეთში. თავის მხრივ კურაპალატის წოდების მატარებელი ბაგრატიონი ბიზანტიის იმპერატორის მოხელე და მისი განკარგულების უსიტყვო შემსრულებელი კი არ იყო, არამედ ის დამოუკიდებელი მმართველი იყო.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, არ იქნებოდა სწორი გამოვეტანა დასკვნა, რომ ტაო-კლარჯეთის მმართველი ბაგრატიონები ანგარიშს არ უწყევდნენ ბიზანტიას და ან განსაზღვრულ დროის განმავლობაში საჭირო არ იყო საკეისროსადმი ანგარიშის გაწევა. ტაო-კლარჯეთისა და ბიზანტიის ურთიერთობა, გარკვეულ პოლიტიკურ ვითარებაში რომ დამყარდა, ორივე მხარისაგან საჭიროებდა ურთიერთ პატივისცემას. არაბთაგან შევიწროებამ

პროვინციები დროებით ისევ სუსტი მხარის, არაბთა ამირების ხელში დარჩენილიყო, ვიდრე ეს პროვინციები იმთავითვე უშუალოდ ბიზანტიის ხელში გადასულიყო“ (გიორგი მერჩულე, გვ. 66). მკვლევარის ეს განმარტება, რომელიც კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობებს ემყარება, ჩვენ სწორად მიგვაჩნია, მაგრამ თავისი იმავე ნაშრომის 68-ე გვერდზე, აღნიშნულ მოსახრების წინააღმდეგ ჩვენ ავტორი წერს: „ჩვენ ვხედავთ, თუ რამდენად არასამართლიანი ყოფილა საყვედური კონსტანტინე პორფიროგენეტისა, თითქოს ქართველები მუსლიმანების მიმართ შემარცხებლობას იჩენდნენო და არათუ არ უტევდნენ მუსლიმანებს, არამედ ხელს უშართავდნენ კიდევ მათო“. თუ ქართველებს, როგორც თვით პ. ინგოროყვა აღნიშნავს, ბიზანტიის გაძლიერება სახიფათოდ მიაჩნდათ და ისინი „არჩევდნენ, რომ სადაო პროვინციები .. არაბთა ამირების ხელში დარჩენილიყო“, რატომ ყოფილა კონსტანტინე პორფიროგენეტის საყვედური ქართველების მიმართ „არასამართლიანი“? კონსტანტინეს ცნობების „არასამართლიანობა“ მაშინ შეიძლებადა გვეთქვას, თუ ის ქართველებს ცილს დასწამებდა, ან მათ განწყობილებას არასწორად გადმოგვემდა. მაგრამ არც ერთი და არც მეორე ამ შემთხვევაში კონსტანტინეს ცნობების მიმართ არ ითქმის.

ავტორის კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობაში იმიტომ ხედავს ქართველების მიმართ „არასამართლიანობას“, რომ ქართველები საერთოდ არ იჩენდნენ საამიროებისადმი შემარცხებლობას და X საუკუნის დასასრულს წარმატებით უტევდნენ მათო. მაგრამ განა ეს იმის საფუძველს გვაძლევს, რომ კონსტანტინეს ცნობა, რომელიც გარკვეულ დროისათვის ქართველთა განწყობილებას სწორად ასახავს, „არასამართლიანად“ გამოვაცხადოთ?.



და მათ წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროებამ მიიყვანა ტაო-კლარჯეთის პირველი მმართველი ბაგრატიონი ბიზანტიასთან პოლიტიკური ურთიერთობის დამყარებამდე, ვასალურ დამოკიდებულებამდე. საკეისრო ქრისტიანული სამყაროს დამცველის დროშით არაბთა-მაჰმადიანობის წინააღმდეგ ბრძოლის ხელმძღვანელად გამოდიოდა და სანამ უკანასკნელთაგან საფრთხე არ გამქრალა, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა კავშირი ბიზანტიასთან საჭირო იყო. თავის მხრივ ბიზანტიას, სანამ არაბთა ძალები მას საფრთხეს უქმნიდნენ, ტაო-კლარჯეთის მიმართ უხეშობის გამოჩენა არ შეეძლო და, ამრიგად, ბიზანტიისა და ტაო-კლარჯეთის ურთიერთობის შინაარსის შეცვლა ამ ურთიერთობის თავდაპირველად გამაპირობებელი შინაარსის შეცვლაზე იყო დამოკიდებული. როგორც კი მოიხსნება არაბთაგან ბიზანტიის მიმართ საფრთხე, უკანასკნელის მიერ საერთოდ საქართველოსა და კერძოდ ტაო-კლარჯეთის მიმართ დამოკიდებულების კურსიც შეიცვლება.

სახალიფოს დაქვეითებასთან ერთად საქართველოს ცალკეული მხარეები სწრაფად ძლიერდებოდა და თითოეული მათგანი პირველობისათვის ბრძოლას იწყებდა. მაგრამ არაბთა დასუსტება მარტო საქართველოს პოლიტიკური ერთეულების გააქტივებას როდი იწვევდა. ამ მოვლენით ბიზანტიის იმპერიაც ზეიმობდა და ახალ აგრესიულ გეგმებს ადგენდა. თუ გარკვეული დროის განმავლობაში საკეისრო ქართველი და სომეხი ხალხის მიერ დამოუკიდებლობისათვის წარმოებულ ბრძოლაში თავის სასარგებლო მოვლენას ხედავდა და ამ ბრძოლის ხელის შემწყობის როლში გამოდიოდა, X საუკუნის მეორე ნახევარში არაბთაგან საფრთხე შენედა, ბიზანტიამ ძალა მოიკრიბა და გუშინდელი მოკავშირე-მეზობლების დასაპყრობად მზადებას შეუდგა.

X საუკუნის 50-იანი წლებიდან არაბთა წინააღმდეგ შეტევაზე გადასული ბიზანტია სწრაფად ძლიერდება. ჯერ კიდევ 950—960-წლებში არაბებისაგან წართმეულ ტერიტორიის ხარჯზე მესოპოტომიის, ლიკანდრიისა და სელევკიის თემები შექმნა ბიზანტიამ. რომანოზ მეორემ (959—963) ნიკიფორე ფოკას სარდლობით კრეტაზე ძლიერი ლაშქრობა მოაწყო და ეს მნიშვნელოვანი კუნძული ისევ ბიზანტიამ დაიბრუნა.

953 წელს ნიკიფორე ფოკა გარდაცვლილი იმპერატორის რომანოზ II-ის ქვრივზე, თეოფანეზე დაქორწილდა, იმპერატორის ტახტზე დაჯდა და ტახტის ორი მცირე წლოვანი მემკვიდრის აღმზრდელად თავი გამოაცხადა. მან, ვითარცა მცირე აზიის სამხედრო არისტოკრატისა და მსხვილი მიწათმფლობელების წარმომადგენელმა, თავისი სოციალური თანამომხმეების გაძლიერების მიზნით, წვრილ მიწათმფლობელთა და გლეხური მეურნეობის მიმძღვრება-გაჩანაგებას მიჰყო ხელი. ბიზანტიის იმპერიის, საერთოდ, და განსაკუთრებით მცირე აზიის სამხედრო არისტოკრატია და მსხვილი მემამულეები ნიკიფორე ფოკას პოლიტიკით ზეიმობდნენ.

ნიკიფორეს მმართველობის დროს ბიზანტიამ აქტიური შეტევა განავითარა არაბთა წინააღმდეგ და ხელიდან გამოსტაცა მათ კუნძული კიპროსი, კილიკია და ჩრდილო სირია დედა ქალაქ ანტიოქიით. თითქმის ყველა დიდ ბრძოლაში, რომელიც კი ამ დროს ბიზანტიას აღმოსავლეთის ფრონტზე



უწარმოებია, იბერიის ლაშქარიც ლებულობდა მონაწილეობას ბიზანტიის მხარეზე და ახლაც იბერიისა და სომხეთის ლაშქარს ვხედავთ ნიკიფორე ფოკას მოკავშირედ. ბიზანტიელი ისტორიკოსების კედრენესა და ზონარას გადმოცემით „იმპერატორმა ნიკიფორემ, თავისი მეფობის მეორე წელს (964 წ.-ვ. კ.), ივლისში, მეშვიდე ინდიქტიონს, რომაელთა დიდი ჯარით, მოკავშირეებთან—იბერებთან და სომხებთან ერთად, კალიკიაში ლაშქრობა მოაწყო... და ქალაქები ანაბარცო, როსსო, ადანო და სხვა მნიშვნელოვანი რაოდენობის სიმაგრეები დაიპყრო“<sup>1</sup>.

გიორგი ათონელის ერთი ცნობა გვაფიქრებინებს, რომ იმიერ-ტაოს მმართველს დავით ბაგრატიონს სათანადო კომპესაცია უნდა მიეღო მიწა-წყლის სახით ამ ომში მონაწილეობისათვის. ჰაგიოგრაფი იოანესა და ექვთიმეს ულუმბოსა და მთაწმიდას მისვლის ამბავს აგვიწერს და გადმოვცემს, რომ იოანეს ბერად აღკვეცის შემდეგ მისი ცოლშვილი იოანეს სიმაგრმა აბუჰაბრმა და ცოლისძმებმა წაიყვანეს, „ხოლო ვინაჲთგან მათ ჟამთა შინა ბერძენთა მეფემან ზემონი ქუეყანანი დავით კურაპალატსა მისცნა და აზნაურთა შვილნი მძევლად ითხოვნა მისგან, ცოლის ძმათა მამისა იოანესთა ძე მისი ეფთვე სხუათა თანა უფლისწულთა მძევლად მოჰკუარეს მეფესა“-ო<sup>2</sup>.

ეს „ზემონი ქუეყანანი“ არ არის ის „ზემონი ქუეყანანი საბერძენეთისანი“<sup>3</sup>, რომელიც 979 წელს ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებისათვის მიიღო დავით კურაპალატმა. გიორგი ათონელის ცნობით, პირველ შემთხვევაში „ბერძენთა მეფემან მისცა „ზემონი ქუეყანანი“ დავითს, ხოლო მეორე შემთხვევაში, როგორც ქვემოთ გავცნობით, „მისცნეს მეფეთა ზემონი ქუეყანანი საბერძენეთისანი კურაპალატსა“<sup>4</sup>. ე. ი. პირველად „ქუეყანანი“-ს მიმცემი ერთი მეფე არის, ხოლო მეორედ მიმცემნი ერთზე მეტნი არიან. ესაგებია, მეორე შემთხვევაში, დედა თეოფანესთან ერთად, უკანასკნელის შვილები ბასილი და კონსტანტინე ივულისხმებიან, მაგრამ პირველი „ქუეყანანი“-ს მიმცემი ისინი არ არიან.

იმის დასადგენად თუ რომელი კეისრის მოღვაწეობის დროს და რა მოვლენასთან დაკავშირებით მიიღო დავითმა ჰაგიოგრაფის მიერ პირველად მოხსენებული „ქუეყანანი“. ექვთიმეს მიხედვით წაყვანის თარიღის დადგენა დაგვეზარებოდა. როდესაც უკანასკნელი იოანეს სიმაგრმა და ცოლის ძმებმა კონსტანტინოპოლში მძევლად წაიყვანეს, იოანე ოლიმპის მთაზე იყო და შვილის მძევლად მიყვანის გაგებისთანავე კონსტანტინოპოლში მოვიდა. სიმაგრსა და ცოლისძმებს დიდი საყვედური უთხრა ექვთიმეს მძევლად მიცემისათვის და თავისი შვილი, უკან გაბრუნებულმა, თან წაიყვანა. ის ოლიმპის მთაზე მიიყვანა, „პირველად ქართული სწავლაჲ ასწავა და მერმე ბერძულად

<sup>1</sup> Известия древних греческих и римских писателей о Кавказе, II, стр. 37—38

<sup>2</sup> ცნობებმა იოანესი და ეფთვესი, გამოსაცემად გამზადებული ივ. ჯავახიშვილის მიერ და გამოცემული ა. შანიძის მიერ, 1946, გვ. 16.

<sup>3</sup> იქვე, 19.

<sup>4</sup> იქვე.



განსწავლა ყოვლითავე განსწავლულებითა სრულებითა<sup>1</sup>. ოლიმპის მთიდან კი, რამდენიმე მოწაფით და თავისი შვილით, იოანე ათონის მთაზე მივიდა და ათანასე დიდის ლავრაში დაემკვიდრა. აკად. კ. კეკელიძე, იმოწმებს რა პ. უსპენსკის, წერს, რომ იოანეს მისვლა ათონის მთაზე, შვილით ექვთიმით, „მოხდა 965 წელს“<sup>2</sup>.

ეს თარიღი 13 წლით არის დაცილებული 979 წლიდან და თანაემთხვევა ნიკიფორე ფოკას მმართველობის პერიოდს. მაგრამ იოანეს მიერ კონსტანტინეპოლიდან ოლიმპის მთაზე ექვთიმეს მიყვანა 965 წელზე ადრე უნდა მომხდარიყო ვინაიდან, ჰაგიოგრაფის გადმოცემით, „კულად ულუმბადე“<sup>3</sup> იოანეს დაბრუნების „შემდგომად რაოდენისამე უამისა“<sup>4</sup> ტოვებს ოლიმპის მთას იოანე და შვილით ერთად ათონის მთაზე მიდის, ე. ი. ყოველივე ეს ამბები თანაემთხვევა ნიკიფორე ფოკას მოღვაწეობის პირველ პერიოდს, კერძოდ, იმ დროს, როდესაც ბიზანტიის ხელისუფლება, იბერიელებისა და სომხების დახმარებით, აღმოსავლეთის ფრონტზე წარმატებით აწარმოებდა ბრძოლას არაბთა წინააღმდეგ და ხელთ იგდო მრავალი მნიშვნელოვანი მხარე.

ამ ბრძოლების დროს ტაო-კლარჯეთი ბიზანტიისათვის ჯერ კიდევ საჭირო იყო. საკეისროს მიერ არაბთა წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლების გამარჯვებით დამთავრებაში ტაო-კლარჯეთსაც გარკვეული წვლილი მიუძღოდა და ვფიქრობთ, ამიტომ მისცა „ბერძენთა მეფემან ზემონი ქუეყანანი დავით კურაპალატსა“. თუმცა, ნიკიფორე ფოკას მოღვაწეობის დროს დავითი კურაპალატი არ იყო, მაგრამ ეს გარემოება ხელს არ უნდა უშლიდეს ჩვენი მოსაზრების სისწორეს, რადგან XI-საუკუნის მოღვაწე გიორგი ათონელს შეეძლო დავითი იმ წოდებით მოეხსენებია, რომელსაც ეს უკანასკნელი ხანგრძლივი დროის განმავლობაში, კერძოდ, თუ უფრო ადრე არა, 978 წლიდან, მთელს სიცოცხლეში—1001 წლამდე ატარებდა.

ესება რა იოანე მთაწმიდელის ბერად აღკვეცისა, საბერძნეთში წასვლისა და საეკლესიო მოღვაწეობის დაწყების ამბებს, ა. ხახანაშვილი წერს: В то время император греческий вел войну с персами; желая обеспечить себя со стороны Грузии, он уступил царю Давиду Курапалату пограничные области: Тао-Кларжети, смежные с владениями Давида. В знак же верности Давида, ему были даны заложники в лице туринов блаженного Иоана (т. е. братьев его жены), его сына Евфимия и других князей и дворян<sup>5</sup>.

როგორც ვხედავთ, ა. ხახანაშვილი ფიქრობდა, რომ თითქო ტაო-კლარჯეთი მისცა ახლა კეისარმა დავითს. მაგრამ ტაო-კლარჯეთი კეისარს არ

<sup>1</sup> იქვე, გვ. 27; შდრ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 163.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, იქვე.

<sup>3</sup> ცხორება იოანესი და ეფთუმესი, გვ. 17.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> А. Хаханов, Очерки по истории грузинской словестности, вып. II, 1897, стр. 62.



ეკუთვნოდა, სხვისი მიწა-წყლის გასხვისების უფლება მას არ ჰქონდა და ამდენად დავით ბაგრატიონს ამ მხარეებს ვერ მისცემდა. ვფიქრობთ, დავითმა ისეთი მიწა-წყალი მიიღო, რომელიც ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების მფლობელობაში არ იყო.

მცირე აზიის სამხედრო არისტოკრატიის პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლამ ნიკიფორე ფოკას კონსტანტინეპოლში მრავალი მტერი გაუჩინა და 969 წ. ის შეთქმულების მსხვერპლი გახდა. ნიკიფორეს მკვლელობა და კეისრის ტახტზე შემცვლელმა იოანე ციმისხიმ, კიევის სამთავროსთან ბრძოლის დამთავრებისა და ბულგართა დამორჩილების შემდეგ, იმპერიის აღმოსავლეთის საზღვრებს მიაქცია ყურადღება და 974—975 წლებში ბაღდადისა და ეგვიპტის საამიროების წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა. ახლა შეტევაზე გადასული ბიზანტია ძლიერია. მისმა გუშინდელმა მოკავშირეებმა, სომხეთისა და საქართველოს სამეფო-სამთავროებმა, საკეისროს თვალში მოკავშირის მნიშვნელობა დაკარგეს და სანიმპერიო ხელისუფლება დასაპყრობად უყურებს მათ.

იოანე ციმისხის მიერ მოწყობილ მესოპოტომიის ლაშქრობის დროს ბიზანტიის ლაშქარი სომხეთში შეიჭრა და საფრთხის წინაშე დააყენა სომხეთის პოლიტიკური ერთეულების დამოუკიდებლობის საკითხი, შირაკის სამეფოს ირგვლივ დარაზმულმა სომხეთის სამეფო-სამთავროებმა აიძულეს ბიზანტიის ხელისუფლება ხელი აეღო სომხეთის დაპყრობისათვის ბრძოლაზე. ეს იყო არაბთა დასუსტების შემდეგ ბიზანტიის მიერ გაკეთებული პირველი ნაბიჯი, მიმართული მისი გუშინდელი მოკავშირეების, ამიერ-კავკასიის მეზობელი ხალხების წინააღმდეგ, მათ დასაპყრობად. მაგრამ მომდევნო წლებში ბიზანტიის იმპერიაში შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ აიძულა საკეისრო შემდეგ დროისათვის გადაეღო განზრახვის შესრულებისათვის ბრძოლის განახლება.

განუწყვეტელი ომების დროს, რომელსაც ვაბატონების დღიდანვე მაკედონელთა კეისრები აწარმოებდნენ, იმპერატორები უხვად აჯილდოებდნენ არმიას და, კერძოდ, მის მეთაურებს. პროვინციების მიწათმფლობელ სამხედრო არისტოკრატის, განსაკუთრებით მცირე აზიიდან, რომელიც მეთაურთა ძირითადი კადრის მიმწოდებლად ითვლებოდა, იმპერიის სხვა მაღალ სოციალურ ფენებთან შედარებით, პირველი ადგილი ეჭირა ქვეყნის ეკონომიურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ არისტოკრატის ძლიერების ზრდასთან ერთად იზრდებოდა მისი მიდრეკილება და პრეტენზიები პოლიტიკური ძალაუფლებისათვის. ცდილობდა თავისი სურვილისადმი დაემორჩილებია ხელისუფლების მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში სამხედრო აჯანყებით იმუქრებოდა<sup>1</sup>. არმიის სათემო წყობის სისტემა სტრატეიოტთა<sup>2</sup> მასას მეთაურთა პირად დამოკიდებულებაში აქცევდა, ეს მეთაურები კი ადგილობრივი მსხვილი

<sup>1</sup> М. В. Левченко, История Византии, 1940, стр. 168.

<sup>2</sup> მოსახლეობა, რომელსაც სახელმწიფოსაგან ჰქონდა მიცემული მიწის ნაკვეთები და ვარკვეული სამხედრო სამსახურის შესრულება ვეალებოდა.



მიწათმფლობელები იყვნენ და მათთვის შექმნილ ხელსაყრელ პირობებს, სამხედრო და ეკონომიურ სიძლიერეს, ხშირად ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ იყენებდნენ.

\* \* \*

საქართველოს სამეფო სამთავროთა შორის ბრძოლაში პირველობა, რომელიც X საუკუნის მეორე ნახევარმდე აფხაზთა სამეფოს ჰქონდა, ამიერიდან, ბიზანტიის იმპერიის უშუალოდ მოსაზღვრის, ტაო-კლარჯეთის ხელში გადადის. უკანასკნელი სწრაფად ძლიერდება და ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ებმება.

976 წელს ბიზანტიის იმპერატორი იოანე ციმისხსი გარდაიცვალა და ამიერიდან საიმპერიო ტახტი კანონიერმა მემკვიდრემ, რომანოზ II-ის შვილმა, ბასილ II დაიკავა. მცირე აზიის სამხედრო არისტოკრატია, ჩვეულებისამებრ, დაუყოვნებლივ დაიწყო ბრძოლა ტახტისათვის და ამ ბრძოლას სწორედ იოანე ციმისხსის ნათესავი, მცირე აზიის სამხედრო არისტოკრატის ერთ-ერთი უძლიერესი და ცნობილი წარმომადგენელი, ბარდა სკლიაროსი მეთაურობდა. მან იმპერატორად გამოაცხადა თავი და სამი წლის (976—979) განმავლობაში მცირე აზია სამოქალაქო ომის ქარცეცხლში იყო გახვეული. ახლა, ასეთ ვითარებაში მყოფ ბიზანტიას მეზობლების წინააღმდეგ, მათ დასაპყრობად, ბრძოლა არ შეეძლო. პირიქით, ვაძლიერებული ტაო-კლარჯეთი, ბიზანტიის ოფიციალური ხელისუფლების თხოვნით, საკეისროს შინა პოლიტიკურ საქმეებში ერევა.

ბიზანტიელი ისტორიკოსის კედრენეს ცნობის თანახმად, სკლიაროსი სტრატეგიული მოსაზრებით ბიზანტიისათვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე ხალდიის დუკი იყო<sup>1</sup>, მაგრამ აჯანყების წინ, როგორც აჰჰა ანტიოქელისა და იბნ-ალ-ასირის ცნობებიდან ჩანს, ბასილ კეისარს ის ხანზიტისა და ალ-ხალიდიატის<sup>2</sup> მმართველად გაუგზავნია<sup>3</sup>. მისი მეთაურობით მოწყობილ აჯანყებისა და ამ აჯანყების ჩაქრობაში იბერთა ლაშქრის მონაწილეობის შესახებ ცნობებს გვაძლევენ: სომეხი ისტორიკოსი სტეფანოზ ტარონელი (ასოლიკი), ბიზანტიელი ისტორიკოსები კედრენე და ზონარა, იოანესა და ექვთიმეს ცხოვრების აღმწერი ქართველი ჰაგიოგრაფი გიორგი მთაწმიდელი, ქართული და უცხოური წყაროების სხვა ავტორები და ეპიგრაფიკული ძეგლები.

ქართველი ჰაგიოგრაფის გიორგი ათონელის გადმოცემით, ბარდა სკლიაროსმა „ველით კერძი ყოველი დაიპყრა და მეფენი (იგულისხმებიან ბასილი და კონსტანტინე.—ვ. კ.) და დედოფალი შეწყუდებულად იყვნეს ქალაქსა შინა

<sup>1</sup> Н. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI веке, 1884, стр. 204.

<sup>2</sup> ეს მხარეები, პირველი, ე. ი. ხანზიტი მესობოტომიის თემში შედიოდა და ტარონის თემს ესაზღვრებოდა, ხოლო მეორე, ალ-ხალიდიატი, როგორც მაკადდასის ცნობებიდან ჩანს, ტარონის თემში შედიოდა, მესობოტომიის საზღვარზე იყო და ხანზიტს ეკვროდა (იხ. В. Р. Озен, Император Василий болгаробойца, извлечения из летописи Яхи Антиохийского, 1883, стр. 80, примеч. 12).

<sup>3</sup> იქვე, стр. 1—2, 139, примеч. 83.



დიდითა ჭირითა და იწროებითა“<sup>1</sup>. სტეფანოზ ტარონელის (ასოლიკის) ცნობის თანახმად, ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო. ის მთელ საბერძნეთს მოედო და ოთხი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ჯეჰანსა და მელიტინის რაიონებში ანუ III არმენიაში გაბატონებული სკლიაროსი ბითვინიამდე მივიდა და ბიზანტიის სამეფო ორად გაგლიჯა. ხელთ იგდო რა იმპერიის მთელი აზიური პროვინციები, 978 წელს აზიაში იმპერატორის ხელისუფლების უკანასკნელი დასაყრდენი ნიკეაც დაიპყრო.

პოლიტიკურ საშიშროებასთან ერთად, უდიდესმა ეკონომიურმა ვაჭირეებამ მოიცვა კონსტანტინეპოლი. აჯანყებულებმა დედაქალაქთან მისასვლელი გზები ჩაკეტეს და ქალაქში სურსათს აღარ უშვებდნენ. ლეონ დიაკონის გადმოცემით, დაამარცხა რა რამდენჯერმე ბარდა სკლიაროსის ლაშქარმა კეისრის ლაშქარი, „ამის შემდეგ მან თანდათანობით ხელთ იგდო ნიკეა, ავიდოსი და ატალია. დაიპყრო რომაელთა ხელქვეით მყოფი ყველა ოლქი აზიაში და, ბოლოს, თავისი გემების საშუალებით, ზღვასაც დაეუფლა, დიდად ავნო ვაჭრებს დედაქალაქშიაც კი და არ მიუშვა მათთან პურის მიმწოდებელი ხომალდები“<sup>2</sup>.

ბარდა სკლიაროსის აჯანყების თანამედროვე ქართველი მოღვაწე საბა, „გამოცხადებამ წდისა მახარებელისა... იოვანესი“ დაწერის შესახებ მოგვითხრობს და აღნიშნავს, რომ ეს წიგნი მის მიერ დაიწერა „განდგომილებასა ვარდა სკლეროსისასა, ჭირსა დიდსა საბერძნეთისასა, ოჯრებასა გლახაკთასა და აწყუეტასა ჭაბუკთასა უწყალოდ. ურთიერთას ძმად ძმასა ზედა და მამად შვილსა ზედა. ესე ყოველი იქმნებოდა ამას რაჲ წიგნსა ვწერდი, ხოლო თუ ძლევაჲ ვის მიეცემოდა, არავის უწყდა თვნიერ ორისა (უფლისა). ყოველივე ურთიერთას ეკუთვებოდეს სიტყუთ (სიტყუთ) და საქმით, მცირენი და დიდნი ყოველნი იბრძოდეს“<sup>3</sup>.

ბიზანტიის ხელისუფლების მიერ აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგზავნილი „ბიზანტიისა, ფრაკიისა და მაკედონიის“<sup>4</sup> დიდი ლაშქარი, რომელსაც საჭურისი ვასილი მეთაურობდა, განადგურებულ იქნა აჯანყებულთა მიერ. ბიზანტიის ხელისუფლება იძულებული გახდა სკლიაროსისათვის დაეპირისპირებია მცირე აზიის სამხედრო არისტოკრატის მსხვილ მიწათმფლობელთა მეორე წარმომადგენელი ბარდა ფოკა, რომელიც იოანე ციმისხის წინააღმდეგ აჯანყების მოწყობისათვის იძულებით მონასტერში იყო გაგზავნილი. ის ახლა გაანთავისუფლეს და სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლის მეთაურობა ჩააბარეს. მაგრამ ბრძოლა აჯანყებულთა სასარგებლოდ ვითარდებოდა და სკლიაროსმა უდიდესი საფრთხე შეუქმნა მაკედონელთა დინასტიის წარმომადგენლებს. ღონემიხდილი და საგონებელში ჩავარდნილი კეისარი და მისი ხელისუფლება იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ უმწეო მდგომარეობიდან მათი ხსნა ქართველთა

<sup>1</sup> ცხორება იოვანესი და ეფთჳმესი, გვ. 17.

<sup>2</sup> История Льва Диякона, перевод. Д. Поповим, 1820, стр. 105.

<sup>3</sup> თ. ყო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. 123; შდრ. მ. კახაძე, „ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში“, 1954, გვ. 33—34.

<sup>4</sup> Всеобщая история Степаноса Таронского (Асохика), тараგმანი სომხურიდან რუსულად ნ. ემინისა, 1864, გვ. 40.



ლაშქარს შეუძლია და ბარდა ფოკას წინადადებით, გადაწყვიტეს თხოვნით მიმართონ დავით კურაპალატს, აჯანყებულთა მიერ მცირე აზიის ვრცელი ტერიტორიის დაკავებისა და სამიმოსვლო გზების ჩაკეტვის გამო კონსტანტინეპოლიდან ტაო-კლარჯეთთან კავშირ-ურთიერთობის დამყარებაც ძნელი იყო.

ბიზანტიის მთავრობისათვის ცნობილი იყო, რომ ათონის ქართველთა მონასტერში ცნობილი ქართველი მხედართმთავარი და შემდეგ ბერად აღკვეცილი იოანე თორნიკე იმყოფებოდა. კეისარმა და მისმა მთავრობამ გადაწყვიტეს გამოიყენონ ის და სევასტოფორის ხელით სასწრაფოდ თხოვნის წერილი გაუგზავნეს. თუმცა, ქართველი ბერებისათვის აჯანყების ამბები ცნობილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაინც ცალ-ცალკე აცნობებდნენ თორნიკეს, ათონის მთაწმიდის ქართველთა მონასტრის დამაარსებელთაგანს იოანეს და ათანასე დიდს რომ „უღმრთოდ სკლიაროსი გაგუადგა და ჳმელით კერძი ყოველი დაიპყრა. აწ ვევედრებით სიწმიდესა თქვენსა, რადთა თწნიერ ყოვლისა მიზეზისა იოვანე-თორნიკ მოვიდეს მეფობასა ჩუენისა“. და სხუანი მრავალნი ვედრებანი და ქებანი ეწერნეს სამეუფოთა მათ წიგნთა შინა“-ო<sup>1</sup> გადმოგვცემს გიორგი ათონელი.

იოანე თორნიკე უარს ამბობდა მეფეთა თხოვნის შესრულებაზე. აცხადებდა, რომ ვინაიდან „სახე მონაზონებისად“ შეიმოსა, „ამიერითგან არცაღა მეფეთა თანა მიც შესაპოვარი“-ო<sup>2</sup>. ათანასე დიდი და იოანე მთაწმიდელი მოწიწებით სთხოვდნენ მას, რომ შეესრულებია მეფეთა განკარგულება და კონსტანტინეპოლში წასულიყო. თან არწმუნებდნენ, რომ „უკუეთუ ამას უამსა ურჩ ვექმნეთ მეფეთა, დიდსა რისხუასა მოვაწევთ ჩუენ ზედა და მონასტერსა ამას ზედა“<sup>3</sup>. ჩანს, ქართველ ბერებს საკუთარი საფრთხე აღაპარაკებდათ და არა კეისრის ხელისუფლების გაჭირვება. იმის ემინოდათ, რომ იოანე თორნიკეს კეისართან გამოუცხადებლობისა და სკლიაროსზე იმპერატორის ხელისუფლების გამარჯვების შემთხვევაში, უკანასკნელი შურს იძიებდა ქართველ ბერებზე. თორნიკე არ თანხმდებოდა და „ამას ცილობასა ზედა გარდაჯდა შვდელი ერთი“<sup>4</sup>. მაგრამ ბოლოს აიძულეს ის შეესრულებია საიმპერიო ხელისუფლების თხოვნა.

კონსტანტინეპოლში წასული, „ვითარცა აღვიდა თორნიკ სამეუფოდ, მესყეულად შეიყვანა იგი პარკიმანოსმან მეფეთა წინაშე და მეფენი და დედოფალი ზე აღუდგეს და პატივით მოიკითხეს და გუერდით დაისვენს“<sup>5</sup>. თუ ჰაგაოგრადი არ აჭარბებს, განსაცდელში მყოფმა თეოფანე დედოფალმა „უბრძანა... ბასილის და კონსტანტის და ფერჯთა შეუვრდეს“<sup>6</sup> იოანეს. დიდი ხეყწნა-მუღარა დასჭირდა თეოფანე დედოფალს, რომ იოანედან თან-

<sup>1</sup> ცხოვრება იოვანესი და ეფთუმესი, 18.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> იქვე.



ხმობა მიეღო. თორნიკე მხოლოდ მაშინ დათანხმდა დედოფალს, როდესაც „იხილა შეუდრეკელობაჲ მისი“, იოანეს მიერ თანხმობის მიღების შემდეგ „ესრეთ წიგნები ვედრებისაჲ დაწერეს კურაპალატსა თანა“. ქართველი ბერი, მხედართმთავარი იოანე, კონსტანტინეპოლიდან წამოვიდა და „რომლითაცა სახითა“ იმიერ-ტაოში დავით კურაპალატთან მოვიდა.

ბიზანტიის ხელისუფლება სასწრაფო შევლას ითხოვდა. მაგრამ ამ თხოვნის შესრულება სავალდებულო არ იყო იმიერ-ტაოს ხელისუფლებისათვის. მისი შესრულება დავით ბაგრატიონის ნებასურვილზე იყო დამოკიდებული და მაშინ მიიღებდა დავითი მონაწილეობას ბრძოლაში საიმპერიო ხელისუფლების მხარეზე სკლიაროსის წინააღმდეგ, თუ ეს იმიერ-ტაოს მოუტანდა დადებით შედეგს.

იოანე თორნიკემ ბიზანტიის ხელისუფლების მიერ გამოგზავნილი თხოვნის წერილი დავით კურაპალატს გადასცა და „ყოველივე საქმე... ვააცადა“<sup>1</sup>. ამის შემდეგ ითათბირეს, „რადთა ლაშქარნი წარგზავნეს საბერძნეთს, და სპასალარად თორნიკე განაჩინეს“<sup>2</sup>. მაგრამ როგორც ჩანს, იმიერ-ტაოს ხელისუფლება უსიტყვოდ კი არ დათანხმდა ბიზანტიის ხელისუფლებას ბრძოლაში მონაწილეობის მიღებაზე, მან საიმპერიო ხელისუფლებისადმი წასაყენებელი პირობები შეიმუშავა და ამის შემდეგ „თორნიკე, კურაპალატისა და თავისა წიგნები მეფეთა წინაშე წარსცა და ყოველი ნებაჲ კურაპალატისაჲ აუწყა“<sup>3</sup>. აქ „ნებაჲ კურაპალატისაჲ“ ის უნდა იყოს, რომ იმიერ-ტაოს მმართველმა, ბრძოლაში მონაწილეობისათვის, გარკვეული ტერიტორია მოსთხოვა ბიზანტიის მთავრობას. ამიტომ იყო, რომ დავითის მიერ წარგზავნილი საპასუხო წერილისა და მოთხოვნის მიღების შემდეგ, „მისცეს (ე. ი. აღუთქვეს—ვ. კ.) მეფეთა ზემონი ქუეყანანი საბერძნეთისანი კურაპალატსა, რადთა თავისა სიცოცხლესა ჰქონდინ“<sup>4</sup>.

დავით კურაპალატისათვის ტერიტორიის დათმობა „სპასალარად“ დადგენილ იოანე თორნიკეს ბევრს ვერაფერს შესძენდა და ამიტომ, თუ კეისრის სასახლეში მისვლისას მას რაიმე მოთხოვნის წაყენების შესაძლებლობა და ფიქრიც არ ჰქონდა, ახლა ჩანს ისეც გარკვეულ კომპესაციას მოითხოვს ბრძოლაში მონაწილეობისათვის კეისრის ხელისუფლებისაგან. ამიტომ იყო, რომ დავით კურაპალატისათვის ტერიტორიის დათმობის თანხმობასთან ერთად „თორნიკეს მოუწერეს: ვიცით, რომელ ღმერთი შეგეწევის და ნურა-რას ორგულობ, და ოდეს ღმერთიან წარგიმართოს, ყოველნი წინააღმდეგომნი ჩუენნი დატყუენენ და ყოველივე ნატყუენავი (ნაძარცვი,—ვ. კ.) მათი შენი იყოს“<sup>5</sup>. ბიზანტიის ხელისუფლებას მეტი გამოსავალი არ ჰქონდა, ის ასე უნდა მოქცეულიყო. საიმპერიო ხელისუფლებამ, როგორც წყაროები გვაფიქ-

<sup>1</sup> ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, 19.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე.



რებიანებს, იმ მიწა-წყლის ნაწილი ცნო დავით კურაპალატის მფლობელობაში, რომელსაც თვით დავითი გაანთავისუფლებდა მტერთაგან, ხოლო იოანე თორნიკეს ყოველივე მოძრავი მისცა, რასაც ქართველები მტერს წაართმევდნენ.

ამრიგად, ქართველი ჰაგიოგრაფის ცნობების თანახმად ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლების თხოვნის შედეგად მიიღო ბრძოლაში მონაწილეობა იმიერ-ტაომ. მაგრამ კედრენესა და ზონარას გადმოცემით თითქო ბარდა ფოკას თხოვნის თანახმად ჩაება ბრძოლაში დავით ბაგრატიონი.

ნათქვამი იყო, რომ აჯანყებულთა წინააღმდეგ ვაგზავნილმა საიმპერიო ხელისუფლების ლაშქარმა რამდენჯერმე ვანიცადა მარცხი აჯანყებულებთან ბრძოლაში, რის შემდეგ იმპერატორის ხელისუფლებამ ბარდა ფოკა უთავა თავის ლაშქარს და აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლა განაგრძო. ამ ამბების მოთხრობის დროს კედრენე გადმოგვცემს, რომ „მეამბოხე ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ლაშქრით ვაგზავნილი ბარდა ფოკა დამარცხდა ბრძოლაში და იბერიაში გაიქცა. მან, დამხმარე ლაშქარი სთხოვა დავითს, ამ მხარის მეფეს და მიიღო ის კიდევ არა მცირე იმიტომ, რომ ფოკა მეგობრულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა დავითთან იმ დროიდან, როდესაც ის ხალღიაში ჯარის უფროსად იყო. მიიღო ოა ეს ლაშქარი, და შეეგროვა თავისი უკან დახევის დროს რომ დაიფანტნენ, ვაემგზავრა პანკალეიაში“<sup>2</sup> და იქ სკლიაროსი დაამარცხაო.

ბარდა ფოკას და დავით კურაპალატის ურთიერთ ნდობა და მეგობრობა, გარკვეული მიზნების გამო ორთავეს ინტერესებიდან რომ გამომდინარეობდა, 989 წელს გახდება გასაგები და ის ბასილ კეისრის ხელისუფლების წინააღმდეგ იქნება მიმართული, მაგრამ ახლა დავით კურაპალატს რომ კეისრის მხარეზე ბრძოლაში მონაწილეობა მიეღო, მარტო ბარდა ფოკას მეგობრობა და თხოვნა არ იყო საკმარისი დავითისათვის. აჯანყებულთა დამარცხების შემთხვევაში იმპერატორის ხელისუფლება უნდა გამოსულიყო გამარჯვებული, ამ უკანასკნელს უნდა მიეცა პირობა იმიერ-ტაოს ხელისუფლებისათვის მიწა-წყლის გადაცემის შესახებ და შეთანხმებაც ამ ოფიციალურ ხელისუფლებასთან იყო საჭირო. ამდენად, გიორგი მთაწმიდელის ცნობები უფრო სრული და სინამდვილის ამსახველი უნდა იყოს, ვიდრე კედრენეს ცნობა. მართალია, გამორიცხული არ არის იმის შესაძლებლობა, რომ ბრძოლაში დამარცხებულს ბარდა ფოკას დავით ბაგრატიონის სამფლობელოში თავი შეეფარებია, მაგრამ უკანასკნელის ბრძოლაში მონაწილეობის მიღება კეისრის ხელისუფლებასთან შეთანხმებით უნდა მომხდარიყო ამჟამად და არა კეისრისაგან დამოუკიდებლად ბარდა ფოკას თხოვნით.

გიორგი ათონელის ცნობების ანალოგიურსა და კიდევ უფრო მდიდარ ცნობებს, აჯანყებულთა წინააღმდეგ საიმპერიო ხელისუფლების მხარეზე იმიერ-ტაოს მონაწილეობის შესახებ, სომეხი ისტორიკოსი სტეფანოზ ტარონელი (ასოლიკი) გვაძლევს. აგვიწერს რა ის აჯანყების ამბებს და იმას, თუ როგორ ავიწროებდა სკლიაროსის ლაშქარი საიმპერიო ხელისუფლების ლაშქ-



ქარს, წერს: „ყოველივე ამ ამბების შემდეგ ბერძენთა მეფე ბასილმა მთაწმიდაზე მონაზნად მყოფი, წარმოშობით ქართველი, მხედართმთავარი თორნიკე გამოიძახა“<sup>1</sup> და ის ტაოს კურაპალატთან—დავითთან გაგზავნაო.

გიორგი ათონელი და ბიზანტიელი ისტორიკოსები არაფერს გვეუბნებიან იმის შესახებ, თუ რომელი მხარეები, რა მიწა-წყალი იცნო ბიზანტიის მთავრობამ იმიერ-ტაოს ხელისუფლების განკარგულებაში იმ დროს, როდესაც უკანასკნელისაგან დახმარების თანხმობა მიიღო. ქართველი ჰაგიოგრაფის მიერ მხოლოდ „ზემონი ქუეყანანი“ არის დასახელებული და არა ჩანს რომელ რაიონებს გულისხმობს ავტორი, მაგრამ ამ ნაკლს სტეფანოზ ტარონელის (ასოლიკის) ცნობა ავსებს. ის გადმოგვცემს, რომ ბიზანტიის ხელისუფლებასთან შეთანხმების თანახმად, დავით კურაპალატს, თუ ის ლაშქარს გაუგზავნიდა კეისარს, უნდა მიეღო:

- 1) ციხე ხალტოი-არიჭი და მასთან მდებარე კლისურა დასავლეთ ეფფრატის ხეობაში;
2. ჩორმაირის თემი მდინარე ჭოროხის სათავეებთან;
3. კარინი ანუ თეოდოსიუპოლი (არზრუმი) თავისი თემით, რომელიც დასავლეთ ეფფრატის ხეობაში მდებარეობდა;
4. სამხრეთი ბასიანი (ჩრდილო ბასიანი დავით კურაპალატს ეკუთვნოდა);
5. ციხე სევეუკი, მარდალიის კანტონში, მდინარე არაქსის სათავეებთან;
6. ჰაქსისა და აბაჰუნის პროვინციები (ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთის რაიონებში)<sup>2</sup>.

ამრიგად, სტეფანოზ ტარონელის (ასოლიკის) ცნობიდანაც მტკიცდება, რომ ჯერ შეთანხმება მოხდა, გარკვეული მიწა-წყალი აღუთქვა იმპერატორის ხელისუფლებამ დავით კურაპალატს და ამის შემდეგ მიიღო ბრძოლაში მონაწილეობა უკანასკნელმა.

გიორგი მთაწმიდელის გადმოცემით, როგორც აღნიშნული იყო, იოანე თორნიკე განაწესა ლაშქრის მეთაურად დავით კურაპალატმა. სტეფანოზ ტარონელი კი გადმოგვცემს, რომ შეთანხმების მიღწევის შემდეგ, „შეაგროვა რა ლაშქარი დავით კურაპალატმა, მთავართამთავარის“ ჯოჯიკის მეთაურობით, თორნიკესთან ერთად, ის ტირან ბარდის წინააღმდეგ გაგზავნა. იბერიელებმა ტარონის მიწა-წყლიდან (მდინარე არაცანის შუა წელიდან, — ვ. კ.) დაწყებული, ტირანის მფლობელობაში მყოფ ბერძენთა ქვეყნის მორბევა იწყეს“—<sup>3</sup>.

<sup>1</sup> Всеобщая история, стр. 135.

<sup>2</sup> იხ. Всеобщая история, стр. 135; შდრ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 67; С Джанашия, Об одном примере искажения исторической правды, 1947, стр. 29.

<sup>3</sup> სომხეთის სამეფო კარზე მთავართა-მთავრის ტიტულს ატარებდა ის პირი, რომელიც პასუხისმგებელი იყო მეფის წინაშე ყველა ვასალის შესახებ, მასვე ექვემდებარებოდნენ საგადასახადო მოხელეები და ის ნიშნავდა ციხისთავებს. შესაძლებელია ასეთ მოვალეობას ასრულებდა დავით კურაპალატის სამეფო კარზე ჯოჯიკი, რომელსაც სომეხი ისტორიკოსი მთავართა-მთავრად იხსენიებს.

<sup>4</sup> Всеобщая история, стр. 135.



დასავლეთის ლაშქარმა, რომელსაც ბარდა ფოკა მეთაურობდა, და იბერიის მხედრობამ, ორი მხრიდან გაუმართეს ბრძოლა აჯანყებულებს, დაამარცხეს მტრის ძალები და მათი მეთაური სკლიაროსი სპარსეთში განდევნეს, რომელიც ბაღდადის ამირასთან იბნ-ხოსროსთან მივიდა და შას დახმარება სთხოვა.

ბრძოლის ადგილის ლოკალიზაციისა და იმის შესახებ, რომ ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ საბრძოლველად ტაო-კლარჯეთის ლაშქარი გაიგზავნა, ზარზმის ეკლესიის ეკვდრის ერთი წარწერაც გვაძლევს საინტერესო ცნობას. იქ ნათქვამია: „...მე ივანე, ძემან სულისამან, აღვაშენე წმიდა... ეგვტერი. მას ჟამსა, ოდეს საბერძნეთს ვადგა სკლიაროსი, დავით კურაპალატი აღიდენ ღმერთმან, უშველა წმიდათა მეფეთა, და ჩუენ ყოველნი ლაშქარს წარგვაფლინნა. სკლიაროსი ვაგაქციეთ... მას ქუეყანასა, რომელსა ჰქვიან ხარსანანი, ადგილსა, რომელსა ჰქვიან სარვენისნი...“<sup>1</sup>.

სად უნდა მომხდარიყო ვადამწყვეტი ბრძოლა, რომელშიც სკლიაროსი დამარცხდა? კედრენეს ცნობის თანახმად, ეს ბრძოლა მდინარე ჰალისის ნაპირას, პანკალიის მინდორზე უნდა მომხდარიყო. ზარზმის წარწერა კი ბრძოლის ადგილად, როგორც გავვეცანით, ხარსანანის მხარეს, კერძოდ, სარვენისს ასახელებს. ე. თაყაიშვილი, რომელიც ზარზმის წარწერას არჩევს, ამ წარწერისა და კედრენეს ცნობებს შორის, ბრძოლის ადგილის შესახებ, ჩანს, სამართლიანად იგივეობას ხედავს და წერს: ქართველთა საუკეთესო ლაშქრის მხარდაჭერით, ბარდა ფოკამ „нанесъ Склиру решительное поражение на равнинах р. Галиса“<sup>2</sup>. დ. ბაქრაძის აზრით კი ზარზმის წარწერაში მოხსენებული „ხორსანანი არის ბიზანტიელების არხანენი, რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთად ტივრისა და ნიჭიუსისა“<sup>3</sup>.

იხილავს რა წყაროებს ბრძოლის ადგილის შესახებ, მ. კახაძე წერს: „ბრძოლის ადგილის ლოკალიზაციისათვის უპირატესობა უნდა მიეცეს ამ ბრძოლის უშუალო მონაწილის ივანე სულაქსძის ცნობას, რომელიც ამოჭრილია ზარზმის ეკვდერზე... და არა კედრენესას, რომელსაც, შესაძლებელია, რომანისტსავით იმიტომ დასჭირდა მდ. ჰალისის ნაპირას მდებარე პანკალიის ვაკე, რომ მდინარეში „ჩაეხრჩო“ სკლეროსის ჯარი ყოველგვარი მიძალების გარეშე, ქართველ-ბერძენთა სამხედრო ძალების როლის უგულებელყოფის მიზნით“<sup>4</sup>.

იქვე შენიშნავს მ. კახაძე, რომ „მიუხედავად იმისა, რომ ზარზმის ეკვდრის წარწერის პირველი პუბლიკაცია ეკუთვნის ექ. თაყაიშვილს, იგი მაინც, რატომღაც, სკლიაროსის ჯარის განადგურების ადგილად მდ. ჰალისის სანაპიროებს ასახელებს და არა ხარსანანის სარვენისს... რომელიც ამ წარწერაში იხსენიება ბრძოლის ასპარეზად“-ო<sup>5</sup>. ამრიგად, მ. კახაძე წინააღმდეგობას

<sup>1</sup> Е. Такайшвили, Археологические экскурсии, вып. I, 1905. стр. 19.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 20.

<sup>3</sup> ვახუშტი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოცემა, 1885, შენიშვნა მისივე, გვ. 139.

<sup>4</sup> მ. კახაძე, დასახელებული შრომა, გვ. 43—44.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 44, შენ. 2.



ხედავს კედრენესა და ზარზმის წარწერის ცნობებს შორის ბრძოლის ადგილის ლოკალიზაციის შესახებ და, ჩანს დ. ბაქრაძის მოსაზრებას ეთანხმება.

უკანასკნელად, ამ საკითხის სწორი გავება, ჩვენი აზრით, ნ. ლომოურს აქვს მოცემული თავის ერთ-ერთ ჯერ გამოუქვეყნებელ ნაშრომში: „К истории восстания Варды Склира“<sup>1</sup>. არჩევს რა კედრენეს ცნობისა და ზარზმის წარწერის შინაარსს ბრძოლის ადგილის ლოკალიზაციის შესახებ, სამართლიანად წერს: „Между данными зарзмской надписи и Кедрина нет существенных разногласий. Надо полагать, что М. Л. Кахадзе в данном случае следует мнению историка Д. Бахрадзе, который отождествляет страну Харсанани с Арзаненой областью Армении, расположенной восточнее верхнего течения Тигра. В действительности же страна Харсанани<sup>2</sup> отождествляется с одной из частей Каппадокии-Харсианой (χαρσιανών), выделенной по указанию Константина Порфирородного в отдельную фему“<sup>3</sup>.

ბიზანტიის იმპერიაში შემავალი ხარსიანის თემი სამხრეთ-აღმოსავლეთით კაბადოკიის თემს ემიჯნებოდა, დასავლეთით ბუკელარიამდე აღწევდა და ჩრდილოეთით მას პაფლაგონია და არმენიაკი საზღვრავდა.<sup>4</sup> „Харсиана... была расположена как раз на нижнем и среднем течении р. Гались (Кизил-Ирмак)“<sup>5</sup>.

ამრიგად, ბრძოლა მოპირდაპირეთა შორის, რომელშიც სკლიაროსი დამარცხდა, ჰალისის სანაპიროებზე უნდა მომხდარიყო და არა ტიგროსის სათავეების აღმოსავლეთ სანაპიროზე.

ის გარემოება, რომ ქართველთა ლაშქარმა არა ტიგროსის სათავეების სანაპიროებზე, არამედ ხარსიანის თემში, ჰალისის ქვემო თუ შუაწელთან გაუნართა ბრძოლა სკლიაროსის ლაშქარს, კიდევ უფრო ადიდებს ქართველთა ლაშქრის როლს. ნათელი ხდება, რომ ქართველი მხედრობა მტრის მიერ დაკავებული ტერიტორიის დიდ სიღრმეში შეჭრილა, მცირე აზიის უდიდესი მიწა-წყალი გაუფლია და განსაცდელში მყოფ დასავლეთის ლაშქარს ჰალისის სანაპიროებთან მიშველებია. თუ ჩვენ ზარზმის წარწერის შინაარსს არა სწორად გავიგებდით და ვაღიარებდით, რომ მოპირდაპირეთა შორის ტიგროსის სათავეების აღმოსავლეთ სანაპიროებზე მოხდა ბრძოლა, მაშინ დასავლეთის ანუ ფოკას სარდლობის ქვეშ მყოფ ბიზანტიის ლაშქარს დაუმსახურებლად მივაწვრდით მცირე აზიის უდიდესი ტერიტორიის, ხარსიანიდან ტიგროსის

<sup>1</sup> ესარგებლობ ხელნაწერით ავტორის თავხიანი ნებართვით, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებ.

<sup>2</sup> ეს სახელი ამ ადგილს მხედართმთავარ ხარსიას პატივსაცემად ეწოდა, რომელმაც იუსტინიანეს მოღვაწეობის ახლო ხანებში სპარსთა წინააღმდეგ ბრძოლაში თავი ისახელა (იხ. Н. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI веке, 1884, стр. 208).

<sup>3</sup> Н. Ю. Ломоури, К истории восстания Варды Склира (ხელნაწერი), გვ. 11.

<sup>4</sup> Н. Скабаланович, გვ. 208.

<sup>5</sup> Н. Ю. Ломоури, გვ. 12.



სათავეების აღმოსავლეთ სანაპიროებამდე, აჯანყებულთაგან „განთავისუფლებას“, ხოლო ქართველთა ლაშქარს დაუკარგავდით ამ დიდ დამსახურებას.

ბრძოლის დამთავრებისა და ქართველთა ლაშქრის ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, ზემოთ დასახელებული ყველა მხარე, რომელიც ბიზანტიის ხელისუფლებამ აღუთქვა დავით კურაპალატს, იმიერ-ტაოს მმართველის განკარგულებაში გადმოვიდა. აკად. კ. კეკელიძე ეფერმე მცირის ვინაობაზე მოგვითხრობს და ამასთან დაკავშირებით წერს: „მეაერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში ბიზანტიასა და საქართველოს შორის დიდი ცილობა ატყდა „ზემო ქუეყანათა“, ან ტაო-კლარჯეთის მიწების გამო. ეს მიწები ბიზანტიის იმპერატორმა მეათე საუკუნის სამოცდაათიანი წლების მიწურულში, მეორედ დაუთმო დავით კურაპალატს, „რათა თვსსა სიცოცხლესა ჰქონდინ“, იმ სამსახურისათვის, რომელიც მან გაუწია იმპერატორს სკლიაროსის აჯანყების ლიკვიდაციის საქმეში“<sup>1</sup>.

ასეთმა განმარტებამ შესაძლებელია მკითხველი შეცდომაში შეიყვანოს და საკითხზე არა სწორი წარმოდგენა მისცეს. როგორც აღნიშნულ განმარტების ავტორს მოეხსენება, ტაო-კლარჯეთი საქართველოს ძველის-ძველი მიწა-წყალი იყო და ის დიდი ხანია ბაგრატიონთა კუთვნილ სამფლობელოს შეადგენდა. მეათე საუკუნის სამოცდაათიანი წლების მიწურულში, ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩაქრობაში დიდი დახმარებისათვის, როგორც გავეცანით, სულ სხვა ოლქები მიიღო იმიერ-ტაოს ხელისუფლებამ და არა ტაო-კლარჯეთი.

\* \* \*

ახალი ოლქების შემოერთებამ, საერთოდ ტაო-კლარჯეთისა და, კერძოდ, იმიერ-ტაოს პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა კიდევ უფრო გააძლიერა. მცირე მნიშვნელობა როდი ჰქონდა იმას, რომ დავით ბაგრატიონის განკარგულებაში გადასულ მიწა-წყალზე გაივლიდა სახალიფოდან წამოსული უდიდესი სავაჭრო გზა, რომელიც მცირე აზიასა და პონტოში მიემართებოდა. ამ გზაზე მრავალი სავაჭრო ცენტრი იყო და მათ შორის ყველაზე უფრო ცნობილი არცნი და კარნუ ქალაქი, იგივე თეოდოსიუპოლი, დღევანდელი ერზერუმი.

აკად. ა. ი. მანანდიანის განმარტებით, არცნი თეოდოსიუპოლის მიდამოებში იყო, სადაც არისტარქეს ლასტივერტელის ცნობის თანახმად, უდიდესი სიმდიდრე მოდიოდა „ზღვითა და ხმელეთით“<sup>2</sup>, მაგრამ მომთაბარე თურქთა ტომების შემოსევების შედეგად ის ადრე განადგურდა. ამ ქალაქზე ზოგად წარმოდგენას გიორგი კვლარენესა და მათე ედესელის ცნობებიც გვაძლევენ. პირველის გადმოცემით, 1049 წელს, როდესაც თურქ-სელჯუკებმა არცნი აიღეს, ამ ქალაქში მცხოვრებთაგან 140,000 კაცი ფიზიკურად იქნა

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1951, გვ. 230—231.

<sup>2</sup> „ისტორია“ (სომხურ ენაზე), თბილისი, 192, გვ. 78; შდრ. А. Я. Манандян, О торговле и городах Армении, 1930, стр. 145.



განადგურებული, ხოლო მეორეს ცნობით ამ დროს არცნში მოკლულთა რიცხვი 150,000 კაცით განისაზღვრებოდა<sup>1</sup>. როგორი გადაჭარბებულიც არ უნდა იყოს ისტორიკოსთა ეს ცნობები არცნის შესახებ, ის მაინც ყურადღების ღირსი და არცნის სიძლიერის დამადასტურებელია. ეს ქალაქი ძლიერი სავაჭრო პუნქტი იყო და „стоял он на главном торговом пути, шедшем из Константинополя и Трапезунта через Карс, Ани, Двин и Иран“<sup>2</sup>. XI საუკუნის ბიზანტიელი მწერლის მიხედვით ატალიატის გადმოცემით, თეოდოსიუპოლის ახლო მყოფი ქ. არცნი დიდი, გაუმავრებელი ქალაქი იყო და იქ ვაჭრობდნენ საქონლით, რომელიც ირანიდან, ინდოეთიდან და აზიის სხვადასხვა მხრიდან მოჰქონდათ. კედრენეს ცნობით ქალაქს ზღუდე თითქო იმიტომ არ ჰქონდა, რომ მრავალრიცხოვნობით ძლიერი არცნის მოსახლეობა საჭიროდ არ სცნობდა ზღუდის შიგნით ეცხოვრა<sup>3</sup>.

თურქთაგან ქალაქის განადგურების შემდეგ გადარჩენილი მოსახლეობა კარნუ-ქალაქში გადავიდა და ამიერიდან ამ ქალაქმა ახალი სახელწოდება — არზრუმი „то есть „Арцна-рум“<sup>4</sup> მიიღო. არცნზე არა ნაკლები ერმრავალი და ძლიერი კარნუ-ქალაქი უნდა ყოფილიყო. სახალიფოდან დვინზე და საერთოდ სომხეთზე, ხოლო შემდეგ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სამფლობელოზე გამომვლელი დიდი სავაჭრო გზის ჩრდილოეთის შტოზე არტანუჯი იყო უდიდესი სავაჭრო კვანძი, ხოლო სამხრეთისაზე კარნუ-ქალაქი ანუ თეოდოსიუპოლი. ამ ერთი უდიდესი სავაჭრო გზის ეს ორი ხაზი დასავლეთისაკენ მიემართებოდა და ისევ შეერთების პუნქტი ტრაპიზონი იყო. ეს ანიჭებდა ამ ქალაქს უდიდეს მნიშვნელობას და ეკონომიური თვალსაზრისით მაშინდელ ტრაპიზონს კონსტანტინეპოლის შემდეგ იმპერიის აღმოსავლეთში პირველი ადგილი ეჭირა. „ტრაპიზონი, — წერდა X საუკუნეში ერთი არაბი გეოგრაფი, — ბერძნების სანაპირო ქალაქი არის. ყველა ჩვენი ვაჭრები იქ იყრიან თავს. ბერძნული წარმოების ყველა საქონელი, ყველა ქსოვილი, რომელიც მოაქვთ ჩვენთან, ტრაპიზონიდან მოდის“<sup>5</sup>.

თუ კი ოდესმე კარნუ-ქალაქს, თეოდოსიუპოლს ანუ ერზერუმს, როგორც უდიდეს სავაჭრო კვანძს, მნიშვნელობა ჰქონდა, ყველაზე მეტი მნიშვნელობის მქონე ახლა იყო ის და ამ მდგომარეობას შემდეგაც დიდხანს ინარჩუნებს. მარქსი და ენგელსი ამ ქალაქის შესახებ წერდნენ: „Если Карс является ключом к Эрзеруму, то Эрзерум представляет ключ к Константинополю и центральный пункт стратегических и торговых путей Анатолии“<sup>6</sup>. კარნუ-ქალაქის დაწინაურებას ხელი შეუწყო აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ აქ იყო ერთ დროს ე. წ. ბიზანტიის სომხეთის ადმინისტრაციული ცენტრი.

<sup>1</sup> А. Я. Манандян, гл. 155.

<sup>2</sup> История армянского народа, часть I, 1951, стр. 143.

<sup>3</sup> А. Я. Манандян, гл. 150—151.

<sup>4</sup> История армянского народа, стр. 153.

<sup>5</sup> М. В. Левченко, стр. 147.

<sup>6</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. X, стр. 553.



ახლად შეძენილმა ოლქებმა და იქ არსებულმა ქალაქებმა კიდევ უფრო გაზარდეს იმიერ-ტაოს სახელმწიფო სალაროს შემოსავალი და ამის შემდეგ იწყებს ის ძლევამოსილ ომებს სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. ტაო-კლარჯეთისა და კერძოდ იმიერ-ტაოს მაშინდელი ეკონომიური სიძლიერითა და სააღებ-მიცემო საქალაქო ცხოვრების განვითარებით აიხსნება ის გარემოება, რომ დავით კურაპალატი პირველი უნდა იყოს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შორის, რომელმაც საკუთარი ფულის მოჭრა დაიწყო.

იმიერ-ტაოს ხელისუფლების განკარგულებაში გადმოსულ ოლქებს ბიზანტიის იმპერიისთვისაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. პოლიტიკურმა ვაჭირვებამ აიძულა ახლა ბიზანტიის მთავრობა იმიერ-ტაოს მმართველის მფლობელობაში ეცნო დასახელებული ოლქები. მაგრამ შინაგანი მდგომარეობის გამოსწორებისა და მოძლიერების შემდეგ გააფთვრებით დაიწყებს ბრძოლას ამ მიწა-წყლის მისატაცებლად.

როგორც ყოველთვის, ბარდა სკლიაროსის დამარცხების შემდეგაც, ბიზანტიის ხელისუფლებას დაწყნარებული მდგომარეობა არ ჰქონდა და იმპერიაში, გარე-პოლიტიკური მდგომარეობის გართულებასთან ერთად, შინაგანი არეულობა და პოლიტიკური ბრძოლა სუფევდა. ბარდა სკლიაროსის დამარცხებითა და განდევნით მცირე-აზიის მსხვილ მიწათმფლობელთა სამხედრო არისტოკრატია არ დამარცხებულა. ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლების გაძლიერების ცდა, ამ არისტოკრატის მხრივ მეტ წინააღმდეგობას იწვევდა და მალე ისევ ბრძოლა განახლდა.

\* \* \*

ცნობილია, რომ ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთი პროვინციების სამხრეთელი მეზობლები — საამიროები, ბიზანტიასთან მტრულ დამოკიდებულებაში იყვნენ და მუდამ ცდილობდნენ იმპერიაში შექმნილი პოლიტიკური სირთულეები თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებიათ.

დამარცხებული და ირანში განდევნილი ბარდა სკლიაროსი 7 წლის განმავლობაში ბაღდადში იმყოფებოდა. 98 წელს, როდესაც ბასილ კეისრის ლაშქარმა ბოღართა წინააღმდეგ ბრძოლაში მარცხი განიცადა და ამის შესახებ ცნობამ ბაღდადამდე მიაღწია, ბარდა სკლიაროსმა გადასწყვიტა გამოიყენოს ეს მდგომარეობა და სამზადისს შეუდგა. მან მიზნის მისაღწევად ბაღდადის მმართველს ლაშქარი სთხოვა და უკანასკნელმაც თხოვნის შესრულება არ დააყოვნა. მიიღო რა ლაშქარი და საჭურველი ბარდამ, ის თავის სამშობლოში, ბიზანტიის იმპერიის ქვეშევრდომ ქვეყნებისაკენ გაეშურა. მცირე აზიაში შეჭრილი მედიტინაში დაბანაკდა და აქაური პროვინციების ადგილობრივი მმართველების გადაბირებისათვის ზრუნვა დაიწყო. სტეფანოზ ტარონელის (ასოლიკის) გადმოცემით, სკლიაროსს მხარეთა მრავალი მმართველი და ლაშქარი მიემხრო და დაემორჩილა. მათ შორის აპაჰუნიკისა და მარტიროპოლის ანუ ნებერკერტის ამირამ ბაღმაც მორჩილება გამოუცხადა და დახმარება აღუთქვა მას<sup>1</sup>.

<sup>1</sup> Всеобщая история, стр. 177.



სკლიაროსის მომხრე ძალებსა და ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლების ლაშქარს შორის ხელახალი ბრძოლა გაიმართა. ბუნებრივია, ტაო-კლარჯეთს და კერძოდ, იმიერ-ტაოს არ შეეძლო გულგრილად მოპყრობოდა ამ ბრძოლას და კიდევ მიიღო მან მონაწილეობა ბიზანტიის შინა პოლიტიკურ ბრძოლაში. ახლაც, სკლიაროსის წინააღმდეგ, იმპერატორის მხარეზე უნდა გამოსულიყო იმიერ-ტაო. იმიტომ, რომ ტაო-კლარჯეთის ლაშქრის აქტიური მონაწილეობით ბრძოლაში დამარცხებული და განდევნილი ბარდა სკლიაროსის დაბრუნება და გამარჯვება იმიერ-ტაოს ხელისუფლებისათვის ყოველად მიუღებელი იყო. ამასთანავე, ბიზანტიასთან შეთანხმებით მიღებული ოლქებიდან ერთ-ერთი ოლქი, სახელდობრ აპაჰუნიკი, როგორც სტეფანოზ ტარონელის (ასოლიკის) ცნობას გავეცანით, ამირა ბადს ეკუთვნოდა. თუმცა, აღნიშნულ ცნობიდან გარკვევით არ ჩანს, რომ ახლა, 986 წელს, აპაჰუნიკი ისევ ბადის ხელში იყო, მაგრამ იგივე ისტორიკოსი იმავე შრომის სხვა ადგილას წერს: „უდაბნოს არაბებთან ბრძოლაში აპაჰუნიკისა და ნეპერკეტის ამირა ბადი მოკვდა“-ო<sup>1</sup>. ე. ი. ამ ცნობის თანახმად, 990 წელს, როდესაც ამირა ბადი გარდაიცვალა, ის აპაჰუნიკისა და ნეპერკეტის ამირა ყოფილა. არ ჩანს როდი დაიბრუნა აპაჰუნიკი ბადმა, მაგრამ ბიზანტიის მიერ სხვის ხარჯზე დავითისათვის გადაცემული ეს მხარე, ამირა ბადისა და იმიერ-ტაოს ხელისუფლებას შორის ბრძოლის საგნად უნდა ქცეულიყო და ეს და სხვა მრავალი სადაო საკითხი ნათ შორის წინააღმდეგობას შეურიგებელს ხდიდა. ამიტომ იყო, რომ ამირა ბადი იმიერ-ტაოს ლაშქრის მიერ დამარცხებულსა და დავით კურაპალატის მტერს, ხელმეორედ აჯანყების მომწყობს ბარდა სკლიაროსს ამოუდგა დაუყონებლივ მხარში. ამრიგად, მტრების ასეთი გაერთიანებაც უკარნახებდა იმიერ-ტაოს ხელისუფლებას, კიდევ ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლების დამხმარის როლში გამოსულიყო სკლიაროსისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ.

სტეფანოზ ტარონელის (ასოლიკის) გადმოცემით, როდესაც ბაღდადიდან მოსულმა ბარდა სკლიაროსმა მხარეთა მრავალი მმართველი გადაიბირა და იმპერატორის ხელისუფლებას ბრძოლა გაუმართა, კეისარმა აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლის მეთაურობა ისევ ბარდა ფოკას ჩააბარა. უკანასკნელი „მთელი საბერძნეთისა (ივულისხმება საიმპერიო ხელისუფლების ლაშქარი, — ვ. კ.) და იბერიის ლაშქრით ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ საბრძოლველად გაეშურა“.<sup>2</sup> აქ მოხსენებულ იბერიის ლაშქარში ჩვენ იმიერ-ტაოს მმართველის ლაშქარს ვგულისხმობთ, და თუ ეს ასეა, ჯერჯერობით ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლება და იმიერ-ტაო, ბარდა ფოკას მხარდაჭერით, სკლიაროსის წინააღმდეგ ერთად გამოდიან. მაგრამ საბრძოლველად მისულმა და აჯანყებულთა პირისპირ დამდგარმა ბარდა ფოკამ, ბრძოლის გაგრძელების ნაცვლად, მოლაპარაკება გამართა სკლიაროსთან იმპერატორის წინააღმდეგ ძალთა გაერთიანების შესახებ და შეთანხმებასაც მიიღწიეს. ხოლო 987 წლის დამლევს ფოკამ აშკარა აჯანყება დაიწყო.

<sup>1</sup> იქვე, სტრ. 191.

<sup>2</sup> იქვე, სტრ. 178



ამრიგად, ფოკასა და სკლიაროსის შეთანხმების შედეგად ფოკას საერთო სარდლობის ქვეშ მყოფი იბერიის, ე. ი. იმიერ-ტაოს ლაშქარიც კეისრის მოწინააღმდეგეთა ბანაკში უნდა აღმოჩენილიყო. სამწუხაროდ, წყაროებში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ როგორ იმოქმედა ამ დროს იმიერ-ტაოს ხელისუფლებამ. ბარდა ფოკასა და სკლიაროსის შეთანხმების შემდეგ მოქმედების როგორი კურსი აიღო და ვისი ორიენტაცია აირჩია მან. თუ ჩვენ იმიერ-ტაოს ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესებიდან გამოვალთ, ის არ უნდა დარჩენილიყო იმ კოალიციაში, რომელშიც ბარდა სკლიაროსი და მისი ზოგიერთი მოკავშირე იმყოფებოდა.

ფოკა-სკლიაროსისა და დავით კურაპალატის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის ამბავს, გაკვრით, მ. კახაძე ეხება ზემოთ დასახელებულ თავის ნაშრომში და აღნიშნავს, რომ „989 წელს... ფოკა და სკლიაროსი... შეითქვენნენ მეფის წინააღმდეგ და დახმარება სთხოვეს საქართველოს მეფეს<sup>1</sup> დავით კურაპალატს. უკანასკნელი, როგორც შორსმჭვრეტელი სახელმწიფო მოღვაწე, ცხადია, სიამოვნებით დათანხმდებოდა, რაკი ამ კოალიციაში დაინახავდა მაკედონელთა დინასტიის გარდუღალ აღსასრულს და უზურპატორებს სათანადო მოთხოვნებს წარუდგენდა საქართველოს ტერიტორიის გასაფართოებლად“<sup>2</sup>.

ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ დავით კურაპალატი, როდესაც აჯანყებულთა მხარეზე მონაწილეობას იღებდა, ალბათ, მეტს მოელოდა, ვიდრე მაკედონელთა მბრძანებლები მას აძლევდნენ, არსებითად სწორია. მაგრამ აქ გათვალისწინებული უნდა იქნეს ისიც, თუ აჯანყების რომელ მეთაურთან შეეძლო დავით კურაპალატს საერთო ენის გამონახვა. არა გვეონია, რომ დავით ბაგრატიონის ხელისუფლებასა და აჯანყებულ სკლიაროსს შორის ერთიანი მოქმედების შესახებ შეთანხმება მომხდარიყო. იმიერ-ტაოს ხელისუფლებასა და ხელმეორედ აჯანყებულ ბარდა სკლიაროსს შორის, შეიძლება ითქვას, შეურიგებელი წინააღმდეგობა არსებობდა. პოლიტიკურ ორიენტაციას ყოველთვის სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები განსაზღვრავენ და თუ ამის მიხედვით ვიმსჯელებდით, ერთის მხრივ სკლიაროსისა და მისი ზოგიერთი, იმიერ-ტაოს მოსაზღვრე, მოკავშირის, ხოლო მეორეს მხრივ იმიერ-ტაოს ინტერესები და წინააღმდეგობანი მათ შეთანხმებას შეუძლებელს ხდიდა. სკლიაროსისა და მისი მოკავშირეების (როგორიც იყო ამირა ბადი და სხვ.) გამარჯვების შემთხვევაში დავით კურაპალატს საშიში მეზობლები გაუჩნდებოდნენ და 979 წელს შეძენილი ოლქებიც ხელიდან გაუსხლტებოდა.

ფოკასა და სკლიაროსის ერთიანი მოქმედება დიდ ხანს არ გაგრძელებულა. იმპერატორის ტახტის ორ პრეტენდენტს შორის მალე ბრძოლა გაიმართა. სტეფანოზ ტარონელი (ასოლიკი) ხაზს უსვამს, რომ ბარდა ფოკამ სკლიაროსი დააპატიმრა და ციხეში ჩასვა, ხოლო თვითონ „საბერძნეთისა

<sup>1</sup> დავითი მთელი საქართველოს მეფე არ იყო და მისთვის ამ ტიტულის მიკუთვნება უმართებულა.

<sup>2</sup> მ. კახაძე, დასახელებული შრომა, გვ. 40-41.



და იბერიის ლაშქრით სამეფო ქალაქის, კონსტანტინეპოლის წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა, რომელიც ორ წელს გაგრძელდა“-ო<sup>1</sup>. მაგრამ როდესაც ამ ამბავს მოგვითხრობს თან დასძენს, რომ შეტევის დაწყებისას „ბარდა ფოკამ იბერიის ლაშქარი თავის ბანაკიდან დაითხოვა“-ო<sup>2</sup>. ეს ის დროა, როდესაც აჯანყებული ბარდა ფოკა ახლად იწყებს შეტევას ბასილ კეისრის ხელისუფლების წინააღმდეგ და მის წინაშე უდიდესი ამოცანა იდგა. ამიტომ, გაუგებარია თუ რატომ უნდა წასულიყო ფოკას ბანაკიდან იბერთა ლაშქარი და ან რატომ უნდა გაეშვა ის აჯანყების მეთაურს? თუ ჩვენ მხარეთა ინტერესებიდან გამოვალთ, რასაც თითოეული მათგანის ორიენტაცია და მოქმედება უნდა განესაზღვრა, უფრო ბუნებრივი იქნებოდა სტეფანოზის ცნობები ისე გავვეგო. რომ ფოკას ბანაკიდან იბერიის ლაშქრის ჩამოცილება სკლიაროსისა და ფოკას შეთანხმებას უნდა გამოეწვია და ის მანამდე უნდა მომხდარიყო, სანამ ფოკა სკლიაროსს შეიპყრობდა. ხოლო ამის შემდეგ შესაძლებელი უნდა გამხდარიყო იმიერ-ტაოს მმართველსა და ფოკას შორის მოლაპარაკების დაწყება იმპერატორის წინააღმდეგ ერთიანი მოქმედების შესახებ. მართლაც, ფოკას ბანაკიდან იბერთა ლაშქრის დათხოვნის შემდეგ, წყდება ცნობები ამ ლაშქრის მოქმედების შესახებ და იმიერ-ტაო შემდეგ აჯანყებულთა მხარეზე აღმოჩნდება.

აჯანყებულთა ძალებმა შეტევა სწრაფად განავითარეს და, ლეონ დიაკონის გადმოცემით, ბიზანტიის იმპერიის აზიური ყველა ოლქი დაიმორჩილეს<sup>3</sup>. ააჰა ანტიოქელის ცნობის თანახმად, დაიპყრეს რა აჯანყებულებმა აღმოსავლეთის ოლქები, კონსტანტინეპოლის მისადგომებთან განლაგდნენ<sup>4</sup> და დიდი საფრთხე შეუქმნეს იმპერატორის ხელისუფლებას. ბრძოლამ მეტად მწვავე და ხანგრძლივი ხასიათი მიიღო. ლეონ დიაკონის ცნობის თანახმად, „აჯანყებულებმა ხელთ იგდეს ზღვის სანაპირო ქალაქები და სიმაგრეები, ჩაკეტეს ჰელესფონტის სრუტე უამრავი ხომალდებით და შეწყვიტეს სავაჭრო გემების შესვლა დედაქალაქში. ხოლო ავიდოსთან, სანაპიროზე, მაგისტრ ლეონ პარსაკუტინსკის მეთაურობით, უდიდესი ლაშქარი გადმოსხეს... შემდეგ ამისა, შექმნეს მტკიცე ბანაკი ბიზანტიის (იგულისხმება კონსტანტინეპოლი, — ვ. კ.) წინააღმდეგ ხრისოპოლის სიმაღლეზე და ბარდა ფოკამ თავისი ძმის პატრიკ ნიკიფორესა და პატრიკ კოლოკიორ დელფინოსის მეთაურობით იქ მრავალრიცხოვანი ცხენოსანი და ფეხოსანი ლაშქარი გაგზავნა“<sup>5</sup>. ამავე დროს, ისარგებლა რა მცირე აზიაში შექმნილი მდგომარეობით, ბულგართა ლაშქარმა, სამუილის მეთაურობით თავის მხრივ შეტევა გააძლიერა და ადრიატიკის მხარეში, ბიზანტიის სამფლობელო დაიკავა, ხელთ იგდო მრავალი ქალაქი სალუნის ახლო და „ფიქრობენ, რომ უკვე ამ დროს ბოლგართა ლაშქარი შავი ზღვის სანაპიროებამდე მივიდა“<sup>6</sup>.

<sup>1</sup> Всеобщая история, стр. 178.

<sup>2</sup> იქვე, 83. 179.

<sup>3</sup> История Льва Дякона, стр. 28.

<sup>4</sup> В Розен, стр. 24.

<sup>5</sup> История Льва Дякона, стр. 28—29.

<sup>6</sup> История Болгарии, 1954, стр. 95.



როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ ადრე ბულგართა წინააღმდეგ ბრძოლით დასუსტებული და 986 წელს დამარცხებული ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლება, ახლა ყოველ მხრივ უდიდეს ეკონომიურსა და პოლიტიკურ გაჭირვებაში ჩავარდა, კეისრისა და აჯანყებულთა ძალებს შორის ბრძოლა უკანასკნელთა სასარგებლოდ ვითარდებოდა და ამ მოვლენის თვალყურის მდევნებელსა და ბრძოლის შედეგებით დაინტერესებულ მხარეს სრული საფუძველი ჰქონდა, რომ გამარჯვების პერსპექტივა აჯანყებულთა მხარეზე დაენახა, საჭირო შემთხვევაში ორიენტაციაც ამ უკანასკნელისაკენ აეღო. სწორედ ახლა უნდა გადაეწყვიტა იმიერ-ტაოს ხელისუფლებას აჯანყებულთა მხარეზე ომში მონაწილეობის მიღება და ეს ასედაც მოხდა. სამწუხაროდ, იმ მოლაპარაკებისა და შეთანხმების შესახებ, რომელიც აჯანყებულთა მეთაურის ბარდა ფოკასა და იმიერ-ტაოს ხელისუფლებას შორის უნდა მომხდარიყო, წყაროები არაფერს გადმოგვცემენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აჯანყების მეთაური, საიმპერიო ტახტის მოპოვებისათვის მებრძოლი ბარდა ფოკა, როგორც აღნიშნული იყო, მეტს უნდა შეპირებოდა იმიერ-ტაოს ხელისუფლებას ვიდრე მაკედონელთა დინასტიის წარმომადგენელმა დაუთმო მას და ეს უნდა გამხდარიყო აჯანყებულთა მხარეზე იმიერ-ტაოს გამოსვლის საფუძველი. გავიხსენოთ, რომ უდიდესი დახმარებისათვის, 979 წელს რომ გაუწია ბიზანტიის მთავრობას იმიერ-ტაოს ხელისუფლებამ, გარკვეული ტერიტორია ცნო პირველმა მეორეს განკარგულებაში, მაგრამ სამუდამოდ კი არა, მხოლოდ დავით კურაპალატის სიცოცხლეში უნდა ჰქონოდა ის უკანასკნელს, ხოლო შემდეგ ბიზანტიას უნდა წაეღო.

გარდა ამისა, ახლა საქართველოს გაერთიანების პირობები მომზადებული იყო და მისი განხორციელების ინიციატივაც, სხვებთან ერთად, დავით კურაპალატმა აიღო. ბიზანტია კი, როგორც ცნობილია, მტრულად უყურებდა ამ მოვლენას და საკეისროს გაძლიერება დავითისათვის ყოველად მიუღებელი იყო. ამიტომ, დავითის გამოსვლას აჯანყებულთა მხარეზე, საერთოდ ბიზანტიის იმპერიის დასუსტების მიზანიც უნდა ჰქონოდა.

მძიმე მდგომარეობაში მყოფმა ბიზანტიის ხელისუფლებამ ყოველგვარი ზომები მიიღო თავის გადასარჩენად. დაჰმა ანტიოქელი მოგვითხრობს, რომ როდესაც აჯანყებულთა ლაშქარი კონსტანტინეპოლის მისადგომებთან განლაგდა და აღმოსავლეთის მხარეებიც დაიპყრო, ბასილ კეისარმა, ზღვით, მაგისტრი ტარონიტი ტრაპიზონში გაგზავნა. უკანასკნელმა იქ ხალხი (იგულისხმება სამხედრო ძალა,—ვ. პ.) შეკრიბა და ევფრატის სანაპიროსაკენ გაემართა<sup>1</sup>. აქ ის, ერზინჯანის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში, დავით კურაპალატის სამფლობელოში უნდა შეჭრილიყო. კეისრის ხელისუფლების ბრძოლის ეს ტაქტიკა მტრის ზურგიდან დარტყმას ისახავდა მიზნად და მას შეეძლო აჯანყებულთათვის სახიფათო მდგომარეობა შეექმნა. მაგრამ ფოკას მიღწევები იმდენად დიდი იყო, რომ, ჩანს, იმიერ-ტაოს ხელისუფლებას ეჭვი არ ეპარებოდა მის გამარჯვებაში.

<sup>1</sup> В. Розен, стр. 24.



კეისრის ხელისუფლების მოქმედების საპასუხოდ, აჯანყების მეთაურმა ბარდა ფოკამ, დაჰა ანტიოქელის გადმოცემით, თავისი შვილი ნიკიფორე ტაოს მფლობელ ქართველთა მეფე დავითთან გაგზავნა და დახმარება სთხოვა მას ტარონიტის წინააღმდეგ<sup>1</sup>. დავითმა თხოვნის შესასრულებლად ლაშქარი გაამზადა. იმიერ-ტაოს მმართველს ამოუდგა მხარში აგრეთვე ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლების უკმაყოფილო, მცირე აზიის ზოგიერთი პროვინციის მმართველი. ცნობილია, რომ 967 წელს, აშოტ ბაგრატიუნის სიკვდილის შემდეგ, ბიზანტიამ ტარონი დაიპყრო და მას მძიმე უღელი დაადგა. აქაური სომხები დამპყრობლის უკმაყოფილონი იყვნენ და ჯერ კიდევ სკლიაროსის პირველი აჯანყების დროს ისინი აჯანყებულთა ბანაკში აღმოჩნდნენ. მაგრამ სკლიაროსი დამარცხდა და მისი მომხრე სომხებიც დამარცხდნენ. აშოტის ერთ-ერთ შვილს ბაგრატს დაჰა ანტიოქელი პატრიკად და ტარონის ერთ-ერთი თემის ალ-ხალიდიატის მმართველად იხსენიებს<sup>2</sup>. იგივე ისტორიკოსის ცნობით, როდესაც დავით კურაპალატმა თავისი ერთ-ერთი ქვეშევრდომი ათასი მხედრით ტარონიტის წინააღმდეგ გაგზავნა, მას თან გაჰყვა ბაგრატის ორი შვილი ათასი კაცისაგან შემდგარი ცხენოსანი ლაშქარით<sup>3</sup>.

ამრიგად, დავით კურაპალატი მართო არ უჭერს მხარს აჯანყებულთ, მათ სხვაც ბევრი გამოეხმაურა. მცირე აზიაში მომხდარი აჯანყებები, ხშირად რომ ხდებოდა საიმპერიო ხელისუფლების წინააღმდეგ, მართო სამხედრო არისტოკრატის რომელიმე ძლიერი წარმომადგენლის ნება-სურვილიდან არ გამომდინარეობდა. ამ აჯანყების პირობებსა და შესაძლებლობას თვის ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლების მმართველური და უხეში პოლიტიკა ქმნიდა. -ეს კი საშუალებას აძლევდა აჯანყების მეთაურებს ძლიერი ძალა დაერაზნათ თავის ირგვლივ.

დავით კურაპალატის მიერ გაგზავნილმა ლაშქარმა ბრძოლა გაუმართა ტარონიტის ლაშქარს<sup>4</sup> (მემატიანე არაფერს ამბობს იმის შესახებ თუ სად გაიმართა ეს ბრძოლა). განსაცდელში მყოფი იმპერატორის ხელისუფლება, როგორც დაჰა ანტიოქელი გადმოგვცემს, იძულებული გახდა რუსთა მეფისათვის ეთხოვა დახმარება<sup>5</sup>. კიევის მთავართან, ვლადიმირთან შეთანხმების მიღწევის შემდეგ, „რუსთა დამხმარე ლაშქარი იქნა გამოგზავნილი ბიზანტიაში“<sup>6</sup>. კედრენესა და ზონარას გადმოცემით, ამ ლაშქარმა უდიდესი როლი ითამაშა აჯანყებულთა დამარცხების საქმეში<sup>7</sup>. დაჰა ანტიოქელის ცნობიდან ჩანს, რომ დავით კურაპალატის მიერ გაგზავნილმა მხედრობამ, სწორედ იმ დროს, როდესაც მან წარმატებით ჩაატარა ბრძოლა და დაამარცხა ტარო-

<sup>1</sup> В. Розен, стр. 24.

<sup>2</sup> ეს თანამდებობა ტარონის დამოუკიდებლობის გაუქმების შემდეგ 976 წლამდე, ბარდა სკლიაროსის ამ მხარის მმართველად დანიშნვამდე, ჰქონდა, ალბათ, ბაგრატს.

<sup>3</sup> В. Розен, 24.

<sup>4</sup> იქვე, 24.

<sup>5</sup> იქვე, 23.

<sup>6</sup> В. Г. Васильевский, Труды, т. I, 1908, გვ. 199.

<sup>7</sup> იქვე, 198—199.



ნიტი, გაიგო, რომ რუსთა და ბერძენთა გაერთიანებული ძალების საშუალებით იმპერატორმა დაამარცხა ფოკას ლაშქარი ხრისოპოლთან, ხელთ იგდო ზღვის სანაპირო ოლქები და ფოკას განკარგულებაში მყოფი ყველა ხომალდი<sup>1</sup>. ამ ცნობის მიღებისა და დავალების შესრულების შემდეგ დავით კურაპალატის მიერ გავზავნილი ლაშქრის სარდალი და ბაგრატის ორი შვილი, რომელთა სახელებს დაჰა ანტიოქელი არ გადმოგვცემს, თავიანთი მხედრობით, უკან, დავით კურაპალატთან დაბრუნდნენ<sup>1</sup>. ფოკას დამარცხება სამწუხარო მოვლენა იყო იმიერ-ტაოს ხელისუფლებისათვის. დაჰა ანტიოქელის ცნობით, დავითის სარდალსა და ბაგრატის ორ შვილს, როდესაც ისინი ბრძოლიდან დაბრუნდნენ, რატომღაც თავის მართლება დასჭირდათ დავითთან და „თავი იმართლეს მასთან იმით, რომ იმათმა შეასრულეს ის, რასაც მათგან (დავითი) მოითხოვდა, ე. ი. დაამარცხეს ტარონიტი“<sup>2</sup>. ამ ცნობიდან გამოდის, რომ აჯანყების დამარცხების მიზეზებს თითქო თავის სარდლისა და ბაგრატის შვილების გულგრილობაშიაც ხედავს დავითი.

ბარდა ფოკას დამარცხების შემდეგ, ბუნებრივია, საიმპერიო ხელისუფლებას ფოკას მოკავშირეების წინააღმდეგ უნდა დაეწყო შეტევა. იგივე ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ „ბასილ კეისარი განრისხებული იყო ქართველთა მეფე დავითზე და ალ-ხალიდიატის მფლობელის ორ შვილზე, იმიტომ, რომ ისინი ფოკას დაეხმარნენ. ერთ-ერთი პატრიკის, სახელად ყაჯ-რუსოს, მეთაურობით ჯარი გაგზავნა მათ წინააღმდეგ საბრძოლველად. მან (ყაჯ-რუსოს, — ვ. კ.) ბრძოლა გაუმართა ბაგრატის შვილებს, რომელთაგან უფროსი მოკლა, ხოლო უმცროსი გააძევა“<sup>3</sup>.

ბაგრატის შვილების დამარცხების შემდეგ, ბარდა ფოკას დამხმარისა და მოკავშირის, იმიერ-ტაოს წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი დადგა საიმპერიო ხელისუფლების დღის წესრიგში. დავით კურაპალატისა და მისი თანამოაზრეებისათვის უკვე გასაგები უნდა ყოფილიყო, რომ აჯანყება დამარცხდა და იმიერ-ტაოს ხელისუფლების იმედიც არ გამართლდა. ამიტომ საჭირო იყო მას მდგომარეობიდან გამოსვლისათვის ეზრუნა. მართალია, ტაო-კლარჯეთი და კერძოდ იმიერ-ტაო ძლიერი პოლიტიკური ერთეული იყო, მაგრამ ის სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მტრული პოლიტიკური ერთეულებით იყო გარემოცული.

ჩანს თავისი ქვეყნის, საქართველოს სამეფო სამთავროების დახმარების იმედიც არ ჰქონდა ამ დროს დავით კურაპალატს. ბაგრატ III, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ დასავლეთ საქართველოსა და ქართლს დაუფლებოდა, ძლიერ წინააღმდეგობას აწყდებოდა თვითნება ფეოდალების დამორჩილებისათვის ბრძოლაში. გავიხსენოთ, რომ 988 წელს კლდეკარის ერისთავთ-ერისთავმა რატი ბაღვაშიმა, დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზნით, ბაგრატ მესამეს დავით კურაპალატი, შვილობილს ბამობილი, აუმხედრა და ისინი

<sup>1</sup> В. Розен, 24.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე, 27.



ერთიმეორის წინააღმდეგ ბრძოლაში კინალამ ჩააბა. სწორედ იმ დროს მოუხდა დავით კურაპალატს მოკავშირეების მოწვევა და ბაგრატიისა და მისი მამის, გურგენის წინააღმდეგ სალაშქროდ მომზადება, როდესაც ბარდა ფოკა მას აჯანყებულთა მხარეზე მონაწილეობის მიღებას სთავაზობდა.

არც სომხეთის სამეფო-სამთავროებს შორის იყო იმდროს ნორმალური ურთიერთობა. სუმბატ მეორემ (977—989) მეფობის უკანასკნელ წლებში ბრძოლა, აუტეხა თავის ძმას, ყარსის მმართველს მუშეგს და ციხე შატკი წაართვა. თუმცა, დავით კურაპალატისა და ქართველთა ლაშქრის ამ კონფლიქტში ჩარევის წყალობით, მუშეგს ციხე დაუბრუნდა და სუმბატის სამფლობელოსაც ზიანი არ მიჰყენებია<sup>1</sup>, მაგრამ სომეხ ბაგრატუნთან სამეფოს მომავალი ბედისათვის ამ ბრძოლას მძიმე შედეგი მოჰყვა<sup>2</sup>.

სომხები და ქართველები ტრადიციულად ყოველთვის ერთად გამოდიოდნენ საგარეო მტრის წინააღმდეგ. მაგრამ ფეოდალური შუღლი და მტრობა ხშირად თავისას აკეთებდა და ამ ორი მოძმე ხალხის ძალთა გაერთიანებას ხელს უშლიდა.

მართალი არის ვ. არაქელიანი, რომელიც თუმცა მოგვიანო ამბავს, 1001 წელს ბიზანტიის მიერ იმიერ-ტაოს მიტაცების საკითხს ეხება და აღნიშნავს, რომ ეს ფაქტი: „Можно объяснить слабостью грузинских и армянских Багратидов, внутренними феодальными раздорами как среди армянских, так и среди грузинских феодалов, каждый из которых отдельности боролся против политики централизации Багратидов“<sup>3</sup>.

ასეთ ვითარებაში მყოფს იმიერ-ტაოს ხელისუფლებას არ შეეძლო ბრძოლა გაემართა ბარდა ფოკას დამარცხების შემდეგ მოძლიერებულ ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლების წინააღმდეგ და, როდესაც უკანასკნელმა ქართველთა წინააღმდეგ გამოლაშქრება გადაწყვიტა, დაჰმა ანტიოქელის გადმოცემით, „ქართველთა მეფე დავითმა დანაშაულის პატიება და შენდობა სთხოვა ბასილ კეისარს, შეპირდა მას მორჩილებას და აღუთქვა, რომ მისი (დავითის.—ვ. კ.) გარდაცვალების შემდეგ, რადგანაც მას არ ჰყავს შვილი და არც სხვა ვინმე მემკვიდრე, და თვითონაც ძალზე მოხუცია, მისი სამფლობელო შეუერთდება მის (ბასილის,—ვ. კ.) სახელმწიფოს. ამასთანავე, სთხოვა იმპერატორს, რომ ნება მისცეს მას (დავითს,—ვ. კ.) გაგზავნოს იმპერატორის კარზე თავისი დიდებულები, რათა კეისარს შესაძლებლობა ექნეს წინასწარ მიიღოს მათგან ფიცი იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათი ხელმწიფის, დავითის გარდაცვალების შემდეგ ისინი ქალაქს (ალბათ იმიერ-ტაოს მმართველის რეზიდენცია ოლთისი იგულისხმება—ვ. კ.) კეისარს გადასცემენ“<sup>4</sup>.

წყაროებში ბუნდოვნად არის საკითხი წარმოდგენილი იმის შესახებ, რომ გარდა ზემოთ დასახელებული 1000 მხედრისა, რომელიც დავითმა ტარო-

<sup>1</sup> Всеобщая история Степаноса Таронского, стр. 194.

<sup>2</sup> История армянского народа, I, 1914, стр. 142.

<sup>3</sup> Г. Г. Аракелян, История Киликийского армянского государства, 1932, ст. 55.

<sup>4</sup> В. Розен, стр. 27.



ნიტის წინააღმდეგ გაგზავნა, მოქმედებდნენ თუ არა კიდეც იმიერ-ტაოს ძალები სადმე სხვა რაიონებში იმპერატორის ხელისუფლების წინააღმდეგ. ბარდა ფოკას დამარცხების ამბების მოთხრობის შემდეგ, განაგრძობს რა 988—990 წლების ამბებს, სტეფანოზ ტარონელი (ასოლიკი), გადმოგვცემს, რომ „იმ პირთა რიცხვიდან, რომლებიც ბარდა ფოკასთან ერთად განდგნენ, კიდეც დარჩა ზოგიერთი, როგორც მაგ. ბერი თორნიკეს ძმისწული მაგისტრი ჩორჩანელი<sup>1</sup>, რომლის ძალები დერჯანიისა და ტარონის მხარეებში იყვნენ მოფენილნი. ბასილ კეისარმა მის წინააღმდეგ პატრიკი ყანი, იგივე პორტეზი გაგზავნა, რომელმაც ორჯერ გაუმართა ბრძოლა ჩორჩანელს და უკანასკნელ ბრძოლაში, რომელიც დერჯანიის მხარეში ბაგარანდის წინდობაზე 990 წელს მოხდა, ჩორჩანელი მოკლულ იქნა<sup>2</sup> და მისი ლაშქარიც დამარცხდა.

წყაროები არაფერს გადმოგვცემენ აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულებაში იყო მაგისტრი ჩორჩანელი იმიერ-ტაოს ხელისუფლებასთან. ან ვისგან შედგებოდა ის სამხედრო ძალა, რომლითაც ჩორჩანელი ბარდა ფოკას მხარეზე, კეისრის წინააღმდეგ იბრძოდა. ან როდის ჩაება ის აჯანყებულთა მხარეზე საიმპერიო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში? სტეფანოზ ტარონელი (ასოლიკი) გადმოგვცემს, რომ 988 წელს ეგვიპტის ამირას ახახას შვილი დიდი ლაშქრით ბიზანტიელთა მიწა-წყლის მოსარბევად გამოეშურა და ანტიოქიის მიდამოებს დაესხა თავს. კეისრის განკარგულებით მის წინააღმდეგ დალასანოს მაგისტრი გაიგზავნა, პირველად თითქო ბერძნებმა გაიმარჯვეს, მაგრამ შემდეგ ძარცვა-გლეჯაში გართულთ მტერი ისევ თავს დაესხა, დამარცხა ბერძნების ლაშქარი და მაგისტრი დალასანოსიც ძმითა და შვილით ბრძოლაში დაიღუპა. მეგრძოლთა ნაწილმა გაქცევით თავს უშველა, ხოლო დიდი ნაწილი ლაშქრისა, ბერი თორნიკის ძმის შვილთან, მაგისტრ ჩორჩანელთან ერთად ტყვედ წაიყვანესო<sup>3</sup>.

ამ ცნობის თანახმად, ჩორჩანელი მცირე აზიის აღმოსავლეთი ნაწილის ერთ-ერთი რაიონის მმართველი და იმპერატორის მოხელე უნდა იყოს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ის, ალბათ, 988 წლის პირველ ნახევარში ჯერ კიდეც კეისრის ერთგულია და, როგორც ჩანს, გვიან, ტყვეობიდან განთავისუფლებისა და დაბრუნების შემდეგ ჩაება აჯანყებულთა მხარეზე ბრძოლაში.

ამრიგად, გარდა იმ ლაშქრისა, რომელიც ტარონიტის წინააღმდეგ გაგზავნა იმიერ-ტაოს ხელისუფლებამ, ჩვენ ჯერჯერობით ვერ მოვნახეთ ფაქტი, რომ ქართველთა ლაშქარი ფოკას ბანაკში იყო, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ფოკასა და სკლიაროსის შეთანხმების დროს აჯანყებულთა ბანაკში უნდა მოქცეულიყო იბერიის ლაშქარი, მაგრამ, როგორც აღნიშნული იყო, ეს ბანაკი მალე დატოვა მან.

ნათქვამი იყო, რომ იმიერ-ტაოს ხელისუფლება, კერძოდ დავით კურაპალატი, იძულებული გახდა თავის სამფლობელო ანდერძით კეისრისათვის

<sup>1</sup> თ. ყორღანიას აზრით, ეს ჩორჩანელი იოანე თორნიკეს შვილი უნდა იყოს და არა ძმის შვილი (ქრონიკები, I, 1893, გვ. 109).

<sup>2</sup> Всеобщая история, стр. 180.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 191.



გადაეცა. ეს ფაქტი არაერთხელ აღუნიშნავთ საქართველოს ისტორიის მკვლევარებს და მათ შორის აწ განსვენებულ მეცნიერებს ივანე ჯავახიშვილსა და სიმონ ჯანაშიას. ყველა მკვლევარისათვის, ვისაც ეს ფაქტი აღუნიშნავს, ძირითად წყაროს დაჰა ანტიოქელის ზემოთ ნაჩვენები ცნობა წარმოადგენს. მაგრამ ეს ცნობა ყველას ერთნაირად როდი ესმის. ივ. ჯავახიშვილი წერდა, რომ როდესაც იმპერატორმა დავითის დასჯა განიძრახა, უკანასკნელმა „კეისარს შენდობა სთხოვა და თავი მხოლოდ იმით იხსნა, რაკი კულავ მორჩილება აღუთქვა და დაჰპირდა, რომ მისი სიკვდილის შემდგომ მთელ თავის სამფლობელოს, ვითარცა უძეო და უმკვიდრო, ბიზანტიის კეისარს უანდერძებდა“<sup>1</sup>. მკვლევარი აქ დაჰა ანტიოქელის ცნობას იმეორებს, მაგრამ უმატებს სიტყვა „მთელს“. ე. ი. ის ფიქრობს, რომ დავითმა მთელი თავისი სამფლობელო აღუთქვა იმპერატორს. აკად. ს. ჯანაშია, იმოწმებს რა დაჰა ანტიოქელის ცნობას, აღნიშნავს, რომ ბარდა ფოკას დამარცხების შემდეგ „დავითი იძულებული გახდა, თავის სიკვდილის შემდეგ, თავის სამფლობელოს იმპერატორს შეჰპირებოდა“<sup>2</sup>. როგორც ვხედავთ მკვლევარი აქ დაჰა ანტიოქელის ცნობას უფრო ზუსტად გადმოგვცემს და სიტყვა „მთელს“ ის არ უმატებს, არ ცნობს საჭიროდ მის დამატებას, და შემდეგ განაგრძობს: „არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ დავითის ამ იძულებით „საანდერძეში“, ლაპარაკი იყო ამას წინად ბიზანტიისაგან მიღებულ ოლქებზე“<sup>3</sup>. ე. ი. იმ მიწა-წყალზე, რომელიც 979 წელს მიიღო იმიერ-ტაომ.

ზემოთ აღნიშნულ ორ მოსაზრებიდან ჩვენ აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას ვეთანხმებით. დავით კურაპალატმა ბიზანტიის იმპერატორის ხელისუფლების წინაშე დიდი დანაშაული ჩაიდინა, იმ დროს, როდესაც ამ ხელისუფლების ყოფნა-არყოფნის, დაღუპვა-გადარჩენის საკითხი წყდებოდა, კეისარის მტერს მიეშველა და ბასილის ხელისუფლება დასამხოზად გასწირა. ასეთი მძიმე დანაშაულისათვის, გამარჯვებული ბასილის ხელისუფლება დავითისაგან უსათუოდ დიდ დათმობას მოითხოვდა და 979 წელს დავითის მიერ მიღებულ ოლქების ანდერძით გადაცემით ის არ დაჰკამყოფილდებოდა. ეს ოლქები, წინანდელი პირობის თანახმად, დავითის სიკვდილის შემდეგ მაინც ბიზანტიას უნდა დაბრუნებოდა: „მისცეს მეფეთა ზემონი ქუეყანანი საბერძნეთისანი კურაპალატსა, რაჲთა თავისა სიცოცხლესა ჰქონდინ“. ე. ი. თუ ამ მიწა-წყლის შეპირებით დაჰკამყოფილდებოდა კეისარი, ის ფაქტიურად დაუსჯელად დატოვებდა მოჯანყე ბარდა ფოკას დამხმარესა და მოკავშირეს დავით ბაგრატიონს.

სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს ისტორიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1955. VI. 20)

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, 1948. გვ. 126.

<sup>2</sup> Об одном примере искажения исторической правды. По поводу книги Н. Токарского „Архитектура древней Армении“, 1947, стр. 29.

<sup>3</sup> იქვე



В. У. Копалиани

## Из истории грузино-византийских отношений

(Тао-Кларджети и Византия в 970—980 гг.)

### Резюме

Политический союз между владельцами Тао-Кларджети Багратионами и Византией на рубеже VIII—IX веков был обусловлен их общими интересами в борьбе против арабов. Взаимоотношения между ними остались без изменения до тех пор, пока существовали обуславливающие их причины.

Во второй половине X века территория Тао-Кларджетских Багратионов состояла из трех „отдельных, внутренне самостоятельных и слабо между собой связанных“ владений. Владетели этих единиц Багратионы формально считались вассалами Византии, и многие из них носили византийские придворные титулы, а один из них постоянно носил звание куропалата. Этот последний с точки зрения имперской власти должен был быть старшим над остальными Багратионами и защитником интересов Византии. Но фактически куропалаты не считали себя обязанными выполнять распоряжения императора так же, как и власть куропалата не имела силы в отношении других Багратионов.

Взаимная помощь между Византией и владельцами Тао-Кларджети Багратионами, а также между носителем титула куропалата с другими Багратионами определялась больше их общими интересами, чем правовым положением Византии или куропалата.

Опасность со стороны арабов диктовала Тао-Кларджетским Багратионам и Византии взаимное понимание и необходимость считаться друг с другом. Поэтому почти во всех сражениях византийцев на восточном фронте на стороне последних принимала участие и Тао-Кларджети.

Во время продолжительных войн Византии против арабов, в которых участвовала и Тао-Кларджети, последняя расширила свою территорию, а в середине X века границы между империей и владениями Тао-Кларджетских Багратионов были установлены по реке Араксу. Иногда Багратионы предъявляли претензии и на территории южнее р. Аракса.

Одновременно с ослаблением халифата Византия усиливалась и, насколько этот процес становился очевидным, восточные соседи в глазах Византии теряли для нее значение союзников. Но созданное внутри империи положение: стремление военно-феодалной аристократии к



высшей власти и борьба македонской династии против этого явления не давали пока возможности имперской власти открыто выявить враждебное отношение к соседям.

Известно, что в 976—979 годах мало-азиатская военно-феодалная аристократия вела борьбу для представления имперской власти своему представителю. Эту борьбу возглавлял искатель престола Варда Склир. Владения последнего и некоторых его союзников, а также переданные ему когда-то имперской властью для управления районы граничили с территорией правителя Южного-Тао Давида куропалата и, очевидно, между ними имелось много спорного.

С усилением враждебно расположенного соседа, тем более возвращению его на императорский престол, правитель Южного-Тао не мог примириться и потому выступил на стороне македонской династии против восставшего Склира. Вмешательство грузинского войска вызвало поражение Склира, и побежденный главарь восстания бежал в Багдад, а правитель Южного-Тао получил в качестве компенсации обширную территорию.

Эта территория имела огромное экономическое и политическое значение для Южного-Тао. Однако, та же территория большое значение имела и для самой Византии. По этой причине имперская власть передала эту территорию Давиду куропалату лишь на время его жизни.

После продолжительных войн император Василий II в 986 году потерпел большое поражение в сражениях с болгарами. Этим обстоятельством воспользовался Барда Склир, который вернулся из Багдада и возобновил войну в Малой Азии. К Склиру немедленно пришли на помощь некоторые владетели тех ройонов, за счет которых имперская власть передала обширную территорию Давиду Багратиони за помощь в 979 году. Это обстоятельство вынудило правителя Южного-Тао снова выступить на стороне македонской династии.

Направленный императором против восставших представитель мало-азиатской крупной военно-феодалной аристократии Варда Фока также оказался в лагере восставших. Но вскоре он, рассорившись с Склиром, добился победы над ним и в 987 году сам начал наступление против имперских властей.

Если у правителя Южного-Тао было много спорного с Склиром и его союзниками и это обстоятельство делало его сторонником Византийского правительства, то с новым главарем восстания Фокой он мог легко найти общий язык. Барда Фока в случае воцарения обещал правителю Южного-Тао больше того, чем тот получил от Василия II-го в 979 году.

Это обстоятельство, а также то, что успехи восставших явно предвещали поражение имперской власти, давало основание владетелю



Южного-Тао перейти на сторону восставшего Фок а. Но надежды Давида Багратиони и его единомышленников не оправдались: македонскую династию, находящуюся на краю гибели, спасло русское войско. Восстание потерпело поражение. Правитель Южного-Тао Давид куропалат отразил разорительную войну с Византией только тем, что он завещал свои владения императору Василию.

Неправильно положение, высказаное в грузинской исторической литературе, будто Давид куропалат обещал императору только ту территорию, которую он получил за участие в борьбе против Варда Склира в 979 году. Правитель Южного-Тао Давид Багратиони в 989 году вынужден был завещать все свои владения императору Василию-



### 3. მაჭარაძე

## რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან

(XVIII საუკ. 60—70-იანი წლები)

XVIII საუკუნეში თურქი და ირანელი აგრესორებით გარშემორტყმულ, სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებულ საქართველოს, რომლის მოსახლეობა გარეშე მტრების თავდასხმების წყალობით კატასტროფიულად შემცირდა<sup>1</sup> და ეკონომიკა მოიშალა, საკუთარი ძალებით თავდაცვის გაგრძელება თითქმის აღარ შეეძლო. საქართველოს მოწინავე პოლიტიკოსები რუსეთთან კავშირით ცდილობდნენ მტრული გარემოცვის გარღვევას, ქართველი ხალხის ფიზიკური არსებობისა და ქართული კულტურის ხსნას. რუსეთ-საქართველოს შემდგომი დაახლოება მით უფრო მყარ ნიადაგზე დგებოდა, რაც ერთმორწმუნე რუსეთი საქართველოს საზღვრებს უახლოვდებოდა, ხოლო შავისა და კასპიის ზღვის აუზებში ბატონობის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში აქტუალური ხდებოდა. ამიტომ არის, რომ XVIII საუკუნეში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა არაერთხელ სამხედრო კავშირის ცდისა თუ ასეთი კავშირის განხორციელებაში გამოიხატა. XVIII საუკუნის ოციან წლებში წარუმატებელი ცდის შენდევ რუსეთ-საქართველოს სამხედრო კავშირი ფაქტიურად 1768-74 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს განხორციელდა.

რუსეთ-თურქეთის 1768-74 წლების ომსა და რუსეთ-საქართველოს სამხედრო კავშირს უშედეგოდ არ ჩაუვლია: ჯერ-ერთი, რუსეთმა გასტეხა თურქეთის ძლიერება, საბოლოოდ დამკვიდრდა შავი ზღვის ჩრდ. ნაწილში და მოაპოვა შავ ზღვაზე თავისუფალი ნაოსნობის უფლება, რითაც უზრუნველყო ქვეყნის უშიშროება და ნორმალური ეკონომიური განვითარება, ხოლო ომში დამარცხებული თურქეთი გადაიქცა მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ, რომელმაც ამიერიდან შესაძლებლობა დაჰკარგა შავი ზღვის ჩრდ. ნაწილში ბატონობისათვის რუსეთის სერიოზულ მეტოქედ გამოსულიყო; მეორე, ქართველი ხალხის გმირული ბრძოლითა და რუსეთის სამხედრო და დიპლომატიური დახმარებით თურქები განდევნილ იქნა იმერეთის ციხეებიდან; ომში დამარ-

<sup>1</sup> XIII საუკ. მეორე ნახევარში საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 5 მილიონი იყო, ხოლო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში 1/2 მილიონზე ნაკლები.



ცხებულმა თურქეთმა ხელი აიღო იმერეთის ხარკზე, ხოლო ომის მძიმე შედეგების წყალობით თურქებმა ვერ შეძლეს იმერეთის სამეფოზე თავიანთი ბატონობის აღდგენა. რუსეთ-საქართველოს სამხედრო კავშირმა ხელი შეუწყო რუსი და ქართველი ხალხის შემდგომ დაახლოებას.

ამ შედეგების გათვალისწინება 1768-74 წლების ომში რუსეთ-საქართველოს სამხედრო კავშირის ისტორიას სერიოზული მეცნიერული ყურადღების საგნად ხდის, მაგრამ იგი, ჯერჯერობით, სათანადოდ შესწავლილი არ არის. საკითხის ისტორიის შესწავლა მით უფრო გადაუდებელ საქმედ გვეჩვენება, რადგანაც, შედეგებთან ერთად, ხსენებულ სამხედრო კავშირს ცალკეული ჩრდილოვანი მომენტებიც ახლავს (გენ. ტოტლებენის მიერ აწყურთან ბრძოლის ველზე ქართველების მიტოვება, ტოტლებენის ავანტურისტული ნაბიჯები და სხვ.), რომლებიც ისტორიოგრაფიაში მრავალი გაუგებრობისა და აზრთა სხვადასხვაობის წყარო გახდა.

ბუნებრივია, ერთ სტატიეში ამ რთული საკითხის ისტორიის მთლიანად გაშუქება და ლიტერატურის მიმოხილვა შეუძლებელია. მაგრამ მაინც უნდა შევნიშნოთ, რომ რუსულ თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში (ბუტკოვი, პოტო, სოლოვიოვი, ლინდა და სხვ.) მიფუჩეჩებულთ „ასპინძა“<sup>1</sup>, აწყურიდან ტოტლებენის დაბრუნება ქართველების უმოქმედებით არის ახსნილი, ხოლო ტოტლებენის ავანტურისტული ნაბიჯები შეთქმულ რუს ოფიცერთაგან თავდაცვის ღონისძიებებად არის გასაღებული. ქართულ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ისტორიოგრაფიაში დაგმობილია პროგრესული ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები (სოლომონ I და ერეკლე II) წინდაუხედავად გადადგმული ნაბიჯებისათვის — რუსეთთან სამხედრო კავშირის შეკვრისათვის, ხოლო რუსეთ-თურქეთის ომის შედეგები საქართველოსათვის უგულვებელყოფილია.

ასე, მაგალითად, ზ. ავალოვი (ავალიშვილი) წერდა:

„... Катастрофа Вахтанга не послужила грузинам уроком. Остальную часть XVIII века, они продолжали возвращаться в том же кругу идей, и воззрения их на Россию не изменились. Интересы и культура оставались те же и политика поражает неизменностью своих исходных точек и ошибок“<sup>2</sup>. ავალოვი ქვემოთ განაგრძობს: „Являясь по отношению к персиянам и туркам нередко ловкими, вероломными политиками восточной школы, в свое отношение к России они (ქართველები.—ვ. მ.), повторяем, вносили всю наивность и непосредственность средних веков, из пеленок которых никогда не вышли“<sup>3</sup>. ბოლოს, ავალოვი დაასკვნის: „Они (სოლომონ I და ერეკლე

<sup>1</sup> კ. ლინდას სტატიებისათვის — „Поход русских войск в Грузию в 1769—1771 годах“, რომელიც ჩვენთვის საინტერესო საკითხზე სპეციალურ მოზრდილ ნარკვევს წარმოადგენს, დამანასიათებელია: უხეში ფაქტური შეცდომები, ცნობილი დოკუმენტების თვითნებური შერჩევით ისტორიული სინამდვილის გაყალბება, ტენდენციურობა ანტიქართული შოვინიზმის პოზიციებიდან (შდრ.: ჟურ. „Военный Сборник“, 1901, №№ 9, 10, 12).

<sup>2</sup> З. Авалов, Присоединение Грузии к России, Изд. 2-ое, СПб, 1906, стр. 77.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 78—79.



II.—გ. მ.) რისკული, как рискнул в свое время Вахтанг—и опять проиграли ставку“<sup>1</sup>. ომის შედეგებს ავალოვი ასე აფასებდა: „Трактат ни иоты не представляет к тому, чего Соломон уже достиг; хуже того, Россия призывает status quo ante, именно тот порядок вещей, с которым Соломон желал порвать...“<sup>2</sup>.

ისტორიული სინამდვილის გაყალბების გარდა, ავალოვი თავისი თვალსაზრისით ამცირებს ქართველი ხალხის გმირულ წარსულს მისი დიდი მეთაურების, ეროვნული გმირების, გაბიაბრუებითა და აბუჩად აგდებით. მეორე მხრივ, ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა რუსული ორიენტაციის დაგმობითა და რუსეთთან კავშირის შედეგების უგულვებელყოფით იგი ხელს უწყობდა რუსეთისადმი უნდობლობის დათესვას.

აკად. ი. ჯავახიშვილი რუსეთ-თურქეთის ომში საქართველოს მონაწილეობას აფასებდა, როგორც ქართველი პოლიტიკოსების მიერ წინდაუხედავად გადადგმულ ნაბიჯს და ქართველ სახელმწიფო მოღვაწეებს „რუსეთის მთავრობის დაგებულ ქსელში“ გაბმულად წარმოგვიდგენდა<sup>3</sup>, რაზედაც სამართლიანი საყვედური გამოთქმული აქვს შ. ბურჯანაძეს<sup>4</sup>.

სამწუხაროდ, ეს ორი ტენდენცია ისტორიოგრაფიაში დაძლეული არ არის და არც მისი არსებითი კრიტიკით არაფერს გამოსულა. კიდევ მეტი, გამოქვეყნებული წყაროების სიმცირის გამო ზოგ ავტორს ისეთი აზრიც ებადება, თითქოსდა ტოტლებენის ავანტურას რუსეთის სამეფო კარი ასულდგმულებდა, რაც სინამდვილეს არ შეეფერება.

წინამდებარე შრომაში მიზნად დავისახეთ ახლად მიკვლეული მასალების საფუძველზე რუსეთ-საქართველოს სამხედრო კავშირის ისტორიის ზოგიერთი საკითხის გაშუქება.

## I

1768 წლის ზაფხულში რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა უაღრესად დაიძაბა. საფრანგეთის ინტრიგებით წაქეზებულმა და ევროპის ქვეყნების დახმარებით დაიმედებულმა თურქეთმა, 1768 წლის 25 სექტემბერს, მიუღებელი ულტიმატუმის წაყენების შემდეგ, რუსი ელჩი კონსტანტინეპოლში ალ. ობრეზკოვი საელჩოს 11 წევრთან ერთად დააპატიმრა, რითაც ფაქტიურად ომი გამოუცხადა რუსეთს. პანინისა<sup>5</sup> და ობრეზკოვის ყველა ცდა, თავიდან აეცდინათ ომი, ამაო გამოდგა.

თურქეთის მთავრობა ვარაუდობდა, რომ პოლონეთის საქმეებში გახლართულ რუსეთს ადვილად დაამარცხებდა და უკრაინასა და კავკასიას

<sup>1</sup> Авалов, Присоединение Грузии к России, Изд. 2-ое, СПб, 1906, стр. 102.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 110—111.

<sup>3</sup> ი. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-18 საუკუნეში, თბილისი, 1919, გვ. 6.

<sup>4</sup> შ. ბურჯანაძე, სოლომონ I-ის ურთიერთობა რუსეთთან: საქ. მეცნ. აკადემიის აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XV, 1948, გვ. 49—50.

<sup>5</sup> რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის მეთაური.



მიიტაცებდა, ხოლო ომში დამარცხებულ რუსეთს მის სამართლიან საუკუნეებრივ მისწრაფებაზე—შავ ზღვაზე გასასვლელზე—საბოლოოდ ხელს ააღებინებდა. თურქების ასეთ ვარაუდს ისიც ამბავრებდა, რომ ამ დროს საფრანგეთი რუსეთზე კოალიციური თავდასხმის ორგანიზატორის როლს კისრულობდა და რუსეთის მეზობელი ქვეყნები ჯაშუშთა ქსელით მოჰქონა, ხოლო რუსეთის წინააღმდეგ ინტრიგებს მილიონობით სახსრებს ახმარდა; რუსეთს პოლონელ კონფედერატებთან ბრძოლა ჯერ ვერ დაემთავრებინა, რაც რუსის ჯარის გარკვეულ კონტიგენტს აბანდებდა; ავსტრია და რუსეთის მოკავშირე პრუსიაც კი ფარულად საფრანგეთის დიპლომატიის ხელშემწყობად გამოდიოდნენ და, ცხადია, თურქების თვალში მათი შეგობრები იყვნენ; შვეციაში ნიშტადტის ზავის დროიდან რევანმისტული მისწრაფებანი არ ცხრებოდა.

რუსეთი მაშინ რთულ საერთაშორისო სიტუაციაში აღმოჩნდა, მაგრამ თურქ პოლიტიკოსებს ავიწყდებოდათ, რომ რუსეთი იმ დროს უძლიერესი სახელმწიფო იყო და რომ ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობანი ამ უკანასკნელის ძალას ანეიტრალებდა<sup>1</sup>; მეორე მხრივ კი თურქეთში შინაგანი წინააღმდეგობანი მთავრი იყო. ბოლოს, თურქეთის მთავრობა საკმაოდ ვერ ანგარიშობდა, რომ თურქეთის უღელქვემ მყოფი ბალკანეთისა და კავკასიის ქრისტიანი ხალხები, რომელთაც თურქი ასიმილატორები საუკუნეების მანძილზე „ფლეთდნენ და ასახიჩრებდნენ“<sup>2</sup>, რუსეთში ხედავდნენ „своего естественного защитника и освободителя“<sup>3</sup> და, ცხადია, რუსეთის მხარეზე დადგომით ომის მსვლელობაში გარკვეულ როლს შეასრულებდნენ.

რაკი თურქეთთან ომი გარდუვალი გახდა, რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა აქტიური შეტევით არა მარტო უკუეგდო თურქი აგრესორები, ამასთან გადაეჭრა რუსეთის საგარეო პოლიტიკაში საკმაოდ მომწიფებული საკითხიც, სახელდობრ, სახელმწიფო საზღვრის შავი ზღვის სანაპიროებამდე გადაწევითა და შავ ზღვაზე თავისუფალი ნაოსნობის უფლების მოპოვებით უზრუნველყო ქვეყნის უშიშროება და ნორმალური ეკონომიური განვითარება.

თურქეთთან ომის საკითხზე საგანგებოდ მოწვეულ სახელმწიფო საბჭოს პირველ სხდომაზე, 1768 წლის 4 ნოემბერს, ეკატერინე II აცხადებდა, რომ თურქეთის საქციელის წყალობით პორტასთან ომი გარდუვალი გახდა და საჭიროა საბჭომ საომარი მოქმედების გეგმა შეიმუშაოს<sup>4</sup>. ჯარების დისლოკაციის გეგმისა და სამხედრო ხასიათის სხვა გადაწყვეტილებათა მიღების შემდეგ, გრ. ორლოვმა, საბჭოს<sup>5</sup> პირველსავე სხდომაზე, დასვა საკითხი ხმელ-

<sup>1</sup> თუმცა მაშინ ინგლისი რუსეთის მოკავშირე არ შეიძლებოდა გამხდარიყო, არც რუსეთის წარმატებანი იყო ინგლისისათვის სასურველი, მაგრამ საფრანგეთის რევანმისტული მისწრაფებები და მისი გაბატონებული მდგომარეობა აღმოსავლეთში ინგლისის ინტერესებს რეალურ საფრთხეს უქმნიდა, ამიტომ ინგლისის კაბინეტი, აკად. ე. ტარლეს სამართლიანი შენიშვნისა არ იყოს, „ორი ბოროტებისაგან უმცირესს ირჩევდა“.

<sup>2</sup> ი. სტალინი, თხ., ტ. 11, გვ. 384—385.

<sup>3</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., IX, стр. 393 (ხაზი მარქსს ეკუთვნის).

<sup>4</sup> Архив Государственного Совета, т. I, СПб, 1869, стр. 1.

<sup>5</sup> მისი უდიდებულესობის კარის საბჭოს.



თაშუა ზღვაში ესკადრის გაგზავნისა და იქედან მტერზე თავდასხმის მოწყობის შესახებ<sup>1</sup>.

გრ. ორლოვის წინადადება გვაფიქრებინებს, რომ რუსი სახელმწიფო მოღვაწე იმთავითვე გულისხმობდა ბალკანეთის ხალხების თურქების წინააღმდეგ ომში ამხედრებას, რადგან მაშინ რუსეთის ფლოტი არც ისე ძლიერი იყო, რომ ასე შორეული ექსპედიცია მთავრობას მიზანშეწონილად მიეჩნია მხოლოდ ამ ფლოტზე დაყრდნობით.

გრ. ორლოვის წინადადება 1768 წლის 12 ნოემბერს სახელმწიფო საბჭოს სპეციალური მსჯელობის საგანი გახდა და გადაწყდა: „...отправить как в Морею, к Долматам, в Грузию, так и ко всем народам в турецкой области живущим нашего закона, для разглашения, что Россия принуждена вести с Турками войну за закон...“<sup>2</sup>

რა თქმა უნდა, „გასახმაურებლად გაგზავნა“ ან „გახმაურება“ გულისხმობდა ბალკანეთისა და კავკასიის ხალხებისადმი მოწოდების გაგზავნას—გამოსულიყვნენ თურქეთის წინააღმდეგ. მაგრამ აქ ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ რუსეთის მთავრობა, თურქეთთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის პირველი დღეებიდანვე საქართველოს (ბალკანეთის ქვეყნებთან ერთად) თავის შესაძლო მოკავშირედ მიიჩნევს. XVII საუკ. ბოლოდან მოყოლებული, რუსი სახელმწიფო მოღვაწეებისათვის ცხადი იყო, რომ იმ ამოცანების გადასაჭრელად, რომელსაც რუსეთი თურქეთთან ომში ისახავდა, მოკავშირედ ევროპის არც ერთი ქვეყანა არ გამოდგებოდა (ეს ნათელი იყო ინგლის-ჰოლანდიის პოზიციით 1698 წლიდან, საფრანგეთის პოზიციით XVIII საუკუნის 20-იანი წლებიდან, ავსტრიის პოზიციით თურქეთთან წარმოებულ ერთობლივ ბრძოლებში და სხვ.), ასე რომ, რუსეთის არჩევანი ერთადერთი და სწორი იყო.

1768 წლის ნოემბერში თურქეთის წინააღმდეგ ომში საქართველოს მიმხრობის საკითხი რუსეთის მთავრობის სპეციალური ზრუნვის საგანია, როგორც ეს პროფ. ცაგარელის მიერ გამოქვეყნებული ერთი საბუთის სათაურიდანაც—„Рассуждение о способах, какими грузинцы преклонены быть могут к восприятию участия в настоящей с Портою Отоманскою войне“<sup>3</sup>—ჩანს. ხსენებული საბუთის შინაარსიდან კი ირკვევა, რომ საქართველოს მდგომარეობა რუსეთში იმ დროს დაახლოებით სწორად სცოდნიათ, მიუხედავად იმისა, რომ უახლესი ცნობები არ ჰქონიათ. საქართველოს სამეფოების მიმხრობის საკითხზე რუსეთში ასე ვარაუდობენ: სოლომონ I-ის მიმხრობა თურქეთთან ომში, რადგან იმერეთი თურქეთის წინააღმდეგ მებრძოლი ვასალია, საეჭვოდ არ მიაჩნიათ; რაც შეეხება ქართლ-კახეთს, მას აწუხებენ მხოლოდ

<sup>1</sup> Архив Государственного Совета, т. I, СПб, 1869, стр. 4—5.

<sup>2</sup> იქვე. 10.

<sup>3</sup> იხ. Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. I, стр. 1—9, СПб, 1891, под редакц. А. А. Цагарели (ჩვენი აზრით, ეს საბუთი შედგენილია არა უადრეს 1768 წლის 4 ნოემბრისა და არა უგვიანეს 26 ნოემბრისა).



ლევები, ის თურქეთის მეზობლობის სიმძიმეს არ გრძნობს და ამიტომ მისი მიმხრობა ძნელი საქმეაო, მაგრამ ქართველებში სარწმუნოებისადმი სითბო დიდი და ერეკლეს სიმტკიცე დაძლეული იქნებაო<sup>1</sup>.

ქართველების ომში მისამხრობად საგარეო კოლეგია საჭიროდ თვლიდა რუსეთის მთავრობის მხრივ შემდეგი ღონისძიებების მიღებას: ქართველების დაიმედებას, რომ პორტასთან ზავის დადებისას არ იქნებოდა დავიწყებული, ფულადი დახმარების გაწევა და არტილერიის გაგზავნა (თუმცა ეს უკანასკნელი ზომა იმ შემთხვევაში იქნეს გამოყენებულიო, თუ მათ არტილერია სრულებით არ გააჩნიათ). რაც შეეხება დამხმარე ჯარის გამოგზავნას, უგზობობის გამო შეუძლებლად იყო მიჩნეული: „По трудности проездов Грузинцы войском здешним никаким образом подкреплены быть не могут...“<sup>2</sup>

ამ ამბებში იყვნენ პეტერბურგში, როცა ყიზლარის კომენდანტის პოტაპოვის 1768 წლის 4 ოქტომბრის პატაკიც მიიღეს, ინერეთის მეფის სოლომონ I-ის ელჩის მაქსიმე ქუთათელის (აბაშიძე) ყიზლარში მისვლის შესახებ.

\* \* \*

რამ მიიყვანა იმერეთის ელჩი ყიზლარში?

სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებულ, მრავალ ქირნახულ საქართველოს თურქმა დამპყრობლებმა ჯერ კიდევ XVI საუკუნეში საბოლოოდ ჩამოგლიჯეს სამცხე-საათაბაგო და მის გათათრებას შეუდგნენ. მომდევნო საუკუნეებში თურქები აქტიურად უტევენ დასავლეთ საქართველოს და, ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის მიუხედავად, გარკვეულ შედეგებსაც აღწევენ. ალექსანდრე იმერთა მეფე 1732 წელს რუსეთის იმპერატორისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ თურქებმა „ჩვენი საზღვრები ზღვით პონტოთ კერძო ციხითა და გოდლებითა აღავსეს და მოუთმენელს ჯარჯს და ტყვეობასა ქვეშა დაგვამწყვდიესო...“<sup>3</sup>

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოს მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმე შეიქმნა. ქვეყნის შიგნით გონიის, ბათუმის, ციხისძირის, ფოთის, ანაკლიის, სოხუმის, ცუცხვათის, შორაპნის, ბაღდადისა და ქუთაისის ციხეებში თურქ იანჩიართა გარნიზონები იდგნენ. ქვეყანა, როგორც თურქეთის ვასალი, ვალდებული იყო დამპყრობლებისათვის ხარკის სახით ეძლია ქალ-ვაჟები, ან ფული და ტილო; ვალდებული იყო აგრეთვე თურქებთან ადამიანებით (ტყვეებით) ევაჭრა<sup>4</sup>.

„... ციხეები ტყვის მყიდველთა ბუნავად იქცნენ. ციხისა და მის გარშემო მდებარე სოფლების მოსახლეობა თანდათან მაჰმადიანდებოდა. ოსმალები

<sup>1</sup> Грамоты, I, 1—8.

<sup>2</sup> Грамоты, I, 7.

<sup>3</sup> Переписка грузинских царей с российскими государями, под ред. Броссе, СПб., 1861, стр. 195—196.

<sup>4</sup> Грамоты, I, 14—15, 39, 68—75 და ა. შ.



ამ ციხეებიდან ადვილად ერეოდნენ ფეოდალების ურთიერთობაში და ქვეყნის საბოლოოდ დასაპყრობად თანდათან გზას იკვლევდნენ<sup>1</sup>. ნთავრები (დადიანი და გურიელი) მეფისაგან დამოუკიდებელნი იყვნენ, ხოლო იმერეთის ძლიერი თავადები დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ. ასეთი იყო დასავლეთ საქართველოს მდგომარეობა, როცა ტახტზე სოლომონ I ავიდა (1752).

ნიკიერი სარდალი და სახელმწიფო მოღვაწე იმერთა მეფე სოლომონ I შეუდგა ტყვის სყიდვის აკრძალვასა და მაჰმადიანობის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლას<sup>2</sup>, რადგან პირველი დასავლეთ საქართველოს გადაშენებას უშინებდა, ხოლო მეორე ხალხის ეროვნულ თვითმყოფობას ემუქრებოდა. ეროვნული ამოცანებისათვის მებრძოლ პოლიტიკოსს, იმერეთის მეფის ხელისუფლების გაძლიერების შიშით, თურქებთან ერთად დასავლეთ საქართველოს რეაქციული თავადობაც ებრძოდა.

ხრესილის ომში გამარჯვების (1756 წ.), ქართლისა და კახეთის მეფეებთან თავდაცვითი კავშირის დადებისა (1758 წ.) და 1759 წლის საეკლესიო კრების დამთავრების შემდეგ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ დასავლეთ საქართველოში საქმე წარმატებით მიდიოდა. მართლაცა, თურქების შემოტევა მოგერიებულ იქნა, იმერეთის მეფე მთელი დასავლეთი საქართველოს თვითმპყრობელი ხელმწიფე ჩანდა. მაგრამ ეს წარმატებანი მყარ ნიადაგზე არ იდგა. მართალია, 1761—1763 წლებში თურქების სამი ძლიერი შემოტევა იქნა უკუგდებული, მაგრამ თვით სოლომონ I-ს კარგად ესმოდა, რომ ეს წარმატებანი საეგებიო იყო. დიდ თურქეთთან პატარა იმერეთის საკუთარი ძალებით ბრძოლის შედეგების გათვალისწინება ძნელი იყო. ამიტომ იყო, რომ, წარმატების მიუხედავად, იმერეთის მეფე 1764 წელს რუსეთში ალექსანდრე ბაქარის ძეს სწერდა: იქნებ თურქებს ვერ გაუძლო და იმედი მაქვს რუსეთში ჩემი წამოსვლის საქმეში დახმარებას გამიწევო<sup>3</sup>. იმერეთის მეფის ვარაუდი უსაფუძვლო როდი გამოდგა.

1765 წელს თურქების დიდი ჯარი ჰასან ფაშას მეთაურობით გურიაში შეიჭრა, მამია გურიელი დაამარცხა და ტახტზე გიორგი დასვა; შეშინებულმა დადიანმა მტერთან შერიგება ამჯობინა; ოდიშში გაზამთრების შემდეგ, 1766 წელს, თურქები იმერეთშიც შეიჭრნენ, სოლომონი დაამარცხეს და იმერეთის ტახტზე, სულთანის სახელით, თურქეთში გადახვეწილი თეიმურაზ ბაგრატიონი დასვეს, იმერეთის თავადებმა ამ უკანასკნელს თავი დაუკრეს. სოლომონ I-მა საწერეთლოს მოდინახეს ციხეს შეაფარა თავი. ასე რომ თურქების წინააღმდეგ 1759 წელს შექმნილი დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა კავშირი აღარ არსებობდა. ამდენი ნაამაგარი არარად იქცა.

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია. ნაწ. I, 19:0 წ., გვ. 333—394.

<sup>2</sup> სოლომონ I-ის მოღვაწეობის შესახებ იხ. შ. ბურჯანაძის ნარკვევი „სოლომონ I-ის მეფობის პირველი პერიოდი (1752—1768 წწ.)“: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 41, 1950.

<sup>3</sup> ЦГАДА, ф. 250, в. 356, д № 1/7087, л. 69.



1766 წელს სოლომონ I-მა რუსეთში ელჩი გაგზავნა და რუსეთის მთავრობისაგან, საბოლოოდ დამარცხების შემთხვევაში, თავშესაფარი ითხოვა. თურქეთთან ურთიერთობის გართულების შიშით, რუსეთის მთავრობამ სოლომონ I-ს თხოვნაზე უარი შემოუთვალა. ვიდრე ასეთი პასუხი მოვიდოდა (1768 წ.), სოლომონ I-მა, დაქირავებულ ლეკთა მცირე რაზმით და ერთგული ქვეშევრდომების მხარდაჭერით, ისარგებლა რა თურქთა ძირითადი ძალების იმერეთიდან წასვლით, ტახტი დაიბრუნა. ეს წარმატება არსებითად არ ცვლიდა ქვეყნის მდგომარეობას. ციხეები კვლავ მტერს ეჭირა, მთავრები და თავადები მეფისადმი მტრულ პოზიციაზე რჩებოდნენ, ხანგრძლივი ბრძოლებით მოსახლეობა სისხლისაგან იყო დაცლილი, ხოლო მეურნეობა დაცემული. ცხაღია, თურქების ახალი შემოტევის შემთხვევაში ყველაფერი ბეწვზე ეკიდა.

აი, რა აიძულებდა სოლომონ I-ს, 1768 წლის 23 ივნისს, მიუხედავად რუსეთის მთავრობის მიერ ახლახან შემოთვლილი უარისა, დიდი რწმუნებებით აღჭურვილი ელჩი (მაქსიმე ქუთათელი) გაეგზავნა რუსეთში.

სოლომონ პირველი 1768 წლის 23 ივნისს (თურქეთის მიერ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტამდე სამი თვით ადრე) ეკატერინე II-ს სწერდა: „მოწყალებისა მთხოველი სამსა სავედრებელსა სიტყვასა განვფენ წინაშე დედობრივისა ყდ მოწყალებისა თქვენისა:

პირველად, რათა გამომიჯნა უცხოთესლთა, ოსმანთა, ჯელისაგან და ყდ ძლიერი კელი დასდვა ჩვენზედა და ქტყეყანასა და ერსა ჩვენსა ზედა, და საუკუნოდ მონად, მსახურებად და საიმპერიოდ აღგვრაცხენ; და ესე უმეტეს სხვათასა ტრფიალებით საწადელ არს ჩემდა. ძლიერო ჯელმწიფეო, რათა მონა შენი..... ყდ მოწყალის ჯელმწიფის სამსახურზე უცხო თესლთა, ოსმალთ, შეგაკვდე და ვიდრე სისხლის დათხევამდე ხელმწიფის სამსახურზედ ვიღვაწო....

და უკეთუ ესე არა ინებოს, მეორედ: სახიერებისა, წყალობისა და მადლისათვის აქავე განგვამტკიცოს ყდ მოწყალე ჯელმწიფემ სანმართა და შეწევნათა მიერ, რომ ჯარის მიცემა შევიძლო და მით უძლოთ წინააღდგომად ოსმანთა, რამეთუ ჩვენ სახმართაგან ფდ ნაკლულევან ვართ.

მესამედ: მტერნი ჩვენნი მაჰმადიანნი, ოსმანნი ფდ უძლიერეს ჩვენსა არიან, უკეთუ, ცოდვათა ჩვენთათვის, ვერღარა უძლოთ წინააღდგომად, — ყდ მოწყალე ჯელმწიფემ შეგვიწყნაროს საიმპერიოსა თვისსა, ვითარცა შეუწყნარებთან სხუანი მეფენი, რათა მართლმადიდებლობით ვმსახურებდეთ მონათა თვისთა თანა“<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, იმერეთის მეფე ითხოვს: თავისი ქვეყნის რუსეთის მფარველობის ქვეშ შეყვანას; თუ ეს არ მოხერხდება, ფულად დახმარებას, რომ ჯარის გამოყვანა და ბრძოლის გაგრძელება შეძლოს და, ბოლოს, თუ უთანასწორო ბრძოლაში მეფე დამარცხდება — თავშესაფარს ითხოვს რუსეთში.

<sup>1</sup> Грамоты, т. II, в. I, стр. 1—2.



ასეთი დავალებით წასული იმერეთის ელჩი 1768 წლის ოქტომბრის დასაწყისში უკვე ყიზლარში იყო. რაკი ყიზლარის კომენდანტი პეტერბურგში გამგზავრებაზე უარს ეუბნებოდა (რუსეთის მთავრობა ერიდებოდა საქართველოსთან ოფიციალურ ურთიერთობას თურქების გალიზიანების შიშით), ელჩი იძულებული იყო ყიზლარის კომენდანტისათვის, როგორც ეს ყიზლარის კომენდანტის 1768 წლის 4 ოქტომბრის პატაკიდან ჩანს, განეცხადებინა, რომ, თუ იმერეთის მეფეს რუსეთისაგან საიდუმლო დახმარება მიანიჭებდა, სამაგიეროდ, როდესაც არ უნდა მოეთხოვა რუსეთს, სოლომონ I წაართმევდა თურქებს შავი ზღვის სანაპიროებზე სიმაგრეებს და არ მისცემდა მათ საშუალებას რუსეთთან ომის შემთხვევაში იქაური ადგილებიდან ჯარი მიეღო<sup>1</sup>. ე. ი. საიდუმლო დახმარების აღმოჩენისათვის სამხედრო კავშირს აღუთქვამდა.

როგორც ვხედავთ, რუსეთის მთავრობა 1768 წლის ნოემბერში (ვიღრე იმერეთის ელჩის ყიზლარში მისვლის ამბავს შეიტყობდა) მზად იყო იმერეთს ფულითა და სპირო შემთხვევაში არტილერიით დახმარებოდა; ხოლო ქართველი პოლიტიკოსები (ვიღრე რუსეთ-თურქეთის ომის დაწყების ამბავს გაიგებდნენ) საიდუმლო დახმარებისათვისაც კი რუსეთს სამხედრო კავშირს სთავაზობდნენ რუსეთ-თურქეთის მომავალი ომის შემთხვევაში.

ასე რომ სამხედრო კავშირი ორივე მხრიდან წინასწარ მზადდებოდა. ამიტომაც ქართველი პოლიტიკოსების მოტყუილებით ომში ჩათრევაზე ლაპარაკი უსაფუძვლოა.

მართალია, მაქსიმე აბაშიძის რუსეთში გამგზავრების შემდეგ სიტუაცია შეიცვალა: სულთანმა სოლომონ I-ს წყალობის წიგნი გამოუგზავნა, ხოლო ამ უკანასკნელმა თურქეთის სასარგებლოდ 30 ათასი მანეთის გადახდა იკისრა. მაგრამ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის გამწვავებამ და ომის დაწყებამ გადაარჩინა დასავლეთ საქართველო თურქთა ახალი გამანადგურებელი ლაშქრობისაგან. ცხადია, თურქეთი, რომელმაც 1769 წელს მარტო დუნაის ფრონტზე 400 ათასიანი არმიის თავმოყრა შეძლო<sup>2</sup>, იმერეთის მეფეს არაფერს დაუთმობდა, მაშინ როცა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა (აქარისა და აფხაზეთის გამოკლებით) 31 ათას კომლს ან 155 ათას სულს არ აღემატებოდა. საკუთრივ იმერეთში კი 8 ათასამდე კომლია იყო<sup>3</sup>, საიდანაც სოლომონ I-ს 5 ათასზე მეტი ჯარისკაცის გამოყვანა არ შეეძლო. ამის გაუთვალისწინებლობა შეცდომა იქნებოდა.

თურქეთისა და საქართველოს ინტერესთა შეურიგებლობა, მოწინააღმდეგე ძალთა ასეთი თანაშემფარდების პირობებში, ზავს მხოლოდ დროებით შესვენებად აქცევდა და იმერეთის მეფეც მას ასე აფასებდა. ცხადია, სიტუა-

<sup>1</sup> Грамоты, т. I, стр. 13.

<sup>2</sup> ეს დაახლოებით იმდენივეა, რამდენიც მაშინ მთელი საქართველოს მოსახლეობა იყო, ხოლო რაც შეეხება თურქეთის მთელ არმიას, იგი რაოდენობით საქართველოს მოსახლეობას 1,5-ჯერ აღემატებოდა.

<sup>3</sup> Грамоты, т. I, 72—73 და ა. შ.



ციის შეცვლას, რასაც მაქსიმე აბაშიძის გამგზავრების შემდეგ აქვს აღვლილი, არ შეეძლო ძირეული შობრუნების მნიშვნელობა ჰქონოდა, რაც ქართველი პოლიტიკოსებისათვის საკმაოდ ნათელი უნდა ყოფილიყო.

\* \* \*

ქართველი ელჩის რუსეთის ტერიტორიაზე (ციხლარში) გამოჩენის შესახებ ცნობას პეტერბურგში კმაყოფილებით შეხვდნენ: „...по случаю произшедшей ныне между здешнею Империею и Портою Отоманскою войны,—აცნობებდნენ პოტაპოვს,—приезд сего митрополита весьма кстати и ко времени, и остается только пользоваться сходным с здешними видами владетеля его в разсуждении турок расположением“<sup>1</sup>. რაც მთავარია, რუსეთის მთავრობამ პოტაპოვის მოხსენების საფუძველზე უკვე იცოდა არა მარტო იმერეთის მძიმე მდგომარეობისა და მისი საბრძოლო განწყობილების შესახებ, არამედ ისიც, რომ იმერეთიდან მოდიოდა ფართო რწმუნებით აღჭურვილი ელჩი, რომელიც „...для всех дел, какие в высочайшей двор ни потребовал, от владетеля уполномочен и имеет при себе владетельскую печать...“<sup>2</sup>

ცხადია, ასეთი რწმუნებებით აღჭურვილ წარმომადგენელთან სამხედრო კავშირის თაობაზე, საბოლოო შეთანხმების მიღწევა გარანტირებული იყო. ამიტომ იყო, რომ რუსეთის მთავრობა 1768 წ. 30 ნოემბრის ბრძანებით ციხლარის კომენდანტს ავალებდა—მიტროპოლიტი (მაქსიმე) თავისი ამალით დაუყოვნებლივ სამეფო კარზე გაეგზავნა. ამასთან, ციხლარის კომენდანტს ავალებდნენ: არქიმანდრიტი (მიტროპოლიტ მაქსიმეს ამალიდან) და მისი გაცილების საბაბით საიმედო და უნარიანი კაცი, საქართველოს მდგომარეობის შესასწავლად იმერეთისაკენ გაესტუმრება<sup>3</sup>.

1768 წლის 30 ნოემბრით დათარიღებული წერილით, რომელიც არქიმანდრიტს უნდა წამოეღო საქართველოში, პანინი სოლომონ I-ს აცნობებდა რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებას, ამით იმერეთის თხოვნის შეწყენარების გზაზე დაბრკოლების მოხსნასა და მოუწოდებდა დაუყოვნებლივ აქტიური გამოსვლისაკენ. თან აცნობებდა, რომ როდესაც მიტროპოლიტი (მაქსიმე აბაშიძე) პეტერბურგში ჩავიდოდა, სათანადო გადაწყვეტილებები იქნებოდა მიღებული და იმერეთს ისეთი დახმარება გაეწეოდა, როგორც შესაძლებელი აღმოჩნდებოდა, ხოლო, თუ რუსეთის იარაღს წარმატება ექნებოდა, ტრაქტატში იმერეთის სასარგებლო მუხლებიც იქნებოდა შეტანილი. ბოლოს, პანინი სოლომონ მეფეს ერეკლეს მიმხრობასაც თხოვდა<sup>4</sup>.

ციხლარის კომენდანტმა მაქსიმე აბაშიძე 1769 წლის 6 იანვარს სამეფო კარზე გაგზავნა, ხოლო 14—16 იანვარს არქიმანდრიტი და იმერეთის მეფეს-

<sup>1</sup> Грамоты. I, 20.

<sup>2</sup> იქვე, 13.

<sup>3</sup> იქვე, 19—22.

<sup>4</sup> იქვე, 22—25.



თან გამოსაგზავნად შერჩეული პორუჩიკი ხვაბულოვი (ქობულაშვილი) პანი-  
ნის წერილით იმერეთისაკენ გამოიხტუმრა<sup>1</sup>.

არქიმანდრიტი და ხვაბულოვი 1769 წლის 20 მარტს სოლომონ პირველს  
შეხვედნენ (რაჭაში). სოლომონ I, როგორც ხვაბულოვი იუწყება, პანიანის წერილს  
სიხარულით შეხვედრია<sup>2</sup>. იმერეთის მეფეს თავისი ელჩის მისია წარმატებულად  
შეეძლო ჩაეთვალა. მეფისათვის ცხადი უნდა გამხდარიყო, რომ რუსეთ-თურ-  
ქეთის ომის დაწყება იმერეთის მიმართ თურქეთის აგრესიულ ზრახვებს  
დროებით მაინც გაანელებდა და ქვეყანას მოსალოდნელ დარტყმას ააცდენდა.

შეცვლილ ვითარებაში სოლომონ I რუსეთისაგან დამხმარე ჯარს ითხოვ-  
და. უამისოდ ომის გამოცხადებაც კი არ შემძლიაო, —აცხადებდა იგი. თუმცა  
აღრე, როგორც ზემოთ დავინახეთ, მისი ელჩი საიდუმლო დახმარებისათვისაც  
კი სამხედრო კავშირს აღუთქვამდა რუსეთს. ამასთან, რუსეთიდან დამხმარე  
ჯარის მიღების შემთხვევაში იმერეთის მეფე თურქეთის წინააღმდეგ ომში  
20 ათასი ჯარისკაცის გამოყვანის პირობას დებდა<sup>3</sup>. მაგრამ მეფის ზემოაღ-  
ნიშნულ განცხადებას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან იმერეთს  
ომში ჩაბმის საკითხი ამ დროს იმერეთის სამეფოს სრულუფლებიან ელჩთან  
ერთად პეტერბურგში წყდებოდა.

სოლომონ I-მა პანიანის წერილი ერეკლეს გაუგზავნა და 26 მარტს ხვა-  
ბულოვიც თბილისისაკენ გაისტუმრა. 1769 წ. 11 აპრილს ერეკლე მეორემ  
მიიღო რუსეთის წარმომადგენელი და საუბარში თურქეთის წინააღმდეგ ომში  
მონაწილეობის სურვილი გამოსთქვა და დამხმარე ჯარი მოითხოვა. ერეკლეს  
განუცხადებია: თუ რუსეთი დამხმარე ჯარს გამოუგზავნიდა, იგი შეძლებდა  
ცარგრადამდე თურქეთის ქალაქების დაპყრობას. 21 მაისს სოლომონ I-ლი თბი-  
ლისში მოვიდა, მეფეებმა ერთობლივი მოქმედების შესახებ წინასწარი გადაწყვე-  
ტილება მიიღეს და ხვაბულოვს კონკრეტული პირობები წაუყენეს<sup>4</sup>. რაკი ხვა-  
ბულოვს მთავრობის სახელით პირობის მიცემა არ შეეძლო, რადგან მისი რწმუ-  
ნება ცნობების შეგროვებით განისაზღვრებოდა, ცხადია, საბოლოო გადაწყვეტი-  
ლების მიღებაც შეუძლებელი იყო და მეფეებმა საგანგებო ელჩები შეარჩიეს (სო-  
ლომონმა — დ. კვინიხაძე, ერეკლემ — ა. ანდრონიკაშვილი) პეტერბურგში გასა-  
გზავნად. ამასობაში ცნობა მოვიდა, რომლითაც რუსეთიდან იუწყებოდნენ, რომ  
ჯარი იგზავნებოდა, ხოლო სოლომონს გზის საკითხის მოგვარებას თხოვდნენ.  
როგორც ვხედავთ, ჯარის გამოგზავნის საქმე პეტერბურგში უკვე გადაწყვე-  
ტილია.

როდის მიიღო რუსეთის მთავრობამ გადაწყვეტილება საქართველოში  
ჯარის გამოგზავნის შესახებ, ან რა რაოდენობის ჯარს გზავნიდა ის საქარ-  
თველოში? როდის ჩამოვიდა საექსპედიციო ჯარი საქართველოში? აღნიშნულ  
საკითხებზე არ შევჩერდებოდით, რომ ცნობილი წყაროებით სურათის აღდგენა

<sup>1</sup> Грамоты, I, 26—27, 425.

<sup>2</sup> იქვე, 426.

<sup>3</sup> იქვე, 426—427.

<sup>4</sup> იქვე, 428—429.



ხერხდებოდეს და საისტორიო ლიტერატურაში სინამდვილე დამახინჯებული არ იყოს<sup>1</sup>.

მართალია, რუსეთის მთავრობას 1768 წლის ნოემბერში, როგორც ზემოთ დაეინახეთ, საქართველოში ჯარის გამოგზავნა შეუძლებლად მიაჩნდა, მაგრამ იმერეთის ელჩის მაქსიმე აბაშიძის პეტერბურგში ჩასვლის შემდეგ (1769 წლის მარტი) მისი პოზიცია შეიცვალა. ფართო რწმუნებებით აღჭურვილ იმერეთის ელჩთან<sup>2</sup> მოლაპარაკების შემდეგ შეთანხმება მიღწეულ იქნა და რუსეთის მთავრობამ საქართველოში საექსპედიციო ჯარი გამოგზავნა.

ზედმეტი არ იქნება თუ შევნიშნავთ, რომ ქართველ ელჩს შეცვლილ ვითარებაში მოუხდა მოქმედება, მაგრამ იგი არ დაბნეულა, თუმცა სოლომონ მეფის წერილი და საკუთარი ადრინდელი განცხადებები მას საკმაოდ ბოკავდა. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია გავიხსენოთ, რომ 1768 წლის ივნისში, როცა რუსეთ-თურქეთის ომი შესაძლებლობიდან სინამდვილედ არ იყო გადაქცეული და თურქთა ახალ შემოტევას შეეძლო სოლომონ I-ის წარმატებანი არარად ექცია, იმერეთის მეფე რუსეთს მფარველობას ევედრებოდა, ხოლო, თუ ეს არ მოხერხდებოდა, ფულით დახმარებასა და მტერთან უთანასწორო ბრძოლაში დამარცხების შემთხვევაში თავშესაფარს თხოვდა<sup>3</sup>. ელჩი მაქსიმე აბაშიძე კი, 1768 წლის ოქტომბერში, ცდილობდა რა პეტერბურგში გამგზავრების ნებართვა მიეღო, ყიზლარის კომენდანტს უცხადებდა: „если его владетель Соломон иметь будет хотя тайную помощь, то он в заслугу высочайшему двору, когдаб ни потребовалось собственною персоною может туркам делать вред и отнять крепости, облегающие по берегу Черного моря и прочие помешательства учинить, так, что не может турок от тамошних мест войско себе получать“<sup>4</sup>. კიდევ მეტი, ელჩი მაშინ იძულებული ყოფილა

<sup>1</sup> გამოკვეყნებული წყაროებით თუ ვიმსჯელებთ, რუსეთის მთავრობას საქართველოში ჯარის გამოგზავნის შესახებ გადაწყვეტილება 1769 წლის 26 მაისს მიუღია (შდრ. Грамоты, I, 53, 424); ხოლო რაც შეეხება საექსპედიციო ჯარის რაოდენობას, ლიტერატურაში საქმე სრულ აღრევასთან გვაქვს, ამასთან, უახლეს საისტორიო ლიტერატურაში საქმე ისეა წარმოდგენილი თითქოსდა ტოტლებენი 1769 წლის ზაფხულის ბოლოს რუსეთის ჯარის 4 ათასიანი კორპუსით ჩამოსულიყოს (იხ. П. Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, т. I, СПб, 1869, стр. 280—281; В. Потто, Кавказская война., т. I, СПб, 1887, стр. 85; Цагарели, Грамоты., I, 41, 81—82 და შესავლი გვ. VI—VII; Военный сборник, 1901, № 9, стр. 22, 25; ს. კაკაბაძე, საქ. ისტორია, თბილისი, 1922, გვ. 207; ენიქვის მთაბე, 1940, ტ. V—VI, გვ. 334; გ. ქიქოძე, ერეკლე მეორე, თბილისი, 1941, გვ. 88).

<sup>2</sup> მაქსიმე აბაშიძეს ყიზლარის კომენდანტთან განუცხადებია, რომ „Он для всех дел, какие б высочайшей двор ни потребовал, от владетеля уполномочен и имеет при себе владетельскую печать“ (Грамоты, I, 13). ელჩის რწმუნებას მეფეც ადასტურებდა: „სხვა ჩვენი გულის სიტყვა და განზრახვა ჩვენის ქუთათელ შიტროპოლიტისა მაქსიმეს მიერ მოწინედეს“ (Грамоты, II, в. I, стр. 2).

<sup>3</sup> Грамоты, II, в. I, стр. 1—2.

<sup>4</sup> Грамоты, I, 13.



განეცხადება<sup>1</sup>, რომ საკუთარი ხარჯით წავიდოდა პეტერბურგში<sup>2</sup>; მას ისიც კი უთქვამს, რომ „...ему во отечество прежде возвратится не можно, разве в Санкт-Петербурге допущен не будет.“<sup>3</sup> ცხადია, ასეთი განცხადებების შემდეგ, რომელიც რუსეთსა და თურქეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შეტყობამდე იქნა გაკეთებული, ელჩს დიდი პრეტენზიებით გამოსვლა არ შეეძლო. ამიტომ 1769 წლის მარტში, თუმცა რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებით ვითარება შეცვლილი იყო და საფრთხეც დროებით მოხსნილი, მაგრამ მკვეთრი მობრუნება უხერხული იყო; მიუხედავად ამისა, ელჩს უცდია იმერეთის მდგომარეობის სურათის შელამაზებითა და მისი რეალური შესაძლებლობის ხელოვნურად ვადიდებით დაეინტერესებინა რუსეთის მთავრობა, რომ ამ გზით მაინც ვარკვეული წარმატება მოეპოვებინა; მაგალითად, გარდა ამისა, რომ მაქსიმე ხაზს უსვამდა იმერეთის ბუნებრივ სიმდიდრეს, მისი განცხადების მიხედვით დასავლეთ საქართველოს მთავრები და თავადები სოლომონ I-ის მორჩილნი არიან<sup>4</sup>, ხოლო იმერეთში „თუ ჯარის შესანახავის თეთრი იყოს მსწრაფად ორმოცდაათს ათასს კაცს და მეტსაც შეიძლებენ შეყრას...“<sup>5</sup> ამასთან, თუ რუსეთის მთავრობა იმერეთს შეიყვანს მფარველობაში, ხუთ-ათასიან დამხმარე ჯარს გაუგზავნის და სესხს მისცემს, საქართველოდან თურქების წინააღმდეგ სერიოზული მოქმედება დაიწყებაო, —აცხადებდა ქართველი ელჩი<sup>6</sup>.

1769 წლის 16 მარტს ნ. პანიწმა სახელმწიფო საბჭოს გააცნო დასავლეთ საქართველოს მდგომარეობა და წინადადება შეიტანა იმერეთის სამეფოსათვის დახმარება აღმოეჩინათ ჯარისა და ფულის გაგზავნით. ხსენებულ საკითხზე პროექტის შედგენა დაევალა გრაფ ჩერნიშევს. ამ უკანასკნელმა სახელმწიფო საბჭოს გააცნო თავისი პროექტი, რომელიც საბჭოს მიერ მოწონებულ იქნა<sup>7</sup>. პროექტი გადაეგზავნა იმპერატორს.

1769 წლის 27 მარტს ეკატერინე II ხელი მოაწერა ბრძანებას სამხედრო კოლეგიისადმი. ბრძანებაში ნათქვამია, რომ სამხედრო კოლეგიის ვიცე პრეზიდენტ გრაფ ჩერნიშევისათვის ცნობილ ექსპედიციაში გასაგზავნად სამხედრო კოლეგიამ უნდა ჩამოაყალიბოს რაზმი სამი ასეულის (ქვეითი, ჰუსართა, დრაგუნთა) და 6 სამგირვანქიანი ქვემეხისაგან; ქვეითი ასეული გაიგზავნოს ასტრახანის გარნიზონიდან, დრაგუნთა — ასტრახანში მყოფ ორენბურგის დრაგუნთა პოლკიდან, ჰუსართა — ყიზლარში მყოფ ქართულ ჰუსართა პოლკიდან; ქვეითი და დრა-

<sup>1</sup> რუსეთი ვრიდებოდა თურქეთთან ურთიერთობის გართულებას და ამიტომ ელჩს პეტერბურგში გაგზავნაზე ყიზლარის კომენდანტი, მთავრობის ინსტრუქციის მიხედვით, კატეგორიულ უარს ეუბნებოდა.

<sup>2</sup> Грамоты, I, 13—14.

<sup>3</sup> იქვე, 14.

<sup>4</sup> Грамоты, II, в. I, 1—2.

<sup>5</sup> იქვე, 3—4.

<sup>6</sup> იქვე, 4.

<sup>7</sup> Архив Гос. Совета, т. I, ч. II, 770—771.



გუნთა ასეულებისათვის ოფიცრები შეარჩიოს სამხედრო კოლეგიამ თავისი შეხედულებისამებრ და წახალისების მიზნით დააწინაუროს ისინი ერთი ჩინით; რაზმს ებრძანოს ყიზლარში შეკრება<sup>1</sup>. ასეთია ბრძანების შინაარსი.

იმპერატორის ამ ბრძანებას აქვს დანართი, სადაც მოცემულია საექსპედიციო ჯარის შტატი: „მთავარი მეთაური“ გენერალი ან შტაბ-ოფიცერი, ქვეითი ასეული—159 კაცი, დრაგუნთა—92 კაცი, ჰუსართა—85 კაცი, საველე არტილერიის 6 ქვემეხის მომსახურე პერსონალი 72 კაცი, საინჟინერო ჯარების პოდპორუჩიკი—1, მკურნალი—1 (სულ 411 კაცი). დანართშივე მოცემულია წლიური ხარჯთაღრიცხვა განაწილებით, რაც ჯამით 21.256 მანეთსა და 92 1/2 კაპ. შეადგენს<sup>2</sup>.

როგორც ბრძანების შინაარსიდან ჩანს, სამხედრო კოლეგიას სამი ასეულისა და საველე არტილერიის 6 სამგირვანქიანი ქვემეხისაგან შემდგარი რაზმი (შტატით 411 კაცი) უნდა ჩამოეყალიბებინა ყიზლარში. ეს მცირერიცხოვანი საექსპედიციო რაზმი იმერეთის სამეფოს დასახმარებლად იგზავნებოდა<sup>3</sup>.

სამხედრო კოლეგია აპრილის პირველ რიცხვებიდან შეუდგა იმპერატორის 27 მარტის საიდუმლო ბრძანების შესრულებას.

1769 წლის 3 აპრილს ბრძანება გაეგზავნა ფელდცენზემისტერს გრ. ოროვს: გამოეყო 6 ქვემეხი საქურველითა და მომსახურე პერსონალით და გაეგზავნა ყიზლარში<sup>4</sup>.

1769 წ. 6 აპრილს განკარგულება მიეცა ასტრახანის გუბერნატორს გენ. მაიორ ბეკეტოვს, რომლითაც დაევალა: ასტრახანის გარნიზონიდან გამოეყო 1 ქვეითი ასეული, ჩაებარებინა სამხედრო კოლეგიის მიერ შერჩეულ კაპიტან როგოვისათვის და გაეგზავნა ყიზლარში; ორენბურგის დრაგუნთა პოლკიდან გამოეყო დრაგუნთა ასეული, ჩაებარებინა კაპიტან ზამარაევისათვის და გაეგზავნა ყიზლარში; ქართულ ჰუსართა პოლკიდან გამოეყო ასეული

<sup>1</sup> ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. I, л. 1

<sup>2</sup> იქვე, 2—3.

<sup>3</sup> იმპერატორის 27 მარტის ბრძანებიდან საექსპედიციო რაზმის დანიშნულება გაურკვეველია. რუსეთის მთავრობა შიშობდა სამხადისის შესახებ უცხოეთის დაზვერვას არ შეეტყო და თურქეთის დროულად კონტრზომები არ მიეღო. ამიტომ 3 თვის თავზეც მიმოწერა რაზმის დანიშნულების შესახებ საიდუმლოდ რჩებოდა: „К известной коллегии вице-президенту, — секретной экспедиции, о которой указом нашим от 27 минувшего марта и Военной коллегии знать дано, повелеваем определить главным командиром ген.-майора графа Тотлебена“... (ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. I, л. 67). მიმოწერაში მხოლოდ 3 ივლისს იწოდება ექსპედიცია ნამდვილი სახელით—ამ დღეს ჩერნიშევი ბეკეტოვს აცნობებდა, რომ ექსპედიციის მეთაურად დანიშნულია ტოტლებენი და „... для известия вашего всем знать дается, что вся сия команда назначена к выступлению за границу, по делу Грузинского царя Соломона...“ (იქვე, 84). ეს იმ დროს, როცა წინასწარი სამხადისი დამთავრდა და რაზმის დაძვრის დრო მოახლოვდა.

<sup>4</sup> ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. I, л. 5.



თავისივე ოფიცრებით; ხოლო როგორც კი არტილერიის რაზმი ასტრახანში მივიდოდა, შეუფერხებლად გაეგზავნა ყიზლარში<sup>1</sup>.

სამხედრო კოლეგიას ოფიცრების შერჩევაც დაუწყია. 1769 წ. 3 აპრილს ბრძანება გაუგზავნეს გენ. გოლიცინს სამხედრო კოლეგიაში გამოეგზავნა კაპიტანი რემენნიკოვი; ეს უკანასკნელი მაიორის ჩინით 25 აპრილს სიბირსკის პოლკიდან სამხედრო კოლეგიაში იგზავნება. 15 მაისს რემენნიკოვი სამხედრო კოლეგიაში იყო. აქ მას გააცნეს საქმის ვითარება და უბრძანეს ასტრახანსა და ყიზლარში გამგზავრება, სადაც სათავეში უნდა ჩადგომოდა საექსპედიციო რაზმსა და წესრიგში მოეყვანა იგი<sup>2</sup>. 29 აპრილს გენ. პროკურორ ვიაზემსკის, სამხედრო კოლეგიის თხოვნით, სიტყვიერი წინადადება შეუტანია სენატში, რათა არტილერიის პოდპოლკოვნიკი თავ. ჩოლოყაშვილი სამხედრო კოლეგიაში გაეგზავნათ.

8 მაისს სამხედრო კოლეგია აცნობებდა გრ. ორლოვს, საიდუმლო ექსპედიციაში არტილერიის უფროსად თავ. ჩოლოყაშვილის დანიშვნას<sup>3</sup>. საყურადღებოა, რომ, ვიდრე ჩოლოყაშვილს საექსპედიციო ჯარში არტილერიის უფროსად დანიშნავდნენ, მის შესახებ ცნობები შეუფროვებიათ, საიდანაც ირკვევა, რომ ჩოლოყაშვილი არტილერიის იარაღის პროექტების ავტორი ყოფილა, რისთვისაც პრემია მიუღია; ხოლო 1764 წლიდან კიევის სიმაგრეების მშენებლობის ხელმძღვანელი ყოფილა<sup>4</sup>. 15 მაისს ჩოლოყაშვილს ახალი დანიშნულება აცნობეს და ყიზლარში გამგზავრება უბრძანეს<sup>5</sup>.

პარალელურად საგარეო კოლეგიას საქართველოში გამოსაგზავნი რწმუნებულის შერჩევაც დაუწყია. 1769 წლის 24 მარტს საგარეო კოლეგიაში თავ. ანტონ მოურავოვის (თარხან-მოურავის) ბიოგრაფიაც ჩნდება<sup>6</sup>; იგი ვახტანგ VI-ის დროს რუსეთში გადასახლებულ თავადთა ოჯახიდანაა. თავ. მოურავოვი საქართველოს საქმეებში საგანგებო რწმუნებულად ინიშნება და 28 მაისით დათარიღებული ინსტრუქციაც<sup>7</sup> ეძლევა სამოქმედოდ.

ამ წინასწარი სამზადისის ჩატარების შემდეგ (ჯარის გამოგზავნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 2 თვის თავზე) ეკატერინე II და ნ. პანინი 26 მაისის წერილებით აცნობებდნენ სოლომონ I-ს—ჯარი იგზავნება თქვენს დასახმარებლად<sup>8</sup>.

ამ მცირე ჯარის, რომელიც 3 ასეულისა და 6 ქვემეხისაგან შემდგარი საარტილერიო რაზმისაგან შედგებოდა (სულ 411 კაცი), „მთავარ მეთაურად“, რუსეთის იმპერატორის 1769 წლის 27 ივნისის ბრძანებით, გრაფი ტოტლე

<sup>1</sup> ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, л. 4, ч. 1, л. 8—9.

<sup>2</sup> იქვე, 41, 44—45.

<sup>3</sup> იქვე, 42, 40 (ჩოლოყაშვილის შესახებ იხ. უ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1955, № 10).

<sup>4</sup> იქვე, 38—39.

<sup>5</sup> იქვე, 51.

<sup>6</sup> Грамоты. I, 417.

<sup>7</sup> იქვე, 39—50.

<sup>8</sup> იქვე, 50—57.



ბენი დაინიშნა; სამხედრო კოლეგიას დაევალა მისთვის ინსტრუქციის მიცემა და ყიზლარში გაგზავნა<sup>1</sup>.

სამხედრო კოლეგიამ ტოტლებენს საექსპედიციო რაზმის მეთაურად დაინიშნა აცნობა, საქმიანი მიმოწერა გააცნო და სათანადო დარიგება მისცა; ხოლო სამოქმედოდ თავ. ანტონ მოურავოვისათვის საგარეო კოლეგიის მიერ მიცემული ინსტრუქციის ასლი გადასცა<sup>2</sup>.

ტოტლებენის თავგზააბნეული მოქმედებანი მრავალი გაუგებრობის წყარო გახდა. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია აქვე ხაზი გაუსვათ, რომ ტოტლებენს პირადად იმპერატორისაგან რაიმე საგანგებო საიდუმლო მითითება არ მიუღია. სამხედრო კოლეგია კი, რომელსაც ტოტლებენისათვის ინსტრუქციის მიცემა დაევალა, ამ უკანასკნელს აცნობებდა: „...дабы... уведомить вас о предмете сей экспедиции прилагается вам при сем под лит. Н копия с инструкции, данной из Государственной Коллегии Иностранных Дел, отправленному в Имеретию при кутаисском митрополите, назначенном для пребывания при имеретинском владетеле, надворному советнику князю Антону Моуравову. Сия инструкция не только будет вам служить руководством во всех ваших к дальнейшему походу приготовлениях, но по оной имеете вы распоряжать и действительное ваше со всею командою за границу движение...“<sup>3</sup>.

სამხედრო კოლეგიის განკარგულებით, როგორც ზემოთ დავინახეთ, რაზმის ფორმირება რემენიკოვს დაევალა. 1769 წლის 10 ივლისის პატაკით რემენიკოვი სამხედრო კოლეგიას ასტრახანიდან აცნობებდა, რომ მან უკვე მიიღო ორი ასეული (ქვეითი და დრაგუნთა) სულ 256 კაცი<sup>4</sup>. ხოლო 26 ივლისისათვის ტოტლებენიც ჩასულა ასტრახანში. ეს უკანასკნელი 29 ივლისის პატაკით გრაფ ჩერნიშევს აცნობებდა, რომ მას ასტრახანში დახვდა რემენიკოვის მიერ წესრიგში მოყვანილი 2 ასეული; ეს რაზმი 1 ავვისტოს გავა ყიზლარისაკენ; რადგან ექსპედიციისათვის გამოყოფილი არტილერია არ ჩანს, ასტრახანის არსენალიდან მივიღე 2 ქვემეხი და ჩავაბარე რაზმს; მოვა-

<sup>1</sup> სამხედრო კოლეგიისადმი ეკატერინე მეორის მიერ ხელმოწერილ ბრძანებაში, რომელიც 1769 წლის 27 იანვრით არის დათარიღებული, ვკითხულობთ: „К известной оной Коллегии вице-президенту секретной экспедиции, о которой указом нашим от 27 минувшаго марта и Военной Коллегии знать дано, повелеваем определить главным командиром генерал-майора графа Тотлебена, и снабдя его надлежащим наставлением к той команде в Кизляр и отправить“ (ЦГВИА ф. 20, оп. 47, св. 245, л. 4, ч. 1, л. 67). 27 მარტის ბრძანებაზე მითითებაც საკმაოდ ნათელს ხდის, რომ ტოტლებენი დაინიშნა 411 კაცისაგან შემდგარი რაზმის მეთაურად.

<sup>2</sup> დედანი იხილე წიგნში: Грамоты, I, 39—50.

<sup>3</sup> ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, л. 4, ч. 1, л. 69. (სუბოტინისადმი მიცემულ ინსტრუქციაში აღნიშნულია, რომ ტოტლებენს მოურავოვისათვის მიცემული ინსტრუქციით უნდა ემოქმედა: „... в данной и с. кн. Моуравову инструкции, по которой и г.-м. Тотлебен исполнять имел“... იხ. Грамоты, I, стр. 475. ეკატერინე II 1769 წ. 16 დეკემბრის წერილი ტოტლებენისადმი ამას ადასტურებს: „Инструкция, данная князю Моуравову, а и вам для исполнения сообщена.“. იხ. იქვე, 87).

<sup>4</sup> ЦГВИА, ф. 20, оп. 47 св. 245, л. 4, ч. I, л. 140—142, 76, 78—79.



წესრიგე რა ყველაფერი, დღესვე (29 ივლისი) ყიზლარში მივდივარო. პატაკს აქვს დანართი, საიდანაც ჩანს, რომ საექსპედიციო რაზმში 29 ივლისს (ასტრახანში) ყოფილა: ქვეითი ასეული—163 კაცი, დრაგუნთა—93, საინჟინერო კორპუსიდან—2 კაცი, 2 ქვემეხის მომსახურე პერსონალი—32, მკურნალი—1; სულ საექსპედიციო რაზმში 291 კაცი<sup>1</sup>.

ტოტლებენმა საექსპედიციო რაზმი ასტრახანში დატოვა (რაზმი ყიზლარში უნდა წაეყვანა რემენნიკოვს), თვით კი კაპიტან კარპისა და 20 ჰუსარის თანხლებით ყიზლარისაკენ გაემგზავრა, სადაც 4 აგვისტოს მოვიდა<sup>2</sup>. 7 აგვისტოს პატაკით ტოტლებენი აცნობებდა გრაფ ჩერნიშევს ყიზლარში ჰუსართა ასეულის შერჩევის შესახებ<sup>3</sup>. ტოტლებენმა ჰუსართა ასეულიც ადგილზე დატოვა, ხოლო თვით ამალით მოზდოკისაკენ გაემგზავრა.

ყიზლარის კომენდანტი 1769 წლის 8 აგვისტოს პატაკით აცნობებდა სამხედრო კოლეგიას, რომ გენერალს მივეცი თარჯიმნები: ფირცხელაუროვი და ბოგდანოვი; გამცილებლებად: პირადი მცველი რაზმში—ჰუსარი 21, კაზაკი 12, სერჟანტი 1, კაპრალი 2, რიგითი 2 და მედოლე; აგრეთვე მარშრუტის გეგმა: ხევი-ჩიმი; თვითონ წავა მოზდოკში და იქ დაელოდება ერეკლეს პასუხსო<sup>4</sup>. გარდა ამისა, ტოტლებენს ორგზის უთხოვია მიეცათ მისთვის ქართულ ჰუსართა პოლკის მაიორი რატიევი, როგორც სამხედრო საქმისა და ენების მცოდნე და თხოვნაც დაუკმაყოფილებიათ<sup>5</sup>.

მოზდოკში ტოტლებენს თავისი ამალა გაუდიდება, როგორც ეს გენ. პოტაპოვის 6 სექტემბრის პატაკიდან ჩანს. ყიზლარის კომენდანტი სამხედრო კოლეგიას აცნობებდა: ტოტლებენმა მოზდოკიდან წაიღო 2 ქვემეხი, წაიყვანა 6 დურგალი, 25 კაზაკი; უფის დრაგუნთა პოლკისაგან ვახმისტრი, კაპრალი, მენალარე, მედოლე, 16 დრაგუნი და აგვისტოს 12-ს მოზდოკიდან გავიდა საქართველოსაკენ. იმავე პატაკიდან ირკვევა, რომ მაიორი რემენნიკოვი 12 აგვისტოს ქვეითი და დრაგუნთა ასეულებით ასტრახანიდან ყიზლარში მოსულა; აქ მიუღია ჰუსართა ასეული კაპიტან კარპის მეთაურობით (ჰუსართა ასეული ტოტლებენმა შეარჩია, მაგრამ წესრიგში იყო მოსაყვანი და რემენნიკოვის ასტრახანიდან მოსვლიანდე ყიზლარში დარჩა); აქვე შეუკეთებიათ ასტრახანიდან წამოღებული 2 ქვემეხი; რემენნიკოვს მიუღია საჭირო სურსათი 370 კაცისათვის და 14 აგვისტოს ყიზლარიდან მოზდოკისაკენ წასულა<sup>6</sup>.

როგორც ზემოთმოტანილი მასალებიდან ირკვევა, 1769 წლის 12 აგვისტოს ტოტლებენი მოზდოკიდან 2 ქვემეხითა და 110 კაცით (პირადი მცველი და გამცილებელი რაზმი) წამოსულა საქართველოში, ხოლო მაიორ რემენნიკოვი 14 აგვისტოს საექსპედიციო ჯარის 3 ასეულით (ქვეითა, დრაგუნთა და ჰუ-

<sup>1</sup> ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, л. 4, ч. 1, л. 103—106.

<sup>2</sup> იქვე, 152, 154;

<sup>3</sup> იქვე, 149.

<sup>4</sup> იქვე, 120—122.

<sup>5</sup> იქვე, 158.

<sup>6</sup> იქვე, 211.



სართა) და 2 ქვემეხით (სულ 370 კაცი) ყიზლარიდან საქართველოსაკენ წამოსულა.

რაც შეეხება იმპერატორის 27 მარტის ბრძანებით ექსპედიციისათვის განკუთვნილი 6 ქვემეხისაგან შემდგარ საარტელერიო რაზმს (72 კაცს), იგი აგვისტოში არ ჩანს. ეს რაზმი 7 ოქტომბერს მოსულა ასტრახანში, როგორც ეს ასტრახანის გუბერნატორის 10 ოქტომბრის მოხსენებიდან ირკვევა; ხოლო 4 ნოემბერს მოზდოკში<sup>1</sup>.

ამრიგად, 1769 წლის აგვისტოში ყიზლარიდან და მოზდოკიდან საქართველოსაკენ წამოსულა რუსეთის ჯარის სამი ასეული (კომპლექტით, როგორც ეს განსაზღვრული იყო იმპერატორის 27 მარტის ბრძანებით) და 4 ქვემეხის მომსახურე პერსონალი ტოტლებენის პირად მცველ რაზმთან ერთად (კომპლექტს გარეთ). სულ დაახლოებით 480-მდე კაცი.

რუსის ჯარის გადმოსაყვანი მარშრუტის საკითხზე სოლომონ I და ხვაბულოვი ერეკლეს ადრევე შეუთანხმდნენ; შერჩეულ იქნა ჩიმი-ხევის (დარიალის) გზა, რომლის მოგვარება ერეკლემ იკისრა<sup>2</sup>, ხოლო როცა ტოტლებენი ყიზლარში მოვიდა, პოტაპოვმა აცნობა ერეკლეს, გაეგზავნა რაზმი გენერლის შესახვედრად<sup>3</sup>. რუს-ქართველთა ერთობლივი ღონისძიებით გზის საკითხი მოგვარებულა. თერგზე გადასასვლელად 10 ხიდი შეუკეთებიათ (მათ შორის 3 ქართველებს), ვიწროებზე დაშლილი ქვემეხები ერეკლეს მიერ გაგზავნილ ქართველებს ხელით გადმოუტანიათ სტეფანწმინდამდე<sup>4</sup>. სამეფოს ტერიტორიაზე შემოსვლისთანავე ტოტლებენს წერილი გაუგზავნია ერეკლე მეფისათვის, რომ ის ავანგარდით<sup>5</sup> მოვიდა სამეფოს ტერიტორიაზე და იმპერატორის ბრძანებით მიდის იმერეთის მეფესთან, ამიტომ ითხოვს ჯარის გატარებასა და სურსათის ყიდვის ნებართვას; აგრეთვე უცნობებია, რომ მას სურს პირადად განუცხადოს ერეკლეს ზოგი საიდუმლო რამ<sup>6</sup>. 29 აგვისტოს ტოტლებენი შეხვედრია კიდევ ერეკლეს სოფ. ხოდამში. ხოლო ერეკლესთან მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ, ტოტლებენი რაზმითურთ იმერეთისაკენ წასულა.

როგორც აღვნიშნეთ, ტოტლებენი 1769 წლის ზაფხულის გასულს საქართველოსაკენ დაძრულა არა 3767 კაციით, არამედ სამი ასეულითა და 4 ქვემეხით და საქართველოშიც ამ ჯარით<sup>7</sup> ჩამოსულა.

<sup>1</sup> ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. 1, 235—236, 222.

<sup>2</sup> Грамоты, I, 430—431.

<sup>3</sup> ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. 1, 120—122.

<sup>4</sup> სამხედრო ისტორიულ არქივში დაცულია მარშრუტის რუკა. მარშრუტი ასეთია: მოზდოკი—ჩიმი—ლარსი—დარიალი—სტეფანწმინდა—არხთი—სიონი—ადოს მინდორი. ЦГВИА, ф. ВУА, д. 67022.

<sup>5</sup> ავანგარდში ივლისხმება ტოტლებენის ამაღა (ასიოდე კაცი). რაც შეეხება რემენნიკოვის რაზმს, იგი ტოტლებენის მიერ გაგზავნილ გამცილებლებს წამოჰყოლია მოზდოკიდან 2 სექტემბერს. ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. 1, л. 169.

<sup>6</sup> Грамоты, I, 61.

<sup>7</sup> აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ 1769 წლის 11 ოქტომბრის პატაკით, რუსის ჯარის რიცხვი საქართველოში ასეთია: რემენნიკოვის მიერ ჩამოყვანილ საექსპედიციო რაზმში—372 კაცი, ტოტლებენის მიერ ყიზლარიდან და მოზდოკიდან წამოყვანილი—108 კაცი. სულ 480 კაცი. ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. III, л. 119—120.



რა ამოცანით გამოიგზავნა ეს ჯარი საქართველოში?

ცხადია, ასეთი პატარა ჯარით ფრონტის გახსნასა და დამოუკიდებელი სამხედრო ოპერაციების ჩატარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მისი ამოცანა, როგორც მოურავოვისათვის მიცემული ცნობილი ინსტრუქცია მოწმობს, იმერეთის სამეფოს ლაშქრისათვის მაგალითის ჩვენებითა და გამხნევებით განისაზღვრებოდა.

ამასთან, ინსტრუქცია დასაშვებად თვლიდა ქართველებს რუსეთის ჯარისა და ოფიცრებისაგან ესწავლათ ჯარის სამხედრო წყობა, იარაღის ხმარება, თოფის წამლის საქმის გაუმჯობესება, ქვემეხების ჩამოსხმა, მათი ლაფეტზე გაწყობა, ადგილების „ვერობულად“ გამაგრება და სხვ. გამოთქმული იყო სურვილი, თუ იმერეთში რეგულარული ჯარის შექმნა არ მოხერხდება, იქნებ მოსახერხებელი გახდეს მორიგეობის დაწესება აზნაურებისა და მოსახლეობისა, რათა მთელი ერი რიგიან ჯარად იქცესო. მოურავოვ-ტოტლებენის ინსტრუქციის არსი მოკლედ ჩამოყალიბებულია სუხოტინისათვის მოცემულ ინსტრუქციაში, თუმცა ამჯერად იგი სხვა მიზანს ისახავდა<sup>1</sup>.

რუსეთის ამოცანა იყო სახელმწიფო საზღვრის მის ბუნებრივ საზღვრამდე, შავ ზღვამდე, გადატანა და შავ ზღვაზე თავისუფალი ნაოსნობის უფლების მოპოვება. რადგან ეს ამოცანა რთული იყო, რუსეთის მთავრობა ცდილობდა დამხმარე ჯარითა და სესხით გაეძლიერებინა იმერეთის სამეფო, რომ ამ უკანასკნელს თურქეთის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლით თურქების დამარცხების საქმეში გარკვეული წვლილი შეეტანა.

გარდა ამისა, ფიქრობდნენ: გაძლიერებული სოლომონ მეფე, რუსის ჯარის მეთაურებთან ერთად, დასავლეთ საქართველოს მთავრებისა და ქართლ-კახეთის მეფის მიმხრობასაც შეძლებდა და ქართველთა მონაწილეობა ომში უფრო ეფექტური იქნებოდა. ხოლო საქართველოდან აქტიური მოქმედება კი, თავის მხრივ, აიძულებდა თურქებს ცენტრალური ფრონტი შეესუსტებინა, რაც დუნაის რაიონში მოქმედ რუსეთის არმიას მდგომარეობას ნაწილობრივ შეუმსუბუქებდა.

იმერეთის ელჩმა თავისი მისია, შექმნილი ვითარების წყალობით, წარმატებით დაამთავრა. რუსეთის მთავრობამ დამხმარე ჯარი გამოგზავნა, სესხსაც იძლეოდა და შეძლებისდაგვარად დიპლომატიური დახმარების გაწევის პირობასაც ღებდა.

რაც მთავარია, დიდი რუსეთი თურქეთის წინააღმდეგ იარაღს იღებდა, ეს კი ხელსაყრელ ვითარებას ქმნიდა დასავლეთ საქართველოს წინაშე მდგარი ამოცანების გადასაჭრელად.

ტოტლებენი და მოურავოვი რუსის ჯარის სამი ასეულით 1769 წლის 26 სექტემბერს იმერეთის საზღვარზე მივიდნენ, სადაც მათ 27 სექტემბერს სოლომონ მეფე, კათალიკოსისა და დიდებულების თანხლებით, შეხვდა. 28 სექტემბერს ტოტლებენს სოლომონ მეფისათვის განუცხადებია, რომ მას დავალებული აქვს: იმერეთის ციხეებიდან თურქების განდევნა და მეფისადმი

<sup>1</sup> შდრ. Грамоты, I, 39—50, 475 (რატომღაც ლიტერატურაში ეს ასე გაგებული არ ჩანს).



მისი ქვეშევრდომების დამორჩილება, თუ ეს ვერ მოახერხა სოლომონ I-ს თავისი ოჯახით წაიყვანს რუსეთში, სადაც მეფე პატივით იქნება მიღებული<sup>1</sup>.

1769 წლის 3 ოქტომბერს რუს-ქართველთა ჯარი შორაპნის ციხეს შემოადგა.

## II

1768 წლის ნოემბერში რუსეთის მთავრობას ქართლ-კახეთის სამეფოს თურქეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმა საეჭვოდ მიაჩნდა და ასე მსჯელობდა: „Ираклий, имея нужду защищать свое владение только от Лезгинцов, а от Турков будучи отделен... совсем не чувствует тягости турецкого соседства“<sup>2</sup>. რუსეთში შიშობდნენ, ერეკლემ სოლომონსაც არ ურჩიოს თურქეთთან ბრძოლაზე ხელის აღებაო: „...когда больше предуспето не будет..., что-б Соломону не отговаривал вступить с турками в новую войну, или давно начатую, но от усталости потухшую, новыми стремительствами разжечь...“<sup>3</sup>

რუსეთის მთავრობის თვალსაზრისი ამ მხრივ არც 1769 წლის მაისში ჩანს არსებითად შეცვლილი. ინსტრუქციაში, რომელიც მოურავოვს მისცეს, ის აზრი იყო განვითარებული, რომ ერეკლეს აშკარა „დახმარება“ სოლომონ მეფისადმი საეჭვოდ იყო მიჩნეული, ამიტომ ავალებდნენ მოურავოვს (იგულისხმება ტოტლებენსაც), თუ ერეკლეს არ შეუძლია აშკარად დაეხმაროს იმერეთის მეფეს, ფარული დახმარება მაინც გაუწიოს მას, როცა ლეკებთან ომით დაკავებული არ იქნებაო<sup>4</sup>.

რუსეთის მთავრობის სიფრთხილეს გარკვეული საფუძველი ჰქონდა: ქართლ-კახეთის სამეფო იმ დროს თურქეთის უღელქვეშ მყოფი ქვეყნების რიცხვს არ ეკუთვნოდა და, ცხადია, საქმე ვასალის აჯანყებისაკენ მოწოდებას როდი ეხებოდა. მაგრამ ერეკლე II-ის წერილები ერთი შეხედვით ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს რუსეთის მთავრობის ეჭვი უსაფუძვლო გამოდგა და ქართლ-კახეთის სამეფოს მიმხრობა უფრო ადვილი საქმე აღმოჩნდა, ვიდრე რუსეთში ვარაუდობდნენ. კიდევ მეტი, ცნობილი დოკუმენტებიდან<sup>5</sup> ისეთი შთაბეჭდილებაც იქმნება, თითქოს ერეკლეს წინადადებისათვის ანგარიში არ გაუწევიათ, მაგრამ ქართლ-კახეთი ომში მაინც ჩაება. პროფ. ცაგარელი წერდა: ტოტლებენს, 16 დეკემბრის წერილით, ერეკლეს თხოვნით ჯარის გადიდებაზე უარი შემოუთვალესო<sup>6</sup>.

საქმის ვითარების შესწავლამ სხვა სურათი გადაგვიშალა.

რუსეთსა და თურქეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა ერეკლესათვის ხვაბულოვის საქართველოში ჩამოსვლამდეც ცნობილი ყოფი-

<sup>1</sup> Грамоты, I, 69.

<sup>2</sup> იქვე, 6-7.

<sup>3</sup> იქვე, 7.

<sup>4</sup> იქვე, 46-47.

<sup>5</sup> Грамоты, I და II.

<sup>6</sup> შდრ. Грамоты, I, стр. XI (შესავალი).



ლა<sup>1</sup>. რუსეთის წარმომადგენლის საქართველოში გამოჩენა ერეკლეს სასარგებლო საქმედ მიუჩნევია და საწყენადაც კი მიუღია, რომ ხვაბულოვი ჯერ იმერეთის მეფესთან მიდიოდა, რადგან ერეკლე თავის თავს საქართველოში უპირველესად და უძლიერესად თვლიდა<sup>2</sup>. ხვაბულოვის იმერეთიდან ქართლში დაბრუნების დროს თბილისში თურქი ელჩები ყოფილან, რომელთაც ნეიტრალიტეტი უთხოვიათ. მაგრამ ერეკლეს არა თუ მიუღია თურქების წინადადება, მას, თურქი ელჩებისათვის რუსეთის წარმომადგენლის მოსვლის დაფარვის მიზნით, ხვაბულოვი ქართულ ტანსაცმელში გადაცმული ჩამოუყვანია თბილისში, ხოლო როცა თურქებს აგენტების საშუალებით შეუტყვევიათ ხვაბულოვის ადგილსამყოფელი და ბინის თვალდევრება დაუწყიათ, თურქი ელჩები გაუეჭვებია კიდევ. 1769 წლის 11 აპრილს ერეკლეს რუსეთის წარმომადგენელი მიუღია<sup>3</sup>.

რუსეთის წარმომადგენელთან საუბარში ერეკლე II-ს, როგორც ხვაბულოვის მოხსენებიდან ჩანს, განუცხადებია: „...хотя при малом снабдени его здешними (რუსეთის—ვ. მ.) войсками,—აუწყებდა ხვაბულოვი რუსეთის მთავრობას—может многие турецкой области города завоевать, и хотя до самого Царя-града; помощные ж здешние силы нужны болше и для того, что самым их вступлением в Грузию нанесетца страх нетолко в турецкой и персической сторонах, но и во всех тамошних околичностях, и все почувствуя, что он, царь Иракли, принят в выс. е. и. в. покровительство, содрогнутца“...<sup>4</sup>

1769 წლის 21 მაისს, როგორც ზემოთ აღინიშნა, სოლომონ I ჩამოსულა თბილისში. მეფეებს თურქეთის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედება დაუთქვამთ. ერეკლეს საიდუმლო სამზადისიც კი დაუწყია, მაგრამ გადაწყვეტილებას ძალა ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი ერეკლეს მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა. სახელდობრ, თუ რუსეთი 7—5 პოლკ (7—5 ათას კაცს) და მხმარე ჯარს გამოგზავნიდა („...а без помощных сил всем своим состоянием принять ему движение на войну не можно...“<sup>5</sup>—აუწყებდა ხვაბულოვი მთავრობას) და თუ თურქეთთან ზავის დადებისას ტრაქტატში ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ იქნებოდა შეყვანილი.

როგორც ითქვა, ხვაბულოვის მისია ცნობების შეგროვებითა და ქართველებისათვის ბრძოლისაკენ მოწოდებით განისაზღვრებოდა. მას დაპირების მიცემა არ შეეძლო. ამიტომ მეფეებმა შეარჩიეს ელჩები რუსეთში გასაგზავნად (ა. ანდრონიკაშვილი და დ. კვინიხიძე). ვიდრე ელჩები გაემგზავრებოდნენ, რუსეთიდან ხვაბულოვს ცნობა მოუვიდა იმერეთის სამეფოს დასახმარებლად ჯარი იგზავნება და გზის საკითხი მოაგვარეო<sup>6</sup>. რუსეთის მთავრობის ეს

<sup>1</sup> Грамоты, II, в. 1, 6.

<sup>2</sup> Грамоты, I, 426.

<sup>3</sup> Грамоты, I, 427.

<sup>4</sup> Грамоты, I, 428.

<sup>5</sup> Грамоты, I, 429.

<sup>6</sup> ჯარის რაოდენობა და შეიარაღება ხვაბულოვისათვის უცნობი იყო. პატაროვი აცნობებდა სავარტო კოლეჯიას—მართალია ხვაბულოვს ვაცნობე ჯარის გავზავნის შესახებ, მაგრამ „не открывая и Хвабулову число людей и орудий“. ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, л. 4, ч. 1, л. 93—95.



ნაბიჯი არ შეიძლებოდა ერეკლეს გარკვეულ მობრუნებად არ მიეჩნია რუსეთის პოლიტიკაში; ქართლ-კახეთის მეფის აქტიობის ზრდაც, რაც გამოქვეყნებულ დოკუმენტებით რელიეფურად ჩანს, ამით უნდა აიხსნას. ალბათ, ამის გამო იყო, რომ 1769 წლის 5 ივნისის წერილით<sup>1</sup> ერეკლე II ნ. პანინს აცნობებდა—თურქების წინააღმდეგ საბრძოლველად გამზადებული ვართ, თანახმად თქვენი წინადადებისა, მხოლოდ გაწვრთნილი ჯარი გამოგვიგზავნეთ, რომ რუსეთის მხრივ მფარველობა საყოველთაოდ ცხადი გახდესო და ბრძოლას უკეთესი შედეგი მოყვესო.

ხვაბულოვის მოხსენებიდან ირკვევა, ანდრონიკაშვილს მეფისაგან დავალებული ჰქონდა ზებირად განეცხადებია პანინისათვის, რომ როცა რუსეთი მოსახერხებლად დინახავდა ირანთან ომის დაწყებას, ერეკლე მზად იყო გამოსულიყო ირანის წინააღმდეგ, ხოლო ახლა კი, ირანში რომ არ დაეჭვებულეყვნენ ერეკლეს სამზადისით, რუსეთს წერილობით უნდა დაერწმუნებინა ირანის მთავრობა, რომ ეს სამზადისი მის წინააღმდეგ არ იყო მიმართული; მეორე, რუსეთის მთავრობას წიაღისეულის დასამუშავებლად დამხმარე ჯართან ერთად სპეციალისტებიც უნდა გამოეგზავნა<sup>2</sup>. ელჩს თან მიჰქონდა მოხსენებითი ბარათი საქართველოს მეზობლების პოლიტიკურ მდგომარეობაზე<sup>3</sup>.

ანდრონიკაშვილი ხვაბულოვთან ერთად ყიზლარში 21 ივლისს მისულა, მაგრამ სანამ ასტრახანის გუბერნატორისაგან გამგზავრების ნებართვას მიიღებდა, ავად გამხდარა. ამასობაში ყიზლარში ტოტლებენიც მოსულა. კომენდანტს ქართველი ელჩისათვის დაცდა ურჩევია, იქნებ გენერლის და ერეკლეს შეხვედრას დამატებითი დავალებები მოჰყვესო. მაგრამ ელჩი არ დათანხმებულა და კომენდანტი დაპირებია 12 ან 14 აგვისტოს სამეფო კარზე გაგზავნია<sup>4</sup>.

ანდრონიკაშვილს პეტერბურგის კარზე არსებითი როლის თამაში წილად არ ხვდა, რადგან ამასობაში რუსეთის მთავრობის წარმომადგენლები საქართველოში ჩამოვიდნენ, რომელთა ინფორმაციას რუსეთის მთავრობისათვის მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ქართველი დიპლომატის განცხადებებს.

ტოტლებენი საქართველოში ფეხისშემოდგმისთანავე ერეკლეს იმერეთში გატარების ნებართვას სთხოვდა და სწერდა საიდუმლო მაქვს გასაცხადებელიო. 1769 წლის 29 აგვისტოს იგი შეხვდა კიდევ ერეკლეს სოფელ ხოდანთან<sup>5</sup>. რა თქმა უნდა, ტოტლებენს გასაცხადებელი არავითარი საიდუმლო, რაც დღეს ცნობილი არ იყოს, არ ჰქონია. ეს საიდუმლო მოურავოვისადმი მიცემული ინსტრუქციით განსაზღვრული ამოცანა—სოლომონ I მეშვეობით ქართლ-კახეთის სამეფოს ომში მიმხრობა იყო<sup>6</sup>. ინსტრუქციის დაწერის შემ-

<sup>1</sup> Грамоты, II, в. I, 6—7.

<sup>2</sup> Грамоты I, 431—432; აგრეთვე: ი. ცინცაძე. XVIII საუკუნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის არქივიდან. წიგნში: მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 32, თბ. 1955, გვ. 132.

<sup>3</sup> Грамоты, II, в. I, 8—13.

<sup>4</sup> ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. 1, л. 120—122.

<sup>5</sup> Грамоты, I, 61—62.

<sup>6</sup> იქვე, 47.



დევ (28 მაისი) სანამ ტოტლებენი პეტერბურგიდან გამოემგზავრებოდა (4 ივლისი) ვითარება შეიცვალა. ამასობაში პეტერბურგში უნდა ჩასულიყო პოტაპოვის 1769 წლის 20 მაისის დათარიღებული მოხსენება<sup>1</sup>, რომლითაც ომში მონაწილეობის თაობაზე ერეკლეს სურვილი ცნობილი გახდებოდა; 1 თვის განმავლობაში სამეფო კარზე მიაღწევდა პოტაპოვის 3 ივნისის მოხსენებაც და, ცხადია, ერეკლეს მიმხრობა წინანდებურად საძნელოდ აღარ იქნებოდა მიჩნეული; ამას გარდა, ტოტლებენი და მოურავოვი ყიზლარში საქმის ვითარებას ხომ უკეთ გაეცნობოდნენ და შეეძლოთ უშუალოდ (სოლომონის გარეშე) შედგომოდნენ ინსტრუქციით დანასაქმს (ერეკლეს მიმხრობა).

ერეკლესთან შეხვედრისას ტოტლებენს ეს „საიდუმლო“ გაუმხელია: „მისი ი. უ. ბრძანებით საქართველოში მოვედიო“<sup>2</sup>. ამ განცხადებას სიხარულით შეხვედრიან ქართლ-კახეთის პოლიტიკოსები. რა თქმა უნდა, საქართველოში გამოგზავნილი რუსეთის ჯარის უმთავრესი ამოცანა ქართველთა ძალების თურქების წინააღმდეგ ომში მიმხრობა-გამოყენება და ცენტრალური ფრონტიდან თურქთა ძალების მოზიდვა იყო და, ცხადია, თუ რუსეთის მოხელეები ასეთი განცხადებით იმერეთთან შედარებით ძლიერ ქართლ-კახეთის სამეფოს მიიმხრობდნენ, რუსეთის მთავრობას საწინააღმდეგო არაფერი ექნებოდა.

29—30 აგვისტოს ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის წარმომადგენლების შეხვედრას გულთბილ ვითარებაში ჩაუვლია.

რუსეთის წარმომადგენლებს შეუტყვიათ, რომ იმერეთის სამეფო ძალზე სუსტი იყო და თურქეთის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის უნარი, ისე რომ რუსეთისათვის თვალსაჩინო სარგებლობა მოეტანა—არ გააჩნდა<sup>3</sup>. ხოლო ერეკლეს მზადყოფნა გამოუთქვამს „დახმარებოდა სოლომონ პირველს“<sup>4</sup>, მაგრამ აქვე მოუთხოვია 5 ათასიანი დამხმარე ჯარი; თუ ეს 5 ათასიანი ჯარი ზამთრამდე გადმოსვლას ვერ მოახერხებდა, 1500 კაცი მაინც გადმოეყვანათ ზამთრამდის, ხოლო დანარჩენი მომავალი წლის გაზაფხულზე. უამისოდ კი, თუმცა— „по всевысочайшему ея и. в. повелению готов объявить туркам войну и Соломону явно или скрытно в спомоществование делать; только присланная теперь воинская команда (სამი ასეული.—ვ. მ.) кажется недостаточна и для того опасается подвергнутся неизвестному жребию войны“...<sup>5</sup>.

გარდა დამხმარე ჯარისა, ერეკლეს მოუთხოვია სპეციალისტები არტილერიის გასამართავად და წიაღისეულ სიმდიდრეთა დასამუშავებლად<sup>6</sup>.

მოურავოვს, ჩანს, ინსტრუქციის მე-4 მუხლის მიხედვით ჩამოუთვლია მიზეზები—საკუთარი საჭიროება ჯარზე, გზის სიძნელე, ჯარის შენახვის სიძ-

<sup>1</sup> Грамоты, 1, 421—422.

<sup>2</sup> იქვე, 62 (საქართველო აქ ქართლ-კახეთის სამეფოს ნიშნავს).

<sup>3</sup> იქვე, 65.

<sup>4</sup> დიპლომატიურად ორივე მხარე თავიანთ გამოსვლას თურქეთის წინააღმდეგ იმერეთისადმი დახმარებად ასალებდა.

<sup>5</sup> Грамоты, 1, 64.

<sup>6</sup> იქვე, 64—65.



ნელე, გაურკვევლობა იმისა, რა სარგებლობა შეუძლია მიუტანონ ქართველებმა ომში მონაწილეობით რუსეთს. პასუხში ერეკლეს დაპირება მიუცია: „...трудность дороги чрез горы он может исправить и в содержании требуемых им войск нимаго врасуждениях своих несумневается, да сверх всего собственные его войски такую помощь могут быть весьма ободрены для превосходных успехов впредь служащих к пользе России“...<sup>1</sup>

რუსეთიდან სპეციალისტების გამოგზავნა დიდ სიძნელეს არ წააწყდებოდა, მით უმეტეს, რომ არტილერიის საქმის სპეციალისტი ჩოლოყაშვილი უკვე გზაში იყო. რაც შეეხება ჯარის გადიდებას, აქ სერიოზული სიძნელე იყო, მაგრამ რუსეთის მთავრობის წარმომადგენლები, დარწმუნებულან რა ერეკლეს მოთხოვნისადმი ანგარიშის გაწევის აუცილებლობაში, ერეკლესათვის დაპირება მიუციათ, რომ მისი მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნებოდა. მოურავოვი წერს: „...граф Тотлебен именем ея и. в. Царя Ираклия во всех его требованиях обнадежил“...<sup>2</sup>. კონკრეტულად, როგორც ერეკლე იუწყება, ტოტლებენი მას სამეფო კარის დაუკითხავად ზამთრამდე 1500 კაცის გადმოყვანასა და დანარჩენზე მთავრობის წინაშე შუამდგომლობას დაპირებია. „...ამისმა ლ. ბ. ათას ხუთასი კაცი აღგვითქუა ბაღალს კარს მოუხსენებლადო“...<sup>3</sup>—წერდა ერეკლე II ნ. პანინს.

ცნობილია, რომ ინსტრუქცია რუსეთის წარმომადგენლებს ავალებდა თავი შეეკავებიათ საექსპედიციო ჯარის გადიდების მოთხოვნაზე დაპირების მიცემისაგან. ცხადია, თავიანთი თანხმობით ისინი ინსტრუქციას არღვევენ. მაგრამ ასეთ ნაბიჯს რუსეთის წარმომადგენლები იმით ასაბუთებენ, რომ იმერეთის სამეფო სუსტია და არსებითი როლის თამაში არ შეუძლია, ხოლო ქართლ-კახეთის ძლიერი სამეფო, თუ მის წინადადებას ანგარიში გაეწევა— ომში ჩაებმება, რაც დიდ იმედებს იძლევა.

1769 წლის 3 სექტემბრის პატაკით მოურავოვი ნ. პანინს წერდა: „Царь Соломон находится в весьма слабейшем состоянии и без Ираклия никакого действия учинить не может...“<sup>4</sup>. ტოტლებენის 5 სექტემბრის წერილიც ამას ადასტურებდა და ჯარის გადიდების მოტივად ამასვე აყენებდა: „...весьма мне следует множить людей по причине той, что от царя Соломона к спомоществованию со стороны его войск никакой надежды не имею...“<sup>5</sup>.

ამასთან, რუსეთის წარმომადგენლების ანგარიშით, რაკი ქართლ-კახეთის ძლიერი, ჭკვიანი და თვითმპყრობელი მეფე, საექსპედიციო ჯარის გაუდიდებლად ომში ჩაბმას არ აპირებდა, საჭირო იყო დათმობაზე წასვლა, რადგან ქართლ-კახეთის ომში ჩაბმით— „непреренно можно ожидать величайших успехов к пользе и славе Российской империи в самое короткое время“<sup>6</sup>.

<sup>1</sup> Грамоты, I, 64.

<sup>2</sup> იქვე, 65.

<sup>3</sup> Грамоты, II, в. 1, 14 (ამას ადასტურებს ტოტლებენიც ერეკლესადმი 1769 წ. 19 დეკემბრის წერილით. იხ. Грамоты, I, 447 и 448).

<sup>4</sup> Грамоты, I, 65.

<sup>5</sup> ЦГВИА. ф. 20. оп. 47, св. 245. д. 4, ч. 1, л. 164.

<sup>6</sup> Грамоты, I, 65.



მოურავოვსა და ტოტლებენს სამეფო კარზე შუამდგომლობით მაიორი თავ. რატიევი გაუგზავნიათ, რომელსაც ერეკლეს, მოურავოვისა და ტოტლებენის წერილებთან ერთად ზეპირი დანაბარებიც ჰქონია<sup>1</sup>. ამ უკანასკნელს ყიზლარსა და ასტრახანში 1500 კაცის გამოგზავნის საქმე უნდა მოეგვარებია, ხოლო შემდეგ პეტერბურგში მთავრობას წარსდგომოდა. მაგრამ რუსეთიდან პასუხის მიღება მალე მოსალოდნელი არ იყო. ცხადია, მანამდე ერეკლე ომში მონაწილეობას არ მიიღებდა და ტოტლებენიც რაზმით ტყვილად ქართლში ხომ ვერ დადგებოდა. ამასობაში რეჰენნიკოვი რაზმით (სამი ასეული) ჩამოვიდა მოზდოკიდან და ტოტლებენი იმერეთისაკენ დაიძრა (1769 წლის სექტემბრის მეორე ნახევარი).

თუ წარმოდგენილ მასალას გადავხედავთ, ცხადი გახდება, რომ ერეკლე II სამხედრო კავშირში შესვლის პირობად მტკიცედ ითხოვს 5 ათასიან დამხმარე ჯარს. იგი უამისოდ თურქეთთან ომს როდი იწყებს. ისმება კითხვა, რატომაა ერეკლე აქტიური? რატომ თანხმდება იგი ომი გამოუცხადოს თურქეთს თუ რუსეთიდან 5 ათასიან დამხმარე ჯარს მიიღებს? მაშინ, როცა თურქეთი ნეიტრალიტეტს თხოვს? მარცხს ხომ შეიძლება მძიმე შედეგები მოყვეს? ამის პასუხი მხოლოდ დადომოსავლეთ საქართველოს როგორც წარსულის, ისე მისი მომავლის პერსპექტივის გათვალისწინებით შეიძლება მოინახოს.

XVI საუკუნიდან მოყოლებული აღმოსავლეთი საქართველო ორი ძლიერი მაჰმადიანური სახელმწიფოს—თურქეთისა და ირანის—ბრძოლის ასპარეზი გახდა. პოლიტიკურად დაქუცმაცებულ ქვეყანას, სადაც შინაფეოდალური ქიშპი არ წყდებოდა, უცხო დამპყრობელთა ბარბაროსულმა თარეშებმა და დროდადრო მძიმე საოკუპაციო რეჟიმმა ილაჯი გაუწყვიტა. წელში გატეხილ ქვეყანას მთიელი აბრაგები მოსახლეობიდან ცლიდა და მის მოჭირნახულეს, ყირიმისა თუ ახალციხის გზით, „აღმოსავლეთის“ მონათა ბაზრებზე ისტუმრებდა. მოსახლეობა შემცირდა, მეურნეობა მოიშალა, თავდაცვა შეუძლებელი ხდებოდა. ქართველი ხალხის არაჩვეულებრივი გმირობითა და მისი ძირძველი კულტურის გასაოცარი გამძლეობით თუ შეიძლება აიხსნას, რომ პატარა ხალხი მაჰმადიანურ ოკეანეში არ ჩაიძირა და საკუთარი ეროვნული სახე შეინარჩუნა.

XVIII საუკ. პირველ ნახევარში თურქი და სპარსელი ასიმილატორების ბარბაროსული პოლიტიკა ქართველი ხალხის ურყევ ნებისყოფასა და მის ნიჭიერ სახელმწიფო მოღვაწეთა გამჭრიახობას შეემსხვრა, „ძნელბედობა“ დაძლეულ იქნა, რა თქმა უნდა, დროებით. 60-იან წლებში გაერთიანებული ქართლ-კახეთი ფაქტიურად დამოუკიდებელი იყო. შინაბრძოლებით დასუსტებული ირანი, რომელსაც მტკიცე და ძლიერი ხელისუფალი არ ჰყავდა, მისი ვეჟილის ქერიმხანის სახით, ქართლ-კახეთის სამეფოსთან მეგობრობით კმაყოფილდებოდა. თურქეთს დასავლეთ საქართველო ვერ დაეწყნარებია, რუსეთთანაც დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა და ამჯერად ქართლზე ხელს ვერ

<sup>1</sup> Грамоты, II, в. 1, 14.



იწვდიდა, ოღონდ ვითარების მოლოდინში აწინდელი ზემო ქართლის კარიბჭესთან მაგრად იჯდა. რა თქმა უნდა, არც თურქეთსა და არც ირანს თავიანთ აგრესიულ პოლიტიკაზე აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ ხელი აღებული არ ჰქონდა.

პროგრესულ ქართველ მოღვაწეს, მესხეთს რომ დახედავდა, არ შეიძლება ბოდა საქართველოს ტრადიციული თვალწინ არ დასდგომოდა და წარსულიცა და აწმყოც კრიტიკულად არ გაეზომა. ქართველები რომ Status quo-საც შერიგებოდნენ, თვით ახალციხის საფაშოს არსებობის ფაქტი ასეთს ვერ ითმენდა, ხოლო ახალციხე რომ ლეგი აბრაგების მეორე ბაზაც იყო, ეს მაშინ უცნობი არ ყოფილა. ასე რომ, მეგობრობა თურქეთთან მომავალი მშვიდობიანობის საწინდარი არ იყო, ხოლო იმერეთის მოთხრის შემდეგ ჯერი, იმავე ბაზიდან (ახალციხიდან) ქართლზე რომ მოდგებოდა, ესეც სადავო არ იყო. თურქეთში დაწყებულ შინაგან კრიზისს საქართველოსათვის, ძალთა უთანასწორობის გზამთ, არსებითი მნიშვნელობა არ ქონდა. ქართველ პოლიტიკოსებს, სამშობლო ქვეყნის გადასარჩენად, თავისი საგარეო პოლიტიკა რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-ირანის პოლიტიკურ ურთიერთობაზე უნდა აეგო. ამიტომ იყო, რომ ერეკლე თურქეთში მომხდარ ამბებს განსაკუთრებით უგდებდა ყურს და მოუთმენლად ელოდა „უჭეშმარიტესა უწყებასა“ რუსეთიდან „მისი იმპ-ს დიდ-ბის და ხუანთქრის ზავის დახსნის“ შესახებ<sup>1</sup>. ხოლო როცა საქართველოში ჩამოსული რუსის ჯარი დაინახა, ერეკლე იმთავითვე თავისი საგარეო პოლიტიკის დღისწესრიგში სამხრეთ საქართველოს თურქი დამპყრობლების უღლისაგან განთავისუფლების საკითხი დასვა.

მართალია, ერეკლე რუსეთთან სამხედრო კავშირს ფართო გეგმებს უკავშირებდა (ქართლ-კახეთის რუსეთის მფარველობაში შეყვანა და ირან-თურქეთის მომავალი პრეტენზიებიდან თავის დაღწევა, ჭარბელაქნის დაპყრობა და ლეკთა თარეშების აღადგენა), მაგრამ უმთავრესი მიანიც ახალციხის მხარის განთავისუფლება იყო, როგორც ამას ცნობილი დოკუმენტი საკმაოდ ნათლად მოწმობს.

ერეკლეს ვარაუდით, რუსეთ-თურქეთის ომი თურქთა ძირითად ძალებს ღუნაის რაიონში აბანდებდა; საქართველოს მოსაზღვრე რაიონებში თურქებს მცირე ძალები ყავდათ და შეიძლებოდა რუსეთის სამხედრო და დიპლომატიური დახმარებით ბრძოლას სასურველი შედეგი გამოეღო.

\* \* \*

1769 წლის 10 სექტემბერს რატივეი ყიზლარში მისულა და პოტაპოვი-სათვის ტოტლებენის 5 სექტემბრის წერილი<sup>2</sup> გადაუცია, რომლის შინაარსი ასეთია: ერეკლე მეფესთან კავშირი დავდე, რათა თურქეთის იმპერიის ჯარს ვებრძოლო, საქმის სასწრაფოდ და წარმატებით დასაწყებად საჭიროა ჯარის

<sup>1</sup> Грамоты, II, в. 1, 6.

<sup>2</sup> ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. 1, л. 164.



გადიდება იმის გამო, რომ სოლომონ მეფისგან არავითარი დახმარების იმედი არა მაქვს; გთხოვთ გამოაგზავნოთ ჰუსარი, რამდენიც შეგიძლია, ჯარისკაცები ყიზლარის და მოზდოკის ბატალიონებიდან, უფის პოლკიდან ერთი ესკადრონი და 300 კაზაკი; შეუფერხებლად გამოაგზავნე ჩოლოყაშვილიც.

პოტაპოვს ერეკლეს წერილიც მიუღია. ალბათ, რატიევის პირადმა განცხადებამაც ზეგავლენა მოახდინა და მას მთავრობის დაუკითხავად ნაბიჯი გადაუდგამს.

1769 წ. 12 სექტემბრის საიდუმლო პატაკით ყიზლარის კომენდანტი საგარეო და სამხედრო კოლეგიებს აცნობებდა: „Что-ж ныне я к нему господину генерал-майору командировал эскадрон и шесть десят, а с прежними сто человек казаков, не доложась сей вышней команде, то сие мною учинено по совершенной ему в том нужде и в разсуждении того, что царь Ираклий со отменною усердностью вступая в дело требует от него... умножения людей, а притом будучи человек проникательной высматривает, может ли он надеется и впредь на прибавление в его земле помощных сил, как ко мне при сем же случае и сам пишет, что ежели не возможность окажется в таком случае по одной некоторой притчине дело остановится принуждено и он царь в великую беду подвержен будет, почему как видно господин генерал-майор граф Тотлебен его и обнадежил, а он царь усмотря сие хотя малое прибавление может без сумнения уверится, что и усугубляться силы“<sup>1</sup>.

რაც მთავარია, პოტაპოვს აწუხებს ის, რომ თუ ჯარი არ გადილდა რუსეთის სასარგებლო საქმე შეჩერდებოდა. აი რატომ დგამს იგი მთავრობის დაუკითხავად ნაბიჯს. თუ ამ კაცის ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკურ მდგომარეობაზე წარმოდგენასაც გავითვალისწინებთ, ეს ნაბიჯი უნაგარიშო არ გვეჩვენება. მას ჯერ კიდევ 1769 წლის მაისში სჯეროდა (რა თქმა უნდა, ერეკლეს დიპლომატიური შიკრიკის ჩავონებით), რომ მთიელი ლეკები, რომლებიც აქამდე საქართველოს აოხრებდნენ, ახლა ერეკლეს მორჩილი და გამგონეა, ერეკლეს მათგან 4 ათასი კაცი სამსახურში ჰყავს და თუ დაჭირდება რამდენიც უნდა გამოიყვანს<sup>2</sup>—ერთი სიტყვით ქართლ-კახეთის ომში მონაწილეობით სასარგებლო შედეგებია მოსალოდნელი.

18 სექტემბერს ტოტლებენის წერილი ასტრახანის გუბერნატორსაც მიუღია, მასაც სათანადო ნაბიჯი გადაუდგამს საქართველოში ჯარის გამოსაგზავნად—„хотя—роговорц иги სამხედრო კოლეგიას 19 სექტემბრის წერილით აცნობებდა—приумножить и не назначено“<sup>3</sup>.

ოქტომბერში რატიევი პეტერბურგში იყო. მისი ზეპირი მოხსენებებითა და მოურავოვის, ტოტლებენის, პოტაპოვის მოხსენებებითა და დასკვნებით რუ-

<sup>1</sup> იქვე, 163 (ხაზი ჩვენია.—ვ. მ.).

<sup>2</sup> იქვე, 93—95 (რა თქმა უნდა, მოტანილი ცნობა სინამდვილეს არ ასახავს).

<sup>3</sup> იქვე, 160—161.



სეთის მთავრობისათვის ცნობილი გახდა, რომ ომში ქართლ-კახეთის მონაწილეობას შეუძლია გარკვეული შედეგი გამოიღოს. ამავე დროს ცნობილი იყო ისიც, რომ ერეკლე 5 ათასიანი დახმვარე ჯარის მიღების გარეშე ომში არ ებმებოდა.

ცენტრალურ ფრონტზე საომარ კამპანიას 1769 წელს არსებითი შედეგები არ მოჰყოლია და, ცხადია, ასეთ დროს რუსეთისათვის მოკავშირე ძვირფასი იყო. რუსეთში კი იცოდნენ, რომ ერეკლეს 30—50 ათასიანი ჯარის გამოყვანა შეუძლია<sup>1</sup>; იგი ჰკვიანია, საქმიანია, მტკიცე ხელისუფლება აქვს, შეუძლია ჯარის მომარაგება და გზის მოწესრიგება<sup>2</sup>; მონღოლების მხრივ ჯარის გადიდების საკითხში გარკვეული ნაბიჯებიც პრაქტიკულად გადადგმულია.

ასეთ ვითარებაში რუსეთის მთავრობა საექსპედიციო ჯარის გადიდებას დათანხმდა და 1769 წლის 22 ოქტომბრით დათარიღებული ბრძანება გაეგზავნა სამხედრო კოლეგიას, რომელსაც ხელს აწერდა ეკატერინე II. ბრძანებაში ნათქვამი იყო:

„Усмотря из рапортов генерал-майора графа Тотлебена, что находящиеся теперь у него войск недостаточно к произведению порученных ему от нас действий всевысочайше повелеваем умножить его корпус таким образом, чтоб включая и те войски, которыя при нем уже действительно находятся, состоял оной из одного пехотного и имянно Томского полку, одной мушкатерской роты, двух эскадронов карабинер, двух эскадронов гусар, двух сот донских казаков и трех сот калмык, да полевой артиллерии кроме полковых пушек двенадцати орудей с принадлежащим числом артиллерийских служителей“<sup>3</sup>.

იმპერატორის 22 ოქტომბრის ბრძანებას აქვს დანართი, სადაც მოცემულია ჯარის შტატი და მომავალი (1770) წლის ხარჯთაღრიცხვა.

ამ დანართის მიხედვით ჯარის ოდენობა უდრის 3767 კაცს, ხოლო ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულია 134.600 მან. და 94<sup>1</sup>/<sub>4</sub> კაპიკი<sup>4</sup>.

როგორც ჩანს რუსეთის მთავრობას ერეკლეს წინადადებისათვის ანგარიში არსებითად გაუწევია და საექსპედიციო ჯარის რიცხვი 9-ჯერ და კიდევ მეტად გაუდიდება, ხოლო საქართველოში გამოგზავნილი ჯარის შესახებ ხარჯები 22.256 მანეთიდან 134.600 მანეთამდე<sup>5</sup>, რაც საისტორიო ლიტერატურაში შეუმჩნეველი რჩებოდა<sup>6</sup>.

<sup>1</sup> შდრ. Грамоты, I, 86, 432; ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. 1, л. 93—95.

<sup>2</sup> Грамоты, I, 64—66.

<sup>3</sup> ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. 1, л. 181.

<sup>4</sup> იქვე, 182—183.

<sup>5</sup> ეს თანხა ერეკლეს 1770 წლის შემოსავალს ბევრად ქარბობდა (შდრ. უფრ. „კვალი“, 1898, მარტი, № 11).

<sup>6</sup> რა თქმა უნდა, პროფ. ცაგარელი ცდებოდა, როცა ეკატერინე II-ის 16 დეკემბრის წერილში ჯარის გადიდების თაობაზე მხოლოდ უარს ხედავდა (შდრ. Грамоты, I, 85—89 და იქვე, გვ. XI). ეკატერინე მეორისა და ნ. პანინის 1769 წლის 16 დეკემბრის წერილებში არსები-



\* \* \*

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1769 წლის 3 ოქტომბერს რუს-ქართველთა ჯარი შორაპნის ციხეს შემოადგა. ტოტლებენს გარნიზონისაგან (23 კაცი) დანებება მოუთხოვია, რაზედაც უარი მიუღია. ამასობაში იმერეთის ტერიტორიაზე დადიანი და თურქები შემოჭრილან; სოლომონ I-ლი იძულებული გამხდარა მტერს შეეგებებოდა. ტოტლებენი ციხეზე დაუტოვებია. ოთხი დღის უშედეგო გარემოცვის შემდეგ ტოტლებენს ციხეზე ალყა მოუხსნია და 13 ოქტომბერს იმერეთიც დაუტოვებია. 29 ოქტომბერს ტოტლებენი და მოურავოვი რუსის სამხედრო რაზმით ცხინვალში იყვნენ.

რატომ დაბრუნდა რუსეთის საექსპედიციო რაზმი ქართლში?

მოურავოვის 29 ოქტომბრის პატაკით იმერეთიდან უშედეგოდ დაბრუნება სურსათისა და ალაფის ნაკლებობითაა ახსნილი<sup>1</sup>. რა თქმა უნდა, მთავარი მიზეზი ეს არ ყოფილა. ცნობილია, რომ 1770—1771 წლებში იმერეთში რუსეთის 4 ათასიანი კორპუსი ახერხებდა სურსათ-სანოვავის შოვნას და თითქოს 1769 წელს 400 კაცის შენახვა შეუძლებელი გახდა, დაუჯერებელია. ტოტლებენის 1770 წლის 6 აპრილის პატაკითაც დასტურდება, რომ მოხდოკიდან გამოსვლის შემდეგ 1770 წლის 6 აპრილამდე ჯარს შიმშილობა არ განუცდია, თუმცა იმერეთში ყოფნისას ადგილი ჰქონდა ნაკლებობას, „однако напротив того производимо было в сутки каждому по четыре конейки за что оне наивсегда довольствовались...“<sup>2</sup>—წერდა ტოტლებენი ჩერნიშევს. ასე რომ სურსათის ნაკლებობის იმერეთიდან რუსის ჯარის დაბრუნების მიზეზად გამოცხადება უსაფუძვლოა.

მოურავოვის 1769 წლის 12 ოქტომბრის პატაკით იმერეთის დატოვება რუსეთის მთავრობის თვალში დასაბუთებულია და მომავალი (13 ოქტომბრის) პრაქტიკული ნაბიჯი წინასწარ გამართლებულია. მისი მოხსენება ისეა აგებული, რომ ჯერ იმერეთის მძიმე მდგომარეობაა აღწერილი და შემდეგ დასკვნა მოყვება: „Соломон услугу и пользу всероссийскому имп. престолу показать не в состоянии“<sup>3</sup>.

იქვე ავტორი ქართლ-კახეთის მდგომარეობის აღწერაზე გადადის და ასაბუთებს, რომ ქართლ-კახეთს 15 ათასიანი ჯარის გამოყვანა შეუძლია და თუ რუსეთიდან 5 ათასიანი ჯარი იქნება გამოგზავნილი, ქართლ-კახეთის შედარებით ძლიერი სამეფო ომში ჩაებმება და ეს უკანასკნელი „в состоянии оказать в самое короткое время больших успехов и услуг“<sup>4</sup>.

თად მხოლოდ გაფრთხილებაა, რომ მომავალში ტოტლებენმა და მოურავოვმა ერეკლეს ახალი დაპირება არ მისცენ. რაც შეეხება ერეკლეს წერილში დაცულ ცნობას 15 პოლკის მოთხოვნის შესახებ, იგი მეფის დიპლომატიურ ნაბიჯად მიგვაჩნია. მოურავოვის პატაკიდან (შდრ. Грамоты 1, 64) ცხადი ხდება, რომ ერეკლეს მოთხოვნა არსებითად 5—7 პოლკს ან 5—7 ათას კაცს ენებოდა.

<sup>1</sup> Грамоты, I, 443.

<sup>2</sup> ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245. д. 4, ч. III, л. 49—52.

<sup>3</sup> Грамоты, I, 74.

<sup>4</sup> იქვე, 76.



მაშასადამე, რაკი იმერეთიდან თურქეთის წინააღმდეგ ომის გაშლის დიდი პერსპექტივა არ ჩანს, აუცილებელია ერეკლე-ტოტლებენის წინასწარი შეთანხმების პირობის განადღება<sup>1</sup>, ყოველ შემთხვევაში ბრძოლა მაინც მისი რეალიზაციისათვის. რუსეთის ჯარის იმერეთიდან დაბრუნებაც ამ სახით წარმოგვიდგება (მართალია, რუსეთში პრაქტიკული ნაბიჯები ჯარის გასადიდებლად გადაიდგა, მაგრამ საქართველოში იგი გვიან გახდა ცნობილი).

ჩვენ არ ვიცით, მიიღო თუ არა ტოტლებენმა იმერეთში რაიმე ცნობა ყიზლარის კომენდანტისა და ასტრახანის გუბერნატორის მიერ გადადგმული ნაბიჯების შესახებ, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. ყოველ შემთხვევაში, 29 ოქტომბერს, როგორც ტოტლებენის 1769 წ. 3 ნოემბრის წერილიდან ჩანს, მას მთავრობის დაუკითხავად დრაგუნთა ესკადრონი (158 კაცი) და 70 კაზაკი მიუღია, რისთვისაც მადლობა შეუთვლია პოტაპოვისათვის<sup>2</sup> (საფიქრებელია, ტოტლებენმა რაიმე ცნობა ყიზლარის კომენდანტის ნაბიჯის შესახებ იმერეთშივე მიიღო და ქართლშიც ამიტომ დაბრუნდა).

ხსენებულ წერილში ტოტლებენი ყიზლარის კომენდანტს ისევ დამატებით ჯარს თხოვდა და პირველი წარმატებით (ჯარის მიღებით) წახალისებული თავის გეგმასაც უმხელდა: „Я единственно только ожидаю сикурсу и потому имею взять движение прямо к Ахалцыху... ибо мне надлежит упреждать, не упуская ни малейшаго к тому время, пока еще неприятель в небольших силах обращается“<sup>3</sup>.

რა თქმა უნდა, შორაბნის ციხესთან (სადაც 23 თურქი იჯდა) გაწვილებული გენერალი 1500 კაცის მოლოდინში ახალციხეზე ლაშქრობის ფართო გეგმას ვერ დაისახავდა, თუ აქ ერეკლეს თანამონაწილეობაც გარანტირებული არ ყოფილიყო. ერეკლე—ტოტლებენის შეხვედრა სექტემბრის პირველი რიცხვებიდან ნოემბრის დასაწყისამდე არ საბუთდება დოკუმენტებით. მაშასადამე, ახალციხეზე ერთობლივი ლაშქრობის გეგმა 1769 წ. აგვისტოს ბოლოსა და სექტემბრის დასაწყისში უნდა გადაწყვეტილიყო, ოღონდ მისი განხორციელება დამატებით ჯარის (1500 კაცი) მიღებამდე იყო გადადებული. ამასთან, ტოტლებენის წერილში ხაზგასმული—დავასწროთ მტერს, ვიდრე მცირე ძალები ყავსო—ერეკლეს მიერ პანინისადმი გაგზავნილ 4 სექტემბრის წერილში<sup>4</sup> გამოთქმული აზრის გაჟეორებაა, მხოლოდ ერთი განსხვავებით: ერეკლე საერთოდ ლაპარაკობს მტრისათვის დასწრებაზე და არა კერძოდ ახალციხეში დასწრებაზე. მაგრამ ვიდრე შედეგი იქნებოდა, კონკრეტული გეგმის გამხელას აზრი არ ჰქონდა. არც ტოტლებენს უთქვამს რაიმე აღრე (5 სექტემბრის წერილებში პოტაპოვისა და ბეკეტოვისადმი) მტრისათვის ახალციხეზე დასწრების შესახებ.

საბუთების შესწავლას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ახალციხეზე ლაშქრობის გეგმა ერეკლეს ტოტლებენთან პირველი შეხვედრებისას წამოუყენებია,

<sup>1</sup> წინასწარი შეთანხმება გულისხმობდა: თუ ტოტლებენი შეძლებდა 1500 კაცის მთავრობის დაუკითხავად დაუყოვნებლივ გადმოყვანას, ერეკლე ომში ემზებოდა.

<sup>2</sup> ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. 1, л. 266—267.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> შდრ. Грамоты, II, в. 1, 14.



ტოტლებენს ეს გეგმა მიუღია და ამიტომ ცდილობდა სასწრაფოდ ყიზლარ-ასტრახანიდან 1500 კაცის მიღებას, რომ ეს გეგმა განეხორციელებინა.

იმერეთიდან რუსის ჯარის ქართლში დაბრუნება, რამდენადაც იგი მიზნად ისახავდა ერეკლესთან კავშირში ფართო მასშტაბის ოპერაციების გაშლას, ობიექტურად იმერეთის სამეფოსათვისაც სასარგებლო იყო. ცხადია, ახალციხის დაკავების შემდეგ იმერეთის ციხეების განთავისუფლება, რომლებშიც 20—23 თურქი ჯარისკაცი იჯდა, მხოლოდ დროის საკითხი იყო.

გენერალმა ერეკლეს წინაშე დაპირება ვერ შეასრულა<sup>1</sup> და 1769 წელს რუს-ქართველთა ჯარი ახალციხეზე ვერ დაიძრა.

თუ ზემოთქმულს გავითვალისწინებთ, შეიძლება იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ ერეკლე მეორემ, როგორც კი რუსის ჯარი საქართველოში დაინახა, — თავისი საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ დასვა სამხრეთ საქართველოს განთავისუფლების საკითხი. ამ მიზნისათვის რუსის ჯარის სამი ასეული სრულებითაც არ იყო საკმარისი, ამიტომ მეფე 5 ათასიანი ჯარის მიღებისათვის იბრძოდა.

რუსეთის მთავრობისაგან არავითარი ცნობა არ იყო. მენაპირე უფროსებიც დაპირებას ვერ ასრულებდნენ. 1769 წლის დეკემბერში ტოტლებენი თვით წავიდა ჯარის გადმოსაყვანად. 1770 წლის 1-ლ იანვარს ტოტლებენი მოზდოკში იყო, საიდანაც 6 იანვარს სამი ასეულითა და კახაკებით საქართველოსაკენ წამოვიდა<sup>2</sup>. სულ საქართველოში მყოფი რუსის ჯარის რიცხვი 1770 წლის 3 თებერვლისათვის ნაჩვენებია (1769 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში მოსული—658 კაცი, 1770 წლის იანვარში ტოტლებენის მიერ მოზდოკიდან გადმოყვანილი 570 კაცი) 1228 კაცი<sup>3</sup>.

რაც შეეხება იმპერატორის 1769 წლის 22 ოქტომბრის ბრძანებით განსაზღვრული საექსპედიციო ჯარის (3767 კაცი) დანარჩენ ნაწილს, სამხედრო კოლეგიას იმავე წლის 25 ოქტომბერს გაუფხავნია სათანადო ბრძანებები, მაგრამ მან, გარკვეული მიზეზების გამო, ჩამოსვლა დაიგვიანა. ტომსკის პოლკმა, შტატით 2.093 კაცი, პოლკოვნიკ კლავერის მეთაურობით, 1769 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში გადმოლახა ვოლგა ყაზანთან და 1770 წლის 10 იანვარს ცარიცინში მოვიდა<sup>4</sup> (სადაც გაიზამთრა). 1770 წლის 16 მარტს ტომსკის პოლკი ცარიცინიდან მოზდოკისაკენ დაიძრა<sup>5</sup>, 18 აპრილს მოზდოკში მოვიდა, ხოლო 30 აპრილს მოზდოკიდან საქართველოსაკენ წამოვიდა და იენისში ანანურში შეუერთდა აწყურტიდან დაბრუნებულ ტოტლებენს<sup>6</sup>—მას შემდეგ რაც ავანტურა ჩაუშალა<sup>7</sup>.

<sup>1</sup> მართალია, ასტრახანის გუბერნატორმა სცადა გამოეფხავნა დამატებითი ჯარი, მაგრამ ცდა უშედეგოდ დამთავრდა (შდრ. ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. 1, л. 217, 218—220).

<sup>2</sup> იქვე, 329—330, 387—388.

<sup>3</sup> იქვე, 406, 393.

<sup>4</sup> იქვე, 424, 297—303, 425—428.

<sup>5</sup> ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. II, ფურცელი 650—651, 539.

<sup>6</sup> ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. II, л. 581—583.

<sup>7</sup> რუსეთის საექსპ. კორპუსში ე. წ. შეთქმულების შესახებ ცალკე წერილში გვექნება საუბარი.



სამხედრო კოლეგიამ, 1769 წლის 25 ოქტომბრის ბრძანებით, რატიევს დაავალა ჰუსართა ორი ესკადრონისა, რომლის მეთაურად იგი დანიშნა, და კარაბინერთა ორი ესკადრონის ჩამოყალიბება. რატიევი გზაში ავად გახდა, რის გამო მან მხოლოდ 1770 წლის იანვრის შუა რიცხვებში მიაღწია ყიზლარსა და მოზდოკს, სადაც შეუდგა დავალებული საქმის შესრულებას. 1770 წ. 26 მარტს რატიევი ჰუსართა ესკადრონით, დრაგუნთა რაზმით, არტილერიის საჭურვლითა და ქვემეხებით (400-მდე კაცი) ყიზლარიდან გამოვიდა, აპრილის დასაწყისში მოზდოკიდან, ხოლო 28 აპრილს დუშეთში იყო<sup>1</sup> (ტოტლებენის ავანტურისტული გამოსვლის დროს რატიევის რაზმი თბილისში იყო ერეკლესთან, ხოლო როცა ეს ავანტურა უვნებელი გახდა, რატიევი 30 მაისს რაზმი ტოტლებენს ანაწურში აუყვანა)<sup>2</sup>. რაც შეეხება 300 ყალმუხს, მართალია, ისინი 1770 წლის ზაფხულში გამოგზავნეს საქართველოში, მაგრამ მთიელებმა რაზმი არ გამოატარა (ტოტლებენის ავანტურას მთიელების მხრით ეჭვი და გზის ჩაკეტვა მოჰყვა), ყალმუხებმა დრო იშოვნეს და ყველანი გაიქცნენ, ხოლო მათი გამცილებელი ბოუმგარტენი ხელცარიელი დაბრუნდა ყიზლარში. ყალმუხების რაზმი საერთოდ არ ჩამოსულა საქართველოში. რუსეთის მთავრობამ ისინი 1771 წელს კახაკებით შეცვალა<sup>3</sup>.

ამრიგად, 1770 წლის თებერვლიდან აპრილამდე რუსეთის საექსპედიციო ჯარის რიცხვი საქართველოში ფაქტიურად არ გაზრდილა<sup>4</sup>. მაგრამ

<sup>1</sup> ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, л. 4, ч. I, л. 194—197, 448—450, 411.

<sup>2</sup> ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, л. 4, ч. II, л. 581—583.

<sup>3</sup> 1770 წლის 11 ივლისს ნეიში (ყიზლარის კომენდანტი) საიდუმლო პატაკით აცნობებდა მთავრობას: მთიელები გზებზე არავის ატარებენ, „следующей в Грузию калмыцкой команде путь пресекают, выезжая против оной в разных местах партиями“ (ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 172, л. 13, л. 65—66).

1770 წლის 12 აგვისტოს ნეიში მოახსენებდა სამხედრო კოლეგიას: ყალმუხები ბაუმგარტენს გაქცევა, „а за побегом оных осталось при нем только восемьдесят девять человек“ (ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, л. 4, ч. II, л. 705).

1771 წლის 16 თებერვალს პატაკით ტოტლებენი აცნობებდა ჩერნიშევს: „Калмыки хотя триста человек сюда и следовали но все с дороги разбежались..“ ხოლო მათი გამცილებელი ბოუმგარტენი „...возвратясь назад и по днесь живет в Кизляре“ (იქვე, 900, 908). მთავრობამ ეს ამბავი ტოტლებენზე ადრე იცოდა და 1770 წლის 31 დეკემბერს სუხოტინს აცნობებდა, ყალმუხების ნაცვლად დამატებით 300 კახაკი იგზავნებოდა (იქვე, 810).

<sup>4</sup> 1770 წლის 6 აპრილის პატაკით ტოტლებენი აცნობებდა ჩერნიშევს: „Хотя от меня минувшего февраля 1-го пять курьеров в Кизляр и в Астрахань отправлены были и о поспешном марше предлагаемо было, но никакого успеха не видно, как только один поручик Пикспер с пятидесяти одним гусаром и с двумя трех фунтовый единорогами ко мне и с одним подлекарем 26-го марта прибыли з господином подполковником Чоголовым и з господином Капитаном поручиком Львовым..“ (ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, л. 4, ч. III, л. 49—52). ეს 51 კაცი ანგარიშში ჩასათვლელი არ არის, რადგან 1770 წლის 4 აპრილს დაპატიმრებულ ჩოლოკოვს რუსეთისაკენ გამცილებლად უკანვე გაატანეს კაპიტანი ტოტინი 30-ზე მეტი ჯარისკაცით (შდრ. Грамоты, 1, 212), ხოლო თებერვლიდან ასეთი პატიმარი ორი სხვაც (პოდპოლ. ჩოლოყაშვილი და მაიორი რემენნიკოვი) გაიგზავნა. ასე რომ, ასპინძის ომის წინ რუსის ჯარის რიცხვი საქართველოში 1200 კაცს არ აღემატებოდა.



ერეკლესათვის ცნობილი გახდა, რომ რუსეთის მთავრობამ საექსპედიციო ჯარი გაადიდა და დამხმარე ძალები მოდიოდნენ, ამიტომ ერეკლეს ომში ჩაშმა ამიერიდან გადაწყვეტილი იყო.

1770 წლის 17 მარტს ერეკლე 7 ათასი კაცითა და 3 ქვემეხით სურამში მივიდა, სადაც ტოტლებენი 1200-მდე რუსი ჯარისკაცით<sup>1</sup> იყო დაბანაკებული. მალე ერეკლე და ტოტლებენი ქვიშხეთში გადავიდნენ. ხოლო აპრილის შუა რიცხვებში რუს-ქართველთა ჯარი ახალციხისაკენ დაიძრა...

სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სსრ კავშირის ისტორიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1955. XII. 20)

**В. Г. Мачарадзе**

## Из истории русско-грузинских взаимоотношений (60—70 гг. XVIII в.)

Резюме

В период русско-турецкой войны 1768—1774 гг. грузинский народ широко откликнулся на призыв русского правительства и плечом к плечу с великим русским народом боролся против общего врага—султанской Турции.

История совместной борьбы русского и грузинского народов против турецких захватчиков недостаточно изучена. Материалы акад. Буткова и проф. Цагарели не в состоянии представить полную картину событий, ввиду чего в исторической литературе действительность искажена (извращены отдельные факты, ход событий истолкован неправильно и т. д.). На основе вновь найденных документов история образования русско-грузинского военного союза представляется следующим образом:

1. В начале русско-турецкой войны (ноябрь 1768 года), поскольку России приходилось вести войну с Турцией в сложных международных условиях, русское правительство решило обратиться к грузинским царствам с призывом принять участие в войне с Турцией. Вместе с тем

<sup>1</sup> წარმოდგენილი მასალები ა. ცაგარელის მიერ დოკუმენტების I ტომში გამოქვეყნებულ № 27 საბუთის ავტარების საკითხს აყენებს. ყოველ შემთხვევაში, მისი თარიღი (1769 წლის 8 დეკემბერი) იმპერატორის 1769 წლის 22 ოქტომბრის ბრძანების დანართიდან ამონაწერის გაკეთების თარიღი უნდა იყოს და იგი ის „რეესტრი“ უნდა იყოს, რომელიც, ალბათ, საგარეო კოლეგიას ნ. პანინის 1769 წლის 6 დეკემბრის წერილთან ერთად მოურავოვისათვის გამოუგზავნია (შდრ. Грамоты, 1, 81—82, 446). რაც შეეხება 22 ოქტომბრის ბრძანებას, იგი ტოტლებენს, დანართითურთ რატივეის ხელით გამოუგზავნეს.



русское правительство решило оказать Грузии помощь (деньгами, артиллерией и т. д.); с другой стороны, истощенное восьмикратным нашествием турок, имеретинское царство в июне 1768 г. вновь обращается к русскому правительству с просьбой о покровительстве, а если это окажется невозможным—оказать ему хотя бы тайную помощь, за что оно обещало русскому правительству свой союз в будущей войне против Турции. Начало русско-турецкой войны ликвидировало препятствия для удовлетворения просьбы имеретинского царства, и в Петербурге с удовлетворением было встречено сообщение о появлении имеретинского посла в пределах Российской империи.

2. Сразу же по прибытии имеретинского посла Максима Абашидзе в Петербург, в марте 1769 г., было достигнуто русско-имеретинское соглашение. Русское правительство решило выделить военный отряд для помощи имеретинскому царству (по указу императрицы от 27 марта 1769 года Военная Коллегия должна была отправить в Грузию отряд в составе 3-х рот и 6 трехфунтовых пушек со штатом 411 человек), а кроме того послать 50 тыс. рублей царю Соломону.

3. В конце августа 1769 года ген. Тотлебен со свитой около 100 человек и с двумя пушками прибыл в Карли (Восточная Грузия), а в сентябре того же года майор Ременников привел 3 роты экспедиционного отряда. В конце сентября 1769 года ген. Тотлебен с этим отрядом (около 480 чел.) покинул Карли и перешел в Зап. Грузию.

4. В октябре 1769 г., после неудачной осады Шорпанской крепости, Тотлебен с войском вернулся в Карли и, в ожидании вспомогательных сил, намеревался вместе с Ираклием II (по их предварительному соглашению) идти на Ахалцихе.

5. Еще в начале сентября 1769 года Ираклий II убедил представителей России, что положение Западной Грузии очень тяжелое, и поэтому значительных успехов в борьбе с Турцией в Закавказье нельзя ожидать без участия Карли-Кахетинского царства в этой войне. Вместе с тем Ираклий II заявлял, что его царство вступит в войну только в том случае, если представители России сразу добьются перевода в Грузию 1500 человек из пограничных крепостей, а весной будущего (1770) года русский экспедиционный отряд увеличится до 5 тысяч человек. Представители России сочли предложение Ираклия II приемлемым и дали царю соответствующее обещание; для осуществления этого плана в Россию был послан князь Ратиев.

6. Князь Ратиев сперва в Кизляре и Астрахани уладил вопрос о пересылке дополнительных войск (кизлярский комендант и астраханский губернатор приняли решение послать в Грузию без ведома правительства 1500 человек), а в октябре 1769 года предстал перед русским правительством. Русское правительство также сочло предложение царя Ираклия прием-



лемыми, и Указом Екатерины II от 22 октября 1769 года Военной Коллегии поручалось увеличить экспедиционный отряд в Грузию до 3.767 человек (эти решения русского правительства, при состоянии средств связи того времени, стали известны в Грузии только весной 1770 года. Что же касается прибытия вспомогательных войск, то они достигли Грузии только летом 1770 года, а именно—Томский пехотный полк, в составе 2093 человек, в середине ноября 1769 года выступил из Казани и в конце мая 1770 года достиг пределов Грузии).

7. Хотя еще осенью 1769 года кизлярский комендант и астраханский губернатор решили прислать в Грузию 1500 человек без ведома правительства, им это не удалось. Только из Кизляра был прислан драгунский эскадрон (158 чел.), что не меняло положение дел. Поэтому Ираклий II воздерживался от начала открытых действий, хотя Ираклий и Тотлебен намеривались еще осенью 1769 года занять Ахалцихе, пока турки в районе Ахалцихе располагали незначительными силами.

8. Не дождавшись ответа из России, в декабре 1769 года Тотлебен сам поехал в Моздок и оттуда в начале февраля 1770 г. привел около 500 человек (численность экспедиционного отряда достигла около 1200 человек).

9. Весной 1770 года до Грузии дошла весть о том, что русское правительство приняло решение увеличить экспедиционные войска и что вспомогательные силы уже в пути. После этого Ираклий II решает немедленно выступить на борьбу с Турцией. В марте 1770 г. Ираклий II с 7.000 корпусом прибыл в Сурами и оттуда вместе с русским экспедиционным отрядом (около 1200 чел.) в середине апреля двинулся к Ахалцихе.

10. Из всего вышеизложенного ясно, что при оценке событий в Грузии в апреле и мае 1770 года надо учесть, что в распоряжении Тотлебена находился малочисленный отряд (около 1000—1200 чел.), а не четырехтысячный корпус, так как: а) Томский пехотный полк (2093 человек) в конце апреля выступил из Моздока и только в июне присоединился к Тотлебену в Ананури; б) отряд Ратиева (400 человек) в конце апреля прибыл в Грузию и до конца мая находился в Тбилиси у царя Ираклия; в) 300 калмыков еще с дороги сбежали и в Грузию не прибыли. Кроме того, надо учесть и то обстоятельство, что Тотлебен из малочисленного отряда еще в начале апреля под разными предлогами удалил ни в чем не провинившихся старших офицеров, чем фактически обезглавил малочисленный отряд и сделал военный совет послушным себе.



ოთარ ჯინორია

## დანტეს როგორც „შუასაუკუნეთა უკანასკნელი და ახალი დროის პირველი პოეტი“

დანტეს, როგორც ხელოვანისა და მოაზროვნის, კულტურულ-ისტორიული ადგილის პრობლემა როდი შემოიფარგლება მხოლოდ დანტეს პიროვნებისა და ეპოქისადმი ინტერესით. მას გაცილებით უფრო ფართო მნიშვნელობაც აქვს დანტესეული პოეტური მემკვიდრეობის შემდგომ ეპოქებში „ცხოვრების“, ამ ეპოქათა კულტურულ განვითარებაში მონაწილეობის თვალსაზრისით. დღეს ამ პრობლემას განსაკუთრებული აქტუალობა ენიჭება, რამდენადაც თანამედროვე ბურჟუაზიული ფსევდოისტორიოგრაფიას საგანგებო მიზნად აქვს დასახული იმ ეპოქათა შორის საზღვრის მოშლა, რომელთა ზღურბლზედაც დანტეს კოლოსალური ფიგურა დგას, სახელდობრ, რენესანსის ეპოქის შუასაუკუნეთა წინაშე დისკრედიტაცია, რის შესაბამისადაც ამ „ისტორიოგრაფიის“ მესვეურნი მხოლოდ შუასაუკუნებრივ ადამიანად სახავენ დანტეს, მის პიროვნებასა და შემოქმედებაში მხოლოდ შუასაუკუნებრივს აცხადებენ არსებითად და ღირებულად, ზოგადკაცობრიულად და მარადიულად.

წინამდებარე ნარკვევი მიზნად არ ისახავს დანტეს შემოქმედებითი მემკვიდრეობის საკუთრივ, მეტ-ნაკლებად გაშლილ განხილვას. მისი ამოცანა შემოიფარგლება ამგვარი განხილვისათვის აუცილებელი რიგი პრინციპული, უპირატესად მსოფლმხედველობრივ-იდეოლოგიური ხასიათის საკითხის იმ ასპექტებში გაშუქებით, რომელიც ენგელსის ცნობილი ფორმულის პრინციპში ჩნდება.

ენგელსის ფორმულა, რომ თავისი კულტურულ და ლიტერატურულ-ისტორიული ადგილით დანტე „შუასაუკუნეთა უკანასკნელი და ახალი ეპოქის პირველი პოეტი“, დანტეს პიროვნებისა და შემოქმედების თითქოსდა იმგვარ გაგებას უშვებს, რომ დანტე, როგორც მოაზროვნე და ხელოვანი, როგორც „გაორებული“ იყოს; რომ დანტეს ქმნილებებში ურთიერთის გამომრიცხველ რღვევად შუასაუკუნებრივ და ქმნად რენესანსულ ელემენტთა შეუთანხმებელ ჭიდილს ჰქონდეს ადგილი; რომ ბეატრიჩეს მგოსანი იმგვარად ყოფილიყოს „ძველიცა“ და „ახალიც“, შუასაუკუნებრივიცა და რენესანსული ადამიანიც, რომ თითქოსდა „ორი დანტე“ არსებულებიყოს და ამ „ორ დანტეს“ შორის რაიმე ერთიანობა არ არსებულებიყოს.



მაგრამ ნამდვილად ენგელსის ეს ფორმულა, რომელიც დანტეს პიროვნებისა და შემოქმედების ღრმა შინაგან წინააღმდეგობრიობას მიუთითებს, გაგებული უნდა იქნას არა ამგვარად მექანიკურად, არამედ იმ აზრით, რომ მსოფლმხედველობრივ-იდეოლოგიურად და შემოქმედებრივად დანტე ჯერ კიდევ შუასაუკუნებრივ ნიადაგზე დგას და არც ცდილობს შუასაუკუნებრივი კულტურის ჩარჩოებს გასცილდეს, მაგრამ, ამავე დროს, ისე აჯამებს და ასრულებს ამ კულტურის განვითარებას, რომ „შიგნიდან“ არღვევს და ხსნის მას, რითაც მისი წიაღიდან ახალი, რენესანსული კულტურის ჩასახვა-განვითარებისათვის ქმნის წინამძღვრებს; ენგელსის ფორმულის თანახმად, დანტე, როგორც შუასაუკუნეთა უკანასკნელი ანუ დამამთავრებელი ადამიანი, რენესანსის ეპოქის დამწყებიც ანუ პირველი ადამიანიცაა, რომლის ნააზრევ-ნაღვაწში ძველი ეპოქის შემოქმედებითი პოტენციალი ამოიწურება და ამავე ეპოქის ნიადაგზე ახალი დროის სახეც იკვეთება.

დანტეს ისტორიული ადგილის ამგვარი განსაზღვრა, პირველყოფლისა, იმ კონკრეტულ ხანას, XIII—XIV საუკუნეთა მიჯნას შეესაბამება, რომელშიც დანტეს როგორც ამდროინდელი იტალიის, — „ამ პირველი კაპიტალისტური ქვეყნის“ (ფ. ენგელსი), — მოწინავე ქალაქის, ფლორენციის, შვილს უხდნენ. ცხოვრება. ეს ხანა მთელი იტალიის მასშტაბით იმდენად ისტორიული გარდატეხის, ძველსა და ახალს შორის გადამწყვეტი ბრძოლის ეტაპს კი არ წარმოადგენს, რამდენადაც მხოლოდ პროლოგს ამ გარდატეხისას, მხოლოდ დასაწყისს ამ ბრძოლისას.

დანტეს დროისათვის ფლორენციაში კაპიტალისტური ურთიერთობა უკვე საკმაოდ ფართოდ არის გაშლილი და ბურჟუაზია საკმაოდ მტკიცედ დამკვიდრებულია. მაგრამ ახალი წყობილების ჩასახვა-განვითარება აქ, ისევე როგორც იტალიის სხვა მოწინავე ქალაქებში, ჯერ კიდევ მკვრივი ფეოდალური გარემოცვის წიაღში წარმოებს და ამ გარემოცვის ძლიერ ზეგავლენას განიცდის.

ამით იყო პირობადებული ის წინააღმდეგობრივი მოვლენა, რომ დანტეს დროინდელი ფლორენციული კულტურა ყალიბდებოდა როგორც თავისი არსებითი, წამყვანი ტენდენციებით ახალ-ბურჟუაზიული, მაგრამ თავისი ფორმით ძველ-არისტოკრატიული კულტურა.

რაოდენ ძლიერადაც მაღლდებოდა დანტე თავის თანაზღვროვე მშობლიურ სინამდვილეზე, იგი მაინც ამ სინამდვილის შვილი რჩებოდა, მის წიაღში წარმოქმნილი და ჩამოყალიბებული, მისი თვისობრივი ნიშნებით აღბეჭდილი: ისიც არსებითად ახალი, მაგრამ ძველი ფორმებიდან თავდაუღწვევლი პოეტი და მოაზროვნე იყო.

ფლორენციულ სინამდვილესთან დანტეს ამ ორგანულ კავშირს, უწინარეს ყოვლისა, ის მოწმობს, რომ როგორც პოეტი იგი საუკეთესო წარმომადგენელი და დამაგვირგვინებელი ვახდა ე. წ. „ახალი საამო სტილისა“, რომელიც უპირატესად გველფფური ნობილიტეტის, ფინანსურ-ბურჟუაზიული არისტოკრატიის პოეტურ სკოლას წარმოადგენდა, სკოლას, რომელშიც ძველი პროვანსული საკარო-სარაინდო ლირიკის ტრადიციული ფორმა უკვე ახალი



ბურჟუაზიულ-ჰუმანისტური ფილოსოფიურ-მორალური ელემენტებით იმსკვა-  
ლებოდა.

მშობლიურ სინამდვილეზე კი დანტეს ამაღლებულობა იმაში გამოიხატა.  
რომ თუკი ფლორენციის მაშინდელი გველფური სოციალური და კულტურუ-  
ლი პრაქტიკისათვის ახალი არსისა და ძველი ფორმის ერთგვარად შეთანხმე-  
ბული, კომპრომისული კავშირი იყო დამახასიათებელი, დანტეს შემოქმედე-  
ბაში ეს არსი ძლევამოსილად იქვემდებარებდა ამ ფორმას და თუ კი ჯერ  
კიდევ ვერ სძლევდა მას, მტკიცე წინამძღვრებს ქმნიდა მისი მოახლოებული  
დარღვევისა და მოხსნისათვის.

\* \* \*

შუასაუკუნეებრივი კულტურა, მთლიანად აღებული, ქრისტიანულ გარს-  
ში გახვეული კულტურაა. მაგრამ მისი განვითარების გასწვრივ ორი ურთი-  
ერთ საპირისპირო მსოფლმხედველობრივ-იდეოლოგიური ნაკადის ქიდილი  
შეიმჩნევა. ეს ნაკადებია, ერთის მხრივ, ოფიციალური, საეკლესიო ქრისტია-  
ნობა, რომელიც, ენგელსის თქმით, წარმოადგენდა „ფეოდალური წყობილე-  
ბის უმაღლეს განზოგადებასა და სანქციას“<sup>1</sup>, და მეორეს მხრივ, ერეთიკული  
მისტიკა, რომელიც, ენგელსის თანახმად, როგორც „ფეოდალიზმის წინააღ-  
მდეგ რევოლუციური ოპოზიციის“ ერთ-ერთი მთავარი სახე, მსოფლმხედველობ-  
რივ საფუძვლად ედებოდა ეკლესიის, ამ უძლიერესი ფეოდალური ინსტიტუ-  
ტის წინააღმდეგ მიმართულ „ყველა რევოლუციურ, სოციალურსა და პოლი-  
ტიკურ მოძღვრებასა“ და აგრეთვე „შეიარაღებულ აჯანყებებს“<sup>2</sup>.

საეკლესიო ქრისტიანობის მსოფლმხედველობრივ არსს კათოლიკური  
მისტიციზმი წარმოადგენს, რომელიც სამყაროსა და ადამიანურ ბუნებას ორ  
ურთიერთგამომრიცხველ საწყისად, „მალალ“-სულიერ და „მდაბალ“-მატერია-  
ლურ ელემენტებად ანაწევრებს.

მართალია, ყოველივე არსებულის ღვთაებრივი წარმომავლობის დოგმა-  
ტი ქრისტიანულ ფილოსოფიას მონისტურად სახავს: რამდენადაც ყოველივე  
არსებული ღვთაებრივი წარმოშობისაა, იგი შეუძლებელია მანკიერი, არა-  
სრულქმნილი, არაქვეშარიტი იყოს, და, ამდენად, სულიერსა და მატერიალურს  
შორისაც სუბსტანციურ-თვისებრივი ერთიანობა უნდა სუფევდეს. მაგრამ  
სამყაროს ერთიანობის ეს იდეა ორთოდოქსულ ქრისტიანულ მოძღვრებაში  
სრულ ფიქციად იქცევა: აქ, სრულიად შეუთანხმებელი რჩება სულიერის „სი-  
მაღლისა“ და მატერიალურის „სიმდაბლის“ დოგმატი, რომელიც რეალურ,  
ქმედით საფუძველს წარმოადგენს ქრისტიანობის პრაქტიკული, პირველყოფ-  
ლისა, ეთიკური მსოფლალქმისა. ამდენად თავისი ნამდვილი რაობით ქრის-  
ტიანობა ღრმად დუალისტური მსოფლმხედველობაა, რომლის არსი სულიე-

<sup>1</sup> K. Марке и Ф. Энгельс, Соч., т. VIII, стр. 128.

<sup>2</sup> იქვე, 83. 128, 129.



რისა და მატერიალურის სპირიტუალისტური ურთიერთგათიშვით, პირველის განდიდებითა და მეორის დამცირებით ისაზღვრება.

ეს უკიდურესი დუალიზმი კათალიკურ მისტიციზმს მთლიანად გადააქვს ადამიანების ბუნებაზედაც, თანაც იმგვარად, რომ მის „ამაქვეყნიურს“ ანუ ნამდვილს ყოფიერებაში ადამიანი არსებითად ყოველივე სულიერისაგან, ყოველგვარი ამალღებულობისაგან განძარცული რჩება. „პირველი შეცოდების“ შედეგად ადამიანის ღვთისაგან განდგომის დოგმატზე დაყრდნობით კათოლიკური მისტიციზმი ადამიანის ღვთისაგან მოწყვეტილობას, ადამიანში ღვთაებრივ-სულიერი „საწყისის“ დათრგუნვილობასა და ჩახშულობას, ადამიანის თავისი „მდაბალ-მანკიერი“ ხორციელი ბუნებისადმი დამონებულობას ამტკიცებს. ამდენად, კათოლიკური მისტიციზმის არსს ღვთის უსაზღვრო განდიდება და ადამიანის უსაზღვრო დამცირება შეადგენს, რაც თავის ფორმალურ გამოხატულებას იძენს პრინციპში: „Ad majorem Dei gloriam — უზენაესი დიდებისათვის ღვთისა“.

ღვთისა და ადამიანის სწორედ ასეთი დაპირისპირების ძალით იქცევა კათოლიკური ქრისტიანობა ფეოდალური წყობილების განზოგადებად და სანქციად.

კათოლიკური მისტიციზმის სახით დამკვიდრდა ქრისტიანობა შუასაუკუნეთა ეპოქის გაბატონებულ, ოფიციალურ მსოფლმხედველობად და იდეოლოგიად. და დანტეც იმდენად იყო შუასაუკუნეებრივი, „ძველი“ ადამიანი, რამდენადაც ქრისტიანულ მსოფლმხედველობრივ ნიადაგზე იდგა და კათოლიციზმის მიზანდასახულებას იღებდა; რამდენადაც მასაც სურდა ამაქვეყნიდან იმიერისაკენ გაეკაფა გზა, გაედვა ხიდი, რომლის გადავლითაც ადამიანი თავისი „მიწიერი“ მანკიერებისაგან იხსნიდა თავს და „ზეციურ“ სრულყოფილებას ეზიარებოდა.

მაგრამ დანტეს, როგორც შუასაუკუნეთა ეპოქის უკანასკნელი ადამიანის, ცნობიერებაში ქრისტიანობა უნდა დასრულებულიყო და გადაშფიფებულიყო. მართლაც, იღებს რა ქრისტიანულ იდეალს, კათოლიკური მისტიციზმის მიზანდასახულობას, დანტე მას იმგვარად განახორციელებს, მიწასა და ზეცას შორის ისეთ ხიდსა სდებს, რომ არა მხოლოდ კათოლიკური მისტიციზმი, არამედ საერთოდ ქრისტიანული დუალიზმი შიგნიდან რღვევასა და თავის წინააღმდეგობად გადაქცევას იწყებს: არსებითად დანტეს მსოფლალქმაში სამყარო წარმოგვიდგება იმანენტურ, თვისებრივ-სუბსტანციურ ერთიანობად, რომლის დაურღვეველი წყობის გამოუკლებ წევრსაც ადამიანი წარმოადგენს.

თავის ამ კულტურულ-ისტორიულ მისიას დანტე ერეთიკული მისტიკის მსოფლმხედველობრივ საფუძველზე ასრულებს.

როგორც მისტიციზმის გარკვეული სახეობა ანუ სპირიტალისტურ იდეალისტური მსოფლმხედველობა, ყოველგვარი მისტიკა, თავისდათავად აღებულ, რეაქციულია. მაგრამ აღრე-შუასაუკუნეთა ანუ კათოლიკური მისტიციზმის ბატონობის ეპოქაში ერეთიკული მისტიკის უმრავლესი სახე, მეტადრე კი ის მოძღვრებანი, რომელნიც მსოფლმხედველობრივ საფუძველად ედებოდნენ ქალაქურ ერესს, რომელიც, როგორც ენგელსი აღნიშნავს, „შუასაუკუნეთა ოფი-



ციალური ერესი იყო“ და „უმთავრესად მღვდლებს ესხმოდა თავს<sup>1</sup>, უპირატესად ფორმით წარმოადგენდა რეაქციულ მსოფლმხედველობას. შინაარსობლივად ისინი საღ, რაციონალურ მარცვალს, პროგრესულ-რევოლუციური ტენდენციას შეიცავდნენ, რომელიც უწინარეს ყოვლისა კათოლიკური ეკლესიის, საბოლოოდ კი ამ უკანასკნელის მიერ განზოგადოებულ-სანქცირებული ფეოდალური წყობილების წინააღმდეგ იყო მიმართული<sup>2</sup>. ცხადია, რომ თავისი სპირიტუალისტურ-იდეალისტური გარსით ძლიერ შებოქილი, ეს პროგრესული ტენდენცია მეტად შეზღუდულია და მისი რევოლუციური ძალაც შედარებითია, ე. ი. ის მხოლოდ კათოლიკური მისტიციზმის პირისპირ და მისი ბატონობის ეპოქაში, შუასაუკუნეთა ფარგლებშია მოქმედი. ამდენად, როგორც კათოლიკური მისტიციზმის მრღვეველი, მაგრამ საერთოდ ქრისტიანული სპირიტუალიზმის ფარგლებიდან გამოუსვლელი, —ერეთიკული მისტიკა ხსენებულ მარცვლის სახით თუმცა შეიცავს ახალი, რენესანსული მსოფლმხედველობის, მატერიალიზმისა და რაციონალიზმის ჩანასახს, მაგრამ მაინც ამ მსოფლმხედველობის წინაშე უკვე რეაქციულ ფაქტორად იქცევა და კიდევაც უარი-ყოფა მის მიერ<sup>3</sup>.

როგორც ქრისტიანული სპირიტუალისტურ-იდეალისტური მოძღვრება, ერეთიკული მისტიკაც განასხვავებს ერთმანეთისაგან სულიერს, ვითარცა „მაღალსა“, და მატერიალურს, ვითარცა „დაბალს“, და ადამიანს ცხოვრების მიზნად უსახავს „მიწიერი“ მანკიერების დაძლევისა და „ზენარულ“ სრულყოფილებამდე ამაღლებას. მაგრამ იგი არ ამყარებს ღვთაებრივსა და ადამიანურს შორის ისეთ შორეულ დისტანციას, რომელიც მათ იმანენტურ, სუბსტანციურ ერთიანობას გამორიცხავს. ის სხვაობა და წინააღმდეგობა, რომელთაც იდეალურ-„ზეციურსა“ და რეალურ-„მიწიერს“ შორის იგი უშვებს, უფრო რაოდენობრივია, ვიდრე თვისებრივი, და ანტიტომაც, ქრისტიანული

<sup>1</sup> K. Марке и Ф. Энгельс, Соч., т. VIII, стр. 129.

<sup>2</sup> როგორც ენგელსი აღნიშნავს, ერეთიკული მოძრაობანი, რომელთაც მისტიკური მოძღვრებები ედებოდა მსოფლმხედველობრივ საფუძვლად, ყოველთვის როდი ატარებდნენ რევოლუციურ ხასიათს; ზოგი მათგანი, მაგალითად, ვალდენსებისა და შვეიცარელ მწყემსთა პატრიარქალური ერესი, თავისი „ფორმითაც და შინაარსითაც“ იყო რეაქციული (K. Марке и Ф. Энгельс, Соч., т. VIII, стр. 129), რაც მისი სოციალურ-პოლიტიკური რეტროგრადიზმით, პატრიარქალური იდეოლოგიით იყო საზღვრული. მისტიკურ მოძღვრებათა საერთო ხასიათი ამ ნარკვევში იმ ასპექტითაა გადმოცემული, რომლითაც ისინი თავიანთი შინაარსით რევოლუციურ ერეთიკულ მოძრაობებს უკავშირდებოდნენ.

<sup>3</sup> ეს გარემოება, ცხადია, არ გამორიცხავს ერეთიკულ-მისტიკურ იდეათა რენესანსის გარკვეული ეტაპისათვის შედარებით პროგრესულობას. სახელდობრ, ადრეული რენესანსის ხანაში, როდესაც კათოლიციზმის ძალა ჯერ კიდევ დიდი რჩება, ხოლო ახალი მატერიალიზმი და რაციონალიზმი ჩამოყალიბება-განვითარების საწყის სტადიაზე იმყოფებიან, მისტიკა ჯერ კიდევ ინარჩუნებს თავის პოზიტიურ ძალას, სულაც ფორმად იქცევა მათი ქმნადობისა (მაგალითად, იტალიაში — პეტრარკასთან, მარსილიო ფიჩინოსთან); თუმცა უკვე ამ დროიდანვე დაიძლევა იგი თანმიმდევრულად ამ ახალი მსოფლმხედველობის ზრდის შესაბამისად, ისე რომ, მაგალითად, ჯორდანო ბრუნოსთან ჯერ კიდევ პანთეისტური გარსის სახით შენარჩუნებული, საბოლოოდ იხსნება ახალი მატერიალიზმისა და რაციონალიზმის მამამთავრებთან, ფრენსის ბეკონსთან და დეკარტთან.



მსოფლმხედველობის ფარგლებში ამ მსოფლმხედველობის ორთოდოქსულ-კონსექვენტურ სახეობას, კათოლიციზმს, იგი მონისტური მსოფლალქმის სახით უპირისპირდება; სწორედ ეს შედარებითი მონიზმი საზღვრავს მის ზემოთ აღნიშნულ რაციონალურ მარცვალს.

ამ შედარებითი მონიზმის წყალობით იჭრება მისტიკაში მატერიალიზმის ნაკადი, რომელიც თავისთავად შეზღუდულია და სუსტი, მაგრამ შუასაუკუნეთა ფარგლებში მაინც იმდენ ძალას იძენს, რომ მისტიკას „ერეთიკულ“ ხასიათს აძლევს და არა მხოლოდ კათოლიკური მისტიციზმის, არამედ საერთოდ ქრისტიანობის წინააღმდეგ რევოლუციურად მიმართულ მსოფლმხედველობად აქცევს.

ქრისტიანული ფილოსოფიის ძირითადი დებულებიდან, რომ ღმერთი შემოქმედი, მიზეზია, ხოლო სამყარო მისგან გამომდინარე შედეგი, შემონაქმედი, ერეთიკული მისტიკა ლოგიკურად თანმიმდევრულ დასკვნას იღებს ღვთისა და ქვეყნის არსობრივი, სუბსტანციურ-თვისებრივი ერთიანობის შესახებ. მართალია, ისიც ახდენს სამყაროს ღვთისა და ანგელოსებიდან ადამიანამდე და არა ორგანულ ბუნებამდე მოყოლებულთვისებრივ გრადაციას, რომელზედაც კათოლიციზმი საეკლესიო იერარქიას ამყარებს და რომელიც, მარქს-ენგელსის თქმით, „ფეოდალიზმის იდეალურს ფორმას წარმოადგენს“<sup>1</sup> და ამით ისაზღვრება კიდევ ერეთიკული მისტიკის შუასაუკუნეებრივი შეზღუდულობა, რომლის ძალითაც იგი, არსებითად, ფეოდალიზმის ფარგლებში მოქმედ ანტიფეოდალურ მსოფლმხედველობად იქცევა); მაგრამ, ამავე დროს, ამ იერარქიულ გრადაციას ერეთიკული მისტიკა არ სძენს იმ მკაცრად სუბორდინაციულ ხასიათს, რომელსაც იგი კათოლიკური მისტიციზმისაგან იღებს; სამყაროს ღვთაებრივი ერთიანობის იდეის შესაბამისად ერეთიკული მისტიკა იმას ამტკიცებს, რომ ღვთიური ძალა თუ საწყისი იერარქიის, საგანთა და არსებათა კოსმიური გრადაციის ყოველი საფეხურისთვისაა თანაარსი, რომ ყოველ საგანში, რაოდენ „დაბალიც“ არ უნდა იყოს იგი, ღვთის „ნაპერწყალი“, ცოცხლობს „წილი“ ღვთაებრივი არსებისა, სულისა, და რომ, ამდენად, საგნები და არსებანი ერთმანეთისაგან მხოლოდ ამ „ნაპერწყლისა“ თუ „წილის“ რაოდენობრივი მეტ-ნაკლებობით განსხვავდებიან. მაგრამ ამ ურთიერთგანსხვავებას მათი ერთმანეთისაგან გათიშვა და გაუცხოება კი არ მოაქვს, არამედ, პირიქით, დაახლოება: ეს საგნები და არსებანი, თავიანთი ღვთაებრივი არსის ძალით ურთიერთისაკენ მიისწრაფვიან, — უფრო „დაბალი“ უფრო „მაღლისაკენ“, და ყველანი ერთად თავიანთ „პირველსაწყისთან“, ასე ვთქვათ, აბსოლუტურ „მე“-სთან ამაღლებისა და ერთქმნისაკენ თანახმად პრინციპისა: „Ad maiorem Dei amorem — უზენაესი სიყვარულისათვის ღვთისა!“

ეს სიყვარული, რომელსაც მისტიკა მთელ სამყაროს გაშმსკვალველ და და მამოძრავებელ ძალად მიიჩნევს, არსებითად განსხვავდება იმ სიყვარულისაგან, რომელსაც კათოლიციზმიც სცნობს. იგი იმ გრძნობას წარმოადგენს, რომელიც ორსა და მრავალ არსებას აღეძვრის შინაგანი ნათესაობის განც-

<sup>1</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. IV, стр. 157.



დისას და თავიანთი ბუნების საუკეთესო თვისებათა და უმაღლეს მოთხოვნი-  
ლებათა ერთობლივად, შეთანხმებულად სრულქმნისას. და როგორც ასეთი,  
ეს სიყვარული წარმოადგენს ნამდვილ, მხოლოდ მისტიკურად აღქმულ, ქეშმა-  
რიტად-ადამიანურ გრძობას, ადამიანის მორალური ბუნების უმაღლეს უნარს,  
რომელსაც მისტიკოსები სპირიტუალისტურად მთელს სამყაროზე განავრცო-  
ბენ; ხოლო ამდენად თვით „ღმერთიც“, რომლისაკენაც, როგორც თავისი  
სრულყოფილი არსებისაკენ, „საგნები“ და „არსებანი“ მიისწრაფიან, აგრეთვე  
იცვლის შინაარსს და კათოლიკური, ადამიანისაგან სუბტანციურად განსხვა-  
ვებული ღმერთის საწინააღმდეგოდ იქცევა მისტიკურ პროექციად ადამიანის  
მორალური ბუნებისა, რომლის თვისებრივ უნარსა და მოთხოვნილებას სი-  
ყვარული წარმოადგენს.

და სამყაროს ამ თვისებრივი ერთიანობის იდეის საფუძველზე მისტიკა  
კათოლიციზმისაგან არსებითად განსხვავებულ ურთიერთმიმართებას აღგენს,  
ერთის მხრივ, ადამიანსა და მიწიერ-მატერიალურ ქვეყანასა, ხოლო, მეორეს  
მხრივ, ადამიანსა და ღმერთს შორის.

ერეთიკული მისტიკა „კრიტიკულ“, მაგრამ არსებითად პოზიტიურ და-  
მოკიდებულებას იჩენს „ამაქვეყნიური“ სინამდვილისადმი: მართალია, „მიწიე-  
რი“ ბუნება ნაკლულსა და მქრთალ „ანარეკლს“ წარმოადგენს ღვთაებრივი  
სისრულისა და სიდიადისა, მაგრამ ასეთის სახითაც რჩება სიცოცხლის ვრცელ  
და დიდებულ ტაძრად, მშობლიურ ქმნილებად, რომელიც შემოქმედის არა  
მხოლოდ ყოვლისშემძლეობას, არამედ ადამიანისადმი კეთილმოსურნეობასაც  
ლაღადებს; და როგორც ასეთი, იგი სატანის საუფლო, წაწყდომისა და გაუ-  
ბედურების წყარო კი არაა, არამედ განწმენდისა და ნეტარების სავანეა,  
რომლის წიაღშიც მის სიწმინდესთან ზიარებული ადამიანი თავის საკუთარ  
ღვთაებრივ, მაგრამ შეცოდებით „დაქვეითებულ“ ბუნებას აღამაღლებს და  
სრულქმნის. ხოლო ამის შესაბამისად, „ამაქვეყნიური“ ცხოვრებაც არ წარ-  
მოადგენს მხოლოდ „სასჯელს“, ღვთის მიერ შერისხული ადამიანის „გამოც-  
დას“, არამედ, ამავე დროს, საშუალებადაც იქცევა ადამიანური „ნაკლოვანე-  
ბის“ დაძლევისა და, მაშასადამე, გვევლინება აუცილებელ ეტაპად, წინასა-  
ფეხურად „ზენარულ-მარადიული“ ცხოვრების მოპოვებისა.

და ასევე არსებითად სცვლის მისტიკური სოფლადქმა კათოლიციზმის  
მიერ უზომოდ დამდაბლებული ადამიანისა და ამაღლებული ღმერთის ურთი-  
ერთმიმართებასაც, — ამოკლებს მათ შორის დამყარებულ თვისებრივ დისტან-  
ციას და ანელებს მათ შორის გამძაფრებულ ანტაგონიზმს, ადამიანურებს რა  
ღმერთსა და აღვითურებს რა ადამიანს. წინამძღვრებიდან, რომ საგნები ღვთ-  
ის საყოველთაო ნების ძალით მოქმედებენ და რომ ადამიანი სურვილისამებრ  
მართავს თავისი სხეულის მოქმედებას და გონებით განსჭვრეტს ამ ქმედების  
მონყოლ, თავისი ცხოვრების განსსაზღვრელ შედეგებს, მისტიკა ასკვნის, რომ  
ადამიანური „მე“ წარმოადგენს სუბიექტს, რომელსაც ძალუძს ღვთის ნების  
თანახმად მართოს მატერიალური ბუნება და რომელიც, ამდენად, ყოვლის-  
შემძლე ღვთის ბადალია. და ამ დასკვნის შესაბამისად, კათოლიკურისაგან  
სრულიად განსხვავებულ აზრს იძენს ღვთისადმი მორჩილების ქრისტიანული



იდეა, რომელსაც, ცხადია მისტიკაც იზიარებს; სახელდობრ, ღვთაებრივი ადამიანი კი არ ემონვის, არამედ თავისუფლად, ნებაყოფლობით, ემორჩილება ღმერთს—შინაგანი მოთხოვნების კარნახით, შეგნებული აუცილებლობის შთაგონებით, როგორც საკუთარ თვისს, თავის უმაღლეს, უსრულეს „მე“-ს.

მისტიკის თანახმად, ღმერთი ადამიანის გარეთ კი არაა, არამედ თვით ადამიანშია. გადმოცემისამებრ, პლოტინს, ქრისტიანული მისტიკის ფილოსოფიურ წინაპარს, სიკვდილის წინ უთქვამს: „მე ვგრძნობ, თუ როგორ გადის ჩემგან ღმერთი“-ო. ანდა, მაგალითად, გამოჩენილი გერმანელი მისტიკოსი, მაისტერ ეკჰარტი, რომელიც ქრონოლოგიურად დანტეს თანამედროვე იყო, პირდაპირ აცხადებდა: „Gott ist in dir selbst—ღმერთი შენს თავშივეა“.

სწორედ ადამიანის ამ გაღვთიურებითა და ღმერთის ამ გაადამიანებით, მათი თვისებრივ-ხარისხობრივი ურთიერთდაახლოვებით, მათ შორის ნათესაურ-სასიყვარულო კავშირის, თანხმობის დამყარებით იძენს ერეთიკული მისტიკა თავის პროგრესულ-რევოლუციურ ძალას და იქცევა ხალხური მასების ანტიფეოდალური ბრძოლის იარაღად: იგი უარყოფს ღმერთსა და ადამიანს შორის იმ ბატონ-ყმურ ურთიერთობას, რომლის მტკიცებითაც იქცევა საეკლესიო ქრისტიანული მოძღვრება ფეოდალური ექსპლოატაციის უმაღლეს განზოგადოებად.

ადამიანის ღმერთთან გათანაბრების შედეგად მისტიკაში ძლიერ იჭრება ჰუმანიზმისა და რეალური, ამაჟვეყნიური ცხოვრების მადგინებლობის ნაკადი. მისტიკა ღრმა ნდობას იჩენს თავის მიერ გაღვთიურებული ადამიანის მიმართ და იმის რწმენას გამოთქვამს, რომ თავისი მძალა-ზნეობრივი არსების შეწვევით ადამიანს თვითონ, დამოუკიდებლად და უკვე ამაჟვეყნად ძალუძს თავისი არსებობის უმაღლესი მიზნის, ღმერთის მიღწევა, ანუ,—რამდენადაც ღმერთის ცნება აქ რეალურ-ადამიანური შინაარსით იმსკვალება,—თავისი იდეალური ბუნების რეალიზაცია; მისტიკოსებს სწამთ, რომ, როგორც ამას უკვე „პირველი“ რენესანსული ადიმიანი, ფრანჩესკო პეტრარკა, ამბობს, „ადამიანის კეთილშობილი სული სხვას არაფერს იკმარებს, გარდა თვით ღვთაებისა, გარდა საკუთარი თავისა და თავისი შინაგანი მისწრაფებებისა, გარდა სხვა თავისი მსგავსი სულისა“. ხოლო ადამიანური ბუნებისადმი ამ ნდობა-სიყვარულისაგან გამომდინარეობს მისტიკის არსებითად პოზიტიური დამოკიდებულებაც ადამიანის „ამაჟვეყნიური“ ცხოვრებისადმი: მიუხედავად იმისა, რომ მისტიკა კაცის „ხორციელ“, ფიზიკურ ბუნებას „სულიერზე“ ნაკლებ სრულქმნილად მიიჩნევს, რითაც ასკეტურ მსოფლგანწყობას სავსებით არ უნშობს კარს და რის გამოც ზოგი მისტიკური სექტა უკიდურესი ასკეტიზმითაც კა ხასიათდებოდა, არსებითად და მით უფრო კათოლიციზმთან შედარებით მისტიკა ანტიასკეტური მსოფლმხედველობაა; მართალია, მისტიკოსი კი მიიჩნევს „მიწიერ“ ცხოვრებას წინასწარ, მოსამზადებელ საფეხურად „ზეციურისა“, მაგრამ, ამავე დროს, აღიარებს რა მის თავისთავად ღირებულებასაც, არ შენატრის და არ შეჭხარის სიკვდილს, როგორც ერთად-ერთ მხსნელს სხეულისაგან და ცხოვრებრივი სინამდვილისაგან, რომელთაც კათოლიციზმი სულის „საპრობილედ“ და „ამაოების“ სასუფეველად მიიჩნევს; პირიქით, სიკვდილს იგი აღიქვამს როგორც



სასტიკ უბედურებას, რომელიც ადამიანს მხოლოდ ამა ქვეყნის მშენებლებათ-  
კი არ ასალმებს, არამედ უხშობს ღმერთთან ერთიანობისა და, ამასთან ერ-  
თად, ცოცხლად მყოფობის განცდის უზენაეს ნეტარებასაც; ამ მხრივ მეტად  
ნიშანდობლივია მომავლადი პლოტინის ზემოთ მოტანილი თქმა, რომელიც  
როგორც ღმერთთან შინაგანი ერთიანობის ნეტარს, ისე სიკვდილის შედეგად  
ამ ერთიანობის გაწყვეტის მტკივნეულ განცდასაც გამოხატავს და ამდენად  
მხოლოდ მისტიკურ გააზრებას წარმოადგენს სიკვდილის, როგორც არსებო-  
ბის შეწყვეტის, სასიცოცხლო ძალის დაშრეტის საფესებით ადამიანური, ნორ-  
მალურ-ბუნებრივი ნეგატიური აღქმისა. ხოლო ამ ასპექტში ღვთისადმი მის-  
ტიკური სიყვარული კვლავ თავის წინააღმდეგობად იქცევა, — ადამიანის, რო-  
გორც თვითმადგინებელი ბუნებრივი არსების, სიცოცხლის მწყურვალეობის  
გამომხატველ გრძნობად. და ამდენად მისტიკა თუმცა კი ვერაა მთლიანად  
განთავისუფლებული იმ პათოლოგიური ექსტატურობისაგან, რომელიც ნამდვი-  
ლი, ცოცხალ-ადამიანური ბუნების ქრისტიანულ უარყოფას მოსდევს, მაგრამ  
მიანც, კათოლიკური მისტიციზმის საპირისპიროდ, არსებითად ოპტიმისტურ  
მსოფლმხედველობას წარმოადგენს, რომლის პოზიტიურ, ცხოვრების მაღგინ-  
ებლურ ტენდენციას პირველ რიგში ადამიანის საკუთარი და შემდეგ მისი  
გარემომცველი „ღვათებრივი“ ბუნების სრულქმნილების რწმენა ასაზრდოვებს  
და ასევე, თავისი თუმცა პრიმიტიული, მაგრამ არსებითად მატერიალის-  
ტურ-ჰუმანისტური ტენდენციის ძალით, ერთიკული მისტიკა ეს თეტიკუ-  
რი მსოფლმხედველობის სახით უპირისპირდება კათოლიციზმს, რომელიც  
თავისი სპირიტუალიზმით და ყოველივე ბუნებრივისადმი, ადამიანურისადმი  
მტრობით არსებითად ეწინააღმდეგება ხელოვნებას. რეალურ-ცოცხალი სინამ-  
დვილისადმი გულმიდრეკილი, მასთან უშუალოდ-გრძნობადი კავშირის მაძე-  
ბარი, ბუნების, როგორც ღვთის შემოქმედებითი აზრისა და უნარის დიდმშვე-  
ნიერი ქმნილების, ხოლო თვით ადამიანის, როგორც ღვთაების ამიერი იგი-  
ვეობის აღმქმელი მისტიკა, ნახევრად წარმართულ ხალხურ მსოფლალქმისთან  
ერთად<sup>1</sup>, ნოყიერ ნიადაგს ქმნის ხელოვნების, კერძოდ, პოეზიის აღმოცენება-  
განვითარებისათვის. და ამდენად მისტიკის დიდ ღვაწლს წარმოადგენს ის  
გარემოება, რომ შუასაუკუნეთა ეპოქაში ანუ კათოლიციზმის ოფიციალური  
ბატონობის ხანაში ხელოვნების არსებობა და განვითარება სულაც შესაძლე-  
ბელი გახდა, — გარემოება, რომელსაც კერძოდ ის ფაქტი ამტკიცებს, რომ  
მისტიკას უხდის მეტ-ნაკლებ ხარკს შუასაუკუნეებრივი ლიტერატურის ყველა  
მნიშვნელოვანი ქმნილება, რომელთა შორის უდიდესია დანტეს „ღვათებრივი  
კომედია“.

\* \* \*

ერთიკულ მისტიკასთან დანტეს მჭიდრო კავშირი დიდი ხნის აღიარე-  
ბულ ფაქტს წარმოადგენს, ასე რომ მხოლოდ ამ კავშირისა და დანტეს მსოფლ-

<sup>1</sup> ხალხური მსოფლმხედველობაც თავისი სტიქიური მატერიალისტურ-რეალისტური  
არსით შინაგანად ეუცხოებოდა კათოლიკურ მისტიციზმს და ქრისტიანობასაც, როგორც ასეთს.  
ერთიკული მისტიკის სახით აღიქვამდა და იღებდა ზოლიმე.



მხედველობა-შემოქმედებაზე მისი ზეგავლენის ხასიათი შეიხლება გახდეს აზრთა სხვაობის საგანი. ამ კავშირის ხასიათის სწორი გარკვევა, პირველ ყოვლისა, იმ კონკრეტული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების განსაზღვრას მოითხოვს, რომელიც აპრობებდა ერთიკულ მოძრაობათა განვითარებას იტალიაში, რამდენადაც მისტიკური მსოფლმხედველობა საერთოდ და, კერძოდ, იტალიაში, თავის კონკრეტულ შინაარსს იმის შესაბამისად იღებდა ხოლმე, თუ რა პრაქტიკულ-პოლიტიკურ ფუნქციებს ასრულებდნენ ერთიკული მოძრაობანი.

იტალიაში ერესების განვითარებამ თუმცა ძლიერი, მაგრამ მეტად თავისებური და ღრმად წინააღმდეგობრივი ხასიათი მიიღო. თავისთავად ხალხურ-პროტესტანტულ მოძრაობათა სახით წარმომდგარი, იტალიური ერესები, არა მხოლოდ „ვალდენსების“ პატრიარქალურ-რეაქციული ერესი, არამედ პატარენტა ანუ „მედონძეთა“ პლებეური ერესიცა და, მეტადრე, ფრანცისკანული მოძრაობაც, ჩვეულებრივ „ამაქვევინის ძლიერთა“, პირველ რიგში, პაპისა და იმპერატორის პოლიტიკური ბრძოლის იარაღად იქცეოდნენ და იშვიათად და ხანმოკლედ ინარჩუნებდნენ თავიანთ თავდაპირველ სიწმინდეს. ამიტომაც ისინი არ განირჩეოდნენ რევოლუციურობით და მკვეთრად განსხვავდებოდნენ დასავლეთ ევროპის ყველაზე რადიკალურ, სამხრეთ საფრანგეთში დამკვიდრებულ ალბიგოურ ერესს, რომლის იდეები და განწყობილებანი, სხვათა შორის, ჭარბად იქნენ შეტანილი იტალიურ პოეტურ კულტურაში ტრუბადურების მიერ. საყურადღებოა, რომ იტალიის ქალაქებში და, პირველ ყოვლისა, ფლორენციაში ბურჟუაზიასა და „ურბანიზებულ“ არისტოკრატიას შორის კიდილში ერესები არა პირველის, არამედ უკანასკნელის—გიბელელების იარაღად იქცა, რის გამოც იტალიურ ქალაქურ ერესთა განვითარება თავის მწვერვალს სწორედ გიბელინთა ბატონობის ხანაში, XII საუკუნის 40—60-იან წლებში აღწევს.

მაგრამ იმისდა მიუხედავად, რომ აქ ერესები უპირატესად ცალკეულ პარტიებს უწევდნენ მომსახურებას, გარკვეული მხრით ისინი ფართოდ საზოგადოებრივსა და თანაც პოზიტიურ ფაქტორს წარმოადგენდნენ დანტეს დროინდელ იტალიურ ქალაქთა და განსაკუთრებით ფლორენციის კულტურულ ცხოვრებაში. სახელდობრ, მათ თან ახლდა მისტიკური იდეები, რომელთაც მათი ფილოსოფიურ-მორალური შინაარსი შეიცავდა, ეს იდეები კი, დამოუკიდებლად თუ სულაც საწინააღმდეგოდ იმ პოლიტიკური ფუნქციებისა, რომლებსაც ერესები ასრულებდნენ, მოქალაქეთა ყველა ფენის ყოფასა და იდეოლოგიაში იღვამდნენ ფესვებს თავიანთი საღი და პროგრესული ტენდენციის ძალით. კერძოდ, მისტიკური მსოფლალქმა, რომელიც „ამიერ“ არსებობას გარკვეულ თვითმყოფობასა და თვითღირებულებას უმტკიცებდა და ადამიანს „ზენარული“ ცხოვრების „დაუფიწყებინებლად“ მიწიერ დოვლათთა გამოყენების, ამქვეყნად ბედნიერ-მხიარული ცხოვრების უფლებას სძენდა, ცხოველ გამოხმაურებას პოულობდა ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ბურჟუაზიული საზოგადოების, მეტადრე კი ამ უკანასკნელის უმაღლეს, — popolo grasso-ს, „განუქებულთა“, — ფენებში. ამით განისაზღვრება ის გარემოება, რომ ფლორენციაში კიდევ უფრო მეტად, ვიდრე იტალიის სხვა ქალაქებში, მისტიკის იდეები და განწყობილებები მხოლოდ ერესების პოლიტიკურ მომხრეთა, გი-



ბელინთა „კუთვნილებად“ კი არ იქცა, არამედ გველფებს შორისაც გავრცელდა, რომ, კერძოდ, ამიერი ცხოვრებისადმი მისტიკიდან გამომდინარე კეთილმდრეკილება მათთან ისევე, როგორც გიბელინებთან, მთელი „ცხოვრების ფილოსოფიის“, ერთგვარი „ერეთიკული ეპიკურიზმის“ სახით ჩამოყალიბდა, რომლის ერთ-ერთი უბრწყინვალესი წარმომადგენელიც დანტეს პოლიტიკური მოწინააღმდეგე, მაგრამ ფილოსოფიურ-პოეტური მასწავლებელი და მეგობარი—გიბელინი გვიდო კავალკანტი იყო.

ყოველივე ამის გამო ერესებისადმი დანტეს დამოკიდებულება მეტად წინააღმდეგობრივი უნდა ყოფილიყო: ფლორენციის გველფურ გარემოში ჩამოყალიბებული პოლიტიკოსის სახით დანტე უარყოფითად უნდა განწყობილიყო მათ მიმართ, მაგრამ, ამავე დროს, როგორც იმავე ფლორენციის არსებითად ახალი, ჰუმანისტური კულტურული ტენდენციების ნიადაგზე აღზრდილი ადამიანი, იგი ჭარბად უნდა დასესხებოდა ამ კულტურის გამმსკვალველი; ერესებისაგან მომდინარე მისტიკის მსოფლმხედველობრივ საგანძურს.

კიდევ მეტი: ერესებისა და მისტიკისადმი დანტეს დამოკიდებულების გასარკვევად მხოლოდ ამ წინააღმდეგობრიობის აღნიშვნა როდი კმარა. აქ იმის კონსტანტირებაცაა აუცილებელი, რომ ერესისა და მისტიკისადმი, ისევე როგორც, ერთი მხრივ, მთელი შუასაუკუნეებრივი კულტურული მემკვიდრეობისადმი, ხოლო, მეორე მხრივ, თავისი თანამედროვე იტალიური, კერძოდ, ფლორენციული სინამდვილისადმი დანტეს დამოკიდებულება უაღრესად თავისებური იყო.

საქმე ისაა, რომ დანტე, მართალია, თავისი კლასისა და თავისი დროის შვილი იყო და ამდენად საბოლოოდ ვერ აღწევდა თავს იმ საზღვრებს, რაც მას მისმა ეპოქამ დაუდო, მაგრამ ამავე დროს ის ძლევამოსილად მაღლდებოდა თავისი წარმომქმნელი ეპოქის ემპირიულ დონეზე და ამ სიმაღლიდან უაღრესად აქტიურ მიმართებას იჩენდა თანამედროვე სინამდვილისადმი, თავისებურად აღიქვამდა მას, იმ პოზიტიურ მარცვალთა თვალსაზრისით, რომელთაც ეს სინამდვილე მხოლოდ ჩანასახობრივად შეიცავდა და რომელთა აღმოცენება-გაფურჩქვნა მხოლოდ მომავალ ეპოქებს უნდა მოჰყოლოდა.

სწორედ ამ სუბიექტური ფაქტორით ისაზღვრება დანტესათვის უაღრესად ნიშანდობლივი გარემოება, რომ იგი თუმცა იზიარებს, ერთი მხრივ, თავისი ეპოქის, ხოლო მეორე მხრივ, თავისი ქალაქის გაბატონებულ, დაჰკიდებულ და მიღებულ პოლიტიკურ, რელიგიურ, ეთიკურ და ესთეტიკურ იდეებსა და შეხედულებებს, მაგრამ არასოდეს არ დგება ტრადიციულსა და ოფიციალურ პოზიციებზე; იგი მუდამ უპირისპირებს მათ თავის მკვეთრად და ღრმად ინდივიდუალურ თვალსაზრისს, რითაც თვითონ იქცევა შუასაუკუნეებრივ სამყაროს მიმართ უდიდეს „ერეთიკოსად“ და უშუალოდ უსწრებს წინ რენესანსულ კულტს კრიტიციზმისა და აზროვნების თავისუფლებისა.

ამით აიხსნება. კერძოდ, ის ფაქტი, რომ დანტე არასოდეს ყოფილა „ნამდვილი“ გველფი გველფებთან თავისი „კავშირის“ დროს და „ნამდვილი“ გიბელინი გიბელინებისაგან თავისი „გადახრის“ შემდეგ, როდესაც იგი თავისი პოლიტიკური იდეალის შინაარსით, შეიძლება ითქვას, გველ-



ფებზე მეტად სცილდებოდა გიბელინთა პოლიტიკურ პრაქტიკასაც და თეორიასაც.

ასევე თავისებური იყო დანტეს ერესებისადმი „უარყოფითი“ და მისტიკისადმი „დადებითი“ დამოკიდებულებაც. პირველყოვლისა, ეს დამოკიდებულება თავისუფალი რჩებოდა არა მხოლოდ საეკლესიო, არამედ საერთოდ ყოველგვარი დოგმატიზმისაგან და ნაკარანხევი იყო დანტეს პოლიტიკური და ფილოსოფიურ-მორალური მრწამსით.

ის გარემოება, რომ ჯოჯოხეთში ერეთიკოსთა გვერდით და მათ ერთგვარ წარმომადგენელთა სახით დანტე ათავსებს გამოჩენილ ფლორენციელ გიბელინებს, ფარინატა დელი-უბერტისა და კავალკანტე კავალკანტის, გვიდოს მამს, როგორც „ეპიკურელებს“, რომელნიც „დადადებდნენ შესახებ სულის სიკვდილისა სხეულთან ერთად („ჯოჯოხეთი“ X, 12—13), და მათთან ერთად— აგრეთვე ფრიდრიხ II-საც, რომლის „თავისუფალმოაზროვნეობა“, მარქსის თქმისამებრ, აღმოსავლურ-„პარამხანულ“ განცხრომაში გამოიხატა<sup>1</sup>,—ეს გარემოება სულაც არ მოწმობს იმას, თითქოს დანტე ერესთან ერთად მისტიკასაც ჰგმობდეს, რომლიდანაც მსოფლმხედველობრივად ხსენებული „ეპიკურეიზმი“ მომდინარეობდა. პირველ ყოვლისა, აქ ნათლად აისახება, ერთი მხრივ, ერესის გიბელინებთან კავშირის, ხოლო მეორე მხრივ, ერესთან „ეპიკურეიზმის“ კავშირის ფაქტი. ამასთანავე, ეს გარემოება იმის მაჩვენებელიცაა, რომ ერესიც და „ეპიკურეიზმიც“ დანტესთვის მიუღებელი ხდებოდა სწორედ გიბელინებთან ამ კავშირის გამო, რომელთა არისტოკრატიზმი (რითაც გველფებიც „სწეულდებოდნენ“) მას პოლიტიკურადაც და ეთიკურადაც ეუცხოვებოდა. ეს კი, თავის მხრივ, ცხადია, არ გამოორიცხავდა არა მხოლოდ მისტიკისადმი, არამედ თვით ერესისადმი, გარკვეული თვალსაზრისით, დანტეს პოზიტიურ დამოკიდებულებას.

თავისთავად აღებულნი, „ეპიკურეიზმიცა“ და ერესიც (რომლის მიმდევართაც დანტე არაერთგზის ჰგმობს, ხოლო მათ ჯალათს, დომინიკანელთა ორდენის დამაარსებელს, დომინიკე გუსმანს, სამოთხეშიც კი ათავსებს) დანტეს თვალში სულაც არ წარმოადგენენ უმძიმესსა და გამოუხსოვრებელ ცოდვას, არამედ, პირიქით, რაღაც არსებითად დადებითსაც კი შეიცავენ. „კომედიიდან“ ამის ამოკითხვა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. სახელდობრ, ამას უკვე ის ასტიკებს, რომ სალხინებელში მოთავსებულია ფრიდრიხ II-ზე არანაკლები „ეპიკურელი“, მისი უკანონო ძე და მემკვიდრე მანფრედი, ხოლო სამოთხეში გვხვდება არათუ მხოლოდ რომის მიერ შერიგებული და წმინდანადც შერაცხული „ერეთიკოსი“ ფრანჩესკო ასიზელი, არამედ ისეთი უკიდურესი, ეკლესიის მიერ სასტიკად დაგმობილი და დევნილი „მწვალებელიც“ კი, როგორც იყო სიგიერ დე ბრაბანტი, პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი, XIII საუკუნის უკანასკნელი მესამედის მოღვაწე, რომელიც ადამიანის „გაპალვითურებელ“ მისტიკაზე გაცილებით შორს მიდიოდა და ავეროიზმზე და პერიპატეთიზმზე დაყრდნობით ამტიკებდა მატერიის მარადიულობას,

<sup>1</sup> Архив К. Маркса и Ф. Энгельса, т. V, стр. 250.



სხეტლთან ერთად სულის მოკვდაობას, ფორმათა შეცვლისათვის ღვთის უძლურებას, სამოთხე-ჯოჯოხეთის არ არსებობას, ქრისტიანობის სრულყოფილ მეცნიერებასთან შეუთავსებლობასა და სხვა მრავალ „სულის წამწყმედ“ ჭეშმარიტებას.<sup>1</sup> მაგრამ ამაზე მეტად ამჟღავნებს „ეპიკურეიზმისა“ და ერესისადმი დანტეს არსებითად დადებითს (შესაძლოა, თვით პოეტის მიერ ნათლად შეუცნობელს) დამოკიდებულებას ხასიათი ჯოჯოხეთში ჩაყრილი ერეთიკოსებისა და „ეპიკურელებისა“. ისინი თუმცა სასტიკად იტანჯებიან (ლუსკუმებიდან, სადაც „მწვალებელი“ იმყოფებიან, ისმის „ყვილი, ვაი და ღნავილი გულშემზარავი“, „უსასოო, მწუხარე კენესა“. „ჯოჯოხეთი, X, 127, 130), მაგრამ, ემილ ჟებარის სიტყვებით რომ ითქვას. „ჯოჯოხეთზე ძლიერნი ხდებიან მისადმი თავიანთი ზიზღით“<sup>2</sup>. დანტეზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას სტოვეებს წამებულთა ეს გაუტყეხელი შინაგანი სიმტკიცე, ზვიადი ნებელობითი ძალა, რომელიც მათ შორეულ პროტოტიპებად სახავს მილტონისეული მემამოზე სულებისა:

„საიდან მოდის თქვენი ეგზომ გულგოროზობა,  
როგორა ჰბედავთ ამბოხებას იმ ძალის მიმართ.  
რომელიც მიხანს ჯერ არასდროს არ ასცდენია“?—

სე ჰკითხავს წამებულთ მათთან დანტესა და ვირგილიუსის მიახლოებებისა დანტეს წინ გზად გამავალი ციური შიკრიკი („ჯოჯოხეთი“, IX, 88—100); ხოლო შემდეგ პოეტი დიდი რიდით ესაუბრება „მწვალებელთა“ შორის ყველაზე დარბაისლურად წარმოდგენილ ფარინატას და ამ საუბრის გადმოცე მისას ხაზგასმით დასძენს: „ჩემად მიმზერდა ამაყად და ზვიადად ერთს ხანს“-ო, და კიდევ: „იღვა უძრავად კვლავ ზვიადი და უდრეკელი“-ო („ჯოჯოხეთი“, X, 1 და 75); დასასრულ კი პოეტი ღრმად ჩაფიქრებული სცილდება ერეთიკოსებს.

ერთად-ერთ მსოფლმხედველობრივ წყაროს იმ მემამოზური „გულგოროზობისა“, იმ ამაღლებული „სიამაყისა“, „სიზვიადისა“ და „უდრეკელობისა“, რომელთაც დანტეზე ესოდენი შთაბეჭდილება დასტოვეს, ერესის თანა-არსი მისტიკა წარმოადგენს, რომელიც ღვთის წინაშე ადამიანის თანატოლობისა და თვითმყოფობის გრძნობასა და რწმენას უნერგავს ქრისტიანს.

და უაღრესად ნიშანდობლივია, რომ ამავე ნებელობითი სიმტკიცითა და სიზვიადით, რომლითაც პოეტმა თავისი ერეთიკოსები აღჭურვა და რომელიც მათ უფრო რენესანსული ხასიათის ადამიანებად სახავს, ვიდრე შუასაუკუნეებრივ, ქრისტიანული მისტიციზმით სულიერათ დათრგუნვილ და დამაბუნებულ არსებებად, აღბეჭდილია თვით დანტეს მორალური პიროვნებაც.

<sup>1</sup> ის გარემოება, რომ დანტე მანფრედს სალხინებელში, ხოლო სიგიერს სამოთხეში გა-  
ნუჯუთენებს ადგილს, სრულიად გარკვევით მოწმობს იმას, რომ, ათავსებდა რა ჯოჯოხეთში  
ერეთიკოსთა მასას.—ჩემს გვერდით აქ დაყრილან ათასზე მეტიო“, ამბობს ფარინატა (X,  
18),—პოეტი ყველაზე ნაკლებ ხელმძღვანელობდა საეკლესიო-დოგმატური მოსაზრებებით.

<sup>2</sup> E. Jebel, Mistiche Italia, очерки по истории возрождения религии в  
средних веках. Пер. с французского, С.-П., 1900, стр. 325.



დანტეს ამ შინაგანს ძლევამოსილებას, რომელიც მის ჯერ კიდევ შუასაუკუნებრივ ფიგურას არსებითად რენესანსულ ხასიათს სძენს, გვერდს ვერ უვლის და ვერ ჩქმალავს, მაგალითად, ისეთი ბურჟუაზიული დანტოლოგიკი, როგორიც არის კ. ფოსლერი, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ბეატრიჩეს მგოსანი ქრისტიანული „მორჩილების“, „მორჩილი განწყობის“ ადამიანად დასახოს. იჩენს რა დანტეს სულიერი მძლეობის ფაქტის წინაშე სრულ უმწყობას, იგი წერს: „სასწაულებრივია და უაღრესად განსაკვიფრებელი, თუ რაოდენ ზედმიწევნითაა ამ შუასაუკუნეებრივ ადამიანში განვითარებული პიროვნების ღირსების გრძნობა, თუ როგორ უმაღლვე აღიქვამს იგი, როგორც პირადი ღირსების შებღალავს, უმცირეს შეურაცყოფას, ყოვლად უმანკო შეცდომას, სრულიად უწყინარ გამოვლინებას ცნობისმოყვარეობისა თუ მამბზრობისა. უკანასკნელი, უგვიანესი და უნატიფესი ნაყოფია ზნეობრივი შეგნებისა: შინაგანი სიღარბაისლე იმდენად მტკიცეა, საღი და ცხოველი დანტეში, რომ შეიძლება ვიფიქროთ, თითქოს იგი არა თუ თეოკრატიული და ფეოდალური, არამედ საერო და დემოკრატიული, მთლიანად ინდივიდის პატივისცემაზე დაფუძნებული საზოგადოებისა და კულტურის წიაღიდან ყოფილიყოს წარმომდგარი... განუხრელად და ერთგულად თანსდევს მას ცხოვრებისა და შემოქმედების მანძილზე საკუთარი ღირსების გრძნობა. ამიტომაც წარმოსახება იგი არა როგორც მანეკენი, არამედ როგორც სრული მამაკაცი. თვით უმაღლეს წუთებში მისტიკური მინებებისა (!), თავად ღვთაების ჭკრეტის დროსაც კი რჩება იგი ძველი ძლიერი დანტე, რომელიც არა თუ ნებდება, არამედ შემართებას ლამობს“<sup>1</sup>.

დანტეს ხასიათის ეს არაქრისტიანული სიზვიადე და შემმართებლობა ჯერ-კიდევ მის უახლოეს შთამომავალთაც ხვდებოდა თვალში. ასე მაგალითად, ბოკაჩო „დანტეს ცხოვრებაში“ (§ 12) აღნიშნავდა: „ჩვენი მგოსანი მაღალი და უაღრესად შეუპოვარი ზნისა იყო“-ო; ხოლო ვილანი თავის „ქრონიკაში“ (IX, 136) წერდა, — „ეს დანტე თავისი ცოდნისათვის მეტად ქედმაღალი... და უკარებელი იყო“, „მას ზნე ჰქონდა უმოწყალო ფილოსოფოსისა, რომელმაც არ იცოდა ზრდილ ხალხთან ლაპარაკი“.

მაგრამ თვით მისტიკისადმი დანტეს მიმართებაც უაღრესად ინდივიდუალური და თავისუფალი იყო.

დანტეს თანხმად, ადამიანი საკუთრივ ატარებს თავის თავში ამაღლებისა და ღმერთთან გატოლების ძალას, თავადაა აღჭურვილი „გაღვთიურების“ უნართა და ამდენად, თავისი ზესწრაფვის პროცესში დანტე-ადამიანი თავისთავზე კი არ მაღლდება, არამედ თავის თავს ამაღლებს, თავის ადამიანურ არსებას სრულყოფს და განავრცობს ანუ პოზიტიურად, უშუალოდ თვითონ უტოლდება და ერწყმის ღმერთს. და ამიტომაც, ეს „შერწყმა“, ღვთისადმი „მინებება“, დამორჩილება კი არაა, არამედ, — პირიქით, — საკუთარი ადამიანობის თვითდადგინება, პირადი მეობის თვითგანმტკიცებაა. და დასასრულ, სწორედ ამით აიხსნება ის

<sup>1</sup> K. Vossler, Die Göttliche Komödie. Entwicklungsgeschichte und Erklärung. I. Band, I. Teil, Heidelberg 1907, S. 123.



გარემოება (ფოსლერისათვის გაუგებარი, „სასწაულებრივი და განსაცვიფრებელი“), რომ დანტე პიროვნული ღირსების შეგნებით ყველაზე მეტად სწორედ მაშინ იმსჯელებს, როდესაც „მისტიკური დამძობილების“ ექსტაზში ღმერთთან ერთქმნილად, „გაღმერთებულად“ ანუ,—თუ კი დანტეს აქ ქრისტიანულ საბურველს მოვხსნით, რომელშიც იგი, როგორც შუასაუკუნებრივი პოეტი, ჯერ კიდევ ეხვევა,—ჭეშმარიტ ადამიანად სრულქმნილად გრძნობს თავს.

ხოლო იმის მაგალითად, თუ რაოდენ თავისებურად, ადამიანურად აღიქვამს და გარდაქმნის დანტე მისტიკას, მანტერედის სალხინებელში და სიგიერ დე ბრაბანტის სამოთხეში მოთავსება შეიძლება იქნას მოტანილი. აქ იმდენად ის კი არაა საყურადღებო, რომ დანტემ ეკლესიის მიერ მრავალჯნის და სასტიკად განკიცხულ „მწვალებელთა“ შეწყნარებით „მართლმორწმუნეობის“ მიმართ მანამდე გაუგონარი „მკრეხელობა“ ჩაიდინა, რამდენადაც ის მოტივი, რომელმაც მას ეს ორი უკიდურესი „ეპიკურელი“ იმისდა მიუხედავად შეაწყნარებინა, რომ იგი თვითონ მათ,—პირველის ცხოვრების ხასიათს, ხოლო მეორის მოძღვრებას,—სულაც არ ეთანხმებოდა; ეს მოტივი კვლავ მისტიკურ სოფლადქმას ემყარება თეორიულად, ხოლო თავისი ნამდვილი არსით ღრმად ჰუმანისტურია. ამ მაგალითიდან ჩანს, რომ დანტეს რწმენით,—რომლისთვისაც ყოველგვარი საეკლესიო ფორმალისმი და ფანატიზმია უცხო და რომლის თანახმადაც „ღმერთი ჩვენგან მხოლოდ მორწმუნე გულს მოითხოვს“ (Convivio, IV, 27),—არავითარ მიწიერ ცოდვასა და მანკს (და მით უფრო—ჰაბის ანათემას) არ ძალუძს ადამიანის ღვთისაგან სრული და საბოლოო მოწყვეტა; დანტეს აზრით, საკმარისია წრფელი შინაგანი მონანიება ანდა, სულაც, ცხოვრებრივი გასაჭირის ჟამს ღვთის „უსაზღვრო მოწყალეობისადმი“ იმედის მიპყრობა, რათა შემოქმედმა თავისი „უკვდავი სიყვარული“ დაუბრუნოს თავის ღვიძლ ნაშიერს, ადამიანს. როგორც ჟებარი აღნიშნავს, სიგიერმა დანტეს თვალში იმით გამოისყიდა თავისი „ცოდვა“, იმით მოიხვეჭა ღვთის თანაგრძნობა, რომ, უნივერსიტეტიდან გაძევებისა და შეჩვენების შემდეგ რომს მიმავალმა, უდიდეს ჭირთა თმენაში დალია სული 'ორვიეტოში, სადაც იგი, შიმშილისაგან უკვე გატეხილი, როგორც საფიქრებელია, აწამეს და კიდევაც მოჰკლეს<sup>1</sup>. სწორედ ამ თანაგრძნობით უნდა იყოს შთანერგული ის სიტბო, რომლითაც მეოთხე ცის ერთ-ერთი „ნეტარი სული“ აცნობს პოეტს სიგიერის ლანდს: „აი უქრობი ლამპარი, ნათელი სული სიგიერისა, რომელიც სიკვდილს ელოდა ფიქრთა მწარე შხამით მოწამლული და ჩალის ქუჩაზე ამტკიცებდა სილოგიზმებით ჭეშმარიტებებს, რომელთაც მას მოშურნენი აუმხედრეს“ („სამოთხე“, X, 134–138); ხოლო მანტერედი ასე განმარტავს თავის „მოქცევას:“ „იმ წუთს, როდესაც ჩემი სიცოცხლე ორი სასიკვდილო დარტყმით განგმირეს, მე ტირილით მივმართე იმას, ვინც ყოველივეს მიუტევებს. ჩემი შეცოდებანი საზარელნი იყვნენ, მაგრამ უსაზღვრო მოწყალეობა ეგზომ სრულია, რომ ყველას იღებს, ვინც მას მიმართავს... მაგ-

<sup>1</sup> Ж е б а р, ციტირებული შრომა, გვ. 328—329.



რამ მათი (მანფრედი გულსხმობს კოზენცას ეფისკოპოსსა და პაპ კლინენტს, რომელთაც მისი „სხეული“ სიკვდილამდე სდევნეს—ო. ჯ.) ანათემა ჩვენ ვერ დაგვლუბავს და მანამდე ვერ დაგვიშლის უკვდავი სიყვარულის მოპოვებას, ვიდრე იმედის თუნდაც უმცირესი ყვაილი იშლება ჩვენს გულში“ („სალხინებელი“, III, 118—123 და 133—135).

მართალია, თავისი მსოფლალქმით დანტე მისტიკოსი იყო, და ამდენად შუასაუკუნეებრივი ადამიანიც, მაგრამ, ამავე დროს, პრინციპული განსხვავებაა მასსა და ტიპიურ შუასაუკუნეებრივ მისტიკოსთა შორის. საქმე ისაა, რომ როგორც შუასაუკუნეთა უკანასკნელი ადამიანი, რომლის ნააზრევ-ნაგრძნობი ქრისტიანული კულტურის აღმავლობას ამთავრებს, დანტე მისტიკოსსაც უცვლის საკუთრივ-შუასაუკუნეებრივ ხასიათს და საიმისოდ ამზადებს მას, რათა იგი თავის წინააღმდეგობად გადაიქცეს და საბოლოოდ კიდევაც მოიხსნას. მისტიკოსთან დანტეს კავშირი, არსებითად, იმით ამოიწურება, რომ იგი მისტიკოსს იმ „რაციონალურ მარცვალს“ იღებს, რომელსაც შეიცავდა „ღვთაებრივ სამყაროს“ სუბსტანციური ერთიანობის იდეა.

დანტეს, როგორც შუასაუკუნეთა უკანასკნელი და ახალი ეპოქის პირველი ადამიანის, ღვაწლი სწორედ ის არის, რომ იგი ყველა ტიპიურ შუასაუკუნეებრივ მისტიკოსზე შორს წავიდა და სამყაროს ღვთაებრივობის შუასაუკუნეებრივ იდეაზე აღმართა თავისი მაღალ-ჰუმანისტური კულტურული იდეალი კოსმიური სიყვარულისა, რომელიც, როგორც ეს „კომედიის“ უკანასკნელ სტროფშია თქმული, „აბრუნებს მზეს და ვარსკვლავებს“ და რომლის ქეშმარიტად ადამიანურ იდეალობას დანტეს უახლოესმა მემკვიდრეებმა, რენესანსული კულტურის მესვეურებმა, ნამდვილად ადამიანური რეალობა შესძინეს.

ამდენად, თავად დანტესეული „მისტიკაც“ უაღრესად წინააღმდეგობრივსა და არსებითად პირობით ხასიათს იძენს. დანტესთან მისტიკოსის პოზიტიურ-მატერიალისტური მარცვალი მძაფრ კონფლიქტში მოდის მის ნეგატიურ-სპირიტუალისტურ გარსთან, რომელიც მისტიკოს შუასაუკუნეებრივ მსოფლმხედველობად ხდის. მართალია, როგორც თავისი დროის შვილი, დანტე ჯერ-კიდევ იმდენად ვერ აღვივებს ამ მარცვალს, რომ იგი თავისი შუასაუკუნეებრივი ნაქუქისაგან განთავისუფლდეს; მაგრამ ამავე დროს არსსა და ფორმას შორის დანტესეული „მისტიკოსათვის“ თვისებრივი წინააღმდეგობა უკვე არსებითად განესხვავება საკუთრივ შუასაუკუნეებრივი მისტიკოსის წინააღმდეგობრიობას; სახელდობრ, საწინააღმდეგოდ ბურჟუაზიულ დანტოლოგთა თვალსაზრისისა, რომ დანტე „რელიგიური“ მოაზროვნეა და პოეტი, რელიგიურ-მისტიკური მსოფლალქმა უფრო გარეგანს ფორმას საზღვრავს მისი შემოქმედებისას, რომლის შინაარსი არსებითად საერო ხასიათისაა. თავისი შემოქმედების სწორედ ამ საერო ხასიათითაა, რომ დანტე ყველაზე მეტად ამზადებს და კიდევაც იწყებს რენესანსულ კულტურას.

\* \* \*

დანტეს შემოქმედებითი განვითარება თავისი იდეური შინაარსით უაღრესად მთლიანია, —ერთიან მსოფლმხედველობრივ კონცეფციას დაქვემდებარ-



რებული და მწყობრი, არქიტექტონიკული თანმიმდევრობის გამომხატველი. მისი ხუთივე ძირითადი თხზულება: „ახალი ცხოვრება“, „ნადიმი“, „ხალხური ენისათვის“, „მონარქიისათვის“ და, დასასრულ, „ღვთაებრივი კომედია“— ურთიერთთან ორგანულად დაკავშირებულ ელემენტებსა და ერთმანეთის მომყოლ საფეხურებს წარმოადგენს ერთი გრანდიოზული ნაგებობისას, რომელსაც დანტე ორი ეპოქის მიჯნაზე აღმართავს.

სახელდობრ: დანტეს ქაბუკობის დროინდელ ქმნილებაში—„ახალ ცხოვრებაში“—დასმულია იდეალსა და სინამდვილეს შორის პოეტის მიერ მისტიკურად („ზეცისა“ და „მიწის“ პირისპირობის ასპექტში) აღქმარი წინააღმდეგობის გადაწყვეტის პრობლემა. უკვე აქაა დასახული დანტეს მთელი შემოქმედებითი ძალვის საბოლოო მიზანი—დაძლევა „მიწიერ“-რეალური ყოფიერების ნაკლოვანებისა და ამადლება „ზენარულ“-იდეალური არსებობის სრულყოფილებამდე. ხოლო ამ პრობლემის კონკრეტულ-პრაქტიკულ, —მორალურ, პოლიტიკურსა და ესთეტიკურს, — ასპექტში გადაჭრას, სინამდვილესა და იდეალს, „მიწასა“ და „ზეცას“ შორის ჩაწოლილ უფსკრულზე ხიდის გადადების ამოცანას ემსახურებიან დანტეს ტრაქტატები. და საბოლოოდ, აღნიშნული მიმართულებით დანტეს მიერ წარმოებული ტიტანური ძალვის ყველა მონაპოვარია თავმოყრილი და ერთიან კოლოსალურ მსოფლმხედველობრივი-იდეოლოგიურ სისტემად სინთეზირებული „ღვთაებრივი კომედიაში“, რომელიც, ამდენად, მხოლოდ თავად დანტესეული შემოქმედების გვირგვინად კი არ იქცევა, არამედ დასაველეთ-ვერობის მთელი ძველ-შუასაუკუნეებრივი კულტურის დამაჯამებელ და ახალ-რენესანსული კულტურის ფუძემდებელ ძეგლადაც მკვიდრდება.

დანტეს ძირითადი შემოქმედებითი მემკვიდრეობის ამ ერთიან ხასიათს არა მხოლოდ ფორმალურ-სიმბოლურად, არამედ შინაარსობლივ-რეალურადაც გამოხატავს ის გარემოება, რომ ეს მემკვიდრეობა მთლიანად ბეატრიჩეს მიერაა შთაგონებული და ბეატრიჩესადმია მიძღვნილი, რომელიც დანტესათვის მხოლოდ სატრფო კი არ იყო, როგორც ადამიანისათვის, და მუზა, როგორც პოეტისათვის, არამედ განსახიერებაცა და განხორციელებაც მისი იდეალისა, —იმ დიადი, ყოვლის გამმსჭვალველი და მაარსებელი სიყვარულისა, რომელზედაც, მგოსნის ოცნებით, უნდა დაფუძნებულიყო კაცობრიობის და, პირველ ყოვლისა, იტალიელთა ამაქვეყნიური და ჭეშმარიტად ადამიანური ცხოვრება.

„ახალ ცხოვრებაში“, —ამ „წიგნაკში“ (libello), რომლითაც დანტე თითქოსდა ერთბაშად აღემატა, როგორც გენიოსი, თავის თანადროულ იტალიელ პოეტებს, კერძოდ კი „ახალი საამო სტილის“ ერთ-ერთ ბურჯსა და თავის მასწავლებელს, გვიდო კავალკანტის, და რომელიც, როგორც ამას მისი ფინალი უშუალოდ მიუთითებს, დანტეს მთელი შემდგომი შემოქმედების „პროლოგს“ წარმოადგენს, —უკვე სავსებით ცხადად ჩანს „შუასაუკუნეთა უკანასკნელი და ახალი დროის პირველი პოეტი“.

როგორც აღინიშნა, დანტე იღებს ქრისტიანულ მიზანდასახულებას



(„ამიერი“ მანკიერების დაძლევა და „იმიერ“ სრულყოფილებასთან ზიარება), რომელიც თეორიულად საერთო ჰქონდათ კათოლიკურ მისტიციზმსაც და ერეთიკულ მისტიკასაც. მაგრამ ამ მიზანდასახულების დანტესეული განხორციელება არსებითად განსხვავებული აღმოჩნდა იმისა, რომელსაც კათოლიციზმი იღებდა. და „ახალი ცხოვრებაც“ უკვე სავსებით ნათლად ამჟღავნებს დანტეს ამ თავისებურებას: ამიერ-იმიერის წინააღმდეგობის პრობლემაც აქ ისეა დასმული და „ამაღლების“ მიზანიც იმგვარადაა დასახული, რომ წინასწარ ისაზღვრება ამ პრობლემისა და მიზნის განხორციელების ის გზა, რომელიც დანტემ თავის მომდევნო თხზულებებში გაჰკაფა და რომელსაც არსებითად, ობიექტურად ანტეკათოლიკური და საბოლოო ჯამით კი ანტიქრისტიანული ხასიათი აქვს. სახელდობრ, ეს პრობლემა და ეს მიზანი იმ დიადი სიყვარულის ასპექტშია დასმული, რომელსაც მისტიკა თვით ღვთაების ბუნებად და მთელი სამყაროს გამაერთიანებელ ძალად მიიჩნევს.

ამ მიზნის სიმბოლოდ და ხორცშესხმად დანტე ბეატრიჩეს სახავს.

როგორც ღვთაებრივი სიყვარულის განხორციელება, ბეატრიჩე პოეტს ჩვეულებრივ ქალად როდი ესახება, არამედ უსრულყოფილესად იმ დონათა შორის, „რომელნიც კეთილშობილნი არიან (donne gentili) და არა მხოლოდ ქალები“ (თავი XIX). დანტე იშვიათად იხსენიებს მას მხოლოდ სახელით, რომელსაც მისი არსების გამომხატველად მიიჩნევს. ჩვეულებრივ პოეტი უწოდებს მას გაორკეცებულად: „კეთილშობილ ბეატრიჩეს“, „უკეთილშობილესს“. ბეატრიჩე არის „ის უკეთილშობილესი რომელიც ყველა მანკის მთრგუნველი იყო და სათნოებათა დედოფალი“ (თავი X). თავისი სათნოებით ბეატრიჩე ზენარულ, ღვთიურ ქმნილებად მალღდება დანტეს თვალში: „და მე ვხედავდი იმდენსა და ღირსსაქებარს თვისებას მისას,—ამბობს პოეტი,—რომ მასზე ჭეშმარიტად შეიძლება თქმულიყო მელექსე ჰომეროსის ეს სიტყვები: „იგი ჩანდა ასული არა მოკვდავი სულისა, არამედ ღმერთისა“ (თავი I). არაამქვეყნიური იყო მისი სრულქმნილება: როგორც პირველ კანცონაშია თქმული, „მასში უფალი არა-ამიერ სამყაროს წარმოავლენს“. არსი ამ სრულქმნილებისა სიყვარულია: „მისი სახე, რომელიც მუდამ თან მახლდა,—ამბობს დანტე,—სიყვარულს ექმნა ძალად რათა ჩემზე ებატონაო“ (თავი I). უფრო მეტიც, ბეატრიჩე სიყვარულს კი არ აღძრავს მხოლოდ, არამედ თვით არის სიყვარული: პოეტს მის გულში სიყვარულმა გაუბა საუბარი და თქვა: „... ხოლო თუ ვინმე დახვეწილად განსჯას მოისურვებდა, სიყვარულს უწოდებდა ამ ბეატრიჩეს ჩემთან მისი დიდი მსგავსების მიზეზითო“ (თავი XXIV).

როგორც ღვთაებრივი სიყვარულის განხორციელებას, ბეატრიჩეს თან ჩამოაქვს მიწაზე ზენარული სრულყოფილება და ნეტარება. იგი მხოლოდ თვითონ კი არაა კეთილშობილი, არამედ თავის გარშემო აფრქვევს და ამკვიდრებს კეთილშობილებას: ბეატრიჩე „კეთილშობილებით აჯილდოვებს ყოველივეს, რასაც შესცქერის“ (თავი XXI); „და მე ვამბობ,—აცხადებს პოეტი,—რომ ამ ჩემმა ქალბატონმა იმდენად დიდი კეთილგანწყობა მოიხვეჭა, რომ მხოლოდ თვით კი არ იყო პატივცემული და განდიდებული, არამედ მისგანაც გახდა მრავალი პატივმოსილი და შექებული“ (თავი XXVI); ბეატრიჩე „ძა-



ლას სძენს სიყვარულს იქ, სადაც იგი მიმქრალია“, „ყველას გულში აქცევს ქმედითად სიყვარულს“ (თავი XXI); მისგან ყოველი აღივსება სინანულით თავისი ნაკლოვანებისა და აღტაცებით თვისი სრულქმნის გამო; როგორც XI სონეტშია თქმული: „იგი თვალეში ინახავს სიყვარულს; ნეტარია, ვისაც იგი შეჭყურებს; ყველა მას ეტანება, მიმავალს; გული უთრთის იმას, ვისაც იგი მიეგებება—სახეს ხრის შემკრთალი და თვისი ცოდვილებისთვის ოხრავს; მის წინ ქრება ამპარტავანება და სიავე; ბედნიერია, ვისაც მასთან შეხვედრა უწერია“... ხოლო ის ამმალღებელი ზემოქმედება, რომელსაც ბეატრიჩე თვით მოგოსანზე ახდენს, ამგვარია: „მე ვამბობ, —იხსენებს დანტე,—რომ, როდესაც იგი რომელიმე მხრიდან გამოჩნდებოდა, ოდენ მისი სასწაულბრძვი საღმის იმედი სდევნიდა ჩემგან ყოველგვარს ბოროტებას და მინთებდა მოწყალების ალს, რომელიც მაიძულებდა მიმეტყუებინა ჩემი ყველა შეურაცხყოფისათვის“ (თავი XI); ამ სიკეთესთან ერთად ბეატრიჩეს ჭკრეტა საკუთარი ბედნიერებისა და ცხოვრების ბედსვიანობის აღფრთოვანებული განცდით ავსებდა მიჯნურის გულს; მეორე სონეტში დონებს, „რომელნიც ცხოვრებას სიყვარულის გზით მიაწრაფებენ“, დანტე ასე მოგვითხრობს „იმას, თუ სად აღამალდა სიყვარულმა“: „ნეტარ მოვლენათა დამთხვევამ—მიუტყვევთ მათ მიკრძობა!— ისე უხვად გადმომაფრქვია სიყვარულის მაღლი, რომ ყოფილა, ხმები მსმენია: „დახეთ, რად ურგუნებია მისთვის ფორტუნას მთელი სიხარული ცხოვრებისა?“

ამრიგად, ჭაბუკ პოეტს ბეატრიჩე ღვთაებრივის ამქვეყნიურ გამოცხადებად და განხორციელებად ესახება და სიყვარული, რომელიც მისგან გამოსქვივის, ღმერთთან,—ზენარულ სიკეთესთან და ბედნიერებასთან,—აღამიანის ამქვეყნად ამმალღებელ და მაზიარებელ ძალად მიაჩნია. იმას, თუ „რას უშვება“ მას ბეატრიჩე, თუ „როგორ მოქმედებს მასში“ და თვითონ როგორაა იგი „მის მოქმედებებისათვის მომზადებული“,—ასე მოგვითხრობს დანტე „კანცონის სტროფში“, რომლის წერაც მას ბეატრიჩეს გარდაცვლამ შეაწყვეტინა: „დაე მან გასტეხოს ჩემში ამაყი სული და შეაკრთოს და დაასუსტოს ჩემი გრძნობები, მაინც ისეა დამტკბარი ჩემი არსება, რომ ფითრის ფერიც კი დამედო შუბლზე. ჭეშმარიტად ისე მმართავს მე სიყვარული, რომ ოხვრანი ყველგან განვაშს სტეხენ და საშველად უხმობენ მადონას, ჩემს ფარსა და აბჯარს; და ისიც ჩემთან მოიჩქარის და მასთან ერთად—ჩემი ხსნაც; და დიხსნაც საუცხოოა ეს მოვლენა“.

დანტე საგანგებოდ უსვამს ხაზს ბეატრიჩეს ღვთაებრივობის ამქვეყნიურ, მიწიერ-ხორციელ რეალობასა და ნამდვილობას; პირველი კანცონის „მეორე ნაწილში“, რომელიც იმ დონებს ეძღვნება, „სიყვარულის აზრი რომ შეიცნეს“, პოეტი ლაპარაკობს ბეატრიჩეზე „მისი სხეულის კეთილშობილების გამო“; ყვება რა „მისი (ამ სხეულის) ზოგი მშვენიერების შესახებ“, „სიყვარული იტყვის“: „ასული მტერისა განა იქნება ეგზომ. ტურფა და თანაც წმინდა“... „მაგრამ ერთს შემოგხედავს და უკვე ღაღადებენ ბაგენი, რომ მასში მეუფე იმიერ სამყაროს აჩენს. მისი შუბლი მარგალიტის დარია, რომელზედაც ჰკრთის გამჭვირვალე ფერმიხდილება; თავის ნამდვილობას გვაძენობს მისით მშვენიერება, ხოლო ბუნება მთელს სიკეთეს განასხეულებს“...



და ასევე მიწიერად რეალურსა და ხორციელად სრულქმნილ არსებებს წარმოადგენენ ის კეთილშობილი დონებიც, რომელნიც ბეატრიჩეს ღირსეულ გარემოს ქმნიან და რომელთა შორისაც მხოლოდ პირველობს ბეატრიჩე; მათთანაც მორალურ სრულყოფილებას განუყრელად თანახლავს ფიზიკური უნაკლობა: მათგან ერთ-ერთ „ახალგაზრდა-დონას“ პოეტი სახავს ვითარცა „თანაღმობლის ბრწყინვალეობითა და ყველა მიწიერი მშვენიერების შარავანდით მოსილს“ (კანცონა III)<sup>1</sup>.

აქედან, ბეატრიჩეს მიწიერი რეალობის ფაქტიდან, გამომდინარეობს დასკვნა, რომელიც „ახალი ცხოვრების“ თეზისს წარმოადგენს: ბეატრიჩეს სათნოება ზეადამიანურია, ზეციურ-ღვთაებრივი; მაგრამ ბეატრიჩე ცოცხალი, ხორციელი არსებაა, რომელსაც მისი სათნოება როდი აუცხოვებს, როდი სთიშავს ადამიანთაგან, არამედ, პირიქით, საყვარელს, სანატრელსა და სამაყოს ხდის მათთვის, როგორც მათ შორის საუკეთესოს, უკეთილშობილესსა და უმშვენიერესს; მაშასადამე, ბეატრიჩეს პიროვნებაში რეალური და იდეალური ერთიანად ურთერთს, ნიწა და ზეცა, ადამიანური და ღვთაებრივი ერთდებიან; ბეატრიჩეს სახით ღვთაებრივი მიწიერად ხორციელდება, ანდა ზეციურ-ღვთიური სათნოება მიწიერ-ადამიანური ბუნების უსრულეს თვისებად, უმაღლეს დაგვირგვინებად მქლავდება; ბეატრიჩე ის ქმნილებაა, რომელიც ადამიანს ღმერთამდე ამაღლებს და მიწიდან ზეციურ სინათლეს აფრქვევს; როგორც ეს პირველ კანცონაშია თქმული: მისი სახით, „მიწაზეა არსება, რომელიც ბნელშიც კი ანათებს, სული, რომლის სხივმა ცის კიდეს ააღწია“<sup>2</sup>. და პოეტიც ამ მიწასა და მის მკვიდრს, ადამიანს, შესტრფის, ეთაყვანება რა მათი ღვთაებრივი სრულქმნილებებისა და მშვენიების მჩენელს, თავის სატრფოს, ბეატრიჩეს.

<sup>1</sup> ბეატრიჩესა და მის მეგობართა არსობრივი ნათესაობა, იგივეობა არ ამოიწურება მათი ზნობრივი კეთილშობილებისა და სხეულებრივი მშვენიერების ერთგვაროვნაობით. მიუღ თავის „ღვთაებრიობასთან“, „ანგელოსურობასთან“ ერთად, ბეატრიჩე მეგობრების მსგავსად გვევლინება თავისი დროისა და ქალაქის ჩვეულებრივ, რეალურ ქალად, დანტეს თანამედროვე ცოცხალ ფლორენციელ ასულად, რომლის ფსიქიკა და ყოფაქცევა სრულიად კონკრეტულ ადამიანურ და სოციალურ ნიშნებს ატარებს. ასე, მაგალითად, როდესაც მიჯნურობის სარაინდო ეთიკეტის თანახმად ბეატრიჩესადმი თავისი ტრფობის შესანიღბავად დანტე „მოჩვენებითად“ სხვა ქალს „ემსახურება“, მაგრამ, ტემპერამენტს აყოლილი, მისადმი მეტისმეტ ყურადღებას იჩენს, რის გამო ქალაქში ჭორიც კი დაიბრუნება, ბეატრიჩე შეურაცყოფილად გრძნობს თავს და სალამს აღუკვეთს პოეტს; ხოლო მას შემდეგ, რაც დანტე გადაჭრით გაწყვეტს კავშირს ამ „თერჯ-დონასთან“ და ცხარე ცრემლით დაიტირებს ბეატრიჩეს გარდაცვლილ მამას, რაც აგრეთვე იქცევა სალაპარაკო თემად, ბეატრიჩე მოუღლებება მას და კიდევაც ესაუბრება ერთერთი მეგობრის, შონნა ვანნას, თანხლებით, რითაც აღტაცებაში მოჰყავს მანამდე სასოწარკვეთილი მიჯნური. — ყოველივე აღნიშნული ცხადყოფს, რომ მცდარია ა. ჯიველეგოვის დებულება, თითქოს „Vita nuova“-ში ბიჩე პორტინარო ცოცხლობს ორმაგი სიტოცხლით: როგორც რეალური ქალი და როგორც პოეტური თაყვანისცემის ობიექტი“ (А. К. Живелегов, Данте Алигиери. Жизнь и творчество. М., 1946, стр. 88). საქმეც ის არის, რომ დანტე არანაკლებ ეთაყვანება რეალურ ბეატრიჩეს, რომლის სახითაც ხორციელდება მის ცნობიერებაში ბეატრიჩეს იდეალური ბუნება.



მაგრამ ბეატრიჩე, როგორც ჩვეულებრივ იტყვიან, უდროოდ გარდა-  
იცვალა.

პოეტის წინაშე, რამდენადაც ცნობიერად იგი ქრისტიანობის ფარგლებს  
ვერ სცილდება, ბუნებრივად ისმის კითხვა, თუ რატომ გაშორდა ბეატრიჩე  
თავის მიწიერ სასუფეველს, რისთვის გაეცალა ადამიანთ მოდგმას, რომელთა  
დამამშვენებელიცა და რომელთაგან განდიდებულიც იყო? იგი ხომ უზადო  
და სპეტაკი იყო და, ამდენად, მისი „წასვლის“ მიზეზი თვით მასში ვერ იქ-  
ნებოდა. ე. ი. ამაქვეყნის უღირსი ის ვერ გახდებოდა. ეს მიზეზი, უთუოდ,  
მის გარეთ, გარემომცველს ქვეყანაში, ადამიანებში ძევს. ამ ასპექტში პოე-  
ტის წინაშე აღძრულ კითხვას ორგვარი პასუხი შეიძლება გასცემოდეს: ორთო-  
ლოქსულ-კათოლიკური და ერეთიკულ-მისტიკური.

პირველის თანახმად, ბეატრიჩე იმითომ უნდა გასცლოდა ამაქვეყნას,  
რომ ეს უკანასკნელი, როგორც „ამაოებისა და ცოდვილების ველი“, არ წარ-  
მოადგენს მის სასუფეველს, და იმის გამო განშორდა კიდევ ადამიანთ გა-  
რემოს, რომ ამ უკანასკნელის „სიმდაბლეს“ ვერ შეეგუა, ვერ შეეთვისა მისი  
ზენარული“, არა ადამიანური, არამედ „ღვთაებრივი“ სული. „ახალ ცხოვრე-  
ბაში“ თითქოსდა ვხვდებით კიდევაც ამგვარი პასუხის მინამგვანს. სახელდობრ,  
ჯერ კიდევ იმავე პირველ კანცონაში ანგელოსი, აღნიშნავს რა, რომ მიწაზე  
მყოფი ბეატრიჩე „ბნელშიც კი ანათებს“ და მისი სულის „სხივმა ცის კიდეს  
ააღწია“, ასე ემუდარება „ღვთიურ განგებას“: „სამოთხეს არა აქვს სხვა რამ  
წადილი, თუ არა თვის ბედთან მისი შეერთება, თავისთან მოუხმობს მას  
მართალთა დასი“-ო; „ყველა ნდომის განმსჯელი“ მეუფეც ასე პასუხობს ამ  
ვედრებას: „არა, კეთილნო, მოცდა გმართებთ, ჯერ არ განმიზრახავს მისი  
მოხმობა, დე ერთხანს დარჩეს მიწიერთ შორის, იმათთან, ვინც ჯოჯოხეთს  
უამბობს: „ბოროტთა მოდგმავ, მე ვიხილე ნეტართ იმედი“.

მაგრამ, ნამდვილად, აღძრულ კითხვაზე დანტეს მიერ გაცემულ პასუხს  
ცოტა რამ აქვს საერთო მიწისა და ზეცის, ადამიანისა და ღვთის კათოლი-  
კისტურ დაპირისპირებასთან, რომელიც, როგორც აღინიშნა, მათ შორის  
რეალურ-თვისებრივ კავშირს გამორიცხავს. ნამდვილად ეს პასუხი იმ რელა-  
ტივიზმს ემყარება, რომლითაც ერეთიკული მისტიკა ქრისტიანულ დუალიზმს  
თუმცა საბოლოოდ კი ვერ ხსნის, მაგრამ არსებითად მაინც არბილებს, რომ-  
ლის თანახმად „ღვთაებრივი“ მიწა და ადამიანი მხოლოდ ნაკლებ სრულყო-  
ფილნი არიან, ვიდრე თვით ღმერთი.

ამ მხრივ, უწინარეს ყოვლისა, ისაა საყურადღებო, რომ „ახალ ცხოვ-  
რებაშიც“ და შემდგომ თხზულებებშიც დანტეს არსად არ მიაჩნია მიწიერი  
სამყარო მხოლოდ „ამაოებისა და ცოდვილების ველად“, ხოლო მიწიერი ადა-  
მიანი მარტო „მტერისაგან“ წარმოქმნილ მანკიერ არსებად. მართალია, „ახალ  
ცხოვრებაში“ იგი ხშირად უწოდებს ამიერ ცხოვრებას „გლოვის ველს“, მაგ-  
რამ (უფრო დაწვრილებით ამაზე ქვემოთ იქნება თქმული) მსოლოდ ბეატრი-  
ჩეს სიკვდილთან დაკავშირებით; დანტე არსად არ ამბობს იმას, რომ ესე  
ქვეყანა თავისთავადაა „გლოვის ველი“, არამედ იგი ბეატრიჩეს მისგან წასვ-  
ლის შენდევ და, რაც მთავარია, თვით პოეტისათვის, სატრფოს განშორებუ-



ლი მიჯნურისათვის იქცევა ასეთად. ასევე, დანტე არსად არ მიიჩნევს ადამიანსაც მანკიერსა და მდაბალ ქმნილებად, ბეატრიჩეს ღვთაებრივობისათვის უცხო არსებად. მართალია, დანტეს აზრით, ადამიანთა მოდგმას მისი მრავალი უღირსი შვილი, უხამსი და ცოდვილი არსება ამდაბლებს; პოეტი (ერთი მხრივ, თავისი პატრიციული სოციალური შეგნების, ხოლო, მეორე მხრივ, „ახალი საამო სტილის“ იდეოლოგიური ტენდენციის შესაბამისად) ბეატრიჩესა და მისდამი თავისი სიყვარულის განსახიერებისას გარკვეულ არისტოკრატიზმსაც კი იჩენს. მაგალითად, პირველ კანცონას, რომელშიც ბეატრიჩეს მორალური არსია გახსნილი, იგი „განარიდებს“ „მდაბალი ხალხისაგან“ (*gente villana*) და იქ „წარგზავნის“, სადაც „დიდებული კაცი ანდა ღონაა“, რადგან მხოლოდ ამათ შორის პოეებს და შეიცნობს ეს კანცონა, „ვითარცა სააწაულს“, თვის მზგავსსა და შესაფერის სიყვარულს; თანაც, ამ კანცონის განმარტებისას პოეტი დასძენს: „ქეშმარიტად ვშიშობ, ვაი თუ მეტისმეტად ბევრს გავუმხილე მისი აზრი, იმ დანაყოფებით, რომელნიც გავაქეთე, და ვაი თუ აღმოჩნდა, რომ მრავალმა შეძლო მისი გაგება“-ო (თავი XIX). მაგრამ ამ „*gente villana*“-ს არსებობას დანტე ოდნავადაც არ მიიჩნევს კაცთა ჯურის, ადამიანური ბუნების არსობრივი მანკიერებისა და სიმდაბლის საბუთად, არამედ, პირიქით, იმ აზრს ადგას, რომ „მდაბიოთა“ არსებაც ღვთაებრივადამიანურია, მაგრამ მხოლოდ დაქვეითებული, რის გამოც არც მათთვისაა მიუღწეველი ბეატრიჩე, რომელიც „კეთილშობილებითა აჯილდოვებს ყოველივეს, რასაც შესცქერის“ და „სიყვარულს იქ სძენს ძალას, სადაც იგი მიმქრალია“.

ამგვარად, ბეატრიჩეს გარდაცვლის ფაქტის მისტიკური მსოფლაქმის ასპექტში გააზრების საფუძველზე, იღებს დანტე თავისი „წიგნაკის“ მსოფლმხედველობრივი კონცეფციის ანტითეზისს: „ღვთაებრივი ბეატრიჩე“ იმითომ ვასცილდა ამაქვეყნას, რომელიც ამიერიდან თავის მთიებს მოკლებულ ბნელეთად ესახება მგლოვიარე მიჯნურს, რომ ზეცა უფრო შესაფერი იყო მისი, ბეატრიჩეს, სრულქმნილებისათვის.

პოეტი ასე „ყვება ზოგს რასმეს“ ბეატრიჩეს „ჩვენგან წასვლის გამო“: „სამართლიანობის მეუფემ ეს უკეთილშობილესი თავის სადიდებლად მოიხმო იმ უკურთხეულესი დედოფლის, ქალწულ მარიამის, დროშის ქვეშ, რომლის სახელიც უაღრესად იყო პატივდებული ამ ნეტარ ბეატრიჩეს ბაგეთაგან“ (თავი XXVIII). მართალია, ერთგან (მესამე კანცონის მეორე სონეტში) თითქოსდა სავსებით ორთოდოქსულადაა თქმული: „და აღეძრა შემოქმედს სურვილი თავის სასუფეველში მოეხმო ის, ვისთვისაც თვითონ გაიხარა და კიდევაც შეასრულა მბრძანებელმა თავისი განზრახვა, რამეთუ ხედავდა, რომ ესე ველი მის სიკეთეს ვერ წვდება“-ო; მაგრამ ეს უკანასკნელი არგუმენტი, რომ „ესე ველი“ ბეატრიჩეს „სიკეთეს ვერ წვდებოდა“, სრულებით არაა ნაკარნახევი ამა ქვეყნისადმი კათოლიკური მტრობით და სულაც არ გულისხმობს იმას, თითქოს მატერიალური ყოფიერების ფორმები ბეატრიჩეს სულიერ სრულქმნილებას ეუცხოვებიან და ახშობენ; პირიქით: იმავე კანცონის მომღვენო, მესამე სონეტს, დანტე იმის აღნიშვნით იწყებს, რომ ბეატრიჩეს სულ-



მა „მშვენიერი სხეული დასტოვა“; სიტყვა-სიტყვით: „დასტოვა რა მშვენიერი სხეული, მისი ყოვლადი მოწყალეობით აღსავსე სული უნათლეს ადგილს იმყოფება“-ო. პოეტი იმას ამბობს, რომ ბეატრიჩე არა ქვეყნის მანკიერებათა იძულებით, არამედ თავისი სიკეთის ძალით ამაღლდა და რომ მისი „არაამიერი“ სრულქმნილება, რომელიც დიადად, მაგრამ მაინც არა სრულად იჩენდა თავს მის მიწიერ სიცოცხლეში, ახლა მთელი სიძლიერით გაბრწყინდა; რომ ღვთაებრიობის ის ნათელი, რომელიც მისი ხორციელი ბუნებიდან ესოდენ დიდებულად გამოკრთოდა, ახლა სრული სიწმინდითა და მგზნებარებით აელვარდა; სრული შინაარსი მესამე კანცონის იმ სონეტისა, რომელიც „ამ ველი-სათვის“ ბეატრიჩეს სიკეთის „მიუწვდომლობის“ დამოწმებით მთავრდება, ასეთია: „ბეატრიჩე ვითარცა ქურა ბრწყინავს ზეცაზე, სადაც ანგელოსნი ტკბებიან დღეთა სიამით; მათთვის დაგტოვათ მან, დონებო,—წარიტაცა იგი არა მხრწნელმა სიცივემ და ადამიანთა მომაკვდინებელმა სიცხემ, არამედ მისმა სწორუბოვარმა სიკეთემ; მისი სიწყნარით სავსე სულის ნათელი ზეცამდე ამაღლდა და აღეძრა შემოქმედს სურვილი თავის სასუფეველში მოეხმო ის, ვისთვისაც თვითონ გაიხარა...“ ხოლო ამ კონტექსტში სონეტის დამამთავრებელი „არგუმენტი“ მხოლოდ იმ აზრის შემცველი ჩანს, რომ „ეს ველი“ ბეატრიჩეს სიკეთეს მთელი სისავსით ვერ ავლენს. თანაც აქ არსებითად ნიშანდობლივია ის ნიუანსი, რომ დანტე კადნიერად, ორთოდოქსი ქრისტიანის თვალში სულაც „მკრეხელურად“ ახდენს იმის აქცენტირებას, რომ ბეატრიჩე კი არ ხდება თავისი-სიკეთით ზეცის ღირსი, არამედ ზეცა შეჭფერის ბეატრიჩეს სიკეთეს, რომლის მშვენებამ, ბუნებრივობის ნიშნით აღბეჭდილმა, მიწიდან ზეცამდე ააღწია; მეჩვიდმეტე სონეტში ეს აზრი „გაკვრითაა“ გამოთქმული: ბეატრიჩემ „განისვენა მარადიულს სასუფეველში, რომელიც მისი სათნოების ღირსია“, ხოლო მეოთხე კანცონაში ვკითხულობთ: „მადონა იმიტომ იქნა ამა ცხოვრებიდან მოულოდნელად წაყვანილი“, რომ ზეცა უფრო მეტად შეესაბამებოდა მის მშვენიერებას, „იმიტომ, რომ მისი სახე, მას შემდეგ, რაც მან ჩვენი მიწიერი გარემო დასტოვა, იმდენად საუცხოოდ ასხივოსნდა დიადი, არაამიერი სილამაზით, რომელმაც ზეცას თავისი სასიყვარულო სხივი შემოაფრქვია, რომ მის წინაშე ანგელოსებმა მოიდრიკეს მუხლი და მათი მაღალი გონება კვირობდა ასეთ ძალთა კეთილშობილებას“. აქ ბეატრიჩე ღვთაებრივი სიკეთისა და მშვენიერების საწყისად, დემიურგად თუ არა, სუბიექტად, მატარებლად მაინც იქცევა, რომელიც ჯერ მიწას აფრქვევდა ზენარულ მადლს, ხოლო ახლა თვით ზეცას ასხივოსნებს თავისი მიწიდან აღვლენილი, მაგრამ ახალის ძალით აშუქებული სრულქმნილებით. ამ ასპექტში იშლება არსებითი სხვაობა მიწასა და ზეცას შორის: სიკეთე და მშვენიერება უკვე აღარ წარმოადგენენ ზეციური ყოფიერების პრიორიტეტს, არამედ მთელ სამყაროზე არიან განვრცობილნი, როგორც მისი ღვთაებრივი სუბსტანციის ატრიბუტი, რომელიც, პოეტის მიერ ბეატრიჩეთი სიმბოლიზირებული, თუმცა არათანაბარი, მაგრამ ერთგვარი „სასიყვარულო სხივის“ ნათელს ჰფენს ყოველივეს.



ამგვარად ეზიარა თავისი საკუთრივი ამაღლებულობის ძალით ბეატრიჩე (თუმცა ღვთის შემოქმედებითი უნარის სასწაულებრივი ქმნილება, რომელიც „არაამქვეყნიურ სამყაროს წარმოაჩენს“, მაგრამ წაინც ასული „მიწიერი“ მამისა, რომლის განტევებასაც მასთან ერთად დანტეც გლოვობს XXII თავში) უფრო სრულყოფილ, „ახალ“ ცხოვრებას, რომელშიც მთელის სიუხვით ასხივოსნდა მისი ღვთაებრივი არსება.

მაგრამ „ძველი“ მიწიერი ცხოვრების ეს ნეგაცია იმ რიგის აღმოჩნდა, რომ იგი არა თუ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, ემყარება „მიწიერისა“ და „ზეციურის“ არსობრივ ერთიანობას და, როგორც ასეთი, აუცილებელს ხდის და პოტენციურად კიდევაც შეიცავს „ადამიანურსა“ და „ღვთაებრივს“ შორის იმ სინთეზს, რომლის მიღწევა დანტეს შემოქმედების საბოლოო მსოფლმხედველობრივ და ესთეტიკურ მიზანდასახულებას წარმოადგენს.

ეს ნეგაცია არ წარმოადგენს მიწიერ-რეალური სამყაროსი და ამიერი ყოფიერების არსობრივ უარყოფას. დანტესთვის ორგანულად უცხოა ამა ქვეყნისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, მიწიერების ამოებად, არარაობად მიჩნევა. მართალია, ისიც ლაპარაკობს ამიერი არსებობის უმკვიდრობაზე, სწორედ წარმავლობაზე, მაგრამ სრულებით არა კათოლიციისტური აზრით, რომელიც ამ არსებობის არაქვემდარიტობასა და დაგმობის აუცილებლობას ამტკიცებს და მის ხანმოკლეობას ესალმება. სწორედ თავისი სიცოცხლის მწყურვალების კონსტატაციით იწყებს დანტე ოცდამესამე თავსა და მის შესატყვის მეორე კანცონას, რომელნიც ბეატრიჩეს გარდაცვლის „წინაგრძნობით“ არიან შთავგონებულნი და მთელი „წინგაქის“ იდეურ ბირთვის შეადგენენ.

პოეტის „სხეულის ნაწილი“ მტანჯველმა სენმა შეიპყრო და „მეცხრე დღეს“, როდესაც ტკივილი „თითქმის აუტანელი შეიქნა“, ავადმყოფი მისი „დასუსტებული ცხოვრების“ გამო ფიქრებმა შეიპყრეს: „და ვხედავდი, — ამბობს დანტე, — თუ როდენ სუსტია მისი (ცხოვრების, — ო. ჯ.) სიმტკიცე მაშინაც კი, როდესაც იგი საღად არის, მე ავტირდი საკუთარი თავისა და ამგვარი უბედურების გამო“. ხოლო ამ აღიარების შემდეგ პოეტი განაგრძობს: „და აი, ძლიერი ოხვრით ვუთხარი ჩემს თავს: „მთელის აუცილებლობით გამომდინარეობს, რომ უკეთილშობილესი ბეატრიჩეც მოკვდება ოდესმე“. ამ დასკვნამ კი ისე „დაუბნელა გონება“ მიჯნურს, რომ მას ბოღვა დააწყებინა და კოშმარული ხილვა ექმნა, თითქოს ჯერ „ვიღაც თავშიშველმა დონებმა“ უთხრეს: „და შენც მოკვდები“-ო, მერე კი საზარელმა აჩრდილებმა ჩასძახეს: „შენ მკვლარი ხარ“-ო. სატრფოს სიკვდილის აუცილებლობასა და საკუთარ სიკვდილს პოეტი კოსმიურ კატასტროფად აღიქვამს: „და მეჩვენებოდა, — ყველა იგი, — თითქოს ვხედავ, რომ მზე ჩაქრა, ხოლო ვარსკვლავთ ისეთი ფერი ჰქონდათ, რომ იფიქრებდით, ტირიანო. და ვხედავდი, რომ ჰაერში მსრბოლნი ფრინველნი მკვდრად ეცემოდნენ და უდიდესი მიწისძვრები ხდებოდა“. დასასრულ, როდესაც გონდაბნელებულ დანტეს ეზმანება, რომ „ვინმე მეგობარმა“ უთხრა: „განა არ იცი! შენი დიდებული ქალბატონი განშორდა ამა ქვეყანას!“ — მას უკვე როდი ეჩვენება, რომ ტირის, არამედ ნამდვილად წასკდება ცრემლები:



„და მაშინ, — გვეუბნება პოეტი, — მოვრთე ტირილი არა მხოლოდ წარმოსახვაში, არამედ თვალებითაც, მოვრწყე რა ისინი ნამდვილი ცრემლებით“ -ო.

ამრიგად, ბეატრიჩეს გარდაცვლა მიწიერი ცხოვრების უკმარობით, „სუსტი სიმტკიცით“ არის პირობადებული; მაგრამ, წინააღმდეგ კათოლიკე ასკეტისა, რომელსაც ცხოვრების უმტკიცობისა უხარია, რამდენადაც ესე ქვეყანა მანკიერად მიაჩნია, და რომელიც შენატრის და ესალმება სიკვდილს, როგორც ამიერ ცდუნებათა და უბედურებათაგან მხსნელს, დანტე ტრაგიკულად აღიქვამს როგორც ერთს, ცხოვრების „სისუსტეს“, ისე მეორესაც, სიკვდილს, რამდენადაც მას ბეატრიჩეს გარდაცვლამდე აზრადაც არ მოსვლია და გულთანაც არ გაჰკარებია ამიერი არსებობით უკმაყოფილება. მეტიც, იგი იმდენადაა შესისხლხორცებული რეალურ, ერთადერთ ცოცხალ სინამდვილესთან ამა ქვეყნისა, რომ თავდაპირველად ვერც კი წარმოიდგენს ამ სინამდვილის გარეშე არსებობის შესაძლებლობას: მას ბეატრიჩე, როგორც მისი ხორციელი სიტურფით, ისე სულიერი მშვენიერებითურთ, მხოლოდ ამაქვეყნად წარმოუდგენია ცოცხლად და მის „გარდაცვლას“ აღიქვამს, როგორც სიკვდილს მისას; მას შემდეგ, რაც მეგობარმა ბეატრიჩეს „ამა ქვეყნიდან განშორება“ ამცნო, „ნამდვილად მტირალს“ ეზმანა მას, თითქოსდა ხედავს, თუ როგორ „ბრუნდება მალა“ ანგელოსთა დასი, რომელსაც „პატარა უთეთრესი ღრუბლის“ სახით ბეატრიჩეს სული მიუძღვის; „და აი, მეჩვენებაო, — დასძენს პოეტი, — რომ გულმა, რომელშიც ამდენი სიყვარული იყო, მითხრა: „ქეშმარიტად მკვდარი ძევს ჩვენი ქალბატონი“-ო. ხოლო რეალური, მიწიერი ყოფიერებისადმი ამ გულმოდრეკილების ასპექტში (მოდრეკილებისა, რომელიც, არსებითად, არც მისი სატრფოს „გარდაცვლის“ შემდეგ დაშრეტია დანტეს) ასე აიხსნება ბეატრიჩეს „ამაღლების“ ფაქტი: ბეატრიჩე იმიტომ „განშორდა“ ამაქვეყნიურს ცხოვრებას, რომ ეს უკანასკნელი არა თავისი მანკიერებით, არამედ უკმარობით იყო მისთვის, ბეატრიჩესთვის შეუსაბამო. თუ კი ცხოვრების „უკმარობა“ შეიქმნა ბეატრიჩეს „განშორების“ მიზეზი, ამავე ცხოვრების არსობრივი სრულქმნილება აღმოჩნდა საფუძველი ბეატრიჩეს „ამაღლებისა“. ბეატრიჩეს „სულის ნათელი“, რომელმაც „ზეცას ააღწია“, პირველად ხომ მისი ხორციელი ფორმებიდან გამოკრთა; იმ სიკეთეს, რომელმაც ზეცა მის ღირსად აქცია, ხომ მის მიწიერს ბუნებაში ჰპოვა თავისი ნამდვილობის დადასტურება, და, როგორც ასეთი, იგი იმიტომ კი არ ამაღლებულა თავის „შესაფერის“ სასუფეველში, რომ „მიწიერ“ არსებათ, ადამიანთ ეუცხოვებოდა, არამედ იმის ძალით ეწია „ახალს“ ცხოვრებას, რომ მათ შორის, ადამიანთ შორის იყო საუკეთესო, უკეთილშობილესი და უმშვენიერესი.

ამდენად, ბეატრიჩე თავისი „ამაღლებით“ როდი წყვეტს კავშირს ქვეყანასთან და მის მკვიდრებთან, ადამიანებთან, რომელთა „შემკრებ“ გამომსახველად უკვე „ახალ ცხოვრებაში“ წარმოადგენს დანტე საკუთარ თავს. ბეატრიჩე, პირიქით, აახლოვებს ურთიერთთან მიწასა და ზეცას, „შუამავლად“ დგება ადამიანებსა და ღმერთს შორის. ბეატრიჩე ხომ უსრულყოფილესი ანუ მხოლოდ ერთ-ერთი განმხორციელებელია და ნატარებელი იმ ღვთაებრივი სიკეთისა, რომელიც სიყვარულის სახით სამყაროს გამსჭვალავს; ამიტომაც



თავისი „წასვლით“ მას როდი „განუძარცვავს“ ქვეყანა ღვთაებრივობისაგან: სიყვარული მაინც დარჩა მიწაზე, მხოლოდ „დაობლებული“ და თავისი უბრწყინვალესი ქალბატონის უყოლობის გამო მგლოვიარე. როგორც მესამე კანცონის პირველ სონეტშია თქმული, ბეატრიჩემ, „თავისი სახე შეაფარა რა ზეცას, მისი მწუხარების ამარა დასტოვა სიყვარული“. ასევე დაობლებულნი და მგლოვიარენი დარჩნენ ადამიანნი (მათ შორის კი ყველაზე მეტად დანტე), რომელნიც როგორც საკუთარი, ადამიანური, ბუნების უზენაეს გამოცხადებას ეტრფოდნენ ბეატრიჩეს. მაგრამ ეს მგლოვიარება, ბეატრიჩეს „ამაღლებამ“ მიწად რომ დატოვა, არაა იმ უსასობითა და სასოწარკვეთილებით გამსჭვალული, რომელთაც კათოლიკე მორწმუნეს უნერგავს ღვთაებრივი საწყისისაგან მოწყვეტილობისა და გაუცხოვებულობის განცდა. უსასობითა და სასოწარკვეთილებით დანტე მხოლოდ წამიერ რჩება პყრობილი, აფექტის ქვეშ მყოფი, როდესაც მას, ბეატრიჩეს გარდაცვლის პირველი განცდით თავზარდაცემულს, თავისი სატრფო მკვდრად მიაჩნდა და, ჰამლეტის სიტყვებით რომ ითქვას, „დროთა კავშირი“ დარღვეულად ესახება. ხოლო რამდენიმედ გონს მოსული, მას შემდეგ, რაც განსვენებულისათვის თვალის მიპყრობის უნარი ეძლევა და ხედავს, რომ ბეატრიჩეს „სახე სიწყნარის ისეთი ნიშნით აღბეჭდილა, თითქოს ამბობდეს: „აი ვხედავ მშვიდობის წყაროს“, დანტე რწმუნდება, რომ „მცდარი“ იყო ის „ჩვენება“, რომელმაც ქალბატონი „მკვდრად“ წარმოუსახა; ამასთან ერთად სასოწარკვეთილების ნაცვლად მის დამგლოვიარებულ სულს „სიმშვიდე“ ეუფლება. კანცონაში პოეტი ასე ამბობს: „და ნამდვილად წყნარი იყო მისი სახე, თითქოსდა მაუბნარი: „ვიგვემ სიმშვიდე!“ და მეც დამშვიდდი ჩემს წამებაში“-ო. ამ სიმშვიდესთან ერთად აღეძვრის დანტეს, და მასთან ერთად სიყვარულსაც, ამაქვეყნისაგან „განშორების“, მასზე „ამაღლებისა“ და ბეატრიჩესთან კვლავ დაახლოვების გარდაუღახავი წადილი: პოეტი ხედავს, „ვით ანათებს მთელი ზესკნელი“ და ტირილით ასე ლაღადებს: „ჰოი, სულო უმშვენიერესო, ნეტარია, ვინც შენა ვხედავს“ (თავი XXIII), „ბედნიერია, ვინც შენთან არის“ (კანცონა II). ასევე მიილტვის თავისი ქალბატონისაკენ სიყვარულიც, რომელიც „მის გამო სტირის“: პოეტის „მეხსიერებას“ განსვენებულის ხატება „წარმოესახება“ და „ძახილი“ გამოაცოცხლებს „გულის უდაბნოში“ „მთვლემარე სიყვარულს“, რომელიც „ოხვრით ეტყვის: „ვეჩქაროთ წმინდანისაკენ!“ და ისინიც, გმინვით, უფრო სწრაფად გაეწურებიან“ (სონეტი XVII).

მაგრამ, თავის მხრივ, არც ზეცად „განსვენებული“ ბეატრიჩე რჩება გულგრილი და უზრუნველი მისი „ამაღლების“ გამო დამგლოვიარებული და მისკენ მსწრაფი სიყვარულისა და პოეტისადმი; მართალია, ეს მოტივი მხოლოდ გაკვრით იჩენს თავს „ახალ ცხოვრებაში“,—დანტე ერთგან (მესამე კანცონაში) მტკიცე რწმენით ამბობს; „მადონა მაპყრობს ზეციდან თვალებს და მჯერა: ჩემთვის სასიკეთო იქნება განაჩენიო“,—მაგრამ აქ გარკვევით ჩანს იმ საპასუხო სიყვარულის ჩანასახი, რომლითაც ბეატრიჩე „კომედიაში“ გამსჭვალული დანტესადმი, როგორც თავისი ღვთაებრივი თანამოძმისა და თანამო-



გვარისადმი, და რომელიც გზას უშუქებს და ძალას უნერგავს მიწიერების-  
„უსიერი ტევრიდან“ ზენარული სინათლისაკენ მსწრაფ პოეტს.

და ასე ხდება, რომ ბეატრიჩეს „ამაღლებამ“, „განშორებამ“ კი არ გა-  
სწყვიტა, არამედ უფრო გააცხოველა, უფრო ქმედითი ჰყო „მიწასა“ და „ზე-  
ცას“ შორის კავშირი, გააძლიერა ურთიერთდაახლოებისაკენ მათი სასიყვარუ-  
ლო სწრაფვა: ერთის მხრივ, მიწაზე „ობლად“ შთენილი მოყვანნი მიილტ-  
ვიან ბეატრიჩესთან მის ახალ სასუფეველში ახლებურად, ჰეშმარიტად სრუ-  
ლად შესაერთებლად, ხოლო მეორეს მხრივ, მათკენ ზემოდან მაცქერალ ბეატ-  
რიჩეს მოწყალე, მზრუნველ თვალთაგან ეფრქვევა მათ ამ ლტოლვის აღმა-  
მფრენი ვნება სიყვარულისა. ამგვარად იქცევა „ამაღლებული“ ბეატრიჩე არა-  
მხოლოდ სიმბოლოდ, არამედ აქტიურ ფაქტორადაც იმ სინთეზისა, რომელ-  
საც თავისი შემოქმედებითი მოწოდების იდეალად სახავს დანტე, სინთეზისა,  
რომელიც თუმცა იდეალისტურია, მისტიკური თავისი ფორმით, მაგრამ, ამავე  
დროს, ღრმად ჰუმანისტურია, ცხოვრების მტკიცედ მადგინებელი თავისი რეა-  
ლურ-პრაქტიკული შინაარსით.

მართალია, თავისი სატრფო-იდეალისაკენ მსწრაფი დანტე თითქოსდა  
„გაუცხოვებულა“ ამაქვეყნისაგან და სიკვდილს ინატრის, რომელმაც  
ბეატრიჩე ქვეყნის „ამაოების ველს“ განაშორა. მაგრამ ცხოვრების „ხრწნა-  
დობას“ და სიკვდილის „სიკეთეს“ მიჯნურ პოეტს მხოლოდ ბეატრიჩეს გარ-  
დაცვლით შექმნილი ემოციური განწყობა აგონებს და არა მსოფლმხედვე-  
ლობრივ-ფილოსოფიური მრწამსი. დანტე მხოლოდ მას შემდეგ გრძნობს თავს  
ამა ქვეყნად „უცხო ოჯახში“, რაც ბეატრიჩე განშორდა აქაურობას; მას  
მხოლოდ იმდენად დრეკს „ცხოვრების სიმძიმე“, რამდენადაც თავისი „წასვ-  
ლით“ მას ბეატრიჩემ „მწუხარებითგული დაუმსხვრია“; იგი იმიტომ ინატრის  
სიკვდილს, რომ მასში ხედავს ერთადერთ მხსნელს იმ აუტანელი ტანჯვისა-  
გან, რომლადაც გადაექცა „ცხოვრება იმ წამიდან, რაც მადონა საიქიოს გა-  
ემგზავრა“ (კანცონა III). ბეატრიჩეს გარდაცვლის კომმარულ წინასწარხილ-  
ვაში (თავი XXIII) დანტე ასე მოუხმობს სიკვდილს: „უტკბესო სიკვდილო,  
მოდი და მკაცრი ნუ იქნები ჩემთან, რამეთუ შენ კეთილშობილებით უნდა  
აღვსილიყავი: შენ ხომ ასეთ ადგილს (ბეატრიჩესთან.—ო. ჯ.) იყავი!“ ხოლო  
მესამე კანცონაში პოეტი ასე გვამცნობს: „... მწუხარება და ოხვრანი, სიკვ-  
დილის ძახილი და ყოფნის სიმძიმე იმას განუტღდია, წამებათა სამარადისოდ  
მტვირთველს, ვისაც სულმა აუწყა, თუ ვინ იყო იგი (ბეატრიჩე—ო. ჯ.) და  
ჩვენგან როგორ წავიდა. მე საშინელი ურვანი მგვრიან შიშს, როს დამძიმე-  
ბულს გონებას ის მოსდის აზრად, ვინაც მწუხარებით გული დამიმსხვრია; და  
სიკვდილს ვევედრები ხსნას და ფიქრთა ისეთს სიტკბოს განვიცდი, რომ თა-  
ვის ნიშანს მასვამს საფლავი“. ამდენად, ზეცისაკენ სწრაფვა და სიკვდილის  
ნატვრაც დანტესთან არ გადაიქცევიან ამაქვეყნიური ცხოვრების პრინციპულ  
გმობად აღამიანური ბუნების ასკეტური ჩაკვლის ვნებად. საწინააღმდეგოდ  
ასკეტსა, რომელიც „ზეციური“ ცხოვრებისათვის თავისი „მოსამზადებელი“  
მოღვაწეობის აზრს თავის „ხორციელ“ ვნებათა ჩანშობაში ხედავს, ხოლო  
თავის „სულიერ ხსნას“ განგების მოწყალეობას, ღვთიურ მადლს აბარებს,



ე. ი. ღვთისაყენ პოზიტიურს სწრაფვაში პასიური რჩება და აქტივიზმს მხოლოდ „მიწიერ ბუნებასთან“ ბრძოლით იჩენს, — დანტე თუმცა „შენატრის“ და „მოუხმობს“ სიკვდილს, მაგრამ მის დაჩქარებას არ ცდილობს. პირიქით: განგებას ანდობს რა სიკვდილის დადგომის ჟამს, იგი თავისი სულის მორალური სრულქმნით, როგორც შემდეგ („ნაღმისა“ და „მონარქიაში“) ამბობს ხოლმე, თავისი „სათნოების წვრთნით“ „ემზადება სიკვდილისათვის“. ბეატრიჩისაყენ მსწრაფი დანტე ხელოვნურად, ძალდატანებით კი არ იღებს ხელს ცხოვრებაზე, არამედ, პირიქით, „უბრუნდება“, ცდილობს „შეეთვისოს“ ამა ქვეყანას, ვითარცა „ობოლი“ „უცხო ოჯახს“, რათა თავისი „მწუხარე ხვედრის“ მომენელმა აქვე პოვოს წყარო იმ სიკეთისა, რომელიც მაშინ აღავლენს მას ბეატრიჩისთან, სანატრელი სიკვდილის საათი რომ დაჰკრავს. სახელდობრ, ამ წყაროს იგი იმავე „დონებთან და ასულებთან“ პოულობს, რომელთა დასშვიც ბეატრიჩე პირველად ამობრწყინდა, და რომელნიც ოდესღაც თვით მასაც, ამ მგლოვიარე მიჯნურს, აღავსებდნენ ნეტარების განცდით.

დანტე ასეთი „წარმართვით“ ასრულებს თავის მესამე კანცონას, რომელშიც „სიკვდილს მოუხმობს“: „ჩემო მწუხარე კანცონავ, ცრემლიანი იქ გაეშურე, სადაც დონები და ასულნი არიან, რომლებთანაც შენს პატარა ქვებს (ე. ი. პოეტის ადრინდელ, ბეატრიჩეს გარდაცვლამდე დაწერილ სონეტებს, — ო. ჯ.) მხიარულება მიჰქონდათ, და ეცადე, ობოლო, რომელსაც მწუხარების მშვიდობა გრგვბია, შეეთვისო უცხო ოჯახს“.

მაგრამ პოეტი მხოლოდ თავის „მწუხარე“ კანცონას კი არ აგზავნის ნუგეშის საძიებლად „დონებთან და ასულებთან“, არამედ ამათ შორის თვითონაც პოეებს მანუგეშებელს *donna della finestra*-ს სახით. და ამ უკანასკნელის ძალაც იმდენად დიდი აღმოჩნდება, რომ მგლოვიარე მიჯნური კინალამ სავსებით ივიწყებს თავის „ღვთაებრივ ქალბატონს“, მისადმი თავის „ზესწრაფვას“, და ლამის მზად ხდება ამ ქვეყნად დარჩეს, რათა კვლავ მიეცეს იმ ნეტარებას, რომელსაც ადრე ბეატრიჩე გვრიდა, ამიერიდან კი ახალი დონა მოგვგრის.

*Donna della finestra*-ს მოტივი სავსებით ცხადჰყოფს ბეატრიჩისადმი დანტეს ტრფობისა და სწრაფვის სრულიად „ამიერ“, მაგრამ, ამავე დროს, ღრმად ადამიანურ, მაღალ-მორალურ ხასიათს. ამ დონათი დანტეს გატაცება სრულებით არაა „გრძნობადი“, სენსუალურ-ხორციელი, როგორც ამას ფიქრობენ, არამედ ისევე სულიერია (მაგრამ არა პლატონისტური) როგორიც ბეატრიჩისადმი ტრფობაა. ეს გატაცება ასევე სპეტაკია, ფაქიზი, ამალღებულის; იგი ემყარება ადამიანურ ურთიერთობათა უკეთილშობილეს, უმტკიცეს საფუძველს — თანაგრძნობას, უფრო სწორად, თანალმობის გრძნობას. ამ გატაცების აღმოცენებას ასე მოგვიტხრობს დანტე: ერთგან, ბეატრიჩეს გარდაცვლიდან რამდენიმე ხნის შემდგომ, წარსულ ნეტარებაზე მწუხარე ფიქრებით შეპყრობილმა პოეტმა შეამჩნია „ერთი კეთილშობილი დონა, ახალგაზრდა და მეტად მშვენიერი“, რომელიც მას ფანჯრიდან უყურებდა; „როგორც ემჩნეოდა, ისე საწყალობელად, რომ, თითქოსდა, მთელს მწუხარებას მოეყარა მასში თავი“; „და აი, — ყვება დანტე, — იმის შედეგად, რომ ჯბედურნი, სხვებში რომ ხედავენ თავისადმი თანალმობას, კიდევ უფრო განეწყობიან სატირ-



ლად.—მე ვიგოძენი მაშინ, რომ ჩემს თვალში სურვილი აღიძვრის, და ამიტომაც, ვშიშობდი რა ჩემი ბედკრული ცხოვრების ჩვენებას, მოვეფარე ამ კეთილშობილის თვალთა მზერას; შემდეგ კი ასე მივმართე ჩემს თავს: „შეუძლებელია, რომ ამ თანამდომობელ დონას არ ახლდეს სიყვარული“ (თავი XXXV)... „და შემდეგ ისე მოხდა, რომ, სადაც უნდა ვენახე ამ დონას, მისი სახე ტანჯული ხდებოდა და ფერმკრთალი, თითქოსდა როგორც სიყვარულისაგან“ (თავი XXXVI)... და „ამ დონას გამომეტყველებამ იქამდე მიმიყვანა, რომ ჩემმა თვალებმა მეტისმეტად გახარება იწყეს იმის გამო, რომ მას უცქერენ“ (თავი XXXVII). დანტეს გატაცების ამგვარი ჩასახვა უნებლიეთ გვაგონებს ოტელოსა და დეზდემონას სიყვარულს, რომლის აღმოცენებასაც მავრი ასე ხსნის: „ჩემგან გამოვლილ ჭირთათვის მან მე შემიყვარა, მე შევიყვარე ჩემთა ჭირთა თანაგრძნობისათვის“. მაგრამ ამ ახალი სიყვარულის შთანერგვასთან ერთად აღიძრა მიჯნურის სულში ბეატრიჩეს მიმართ ღალატის მძიმე შეგნებაც: „ამის გამო მე არა ერთგვის ვიტანჯებოდი გულში და არამზადად ვრაცხდი ჩემს თავსო“—ამბობს პოეტი (XXXVII); საბოლოოდ, სინდისის ხმამ, რომელიც მის გრძნობით გატაცებულ გულში მისმავე გონებამ ჩააწვდინა, ისევ ბეატრიჩესაკენ გადახარა დანტე. ხოლო აქედან,—ბეატრიჩესა და donna della finestra-სადმი დანტეს გრძნობათა ამ არსობრივი იგივეობიდან,—ცხადი ხდება, რომ დანტეს ახალ სატრფოზე ბეატრიჩეს გამარჯვება სულაც არ ნიშნავს პოეტის სულში „მიწიერ“ სიყვარულზე „ზეციური“ სიყვარულის ზემის, მით უფრო, რომ, როგორც ამას დანტე საგანგებოდ უსვამს ხაზს (თავები XXXVIII, XXXIX და XLI), ბეატრიჩესთან მისი „დაბრუნება“ რაიმე „ზენარული“ ძალით შთაგონებული როდია, არამედ იმ გადამწყვეტი ზეგავლენის შედეგს წარმოადგენს, რომელიც ახალსა და ძველ სატრფოთა შორის მერყევი მიჯნურის სულიერ ბრძოლაში გონების, მისი საკუთარი მორალური შეგნების ჩარევა ახდენს.

ამ „დაბრუნების“ შესაბამისად ამიერიდან ცხოვრების აზრი დანტესათვის იმ სათნოებისადმი სამსახურში, იმ სიკეთის განდიდებაში მდგომარეობს, რომლის სიდიადემ, ბეატრიჩეს სახით წარმოჩენილმა, აქ, მიწაზედ, ჰპოვა თავისი ნამდვილობა, ხოლო იქ, ზეცაზედ, სისრულე შეივსო და რომელიც თავის მსახურსაც ამაღლებს თავის დონემდე.

სწორედ ეს არის,—ბეატრიჩეს ზენარული სიწმინდის ღირსად ქცევისათვის საკუთარი ღვთაებრივ-ადამიანური ბუნების ამ ქვეყნად სრულქმნა,—ნამდვილი არსი დანტეს საბოლოო მიზანდასახულებისა, იმ „ახალი გონიერულობისა“, რომელიც მწუხარებით მას სიყვარულმა „უბოძა“, მისი „ყარბი სულის“ ზესწრაფვისა „სამშობლოსაკენ“, ზეცისაკენ, სადაც თავისი „საოცარი ღირსების“ შესაფერად „პატივდებული“ განისვენებს ქალბატონი ბეატრიჩე (სონეტი XXV).

მაგრამ ამავე დროს, ამ „ახალი გონიერულობის“ გაცხადებასთან ერთად ხდება დანტესათვის საცნაური, რომ მას დასახული იდეალის მისაღწევად ჯერჯერობით ძალა არ ჰყოფნის, რომ მას არ ძალუძს „იმის წვდომა, საითკენაც ფიქრი იტაცებს“, „ესე იგი ბეატრიჩეს საოცარი ღირსებისა“. უკანასკ-



ნელი (XXV) სონეტის „მეოთხე ნაწილს“, სადაც ესაა „თქმული“, პოეტი ასე განმარტავს: „მეოთხეში ვლაპარაკობთ, თუ როგორ ხედავს იგი (დანტეს „ყარბი სული“, რომელიც თავის „ზესწრაფვაში“ „სანატრელის საზღვარს“ აღწევს—ო. ჯ.) ბეატრიჩეს ისეთს, ესე იგი, ისეთი ღირსებით მოსილს, რომ მე არ ძალმიძს მისი წვდომა; ხოლო ნიშნავს ეს იმას, რომ ჩემი აზრი მისი ღირსების ისეთ საფეხურს აღწევს, რომ ჩემს გონებას არ შესწევს ამის გაგების უნარი, რამდენადაც ჩვენი გონება ისეთსავე მამართებაში იმყოფება იმ კურთხეულ სულებთან, როგორც უმწეო თვალი მზესთან: სწორედ ამას ამბობს ფილოსოფოსი მეტაფიზიკის მეორე წიგნში“ (თავი XII).

ხოლო ამ აღიარებით ისაზღვრება დანტეს უშუალო ცხოვრებრივი ამოცანაც, რომელიც მისი შემდგომი შემოქმედებითი ძალვის პრაქტიკულ „პროგრამას“ წარმოსახავს და, როგორც ასეთი, მისი უკანასკნელი ქმნილები, „კომედიის“, იდეურ ჩანასახსაც შეიცავს, — ამოცანა, რომელსაც „ახალი ცხოვრების“ უკანასკნელი (XIII) თავი ასე აყალიბებს:

„ამ (XX) სონეტის შემდეგ მექმნა საკვირველი ხილვა, რომელშიც ისეთი რამ ვნახე, რამაც გადამაწყვეტინა, მანამ არ ვილაპარაკო ამ კურთხეულზე (ბეატრიჩეზე—ო. ჯ.), ვიდრე არ შევძლებ მის შესახებ უფრო ღირსეულად თხრობას. და რომ მივალწიო ამას, მე ვზრომობ, რამდენადაც კი ძალმიძს, როგორც ეს ქეშმარიტად უწყის მადონამ. ასე რომ, თუ კი ეს ინება იმან, ვისით ყველა ქმნილება ცოცხლობს, რომ ჩემი ცხოვრება რამდენსამე წელს გაგრძელდეს, მე ვიმედოვნებ ის ვთქვა ბეატრიჩეზე, რაც არასოდეს თქმულა ვინმეზე. და შემდეგ კი, დე ინებოს იმან, ვინც არის მოწყალე მეუფე, რომ ჩემმა სულმა შეძლოს ამაღლება და ხილვა თავისი ქალბატონის სიდიადისა, ესე იგი იმ კურთხეული ბეატრიჩესი, რომელიც ღირსეულად ჰვრეტს იმას, „qui est per omnia saecula benedictus — რომელიც საუკუნეთა მანძილზე იქნება ნეტარსხსენებული“.

\* \* \*

ამგვარად ისმის უკვე „ახალ ცხოვრებაში“ დანტეს შემოქმედების ძირითადი პრობლემა, — ფორმით რელიგიურ-მისტიკური ამოცანა მიწიდან ზეცამდე კიბის აღმართვისა, ადამიანის „გაღვთიურებისა“, რომლის ნამდვილ შინაარსს თავის რეალურ ნაკლოვანებათა შემგნებელი პოეტის იდეალური ზნეობრივი სრულყოფილებსავე სწრაფვა შეადგენს. ამ ამოცანის განხორციელებას ემსახურება, როგორც ზემოთ აღინიშნა, დანტეს ყველა მომდევნო თხზულება, რომელთა განხილვა ამ ნარკვევის მიზანდასახულებას სცილდება. ამ ამოცანის არსი „ღვთაებრივს კომედიაში“ იშლება ერთიან გრანდიოზულ სურათად დანტეს-ადამიანის შინაგანი სრულქმნისათვის ტიტანური ძალვისა. მაგრამ, ამავე დროს, უკვე „ახალ ცხოვრებაში“ იჩენს თავს დიდი ფლორენციელის ამ ძალვის არსობრივი ხასიათი: დანტეს შემოქმედების ძირითადი პრობლემა აქ იმგვარადაა დასმული, რომ სავსებით ნათელი ხდება მისი შემდგომი გადაწყვეტის ჰუმანიტურ-რეალისტური შინაარსი. უკვე აქ ჩანს



ცხადად, რომ დანტეს „ზეცად სვლა“ მხოლოდ პირობითი რელიგიური-მისტიკური პროექცია იქნება მისი ამიერი ადამიანური სრულქმნისა და ამაღლებისა. მაშასადამე, უკვე აქ, თავის ამ ჭაბუკობის დროინდელს ქმნილებაშივე, ჩნდება დანტე როგორც „შუასაუკუნეთა უკანასკნელი და ახალი დროის პირველი პოეტი“.

## Отар Джинория

### Данте — „последний поэт средневековья и первый поэт нового времени“

#### Резюме

Данное Ф. Энгельсом определение культурно-исторического места Данте указывает на глубокую внутреннюю противоречивость личности и творчества великого итальянского поэта-мыслителя. Однако оно не должно быть истолковано механически, в том смысле, будто певец Беатриче является раздвоенным человеком, в котором борются „две души“, — старая и новая, — лишённые определенного единства. В действительности, противоречивость Данте выражается в том, что он стоит еще на почве средневековой культуры, однако завершает и резюмирует развитие этой культуры таким образом, что разрушает и снимает ее изнутри, создавая в ней предпосылки для развития ренессансного мировоззрения и искусства и становясь тем самым человеком и „нового времени.“

Историческую миссию завершителя средневековой и зачинателя новой культуры Данте выполняет на мировоззренческой основе еретической мистики, служившей идеологической формой всех средневековых революционных, социальных и политических учений, в первую очередь направленных против церкви, являющейся „наивысшим обобщением и санкцией существующего феодального строя“ (Ф. Энгельс).

В форму еретической мистики облекалось в эпоху раннего средневековья народное, в сущности своей „языческое“, стихийно материалистическое и реалистическое мировосприятие, служащее основным источником развития средневекового искусства; в силу данного обстоятельства зависимость от еретической мистики в той или иной мере свойственна всем выдающимся явлениям средневековой литературы, самым великим среди которых является дантовская „Комедия“.



Однако, отношение Данте к еретической мистике—как и ко всему средневеково-христианскому мировоззрению—глубоко противоречиво: с одной стороны, Данте еще не способен преодолеть негативную спиритуалистическую форму мистики, в силу которой ее прогрессивность в основном ограничивается лишь эпохой раннего средневековья, — и это явилось мировоззренческой причиной того, что великий флорентинец не смог оторваться от средневековой почвы; с другой же стороны, Данте мощнее любого иного средневекового мыслителя и художника усваивает и развивает материалистическо-реалистическую тенденцию мистики, заключающую в себе зерна ренессансного мировоззрения, и этим определяется то обстоятельство, что Данте, не выходя еще за пределы средневековой культуры, в ее же недрах создает непосредственные предпосылки для развития нового мировоззрения и искусства.

В соответствии с этим и в противоположность утверждениям буржуазных дантоведов, будто творец „Комедии“ является религиозным поэтом и мыслителем, религиозно-мистическое мировосприятие определяет более форму, чем содержание мировоззрения и творчества Данте, в сущности своей носящее сугубо светский, несредневековый характер.

Последним поэтом старого и первым поэтом нового времени Данте проявляет себя уже в своей „Новой жизни“, служащей „прологом“ всех последующих философско-художественных усилий певца Беатриче. Уже это раннее творение Данте включает в себе как основную проблематику дантовского творчества, так и основной принцип ее разрешения: воспринимая, в качестве средневекового человека, несоответствие между своим гуманистическим идеалом и действительностью в виде противоречия между „небом“ и „землей“ и стремясь, согласно с мистикой, снять это противоречие путем „любовного единения“ человека с его „высшим прообразом“, богом, Данте в качестве человека нового времени насыщает свой поэтический символ „небесного совершенства“, образ Беатриче, и свою „платоническую“ любовь к ней чисто- и высоко-человеческим моральным содержанием, нашедшим свое естественное воплощение в ренессансном культе созидательной, облагораживающей и украшающей жизнь „земной“, реальной любви.



ქ. ზალაქა

## დემოკრატიული მიმდინარეობა ირანის თანა- მედროვე პროზაში

სპარსული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს XX საუკუნეს. წინანდელთან შედარებით ეს განსაკუთრებულობა უპირველეს ყოვლისა სპარსული პროზის სწრაფი განვითარებითა და ჩამოყალიბებით აიხსნება, რაც ესოდენ თვალნათლივაა შესამჩნევი ამჟამად. ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, თითქოს, სპარსული ლიტერატურა იმდენად ღარიბი იყოს პროზით, რომ ეს უკანასკნელი თითქმის ცარიელ ადგილზე წარმოიშვა და ამიტომ სპარსული პროზისა და მისი სტილის ისტორია მხოლოდ XIX საუკუნიდან იწყებოდეს<sup>1</sup>. მაგრამ, როდესაც პროზის არსებობის ფაქტს XX საუკუნისათვის ხაზგასმით აღვნიშნავთ, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ამ დროს იგი ირანის საზოგადოებრივ ცხოვრებაში პოეზიის გვერდით, მის თანაბრად და შეიძლება მეტადაც, ასრულებს იმ ფუნქციას, რაც საერთოდ სიტყვაკაზმულ მწერლობას აქვს დაკისრებული ერის ცხოვრებაში. XX საუკუნეში სპარსულმა პროზამ წარმოშვა ისეთი მწერლები, როგორცაა მირზა საედ მოჰამედ ალი ხან ჯემალ-ხადე, მორთაზა მოშფეყ ქაზემი, მოჰამედ მას'უდ დეჰათი, აბას ხალილი, აჰმედ ხოდადადი, ეჰსან თაბარი, სადეყ ჰედაიათი, ბოზორგ ალევი, აჰმედ სადიყი და სხვანი. თანამედროვე სპარსული პროზის შესახებ მსჯელობა უკვე აღარ შეიძლება ერთი თვალის გადავლებით მიღებული შთაბეჭდილებით; მის წიაღში თავს იყრის მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები — სოციალური მოტივები, რეაქციული და პროგრესულ-დემოკრატიული მიმდინარეობანი, დასავლეთ ევროპული, რუსული და საბჭოთა ლიტერატურის გავლენათა საკითხი, ფორმების ძიება და სხვა.

სპარსული პროზის სწრაფ განვითარებას XX საუკუნეში საფუძვლად დაედო ის საზოგადოებრივი და სოციალური მოვლენები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ირანში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, განსაკუთრებით კი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენითა და გამოძახილით; 1918-21 წლებში ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობამ, 1920 წელს კომუნისტური პარტიის დაარსებამ, კაპიტალიზმის განვითარებამ და

<sup>1</sup> باجو، منتخبات سعید نفیسی و فاطمه سیاه ادبیات معاصر ایران، 1946, 222—223



ნაციონალური ბურჟუაზიის ზრდამ საფუძვლიანად შეარყია ყაჯართა ძირ-  
მომპალი ფეოდალური სახელმწიფოს ძლიერება და 1925 წელს იგი სრულ  
დაცემამდე მიიყვანა. ხოლო რეზა ხანის მიერ საკუთარი თავის ირანის შაჰად  
გამოცხადება სხვას არაფერს ნიშნავდა, თუ არა ნაციონალური ბურჟუაზიისა  
და მემამულეთა კლასის დიქტატურას ირანში. 30-იანი წლები ირანის ცხოვ-  
რებაში აღინიშნება ადგილობრივი მრეწველობის განვითარებით, რკინიგზების  
ქსელით, ინგლის-ამერიკის კონცესიებითა და სხვა ისეთი მოვლენებით, რომ-  
ლებმაც გააღრმავა არსებული სოციალური დიფერენციაცია, კიდევ უფრო  
გაამწვავა კლასთა შორის ურთიერთობა და ფართო მასები უკიდურს სიღა-  
ტაკემდე მიიყვანა. ბუნებრივია, რომ დასახელებულმა მოვლენებმა და პრო-  
ცესებმა გამოახილი ჰპოვა ქვეყნის იდეოლოგიურ ცხოვრებაში და, მაშასა-  
დაწე, ლიტერატურაშიც. ფეოდალური წყობისა და უცხოური იმპერიალიზმის  
წინააღმდეგ ბრძოლის იდეებით გამოვიდნენ ცნობილი პოეტები ფეროხი  
იეზდი, მირზადე ეშყი და სხვები, ხელისუფლების ანტისახლური მმართველო-  
ბისა და პოლიტიკის წინააღმდეგ თავის შემოქმედებაში მკაცრად ილაშქრებ-  
დნენ აგრეთვე ცნობილი პოეტები: მალექ-აშ-შოარა ბაჰარი, არეფი, ირაჯ  
მირზა, ფარვინ ეთესამი და სხვანი, ხოლო ყაჯართა ფეოდალურ-დესპოტური  
სახელმწიფოს მკაცრმა კრიტიკამ ნაციონალური ბურჟუაზიის პოზიციებიდან  
პირველად თავისი გამოხატულება ჰპოვა ცნობილი მწერლების, პროზაიკოსე-  
ბის ჯემალ-ზადესა და მორთაზა მოშფეყ ქაზემის შემოქმედებაში. ეს ფაქტი  
საყურადღებო მოვლენა იყო არა მარტო აღნიშნული კრიტიკის თვალსაზრი-  
სით, არაჰედ იმითაც, რომ მათ ლიტერატურაში შემოიტანეს და გეზი მისცეს  
ირანში კაპიტალიზმის განვითარების შედეგად მიმდინარე სოციალური ძვრე-  
ბის ასახვისათვის შესაფერ უანრებს — რომანს, მოთხრობას, ნოვე-  
ლას. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ირანის სინამდვილეში კაპიტალიზ-  
მის განვითარების მამულებმა შემდეგ აღარ დაისაჭიროვა პროზის ფართო  
ტილოები და იმ სოციალური მოვლენათა ასახვისათვის, რომელსაც აქ ადგილი  
ჰქონდა, და აქვს უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში, საკმარისი  
აღმოჩნდა პროზის უფრო მოკლე ფორმები, ჩვეულებრივ, მოთხრობა და  
ნოველა. რომანი ირანის XX საუკუნის ლიტერატურაში აღარ განვითარე-  
ბულა.

როგორც აღვნიშნეთ, XX საუკუნის სპარსული პროზის ერთი საუკე-  
თესო წარმომადგენელთაგანია მირზა საედ მოჰამედ ალი ხან ჯემალ-ზადე,  
რომელმაც 1922 წელს ბერლინში გამოაქვეყნა სატირული ნოველების კრებუ-  
ლი — „დაქი ბუდ ვა დაქი ნაბუდ“<sup>1</sup> („იყო და არა იყო რა“). ეს თხზულება და  
მისი ავტორი საერთოდ მრავალმხრივიაა საინტერესო<sup>2</sup>; მაგრამ დასმული  
საკითხის განსახილველად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ, ჩვენი აზრით,  
ჯემალ-ზადე როგორც მწერლობაზე თავისი თეორიული შეხედულებებით,

<sup>1</sup> كى بود و كى نبود

<sup>2</sup> იხ. მ. ხუბუა, მხატვრული პროზის საკითხისათვის უახლეს ირანულში: თბილისის უნი-  
ვერსიტეტის შრომები, VI, 1938, 209—236.



ისე მხატვრული შემოქმედებით სპარსულ პროზაში დემოკრატიული მიმდინარეობის პირველი წარმომადგენელია. იგი დასახელებული თხზულების წინასიტყვაობაში მიმოიხილავს რა ირანის 20-იანი წლების ლიტერატურულ ცხოვრებას, დასძენს: „ავტორმა გადასწყვიტა დაებეჭდა და გამოექვეყნებია რამოდენიმე ნოველა, რომელიც დროთა განმავლობაში ჩამოყალიბებულა გულის სიღრმეში ჩაქსოვილ ზრახვებისაგან განსათავისუფლებლად, რომ მისი სუსტი ხმა, საღათას ძილისაგან ქარავნის გამაღვიძებელი მამლის საგანთიადო ყვირლის მსგავსად, გამხდარიყო სახიერო მოქმედების საბაზად, რათა ჩვენ ედიბებსა და სწავლულებს, თანამედროვე ეპოქის მოთხოვნილებათა მხედველობაში მიღებით, ბევრი რამ ამ ნაფიქრ-ნააზრევიდან არ დაეტოვებოთ უნაყოფოდ, როგორც მზე ღრუბლებს იქით, ანდა ვითა უძვირფასესი მარგალიტი თავის საღაფში ობლად შთეხილი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს მცირე მნიშვნელოვანი და უთავბოლოდ მიმოზნეული ამბები შეწყნარებელი იქნება კარგი გენოვნების მქონე ადამიანების მიერ და ახალ გზას გაუხსნიან ჩვენს ნამდვილ მწერლებს, ხოლო მე ამ სამსახურის სანაცვლოდ უკეთეს საჩუქარს აღარც კი მოველი“<sup>1</sup>. ამავე წინასიტყვაობაში ჯემალ-ზადე სპარსული ლიტერატურის ჩამორჩენის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად სამართლიანად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ აქამდე წერდნენ რჩეულთათვის და არა ხალხისათვის. ამასთან დაკავშირებით იგი მოითხოვდა სამწერლო-სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციას, რისთვისაც საუკეთესო საშუალებად თვლიდა პროზაულ ჟანრებს — უპირველესად მოთხრობასა და ნოველას, აგრეთვე რომანს. ჯემალ-ზადეს აზრით, მხოლოდ პროზაში შეუძლია წარმატებით მოიხმაროს ავტორმა ყოველგვარი სიტყვები, გამოთქმები, ანდაზები, თქმები, სიტყვების სხვადასხვანაირ შეხამება, ერთი ენის ფარგლებში არსებული კილოკავები და სხვა<sup>2</sup>. ჯემალ-ზადეს პროგრესულობა სამწერლო-სალიტერატურო ენის საკითხში არა მარტო ენის დემოკრატიზაციის მოთხოვნაში მდგომარეობდა; იგი ანგარიშს უწევდა ენაში მომხდარ ცვლილებებს და საჭიროდ თვლიდა მის სათანადოდ ასახვას სიტყვაკაზმულ მწერლობაშიც. ის წერდა: „ახალ აზრთა და ცნებათა ტრიალში, რომელსაც ადგილი აქვს ცხოვრებაში — ახალი სიტყვების შემოუტანლობა და ძველით დაკმაყოფილება ედრება იმას, რომ ვინმემ მოისურვოს ძუძუმწოვარი ბავშვის ტანისამოსი ჩააცვას ბრგესა და ძალღონით სავე ვაეკაცს“<sup>3</sup>. ჯემალ-ზადემ ეს შეხედულებანი პრაქტიკულად განახორციელა; მისი „იყო და არა იყო რა“ მთლიანად დაწერილია სადა, მაგრამ მდიდარი ხალხური ენით, როგორც პროფ. კ. ჩაიკინი წერს... „сочным персидским языком“<sup>4</sup>. მწერალი ამ თხზულებაში, რომელიც ექვსი ნოველისაგან შედგება, იძლევა ყაჯართა დინასტიის (1794—1925) ბოლო ხანების, XX საუკუნის 20-იანი წლების ირანის დაცემულ-დაკნინებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების

<sup>1</sup> თარგმანი, იქვე, 216—17.

<sup>2</sup> იქვე, 215.

<sup>3</sup> იქვე, 215.

<sup>4</sup> К. Чайкин, Краткий очерк новейшей персидской литературы, М., 1928, 75.



მკაცრ კრიტიკას. ერთ-ერთ ნოველაში მწერალი ასე ახასიათებს ირანის სახელმწიფო აპარატსა და მმართველობას:

პარიზში ერთ აბანოში შესულმა სპარსელმა დაიქირავა მექისე, რომელსაც წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში მრჩევლად უმუშავნია ირანში. მათ შორის ასეთი დიალოგი იმართება:

„— რანაირი მრჩეველი იყავი?

— ყოველნაირი. შინაგან საქმეთა სამინისტროს, საგარეო, საფინანსო, სამხედრო, განათლების, საზოგადო ქველმოქმედების, ფოსტა-ტელეგრაფის, საბაჟოს, ვაჭრობის და სხვადასხვა.

— თუმცა თვრამეტ თვეზე მეტ ხანს არ მიცხოვრია ირანში, მაგრამ ჩინებულად შევიგნე, რომ იქაური ცხოვრება თავიდან ბოლომდე ბერიკაობას ჰგავს...

ვახეთები ჩემ შესახებ წერილებს ათავსებდნენ, პოეტები ხოტბას მასხავდნენ... რეფორმები ისე მრავლდებოდა ჩემი კარხანით, როგორც წვიმის შემდეგ სოკო.

— გამეცინა და ვთქვი: „როგორც ქვაბი, ისეთივე ქარხალი“<sup>1</sup> (შდრ. ქართ. „როგორც ერი ისეთი ბერი“ კ. ფ.).

ჯემალ-ზადე თავისი ნოველებით თვალწინ გვიშლის ყაჯართა ირანის ბოლო წლების სრულ და შეუფერავ სურათს. მისი პერსონაჟები: რამაზანი, აბიბულა, შეიხ ჯაფარი, ყორბან ალი, ვირან დოვლე და სხვა ხალხის წინააღმდეგ გამოსული და თითოეული ამათვანის თავგადასავლისა და ამბის მაგალითზე მწერალი თანამედროვეობის სიმახინჯეთა დაუნდობელ კრიტიკას იძლევა. ენის ხალხურობით, ფორმის სიახლით, უბრალო ადამიანთაგან შერჩეული პერსონაჟებით, ირანის სახელმწიფო აპარატისა და მმართველობის მკაცრი კრიტიკით ჯემალ-ზადემ სპარსულ ლიტერატურაში სტიმული მისცა ახალ მიმართულებას — დემოკრატიულ პროზას. მხოლოდ აქვე უნდა შეინიშნოს, რომ თავის კრიტიკულ დამოკიდებულებას ირანის ნახევრად ფეოდალურ-დესპოტური სახელმწიფოსადმი მწერალი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პოზიციებიდან ეწეოდა; მისი აზრით ლიტერატურა უნდა ემსახურებოდეს მთელი ერის კეთილდღეობასა და ინტერესებს განურჩევლად სოციალური უთანასწორობათა და კლასობრივი წინააღმდეგობებისა. მისი იუმორი ირანის პარლამენტისა და მმართველობის მისამართითაა. მას ძველი ირანის დაკარგულ დიდებაზე შესტიკვა გული და არა ჩაგრულ-ბეჩავთა ცხოვრებასა და მომავალზე<sup>2</sup>. ასეთი თვალსაზრისის შემდგომი ვაშლა და გაღრმავება მწერალს ბუნებრივია მიიყვანდა რეაქციონერ-ნაციონალისტთა ბანაკში. მაგრამ, ცნობილია, ჯემალ-ზადე როგორც მწერალი და შემოქმედი ამის შემდეგ აღარ გაზრდილა, თუმცა მასზე დიდ იმედებს ამყარებდა მკითხველი საზოგადოება;

<sup>1</sup> თარგმ. მ. ხუბუასი, იხ. „მნათობი“, 1935, № 5, 88—89.

<sup>2</sup> ჯემალ-ზადეს შემოქმედების ამ მხარეს სრულიად სამართლიანად პირველად ყურადღება მიაქცია დოც. მ. ხუბუამ. იხ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 215.



ნოველების დასახელებული კრებული დარჩა როგორც უმაღლესი მწვერვალი ჯემალ-ზადეს შემოქმედებაში, ხოლო სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იგი მართლაც მივიდა რეაქციონერთა ბანაკში, მაგრამ არა როგორც შემოქმედი, არამედ როგორც ირანის პოლიტიკური მოღვაწე, უფრო სწორათ, მოხელე. კვლავ უნდა ითქვას, რომ ჯემალ-ზადეზე როგორც დიდ მწერალზე შეიძლება ვიმსჯელოთ და აზრი ვიქონიოთ „აქი ბუდ ვა აქი ნაბუდ“-ის მიხედვით. იგი ამ ნაწარმოებით თავისი დროისათვის, ირანის სინამდვილის მაშინდელ პირობებში უთუოდ პროგრესული მოვლენა იყო.

ამავე პერიოდში ყურადღებას იპყრობს, აგრეთვე, ცნობილი ირანელი მწერალი მორთაზა მოზფეყ ქაზემი რომანით „თეჰრანე მახუფ“<sup>1</sup> („სახარელი თეირანი“), რომელიც პირველად 1922 წელს გამოქვეყნდა<sup>2</sup>. მასში მოთხრობილია გაღარიბებული ოჯახის შვილის მდაბიო ფეროხისა და მაღალჩინოსანი მოხელის ასულის მაჰინის მიჯნურობის ამბავი. ამ სიყვარულის ამბავი დაუგვირგვინებელია. ქაზემი თხზულებაში ხაზს უსვამს ქალის უუფლებო მდგომარეობას ირანში, მაგრამ მთავარი ამ რომანში ისაა, რომ ავტორს სიუჟეტი გაშლილი აქვს სოციალურ უთანასწორობათა ფონზე „სად იღვრება უმწეოთა და უბედურთა ამდენი ცრემლი?“<sup>3</sup> კითხვას სვამს ავტორი და მისი ნაწარმოებიც ამის პასუხია. რამდენიმე სტრიქონში ქაზემი ასე გვიხატავს ირანის სოციალური უთანასწორობის სურათს: „დილაა. მზე ამოვიდა... დროდადრო მხიარული ნიავი ჩამოიქროლებს. თეირანის მცხოვრებთა ერთი ნაწილი უკვე გამოფხიზლებულია, სხვები გამოფხიზლების ზმორებაში არიან, ხოლო ნაწილი ჯერ კიდევ ძილში ნებიერობს. ისინი, რომელთაც უკვე გამოიღვიძეს და ფეხზე არიან, მდაბიოს ეკუთვნიან; დილით ადრე უნდა ადგნენ, რათა სირბილითა და ხლადფორთით დღიური საზრდო იშოვონ. ამათ ორ-სამ გროშზე მეტი არ გააჩნიათ“...<sup>4</sup> რომანის მთავარი გმირია უბრალო ადამიანი ფეროხი, რომელსაც სძულს არისტოკრატია და მაღალჩინოსანი მოხელეები. იგი, მაჰინის მოტაცების გამო გარშემორტყმული, ჟანდარმებთან საბრძოლველადაც მზადაა, მაგრამ ეს ნხოლოდ ინდივიდუალური პროტესტია უთანასწორობისა და ძალადობის წინააღმდეგ, ამდენად ეს პროტესტი უსუსურია და უშედეგოც. რომანში მაჰინისა და ფეროხის სიყვარულის ამბის გარდა მთელი რიგი ეპიზოდებია, რომლებშიც ხაზგასმულია უბრალო ადამიანების ცხოვრების მძიმე პირობები და განსაკუთრებით სპარსელი ქალის უუფლებო და დამამცირებელი მდგომარეობა. ავტორის სიმპატიებიც სოციალური უთანასწორობით

<sup>1</sup> تهران مخوف

<sup>2</sup> პირველი წიგნი იბეჭდებოდა გაზეთ—ایران-ის-ს-ს-ს-ის ფურცლებზე, დიდი წარმატების გამო შემდეგ სამჯერ გამოიცა, ხოლო მეორე მესამე და მეოთხე წიგნები დაიბეჭდა ბერლინში.

<sup>3</sup> باکو، تهران مخوف. „اشك بیچارگان و بدبختان کجا فرومیریزد“  
منتخبیات، 1946, 259.

<sup>4</sup> იქვე, 295.



დაჩაგრულთა მხარეზეა. „საზარელ თეირანს“ თავის ღროს დიდი წარმატება ხვდა წილად მკითხველთა შორის.

20-იანი წლების ირანელი გლეხკაცის მძიმე და ღუხჭირი საყოფაცხოვრებო პირობების შესახებ მოგვეთხრობს თავის რეალისტურ რომანში „რუხე სიდაჰე ქარგარ“<sup>1</sup> („მუშაკაცის ბედშობა“) აჰმედ ხოდადადი. ნაწარმოებში გადმოცემულია გლეხკაცის დაბეჩავებული და გაჭირვებული ცხოვრების შემადრწუნებელი სურათები. ირანელი გლეხი წელშია გაწყვეტილი, რადგან მას უმძიმეს ტვირთად აწევს სახელმწიფო გადასახადები და მემამულის წინაშე ვალდებულებანი. გულუბრყვილო გლეხს სჯერა, რომ სამართალს გუბერნატორთან ჰპოვებს, მაგრამ ამაოდ; სამართლის ნაცვლად მას იქ წილად ხვდება ცემა და საპყრობილე. ავტორი, მართალია, რეალისტურად გვიხატავს გლეხის მძიმე მდგომარეობას, მაგრამ მისთვის ხსნის ვერაფერითარ გზას ვერ ხედავს და უიმედოდ დასძენს, რომ ასეთი გზა არ არსებობსო.

20-იანი წლების დასასრულსა და 30-იანის დასაწყისში ირანში დიდი პოპულარობით სარგებლობდა აბას ხალილის რომანები, რომელთა შორის უპირველესად აღსანიშნავია „რუხგარე სიდაჰე“<sup>2</sup> („უბედურება“, შეიძლება ითარგმნოს „ბედშავობა“). ამ თხზულებაში, ისევე როგორც სხვებში—„ენთეყამ“<sup>3</sup> („შურისძიება“). „ენსან“<sup>4</sup> („ადამიანი“), ავტორი უმთავრესად გვიხატავს ირანელი ქალის მონურ მდგომარეობას და იძლევა, აგრეთვე, ირანის ყოფაცხოვრების მთელი რიგი მხარეების მკაცრ კრიტიკას. ამით იგი ამჟღავნებს თავის უარყოფითსა და შეურიგებელ დამოკიდებულებას არსებული სინამდვილისადმი. რომანში „რუხგარე სიდაჰე“ ავტორი მოგვეთხრობს, თუ როგორ შეხვდა იგი ქერმანშაჰში ერთ უთვისტომო, ღატაკ და მძიმედ დაავადებულ ქალს, რომლის განკურნება-პატრონობაში თვით მიიღო მონაწილეობა. გამოჯანმრთელების შემდეგ ქალი უამბობს ავტორს თავის წარსულს. გამოიჩვენა, რომ იგი მეძავია, და თუ როგორ დაადგა ასეთ გზას, ავტორი ამას ცხოვრების იმ სოციალური უკუღმართობით ხსნის, რომელიც ირანში არსებობდა. მაგრამ მიუხედავად სინამდვილის მკაცრი კრიტიკისა და მისადმი უარყოფითი დამოკიდებულებისა, აბას ხალილის თავისი ქვეყნის ხსნისათვის არა თუ სწორი და რეალური გზა აქვს წარმოდგენილი, არამედ იგი უსაზღვრო პესიმიზმითაა შეპყრობილი<sup>5</sup> და თავისი ერთ-ერთი რომანის „ენსანის“ დასასრულში გაზაფხულის ნიაგს ევედრება, რათა მან მოუტანოს ირანს სიმართლე, თავისუფლება, კაცთმოყვარეობა და გაავრცელოს მის ქვეყანაში ცოდნა, მეცნიერება, ტექნიკა... სამაგიეროდ თან წარიტაცოს ნიშნები ირანის სიღამისა<sup>6</sup>. განსაკუთრებული პოპულარ-

1 روز سیاه کارگر, თეირანი, 1927.

2 روزگار سیاه, მეორე გამოცემა 1925 წელს, პირველი 1924-ს.

3 انتقام,

4 انسان,

5 К. Чайкин, დასახ. ნაშრომი, 129.

6 استان, 214.



რობა ხვდა წილად „რუზგარე სიდაჰს“, რაც... *повидимому, объясняется актуальностью и жизненностью затронутых тем и, конечно, главным образом остротой постановки женского вопроса*<sup>1</sup>. ამგვარი შეფასება, ჩვენი აზრით, სამართლიანად შეეხება აბას ზალილის მთელ შემოქმედებას.

დემოკრატიული მოტივების შემცველი რომანების გვერდით ბუნებრივია, რომ იქმნებოდა რეაქციული ხასიათის მატარებელი თხზულებებიც. მაგალითად, მოჰამედ მას'უდ დეჰათის ტრილოგია „თაჰრიჰ-ე შაბ“<sup>2</sup> („ამის გართობანი“), „დარ თალაშე მა'აშ“<sup>3</sup> („ცხოვრების ორომტრიალში“) და „აშრაფე მახლუყათ“<sup>4</sup> („დიდებულთაგანი ქმნილებისა“). ამ ტრილოგიაში მოთხრობილია ირანის მალაღჩინოსანთა და მოხელეთა ცხოვრება. ავტორი კაცთმოძულეა და სთვლის, რომ აღამიანები იმსახურებენ იმ მძიმე ხვედრს, რომელიც მათ აწვეთ ცხოვრებაში. რეაქციული მიმართულების მწერალთა შორის აღსანიშნავია, აგრეთვე, ცნობილი მწერალი, პროზაიკოსი მოჰამედ ჰეჯაზი თავისი რომანებით — „ჰომან“<sup>5</sup> („ციებ-ცხელება“), „ფარი-ჩეჰრ“<sup>6</sup> („ფერის სახის“), და „ზიბა“<sup>7</sup> („ლამაზი“), რომლებიც მიძღვნილია ქალთა საკითხისადმი. მაგრამ, განსხვავებით მის წინა და შემდეგდროინდელი პროგრესულ-დემოკრატიული მწერლებისაგან, მოჰამედ ჰეჯაზის ქალის უფლებების სოციალური მიზეზი და საფუძველი არ აინტერესებს; იგი ქალში ეძებს გაიძევრობას, ცბიერებას, გარყვნილებას — ერთი სიტყვით უარყოფითს და ცდილობს ყველა ამის მხატვრულ სახეებში გადმოცემას.

ბურჟუაზიულ-რეაქციული მიმდინარეობის თვალსაჩინო წარმომადგენელია აგრეთვე ალი დაშთი, რომლის მოთხრობებიც, თავმოყრილი კრებულში „ფეთენ“<sup>8</sup> („არეულობა“), ძირითადად ეხება ქალის უფლებისა და მდგომარეობის საკითხებს ირანში, მაგრამ ეხება არა სოციალური, არამედ ქალისადმი ნილილისტური დამოკიდებულების თვალსაზრისით. ეს განსაკუთრებით მუქ ფერებშია წარმოდგენილი მწერალზე დასავლეთ ევროპის ლიტერატურის დეკადენტური მიმდინარეობათა გავლენის გამოც<sup>9</sup>. თუ გავითვალისწინებთ ირანის სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას, ბუნებრივია, რომ მის ლიტერატურაში და, კერძოდ, პროზაში, ისევე როგორც იდეოლო-

<sup>1</sup> К. Чайкин, 1933.

<sup>2</sup> تفریحات شب,

<sup>3</sup> در تالاش معاش,

<sup>4</sup> اشراف مخلوقات,

<sup>5</sup> حما...

<sup>6</sup> پیری چهر,

<sup>7</sup> زیبایی,

<sup>8</sup> فتنه,

<sup>9</sup> А. Розенфельд, О художественной прозе в персидской литературе: Вестник ЛГУ, № 5, 1949, 118.



გიის ყველა სხვა დარგში, პროგრესულ-დემოკრატიული ნაკადის გვერდით ბურჟუაზიულ-რეაქციული მიმდინარეობაც ფართე შტოდ მოედინებოდეს.

სპარსულ ლიტერატურაში დემოკრატიული პროზის განვითარება ორ უმთავრეს პერიოდად შეიძლება დაიყოს. პირველი, 20-იანი წლებიდან მსოფლიო ომამდე, მეორე — აქედან უკანასკნელ დრომდე. ასეთი დაყოფის საფუძველზე შემდეგ, ახლა კი უნდა შევნიშნოთ, რომ მეორე პერიოდში აღნიშნულმა მიმდინარეობამ, შეინარჩუნა რა ხალხური ენა, კიდევ უფრო შეითვისა იგი, ფორმათაგან დაიმკვიდრა მოთხრობა და ნოველა, ხოლო თემატიკა მთლიანად განისაზღვრა უბრალო ადამიანების ყოფაცხოვრების ამსახველი სიუჟეტებით სოციალური უთანასწორობის ფონზე.

ალი ქარამის მოთხრობაში „ამდალი მოზაჰებ“<sup>1</sup> („მღებავი ამდალი“) გადმოცემულია ცხოვრება ერთი ხელოსნისა, რომელიც სულძოჟთქმელად შრომობს, მაგრამ ამაოდ. ავტორი დასახელებულ მოთხრობაში შიმშილით დაჩაგრული ოჯახის შემადრწუნებელ სურათებს გვიხატავს. ფახრ-ად-დინ ონსორი თავის ნოველაში „არუსი“<sup>2</sup> („ქორწილი“) მოგვითხრობს ერთი ახალგაზრდა ირანელი გლეხის რეზას შესახებ, რომელსაც ბედმა გაუღიმა და როგორც იქნა თამბაქოს მოსავალმა საშუალება მისცა ცოლი ეთხოვა. იგი ძლიერ ღარიბი იყო და ამიტომ მცირედითაც კმაყოფილი. ღარიბული ქორწილი სადად; მაგრამ ამავე დროს მშვიდად და ლამაზად ჩატარდა — დასძენს ავტორი, რეზას მოხუცი მამა კი, ოთახის კუთხეში მიმჯდარი, ჩიბუხს აბოლებდა და უსაზღვრო კმაყოფილებას განიცდიდაო. ავტორი ამ ნოველაში ხაზს უსვამს, რომ არსებობისათვის ბრძოლის მძიმე პირობების მიუხედავად, ირანელი გლეხკაცის გული მაინც სათნოა და მდიდარი; ის მცირედითაც კმაყოფილია და იღწვის ცხოვრებისათვის, ზრუნავს ხვალისდელ დღეზე. მოჰამედ ალი ისლამი თავის მოთხრობაში „ზენდეგი“<sup>3</sup> („ცხოვრება“) გადმოგვცემს ერთი ბეჩავი უმიწაწყლო გლეხკაცის — მირ იბრაჰიმის გაჭირვებული ცხოვრების შესახებ. იგი გაძვალტყავებული მშვიერი სახედრით ყოველდღიურად ოც გზას აკეთებდა ტვირთის საზიდად, გასამრჯელოს კი ამისათვის მხოლოდ რვა ყერანს<sup>4</sup> იღებდა, საიდანაც ექვსს ბინის ქირის ვალში იხდიდა, დარჩენილი ორი გროშით აგადმყოფი ცოლისათვის შექარსა და ჩაის ყიდულობდა. ოჯახის სხვა წევრთ — მის რვა გამხდარსა და ჩაყვითლებულ ბავშვს სახრავადაც კი არაფერი რჩებოდა. ცხოვრების პირობების გაუმჯობესების არავითარი იმედი მათთვის არ ჩანდა. მეჰდი აჰუვათის მოთხრობაში „სნბესორს“<sup>5</sup> („წითელი ვაშლი“) მოთხრობილია, რომ ხელზე მოსამსახურე გოგომ

<sup>1</sup> آمدلی مذهب

<sup>2</sup> عروسی

<sup>3</sup> زندگی

<sup>4</sup> قران — უდრის 12, 4 კაბიკ. სხ. Б. В. Миллер-ის Персидско-русский словарь,

М., 1953, 254, 380.



სახელად შირინმა ჯარისკაცისაგან ერთი კოცნისათვის საჩუქრად წითელი ვაშლი მიიღო. ამან შირინი, რომელმაც დილიდან შუალამემდე თავდახრილი მუშაობის მეტი არაფერი იცოდა, გამოაფხიზლა, აგრძნობინა, რომ ისიც ადამიანია და უფლება აქვს ჰქონდეს ცხოვრებაში საკუთარი მე და გულის საიდუმლო. როდესაც ქალბატონი შენიშნავს მასში მომხდარ ცვლილებებს, და გაიგებს ყოველივეს, შეეცდება იგი კიდევ უფრო მძიმე პირობებში ჩააყენოს. ამას შირინი უკვე აღარ მოითმენს და დასტოვებს სახლს. ამ მოთხრობაში ისმის პროტესტის ხმა ადამიანური უფლებების მოპოვებისათვის.

ირანის თანამედროვე ლიტერატურაში დემოკრატიულ-პროგრესული მიმდინარეობის ერთი საუკეთესო და, შეიძლება ითქვას, დღემდე ყველაზე უფრო თვალსაჩინო წარმომადგენელია სადღე ჰედაიათი. იგი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 30-იანი წლების დასაწყისში და ყურადღება მიიპყრო როგორც ირანის უბრალო ადამიანთა ცხოვრების რეალისტმა მხატვარმა<sup>1</sup>. ცნობილი ირანელი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ბოზორჯ ალევის სამართლიანი თქმით „სადღე ჰედაიათი იყო ის მწერალი, რომელმაც სპარსული ლიტერატურის ისტორიაში მწერლობის ნიჭი ირანის ჩაგრული ფენების დამცველ იარაღად გამოიყენა...“<sup>2</sup> მისთვის მწერლობა წარმოადგენს განწმენდის გზას, რომლითაც შეიძლება გარყვნილი ზედაფენების მიერ ჩაგრული და ელემენტარულ ადამიანურ უფლებებს მოკლებული ირანის ხალხის გამოფხიზლება. ირანის ხალხი, რომლის წარმომადგენლებსაც ჰედაიათი თავის თხზულებებში ხატავს, როდესაც მის მოთხრობებს: „აბაჯი ხანუმი“, „ლეშის მკამელნი“, „შენდობის მადიებლნი“, „ქალი, რომელმაც ქმარი დაჰკარგა“, „კითხულობს, მასში საკუთარ თავს ხედავს. მათი გმირები მისთვის ნაცნობნი არიან“<sup>3</sup>.

სადღე ჰედაიათისათვის პროზისათვის უმთავრესი ფორმაა ნოველა. მწერლის ენა ხალხურია. მისი შემოქმედების მთავარი პერსონაჟია არსებული

<sup>1</sup> სადღე ჰედაიათი დაიბადა 1902 წელს თეირანში. უმაღლესი ტექნიკური განათლება მიიღო პარიზში. 1936 წელს იმოგზაურა ინდოეთში. 1945 წელს ეწვია საბჭოთა კავშიოს, მონაწილეობა მიიღო ტაშკენტის უნივერსიტეტის 25 წლისთავის ზეიმში. იგი დაჯილდოვებული იყო იშვიათი ნიჭით და ახასიათებდა დიდი შრომისმოყვარეობა. ამის წყალობით, გარდა ფრანგულისა, რომელიც მისთვის მეორე მშობლიური ენა იყო (რამდენიმე ნოველა მას ფრანგულად აქვს დაწერილი), მან შეისწავლა ძველი სპარსული, ფალაური, ინდური. ნაყოფიერად მუშაობდა ხელოვნებასა და ლიტერატურათმცოდნეობაში. გულმოდგინედ ჰკრეფდა მდიდარი სპარსული ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს, რომელსაც სწავლობდა და აქვეყნებდა. ის საუკეთესო მცოდნე იყო აგრეთვე ეთნოგრაფიის. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში სადღე ჰედაიათი ინტენსიურ სამეცნიერო-კვლევითსა და პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა თეირანის უნივერსიტეტსა და ხელოვნების მუზეუმში. 1950 წლის ბოლოს იგი გაემგზავრა პარიზს, სადაც 1951 წლის აპრილის 8-ს გარდაიცვალა, — დამით სასტუმროში გახით თავი მოიწამლა, დაკრძალულ იქნა პერლაშეხის სასაფლაოზე. მისი თვითმკვლელობის მიზეზი კვლავაც ბურჟუაზია გარემოცულია.

<sup>2</sup> ბოზორჯ ალევის ეს განცხადება არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს, მხოლოდ სადღე ჰედაიათი იყო ის მწერალი, რომელმაც ლიტერატურა ჩაგრული ფენების დამცველ იარაღად გამოიყენა.

<sup>3</sup> بزرگ علوی - صادق مدایت، 1951, № 12, 25



სოციალური უთანასწორობით დაჩაგრული და შევიწროვებული ირანელი მდაბიო. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი, აგრეთვე, ქალის მდგომარეობის საკითხს. მწერალმა ამ უკანასკნელს უძღვნა ნოველებისა და მოთხრობების კრებული, რომლის მარტო სათაურიც კი — „ზენდე ბეგურ“<sup>1</sup> („ცოცხლად დამარხული“) უკვე ნათელ წარმოდგენას იძლევა ირანში ქალის მდგომარეობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ასეთი მოსწრებული და მეტყველი სათაურები სადღეუ ჰედაიათის შემოქმედებისათვის ჩვეულებრივია. პერსონაჟთა ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზით, რაც მისთვის ესოდენ დამახასიათებელია, მწერალი გვიჩვენებს, რომ სოციალური უკუღმართობით დაჩაგრული ამ უბრალო ადამიანთა ბუნების წიაღში ჩამარხულია კაცთმოყვარეობის კეთილშობილური გრძნობები და უშრეტე ენერჯია კეთილი საქმეებისათვის. ყველა ამ თვისებათა გამო სადღეუ ჰედაიათის შემოქმედება დიდი სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობს ირანში. ბოზორგ ალევე თავის ცნობილ ნაწარმოებში „ნამეჰჰ“<sup>2</sup> („წერილები“) გვიამბობს, თუ როგორ იკრიბებოდნენ ააღგაზრდები, მუშები, დაბალი მოხელენი, რომლებიც „საუბრობდნენ და მსჯელობდნენ მიმდინარე პოლიტიკის, ლიტერატურისა და სადღეუ ჰედაიათის ნაწარმოებებზე“<sup>3</sup>.

სადღეუ ჰედაიათის ლიტერატურული მემკვიდრეობა მდიდარია. მას ეკუთვნის მოთხრობები, ისტორიული ხასიათის პიესები, ერთი რომანიც, აგრეთვე თარგმანები, მაგრამ უმთავრესი მაინც ნოველებია, რომელთაგან აღსანიშნავია „სე ყათრეჰე ხუნ“<sup>4</sup> („სამი წვეთი სისხლი“), „საჰეჰე როუშან“<sup>5</sup> („ჩრდილნათელი“), „ზენდე ბეგურ“ — („ცოცხლად დამარხული“), „საჰე ველგარდ“<sup>6</sup> („მოხეტიალე ძალი“), „შაბჰჰაიე ვარაშინ“<sup>7</sup> („ვარამინის ღამეები“), „მოჰალა“<sup>8</sup>, „გერდამ“<sup>9</sup> („მორევი“) და სხვა. კრებულიდან „სე ყათრეჰე ხუნ“ ნოველაში „დამეჰე აქოლ“<sup>10</sup> („ძმაკაცი აქოლი“) მწერალი მოგვითხრობს შირაზში მომხდარ ერთ ასეთ ამბავს: უბრალო ადამიანმა ძმაკაცმა აქოლმა სამეურვეოდ ჩაიბარა ერთი გარდაცვლილი შექმლებული კაცის ჰაჯი სამადის დოვლათით სავსე ოჯახი. აქოლი, უქნარა, დარღმინდი და ყავახანების სტუმარი,

1 زند بگور,

2 نامه ها

3 გვ. 68.

4 سه قطره خون

5 سایه روشن

6 سنگ و لنگرد

7 شبهای ورامین-سین

8 مه حلال

9 گرداب

<sup>10</sup> თარგმნილია ალ. გვახარიას მიერ. იხ. სტალინის სახელობის თ. ს. უ-თან არსებული ახალგაზრდა მწერალთა წრის აღმინახი „პირველი სხივი“, წიგნი მეოთხე, 1954, 294. ეს არის პირველი თარგმანი სადღეუ ჰედაიათის თხზულებათაგან ქართულ ენაზე.



ერთბაშად შეიცვალა. მასში თავი იჩინა მოვალეობის მაღალმა შეგნებამ, ჩაბარებულ ოჯახს თვალისჩინივით უვლიდა, დოვლათით კიდევ უფრო გაავსო, მცირეწლოვანნი აღზარდა, ფეხზე დააყენა. ჰაჯი სამადის ქალიშვილი მარჯანი, რომლისადმი ტრფობითა და სიყვარულით წლების მანძილზე იტანჯებოდა, გაათხოვა—საკუთარ თავს მის ღირსად არ თვლიდა. ამის შემდეგ ფეხზე წამომდგარ ოჯახს ჩააბარა რა შემოსავალ-გასავლის ზუსტი ანგარიში. გამოუცხადა—ამიერიდან თქვენ თქვენთვის, მე ჩემთვისო და განშორდა ისეთივე ღატაკი და უსახლკარო, როგორც იყო მაშინ, როდესაც ამ დოვლათიან ოჯახზე მზრუნველობა იკისრა. კომენტარისათვის რომ სიტყვა არ გაგვიგრძელდეს, მოვიშველიებთ ბოზორგ ალევის ნათქვამს: „მოთხრობა „ცმაკაცი აქოლი“ უნდა წაიკითხო, რათა ვაიგო, რაოდენ მძლავრია უანგარობისა და თავდადების გრძნობა ელემენტარულ ადამიანურ უფლებებს მოკლებული ირანის მდაბიო და უბედურ ხალხში“<sup>1</sup>. „დამ აქოლი“ დაწერილია, 30-იან წლებში, შეიძლება უფრო ადრეც და უთუოდ ამიტომ „მასში ჯერ კიდევ არ არის ისე მწვავედ დასმული სოციალური საკითხი“<sup>2</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, სადევ ჰედაიათის შემოქმედებაშიც ერთი მთავარი ადგილი ქალის მდგომარეობის საკითხს უჭირავს (ეს თემა განსაკუთრებით აქტუალურია ირანის XX საუკუნის ლიტერატურაში, მწერალი ხაზს უსვამს ქალის უბედურ ხვედრს როგორც მშობლების, ისე ქმრის ოჯახში სურათი ორივეგან ერთია—ქალი ყოველთვის არის „ზენდე ბეგურ“. ნოველაში „აბაჯი ხანუმ“<sup>3</sup> ავტორი წარმოგვიდგენს ქალის მდგომარეობას მშობლების ოჯახში. აბაჯი ხანუმი თვალად შეუხედავია, ამიტომ მას ვერ გაათხოვებენ, სხვა გზა კი მისთვის ცხოვრებაში არ ჩანს, ოჯახისათვისაც ის უკვე ზედმეტი ბარგია. მაგრამ მისთვის დარჩა ერთი გზა „ხსნისა“ და ჰედაიათი სავსებით დამაჯერებლად, ყოველგვარი არაბუნებრივი თუ არალოგიკური, ყალბი შტრიხების გარეშე გვიხატავს აბაჯი ხანუმის იმ ფსიქოლოგიურ განცდებს, რომელმაც იგი თვითმკვლელობამდე მიიყვანა. მეორე ნოველაში „ხანი ქე მარდამ გომ ქარდ“<sup>4</sup> („ქალი, რომელმაც ქმარი დაჰკარგა“) მწერალი სოციალურ ფონზე განიხილავს ქალის ბედის საკითხს ნებაყოფლობითი ქორწინების შედეგად ქმრის ოჯახში. ავტორი ამჯერადაც იმ დასკვნამდე მიდის, რომ ქალი კვლავ დაჩაგრულია; ამის უმთავრესი მიზეზი კი არსებული სოციალური უკუღმართობაა. სიყვარულითა და იმედებით შეუღლდნენ ზარინ-ქოლა და ვოლბაბუ, მაგრამ სილატაკემ მათ სული არ მოათქმევინა. მაგრამ, განსხვავებით წინასაგან, ეს ნაწარმოები მთავრდება არა თვითმკვლელობით, ან ბედისადმი შერიგებით, არამედ ერთგვარად თავისებური პროტესტით;

<sup>1</sup> დასაზღვრებული სტატია, გვ. 29. თარგმ. აღ. გვანარაისი: იხ. მოხსენება, წაკითხული სადევ ჰედაიათის შესახებ თ. ს. უ-ის სპარსული ფილოლოგიის კათედრის ღია სხდომაზე, 1954 წ. აპრილს.

<sup>2</sup> აღ. გვანარია, სადევ ჰედაიათი. „პირველი სხივი“, IV, 1955, 308.

<sup>3</sup> ابجی خانم

<sup>4</sup> زنی که مردش گم کرد



გოლბაბუ სტოვეებს ოჯახს და მიდის სხვაგან საშოვარზე, ხოლო ზარინქალაც ცხოვრებაში ახალი ბედის მიძებნელი ხდება. სადღე ჰედაიათის შემოქმედებაზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ სოციალური უთანასწორობის საფუძველზე პროტესტის ხმები მის ნაწარმოებებში თანდათან უფრო და უფრო ძლიერდება, ყურადღებას იქცევს, აგრეთვე ირანის უბრალო ადამიანთა ცხოვრების დუხჭირი პირობების ახსნა სოციალური ჩაგვრითა და უსამართლობით. ყოველ შემთხვევაში მწერლის უკანასკნელი ათი წლის შემოქმედება ამის უდავო მაჩვენებელია. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სადღე ჰედაიათს არ ჰქონდა რეციდივები ლიტერატურული ჩაგარდნების; განსაკუთრებით ეს ითქმის მისი შემოქმედების პერიოდზე 1940 წლამდე, როდესაც იგი ჯერ კიდევ განიცდიდა დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ზოგიერთი დეკადენტური მიმდინარეობათა გავლენას<sup>1</sup>.

სადღე ჰედაიათის როგორც პროგრესულ-დემოკრატიული მიმდინარეობის მოწინავე მწერლის მაჩვენებელია მეორე მსოფლიო ომის წლებში გამოქვეყნებული ალეგორიული ხასიათის მოთხრობა „შბე ზენდეგი“<sup>2</sup> („სიცოცხლის წყალი“), რომელიც ბავშთათვის საინტერესო ზღაპარია, ხოლო მოზრდილებისათვის დამაფიქრებელი ნაწარმოები. დაკვირვებული მკითხველი მასში შენიშნავს ავტორის იდეალებს — საბჭოთა კავშირს, თავისუფალ შრომას, ექსპლოატატორთა დამხობას და ჩაგრულ-შევიწროვებულთა გაათავისუფლებას. მოთხრობილია, რომ ერთმა ღარიბმა კაცმა ლუკმა პურის საძებნელად ბედის ანაბარად გაუშვა სამი ვაჟიშვილი. უფროსი — სახელად ჰასანი, მოხვდება ე. წ. ზარაფშანის ქვეყანაში, სადაც წარმოებდა ისეთი ოქროს მოპოვება, რომელიც თვალებს სინათლეს უკარგავდა. ამიტომ აქ ყველა, უფროსების ჩათვლით, ბრმა იყო. ხალხი ჯაკჭით დაბმული მუშაობდა და მდინარიდან ოქროს იღებდა. ხალხს თვალის სინათლე ენატრებოდა, მაგრამ ჰასანმა, რომელმაც თავი მათ წინასწარმეტყველად გამოაცხადა, დაარწმუნა ისინი, რომ ოქროს მოპოვებაში დაბრმავებულნი სამოთხეში მოხვდებიან. უსინათლო ხალხი მუშაობდა, ხოლო თვითონ, შემდეგში აგრეთვე დაბრმავებული, ოქროთი ივსებოდა. შუათანა — ჰოსეინი ე. წ. მაპთაბანის ქვეყანაში გამეფდა. აქ ისეთი ოპიუმის მოპყავდათ, რომელიც ყველას აყრუებდა. უმცროს ვაჟს კი აპმედაქს ერთმა დერვიშმა ურჩია, წასულიყო მუდმივი გაზაფხულის ქვეყანაში („ქეშვარე ჰამიშე ბაპარ“), რომელიც ყაფის მთის გადაღმაა („ფოშთე ქუჰე ყაბ“), იქიდან სიცოცხლის წყალი წამოედო და მით ყველა ყრუ-მუნჯი და უსინათლო განეკურნა. სიმურღი აპმედაგს ჩაიყვანს მუდმივი გაზაფხულის ქვეყანაში, რომელიც იყო „ყოველი მხრივ დასახლებული და ბალ-ბოსტნებით აყვავებული. მხიარული ხალხი ხენა-თესვაში იყო გართული, ცხოველები ადამიანებისაგან არ გარბოდნენ, ქურციკი მშვიდად სძოვდა, ხოლო კურდღელი ადამიანის ხელით სჭამდა ბალახს. ხის ტოტებზე შემომსხდარი ფრინველები საამოდ გალობდნენ და

<sup>1</sup> سیاح و فاطمه، دییات معاصر ایران، ج 225.

<sup>2</sup> آب زندگی



ხილით დატვირთული შტოები მიწამდე დახრილიყვნენ“<sup>1</sup>. აჰმედაგის შეკითხვაზე, თუ სად არის ამ ქვეყანაში სიცოცხლის წყალი, ერთი მწყემსი გოგონა გაიცინებს და უპასუხებს: „აქ ყველა წყალი უკვდავებისაა, მას განსაკუთრებული წყარო არა აქვს...“<sup>2</sup>, ხოლო ერთი ოსტატი აჰმედაგს ეტყვის, რომ მუღმივი გაზაფხულის ქვეყანაში „მე თალა ვა ნოყრენა ნამიფარასთომ ვა ნაზადუნე ზენდეგი მიქონიმ“<sup>3</sup> („ოქროსა და ვერცხლს თაყვანს არა ვცემთ, ვცხოვრობთ თავისუფლად“). აჰმედაგი აქედან წაიღებს სიცოცხლის წყალს და მით ზარაფშანის ქვეყანაში თვალის სინათლეს დაუბრუნებს დაბრმავებულ ხალხს, რომელიც ამის შემდეგ დაამსხვრევს ჯაჭვებს, ხოლო მეფესა და მის თანამზრახველთ განდევნის. ყაფის მთა სპარსულ ფოლკლორში სახელია ზღაპრული მთის<sup>4</sup>, რომლის ქვეშ ავტორი შესაძლებელია კავკასიონის ქედს გულისხმობდეს<sup>5</sup>, ხოლო მის გადაღმა მუღმივი გაზაფხულის ქვეყანად, სადაც მოიპოვება დაჩაგრულ-დაბრმავებულთა სამკურნალო წყალი, სადაც თავისუფალი შრომა და ცხოვრება სუფევს, საბჭოთა კავშირს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ზარაფშანის ოქროში ავტორი ირანის ნავთს გულისხმობდეს, მის მოსაპოვებლად სამუშაოზე მიჯაჭვულთ ექსპლოატირებულ ფართო მასებს, ხოლო დაბრმავებულ მესვეურებში ირანის მმართველ წრეებს, რომლებმაც თავისივე ქვეყანაში, მსგავსად ზარაფშანის ქვეყანაში ჰასანისა, ჭკუის მასწავლებლად და წინასწარმეტყველად უცხოელი კოლონიზატორები მოიწვიეს<sup>6</sup>. მოთხრობის ფინალი — მუღმივი გაზაფხულის ქვეყნიდან აჰმედაგის მიერ მოტანილი სიცოცხლის წყლით თვალახელილი ხალხის მიერ ბორკილების დამსხვრევა და ჩაავგრელების განდევნა ავტორის იდეალია თავისი ქვეყნისათვის. ამ მოსაზრების გამოთქმისას ვითვალისწინებთ, აგრეთვე, იმ მნიშვნელოვან ფაქტს, რომ ეს თხზულება სიდეჟ ჰედაიათის მიერ იქმნებოდა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში<sup>7</sup> და როგორც ბოზორგ ალფეი გადმოგვცემს „იმათ, ვინც თელიდა, თითქოს ჰედაიათი არ იყო მეტრძოლი ადამიანი და არ ვააჩნდა პოლიტიკური აქტივობა (სინამდვილეში მას ახასიათებდა პოლიტიკური აქტივობა) მისი წყნარი და პასიური ბუნების გამო, კარგი იქნებოდა ენახათ ჰედაიათი სბბჭოთა კავშირსა და მოკავშირეების სამამულო ომის დღეებში გერმანულ ფაშიზმთან. ენახათ თუ რა გულისძგერითა და შინაგანი მღელვარებით უგდებდა ის ყურს რადიოს, რომელიც გადმოსცემდა ცნობებს წითელი არმიის წინააღმდეგობებისა კაცობრიობის მტერთან ბრძოლაში. მათ ყოველ გამარჯვებას ის ხვდებოდა როგორც თავისუფლების, საყოველთაო

<sup>1</sup> آب زندگی، فوره دلی، باکی، 1952، გვ. 288.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 291.

<sup>4</sup> М. Гаффаров, Персидско-русский словарь, М., 1926, 618; Б. В. Миллер, Персидско-русский словарь, М., 1953, 376.

<sup>5</sup> მოსალოდნელია სპარსულ ფოლკლორშივე ყაფის მთის ქვეშ კავკასიონი იგულისხმებოდეს და ჰედაიათი, როგორც სპარსული ხალხური სიტყვიერების საუკეთესო მცოდნე ამიტომაც ხმარობდეს ამ სახელწოდებას.

<sup>6</sup> А. Розенфельд, О художественной прозе, 118.

<sup>7</sup> Д. С. Комиссаров, Положительный герой в современной персидской литературе: Краткие сообщения Института востоковедения АН СССР, XVII, 1955, 58.



კეთილდღეობის, მეცნიერებისა და ცოდნის გამარჯვებას<sup>1</sup>. ყველა ამის შემდეგ, ვფიქრობთ, არ შეიძლება გაზიარებული იქნას საეცესებით მოსაზრება, რომ „Хедаята нельзя назвать писателем-борцом“<sup>2</sup>. სადევ ჰედაიათის შემოქმედებაში ხაზგასმულია ადამიანთა ჩაგვრის სოციალური მხარე, ისმის პროტესტის ხმა და არსებულისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებაც.

ირანის თანამედროვე ლიტერატურაში პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების პროზაიკოსთან ყურადღებას იპყრობს მწერალი და პუბლიცისტი, მშვიდობის პრემიის ლაურეატი ბოზორჯ ალევი<sup>3</sup>. სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისას, მსგავსად მრავალი სხვა ირანელი მწერლისა, არც ის იყო თავისუფალი დასავლეთ ევროპის ლიტერატურის დეკადენტური მიმართულებათა გავლენისაგან. მაგრამ თავისი ქვეყნის სინამდვილემ რეზა შაჰის რეაქციული დიქტატურის პირობებში (1925 – 1941) ბოზორჯ ალევი მალე ჩაახედა ირანის ხალხის ცხოვრებაში, შეიცნო მშრომელთა ყოფის ნამდვილი სურათები და თავისი მხატვრული შემოქმედების თემად აირჩია ირანის უბრალო ადამიანების მძიმე ყოფა-ცხოვრება—სიღატაკე, ულუკუმაპურობა, ქალის უუფლებობა, ცრუმორწმუნეობა, უცხოური კაპიტალის ბატონობა და ყველაფერი ის, რასაც უკიდურეს მდგომარეობამდე მიჰყავს მასების მდგომარეობა და რაც ასე ალევეთ და აფიქრებთ ირანის მოწინავე ადამიანებს.

ბოზორჯ ალევის შემოქმედებაში აღნიშნული თემისაკენ შემობრუნების მაჩვენებელი იყო მისი მნიშვნელოვანი ნაწარმოები „ვარაყე ფარკანაჟე ზენდან“<sup>4</sup> („წერილები საპყრობილედან“), რომელშიდაც ავტორი გვაცნობს რეზა შაჰის დიქტატურის პირობებში მეტრძოლ მშრომელთა ბედს. წინასიტყვაობაში ავტორი მოგვითხრობს, რომ ეს თხზულება იწერებოდა პატიმრებამდე მიღწეული ყოველნაირი ქალაქის ნაგლეჯებზე და ბოლოს დასაენს—ჩემი უდიდესი სურვილი ის იყო, რომ „წერილები საპყრობილედან“ ერთხელაც ირანის ხალხს ჩაეარდნოდა ხელში, რათა შთამომავლობას სცოდნოდა თუ იმ შავბნელ ეპოქაში როგორ იღწვოდნენ თავისუფლებისათვის მეტრძოლნი<sup>5</sup>. თხზულებაში ერთმანეთს სცვლიან რეზა შაჰის სისხლიანი ტერორის ამსახველი სურათები „... გუშინ დილით მორთაზი ისე მოგვაცილეს, როგორც ფარას ბოინზე

<sup>1</sup> დასახელებული სტატია, 1951, № 12,25, თარგმ. აღ. გვახარიასი.

<sup>2</sup> А. Розенфельд, იქვე

<sup>3</sup> ბოზორჯ ალევი დაიბადა 1904 წელს. სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 30-იან წლებში. 1935 წელს გამოაქვეყნა მოთხრობათა კრებული „ჯამედან“ („ჩამადანი“), რომელიც დაწერილი იყო ევროპული ლიტერატურის დეკადენტურ მიმდინარეობათა გავლენის ქვეშ. მაგრამ შემდეგში თავისი ქვეყნის სინამდვილემ იგი თანდათან რეალიზმის გზაზე დააყენა. ის აქტიურად გამოდიოდა რეზა შაჰის რეაქციული დიქტატურის წინააღმდეგ, რისთვისაც ომის წინ დაპატიმრებულ იქნა ახლა იგი, მიუხედავად იმ მძიმე პირობებისა, რომელიც ირანშია შექმნილი პროგრესული მოღვაწისათვის, ეწევა ნაყოფიერ ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. 1948 წელს ბოზორჯ ალევიმ იმოგზაურა საბჭოთა კავშირში, მონაწილეობა მიიღო ალიშერ ნავოის დაბადებიდან 500 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ზეიმში ქ. ტაშკენტში, საიდანაც დაბრუნების შემდეგ გამოაქვეყნა თავისი ცნობილი ნაწარმოები „უხბეკისტანი“.

<sup>4</sup> „ورق پاره‌های زندان“, მეორე გამოცემა, 1953, თეირანი.

<sup>5</sup> იქვე, წინასიტყვაობა.



გასაყვანი ცხვარი“<sup>1</sup>. 1942 წელს ბოზორგ ალევამ გამოაქვეყნა „ფანჯაპო სე ნაფარ“<sup>2</sup> („ორმოცდაცამეტი“), რომელშიც ავტორი გადმოგვცემს ორმოცდაცამეტი ირანელი კომუნისტის დაპატიმრებისა და გასამართლების ამბავს. მაგრამ ბოზორგ ალევამ განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მოთხრობების კრებულით — „ნამეჰა ვა დასთანჰაიე დივარ“<sup>3</sup> („წერილები და სხვა მოთხრობები“). მასში ცხრა ნაწარმოებია, რომლებშიც ხაზგასმულია ირანელი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის. დასახელებული კრებულის პირველ მოთხრობაში — „ნამეჰა“, რომელიც ყველაზე უფრო ვრცელია და საყურადღებო, ავტორი გვიხატავს ირანის პროგრესული ადამიანების ბრძოლას. მასში ბოზორგ ალევი ერთმანეთს უპირისპირებს ირანის რეაქციონერ მოხელეს მის ერთადერთ ქალიშვილს, მშვიდობისა და სამშობლოს დამოუკიდებლობის იდეებით გატაცებულ მებრძოლ შირინს. იგი წერილებით გამოდის მამის ბრალმდებლის როლში, სტოვებს მშობლიურ ოჯახს, ერთადერთ მამას და ირანის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ადამიანთა მოწინავე რიგებში დგება. ამ ბრძოლაში შირინს აპატიმპრებენ, ხოლო მამის ჩივილზე — „დამღუპეთ, ჩემი ქალი გააუბედურეთ. ის პატიმრობაში ჩააგდეთ!“, შირინის თანამებრძოლი ზაქერი უპასუხებს: „თქვენ ქალიშვილს ნუ სწუხნართ, ის თავისუფლების (ათვის ბრძოლის) გზაზეა“<sup>4</sup>. ეს გზა ნარ-ეკლიანია, მაგრამ საპატიო და აუცილებელი. ამას მოითხოვს ირანის აწმყო მომავლისათვის — წითელი ზოლივით გასდევს ეს აზრი და იღეა მთელ მოთხრობას.

დასახელებულ კრებულში ყურადღებას იპყრობს აგრეთვე სოციალურ ფონზე გაშლილი მოთხრობა „ეჯარეხანე“<sup>5</sup> („ბინის ქირა“), რომელშიც ავტორი წარმოგვიდგენს დღევანდელი ირანის ყოფაცხოვრების ფსკერზე უბრალო ადამიანების არსებობისათვის ჭაპანწყვეტის რეალისტურ სურათებს. მოთხრობილია, რომ ბინის სამი თვის ქირის გადახდისათვის გადატაკებული მამა საედ მასიბი იძულებულია გაათხოვოს, უფრო სწორად, გააყიდოს თავისი ქალიშვილი, მედრესეს მასწავლებელი — ვაჯიპე ვილაც გარეწარზე, გაურკვეველი პროფესიის მქონე კაცზე. მაგრამ საქმე ვერ „დაავირავინდა“, რადგან ლამით ძლიერი წვიმა წამოვიდა, რომელსაც სახლის სახურავმა ვერ გაუძლო, ქერი ჩამოინგრა და იმსხვერპლა მთელი ოჯახი. ამ შედარებით პატარა მოთხრობაში ბოზორგ ალევი საუცხოოდ ახერხებს წარმოგვიდგინოს უკანასკნელ ათეულ წლებში ირანის საზოგადოებრივ ურთიერთობაში სოციალური ძვრების გამო ცხოვრების ფსკერზე დაღეჭილი პერსონაჟთა ცოცხალი და დამანახსიათებელი სახეები. მაგრამ მთავარი მასში მაინც ქალის ბედისა და მდგო-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 150.

<sup>2</sup> بنجاه و سه نفر

<sup>3</sup> تهران، نامه‌ها و داستانهای دیگر.

<sup>4</sup> نامه‌ها، გვ. 61.

<sup>5</sup> اجاره خانه.



მარეობის საკითხის დასმა. ბოზორგ ალევამ სადღეუ ჰედაიათის შემდეგ კიდევ უფრო განავითარა ეს თემა და წარმოადგინა ისეთი ქალის სახე, რომელსაც სხვა სიკეთესთან ერთად სწავლაც აქვს და კითხვა დასვა—შეიძლება თუ არა ასეთი ქალი იყოს ბედნიერი? პასუხი იგივეა: ქალი მაინც იმ სოციალური უკუღმართობათა მსხვერპლია, რომელიც დღევანდელ ირანში არსებობს.

გალატაკებული ირანელი გლეხკაცობის გაჭირვებული ცხოვრების შემადრწუნებელ სურათებს გვიხატავს ბოზორგ ალევი ნაწარმოებში „აბ“<sup>1</sup> („წყალი“). მასში მოთხრობილია მშობლიური სოფლის მიწაწყლიდან დევნილი გლეხის თავრის თავგადასავალი ლუკმა პურის ძიებისათვის. საყურადღებოა საუბარი, რომელიც იმართება თავრესა და მის ძველ ნაცნობს ჯაფარს შორის; როდესაც ეს უკანასკნელი ეკითხება პირველს, თუ რისთვის აპყარეს და გამოაგდეს იგი სოფლიდან, თავერი უპასუხებს: „რისთვის?—(ეს კითხვა) საჭირო არაა. ბატონია, სოფლის დიდებულია, ძალა აქვს. ძალა რომ არ ჰქონოდა, ხომ ვერ ამყრიდა ჩემი მიწაწყლიდან“...<sup>2</sup> ამ საუბრის შემდეგ გადის ხანი და ჯაფარი ისტაჰანსა და ყუმს შორის გზის სამუშაოზე კვლავ ხვდება სიმშლისაგან, სიცხისაგან და უწყლობისაგან სიკვდილის პირს მიღწეულ თავრეს, რომელსაც მხოლოდ იმდენი ძალა ჰქონდა შერჩენილი, რომ თავისი ძველი ნაცნობისათვის ეთქვა — „წყალი“. მაგრამ წყალი შორს იყო და „ორისამი წუთით ჩაფიქრდა ჯაფარი... დღეში ასეთი გლეხკაცთაგან ათასობით იხოცებიან, ესეც კვდება, მერედა რა მოხდა!“<sup>3</sup> ძლიერია და მრავლისმთქმელი ამ მოთხრობის ფინალი; როდესაც რამოდენიმე საათის შემდეგ ჯაფარმა წყალი მოიტანა, თავერი უკვე გარდაცვლილიყო და ავტორი განაგრძობს: „...ერთხანს მიცვალებულის ჩაფერფლილ თვალებს დასცქეროდა. სწორედ ამ დროს ისტაჰანიდან თეი.იანისაკენ მიმავალმა ბაჟუკის ფირმის კრემისფერმა მანქანამ ჩამოიქროლა. შეჩერდა. შუშამ აიწია. ერთმა ხმამ იკითხა: „რა ამბავია?“, შოფერმა უპასუხა: „მკვდარია ვილაც“. „საწყალი!“—მოისმა ქალის ხმა და ავტომობილიც მოსწყდა ადგილიდან“<sup>4</sup>. უკანასკნელი სურათია: თავრის სახედარი მკვდარ პატრონს თავს დასდგომია, ხოლო ამას ავტორი იმგვარად გვიხატავს, თითქოს გვეუბნება—ირანელი გლეხკაცის უმწეობამ ვირიც კი დააღონა და ჩააფიქრაო.

ბოზორგ ალევი ირანში საზოგადოებრივ ასპარეზზე მოწინავე და საუკეთესო მოღვაწეთა შორის ითვლება. იგი არის რუსული კლასიკური და საბ-

<sup>1</sup> آب ჩვენამდე მიღწეულია ჯერ მხოლოდ ნაწყვეტი, რომელიც დაბეჭდილია ჟურნალში — نو، № 3, 1949.

<sup>2</sup> آب, გვ. 43.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 46.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 47.

იტალიელი კომუნისტი ქალი მარია მაჩოკი გადმოგვცემს ერთი ფრანგი მოგზაური ქალის ნაამბობს: „По возвращении в Абадан, когда меня спрашивали, понравилась ли мне „настоящая Персия“, я отвечала:—Здесь я увидела отчетливее, чем в любой другой стране, две вещи: богатство и нищету—самое наглое богатство и самую жалкую нищету“. იხ. М. Мачокки—Иран в борьбе, М., 1953, 96.



ქოთა ლიტერატურის სპარსულ ენაზე მთარგმნელი, აგრეთვე საბჭოთა კულტურის დაუცხრომელი პროპაგანდისტი თავის სამშობლოში<sup>1</sup>. გარდა ამისა, ის ირანის საბჭოთა კავშირთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების აქტიური წევრია და უკანასკნელ ხანებში ამ საზოგადოების ყოველთვიური ორგანოს ჟურნალ „ფაჰამე ნოუ“-ს<sup>2</sup> („ახალი ამბავი“) რედაქტორი. ბოზორგ ალევით მშვიდობისათვის მებრძოლი მოღვაწეცაა. იგი არჩეულია მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრად და მოთხოვნათა ზემოდასახელებული კრებულისათვის დაჯილდოებული მშვიდობის პრემიით. ბოზორგ ალევის შემოქმედების განუყრელი თვისებებია: ენის დემოკრატიზაცია, პროზის მცირე ჟანრი, ჩვეულებრივ, მოთხოვნა და სოციალური უთანასწორობის ფონზე ირანელი ხალხის ცხოვრებისა და ბრძოლის ჩვენება. მაგრამ, ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მისი ლიტერატურული კრეატივით განსხვავდება მისივე შემოქმედებისაგან; პირველი უფრო პროგრესულია და რევოლუციურიც. 1946 წელს ირანის მწერალთა პირველ კონგრესზე თავის გამოსვლაში ბოზორგ ალევი ამბობდა: „პოეტი და მწერალი ხალხის გზის მაჩვენებელია. ამიტომ ის, რასაც უბრალო ხალხი გრძნობს და განიცდის, მაგრამ ვერ გადმოსცემს, მათ უნდა გამოხატონ, გახსნან და ხალხს მიაწოდონ. პოეტები და მწერლები ხალხს წინ უნდა მუძღოდნენ და გზას უჩვენებდნენ“<sup>3</sup>. სწორედ ამ უკანასკნელს ვერ ვხედავთ ვერც ბოზორგ ალევის შემოქმედებაში, რისი მიზეზი, სხვათა შორის, ნ. ტიხონოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, ალბათ ისიცაა, რომ „Очень тяжелое положение прогрессивной литературы в Иране и Турции. Прогрессивному писателю в Иране не так легко изобразить то, что он видит... он (ლაპარაკია ბოზორგ ალევზე.—კ. ფ.) может свидетельствовать, что усиление реакции в Иране, вызванное вмешательством внешних сил и повлекшее за собой преследование прогрессивных литературов, очень осложняет и без того трудную жизнь иранских прогрессивных писателей“<sup>4</sup>.

აქამდე ჩვენ ვცდილობდით წინ წამოგვეწია დემოკრატიული პროზის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშნები და ამით მისი განვითარების ყველაზე უფრო თვალსაჩინო მომენტებისათვის გაგვესვა ხაზი. ამის შემდეგ, ვფიქრობთ, შესაძლებელი იყოს დასმულ საკითხზე ზოგიერთი მოსაზრების გამოთქმა.

ვ. ი. ლენინის ცნობილმა დებულებამ, რომ „В каждой национальной культуре, хотя бы не развитые, элементы демократической и социалистической культуры, ибо в каждой нации есть трудящаяся и эксплуатируемая масса, условия жизни которой порождает идеологию демократическую и

<sup>1</sup> ი. კ. ფაღავა, რუს მწერალთა და პოეტთა თხზულებანი სპარსულ ენაზე: სტალინის სახ. თსუ შრომები, 1954, № 53, 161—177.

<sup>2</sup> „پیام نو“ — გამოდის თეირანში 1944 წლიდან.

<sup>3</sup> طهران — نخستین کنفرانس نویسندگان ایران, 1947, 184—185.

<sup>4</sup> Н. С. Тихонов, Современная прогрессивная литература мира, „Литературная газета“, 23. XII—1954, 133 (3340)



социалистическую“<sup>1</sup> თავისი გამოხატულება ჰპოვა სპარსული ლიტერატურის ისტორიის XX საუკუნის მონაკვეთზეც. იმ პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიურმა მოვლენებმა, რომლის შესახებ დასაწყისშივე მოკლედ უკვე გვქონდა ლაპარაკი, სპარსულ პროზაშიც წარმოშვა პროგრესულ-დემოკრატიული მიმდინარეობა, რომლის პირველი წარმომადგენლები იყვნენ ჯემალ-ზადე და მორთაზა მოშფეყ ქაზემი. მათი შემოქმედება, კერძოდ კი ის თხზულებანი, რომელთა შესახებ ზემოთ ვილაპარაკეთ, თავის დროს ქვეყნის პროგრესის საქმეს ემსახურებოდნენ, ასევე ირანის ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველი მწერლები აბას ხალილი, მირ მოჰამედ ჰეჯაზი და სხვანი თავის რომანებში გამოდიოდნენ ჩამორჩენილი ფეოდალური ირანის კრიტიკით და ნაციონალური ბურჟუაზიის ინტერესებს ახმარდნენ თავის კალამს. მაგრამ ამასთანავე ყველა ესენი თავის ფართო ტილოებზე გვიხატავდნენ უბრალო ადამიანთა ექსპლოატირებული მასის ყოფაცხოვრების მძიმე სურათებს, რითაც ნებისთ თუ უნებლიეთ ქმნიდნენ დემოკრატიულ ნაკადს ირანის XX საუკუნის ლიტერატურაში საერთოდ და კერძოდ პროზაშიც.

პროგრესულ-დემოკრატიული მიმდინარეობის ერთი დამახასიათებელი თვისება თავიდანვე ენის დემოკრატიზაციისაკენ სწრაფვა იყო, ამას, როგორც აღვნიშნეთ, ჯემალ-ზადემ ჩაუყარა საფუძველი და ახლა თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხალხური ენა სპარსული დემოკრატიული პროზის ერთი უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანია. მაგრამ დასახელებული მიმდინარეობისათვის ჟანრის საკითხი იყო გასარკვევი და დასადგენი. დასაწყისში იგი იყენებდა როგორც ნოველას (ჯემალ-ზადე), ისე რომანს (მორთაზა მოშფეყ ქაზემი). მაგრამ ირანის საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილეში მომხდარი მოვლენების და მიმდინარე პროცესების ასახვამ აღარ დაისჯიროვა რომანი, — ნოველისა და უფრო ხშირად მოთხრობის ფორმაშიც მოთავსდა. ვფიქრობთ, არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ ნოველა და მოთხრობა სპარსული დემოკრატიული პროზისათვის დამახასიათებელი ჟანრებია. ამას გარდა, სიუჟეტის გაშლა სოციალური უთანასწორობათა ფონზე, უბრალო ხალხის წიაღიდან წარმოდგენილი პერსონაჟები, სიმშლისა და სილატაკის შემადრწუნებელი სურათები („ნბ“, „ზანიქე მარღაშ გომ ქარდ“ და სხვა), რელიგიისა და ცრუმორწმუნეობის ტყვეობაში ყოფნა („ეჯარე ხანე“, „ნმდალი მოზაჰბე“ და სხვა), ქალის მძიმე ხვედრი („რუზგარე სიდაჰ“, „ზენდე ბეგურ“, „ეჯარეხანე“ და სხვა უამრავი), უბრალო ადამიანების კეთილმოზობილური ბუნების ჩვენება („არუსი“, „დშ ნქოლ“ და სხვა), ყოველდღიური ლუკმა პურის ძებნა („რუზე სიდაჰე ქარგარ“, „ზენდეგი“ და სხვა). აი ყველა ის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშნები და საკითხები, რომელიც განსაზღვრავს დემოკრატიულ პროზას ირანის XX საუკუნის ლიტერატურაში. მაგრამ აქვე დავსენთ, რომ ეს დახასიათება სრულად ვერ ჩაითვლება, თუ არ გავიხსენებთ დემოკრატიული პროზის განვითარებაში იმ ორი პერიოდის შესახებ, რომელ-

<sup>1</sup> В. И. Ленин, Сочинения, 3-е изд., XVIII, 137.



ზეც ზემოთ აღვნიშნეთ. პირველ პერიოდში, გარდა იმისა, რომ დემოკრატიული პროზისათვის დამახასიათებელი ყველა მხარე ჯერ კიდევ არაა სრულად ჩამოყალიბებული, ამ მიმდინარეობას ნაკლებად ახასიათებს არსებული სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ პროტესტი, ამ დროს მწერლები უმეტესად კმაყოფილდებიან არსებული უსამართლობის აღწერით და ზოგჯერ მათ ნაწარმოებებში პესიმისტური განწყობილების ხმებიც კი ისმის („ენს-ან“, „რუ-ზგა-რე სიდა-ჰ“). მაგრამ სულ სხვაა მეორე პერიოდში. ამ დროს მწერლები არ კმაყოფილდებიან მხოლოდ არსებულის აღწერით; მათ ნაწარმოებებში უკვე ისმის გაბედული ხმები პროტესტისა, მოწოდებაც ექსპლოატატორთა წინააღმდეგ და სამოქმედო ასპარეზზე პერსონაჟები გამოდიან ირანის მოწინავე ადამიანებიდან, რომლებიც იბრძვიან თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის, სოციალური პროგრესისათვისა და მშვიდობისათვის („ვარაყე ფარეჰიე ზენდანი“, ფანჯჰი ო სე ნაფარი“, „ჰაჯი ალა“, „ნაბე ზენდეგი“, „ნამეჰჰ ვა დასთანჰიე დივარ“ და სხვა მრავალი). სპარსული დემოკრატიული პროზისათვის ასეთი მიმართულების მიცემაში უთუოდ დიდი როლი შეასრულა მეორე მსოფლიო ომის წლებში ირანში სახალხო პარტიის შექმნამ (1941 წ. 21 სექტემბერი), რომელმაც თავის რიგებში გააერთიანა მუშათა ფართო მასები, გლეხობის ნაწილი და დემოკრატიული ინტელიგენცია, რეზა შაჰის ფაშისტური ორიენტაციის რეაქციული დიქტატურის დაცემაში, ფაშისტური გერმანიის დამარცხების ფაქტმა, საბჭოთა კავშირთან დაახლოებამ, რასაც შედეგად მოჰყვა ირანის საბჭოთა კავშირთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების დაარსება და ამისი ნაყოფიერი მუშაობა საბჭოთა კულტურის პროპაგანდის საქმეში, აგრეთვე ომის დამთავრების შემდეგ დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობა ირანის სხვადასხვა პროვინციებში—აზერბაიჯანში (1945-46 წ წ.), ქურდისტანში (1945 წ.), ინგლისის კონცესიებზე მასიურმა გაფიცებებმა (1946 წ.) და სხვა. საერთო დემოკრატიული აღმავლობის პირობებში ჩატარებულმა ირანის მწერალთა პირველმა კონგრესმა 1946 წელს თავის რეზოლუციების პირველ პუნქტშივე აღნიშნა, რომ „კონგრესი მსურველია, რომ ირანის მწერლებმა შეინარჩუნონ სპარსული ლიტერატურის ძველი ტრადიციები—ე. ი. იყვნენ მომხრენი სიმართლისა და ჭეშმარიტების და მტერი ბოროტებისა და ძალმომრეობის. თავის თხზულებებში, გამოიჩინონ თავისუფლების, სამართლიანობისა და სიბრძნის სიყვარული და საკუთარი აზრები და შემოქმედება ფაშიზმის საფუძვლებისა და მისი ნამსხვრევების წინააღმდეგ საბრძოლველად წარმართონ. ირანის წინსვლისა და ამაღლებისათვის იბრძოლონ ჭეშმარიტი დემოკრატიის, კაცთმოყვარეობისა და მშვიდობის დაცვით“<sup>1</sup>. მაგრამ ირანში მოვლენების შემდგომმა განვითარებამ შეაფერხა და შეანელა დემოკრატიული მოძრაობის შემდგომი გაშლა-განვითარება (1949 წელს ირანის სახალხო პარტია კანონგარეშე იქნა გამოცხადებული), რამაც დემოკრატიული მიმდინარეობის მწერალთა და პოეტთა მდგომარეობა საგრძნობლად გააუარესა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ კალამი ხელიდან არ

<sup>1</sup> კონგრესის დასახელებული მასალები, თეირანი, 1947, 303.



გაუგდიათ და თავისი ქვეყნის წინსვლის საქმეს კვლავაც უანაგროდ ემსახურებიან. ვფიქრობთ, რომ წინამდებარე შრომაში ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრებათა დასკვნისათვის გამოდგება ნ. ტიხონოვის შემდეგი სიტყვები: „Герой книги Барбюса „Ясность“ говорил о будущем: „Надо раскрыть не только глаза, надо раскрыть руки, надо раскрыть крылья“. Эти слова можно применить и к писателям демократического лагеря в современной литературе Ирана; в их произведениях слышен голос протеста, но они не поднимают массы на борьбу против существующей социальной несправедливости“<sup>1</sup>. ხაზი ჩვენია.—კ.ფ.)

#### ლიტერატურა

1. В. И. Ленин, Соч., 3-е изд., т. XVII.
2. Е. Э. Бертельс, Очерк истории персидской литературы, Л., 1928.
3. К. Чайкин, Краткий очерк новейшей персидской литературы, М., 1928.
4. А. Розенфельд, О художественной прозе в персидской литературе XX в.: Вестник ЛГУ, 1949, № 5.
5. С. Нафиси и Ф. Сийах, Иранская литература наших дней: Новый мир, 1944, № 2.
6. З. Г. Фильштинская, Горький в современной персидской прогрессивной литературе: Краткие сообщения Института востоковедения АН СССР, 1952, л. IV.
7. Д. С. Комиссаров, Положительный герой в современной персидской литературе: Краткие сообщения Института востоковедения АН СССР, XVII, 1955, 58.
8. აღ. გვახარია, სადგე ჰედაიათი, „პირველი სხივი“ თბილისი, 1955, IV, 308.
6. კ. ფალავა, რუს მწერალთა და პოეტთა თხზულებანი სპარსულ ენაზე: სტალინის სახ. თსუ შრომები, № 53, 1954.

სტალინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სპარსული ფილოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1955. XI. 25)



К. Пагава

## Демократическое направление в современной прозе Ирана

### Резюме

Во многовековой истории персидской литературы особое место принадлежит XX веку, так как, сравнительно с прошлым, в этом столетии наблюдается особое развитие персидской художественной прозы. Современная персидская художественная проза для исследователя выдвинула ряд таких вопросов как, например, социальные проблемы, реакционное и прогрессивно-демократическое направления, влияния русской и западноевропейской литератур, искание форм и т. п. Быстрому развитию в Иране художественной прозы в XX веке содействовали те политические события и социал-экономические процессы, которые имели место в стране, особенно с 20-ых годов; подъем национально-освободительного движения в 1918—1921 годах под влиянием Великой Октябрьской социалистической революции, образование в 1920 году Коммунистической партии Персии, быстрое развитие капитализма, рост национальной буржуазии и углубление социальной дифференциации в литературе вызвали необходимость создания широких полотен для более полного и обстоятельного отражения тех процессов и явлений, которые наблюдались в общественной жизни страны. Одним из лучших представителей персидской художественной прозы является Джемаль-заде, которого, несмотря на свои сугубо националистические тенденции, можно считать первым представителем демократическо-прогрессивного направления (имеем в виду его первое и лучшее произведение — сборник рассказов „Были и небылицы“). Развитию этого направления содействовали также своим творчеством Мортеза-хан Мошфек-е-Каземи, Ахмед Хададад, Аббас Хэлили и другие. Демократическо-прогрессивное направление особенное развитие получило в годы Второй мировой войны в творчестве Садек Хадаята, Бозорг Аляви и других.

Развитие персидской демократической прозы можно разделить на два периода: первый с 20-х годов до начала мировой войны, второй — годы войны по сей день. В первом периоде ее главные характеризующие черты — демократизация языка и пассивное отражение существующих социальных несправедливостей, а во втором еще более укореняется сочный народный персидский язык, в более темных и естественных цветах представлены картины социального гнета и неравенства,



и уже слышны голоса сознательного протеста против существующей несправедливости. В произведениях, созданных в этот период, мы уже видим героев, выходящих из числа прогрессивно настроенных людей, которые борются за социальный прогресс и независимость своей страны. Однако они „... не поднимают массы на борьбу против существующей несправедливости“.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> Н. Тихонов „Литературная газета“, 1954, 143 (3340).



Г. Гиголов

## О сонете А. С. Пушкина „Суровый Дант“

(Некоторые вопросы)

Знаменитый сонет А. С. Пушкина, согласно авторской датировке, был написан 15 апреля того самого необычайно плодотворного—1830—года, когда в числе других творческих интересов Пушкина привлекли темы и сюжеты европейских литератур (лирика, „Маленькие трагедии“).

Обращение Пушкина к сонету, занимающему в его творчестве отнюдь не выдающееся место, во многом было неожиданным. Известна нелюбовь Пушкина ко всем „ограниченным“ жанрам, в том числе и к сонету, о котором он высказывался два раза: в начале своего творческого пути и в конце его, и всегда — довольно неодобрительно.

Но, как можно полагать, обращение Пушкина к сонету было вызвано новым пробуждением интереса к нему как на западе, так и в России. Говорим „новым“ потому, что русский XVIII век знал сонет хотя бы того же вездесущего А. П. Сумарокова и его эпигонов.

Еще в 1823 году А. Дельвиг написал ряд сонетов, и Пушкин, высоко ценивший своего друга за „необыкновенное чувство гармонии и той классической стройности, которой он никогда не изменял“, <sup>1</sup> немедленно отозвался на это событие, назвав его сонеты „прелестными“. Пушкин не мог не заметить некоторой близости первого сонета Дельвига „Вдохновение“ своим мыслям и настроениям и, кроме того, новаторства Дельвига, который один из первых—если не первый—в русской поэзии XIX века извлек сонет из забвения и сделал его полноправным жанром лирической поэзии. Именно это обстоятельство—новшество, введенное Дельвигом,—и подчеркнул Пушкин в своем сонете „Суровый Дант“:

У нас еще его не знали девы,  
Как для него уж Дельвиг забывал  
Гекзаметра священные напевы.

<sup>1</sup> А. С. Пушкин, Полное собр. соч., АН СССР, т. 13, 1937, стр. 74.



Повышению интереса к сонету способствовало и то, что в те годы замечательные образцы этого несколько искусственного, но, несомненно, богатого возможностями жанра — все зависит от художника — создал великий польский поэт Адам Мицкевич, издавший в конце 1826 года в Москве сборник сонетов — любовных и „Крымских“, появление которых вызвало в среде русских литераторов самый широкий резонанс, выразившийся в многочисленных переводах и журнальных статьях.

Одновременно с этим сонет прокладывал себе дорогу и в творчестве английских поэтов так называемой „озерной школы“, в поэзии которых, выраженной „языком честного простолюдина“, Пушкин находил „нагую простоту“ — качество, высоко ценимое великим русским поэтом.

Таким образом, сонет „Суровый Дант“ создавался в атмосфере повышенного интереса к этому виду лирики в русской и европейской литературе.

Кроме того, можно сделать предположение, правда, весьма осторожное. Год написания сонета „Суровый дант“ — год окончания романа в стихах „Евгений Онегин“. Возможно, что обращение Пушкина к сонетной форме именно в этом году явилось своеобразным заключительным аккордом в разработке „онегинской строфы“, которая, по наблюдению специального исследователя, испытывает тяготение к сонету, выражающееся в том, „что в романе попадаются правильные сонеты не только в смысле строфического сечения, но и в чисто рифменном отношении“, хотя „речь может идти здесь не об отождествлении этих двух стихотворных типов, а лишь о некоторых общих приемах их построения“<sup>1</sup>.

Поэтому не исключена возможность, что через „онегинскую строфу“ Пушкин, еще до „Сурового Данта“, приходил в соприкосновение с сонетной формой, которую, кстати говоря, он и исчерпал в этом же году, создав еще два сонета „Поэту“ и „Мадона“ — последние в его жизни.

В сонете „Суровый Дант“ Пушкин создает классический образец этого вида поэзии, придерживаясь не только тех формальных показателей его построения, которые были канонизированы несколькими веками его развития, но и строго подчиняя внутреннему единству все его содержание. Великий поэт, как никто владевший высшим признаком подлинного искусства — лаконизмом, — тем многоречивым и многозначущим лаконизмом, за которым кроется глубочайшее содержание, — в своем сонете намечает как бы пунктиром целеустремленную, выдержанную во всех отношениях историко-литературную концепцию.

<sup>1</sup> Л. П. Гроссман, Онегинская строфа, „Пушкин“, Сб. под ред. Н. К. Пиксанова, М., 1924, стр. 127, 131.



Силою своего волшебного гения он раздвигает в общем скромные возможности сонета и в „размер его стесненный“ вкладывает глубокое содержание. Его проблематика отражает в себе круг самых разнообразных историко-литературных вопросов, волновавших Пушкина, и является неоценимым свидетельством глубоких раздумий великого поэта над некоторыми явлениями русской и европейской литератур.

\* \* \*

В пушкиноведении довольно широкое распространение получил взгляд, что „Суровый Дант“ самыми тесными узами связан с сонетом В. Вордсворта „Не презирай сонета“. По мнению одних, он представляет собою „переделку“<sup>1</sup>, по мнению других — „перевод“ ряда строк<sup>2</sup> или „перевод-переделку“<sup>3</sup> сонета Вордсворта и — еще одно мнение — просто „подражание ему“<sup>4</sup>. Правда, и это следует подчеркнуть, в последнее время, если судить по комментариям к нему, его уже не считают ни переделкой, ни переводом, а ограничиваются указанием на то, что он „восходит к сонету Вордсворта“<sup>5</sup>, написанному „на ту же тему“<sup>6</sup>.

Исследователи и комментаторы, отмечавшие наличие связи между сонетами Пушкина и Вордсворта, были правы только в одном, — в том, что какая-то связь, действительно, существует. Истинный характер ее определяется не зависимостью Пушкина от английского поэта и тем более не тем, что он якобы был переводчиком его сонета, — связь между ними выявляется со всей очевидностью в плане отрицания Пушкиным тех принципов, которые были заложены в сонете Вордсворта, — идейных и художественных, и утверждением своих творческих методов в разрешении стоящей перед ним задачи — своеобразной, как и у Вордсворта, апологии сонета. Она, эта связь, таким образом, носит негативный характер и выявляет, несомненно, известную долю полемики против Вордсворта как автора „Не презирай сонета“.

Различие между сонетом Пушкина и сонетом Вордсворта начинается уже с композиции и носит сугубо принципиальный характер.

<sup>1</sup> А. С. Пушкин, Сочинения под ред. Венгера, т. V, 1911, стр. 511;

А. С. Пушкин, Сочинения, ГИХЛ, Л., 1935, стр. 888.

<sup>2</sup> А. С. Пушкин, Полное собрание сочинений в 6 томах, ГИХЛ, М.-Л., т. 6, 1931, стр. 84. Попытка аргументировать этот взгляд делается в статье Н. Яковлева „Из разысканий о литературных источниках в творчестве Пушкина“: „Первый катрен Пушкина (речь идет о сонете „Суровый Дант“. — Г. Г.), очевидно является попыткой перевода того, что он счел нужным перевести из Вордсворта, независимо от порядка расположения материала у этого последнего“ („Пушкин в мировой литературе“, Сб., 1926, стр. 126).

<sup>3</sup> Временник пушкинской комиссии, 4-5, М.-Л., 1939, стр. 318.

<sup>4</sup> И. И. Замотин, А. С. Пушкин, Очерк жизни и творчества, 1937, стр. 200.

<sup>5</sup> А. С. Пушкин, Сочинения, ОГИЗ, 1949, стр. 875.

<sup>6</sup> А. С. Пушкин, Полное собр. соч., в 10 томах, т. III, 1950, стр. 504.



Если композицию произведения рассматривать в связи с содержанием его, подчиняющим ее своим требованиям, — а это единственно правильный путь, — то придется признать, что композиция вордсвортовского сонета, как не подчиненная никакой закономерности, — случайна. Перечисляя поэтов мировой литературы, писавших сонеты и отметивших своим творчеством вехи на пути его развития, Вордсворт не придерживается, как это делает Пушкин в своем сонете, единственно оправданного в этом случае композиционного принципа — хронологического, и сначала говорит о Шекспире, а потом уже о Петрарке, после которого следуют Тассо и Камозэнс, затем вдруг неожиданно обращается к Данте и далее — к Спенсеру и Мильтону. Имена, как видим, взяты в произвольном перечислении, вне историко-литературной последовательности развития мирового сонета.

Пушкин же, в отличие от Вордсворта, строго придерживается исторической перспективы и в первом же катрене своего сонета, вместившем четырех поэтов, упоминающихся в сонете Вордсворта, четко, в строгом соответствии с хронологией намечает картину развития мирового сонета от Данте до Камозэнса, посвятив каждому из поэтов всего лишь по одной строке!

Свой историко-литературный экскурс в область прошлого сонета Пушкин начинает с имени Данте.

Зародившись в безымянной массе лириков провансальского направления на рубеже между поздним средневековьем и новым временем, сонет уже в их творчестве достиг известного совершенства. Всеведущий Пушкин писал по этому поводу: „Трубадуры играли рифмою, изобретали для нее все возможные изменения стихов, придумывали самые затруднительные формы; явились *violet*, баллада, рондо, сонет и проч.“<sup>1</sup> Но в современном понимании его формы сонет, как известно, был обработан учителем Данте Гвидо Кавальканти, честь же введения его в мировую литературу принадлежит автору *Vita Nuova*. Поэтому свой сонет, как своеобразный историко-литературный очерк, Пушкин и начинает с Данте, за которым в хронологической последовательности идут Петрарка, Шекспир и Камозэнс, а из новейших — Вордсворт, Мицкевич и Дельвиг, введенные вместо Спенсера, Тассо и Мильтона вордсвортовского сонета.

Но композиция, разумеется, не единственный показатель оригинальности пушкинского сонета. Самое существенное, что отличает сонет Пушкина от стихотворения Вордсворта и что делает его актом неизмеримо более высокого искусства, — это, прежде всего, богатство и глубина идейного содержания пушкинских стихов, поразительно мет-

<sup>1</sup> А. С. Пушкин, Полное собрание сочинений, АН СССР, т. II, 1949, стр. 37.



кие наблюдения над природой сонетов каждого из упомянутых авторов, — наблюдения, выраженные в неповторимой, ни с чем не сравнимой манере великого поэта. По лаконичности выражения богатейшего содержания „Суровый Дант“, может быть, одно из самых пушкинских стихотворений.

Что сказано о Данте в сонете Вордсворта?  
 The Sonnet glittered a gay myrtle leaf  
 Amid the cypress with which Dante crowned  
 His visionary brow...<sup>1</sup>

У Пушкина — предельно сжатая, чеканная фраза в одну строку:

Суровый Дант не презирал сонета...

Не говоря уже о том, что прилагательное „суровый“ в гораздо большей степени, нежели *visionary brow*, характеризует внутренний мир создателя „Ада“, — пушкинское „не презирал“ несет в себе определение места, занимаемого сонетом в творчестве великого флорентинца, которого Пушкин высоко чтит за его „тройственную поэму“, а не за лирику: характерно, что среди многочисленных высказываний Пушкина о Данте нет ни одного о его сонетах.

И как изумителен сам по себе, а в историко-литературном отношении тем более, переход от Данте к Петрарке:

Суровый Дант не презирал сонета;  
 В нем жар души Петрарка изливал...

С одной стороны — „суровый Дант“, с другой — „жар души“ Петрарки. За этими скупыми словами — целый мир. В них заключена в оригинальном преломлении концепция того отрезка времени, от Данте до Петрарки, которое прошло человечество по пути своего высвобождения из-под давления средневеково-аскетического миропонимания и мироощущения. В восприятии Пушкина Петрарка был прежде всего тем вдохновенным лириком, „жар души“ которого растопил лед „сурово“-дантовского отношения к жизни и человеку и, воплощенный в совершенные формы сонета, раздвинул потенциальные возможности лирики. Но с другой стороны, ценя в Петрарке его способность к воспроизведению лирической настроенности, Пушкин, в то же время, неоднократно подчеркивал ограниченность лирического голоса певца Лауры одной, по сути дела, темой. Небезынтересно, что в таком-приблизительно плане высказывался о Петрарке и Ф. Энгельс, когда писал

<sup>1</sup> Сонет придавал сверкание яркому миртовому листу в кипарисовом венке, украшавшем вдумчивое чело (чело провидца) Данте. (здесь и далее цитация по William Wordsworth, Poems, стр. 294).



о нем как о поэте, „возводившем в сонет каждый взгляд, каждое слово возлюбленной“<sup>1</sup>.

В сонете Вордсворта о Петрарке читаем:

...the melody of this small lute  
gave ease to Petrarch's wound...<sup>2</sup>

Что общего между этими — будем беспристрастными — словами и выразительной фразой Пушкина, в которой в двух словах сказано самое главное — о направлении сонетов Петрарки, об основном тоне их содержания?

В истории мировой литературы ярким этапом ее развития являются знаменитые сонеты Шекспира. Поднятые его гением на небывалую высоту, мастерские по форме, они стали для него могучим средством выражения глубоких философских идей и тонких „движений души“, как говаривали старые романисты. Он придал сонету эластичную гибкость — качество, столь необходимое для воплощения в его „прокрустовом ложе“ самого разнообразного содержания — идей и мыслей, настроений и переживаний человека эпохи Возрождения. Поразительная разносторонность сонетов Шекспира выявляется еще более рельефно в сопоставлении с сонетным творчеством других поэтов, которые, углубив сонет в направлении одной лишь темы, сузили, таким образом, его возможности в отображении самого разнородного содержания. У Петрарки, как было оказано, — только „жар души“, только перипетии любовного томления. Поэтом одной темы, одного настроения является, по характеристике Пушкина, и Вордсворт, когда

вдали от суетного света  
Природы он рисует идеал.

Иное дело Шекспир. Его сто пятьдесят четыре сонета — небольшая по объему энциклопедия „полноты и силы характера“ человека Возрождения, эпохи „величайшего прогрессивного переворота“<sup>3</sup>.

Вне всякого сомнения: именно эту сторону сонетов Шекспира — необычайную глубину и многогранность их содержания, обнаруживающую „полноту и силу характера“ их создателя, как сына своего времени, — имел в виду Пушкин, когда писал:

Его игру любил творец Макбета.

Вордсворт в своем сонете верно подметил лишь одну особенность Шекспира-сонетиста, а именно:

<sup>1</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Об искусстве, Сб., 1938, стр. 638.

<sup>2</sup> .....Мелодия этой маленькой лютны облегчала (утоляла) рану Петрарки.

<sup>3</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Об искусстве, Сб., 1938, стр. 243.



...with this key  
Shakespeare unlocked his heart<sup>1</sup>.

Все это так. Но разве сонет, как один из видов лирической поэзии, не является ли и для других поэтов таким же средством раскрытия их внутреннего мира? Несомненно! Все „на счастье“ в том, что вордсвортовская характеристика отношения Шекспира к сонету не конкретна, расплывчата, в ней нет ничего такого, что говорило бы о специфике сонетного творчества великого поэта; короче говоря, она не имеет адреса.

Пушкин считал Шекспира „многосторонним гением“. Пушкинское слово „игра“ как нельзя лучше определяет многогранность сонетов Шекспира.

„Игра“ шекспировских стихов — это не только переливы игры драгоценных камней его мыслей, она вызвана и наличием в его сонетах самых разнообразных, подчас причудливых и неожиданных, но всегда глубоко-психологических переходов и сплетений чисто эмоционального характера.

Богатая тонкими модуляциями „игра“ сонетов Шекспира одним из средств своего выражения имеет такой необычный в сонетной форме прием, как монолог, который у него, органически сливаясь со всем строем сонета, придает ему поразительную живость и динамичность. Как полагает исследователь, Шекспир „и в сонетах оставался всегда драматургом, творцом многообразной человеческой речи“<sup>2</sup>. Невольно возникает вопрос: не для того ли, чтобы подчеркнуть „драматургический“ характер сонетов Шекспира, Пушкин, не называя его по имени, указывает, что он — „творец Макбета“. Ведь ясно, здесь дело не в рифме — „сонета“ — „Макбета“.

Один из исследователей данного вопроса, мнение которого мы уже приводили в числе других, видевших в „Суровом Данте“ „попытку перевода“, находит, что Данте, Петрарка, Шекспир и Камюэнс у Пушкина представлены „приблизительно с теми же характеристиками, что и у английского поэта“<sup>3</sup>.

Неверно! Из всего сказанного можно сделать решительный вывод о принципиально различном подходе Вордсворта и Пушкина к разрешению задачи. Английский поэт, перечисляя в беспорядке авторов сонетов, за очень редким исключением, почти ничего не говорит об их содержании, не дает ни одной концепции, раскрывающей их природу.

<sup>1</sup> Этим ключом Шекспир открыл свое сердце...

<sup>2</sup> М. Морозов, Послесловие к „Сонетам Шекспира“ в переводах С. Маршака, СПб, 1949, стр. 179.

<sup>3</sup> „Пушкин в мировой литературе“, Сб., 1926, стр. 114.



Его „исследование“ идет скорее по линии биографической, чем творческой, — сонет, как акт художественного творчества, оказывается вне поля его зрения. Сонетом Шекспир „открыл свое сердце“, он „облегчал рану Петрарки“, „ободрял нежного Спенсера“, украшал венок, увенчавший Данте, Тассо „тысячу раз заставлял звучать эту свирель“ и т. п. Где здесь хотя бы намек на характеристику сонетов? Ее нет, а если и встречается попытка, то — бледная, невыразительная и не дающая ничего „ни уму, ни сердцу“.

Пушкин, как это не трудно увидеть, интересуется самими сонетами. Рассматривая их с точки зрения содержания или общей направленности и нередко в связи с основным творчеством поэта, их создателя (об этом подробнее — ниже), он проникает в самый корень, в самую суть их природы и дает нередко меткие, до предела сжатые, разом освещающие картину характеристики... Еще один пример. Верный своему подходу к разрешению темы, Вордсворт говорит, что сонетом „Камозэнс облегчал горе изгнания“<sup>1</sup>. Ну хорошо, а сам-то сонет где? В пушкинской строке —

Им скорбну мысль Камозэнс облекал —

и содержится как раз то, чего нет у Вордсворта, — четкое слово о сонете португальского поэта, который, прожив полную трагических потрясений жизнь, воплотил свои мысли в сонетные строфы — не мрачные, не тяжелые и не какие-либо другие, а именно скорбные мысли...

Таким образом, в создании своего сонета Пушкин руководствовался другими творческими принципами, нежели Вордсворт, и „Суровый Дант“ ни в коем случае не может считаться ни переделкой сонета английского поэта-„лейкиста“, так как при переделке обязательно что-нибудь да остается от оригинала, ни, тем более, переводом.

\* \* \*

Творческий метод Пушкина с новым блеском проявился в создании изумительного по богатству содержания терцета, посвященного великому польскому поэту Адаму Мицкевичу. В нем Мицкевич предстал во всем многообразии своей природы и в некоторых чертах биографии. Все, сказанное Пушкиным о Мицкевиче в этом трехстишье, входит в проблему „Пушкин-Мицкевич“, раздвигая в частности круг ее вопросов.

Напомним этот терцет:

Под сенью гор Тавриды отдаленной  
Певец Литвы в размер его стесненный  
Свои мечты мгновенно заключал.

<sup>1</sup> With it Camoëns soothed an exile's grief.



Есть основания полагать, что он был написан после того отрывка из „Путешествия Онегина“, где говорится о посещении польским поэтом Крыма:

Там пел Мицкевич вдохновенный<sup>1</sup>  
И, посреди прибрежных скал,  
Свою Литву воспоминал<sup>2</sup>.

Творческая переработка этого отрывка, завершившаяся написанием сонетного терцета, как это не трудно проследить, шла в сторону расширения идейного содержания его при все более экономном расходовании изобразительных средств.

Прилагательное „вдохновенный“, ставшее обычным в отзывах о Мицкевиче его русских друзей, примененное к нему и в „Путешествии Онегина“, Пушкин, добываясь предельной точности, заменяет другим — более подходящим для характеристики великого польского поэта, который, как об этом говорится в сонете, „свои мечты мгновенно заключал“. „Мгновенно“ сонетного терцета, подразумевая, конечно, и такой момент творческого процесса, как „вдохновение“, делает более конкретной неповторимую сторону поэтического гения Мицкевича, так восхищавшую Пушкина и всех, знавших польского поэта, — способность молниеносной импровизации. Вспоминая на старости лет импровизацию Мицкевича на квартире Пушкина, впечатление от которой „еще памятно“, Вяземский рассказывает о ней следующими словами: „Импровизация была блестящая и великолепная... Жуковский и Пушкин, глубоко потрясенные этим огнедышащим извержением поэзии, были в восторге“<sup>3</sup>).

Перерабатывая сонетный терцет в направлении уточнения деталей, Пушкин, далее, „прибрежные скалы“ отрывка из „Путешествия Онегина“, среди которых „пел Мицкевич вдохновенный“, заменяет „сенью гор“ и делает это вполне мотивировано, исходя из текста „Крымских сонетов“. В пейзаже „Тавриды отдаленной“, как он изображен Мицкевичем в сонетах, преобладают не „прибрежные скалы“, а именно горы. Из восемнадцати сонетов горный пейзаж встречается в восьми, а некоторые сонеты носят название гор („Чатырдаг“, „Гора Кикинеиз“, „Аюдаг“). Таким образом, Пушкин помещает Мицкевича в окружение того пей-

<sup>1</sup> В черновом варианте вместо „Мицкевич“ сказано „изгнанник“. Хотя „изгнанник“ и больше говорит, чем просто „Мицкевич“, так как объясняет политическое лицо польского поэта, в котором царское самодержавие видело своего врага, Пушкин снимает это определение, возможно, из цензурных соображений.

<sup>2</sup> В черновике: „(стихи бессмертные) слагал“ и „свои сонеты он слагал“.

<sup>3</sup> „Русский архив“, 1873, № 6, стр. 1085.



зажа, который привлек внимание польского поэта и был им запечатлен в его изумительных „Крымских сонетах“.

Что касается идейного содержания сонетного терцета о Мицкевиче, то и здесь Пушкин стремится к расширению и углублению характеристики поэта и его сонетов.

Главная мысль трехстишья из „Путешествия Онегина“ — патриотизм великого польского поэта, т. е. Пушкин здесь подчеркивает одну лишь сторону идейного содержания „Крымских сонетов“ („Свою Литву воспоминал“). Но как ни горячо патриотическое чувство Мицкевича, пронизывающее сонеты „Аккерманские степи“, „Могила Потоцкой“ и „Пилигрим“, оно не исчерпывает всю проблематику „Крымских сонетов“. В других сонетах — другие чувства, другие настроения, иные мысли и эмоции. Какие?

Вспомним, в Россию, в Крым Мицкевич приехал после краха его идеалов в Польше, после трагических катастроф, постигших его и его друзей „филаретов“, — в состоянии мучительной депрессии и мрачных раздумий о судьбе поэта. Но, к счастью, тяжелые предчувствия Мицкевича не оправдались. В России он попадает в общество близких по духу людей, многие из которых становятся его друзьями на всю жизнь. Наметившийся в Петербурге и Москве перелом в его настроении в бытность его на юге — в Одессе и Крыму — окончательно приводит Мицкевича к бодрому, жизнерадостному мироощущению. Поэт как бы снова обретает самого себя. И все эти новые чувства и настроения нашли проникновенно-поэтическое отражение в волнующих строфах „Крымских сонетов“.

..Буря на море. Сросшись с карабелем, дух поэта „вместе с мачтами летит в простор“ навстречу разбушевавшейся стихии. Единственное чувство, всецело овладевшее поэтом, — беспредельный восторг, опьяняющий экстаз от этого могучего и захватывающего ощущения порыва вперед, в неизвестность... Стихия вот-вот поглотит и караван, и людей, во все это не страшит Мицкевича: мужественный, он преисполнен уверенности в силах, с ним друзья, на которых можно положиться... Буйство сил роскошной и могучей природы сродни мятущему духу поэта, который укреплен опасностью и в котором так много близкого самой природе. В общении с нею поэт по-новому, иными, чем раньше, глазами заглянул в пучину бытия и вышел из этого созерцания обновленный в своем мужестве. Он готов к дальнейшей борьбе! И главное — творчество! Постигание незыблемости природы во сто крат увеличило творческие силы того, для которого созидание — все, весь смысл жизни...

Крымские впечатления, общение с близкими людьми, новый порыв творческого вдохновения — все это обновило Мицкевича. После депре-



ссии предыдущего периода в путешествии по „Тавриде отдаленной“ он услышал новые призывы жизни, и они „мгновенно“ воплотились „стихами дивными“ в сонетный цикл. „Крымские сонеты“ выразили все многообразие и глубину нового мироощущения их создателя и явились могучим романтическим порывом к борьбе за светлые и возвышенные идеалы...

В сонете „Суровый Дант“ Пушкин снова подчеркивает патриотизм Мицкевича, но делает это более скупыми, чем в „Путешествии Онегина“, средствами, используя простую перифразу — „Певец Литвы“. Как не трудно увидеть, определение Мицкевича, как „Певца Литвы“, совершенно точно указывает на патриотическую направленность всего творчества великого польского поэта-патриота, а не только его „Крымских сонетов“<sup>1</sup>. Но — и это самое главное — в сонетном терцете Пушкин расширяет свое понимание проблематики сонетного цикла Мицкевича, когда отмечает, что польский поэт в „стесненный размер“ сонета

Свои мечты мгновенно заключал.

Возникает вопрос: случайно ли Пушкин произвел эту замену („Свою Литву вспоминал“ на „Свои мечты мгновенно заключал“), а если не случайно, то можно ли уточнить содержание мечты польского поэта? Можно — конечно, предположительно, — обратившись к известным фактам пребывания Мицкевича в России и к некоторым сторонам его творчества.

В своем послании „Русским друзьям“, вспоминая проведенные в России годы, Мицкевич пишет:

..Пока извиваясь в оковах

Змеей молчаливой, я тихим казался тирану,

Лишь вам признавался я в чувствах раскрыться готовых...<sup>2</sup>

Каковы же были сокровенные чувства Мицкевича, которые онверял своим друзьям — „сынам чужой земли“, один из которых мужественно погибли от руки царского палача, а другие томились в далекой Сибири? О чем он поведывал, „братских чувств полн“, в то время, как „тихим казался тирану“?

Анненков, на основании рассказа П. А. Плетнева, приводит сцену, когда Мицкевич „в самой квартире Пушкина, в Демутовом трактире, долго и с жаром говорил о любви, которая некогда должна свя-

<sup>1</sup> Замечательно то, что ни одна мысль трехстишья из „Путешествия Онегина“ не осталась невыраженной в сонетном терцете. Определение Тавриды, как „отдаленной“, применительно к Мицкевичу обязательно ассоциирует акт воспоминания Литвы и в известном смысле намекает на вынужденный характер пребывания польского поэта в России (ср. — „изгнанник вдохновенный“).

<sup>2</sup> Адам Мицкевич, Избранное, М., 1946, стр. 339.



зять народы между собою"<sup>1</sup>. О том же говорится и в очерке о Мицкевиче П. П. Дубровского, который слышал от Плетнева, что «эта мысль была выражена Мицкевичем в его речи на французском языке, которую он однажды импровизировал в дружеском кругу русских литераторов, в Петербурге»<sup>2</sup>. Кроме того, как известно, Мицкевич в 1827 году делал попытки хотя бы частично претворить свою мечту о братстве народов в действительность в предполагаемом журнале „Iris“ который, по его мнению, должен был содействовать сближению двух братских литератур — польской и русской.

Мечты великого польского поэта о дружбе народов облекались в слова не только в его „огнедышащих“ импровизациях. Они вдохновили Мицкевича на создание глубоко-поэтической картины природы, не ведающей той вражды, которая разделяет народы, во вступлении к поэме „Конрад Валленрод“, вышедшей в 1828 году, которое было немедленно переведено Пушкиным. Именно то место, где говорится о заветной мечте Мицкевича, привлекло внимание Пушкина. Как это показательно! И великий русский поэт с большой любовью рассказал русскими словами, о чем писал его великий польский собрат, о том, что в противоположность „литовцам юным“ и немцам, не смеющим переступить „ток Немана гостеприимный“,

Лишь хмель литовских берегов,  
Немецкой тополью плененный,  
Через реку, меж тростников,  
Переправляясь дерзновенный,  
Брегов противных достигал  
И друга нежно обнимал.  
Лишь соловьи дубрав и гор  
По старине вражды не знали  
И в остров, общий с давних пор,  
Друг и другу в гости прилетали<sup>3</sup>.

Очень возможно, что содержание импровизаций Мицкевича о любви, которая свяжет народы, и приведенного отрывка из вступления к „Конраду Валленроду“ дало возможность Пушкину заменить последнюю строку трехстишья „Путешествия Онегина“ о Мицкевиче — „Свою Литву воспоминал“ — на более отвечающую его представлению о польском поэте строку сонетного терцета — „Свои мечты мгновенно заключал“. Несомненно, из нее впоследствии, через четыре года, возникнет одно из проникновеннейших созданий Пушкина — стихотворение „Он“

<sup>1</sup> Материалы для биографии Пушкина, 1855, стр. 250.

<sup>2</sup> „Отечественные записки“, 1853, № 9, стр. 39.

<sup>3</sup> Цит. по Мицкевич Адам, Собр. соч., т. I, М., 1948, стр. 511.



между нами жил“, в концепции которого Мицкевич опять выступит как певец дружбы народов, как носитель пророческой мечты

О временах грядущих,  
Когда народы, распри позабыв,  
В великую семью соединятся<sup>1</sup>.

Раскрыв содержание той мечты польского поэта-друга о „временах грядущих“, которая была нередкостью устойчивой в его творчестве (о ней Мицкевич снова говорит в гениальной импровизации Конрада в третьей части „Дзядов“), а также в его общении с русскими друзьями, Пушкин тем самым поведал и о своем заветном желании, совпадавшем с пророческой мечтой Мицкевича. Ведь неспроста — „мы жадно слушали поэта“. Очень интересно, что за десять лет до написания „Он между нами жил“ Пушкин, как это отмечается в пушкиноведении, в послании „Графу Олизару“ — польскому поэту-патриоту и общественному деятелю, бывшему в довольно тесных связях с декабристами, — развивал приблизительно те же самые идеи, которые воплощены и в стихотворении, посвященном Мицкевичу, — идеи о том, что

...глас поэзии чудесной  
Сердца враждебные дружит...

.....  
При сладких звуках вдохновенья,  
При песнях лир..  
И восстают благословенья,  
На племена нисходит мир...

Такова, в общих чертах, проблематика сонета Пушкина „Суровый Дант“. Он занимает совершенно особое место в ряду лирических стихотворений великого поэта не только как мастерское произведение ху-

<sup>1</sup> Весьма показательны, что черновые варианты этих строк не несут, как это часто бывает у Пушкина, следов коренной переработки идеи. Варианты касаются незначительных частности; это говорит о том, что мысль, заложенная в стихотворении „Он между нами жил“, всегда сопутствовала Пушкину в его понимании Мицкевича:

- ...нередко  
он говорил о времени грядущем...
- а. Когда народы все в одну семью  
Великую соединятся...
  - б. Когда земные племена в одну  
Великую семью соединятся..
  - в. Когда народы чуждые друг другу  
В великую семью соединятся...



дожника, но и как своеобразный историко-литературный очерк, написанный пером исследователя, охватившего некоторые разнородные явления мировой литературы. Проблема „Пушкин-критик“, „Пушкин — историк литературы“ не может быть разрешена без анализа сонета „Суровый Дант“, вне связи с его идеями и наблюдениями.

Тбилисский государственный университет  
имени Сталина  
Кафедра истории русской литературы

(Поступило в редакцию 10. V. 1955)

### მ. პიროვნობა

## 1. პუშკინის სონეტის „Суровый Дант“-ის შესახებ

### რეზიუმე

არსებობს აზრი, თითქოს ა. ს. პუშკინის სონეტი „Суровый Дант“ პირდაპირ დამოკიდებულია უ. უორდსვორტის სონეტთან „Schorh not the sonnet“, თითქოს იგი უორდსვორტის სონეტის „თარგმანს“, „ზოგიერთი სტრიქონის თარგმანს“, „გადაკეთებას“ წარმოადგენს. სინამდვილეში პუშკინის სონეტი სრულიად ორიგინალური ნაწარმოებია და იგი ბევრ შემთხვევაში უორდსვორტის ლექსის იდეურ-მხატვრულ პრინციპებს არ ეთანხმება.

„Суровый Дант“ თავისებური ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევია, რომელშიც დიდი პოეტი სახავს მსოფლიო ლიტერატურის განვითარების ზოგიერთ მხარეს დანტედან მოყოლებული პუშკინის თანამედროვის ადამ მიცკევიჩამდე. მიცკევიჩისადმი მიძღვნილი უკანასკნელი ტერცეტი ხასიათდება იმით, რომ აქ მოცემულია პუშკინისეული გაგება დიდი პოლონელი მწერლის შემოქმედებისა და მისი მოქალაქეობრივი სახისა.

სონეტში „Суровый Дант“ ბრწყინვალედ გამომჟღავნდა პუშკინის უნარი ღრმა იდეური შინაარსის გამოსახვისა სრულყოფილი ფორმითა და მხატვრულ საშუალებათა მინიმალური გამოყენებით.



## ვეპოლ ბერიძე

### როგორ აღინიშნება „სიძნარის“ ცნება მეგრულში?

სიმწარის (მწარის) ცნების აღსანიშნავად მეგრული ქართული ფუძის სიტყვას ხმარობს: ნ წ ა რ ე.

წიწილა და კამაწყარი,  
ბოში, მუშე გამანწარი?

წიწილა და კამაწყალი,  
ბიჭო, რატომ გამამწარე?

ცოროფა ნ წ ა რ ე, მუს მანწვალე?

მწარე სიყვარულო, რატომ მა-  
წვალე?

ცაშა მეურს შური ნ წ ა რ ე.

ცისკენ მიდის სული მწარე.

ვა, ცოროფა, ნიჭი სრული,  
წამს ტკბილი და დიდხანს ნ წ ა რ ე!

ვა, სიყვარულო, ნიჭი სრული,  
წამს ტკბილი და დიდხანს მწარე.

დაშ ლურა ან წ ა რ ენ დე ჯიმალებს.  
გან წ ა რ ე ბ უ ლ ი ღვინო გლახა ოშუ-  
მალირე.

დის სიყვდილი ამწარებდა ძმებს.  
გამწარებული ღვინო ცუდი და-  
სალევია.

ამრიგად, მწარის აღსანიშნავად მეგრულში ქართული ფუძის სიტყვაა: ნ წ ა რ ე.

როგორ უნდა აღენიშნათ ეს ცნება, მეგრული სიტყვა რომ ეხმარათ? ჩვენი ამოსავალია ისევ ქართული მ წ ა რ ე: მ, წ, ა, რ, ე.

ქართულ მ ბგერას შეესატყვისება მეგრული ნ ბგერა. მაგ., ქართული მ ტერი მეგრულად იქნება ნ ტერი ქართული მ დ ე ლ ო — ნ დ ე ლ ო ა, ქარ-  
თული მ გ ე ლ ი მეგრულად ნ გ ე რ ი ა და სხვ. მრავალი.

ქართული წ ბგერა სრულიად კანონიერად მოგვეცემს მეგრულში ჭ ბგე-  
რას: ხოლო ქართული ა ბგერა მოგვეცემს კანონიერ შესატყვისს — მეგრულ ო  
ბგერას; რ ბგერა საერთოა, ქართულ-მეგრული, ბოლოკიდური ე ბგერაც  
საერთოა. საბოლოოდ მივიღეთ ნ ჭ ო რ ე.

სწორედ ნ ჭ ო რ ე ფუძის სიტყვა უნდა ყოფილიყო მეგრულში მწარის  
აღნიშვნელი. მაგრამ მწარის აღსანიშნავად დღეს ეს სიტყვა აღარ იხმარება  
სამეგრელოში.

ნ ჭ ო რ ე ფუძის სიტყვა სხვა აზრით იხმარება სამეგრელოში და მის  
მოსაზღვრე ქვემო-იმერეთში. ეს სიტყვა ცოცხალია დიასახლისების მეტყველე-  
ბაში, როდესაც ისინი საჭმელს ამზადებენ, კერძოდ, მხალის საჭამადს.



სამეგრელოსა და ქვემო-იმერეთში გაზაფხულზე ხშირად ამზადებენ ეკალაფხალს. მოხარშვის შემდეგ ეკალას უთუოდ ცივი წყალი უნდა დაასხან, რომ მას სიმწარე გაშორდეს<sup>1</sup>.

ამ პროცედურას ეწოდება განჭორება, გამონჭორება (მხალისა). „კარგად განჭორე ეკალა, თვარა შხამივით იქნება!“ „ხანჭკოლა არ იყო განჭორებული და სულიერ კაცს არ გაუსინჯავს“.

ახალ ტყემალსაც უნდა განჭორება, როდესაც მისგან საწებელას ამზადებენ.

განჭორება (ანჭორება) გადატანითად იხმარება: 1. ანჭორება... ცუდი სუნის დაყენება; 2. სურნელების დაფრქვევა.

შენიშვნა: მეგრულში იხმარება სიტყვა კოლო, რაც ნიშნავს მწარეს, შიგრამ ეს სხვა ფუძისაა.

<sup>1</sup> ამ მნიშვნელობით მეგრულში იხმარება გითო-ჭორ-აფ-ა.



ი. იბანიშვილი

## ნაწევარი ძველ ქართულში

### 1. ზოგადი სწოვაბი ნაწევარის შესახებ

ნაწევარი დამახასიათებელია მთელი რიგი ენებისათვის. იგი გვხვდება ამ ენებში სხვადასხვანაირი ფორმითა და მნიშვნელობით. ზოგიერთი სპეციალისტის აზრით ნაწევრის ჩამოყალიბება მოცემული ენის განვითარების უძველეს საფეხურებზე უნდა ვივარაუდოთ.

ბერ ენაში ნაწევარი გამოხატულია ფორმათუცვლელი სიტყვისა თუ ნაწილაკის საშუალებით. ასეთია, მაგალითად, ინგლისური ენა, სადაც განსაზღვრული ნაწევარი *the* და განუსაზღვრელი ნაწევარი *an* უკვე ფორმათუცვლელ სიტყვებად ქცეულან. უფრო ხშირად ნაწევარი ფორმათუცვლებად სიტყვებს წარმოადგენს; იგი იცვლება ბრუნვისა, რიცხვისა და სქესის მიხედვით (თუ, რასაკვირველია, ეს უკანასკნელი კატეგორია მოეპოვება ენას). ამ ტიპის ენაა, მაგალითად, ძველი ბერძნული, სადაც *ὁ, ἡ, τὸ* (მხ. რ.) და *οἱ, αἱ, τὰ* (მრ. რ.) მამრობითი, მდედრობითი და საშუალო სქესის განსაზღვრული ნაწევარია შეიძამისად, გერმანული (*der, die, das*), ფრანგული (*le, la*) და სხ.

ბერათმედგენილობის მიხედვით ნაწევარი ჩვეულებრივ ერთმარცვლიან სიტყვებს წარმოადგენს. იგი შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ ერთი ბერისაგან. ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს ხმოვანიც (აფხაზური და უბიხური *ა*, იტალ. *i*, პორტ. *o, a*, ინგლ. *a* და სხ.) და თანხმოვანიც (იტალ. *l'*, ფრანგ. *l'*, რუმინ. *l*, ბულგ. *t*, ნორვ. *n* და სხ.). ხშირია ორ- და სამბგერიანი ნაწევარიც. უფრო იშვიათია ორმარცვლიანი ნაწევარი (იტალ. *uno, una*, პორტ. *uma*, რუმინ. *unei, lui, cele*, ქართ. *ესე, ეგე*; იგი, ერთი და სხ.).

მდებარეობის მიხედვით ნაწევარი ორგვარია: პრეპოზიციული და პოსტპოზიციური. პირველ შემთხვევაში ნაწევარი წინ უსწრებს არსებობის სახელს (ძველი ბერძნული, გერმანული, ინგლისური, აფხაზური, უბიხური და სხ.), მეორეში — მოსდევს მას (შვედური, ბულგარული, ნორვეგიული, დანიური და სხ.). ზოგ ენაში ორივე სახეობა გვაქვს ერთსა და იმავე დროს. ასეთია, მაგალითად, რუმინული, ქართული. ამ უკანასკნელისათვის ჩვეულებრივია პოსტპოზიციური წყობა, პრეპოზიციული წყობა მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში იხმარება, რასაც ქვემოთ ვეხებით დაწვრილებით (გვ. 12—17).



შინაარსის მიხედვით არჩევენ განსაზღვრულსა და განუსაზღვრელ ნაწევარს, რომლებიც ჩვეულებრივ ერთიმეორის გვერდით იხმარებიან ერთსა და იმავე ენაში. ასეთია, მაგალითად, ფრანგული, გერმანული, იტალიური, ქართული და სხვა ენები. იშვიათია ისეთი შემთხვევა, როცა ამა თუ იმ ენაში მხოლოდ განსაზღვრული ნაწევარი მოგვეპოვება. ასეთია, მაგალითად, ძველი ირლანდიური და ზოგი სხვა ენა.

ზოგ ენაში ადამიანთა საკუთარ სახელებს თავისი, განსაკუთრებული ნაწევარი აქვს, ნივთის სახელებს—თავისი (ინდონეზიის ენებში). ამ გარემოებას იმით ხსნიან, რომ აღნიშნული ნაწევრები წარმოშობით კლას-კატეგორიის ნიშნებია და მათი ამ ფუნქციის მოშლის შემდეგლა იქცნენ ისინი ნაწევრებად.

ბევრ ენაში ნაწევარი სახელთა სქესის გამომხატველად გვევლინება (მაგალითად, ძველ ბერძნულში, გერმანულში, ფრანგულსა და სხვებში), მაგრამ ამ მოვლენის მიჩნევა ნაწევრის ძირითად ფუნქციად არ შეიძლება, რადგანაც ნაწევარი ისეთ ენებშიც გვხვდება, რომელთაც არ იციან სახელთა დაყოფა სქესების მიხედვით (ასეთია, მაგალითად, ინგლისური, ქართული და სხ.).

ზოგჯერ, როცა თვით არსებითს სახელში არ მოიპოვება ბრუნვისა და რიცხვის გამომხატველი ნიშნები, ნაწევარი არის ერთადერთი საშუალება არსებით სახელთა ამ კატეგორიების გასარჩევად (შდრ., მაგალითად, გერმ. *der Arbeiter* „მუშა“ და *die Arbeiter* „მუშები“).

ზოგ შემთხვევაში ნაწევარი სუბსტანტივაციის მაჩვენებლად გვევლინება, მაგრამ ნამდვილად ამ სუბსტანტივაციის ქმნის არა ნაწევარი, არამედ გარკვეული კონტექსტი, რომელიც ამა თუ იმ სიტყვას აძლევს არსებითი სახელის შინაშენლობას. ამ მოსაზრებას ამტკიცებს ორი გარემოება: ა) სუბსტანტივაციის ადგილი აქვს მაშინაც, როცა სათანადო სახელთან ნაწევარი სრულებით არ არის წარმოდგენილი, მაგალითად: *Arbeiten und Kampfen, Lieben und Hassen*; ბ) მას ადგილი აქვს ისეთ ენებშიც, სადაც ნაწევარი სულ არ არსებობს. შდრ., მაგალითად, რუსული: „И далекое невозможное вдруг стало близким возможным и неизбежным“ (Л. Толстой, „Война и мир“); „Больной встал с постели“ и „Это для него больной вопрос“, „Рабочий пошел на завод“ и „Рабочий день длится восемь часов“.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ განსაზღვრული ნაწევარი მთელ რიგ ენებში ჩვენებითი ნაცვალსახელისაგან მომდინარეობს, ხოლო განუსაზღვრელი—რიცხვით „ერთ“ სახელისაგან. ეს დებულება იმდენად აშკარაა, რომ მის შესახებ არავინ არ დაობს, ამიტომ ჩვენც არაფერს ვიტყვით აქ და ამ ზოგად მიმოხილვას ამით დავამთავრებთ<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, §§ 655—660, გვ. 637—642; М. И. Немировский, Из истории глоттогонического (языкотворческого) процесса: Ученые записки Северо-Осетинского Государственного Педагогического Института имени К. Л. Хетагурова, т. III, (XVI), глава IV: „Артикль в языках мира“, Орджоникидзе, 1942, стр. 74—76; მისივე: ნაწევარი მთის კავკასიურ ენებში: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის შობაზე, ტ. VII, № 6, 1946, გვ. 377—382; О. И. Москальская, К вопросу о генезисе категории артикля: Труды Военного Института иностранных языков, I, Москва, 1945; მისივე: Употребление артикля в древне-верхне-немецком: Ученые записки Московского государственного Педагогического Института иностранных языков, т. II, Москва, 1940.



## 2. ნანევაკი განსაზღვრული და განუსაზღვრელი

არსებითი სახელი ძველ ქართულში შეიძლება წარმოდგენილი იყოს განსაზღვრულად და განუსაზღვრელად. განუსაზღვრელადაა გამოხატული მაშინ, როცა ის კონტექსტში პირველადაა მოხსენებული, მის შესახებ არა ვიცით რა. განსაზღვრულად კი მაშინაა მოცემული, როცა ამ სახელის შესახებ უკვე იყო საუბარი, მის შესახებ რაიმე უკვე ვიცით, ან იგი პირველადაა ნახსენები, მაგრამ იქვეა მითითებული მისი ზოგიერთი ნიშანი თუ თვისება. განუსაზღვრელობის შემთხვევაში სახელს დაერთვის ე. წ. განუსაზღვრელი ნაწევარი „ერთი“, განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი „ვინმე“, ან კიდევ სრულიად უნაწევროდ იხმარება; განსაზღვრელობის დროს კი ამ სახელს ე. წ. განსაზღვრული ნაწევარი დაერთვის: ესე, ეგე, იგი. ოთხთავის ერთ ადგილას, მაგალითად, ერთი კაცის შესახებ ნათქვამია: „კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძე“ (ლ. 15, 11). ეს კაცი აქ პირველადაა დასახელებული და ამიტომ იგი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელით არის წარმოდგენილი (ვისმე). არც მისი ორი შვილია ნაცნობი ჩვენთვის და ისინიც განუსაზღვრელად არიან მოცემული, ამ შემთხვევაში მათ არ ახლავს არავითარი ნაწევარი. მაგრამ შემდგომს მუხლში ვკითხულობთ: „და ჰრქუა უმრწემესმან მან [ძემან] მამასა თუსსა: მომეც მე, რომელი მხუდების ნაწილი სამკვდრებელისაჲ. და განუყო მათ სამკვდრებელი იგი“ (ლ. 15, 12). ამ კაცის შვილები ზემოთ გავიცანით უკვე და ახლა განსაზღვრული ნაწევრით მოგვევლინა: უმრწემესმან მან [ძემან]. სამემკვიდრეო ქონების პირველად ხსენებისას იგი უნაწევროდ, ე. ი. განუსაზღვრელადაა ნახმარი: ნაწილი სამკვდრებელისაჲ, ხოლო როცა ამ ქონებაზე მეორედ ჩამოვარდა ლაპარაკი, იგი ავტორმა ნაწევრით, ე. ი. განსაზღვრულად წარმოგვიდგინა: საცხორებელი (=სამკვდრებელი) იგი. სხვა მაგალითი: „მოვალს დედაკაც ერთ სამარიადთ ვსებად წყლისა“ (ი. 4, 7 C). ეს დედაკაცი აქ პირველადაა დასახელებული და ამიტომაც ახლავს განუსაზღვრელი ნაწევარი ერთ. ქვევით ამ დედაკაცის შესახებ იკითხება: „ჰრქუა მას დედაკაცმან მან სამარიტელმან“ (ი. 4, 9). ახლა ეს სამარიტელი დედაკაცი ჩვენთვის ნაცნობი გახდა და ამიტომაცაა, რომ მას განსაზღვრული ნაწევარი დაერთო. კიდევ ერთი მაგალითი: „და მუნ იყო სეფეწულ ერთ, რომლისა ძმ თუსი იღვა სნეული კაფერნაომს“ (ი. 4, 46 C). ეს სეფეწულიც პირველადაა აქ მოხსენებული, ამიტომაცაა, რომ მას სწორედ განუსაზღვრელი ნაწევარი ერთის (ერთ), ხოლო ცოტა ქვემოთ, როცა ამ სეფეწულის მოხსენება მეორედ დასჭირდა ავტორს, იგი განსაზღვრული ნაწევრით გადმოგვცა: „ჰრქუა მას სეფეწულმან მან“ (ი. 4, 49).

ხანდახან განსაზღვრული ნაწევარი ახლავს სახელს მაშინაც, როცა ეს სახელი პირველადაა ნახსენები, მაგრამ იქვე მოსდევს მას განმარტება და ამიტომ არსებითად ცნობილი ხდება ჩვენთვის პირველსავე შემთხვევაში: „მაშინ მოვიდა იესუ დაბახა მას, რომელსა ჰრქვან გესამანია, და ჰრქუა მათ“ (მ. 26, 36). ამ დაბაზე ჯერ საუბარი არ ყოფილა, მაგრამ რადგანაც აქვე ვეცნობით მის სახელს (გესამანია), ამიტომ იგი განსაზღვრული ნაწევრით არის წარმოდგენილი. უნდა შევნიშნოთ მაინც, რომ ეს წესი ყველგან ერთნაირი სიტუატით არ



არის გატარებული; ჩვენი მაგალითის დაბა C-ში (ადიშის ოთხთავში) უნაწევროდ, ე. ი. განუსაზღვრელადაა მოცემული.

ზოგჯერ განსაზღვრული ნაწევარი საწყისთან და ზედსართავთან გვხვდება, როცა ამ უკანასკნელთ არსებითი სახელის მნიშვნელობა აქვთ მოპოვებული. მის არსებობას (კონკრეტულობას) თითქოს ხაზს უსვამს მასთან ნაწევრის პირველ ხსენებისთანავე ხმარება. უფრო ხშირად ასეთ შემთხვევაში განსაზღვრული ნაწევარი ე. წ. აბსტრაქტულ სახელებს ერთვის. მიზანი, მაშასადამე, აქაც მეტი კონკრეტიზაციაა. მაგალითი: „და მყუდრო იგი და მშუდი უწყალოდ მოკლიან, და მედრებელთა იგი ქენებაა არა ისმინიან, და ჭაბუკთა იგი შუენიერებაა არა შეიწყალიან, და მოხუცებულთა იგი სიბერე არა შეიმტკივნიან, და მოწესეთა იგი სიმდაბლე არა შეიკლდებიან“, წარტყ. 17, 5—8.

### 3. განუსაზღვრელი ნაწევარი

განუსაზღვრელად წარმოდგენილ სახელს, როგორც ვთქვით, ახლავს განუსაზღვრელი ნაწევარი ერთი, განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი ვინმე, ანდა სრულიად უნაწევროდაა მოცემული<sup>1</sup>.

განვიხილოთ ეს შემთხვევები ცალ-ცალკე.

1. ერთი. ეს სიტყვა, გარდა თავისი ძირითადი მნიშვნელობისა (რაოდენობითი რიცხვითი სახელისა, один), განუსაზღვრელ ნაწევრებადაც იხმარება. ნაწევრად ქცევა ამ სიტყვის მეორეული მოვლენაა. ეს გარემოება მარტო ქართულისათვის არაა დამახასიათებელი: განუსაზღვრელი ნაწევარი მომდინარეობს რაოდენობითი რიცხვითი სახელიდან (ერთი) ბევრ სხვა ენაში<sup>2</sup>.

მაგალითები:

ა) წრფ. ბრ.: და აჰა იყო კაც ერთ იერუსალმს, ლ. 2, 25 C; კაც ერთ იყო მდიდარ, ლ. 16, 1 C; კაც ერთ ვინმე იყო მდიდარ, ლ. 16, 19 C; იყო კაც ერთ მოვლინებულ ღმრთისა მიერ, ი. 1, 6 C; ბ) სახ. ბრ.: და აჰა მართუეს მას დაჯსნილი ერთი, მ. 9, 2 C; მოუტდა მას კაცი ერთი, მ. 17, 14; მოვიდა ქუთრივი ერთი გლახაკი, მრ. 12, 42; მოვიდა დედაკაცი ერთი მრ. 14, 30; იხილეს ჭაბუკი ერთი, მჯდომარე მარჯუენით კერძო, მრ. 16, 5 C; მოვიდა ერთი შესაკრებლის მთავარი, მრ. 5, 22 C; არს აქა ყრმაა ერთი, ი. 6, 9 C; მოუტდა მას ერთი განკეთებული, მრ. 1, 40; გ) მოთხ. ბრ.: მი-ვინმე-უგო ერთმან ერისაგანმან და ჰრქუა, მრ. 9, 17; ერთმან იესუხსთანამან მიყო ჴელი, მ. 25, 51; ჰრქუა მას ერთმან მოწაფეთა მისთაგანმან, მ. 8, 21; ჰრქუა მას ერთმან მონათაგანმან მღვდელთ-მოდღურისამან, ი. 18, 26; დ) მიც. ბრ.: ესმა დედაკაცსა ერთსა, მრ. 7, 25 C; ვითარცა შევიდა იგი ერთსა ქალაქთაგანსა, ლ. 5, 12; და დაადგა ადგილსა ერთსა ველსა, ლ. 6, 17 C; და სოფელსა ერთსა მივიდა და შეეყო ერთსა მოქალაქეთაგანსა, ლ. 15, 15 C; მოუწოდა ერთსა მონათაგანსა და ჰკითხვიდა, ლ. 15, 26; და აჰა ორნი მათგანნი მივიდოდეს მასვე დღესა შინა დაბასა ერთსა, ლ. 24, 13 C; მივიდა იგი ქალაქსა ერთსა სამართეტლოსასა, ი. 4, 5 C; წარვიდა მიერ ქუეყანასა ერთსა, ი. 11, 54 C.

<sup>1</sup> განუსაზღვრელობის გამოსახატავად იშვიათად მეორე განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი რამეც გვხვდება. იგი იხმარება ნივთის (არაადამიანთა) სახელების მიმართ, მაგალითად: „და ცნეს, რამეთუ ჩუენებაა რამე იხილა ტაძარსა მას შინა“ (ლ. 1, 22). მაგრამ ეს ისე იშვიათია, რომ მასზე შეიძლება აქ ცალკე არ ვიმსჯელოთ.

<sup>2</sup> შდრ. გერმანული ein, ინგლ. an — one.



2. ვინმე. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი ვინმე იხმარება როგორც იმ შემთხვევაში, როცა განუსაზღვრელად წარმოდგენილი არსებითი სახელი ერთია, ისე მაშინაც, როცა ამნაირი სახელი ერთზე მეტია, მრავალია, მრავლობითის რიცხვშია დასმული.

მაგალითები:

1) არსებითი სახელი მხოლოდობითს რიცხვშია:

ა) სახ. ბრ.: იყო ვინმე კაცი წყლითა მანკიერი, ლ. 14, 2; კაცი ვინმე იყო მდიდარი, რომელსა ესუა მნწ, ლ. 16, 1; კაცი ვინმე იყო მდიდარი და იმოსებოდა იგი ძოწეულითა და ბისონითა, ლ. 16, 19; გლახაკი ვინმე იყო, სახელით ლახარე, ლ. 16, 20; იყო დედაკაცი ვინმე ქალაქსა მას შინა, ლ. 7, 37; მღვდელი ვინმე შთავიდოდა მასვე გზასა, ლ. 10, 31; შჯულის-მეცნიერი ვინმე აღდგა, ლ. 10, 25; მსაჯული ვინმე იყო ქალაქსა შინა, ლ. 18, 2; ქურივი ვინმე იყო მასვე ქალაქსა, ლ. 18, 30; ბრმა ვინმე ჯდა გზასა ზედა მთხოველად, ლ. 18, 35; იყო ვინმე სამეფოდასა კაცი, ი. 4, 46; ბ) მოთხ. ბრ.: კაცმან ვინმე ყო პური დიდი და უწოდა მრავალთა, ლ. 14, 16; კაცმან ვინმე დაასხა ვენაჯი, ლ. 20, 9; იხილა იგი მჭევალმან ვინმე, ლ. 22, 56; კაცმან ვინმე ღალად-ყო ერსა მას შორის და თქუა, ლ. 9, 38; ჰრქუა ვინმე, მას მოწაფეთაგანმან, ლ. 11, 1; გ) მიც. ბრ.: კაცსა თუ ვისმე ედგას ასი ცხოვარი, მ. 18, 12; კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძე, მ. 21, 28; ესმა ვისმე დედაკაცსა მისთჳს, მრ. 7, 25; ესმა ვისმე მის თანა მენაჯესა ესე, ლ. 14, 15; დ) ნათ. ბრ.: კაცისა ვისგანმე განადო ეშმაკი, ლ. 11, 14.

2) არსებითი სახელი მრავლობითს რიცხვშია:

იყვნეს ვინმე დედანიცა, რომელნი შორით ჰხედვიდეს, მრ. 15, 40; იყვნეს ვინმე მუნ მწიგნობართაგანნი, მ. 9, 3; დახისა მისგანნი ვინმე მოვიდეს ქალაქად, მ. 28, 110; იხილნეს ვინმე მოწაფეთა მისთაგანნი, მრ. 7, 2.

როგორც ვხედავთ, განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი ვინმე ხშირად ენაცვლება განუსაზღვრელ ნაწევარს ერთს. მათს ფუნქციურ სიახლოვეს ხაზს უსვამს ის გარემოება, რომ ერთი და იგივე ადგილი სხვადასხვა ხელნაწერში სხვადასხვანაირად არის გადმოცემული: ზოგში რომ უცხო ენების განუსაზღვრელი ნაწევრის ადგილას ქართულშიც განუსაზღვრელი ნაწევარი ერთი გვაქვს, სხვაში მას განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი ვინმე აქვს ბაღლად. აი ამის ორიოდ ნიმუში:

DE

C

კაცი ვინმე იყო მდიდარი, ლ. 16, 1	კაც ერთ იყო მდიდარ
იყო ვინმე კაცი ფარისეველთაგანი, ი. 3, 1	იყო კაცი ერთი ფარისეველთა მათგანი
იყო ვინმე მუნ კაცი, ი. 5, 5	მუნ იყო კაცი ერთი
იყო ვინმე სამეფოდასა კაცი, ი. 4, 46	და მუნ იყო სეფეწულ ერთ.

აქედან ჩანს, რომ ამ ორ სახელს შორის მჭიდრო სიახლოვეა. აქედან სხვათა შორის, ისიც ჩანს, რომ ვინმე და ერთი ერთმანეთის ბაღლად ყველა შემთხვევაში და საყოველთაოდ არ იხმარებ ბა: ვინმე დამახასიათებელია ხელ-



ნაწერთა ერთი ჯგუფისათვის (DE), ერთი—მეორისათვის (C). ასეთი კავშირისა და სიახლოვის მიუხედავად მაინც უნდა ვთქვათ, რომ ამ განუსაზღვრელობისათვის გამოყენებულ სიტყვებს შორის განსხვავებაც აშკარაა:

ა) ვინმე, როგორც ზემოთ ვნახეთ, თავისუფლად იხმარება მრავლობითს რიცხვში დასმულ არსებობის სახელთან (იყვნეს ვინმე დედანიცა), ერთი კი არა;

ბ) ერთის ხმარება საკუთარ (ადამიანთა) სახელებთან შეუძლებელია, ვინმე კი ასეთ შემთხვევაში სრულებით არ გრძნობს თავს უხერხულად, მაგალითად: იყო ვინმე ბარაბა მეჰომეთა თანა კრული, რომელთა შფოთსა შინა კაცი ეკლა, მრ. 15, 7; წარიქციეს პაჭრაკად თანა-წარმავალი ვინმე სუმონ კვრენელი, მომავალი აგარაკით, მაჰა ალექსანდრესი და ჰრუფსი, რაჰათამცა აღიკიდა ჯუარი იგი მისი, მრ. 15, 21 C.

ეს თვისებები შეუთავსებელია განუსაზღვრელი ნაწევრის ბუნებისათვის; შეუძლებელია განუსაზღვრელი ნაწევარი მრავლობითს რიცხვში იხმარებოდეს ან ადამიანთა სახელებს ერთოდეს. ამიტომ ვინმე არ შეიძლება ნაწევრად ჩავთვალოთ. ამ მოსაზრებას მკვერთმეტყველურად ადასტურებს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ხშირად განუსაზღვრელ სახელს ერთდროულად ახლავს ერთიცა და ვინმეც, ერთ სახელთან კი ორი ნაწევარი შეუძლებელია. სიმპტომატურია, რომ რიგი ასეთ შემთხვევაში თითქმის მუდამ ერთი და იგივეა: ჯერ ერთია, შემდეგ—ვინმე. მაშასადამე, სახელის განუსაზღვრელობას უშუალოდ ერთი ქმნის. არც ის გარემოებაა უმნიშვნელო, რომ ეს ერთი და ვინმე შეიძლება გათიშულ იქნენ და მათ შორის სიტყვაც იყოს მოთავსებული (უფრო ხშირად კავშირი). აი რამდენიმე მაგალითი ერთისა და ვინმეს ერთად ხმარებისა: ერთი ვინმე ჭაბუკი მისდევდა მას, მრ. 14, 51; კაც ერთ ვინმე იყო მდიდარ, ლ. 16, 19 C; ჰრქუა ერთმან ვინმე მღვდელთ-მოდღურისა მონამან ი. 18, 26 C; ერთმან ვინმე ერისაგანმან ლახურითა უგუმირა გუერდსა მისსა, ი. 19, 34 C.

3. განუსაზღვრელი სახელი წარმოდგენილია უნაწევროდ: წარ-თუ ვიდეთ და ვიყიდოთ ორასის დრაჰკნის პური და ვსცეთ მათ ჭამად, მრ. 6, 37 C. აქ პური პირველადაა ნახსენები და ამიტომ განუსაზღვრელადაა წარმოდგენილი, ისე კი, რომ სათანადო ნაწევარი არ ახლავს. ქვევით ეს სიტყვა ყოველთვის განსაზღვრული ნაწევრით არის გამოხატული, მაგალითად: მოილო ხუთი იგა ტეუზაჰ პური... და განტეხნა პურნი იგა და მისცემდა მოწაფეთა თვსთა, მრ. 6, 41. იმავე პურის შესახებ ცოტა ქვემოთ ვკითხულობთ: იყვნეს მქამელნი იგი მის პურისანი ხუთ ათას კაც, მრ. 6, 44. ერთი მაგალითი კიდევ: „სხუაჲ იგავი დაუდგა მათ და ჰრქუა: ემსგავსა სასუფეველი ღმრთისაჲ კაცსა, რომელმან დასთესა თესლი კეთილი აგარაკსა თვსსა. და ვითარცა დაიძინეს კაცთა, მოვიდა მტერი მისი და დასთესა ლუარძლი შორის იფქლსა მას და წარვიდა, მ. 13, 24-25 C. ამ ნაწევრებში პირველადაა ნახსენები სიტყვები: „სასუფეველი ცათაჲ“, „თესლი“, „აგარაკი“, „მტერი“, „ლუარძლი“, „იფქლი“ და ამიტომ ისინი განუსაზღვრელადაა წარმოდგენილი (არ ახლავს არავითარი ნაწევარი), მაგრამ ცოტა ქვემოთ, როცა ამ იგავის განმარტებისას ავტორს მო-



უხდტბა აღნიშნული სახელების კვლავ ხსენება, იგი მათ განსაზღვრული ნაწევრით წარმოგვიდგენს, როგორც ახლა უკვე ნაცნობსა და განსაზღვრულს, მაგალითად: ხოლო აგარაკი იგი ესე სოფელი არს; თესლნი იგი კეთილნი ესენი არიან ძენი სასუფეველისანი, და ლუარძლნი იგი არიან ძენი უკეთურებისანი, ხოლო მტერი იგი, რომელმან დასთესა იგი, ეშმაკი არს, მ. 13, 38—39.

#### 4. განსაზღვრული ნაწევარი

განსაზღვრულ ნაწევრად ქართულში, ისე როგორც მთელ რიგ სხვა ენებში, ჩვენებითი ნაცვალსახელებია გამოყენებული. ამიტომ ამ სიტყვებს, გარდა იმისა, რომ ისინი ნაწევრად გვევლინება, სხვა მნიშვნელობაც აქვთ. ცნობილია მათი სამი მნიშვნელობა:

ა) **ესე, ეგე**, იგი ჩვენებითი ნაცვალსახელია. ასეთ შემთხვევაში ეს სიტყვები უშუალოდ ეწყობა ზმნას როგორც სუბიექტად, ისე ობიექტად, და მრავლობითი რიცხვიც გააჩნია. მაგალითები:

**ესე: ეხე** არს ძმ დავითისი, მ. 12, 23; ხოლო ფარისეველთა მათ ვითარცა ესმა **ესე**, იტყოდეს: **ესე** არაარაფთ განასხამს ეშმაკთა, გარნა ბერზებულითა, მთავრითა მით ეშმაკთაფთა, მ. 12, 24; საქმეთა რომელთა მე ვიქმ, **ესენი** წამებენ ჩემთჳს, ი. 10, 25 D; **ესენი** მოუტდეს ფილიპეს, ი. 12, 21; **ესენი** ზრახვიდეს ურთიერთას ყოვლისა ამისთჳს, ლ. 24, 14; **ესენი** სოფელსა შინა არიან, ი. 17, 11; უკუეთუ ვნებაგს, მოგსრნეთ **ესენი** მახულითა, ლ. 22, 49.

**ეგე: ეგე** არს ქეშმარიტად მჯსნელი სოფლისაჲ, ი. 4, 42 C; **ეგე** დაგაბრკოლებს თქუენ, ი. 6, 61 C; **ეგე** თავისა თჳსისათჳს იტყოდენ, ი. 9, 21; განჰქსენით **ეგე** და აცადეთ წარსლვად, ი. 11, 44 C; მიიყვანეთ **ეგე** და ჯუარსაცუთ, ი. 19, 6; არა განვაპოთ **ეგე**, ი. 19, 24 C; უფალსა მაგისსა უკმან **ეგენი**, მ. 21, 3 C.

**იგი: უმცირეს** არს **იგი** ყოველთა **თესლთა**, მ. 13, 32; **იგი** უფროდს იყოს სასუფეველსა ცათასა, მ. 18, 4; რაჟამს ესუა **იგი**, მ. 26, 29; ტანჯა **იგი**, ე. 19, 1; არა უტყევა **იგი**, მრ. 5, 19; შევიდოდა **იგი**, ლ. 19, 36; შეკრულ იყო **იგი**, მრ. 5, 4; ვითარცა წარვიდეს **იგინი** მიერ, მ. 2, 13; იყვნეს **იგინი** მეთევზურ, მ. 4, 18; **იგინი** ნუგეშინის-ცემულ იყვნენ, მ. 5, 4; განკურნა **იგინი**, მ. 19, 2; ნაყოფთა მათთაგან იცნნეთ **იგინი**, მ. 7, 16; შესთხინეს **იგინი** შორის საჭუმილსა მას ცეცხლისასა, მ. 13, 42.

ბ) **ესე, ეგე, იგი** ნაწილაკია<sup>1</sup>. როგორც ნაწილაკი, ესე, ეგე, იგი ახლავს კითხვითს სიტყვებს და რელატიურად აქცევს მათ (=ც, ცა). ნაწილაკის როლში ეს სიტყვები არ იცვლება არც ბრუნვაში და არც რიცხვში, ისინი უცვლელად ერთვის სახელის მხამხარეულ ფორმას ბოლოში. რომელი-იგი (=რომელიც), რომელმან-იგი (რომელმაც), რომელსა-იგი, რომლისა-იგი, რომლითა-იგი, რომელნი-იგი, (=რომლებიც), რომელთა-იგი და სხ.

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, 1945, წინასიტყვაობა, გვ. 051; მისივე: გ. მთაწმიდლის ვნა იოვანეს და ვფთვიმეს ცხოვრების მიხედვით: ცხორებაჲ იოვანესი და ვფთვიმესი, 1946, გვ. 79, 100, 106.



თუ კიოხვითს სახელს ახლავს სხვა ნაწილაკი ან თანდებული, ანდა ორივე ესენი ერთად, ესე, ეგე, იგი სულ უკანასკნელ ადგილს დაიჭერს: ვითარცა-იგი, რომელღა-იგი, რომლისათვის-იგი, რომლისთვისცა-იგი და სხ.

მაგალითები ტექსტებიდან: იხილეთ, რაა-ესე გესმის, მრ. 4, 24; რასა-ესე მე ვიქმ, აწ არა უწყი, ი. 13, 7 C; რომელი-ესე ყო ამან, მიმოგანითქუას სახსენებელად მაგისა, მრ. 14, 9 C; რომელსა-ესე მე გეტყვ თქუენ, მრ. 13, 37; რომელნი-ესე მომცენ მე, ი. 17, 24; რომელ-ეგე მოიზადე, ვისა იყოს, ლ. 12, 20; მე გიცნი, რომელნი-ეგე გამოგიჩინენ, ი. 13, 18 C; მოგეწყოს თქუენ..., რომელთა-ეგე გესმის, მრ. 4, 24; რომელი-იგი ჩემსა შემდგომად მოვალს, უძლიერეს არს ჩემსა, მ. 3, 11; მოვიდა, რომელსა-იგი ორი ქანქარი მიელო, მ. 25, 22; ჰრქუა მათ, რომელნი-იგი შეუდგეს მას, მ. 8, 10; რომელმანცა-იგი ჰხადა მას, ლ. 7, 39; ესე არს, რომლისათვის-იგი თქუა ესაია წინაწარმეტყუელმან, მ. 3, 3; ოდეს იგი შეემზია მას, მ. 12, 3; სადა-იგი მილიმან და მკამელმან განრყუნეს, მ. 6, 19.

გ) **ესე, ეგე, იგი** ნაწევარია. ამ შემთხვევაში ის ახლავს არსებითს სახელს და მას განსაზღვრავს.

ესე ისეთ სახელთან იხმარება, რომელიც მოლაპარაკესთან (პირველ პირთან) იმყოფება, ეგე დაისმის მეორე პირთან მყოფი სახელის მიმართ, იგი ისეთ სახელს ერთვის, რომელიც არაა არც პირველ პირთან, არც მეორესთან, არამედ მათგან შორსაა, სადღაც მესამე პირთანა<sup>1</sup>. მაგალითები: დასაბამ

<sup>1</sup> ესე და ეგე ნაწევარი (და სათანადო პირობებში ნაცვალსახელებიც) ხშირად ერთი და იმავე მნიშვნელობით იხმარება: ორივე უჩვენებს პირველ პირთან, მტკემელთან, მოსაუბრესთან ახლოს მყოფ პირს. და რადგანაც მეორე პირი, თანამოსაუბრე, ჩვეულებრივ პირველ პირთან იმყოფება ხოლმე, ამიტომ მასაც (მეორე პირსაც) ეს სიტყვები აღნიშნავენ. საერთოდ ძალიან ხშირია შემთხვევები, როცა ესე ეგე-ს ნაცვლად იხმარება, და პირიქით. მოვიყვან ერთ დამახასიათებელ ადგილს ოთხთავიდან. იოვანეს ერთ თავში მოთხრობილია, რომ ერთ დღეს იესუმ ნახა ვიღაც ახალგაზრდა კაცი, რომელიც დაბადებიდან ბრმა იყო. მოწუფები ეკითხებიან იესუს: „რაბი, ვინ ცოდა, ამან ანუ მშობელთა ამისთა, რამეთუ ბრმა იშვა?“ (ი. 9, 2 DE). აქ გამოსავლად ნაუღლისხმევეია ესე. მართლაც, ის ბრმა კაცი იესუსთან და მის მოწაფეებთან იყო და ამიტომ. ბუნებრივია, ესე ეხმარა ავტორს. მაგრამ ქვევით იწყება სხვადასხვა ხელნაწერის სხვადასხვანაირი დამოკიდებულება ამ სიტყვის ხმარებასთან; აქ ვკითხულობთ: „ჰრქუა მათ იესუ: არცა ამან ცოდა, არცა მშობელთა ამისთა“, ი. 9, 3 E. როგორც ვხედავთ, პარზლის ხელნაწერის გადაწერი (თუ მთარგმნელი) ხაზს ასწორებს და ყველგან გამოსავლად ესეა მიღებული: ამან—ამისთა. მაგრამ ჯრუჭის ხელნაწერი ეს ადგილი ასეა გადმოცემული: „არცა მაგან ცოდა, არცა მშობელთა ამისთა“. მაგან—ამისთა თითქო შეუსაბამო ფორმაა, მაგრამ მსგავს შემთხვევებს ხშირად ვხვდებით ხელნაწერებში. საინტერესოა ადიშის ხელნაწერის ჩვენებაც; აქ ნათქვამია: „ჰრაბი, ვისი ბრალი არს: ამისი ანუ მშობელთა თუსთაა. რამეთუ ბრმა იშვა? მიუგო იესუ: არცა მაგისი ბრალი არს და არცა მშობელთა მაგისთაა“. აქაც იმნაირივე არევაა ამ სიტყვების ხმარებისა, როგორც ზემოთ ჯრუჭის ხელნაწერში ვნახეთ: ამისი—მაგისი—მაგისთაა იმაზე მიგვიითითებს, რომ ესე-ს ნაცვლად თამამად შეიძლებოდა ეგე ეხმარათ და პირიქით. მსგავსი მაგალითთა კიდევ შემდეგით: პილატეს მიჰგვარეს იესუ გასასამართლებლად და დასასჯელად. საქმის გამოძიების შემდეგ პილატე ეუბნება ებრაელებს: „მოვიყანეთ, წარმოადგინეთ ჩემ წინაშე კაცი ესე ვითარცა განმდრეკელი ერისაა მაგის, და აჰა ესერა თქუენ წინაშე ვიკითხე და ბრალ არაა ვბოე კაცისა მაგის თანა, რომელსა თქუენ ძურსა იტყვთ მაგისთხზ, ლ. 23, 14 C. აქაც იგივე შენაცვლება: ესე—მაგის, მაგისთხზ. ქვევით იკითხება: აწ არაა სიკუდილის საქმე უქმნის მა-



სიხარულისა იქნა ჩემდა ღამე ესე, შუშ. 7, 14; სისხლი ესე განმწმედელი არს ცოდვათა ჩემთაჲ, იქვე, 7, 18; მიუძღუნაო სამკაული ესე მისი, იქვე, 7, 27; კეთილისა ამისთჳს სტირა, ხუცეს? იქვე, 10, 13; ბოროტსა ამას განგერე, იქვე, 13, 6; ჰსდევით ბადე ვეგ მარჯუენით კერძო ნაგისა მის, ი. 21, 6; აღავსენით ტაჳკნი ვგე წყლითა, ი. 2, 7 C; გამომითარგმანე ჩუენ იგავი ვგე, მ. 15, 15; რ დაუმძიმებ ჳორცთა მაგათ ზედა, შუშ. 14, 5; აწ მატლთა მაგათჳს მხიარულ ხარ, იქვე, 15, 13; აგარაკი იგი ესე სოფელი არს, მ. 13, 38; და ვითარცა იხილა დიდძალი იგი სისხლი, რომელი დამოსდიოდა ჩხლთა მათ ჳორცთა მისთა, შუშ. 8, 26, 27; მცველმან მან მრქუა მე, იქვე, 8, 13; რათამცა ბრძანა საკრველთა მათგან განტეგებაჲ, იქვე, 8, 21; აღჳჭადა ჳაჳჳ იგი ქედსა მისსა, იქვე, 8, 22; ექუსი წელი ციხესა მას შინა აღასრულა, იქვე, 8, 25; არამედ ძღუნად თავსა თჳსსა შესწირვიდა მეფისა მის მიმართ უფარის-ყოფითა ჳემმარტისა ღმრთისაჲთა, იქვე, 1, 23; განაშუენა ყოველი იგი ციხე სულიერითა მით ქნარითა, იქვე, 10, 28; შვილნი იგა შენნი მიაქცინა მოგობასა, იქვე, 12, 6 და სხ.

### 5. ნანაჳარი „ისი“

განსაზღვრული ნაწევარი ძველ ქართულში სამი ცალი გვაქვს: ესე, ვგე იგი. გვაკლია ისი. მაგრამ ზოგიერთი ჩვენების მიხედვით ირკვევა, რომ უნდა გვქონოდა ისიც. უძველეს ძეგლებში ამნაირი ფორმა სახელობითში დადასტურებული არაა, მაგრამ ზოგ სხვა ბრუნვაში კი შემონახულა. უფრო ხშირად

გას, ლ. 23, 15 C, მაგრამ იგივე აზრი ცოტა ქვემოთ ასე გამოთქმული: რაჲ ძჳრ უქმნიეს ამას? არაჲ ბრალი ვბოვე ამის თანა, ლ. 23, 22 C. მაშასადამე, აქაც იგივე შენაცვლებათა: შავას—ამას, ამის. კიდევ ერთი მაგალითი: დეარღლო ტაძარი ესე და შესამესა დღესა აღვაშწნო ვგე, ქართ. ენის ისტ. ქრესტ., I, 170, 31. მართალია, აქ ვგე ნაწევარი არ არის, მაგრამ საქმის არსისათვის ამას არ აქვს მნიშვნელობა: ნაცვალსახელი საფუძველია ნაწევრისა, ნაწევარი სწორედ იქიდან მოდის.

ამდენ ხანს ჩვენ მაგალითები მოგვყავდა ერთი და იმავე ხელნაწერიდან. უფრო ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა ერთი და იმავე ადგილის გადმოსაცემად ერთ ხელნაწერში ესე-ა გამოყენებული, მეორეში—ვგე, მაგალითად: სიტყუაჲ ვგე, მ. 19, 11 DE, სიტყუაჲ ესე C; მიუტევე ამათ, ლ. 23, 34 DE, მიუტევე მაგათ C; ტაძარი ესე, ი. 2, 20 DE, ტაძარი ვგე C; და შენ სამთა დღესა აღადგინო ვგე, ი. 2, 20 DE; და შენ სამსა დღესა აღჳმართო ესე C; ვითარ შესაძლებელ არს ესე ყოფად, ი. 3, 9 DE, ვითარ ვგების ვგე ყოფად C; ესე არა იცია, ი. 3, 10 DE, ვგე არა იცი C; ესე არს ჳემმარტად მაცხოვარი სოფლისაჲ, ი. 4, 42 DE, ვგე არს ჳემმარტად მჳსნელი სოფლისაჲ C; არა განვზიოთ ესე, ი. 19, 24 DE, არა განვაპოთ ვგე C და სხ.

რით უნდა აიხსნას ეს გარემოება? ეს უნდა აიხსნას ალბათ იმით, რომ ესე და ვგე ერთი და იმავე მნიშვნელობის ენობრივი მონაცემებია, ოღონდ სხვადასხვა დიალექტური წარმოშობისა: ერთი ერთი დიალექტიდან შემოვიდა სალიტერატურო ენაში, მეორე—მეორიდან. რადგან შემდეგში ორივე ფორმა შეჭრჩა ენას, მოხდა მნიშვნელობის დიფერენციაცია: ესე პირველ პირთან იქნა დაკავშირებული, ვგე—მეორესთან.

ასეთი ახსნის სასარგებლოდ ლაბარაკობს აგრეთვე იგი—ისი-ის შეპირისპირებაც: მათ შორის შინაარსის მიხედვით არც არის განსხვავება. ეს მოხდა იმიტომ, რომ პირველმა ადრევე გამოადგენა მეორე სალიტერატურო ენიდან და ამიტომ მნიშვნელობის დიფერენციაციის საკითხი არც დამდგარა.



იგი მიცემითს ბრუნვაში გვხვდება, შემდეგ—ნათესაობითში. მაგალითები: მი-  
ბრძანე ჩუენ ღორებსა იმას, რაათა მათა შევიდეთ, მრ. 5, 12 CDE; მიბრძანე  
მისლვად კოლტსა იმას ღორთასა, მ. 8, 31 CDE; და ჰრქუა მათ: მივედით და-  
ბასა იმას, რომელ არს პირსპირ თქუენსა, მ. 21, 2 C.

„დაბასა იმას“ გულისხმობს, რასაკვირველია, რომ არსებობს ენაში ამ-  
ნაირი ფორმებიც: დაბაჲ ისი, დაბამან იმან, დაბისა იმის, დაბითა იმით, და-  
ბათა იმათ. ეს უკანასკნელი ფორმა მართლაც მოგვეპოვება: ერთნი იგი კილო-  
ბანნი არა ღირს არიან შემთხუევად ტაძარსა მას შინა, ხოლო მეორეთა იმათ  
არა დაედების ფასი, სიბრძ. ბალაჰვ., 54.

ამ მხრივ საინტერესოა აგრეთვე შემდეგი ფორმაც: „ყოველი რომელი  
გინდეს თქუენ, რაათა გიყონ თქუენ კაცთა, ეგრეცა თქუენ ჰყოფდით  
იმათა მიმართ, რამეთუ ესრეთ არს შჯული და წინაწარმეტყუელნი“,  
მ. 7, 12 D. მართალია, აქ ეს სიტყვა ნაწევარი არაა, მაგრამ ამას  
საკითხის პრინციპული მხარისათვის არა აქვს მნიშვნელობა: სათანადო ნა-  
ცვალსახელი უკვე გვხვდება სწორედ იმ ფორმით, რომელიც ჩვენი საკითხისა-  
თვისაა საინტერესო. შეიძლება დავასკვნათ, რომ თვით უძველეს ქართულში  
უნდა გვექონოდა ეს, მეოთხე, ნაწევარი ყველა შესაძლო ფორმით, მაგრამ იგი  
ხმარებიდან აღრე გამოდევნა მისმა ბადალმა იგი-მ, რომელიც შინაარსით მის-  
გან არც განსხვავდებოდა: ორივე ეს ფორმა ერთი მნიშვნელობით იხმარებო-  
და. საფიქრებელია, ისინი სხვადასხვა დიალექტური წრისა იყვნენ. შემდეგ და  
შემდეგ ის კვლავ აღდგება თავის უფლებებში და XI საუკუნიდან უკვე გვაქვს  
მისი სხვა ბრუნვებშიც ხმარების შემთხვევები. აქ დავასახელებთ კიდევ სხვა  
მაგალითებს: აღირბინე და არქუ ჭაბუკსა იმას, ზაქარ. 2, 4 (ოშკური ხელნა-  
წერის მიხედვით); აღვედ ფინიკსა იმას და შებმა-უყო სიმალღესა მისსა, ქებ.  
ქებ. 7, 8 (ოშკ.); რაჲ არს ღაღადებაჲ ესე ბანაკსა იმას ისრაჲლთასა, 1 მეფ.  
4, 6; ხედავთა კაცსა იმას, 1 მეფ. 17, 25 (ოშკ.); მოუწოდა მკურნალსა და ჰრქუა:  
შეწყუელსა იმას და საძაგელსა არა ეგულების მოგებაჲ პასუხისაჲ ჩემდა,  
პარხ. მრავ. 660 ა; აღვედ მთასა იმას მდინარით კერძო, კიმ. 1, 298, 14;  
მან მივსნეს მე ჯელთაგან იმის წინადაცუეთილისა და უცხო-თესლთა, 1 მეფ.  
17, 37; ხოლო უმეტესი იგი მთავრისა მის იყოს ამისგან და იმისგან პირველ-  
თა ნაყოფთა წმიდათაჲსა და დასაპყრობელად ქალაქისა ოცდა ხუთ ათას  
სიგრძედ, ეზეკ. 48, 21 (ოშკ.).

## 6. ნაწევარი საკუთარ სახელთან

ნაწევარი, როგორც წესი, საზოგადო არსებითს სახელს მოეპოვება. სა-  
კუთარ სახელს ნაწევარი ჩვეულებრივ არ გააჩნია. ეს გასაგებიცაა: ნაწევარი  
ხომ ერთგვარი კონკრეტულობის მაჩვენებელია, ის სახელს ამ თვალსაზრისი-  
თაც განსაზღვრავს, ხოლო საკუთარი სახელი იმის საკუთარი სახელია, რომ  
ის თავისთავად არის ამ მხრივ განსაზღვრული. მაგრამ ვარკვეულ შემთხვევებ-  
ში შეიძლება ნაწევარი საკუთარ სახელსაც ახლდეს. ეს მაშინ ხდება, როცა  
ზედმიწევნით სწორად სურთ მხოლოდ ამა თუ იმ საკუთარ სახელს მიუთითონ  
და არა სხვას. ასეთ შემთხვევებშიც ნაწევარი განსაკუთრებით ხშირად მაშინ  
იხმარება, როცა ორი საკუთარი სახელია ერთმანეთთან დაპირისპირებული. მა-



გალითად: ხოლო თქუნ, მსმენელნო, მიემსგავსენით დიაკონსა მას სათნოსა და მეორესა მას აბრაჰამსა, რამეთუ პირველმან მან აბრაჰამ შეწირა ძე თვისი ისაკი მსხუერპლად, ხოლო ამან (?) მეორემან აბრაჰამ შეწირნა ასულნი თვისნი მსხუერპლად უფლისა, წარტყ. იერ. 41, 21—24. აქ ორი აბრაჰამ უპირისპირდება ერთმანეთს და ამიტომაა, რომ თითოეულ მათგანს ნაწევარი ახლავს: პირველს, რომელიც დროში უფრო შორეულია, მას, მან, მეორეს კი, რომელიც დროში ახლობელია, მთქმელის თანამედროვეა, —ამან. ეს ყველაფერი წესის მიხედვითაა. ამნაირი მაგალითია კიდევ იმავე ძეგლიდან: რამეთუ ვერცა-ლა შემძლებელ ვარ საზომსა მის ქირისასა მითხრობად, რომელი მოიწია ჩუენ ზედა, ვიდრემდის იერუსალჴში იგი ზეცისაჲ ეგლოვდა ქუეყანისა იერუსალჴმსა: იქვე, 16, 18—20. აქ გეოგრაფიული სახელია ნაწევრით წარმოდგენილი. ასევე ნაწევრით უპირისპირდება ერთმანეთს ორი (პირველი და მეორე) ადამ შემდეგს მაგალითში: „იყო პირველი იგი კაცი ადამ საშუშინველად ცხოველად, ხოლო მეორე იგი ადამ სულად განმაცხოველებულად, 1 კორ. 15, 45.

მაგრამ ამ დაპირისპირების გარეშეც გვხვდება ნაწევარი საკუთარ სახელთან. ასეთ შემთხვევებში ამ ნაწევარს გადაჰკრავს იერი ჩვენებითი ნაცვალსახელისა, საიდანაც წარმოშობილია ის. მაგალითები:

ა) ადამიანთა სახელები:

აქ შეიძლება ადამიანის სახელი შეგვხვდეს როგორც განსაზღვრული ნაწევრით (უფრო ხშირად), ისე განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელითაც (უფრო იშვიათად).

ა) განუსაზღვრელად:

იყო ვინმე ბარაბა მეჰომეთა თანა კრული, რომელთა შფოთსა შინა კაცი ეკლა, მრ. 15, 7. აქ ბარაბა განუსაზღვრელად არის მოცემული და მხოლოდ ამის შემდეგ ეტყობილობთ, რომ ეს ბარაბა და მისი ამხანაგები ავაზაკები და კაცისმკვლელები ყოფილან. ერთი მაგალითი კიდევ: ხოლო ტურბონ ვინმე აღწერა წამებაჲ ესე (წამებაჲ სპევსიპესი..., Записки... ტ. 17, გვ. 90, 1).

ბ) განსაზღვრულად:

განუტევა მათდა ბარაბა იგი, რომელი აღძრვისათს და კაცის-კლვისათს შეეყენა საპრობილესა, ლ. 23, 25 C; და იყო ბარაბა ესე ავაზაკი, ი. 18, 40; და ბარაბა იგი იყო ავაზაკ, იქვე C; ხოლო ტურბონ ამან აღწერა ნეტართა მათ ყრმათა ძლევაჲ—სპევსიპესი, ელასიპესი, მელასიპესი, ლეონილაესი, იგნილაესი (Записки... ტ. 17, გვ. 92, 2); იტყოდა თავსა თვისსა, ვითარმედ ქრისტე იგი არს მეუფე, ლ. 23, 2 C; ერთი დამოკიდებულთა მათგანი ძვრის-მოქმედთაჲ ჰგმობდა მას და ეტყოდა: არა შენ ხარ ქრისტე იგი, ლ. 22, 39 C; ნუუკუე იგი არს ქრისტე იგი, ი. 4, 29 C; ნუთუ ჰეშმარიტად უცნობიეს მთავართა მათ, ვითარმედ ესე არს ქრისტე იგი? არამედ ესე ვიცით, ვინაჲ არს. ხოლო ქრისტე იგი რაჟამს მოვიდეს, არავინ უწყის, ვინაჲ იყოს, ი. 7, 26 C, 27 C; ქრისტე იგი რაჟამს მოვიდეს, ნუთუ უმეტესსა სასწაულსა რას ჰყოფდეს, რომელ ესე იქმს, ი. 7, 31 C; სხუანი იტყოდეს: ესე არს ქრისტე იგი, ი. 7, 41 C; უკუეთუ შენ ხარ ქრისტე იგი, მარქუ ჩუენ განცხადებულად, ი. 10, 24 C.



საინტერესოა აღინიშნოს, რომ ყველა ეს მაგალითი ბერძნულშიცა და სომხურშიც (აქ ერთის გამოკლებით: ი. 7, 31: *ქ<sup>ა</sup>*) განსაზღვრული ნაწევრითაა წარმოდგენილი: *ბ ჯრჷძ<sup>ა</sup>ბ, ქ<sup>ა</sup>ს<sup>ა</sup>*.

ოთხი მაგალითი კიდევ:

თუთ იგი დავით იტყუხ სულითა წმიდითა, მრ. 12, 36; ლ. 20, 42; თუთ იგი დავით უფლით ჰხადის მას, ვითარ ძმ მისი არს, მრ. 12, 37; ლ. 20, 44; სულთ-ითქუნა ნეტარმან მან ლონგინოზ, კიმ. I, 192, 5; ხოლო სავლე ვგე, რომელ აწ მდევარ არს, არიმ. 40, 31, 3.

ბ) გეოგრაფიული სახელები:

მოჰვლიდა იესუ ყოველსა მას გალილეასა, მ. 4, 23 D; განითქუა ჰამბავი მისი ყოველსა მას ასურეთსა, მ. 4, 24 D; და წარვიდა კაცი იგი და იწყო ქადაგებად ათქალაქთა მათ, რაოდენი რაჲ ყო იესუ მისთჳს, მრ. 5, 20.

ასე რომ, ნაწევარი საკუთარ სახელებთან გარკვეულ შემთხვევებში დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს თვით უძველეს ძეგლებშიც კი.

## 7. ნანუკრის აღკვილი

როგორც თავში იყო აღნიშნული (გვ. 2), ზოგ ენას ნაწევარი არსებითი სახელის წინ აქვს, პრეპოზიციულია, ზოგსაც—მის შემდეგ, პოსტპოზიციურია. პირველი ტიპისაა, მაგალითად, ბერძნული: *ბ βασιλε<sup>α</sup>ς „მეფე“, η οικια „სახელი“*, გერმანული: *der König, das Haus*. მეორე ტიპის ენად ითვლება დანიური: *Kong-en, Hus-et<sup>1</sup>*. ქართული ენაც ამ უკანასკნელი ტიპისაა: ნაწევარი მას ჩვეულებრივ არსებითი სახელის შემდეგ აქვს: *მეფ<sup>ე</sup> იგი, სახლი ესე; იშვიათად შეიძლება წინაც ჰქონდეს: რამეთუ ესე ძმ ჩემი მომკუდარ იყო და ცხომადა, წარწყმედულ იყო და იპოვა, ლ. 15, 24 C (შდრ. DE: ძმ ესე ჩემი...); ნეტარ იყვნენ იგი მონანი, რომელთაჲ მოვიდეს უფალი მათი, ლ. 12, 37; ვისი არს ესე ხატი და გარემოჲს წერილი, მ. 22, 20 C (შდრ. DE: ვისი არს ხატი ესე ანუ ზედაწერილი)<sup>2</sup>*.

მაგრამ არის განსაზღვრული შემთხვევები, როცა ნაწევარი აუცილებლად არსებითი სახელის შემდეგაა, ანდა აუცილებლად მის წინაა. ამ შემთხვევებს განაპირობებს განსაზღვრება, რომელიც ნაწევრიან სახელს ერთვის. სახელდობრ: როცა ნაწევრიან სახელს ერთვის რაიმე სახის განსაზღვრება და ეს განსაზღვრება არსებითი სახელის წინაა, ნაწევარიც უეჭველად წინაა, სხვა ყველა შემთხვევაში ნაწევარი არსებითი სახელის შემდეგ მოდის (ამ უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ორი შესაძლებლობა: ა) ნაწევრიან არსებითს

<sup>1</sup> ნ. ლიტერატურა ზემოთ (გვ. 250), აგრეთვე: *Der grosse Brockhaus, erster Band, Artikel, S. 718*.

<sup>2</sup> ამნაირი ფორმები კანტი-კუნტად სხვა ძეგლებშიც გვხვდება, მაგრამ განსაკუთრებით დამახასიათებელია იგი საბა ასურის ცხორებისათვის (ს. ჯანაშიას გამოცემა: არილი, 1925, 1—24). უფრო მეტად ასეთ ფორმებს ეხვდებათ დროის აღმნიშვნელ სახელებთან, განსაკუთრებით დღესთან, მაგალითად: *მათ დღეთა შინა, მ. 3, 1; 24, 19; მრ. 1, 9; 2, 1; 2, 20; 8, 1; 13, 17, 24; ლ. 1, 8 C; 2, 1; 4, 2; 5, 35; 9, 51; 21, 23* და სხ. ასეთ შემთხვევაში ძნელია იმის თქმა, ეს იგი, მათ და სხ. ნაწევარია თუ ჩვეულებრივი ჩვენებითი ნაცვალსახელი.



სახელს ახლავს **ბოლოს** დართული განსაზღვრება, ანდა ბ) ნაწევრიან არსებითს სახელს სულ არ ახლავს რაიმე განსაზღვრება). ზემოთ თქმულის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს შემდეგი:

შენმან მან ვეცხლმან ათი სხუაჲ შეჰსძინა სასწორი, ლ. 19, 16

მაგრამ: ვეცხლმან მან შენმან ხუთი-ლა სხუაჲ სასწორი ყო, ლ. 19, 18.

პირველ შემთხვევაში ნაწევარი უსწრებს არსებითს, რადგანაც მას უსწრებს აგრეთვე განსაზღვრებაც („შენმან“), მეორე შემთხვევაში მოსდევს არსებითს, რადგან იგივე განსაზღვრება („შენმან“) მოსდევს არსებითს და არ უსწრებს მას. ეს წესი ისე მყარია, რომ მისი დარღვევის შემთხვევები ათასში ერთჯერ არ შეგვხვდება. სხვა მაგალითები: განვიდა მოწაფე იგი სხუაჲ, ი. 18, 16 DE, მაგრამ: გამოვიდა სხუაჲ იგი მოწაფე C; ჰრქუა მეკარესა მას დედაკაცსა, ი. 18, 16 DE, მაგრამ: ჰრქუა ქალსა მას მეკარესა C; ჰრქუა მწევალმან მან მეკარემან პეტრეს, ი. 18, 17 DE, მაგრამ: ჰრქუა მეკარემან მან მწევალმან პეტრეს C.

აქ მოყვანილ მაგალითებში ჩვენ გვაქვს ერთი და იგივე წინადადებები, ნაწევარი კი ხან წინაა, ხან შემდეგ, ეს იმისდა მიხედვით, განსაზღვრება არსებითს სახელს წინ ერთვის, თუ მოსდევს მას ბოლოს. შეუძლებელია განსაზღვრება სახელს ბოლოს დაერთოს და ნაწევარი კი წინ იყოს, ვთქვათ, ასე: ნას კაცაა გონიერსა(?), ანდა განსაზღვრება წინ დაერთოს, ხოლო ნაწევარი ბოლოს იყოს, ვთქვათ, ასე: ყოველმან კოლტმან მან. ამნაირი შემთხვევები შეუძლებელია: აქ გვექნება მხოლოდ და მხოლოდ: კაცსა მას გონიერსა, მ. 7, 24 C და: ყოველმან მან კოლტმან, მ. 8, 32 C. ამიტომ გასასწორებელია ოთხთავის გამოცემაში ასეთი ფრაზა: ყოველსა ერსა მას, ლ. 23, 4. ასეთი წყობა შეუძლებელია, რადგან აქ განსაზღვრება („ყოველსა“) არსებითი სახელის წინაა, ხოლო ნაწევარი („მას“) — მის შემდეგ. ამნაირი დალაგება არცაა ხელნაწერებში. აქ გვაქვს:

ჰრქუა პილატე მლდელთ-მოძღუართა და ერსა მას D

ჰრქუა პილატე მლდელთ-მოძღუართა და ყოველსა ერსა E.

როგორც ვხედავთ, აქ ერთ ხელნაწერში არსებითს სახელთან ერთად გვაქვს ნაწევარი, მაგრამ გვაკლია განსაზღვრება (D), მეორეში განსაზღვრება მოგვეპოვება, მაგრამ არა გვაქვს ნაწევარი (E). იმის სურვილით, რომ გამოცემაში გვექონდეს განსაზღვრებაცა და ნაწევარიც, მიღებულია ზემოთ მოყვანილი შეუძლებელი გამოთქმა, რაც უკვე გასწორებულია<sup>1</sup>. თუ განსაზღვრებასა და ნაწევარს ერთად შევინარჩუნებდით, უნდა მიგველო: ჰრქუა პილატე მლდელთ-მოძღუართა და ყოველსა მას ერსა.

ამნაირად, თუ ნაწევრიან არსებითს სახელს განსაზღვრება ახლავს, ნაწევრის ადგილი ასეთი იქნება:

A. არსებითი სახელი + ნაწევარი + განსაზღვრება

B. განსაზღვრება + ნაწევარი + არსებითი სახელი.

<sup>1</sup> ცხორება იოვანესი და ეფთჳესი, 1946, გვ. 170.



როგორც ვხედავთ, განსაზღვრებიან სახელთან ნაწევარს მუდამ შუა ადგილი უჭირავს, ის დამკვიდრებულია არსებითსა და განსაზღვრებას შორის. სხვა ადგილი მას არ შეიძლება ჰქონდეს. აქ ჩვენ მოვიყვანთ ორივე ამ დებულებების საილუსტრაციო მაგალითებს. მაგრამ რადგანაც მრავალია ისეთი შემთხვევები, როცა ნაწევარი არსებითი სახელის შემდეგაა, აქ შედარებით სრულად წარმოვადგენთ ისეთ ნიმუშებს, რომლებშიც ნაწევარი თავში იქნება მოცემული.

#### A. ნაწევარი მოსდევს არსებითს სახელს:

ვითარცა იხილა ქარი იგი ძლიერი, მ. 14, 3; მოვიდეს ქუეყანასა მას გენესარეთისასა, მ. 14, 34; იცნეს იგი კაცთა მათ მის ადგილისათა, მ. 14, 35; რაჲსათჳს მოწაფენი შენნი გარდაჰვლენ მოძღურებასა მას ხუცესთასა, მ. 15, 2; არა ვიდრემე მოვლინებულ ვარ, გარნა ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახლისა ისრაჴლისათა, მ. 15, 24; მოვიდა ზღვს კიდესა მას გალილეასასა, მ. 15, 29; მოაგორვა ლოდი დიდი კარსა მას მის საფლავისასა, მ. 27, 60 C; აშენებთ თქუნ საფლავებსა მას წინაწარმეტყუელთასა, მ. 23, 29 C.

#### B. ნაწევარი უძღვის არსებითს სახელს:

მოუწოდა ყოველსა მას ერსა, მრ. 7, 14; ყოველმან მან ერმან იხილეს, მრ. 9, 14; მიმორბიოდეს ყოველსა მას სოფლებსა, მრ. 6, 55; მაშინ აღდგეს ყოველნი იგი ქალწულნი, მ. 25, 7; არცა გავსოს ხუთი იგი ჯუფხაჲ ხუთ ათასთაჲ, მ. 16, 9 C; რაჲჲმს არაწმიდაჲ იგი სული განვიდის კაცისაგან, მ. 12, 43; ყოველი იგი ერი ზღვს კიდესა მას დგა, მ. 13, 2; ანუ არა ესე არს ხუროჲსაჲ იგი ძმ, მ. 13, 55 C; წარვიდეს ყოველსა მას სანახებსა, მ. 14, 35; მოილო შვიდი იგი პური, მ. 15, 36; კრებულ იყვნეს ყოველნი იგი ფარისეველნი, მ. 22, 41 C; ვინ-მე არს სარწმუნოჲ იგი მონაჲ და ბრძენი, მ. 24, 25; უკუეთუ თქუას ბოროტმან მან მონაჲნ, მ. 24, 48; განჰჳდა ჰამბავი მისი ყოველსა მას ქუეყანასა, მ. 9, 26; იგინი განვიდეს და მიმოქადაგებდეს ყოველსა მას ქუეყანასა, მ. 9, 31; მტერისა იგი საყოფელი, წარტყ. იერ. 32, 8; ხოლო წმიდამან მან ცნა ზაკუეთი იგი ზრახვაჲ მისი, შუშ. 4, 6; დაუკრდა დიდძალი იგი სიმსიენჲ მისი, შუშ. 7, 4; ვითარცა მოიწინეს დიდნი იგი მარხვანი, შუშ. 8, 1; ვითარცა იხილა დიდძალი იგი სისხლი, რომელი დამოსდიოდა ჩჩლთა მათ ჯორცთა მისთა, შუშ. 8, 26-27; განაშუენა ყოველი იგი ციხე სულიერითა მითქნარითა, შუშ. 10, 28; ას ერგასისნი იგი ფსალმუნნი დაისწავლნა, შუშ. 12, 3; სათნოსა მას გალობასა შესწირვიდა ცრემლით, შუშ. 12, 4-5; მოეძლუნა წმიდასა მას ეპისკოპოსსა საზრდელი, შუშ. 12, 13; ცეცხლებრ შემწუველი იგი მჭურვალეზაჲ მზისაჲ, შუშ. 14, 22; მძიმეთა მათ საკრველთა შინა აღიდებდა ღმერთსა, შუშ. 14, 28; სხუათა მათ ქაბუკთა შეიპყრეს იგი, მრ. 14, 51; ათორბეტთა მათ მოციქულთა სახელები ესე არს, მ. 10, 2.

ზემოთ გადმოცემული წესის დარღვევა მთელს ოთხთავში გვხვდება მხოლოდ 4-ჯერ, ისიც მხოლოდ და მხოლოდ C-ში. აი ეს მაგალითებიც:

1. ხოლო იგინი გამოვიდეს და მიმოდადგეს იგი ყოველსა ქუეყანასა



მას, 9, 31 C (მოსალოდნელი იყო: ყოველსა მას ქუეყანასა); 2. შეიძრა ყოველი ქალაქი იგი, მ. 21, 10 C (მ. ი.: ყოველი იგი ქალაქი); 3. შეკრიბეს მის ზედა ყოველი ნათესავი იგი, მ. 27, 27 C (მ. ი.: ყოველი იგი ნათესავი); 4. მირბიოდეს ყოველსა გარემოას დაბნებსა მას, მრ. 6, 55 C (მ. ი.: ყოველსა მას გარემოას დაბნებსა).

აღსანიშნავია, რომ ოთხსავე შემთხვევაში ერთი და იგივე მსაზღვრელია: **ყოველი**, მაგრამ აქ ეს გარემოება არაა მთავარი („ყოველი“ სხვა შემთხვევებშიც ხშირად არის გამოყენებული მსაზღვრელად). ჩვენი აზრით, აქ ეს დარღვევა საყოველთაოდ გავრცელებული წესისა ხელნაწერის გადამწერის (ან რედაქტორის) თავისებურებით უნდა აიხსნებოდეს: ცნობილია, რომ აღიშის ოთხთავის გადამწერი (თუ რედაქტორი ან მთარგმნელი) ხშირად იქცევა ასე და მაშინდელი სალიტერატურო ქართულისათვის უჩვეულო ხალხური ფორმები ქარბად შეაქვს სამწერლებო ენაში. ასეთი ფორმები ხალხის ჩვეულებრივი სალაპარაკო ენიდან უნდა იყოს აღებული და ამიტომაცაა იგი განსხვავებული სალიტერატურო ენის მკაცრი კანონებისაგან. ერთი ამნაირ გადახვევათაგანი სალიტერატურო ქართულის გაკაფული გზიდან უნდა იყოს სწორედ ზემოთ ნაჩვენებ უჩვეულო ადგილას ხმარება ნაწევრისა. დავსძენთ აქვე, რომ მსგავს შემთხვევებს ჩვენ არ წავსწყდომივართ ოთხთავის სხვა რედაქციებისა თუ ძველი ქართულის სხვა ძეგლების ენაში.

მარტივად დგას საკითხი იმ შემთხვევაში, როცა არსებითს სახელს ახლავს მხოლოდ ნაწევარი და მასთან არ არის არავითარი სხვა განსაზღვრება. ამ შემთხვევაში ნაწევარი არსებითი სახელის შემდეგაა წარმოდგენილი, მაგალითად:

შემდგომად ორისა დღისა მოვიდა მგელი იგი ტაძრად, შუშ. 6, 1; და განყარა ჯელი და ქიქაჲ იგი პირსა შეალეწა და ღზნოჲ იგი დაითხია, შუშ. 6, 13; მოვიდა სპარსი იგი, შუშ. 6, 25; მაშინ იწყურ ყუედრებად მოგვსა მის, წარტყ. იერ. 41, 5; ხოლო ამან საქმით აღასრულა შეწირვაჲ იგი, წარტყ. იერ. 41, 25; რამეთუ ყრმაჲ იგი სწავლასა მას მამისასა ერჩის, წარტყ. იერ. 40, 28; ხოლო წყაროჲ იგი დაადგრა ეგრძთვე გამომდინარს ვიდრე აქამომდე უდაბნოსა მას, ცხორ. საბა ასურ., 10, 28; იყო უდაბნოჲ იგი ვრცელ და ფრიად საშინელ, ცხორ. საბა ასურ., 6, 41; მოვიდეს ნონანი იგი და უთხრეს სახლისა უფალსა მას, მ. 13, 27 და ბევრი სხვა<sup>1</sup>.

\*  
\* \*

როდესაც ორმაგი ბრუნების მსაზღვრელს ახლავს ნაწევარი, იგი ჩვეულებრივ წინ უსწრებს არსებითს სახელს: მოაგორვა ლოდი და დასდვა იგი კარსა ზედა მის საფლავისასა, მრ. 15, 46. „საფლავისასა“ ორმაგი ბრუნვა:

<sup>1</sup> როგორც იშვიათი შემთხვევა, უნდა აღინიშნოს ნაწევრის წარმოდგენა კომპოზიტის შუაში: დღეს ყოველი წინა იგი აღმდგომი ვიხილე, სვან, 41, b. ცხადია, ამის დამწერს „წინააღმდგომი“ ორ სიტყვად ესმის და საერთო წესის მიხედვით ნაწევარს წინდასმული მსაზღვრელის შემდეგ და საზღვრულის წინ სვამს. წინააღმდგომი იმდენად დასრულებული კომპოზიტია ძველ ქართულში, რომ მოსალოდნელი იყო (და ასეც არის სხვაგან) ნაწევარი ამ კომპოზიტის წინ ყოფილიყო მოცემული: დღეს ყოველი იგი წინააღმდგომი ვიხილე.



ნათესაობით-მიცემითი. ნაწევარი პირველ მათგანს—ნათესაობითს—ეთანხმება ყოველთვის: მ-ის საფლავ-ისა-სა. აღსანიშნავია, რომ საზღვრულის ბრუნვისა და რიცხვის გამოცვლისას ეს ნაწევარი უცვლელადაა წარმოდგენილი. მაგალითად: კარი მის საფლავისაჲ, კარმან მის საფლავისამან, კარსა მის საფლავისასა, კარისა მის საფლავისაჲსა, კარითა მის საფლავისაჲთა. ასევე უცვლელად რჩება იგი მაშინაც, როცა საზღვრული გადადგება მრავლობითში: კარნი მის საფლავისანი, კართა მის საფლავისათა და სხ. დავიმოწმით სთანადო მაგალითები ძველი ქართულის ძეგლებიდან:

ესრტთ იყოს აღსასრული ამის სოფლისაჲ, მ. 13, 49; სახტ ამის სოფლისაჲ ესე არს, სიბრძ. ბალაჰე. 55 [მაგრამ: მომეც სახტ სოფლისაჲ ამის და მოყუარეთა მისთაჲ, იქვე]; სიყუარული ამის სოფლისაჲ, სიბრძ. ბალაჰე. 57; წარტყ. იერ. 10; უფალი იგი მის საყურძენისაჲ, მ. 21, 40 C; მამაჲ მის ყრმისაჲ, მრ. 5, 40.

მამამან მის ყრმისამან, მრ. 9, 24; დამან ნეტარისა მის მოწამისამან, წარტყ. იერ. 40, 15; უფალმან მის ვენაჯისამან, მრ. 12, 9.

ესმა, ვითარმედ არს იგი სახლსა შინა მის ფარისეველისასა, ლ. 7, 37; შეუდგა ერთსა მოქალაქესა მის სოფლისასა, ლ. 15, 15; დაყოვნებასა მას მის სიძისასა, მ. 25, 5; გოდოლსა ზედა მის ტაძრისასა, მ. 4, 5 C; წინაშე პირსა მის საჭურისისასა<sup>1</sup>, წარტყ. იერ. 65, 16; საზომსა მის ჭირისასა, წარტყ. იერ. 16, 19; კიდესა მის ბირქისასა, წარტყ. იერ. 20, 19; სიმძაფრესა ამის აღისასა, წარტყ. იერ. 33, 1; სიტყუესა შაგის ბილწისასა, წარტყ. იერ. 39, 29; აღსასრულსა ამის სოფლისასა, მ. 13, 49 C;

სისხლისაგან ამის მართლისაჲსა, მ. 27, 24 C; ტაბლისაგან მის მდიდრისა, ლ. 16, 21; [შესაძლებელი იყო ასეც: ტაბლისაგან მის მდიდრისაჲსა. ეს უფრო ძველიცაა]; ნაყოფისაგან ამის ვენაჯისა, ლ. 22, 18.

ზრუნვითა ამის სოფლისაჲთა, ლ. 21, 34; სახლი იგი ყოველი აღივსო სულნელებითა მის ნელსაცხებლისაჲთა, ი. 12, 3<sup>2</sup>.

მოქმედნი იგი მის ქუეყანისანი, მრ. 12, 9 C; რომლისა მკვდრნიცა მის ადგილისანი, შუშ. 14, 23; საქმენი ამის სოფლისანი, სიბრძ. ბალაჰე. 51; ნაშობნი ამის სოფლისანი იქორწინებთან და განჰქორწინებენ, ლ. 20, 34; ჟამთა ამის წმიდისათა, ხანძთ. (ლიტ. ქრესტ. I, 137, 18); მკვდრთა მის ქუეყანისათა, ცხორ. საბა ასურ. 6, 5.

თუ მსაზღვრელის ხელმეორედ საბრუნებელი ფუძე მრავლობითის ნათესაობითისაგან არის აღებული, მისი ნაწევარი იქნება: **ამათ, შაგათ, მათ**: მოვიდა უფალი მათ მონათაჲ, მ. 25, 19; ახლად შენებისათჳს მათ ქუეყანათაჲსა, ხანძთ. (ლიტ. ქრესტ. I, 106, 8).

ჩვენ აღვნიშნეთ ზემოთ, რომ როცა ბოლოს დასმული ორმაგი ბრუნების სახელს ნაწევარი ახლავს, ეს ნაწევარი **ჩვეულებრივ** წინ არის. მაგრამ იშვიათად შეიძლება იგი მსაზღვრელი სახელის შემდეგაც შეკვებდეს. უფრო მეტად

<sup>1</sup> გამოცემაში: საჭურისასა.

<sup>2</sup> შდრ. და სახლი იგი აღივსო სურნელებითა მით ნელსაცხებლისაჲთა, იქვე C, სადაც ნაწევარი მით მიემართება საზღვრულ სიტყვას „სურნელებითა“ (სურნელებითა მით) მაშინ, როდესაც მის მსაზღვრელ „ნელსაცხებლისაჲთა“-სთანა დაკავშირებული: მის ნელსაცხებლისა-ათა



ეს ხდება მაშინ, როცა საზღვრული სახელი სახელობითში დგას, უფრო ნაკლებად მაშინ, როცა იგი სხვა ბრუნებშია. აქ ამასთან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სხვადასხვა მწერალი თუ ვადამწერი ამ წესს სხვადასხვანაირად ეპყრობა: ზოგს ერთი სახეობა მოეპოვება უფრო ხშირად, ზოგს—მეორე. საბა ასურის ცხორებაში, მაგალითად, უფრო ხშირად ვხვდებით ისეთ მაგალითებს, როცა ნაწევარი მოსდევს, ორმაგი ბრუნების სახელს; ამნაირ წესს ზოგი სხვა ძეგლიც მიჰყვება, მაგალითად; წარტყუნვაჲ იერუსალმისაჲ. სახარების ენაში საქმის ვითარება პირიქითაა წარმოდგენილი, რომლის მაგალითებიც ზემოთ განვიხილეთ. ახლა ვნახოთ ამ მეორეგვარი სახეობის რამდენიმე ნიმუშიც:

ნებაჲ მოგვსაჲ მის, წარტყ. იერ. 40, 21; დატკებნაჲ ჯუარისაჲ მის, იქვე, 50, 12; მოკლვაჲ მოგვსაჲ მის, იქვე, 53, 20; დასასრული საქმისაჲ მის, იქვე, 9, 18; წინამძღუარი ხარ ერისაჲ ამის, იქვე, 10, 7; ჰირი იგი დღისაჲ მის, იქვე, 17, 23; ბრძანებაჲ მთაერისაჲ მის, იქვე, 19, 1; ნეშტი იგი ერისაჲ მის, იქვე, 19, 8; სიმრავლე იგი ერისაჲ მის, იქვე, 19, 13; მომეც სახს სოფლისაჲ ამის, სიბრძ. ბალაჰვ. 55 [მაგრამ: სახს ამის სოფლისაჲ, იქვე]; გემოჲ ლელჳსაჲ ამის, ცხორ. საბ. ასურ. 12, 6; მსწრაფლ წარმევალ არს დიდებაჲ სოფლისაჲ ამის, იქვე, 4, 9; არა ვიხილო გემოჲ ლელჳსაჲ ამის, იქვე, 12, 6; რაჟამს მოვიდეს უფალი იგი ვენაჯისაჲ მის, მ. 21, 40; აღსძარცუეს სართული სახლისაჲ მის, მრ. 2, 4.

მიუხედავად ზოგიერთ ძეგლში მსგავსი ფორმების ერთგვარი სიხშირისა, მაინც უნდა დავასკვნათ, რომ ძველი ქართულისათვის უფრო ჩვეულებრივი და დამახასიათებელი ისეთი სახეა, როცა ორმაგი ბრუნების სახელს ნაწევარი წინ მიუძღვის (სიყუარული ამის სოფლისაჲ).

## 8. გათიშული ნაწევარი

ნაწევარი ჩვეულებრივ არსებითს სახელს უშუალოდ მისდევს ან უსწრებს წინ. ეს გასაგებიცაა: არსებითი სახელი ნაწევრითურთ ერთ ცნებას გამოხატავს, ერთი მნიშვნელობის სიტყვაა. მაგრამ არის შემთხვევები, როცა არსებითი სახელი და ნაწევარი გათიშულია: მათ შორის სიტყვაა (ან სიტყვებია) ჩართული. უმეტეს შემთხვევაში ეს მაშინ ხდება, როცა ნაწევრიან სახელს ახლავს მასთან მჭიდროდ დაკავშირებული განსაზღვრება, რომლის დაცილებაც მისგან ძნელი და არაბუნებრივია. მაგალითად: შეკრიბეს და აღავსეს ნამუსრევითა მით ათორმეტი კუელი ხუთთა მათ ქრთილისა პურთავან, ი. 6, 13 C. აქ „მათ პურთავან“ გათიშულია მათ შორის „ქრთილისა“-ს ჩართვით: „ქრთილისა პური“ თითქო ერთ განუყოფელ ცნებას შეიცავს და ამიტომაცაა, რომ ნაწევარი ამ „ქრთილისა“-ს წინაა გადმონაცვლებული. ასეთივე მაგალითია კიდევ: მოჰგურიდეს მას ყოველთა მათ ბოროტად სნეულთა, მ. 4, 25: „ბოროტად სნეული“ (მძიმე ავადმყოფი) ისე განუყოფელი ერთცნებიანი სიტყვა თუ გამოთქმაა, რომ მათი დაცილება ვერც ნაწევარმა შეძლო, არსებითთან პირველი ადგილი განსაზღვრებას დაუთმო და თვითონ ამ განსაზღვრების წინა ადგილის დაკავებით დაკმაყოფილდა. აი კიდევ სხვა მაგალითები:



ჰკითხა ერთმან მან მათგანმან **შჯულის-მღებელმან**, მ. 22, 35 C; დადგა იგი ახალსა მას მისსა **საფლავსა**, მ. 27, 60; იყო... განწესებულსა მას დღეთა **მხახურებასა** მისსა წინაშე ღმრთისა, ლ. 1, 8 C; ეტყოდა განმავალსა მას მისა **ერსა** ნათლის-ღებად მისგან, ლ. 3, 7; და განვდა ჰამბავი ესე წისი ყოველსა მას გარემოჲს სოფლებსა ვალილეფსასა, მრ. 1, 28 C; მერმე ვერლარას შემძლებელ იყო (შენ)... ეგოდენითა **მაგით** ფიცხლად **მარხვითა**, შუშ. 14, 6; რომელმანმცა შეაჯგრა უღმრთოსა მას საწუთროსა **მეუღლესა**, შუშ. 16, 26; ხოლო იგინი **ამას** ყოველსა **სიტყუასა** მისსა ზედა ტიროდეს მწარედ, შუშ. 16, 40; აჰა ესერა წინაგანმზადებულსა მას ჩემსა **გზასა** წარვალ საუკუნესა, შუშ. 17, 18<sup>1</sup>; არა მმარხველთა მათ და მოთმინეთა **მონაზონთა**, წარტყ. იერ. 25, 28; ყოველთა მათ კლარჯეთისა **უდაბნოთა**, ხანძთ. (ლიტ. ქრესტ. I, 106, 3); ყოველთა მათ მახლობელთა ქუეყანათა, იქვე, 106, 9; ყოველნი იგი პირველნი **ტკივილნი**, იქვე, 122, 19, ორთა მათ მისთა **შწნებულთა მონასტერთა** შინა ...იქცეოდა, იქვე, 125, 23; ყოველი იგი ყოფილი **საქმე**, იქვე, 138, 22; არამედ თედორე და ქრისტეფორე, სანატრელთა მათ დიდთა **მამათა**, რაჟამს იხილნეს ...ღირსნი იგი ღმრთისანი არსენი და ეფრემ, იქვე, 123, 13; და აწცა ჟამთა ჩუენთა არიან მსგავსნი პირველთა მათ ნეტართა **კაცთანი** მაშწნებელ მონასტერთა, იქვე, 116, 9.

ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი მასალა თითქმის ყველა ერთი სახისაა: სხვა, ჩვენი შემთხვევისათვის უმნიშვნელო, სიტყვებს თავი რომ დავანებოთ, მივიღებთ, რომ პირველ ადგილზე დგას რაიმე განსაზღვრება, ვთქვათ, „ახალსა“, მას მიჰყვება ნაწევარი (მას), შემდეგ მიდის საზღვრულ სახელთან მჭიდროდ დაკავშირებული განსაზღვრება, რომელიც თიშავს ნაწევარსა და არსებობის სახელს (მისსა), ბოლოს მოდის თვით არსებითი სახელი (საფლავსა). ამ თანრიგითაა დაწყობილი სიტყვები სხვა მაგალითებშიც.

ეს არის ასეთი შემთხვევისათვის ტიპური წყობა, მაგრამ არა ერთადერთი. უფრო იშვიათად გვხვდება აგრეთვე სიტყვების ისეთი დალაგებაც, სადაც ნაწევრისა და არსებითი სახელის გათიშველად ზმნა გამოდის, მაგალითად; სანატრელსა მას მიემთხვნეთ **ცხოვრებასა**, წარტყ. იერ. 64, 25. წინადადებაში სიტყვების ჩვეულებრივი დალაგებით აქ გვექნებოდა: სანატრელსა მას **ცხოვრებასა** მიემთხვნეთ, ან: მიემთხვნეთ სანატრელსა მას **ცხოვრებასა**, ან კიდევ; მიემთხვნეთ **ცხოვრებასა** მას სანატრელსა, ანდა, დასასრულ: **ცხოვრებასა** მას სანატრელსა მიემთხვნეთ. ყველა ამ შემთხვევაში არსებითი სახელი და მისი ნაწევარი ერთად იქნებოდა, გაუთიშველად.

გვხვდება ისეთი შემთხვევაც, როდესაც ერთ ნაწევრიან საზღვრულს ახლავს რამდენიმე წინ დასმული მსაზღვრელი. აქ ეს ნაწევარი მოსდევს პირველ მსაზღვრელს და უსწრებს დანარჩენებს, მაგალითად: და დავპკრძალენით წმიდანი იგი და დიდებულნი და პატივცემულნი **ნაწილნი** წმიდისა შუშანიკისნი განმზადებულსა მას ადგილსა, შუშ., 19, 10-12. აქ არსებითი სახელი და მისი ნაწევარი 4 სიტყვითაა ერთმანეთს დაცილებული.

<sup>1</sup> D ხელნაწერის მიხედვით (A 176)



ყველა ის მაგალითი, რაც ამ თავშია განხილული, მაინც არაა დამახასიათებელი და ჩვეულებრივი ძველი ქართულისათვის. ჩვეულებრივ და უპირატესად ძველ ქართულში არსებითი სახელი და მისი ნაწევარი ერთად, გაუთიშავადა მოცემული, ხან ერთია წინ, ხან მეორე, მაგრამ ერთად არიან კი არსებითი სახელისა და მისი ნაწევრის გათიშვა იშვიათად ხდება იმ შემთხვევებში, რომელნიც ზემოთ მიმოვიხილეთ.

### 9. ერთი ნაწევარი ორ ან მეტ არსებითს სახელთან

ჩვეულებრივ ერთ არსებითს სახელს ერთი ნაწევარი ახლავს. მაგრამ როდესაც ქვემდებარედ ან დამატებად ორი ან მეტი არსებითი სახელია მოცემული, ნაწევარი ახლავს პირველ მათგანს, ხოლო სხვები უნაწევროდაა წარმოდგენილი, მაგალითად: ჰკითხვიდეს მას ფარისეველნი იგი და მწიგნობარნი, მრ. 7, 5 C. ნაწევარი იგი ორივე აქ წარმოდგენილ სახელს ეკუთვნის: ფარისეველთაც და მწიგნობართაც. თუმცა DE-ში ამის შესატყვისი ქვემდებარეები მოთხრობითში დგას, ნაწევარი მაინც ერთ მათგანს ახლავს: ჰკითხეს მას ფარისეველთა მათ და მწიგნობართა. ბერძნულისათვის ასეთი ეკონომია არ არის დამახასიათებელი, იქ ორივე სახელი თავ-თავისი ნაწევრითაა გადმოცემული: *ἐπερωτησεν αὐτὸν ὁ φαρισαῖος καὶ ὁ ἱερογραμματεὺς*. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სომხური აქ, როგორც ქართული, მხოლოდ ერთ ნაწევარს (პირველ სიტყვასთან) სჯერდება, მაგალითად: *սպա հարցանեն զնա փարիսեյիքն և զպիղք*. აქ მოვიყვან მცირე საილუსტრაციო მასალას:

მწიგნობარნი იგი და ფარისეველნი ... ეტყოდეს, მრ. 2, 16 C; უმზირდეს მას მწიგნობარნი იგი და ფარისეველნი, ლ. 6, 7; იხილეს მწიგნობართა მათ და ფარისეველთა, მრ. 2, 16; იწყეს განზრახვად მწიგნობართა მათ და ფარისეველთა, ლ. 5, 21; მიაგლინნეს მღდელთ-მოდღუართა მათ და ფარისეველთა მსახურნი, ი. 7, 32; შეკრბეს მღდელთ-მოდღუართა მათ და ფარისეველთა კრებულნი, ი. 11, 47; ამცნეს მღდელთ-მოდღუართა მათ და ფარისეველთა, ი. 11, 57 C; ესმა რა მღდელთ-მოდღუართა მათ და ფარისეველთა, მ. 21, 45; მიუგო იესუ და ჰრქუა შჯულის-მოდღუართა მათ და ფარისეველთა, ლ. 14, 3; მიეცა მცნება მღდელთ-მოდღუართა მათ და ფარისეველთა, ი. 11, 57; შეკრბეს მღდელთ-მოდღუარნი იგი და მოხუცებულნი ერისანი, მ. 26, 3.

ზემოთ წარმოდგენილ მაგალითებში ორ სახელს ერთი ნაწევარი ახლდა. თუ ასეთ პირობებში სამი სახელია მოცემული, ნაწევარი მაინც ერთ მათგანს (პირველს) ექნება, სხვები უნაწევროდ იქნება მოცემული, მაგალითად: მოვიდეს მისი მღდელთ-მოდღუარნი იგი და მწიგნობარნი და ხუცესნი, მრ. 11, 27. აქ იგი სამსავე სახელს ეკუთვნის: მღდელთმოდღვრებსაც, მწიგნობრებსაც და ხუცესთაც. ბერძნული აქაც იძულებულია სამსავე სახელს დაუერთოს ნაწევარი, მაგალითად: *ἐρχονται πρὸς αὐτὸν ὁ ἀρχιερεὺς καὶ ὁ ἱερογραμματεὺς καὶ ὁ πρεσβύτερος*. აღსანიშნავია, რომ სომხური აქაც ქართულსავეთ ერთ ნაწევარს ხმარობს, პირველ სახელთან: *զան սու նա քահանայապետքն և զպիղք և ծերք*. ასეთი მაგალითია კიდევ: მღდელთ-მოდღუარნი იგი და მწიგნობარნი და მთავარნი ერისანი ეძიებდეს მას წარწყმედად, ლ. 19, 47.



რაკი ეს ასეა, როცა ლაპარაკია ნაწევრიან სახელზე, ასეთად მართო ის სახელები კი არ უნდა ჩავთვალოთ, რომელთაც უშუალოდ ახლავთ ნაწევარი, არამედ ისინიც, რომელნიც შერწყმულ წინადადებაში ნაწევრიან სახელს უშუალოდ მოსდევენ და წინადადების ისეთსავე წევრად ითვლებიან, როგორც ნაწევრიანი სახელი.

### 10. ნაწევარი ჩაპარღნილ სახელთაჲ

ნაწევარი მხოლოდ არსებითი სახელის კუთვნილებაა, ის მხოლოდ არსებითის სახელს ახლავს. მაგრამ არის შემთხვევები, როცა წინადადებაში არსებითი სახელი არა ჩანს, ნაწევარი კი მოიპოვება. ის ამ შემთხვევაში ახლავს ზედსართავს, რიცხვითს, ნაცვალსახელს. ხომ არ შეიძლება აქედან დასკვნა გამოვიტანოთ, რომ გარდა არსებითი სახელისა ნაწევარი ერთვის აგრეთვე სხვა სახელებსაც: ზედსართავებს, რიცხვითებს, ნაცვალსახელებს?<sup>1</sup> არა, არ შეიძლება. საქმე ისაა, რომ ყველა იმ შემთხვევაში, როცა წინადადებაში არსებითი სახელი არა ჩანს, მაგრამ ნაწევარი კი მოიპოვება, კონტექსტით არსებითი სახელი იგულისხმება. ის აქ ჩავარდნილია, გამოტოვებულია სტილისტიკური (უმთავრესად) თუ სხვა მოსაზრებით. ამიტომ შემთხვევით ნაწევარი ახლავს ჩავარდნილი არსებითი სახელის განსაზღვრებას, რომელიც ამ სტილისტიკური მოსაზრებით გამოტოვებული, მაგრამ ადვილად საგულისხმებელი არსებითი სახელის ადგილას გვხვდება. ამნაირად, ნაწევრიანი ზედსართავი, რიცხვითი თუ ნაცვალსახელი მოჩვენებითია. ნამდვილად იგი მხოლოდ არსებითს სახელს ახლავს, რომელიც გარკვეული მიზეზებით ყოველთვის არა ჩანს წინადადებაში. ამ დებულების მშვენიერ ილუსტრაციას წარმოადგენს შემდეგი მაგალითი: მალალნი იგი გულისხმის-ყოფანი მისისა დიდებისა ნაყოფად წოდებულ არიან, ეგრეთვე უმდაბლესნი იგი გულისხმის-ყოფანი—ფურცლად. და მალალნი იგი დიდთა მათ წმიდათა მიეცემიან, ხოლო უმდაბლესნი იგი მათ, რომელნი სათნოებითაცა უდარესნი იყვნენ, იოვ. გამოცხ. თარგ. 22, 2. პირველ შემთხვევაში ნაწევარი იგი ახლავს არსებითს სახელს (ან არსებითად ქცეულ საწყისს) „გულისხმის-ყოფანი“, რომელსაც თავის მხრივ განსაზღვრავს ზედსართავები მალალნი და უმდაბლესნი. აქ ყველაფერი რიგზეა: ნაწევარი ერთვის არსებითს, ეს ნაწევარი წინაა, რადგან არსებითზე დართული განსაზღვრებაც წინაა. მაგრამ აი ავტორს იქვე ქვემოთ დასჭირდა ამ ფრაზების განმეორება ახალ წინადადებაში, მან მომაბეზრებლად აღარ დაიწყო ამ „გულისხმის-ყოფანი“-ს განმეორება, გამოტოვა ის, რადგანაც ზემო წინადადებით ადვილად იგულისხმებოდა; და ჩვენი ნაწევარი იგი დარჩა ზედსართავების (მალალნი, უმდაბლესნი) ანაბარა. აქ არსებითის გამოტოვების სტილისტიკური საფუძველი აშკარაა. ასევე აშკარად იგულისხმება იგი მომდევნო წინადადებაში. ავიღოთ სხვა მაგალითი: მოიქცეს სამეოც და ათორმეტნი იგი სიხარულითა, ლ. 10, 17. ამ წინადადებაში გამოტოვებულია სახელი „მოციქულნი“, რაც

<sup>1</sup> ბევრი სწორედ ასე ფიქრობს, მაგრამ ეს შემთხვარი შეხედულებაა, უმთავრესად მოვლენის მოჩვენებითი, ზედაპირული აღქმით გამოწვეული.



კონტექსტით ადვილად იგულისხმება: მოიქცეს სამეოც და ათორმეტნი იგი [მოციქულნი]. ამ აღდგენილ წინადადებაში ყველაფერი თავის რიგზეა: ჩავარდნილი სახელი აღდგენილია, ნაწევარი თავის ადგილზეა განსაზღვრებასა და არსებითს შორის. ამნაირი მაგალითია კიდევ: ინაჩით-ჯდა იესუ ათორმეტთა მათ თანა, მ. 26, 20. წინადადებაში გამოტოვებულია „მოწაფეთა“, რაც ადვილად იგულისხმება. რომ აქ „მოწაფეთა“ ჩავარდნილია, მაგრამ ადვილად იგულისხმება, ამას ნათლად ამტკიცებს შემდეგი მაგალითი: ჰრქუა იესუ ათორმეტთა მათ, ი. 6, 67. აქაც, ცხადია, იგივე სახელია გამოტოვებული; ამას უჩვენებს C ხელნაწერი, სადაც ეს „მოწაფეთა“ უკვე აღარაა ჩავარდნილი: ჰრქუა იესუ ათორმეტთა მათ მოწაფეთა (იქვე, C).

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ჩავარდნილი არსებითის მაგივრობას სწვედნენ ამ არსებითის განსაზღვრებად გამოყენებული ზედსართავეები და რიცხვითები (მაღალნი, უმდაბლესნი, სამეოც და ათორმეტნი, ათორმეტნი). განვიხილოთ ახლა ისეთი შემთხვევები, როცა აღნიშნულ როლს ნაცვალსახელები ასრულებენ.

ქორწილის ცნობილ იგავში ნათქვამია: ერთმა მდიდარმა კაცმა თავის ვაჟიშვილს ქორწილი გადაუხადა, მოიწვია სტუმრები. მაგრამ მათ (ე. ი. სტუმრებმა) უღებ-ყვეს და წარვიდეს: რომელნიმე თუსა აგარაკად, რომელნიმე ვაჭრობად. და სხუათა მათ შეიბჳრნეს მონანი იგი და მოსრნეს“, მ. 22, 5-6 C. აქ „სხუათა მათ“ შემთხვევით არის შეუღლებული ერთმანეთთან: სხუათათვით ნაცვალსახელია და როგორ შეიძლება ნაცვალსახელმა მეორე ნაცვალსახელი (ამ შემთხვევაში ნაწევრად ქცეული) განსაზღვრებად გამოიყენოს? არა, აქ ჩავარდნილია არსებითი სახელი „ჩინებულთა“, რაც კონტექსტით სულ ადვილად იგულისხმება: ცოტა ზემოთ სწერია: ქორწილი რომ მოაწყო, „წარავლინნა მონანი თუსნი მოწოდებად ჩინებულთა მათ ქორწიდ, და არა ინებეს მოსლვად“-ო, მ. 22, 3. აი ეს „ჩინებულთა“-ა სწორედ გამოტოვებული ჩვენს წინადადებაში. სრულად იქნებოდა: „სხუათა მათ ჩინებულთა შეიბჳრნეს მონანი იგი და მოსრნეს“. ნაწევარი, ბუნებრივია, თავშია გადმოტანილი, რადგან განსაზღვრებაც („სხუათა“) თავშია მოქცეული.

დავასახელებ კიდევ მაგალითებს და ვუჩვენებ ჩავარდნილ სახელს: და მათ ყვეს ეგრე და დასხეს ყოველი იგი [კაცები], ლ. 9, 15; C-ში: დასხეს [კაცები] იგი ყოველი; და მისდევდეს მას ერნი მრავალნი, და განკურნნა იგი ყოველნი, მ. 12, 15 C. აქ, რასაკვირველია, ერნი იგულისხმება, მისი დაწერა შეუძლებელიც იყო სტილისტიკურად, რადგან ეს სახელი იქვეა ნახსენები. კიდევ: ჯერ-იყო დადებად შენდა ვეცხლი იგი ჩემი სავაჭროსა, და მო-მცა-ვედ და მოვიღე ჩემი იგი [ვეცხლი] აღნადგინებითურთ, მ. 25, 27 D. „ვეცხლი“ ამ წინადადებაში ნახსენებია ერთჯერ და მეორეჯერ აღარ იყო საჭირო მისი განმეორება. კიდევ: ოდეს თუსნი იგი [ცხოვარნი] განიყვანნეს, ი. 10, 4; მე ვარ მწყემსი კეთილი და ვიცი ჩენნი იგი [ცხოვარნი], და მიციან ჩემთა მათ [ცხოვართა], ი. 10, 14; გასმიეს, რამეთუ ითქუა პირველთა მათ [წინაწარმეტყუელთა] მიმართ, ვითარმედ არა კაც-ჰკლა, მ. 5, 21.



კონტექსტით ადვილად იგულისხმება: მოიქცეს სამეოც და ათორმეტნი იგი [მოციქულნი]. ამ აღდგენილ წინადადებაში ყველაფერი თავის რიგზეა: ჩავარდნილი სახელი აღდგენილია, ნაწევარი თავის ადგილზეა განსაზღვრებასა და არსებითს შორის. ამნაირი მაგალითია კიდევ: ინაჩით-ჯდა იესუ ათორმეტთა მათ თანა, მ. 26, 20. წინადადებაში გამოტოვებულია „მოწაფეთა“, რაც ადვილად იგულისხმება. რომ აქ „მოწაფეთა“ ჩავარდნილია, მაგრამ ადვილად იგულისხმება, ამას ნათლად ამტკიცებს შემდეგი მაგალითი: ჰრქუა იესუ ათორმეტთა მათ, ი. 6, 67. აქაც, ცხადია, იგივე სახელია გამოტოვებული; ამას უჩვენებს C ხელნაწერი, სადაც ეს „მოწაფეთა“ უკვე აღარაა ჩავარდნილი: ჰრქუა იესუ ათორმეტთა მათ მოწაფეთა (იქვე, C).

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ჩავარდნილი არსებითის მაგივრობას სწვედნენ ამ არსებითის განსაზღვრებად გამოყენებული ზედსართავები და რიცხვითები (მაღალნი, უმდაბლესნი, სამეოც და ათორმეტნი, ათორმეტნი). განვიხილოთ ახლა ისეთი შემთხვევები, როცა აღნიშნულ როლს ნაცვალსახელები ასრულებენ.

ქორწილის ცნობილ იგავში ნათქვამია: ერთმა მდიდარმა კაცმა თავის ვაჟიშვილს ქორწილი გადაუხადა, მოიწვია სტუმრები. მაგრამ მათ (ე. ი. სტუმრებმა) უღებ-ყვეს და წარვიდეს: რომელნიმე თუსა აგარაკად, რომელნიმე ვაჭრობად. და სხუათა მათ შეიბჳრნეს მონანი იგი და მოსრნეს“, მ. 22, 5-6 C. აქ „სხუათა მათ“ შემთხვევით არის შეუღლებული ერთმანეთთან: სხუათათვით ნაცვალსახელია და როგორ შეიძლება ნაცვალსახელმა მეორე ნაცვალსახელი (ამ შემთხვევაში ნაწევრად ქცეული) განსაზღვრებად გამოიყენოს? არა, აქ ჩავარდნილია არსებითი სახელი „ჩინებულთა“, რაც კონტექსტით სულ ადვილად იგულისხმება: ცოტა ზემოთ სწვრია: ქორწილი რომ მოაწყო, „წარავლინნა მონანი თუსნი მოწოდებად ჩინებულთა მათ ქორწიდ, და არა ინებეს მოსლვად“-ო, მ. 22, 3. აი ეს „ჩინებულთა“-ა სწორედ გამოტოვებული ჩვენს წინადადებაში. სრულად იქნებოდა: „სხუათა მათ ჩინებულთა შეიბჳრნეს მონანი იგი და მოსრნეს“. ნაწევარი, ბუნებრივია, თავშია გადმოტანილი, რადგან განსაზღვრებაც („სხუათა“) თავშია მოქცეული.

დავასახელებ კიდევ მაგალითებს და ვუჩვენებ ჩავარდნილ სახელს: და მათ ყვეს ეგრე და დასხეს ყოველი იგი [კაცები], ლ. 9, 15; C-ში: დასხეს [კაცები] იგი ყოველი; და მისდევდეს მას ერნი მრავალნი, და განკურნნა იგი ყოველნი, მ. 12, 15 C. აქ, რასაკვირველია, ერნი იგულისხმება, მისი დაწერა შეუძლებელიც იყო სტილისტიკურად, რადგან ეს სახელი იქვეა ნახსენები. კიდევ: ჯერ-იყო დადებად შენდა ვეცხლი იგი ჩემი სავაჭროსა, და მო-მცა-ვედ და მოვიღე ჩემი იგი [ვეცხლი] აღნადგინებითურთ, მ. 25, 27 D. „ვეცხლი“ ამ წინადადებაში ნახსენებია ერთჯერ და მეორეჯერ აღარ იყო საჭირო მისი განმეორება. კიდევ: ოდეს თუსნი იგი [ცხოვარნი] განიყვანნეს, ი. 10, 4; მე ვარ მწყემსი კეთილი და ვიცი ჩენნი იგი [ცხოვარნი], და მიციან ჩემთა მათ [ცხოვართა], ი. 10, 14; გასმიეს, რამეთუ ითქუა პირველთა მათ [წინაწარმეტყუელთა] მიმართ, ვითარმედ არა კაც-ჰკლა, მ. 5, 21.



არსებითად ასევე უნდა აიხსნას ნაწევრის დართვა შემდეგ შემთხვევაშიც: რად არს მცირედ-ლა იგი, ი. 16, 18 C. აქ შეიძლება კაცმა იგულისხმოს „უამი“, „სიტყუა“ ან მისი მსგავსი რამე სხვა სახელი.

აღარაფერს ვიტყვით ისეთი შემთხვევების შესახებ, როცა ნაწევარი ახლავს არსებითად ქვეულ საწყისს, მიმღობას, ზედსართავს. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს არსებითთან, მართალია სხვა მეტყველების ნაწილთაგან წარმოშობილ არსებითთან, მაგრამ მაინც არსებითთან<sup>1</sup>.

## II. ორი ნაწევარი ერთ სახელთან (ორმაგი ნაწევარი)

ორი ნაწევარი ერთ სახელთან მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს, როცა ჩვენ საქმე გვაქვს ორმაგი ბრუნების სახელთან (ე. წ. ნანათესაობითარ მსაზღვრელთან). ერთი ნაწევარი მსაზღვრელის ნათესაობითის პირველადს ფუძეს განსაზღვრავს. ეგორე კი—საზღვრულს, რომელიც არაა წარმოდგენილი, მაგრამ იგულისხმება (ნ. წინა თავი). ამიტომაცაა, რომ რჩება შთაბეჭდილება, თითქო ორი ნაწევარი ერთ სახელს ახლდეს. ნამდვილად კი ორი ნაწევარი ორი სახელის მიმართაა ნახმარი, რომელთაგან ერთი სახეზეა, მეორე იგულისხმება. მაგალითი: მო-რად უკუე-ვიდეს მეათერთმეტისა მის უამისანი იგი, მიიღეს თითოე სატირი, მ. 20, 9 C. აქ პირველი ნაწევარი მის „უამს“ განსაზღვრავს: (მოქმედნი) მის უამისანი, მეორე—ჩავარდნილ სახელს „მოქმედნი“, რომელიც აქ არაა წარმოდგენილი, მაგრამ ადვილად იგულისხმება ზემო კონტექსტით. მაშასადამე, აღდგენისას გვექნება: ... მეათერთმეტისა მის უამისანი იგი [მოქმედნი].

## 12. ნაწევარი თანდაბულიან სახელთან

როდესაც თანდებული ერთვის ნაწევრიან სახელს, ასეთი თანამიმდევრობა გვაქვს: ჯერ მიდის სახელი, მას მიჰყვება ნაწევარი, ამ უკანასკნელს ერთვის თანდებული: განაშორნენ უკეთურნი იგი მართალთა მათგან, მ. 13, 49; ეშინოდა ერისა მისგან, მ. 14, 5; არამედ ფიცისა მისთვის და თანა-მეინაჯეთა მათთვის ბრძანა მიცემად იგი მას, მრ. 14, 9; ეკრძაღენით ცრუ-წინაწარმეტყუელთა მათგან, მ. 7, 15 C; რომელნი გამოვიდოდეს საფლავებისა მისგან, მ. 8, 28; იგინი განვიდეს კაცთა მათგან, მ. 8, 32; მიუთხრეს ყოველი და ეშმაკეულთა მათთვის, მ. 8, 33; არცა ვტირ მე კედელთა მათთვის ოქრო-ქანდაკებულთა და ქვათა მათთვის გამოთლილთა და ბჭეთა მათთვის შუენიერთა და სტოვათა მათთვის მალალთა და სუეტთა მათთვის იასპინისათა, წარტყ. იერ. 3, 30-32; ყრმათა მათებრ, იქვე, 26, 12; მივედ იერუსალმდ და განსწმიდნე განბორებისა მაგისგან შენისა, შუშ. 11, 11; განიკურნა იგი სალმობისა მისგან, შუშ. 11, 13; განვბანეთ იგი მატლისა მისგან მიწოვანისა და თხრამლისაგან, შუშ. 19, 4-5; და აწ მატლთა მაგათთვის მხიარულ ხარ, შუშ. 15, 13; მას დღესა განვალს წმიდად იგი ჯორცთა ამათგან, შუშ. 16, 18-19.

<sup>1</sup> ამის კარგი მაგალითი ზემოთ იყო ნაჩვენები, როცა „გულისხმის-ყოფანი იგი“-ს შესახებ გვექონდა საუბარი (გვ. 20).



ასეთივეა კიდევ: ყრმისა მისთჳს, მ. 2, 8; მეფისა მისგან, მ. 2, 9; მოგუთა მათგან, მ. 2, 16; ჟამისა მისებრ, მ. 2, 16 და სხ.

ზემოთ ნაჩვენები წესი ძირითადი და გაბატონებული სახეობაა ძველი ქართულისათვის. იშვიათად გვხვდება სხვანაირი რივიც: ნაწევარი გადმოდის თავში, თანდებული კი ერთვის სახელს: აღდგა მის კრებულისაგან, ლ. 4, 38. მაგრამ ამნაირი შემთხვევები ერთობ ნაკლებად გვხვდება. მაშასადამე, გვაქვს ორნაირი სახეობა თანდებულთან სახელთან ნაწევრის შეწყობისა:

A. ძირითადი: სახელი + ნაწევარი + თანდებული

B. იშვიათი: ნაწევარი + სახელი + თანდებული

პირველის მაგალითია: რადთა წამოს **ნათლისა** მისთჳს, ი. 1, 7, 8; მეორისა: რადთა წამოს **მის ნათლისათჳს**, იქვე C.

ეს ხომ ასეა, მაგრამ შეუძლებელია როგორც „ნათლისათჳს მის“, ისე „მისთჳს ნათლისა“. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, სადაც მხოლოდ თანდებული და ნაწევრიანი სახელია მოცემული, ე. ი. არაა წარმოდგენილი კიდევ რაიმე განსაზღვრება.

განვიხილოთ ახლა სწორედ ამნაირი შემთხვევები. როდესაც ნაწევრიანსა და თანდებულთან სახელს ახლავს კიდევ რაიმე სახის წინ დასმული განსაზღვრება, იგი გადმოიტანს წინ აგრეთვე თანდებულდართულ ნაწევარს, ე. ი. ამნაირი წყობა გვექნება:

განსაზღვრება + ნაწევარი + თანდებული + არსებითი სახელი.

მაგალითი: და ჰგმობდეს მას მრავლისა მისთჳს სიტყუსა, ლ. 11, 53. ამნაირად, წინ დასმული განსაზღვრება აქაც ისე ეყრობა ნაწევარს, როგორც ზემოთ ვნახეთ: ბოლოდან იგი თავში გადმოაქვს; ნაწევარს შეიძლება გადმოჰყვეს აგრეთვე თანდებულიც. ასეთივეა ეს მაგალითიც: აღავსეს ათორმეტი გოდორი ნამუსრევითა ხუთთა მათგან პურთა ქრთილისათა, ი. 6, 13. აქაც ნაწევარი (და მასთან ერთად თანდებულიც) თავში განსაზღვრებამ (**ხუთთა**) გადმოიტანა. თუ ეს განსაზღვრება არა, გვექნებოდა: პურთა მათგან ქრთილისათა. კიდევ ერთი მაგალითი: ვინ გიჩუენა თქუენ სივლტოლად მომავალისა მისგან რისხვისა, მ. 3, 7.

თუ სახელის წინ თავმოყრილია ორი ან მეტი განსაზღვრება, ნაწევარი (თანდებულთანად) პირველ განსაზღვრებას მოსდევს, მაგალითად: ვინ გიჩუენა თქუენ სივლტოლად მერმისა მისგან მომავალისა რისხვისა, მ. 3, 7 C. აქ ჩვენ გათიშული ნაწევარი გვაქვს.

ახლა ვნახოთ ისეთი მაგალითები, როცა განსაზღვრებას გადმოჰყვება ნაწევარი, ხოლო თანდებული არსებითს სახელთან რჩება: აღავსეს ნამუსრევითა მით ათორმეტი კუელი ხუთთა მათ ქრთილისა პურთაგან, ი. 6, 13 C; განრისხნეს ორთა მათ ძმათათჳს, მ. 20, 24.

ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობის მიხედვით შეიძლება გადავქვათ ნაწევართან დაკავშირებული სადავო საკითხები. მაგალითად: არლარა ვსუა მე ამიერთგან ნაყოფისაგან ამის ვენაჯისა, მ. 26, 29. რას ეკუთვნის ამ წინადადებაში ნაწევარი **ამის**: „ნაყოფისაგან“-ს თუ „ვენაჯისა“-ს? ზემოთ თქმულის მიხედვით იგი **ვენაჯს** ეკუთვნის: ნაყოფისაგან **ამის ვენაჯისა**. ის რომ **ნაყოფს**



ჰკუთვნებოდა, გვექნებოდა: ნაყოფისა ამისგან ვენაჯისა, როგორც ეს წარმოდგენილია სხვა ადგილას D-ში (მრ. 14, 25), E-ში კი აქ ისევ პირველი წაკითხვაა დატოვებული. მაშასადამე, აქ E ს მიხედვით ვენაჯია განსაზღვრული, D-ს მიხედვით კი — ნაყოფი. ბერძნულში ორივე სახელი განსაზღვრული ნაწიგითაა წარმოდგენილი: ἐκ τῆς γεινῆμαστος τῆς ἀμπελῆσ, რომლის ზუსტ თარგმანსაც უნდა წარმოადგენდეს გიორგისეული რედაქცია, რომელიც ბეჭდურისახითაა გამოცემული. აქ ორივე სახელია განსაზღვრული: „არღარა ვსუა ნაყოფისა ამისგან ამის ვენაჯისა“, სადაც ნაყოფისა ამისგან ცალკე ერთეულია და ამის ვენაჯისა — ცალკე.

**13. ნაწიკრიანი სახელუბის ბრუნება**

**A. განუსაზღვრელი ნაწიკვარი**

წრფ.	კაც ერთ	მიც.	კაცსა ერთსა
სახ.	კაცი ერთი	ნათ.	კაცისა ერთისა
მოთხ.	კაცმან ერთმან	მოქ.	კაციტა ერთითა

მრავლობითი არა აქვს.

**B. განსაზღვრული ნაწიკვარი**

მხ. რ.

მრ. რ.

სახ.	სახლი ესე	სახლნი ესე	სახლები ესე
მოთხ.	სახლმან ამან	სახლთა ამით	სახლებმან ამან
მიც.	სახლსა ამას	„ „	სახლებსა ამას
ნათ.	სახლისა ამის	„ „	სახლებისა ამის
მოქმ.	სახლიტა ამით	„ „	სახლებიტა ამით

სახ.	ყრმაჲ ეგე	ყრმანი ეგე	ყრმები ეგე
მოთხ.	ყრმამან მაგან	ყრმატა მაგათ	ყრმებმან მაგან
მიც.	ყრმასა მაგას	„ „	ყრმებსა მაგას
ნათ.	ყრმისა მაგის	„ „	ყრმებისა მაგის
მოქმ.	ყრმიტა მაგით	„ „	ყრმებიტა მაგით

სახ.	რტოჲ იგი	რტონი იგი	რტოები იგი
მოთხ.	რტომან მან	რტოტა მათ	რტოებმან მან
მიც.	რტოსა მას	„ „	რტოებსა მას
ნათ.	რტოჲსა მის	„ „	რტოებისა მის
მოქმ.	რტოჲტა მით	„ „	რტოებიტა მით

სახ.	ღორი *ისი	ღორნი *ისი	ღორები *ისი
მოთხ.	ღორმან *იმან	ღორტა იმით	ღორებმან *იმან
მიც.	ღორსა იმას	„ „	ღორებსა იმას
ნათ.	ღორისა *იმის	„ „	ღორებისა *იმის
მოქმ.	ღორიტა *იმით	„ „	ღორებიტა იმით



ამ ნიმუშების შემდეგ უნდა შევნიშნოთ შემდეგი:

1) განსაზღვრული ნაწევარი ეთანხმება სახელს ბრუნვასა და რიცხვში: იგიც იმ ბრუნვასა და რიცხვში დგას, რომელშიც სახელია. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ მრავლობითის სახელობითი, სადაც სახელი მრავლობითის ნიშანს ღებულობს, ნაწევარი კი არა, ის მაინც მხოლოდითშია: სახლნი ესე, ეგე, იგი.

2) რაც შეეხება ეზიან მრავლობითს, მასთან ნაწევარი ისე იბრუნვის, როგორც მხოლოდითში დასმულ სახელთან, სახელს არ ეთანხმება მრ. რიცხვში: სახლები ესე, ეგე, იგი, სახლებმან ამან, მაგან, მან, სახლებსა ამას, მაგას, მას...

3) ისი არ გვხვდება ყველა ფორმით. აქ წარმოდგენილი პარადიგმა სავარაუდოა.

#### 14. ნანევრის გაღმონათი ახალ ქართულში

ნაწევარი ახალ ქართულს აღარ აქვს. იგი კარგა ხანია გადავარდა სალიტერატურო ენიდან. ყველა იმ შემთხვევისათვის, როცა ძველი ქართული განსაზღვრულ ნაწევარს მიმართავდა, დღეს მარტო სახელი გვაქვს წარმოდგენილი, ან, რაც უფრო ხშირია, გამოყენებულია ჩვენებითი ნაცვალსახელი, რომელიც არსებითს სახელს ახლავს. ამ შემთხვევაში ეს ნაცვალსახელი თავში ერთვის არსებითს სახელს და ბრუნვებში უცვლელადაა წარმოდგენილი, თუ ცვლილებად არ ჩავთვლით ამ ნაცვალსახელების საერთო დამახასიათებელ თვისებას—ორფუძიანობას, რომ ერთი ფუძე მხოლოდ სახელობითშია მოცემული და მეორე—ყველა სხვა ბრუნვაში უცვლელი სახით, მაგალითად:

სახ.	ეს კაცი	ეგ ქალი	ის ბავშვი
მოთხ.	ამ კაცმა	მაგ ქალმა	იმ ბავშვმა
მიც.	ამ კაცს	მაგ ქალს	იმ ბავშვს
ნათ.	ამ კაცის	მაგ ქალის	იმ ბავშვის
მოქმ.	ამ კაცით	მაგ ქალით	იმ ბავშვით
ვით.	ამ კაცად	მაგ ქალად	იმ ბავშვად

როგორც ვხედავთ, ამ ჩვენებითი ნაცვალსახელისა და არსებითის ერთად ბრუნება მისდევს ახალი ქართულის მსაზღვრელ-საზღვრულის ისეთი სახის ბრუნებას, სადაც მსაზღვრელი ხმოვანფუძიანია: პატარა მდინარე, პატარა მდინარემ, პატარა მდინარეს... ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ამ ნაცვალსახელთა ფუძეც ბოლოხმოვნიანი იყო: ამა, მაგა, იმა... გვხვდება კიდევ ეს ნაცვალსახელები ამ სახით ახალ ქართულში:

აწ იმა ხარხარს ველარ გაუძლო  
და როგორც გიყი გავარდა კარში.  
ი. კ.

შემდეგში ფუძისეული ა მოკვეცილა, ხოლო ნაცვალსახელის ბრუნება იმ სახით დარჩენილა, როგორც ხმოვანფუძიან მსაზღვრელებს შეეფერება.

მაშასადამე, ნაწევარი ახალ ქართულში არ არის, მაგრამ ნაშთის სახით შემორჩენილია ის მე-19 საუკუნის ზოგიერთი მწერლის ენაში. ყველაზე დამახასიათებელი ამ მხრივ ილია ჭავჭავაძეა. მისი ლექსებისა და პოემების ენაში



ძველი ქართულის ნაწერის გადმონაშთს არც თუ ისე იშვიათად შევხვდებით (მოთხრობების ენა კი თავისუფალია ამ მხრივ). აიხსნება ეს გარემოება ძველი ქართული ლიტერატურის გავლენით. ცნობილია, რომ ი. ჭავჭავაძე ძალიან კარგად იცნობდა ჩვენს ძველ ლიტერატურას, ისტორიას; კითხულობდა ძველი ქართულის ძეგლებს და განიცდიდა მათი ენის გავლენას.

ხანდახან ილიას მის ლექსებში მოჰყავს ხოლმე ადგილები ძველი ქართული ძეგლებიდან ძველი ქართულისვე დამახასიათებელი ფორმებით, ე. ი. ნაწვერითაც. მაგალითები:

1. თქმულა,—ნაყოფისაგანო

ხე იგი საცნაურია („კიდევ გამოცანები“, 5, მხატვრული ნაწერები, 1937, გვ. 105).

შდრ.: „ნაყოფისაგან ხე იგი საცნაურ არს“, მ. 12, 33.

2. და არ შემწყდარა მუნ ლოცვის ცრემლი,

ვითა ღელესა მას გლოვისასა („განდეგილი“, იქვე, 223).

შდრ.: (იგი) იქმნა ღელე გლოვის... ნავთსადგურ ცხორების“, ხანძთ. (ლიტ. ქრესტ., 118, 45).

3. თითქო ღმერთი სჯის ქვეყანას ცოდვისს

ღღეს მას საშინელს განკითხვისასა („განდეგილი“, 226).

შდრ.: ღღესა მას სასჯელისასა... მ. 10, 15; 11, 22 C; 11, 24; 12, 36 [სასჯელისასა = განკითხვისასა].

4. ნუთუ ეს დაგვრჩა სანაცვლოდ

მის იმედისა დიდისა (ორ-ხშიანი საახალწლო ოპერეტები, VI, იქვე, გვ. 135).

შდრ.: ესელა დაგვრჩეს სანაცვლოდ

მის იმედისა დიდისა („ვეფხისტყაოსანი“, 1309, 3).

უფრო ხშირად ნაწვერიანი სახელის ხმარება ილიას ლექსებსა და პოემებში ძველი ქართული ლიტერატურის საერთო გავლენით აიხსნება. ეს არ. ქაიში ილიას პოეზიაში ძალიან გავრცელებული პოეტური ხერხია. აი მაგალითებიც:

კვლავ ეწამა მოყვრისათვის

საოცარი იგი ერი („კომუნის დაცემის დღე“, 91).

კვლავ ძირს დასცეს იგი მცნება,

ქვეყნის ხსნად მოვლინებული (იქვე).

ქვესკნელთ ძალთაგან იგი მთა მდგრად

ცის გასარღვევად აღმოზიდულა („აჩრდილი“, 147).

გადმომველინა ყოვლად შემძლები

ქვეყნისა ამის სიკეთის რწმენა (იქვე, 149).

მეწვივნენ იგი უცხო ხილვანი

საესენი ლხენით, ნეტარებითა (იქვე).

და იგი ცრემლი ურწმუნობის, ეჭვის და ტანჯვის,

ჭლადადებს მხოლოდ ძისა შენის უძღურებასა (იქვე, 151).

დაჰვიწყებია, რომ დიდი არი

ღვთისა წინაშე იგი ცხოვრება (იქვე, 152).



აქ, რა თქმა უნდა, იგი უბრალო ჩვენებითი ნაცვალსახელი არაა: იგი ასეთი ვაგებით აქ გაუშართლებელია. ჩვენებითი ნაცვალსახელი მხოლოდ წინ უძღვის სახელს, ეს იგი კი სხვა შემთხვევაში მოსდევს მას:

და წყარო იგი წყაროდ შვებისა  
სჩქეფდა იმ გულით გარდმოდენილი (იქვე, 159).

მეორე მხრივ, ირიბ ბრუნვებში ჩვენებითი ნაცვალსახელი დღეს უცვლელი რჩება, ნაწევარი კი იბრუნვის ძველებურად, რასაც ნათლად უჩვენებს ზემოთ მოყვანილი მაგალითიც:

ქვეყნისა ამის სიკეთის რწმენა.

ამნაირად, აქ ჩვენ გვაქვს ძველი ქართულის ნაწევრის გადმონაშთი. მოვიყვანოთ კიდევ მაგალითებს:

და თუ ინატრებს რასმეს მისთვისა,—  
ინატრებს გმირინ მის დიდებასა (იქვე, 152).

შრომის სუფევა მოვა მაშინა

ქეშმარიტების მის ძლიერებით (იქვე, 156).

შენგან შემკულნი იგი ყოველნი

შენს ტკბილს სიმღერას ბანს გამოსცემენ (იქვე, 157).

სად უდაბურსა მას მყუდროებას

კაცთ ჟრიაშული ვერ შესწვდენია („განდეგილი“, იქვე, 221).

და მყინვარს ამას უდაბნოს თურმე

ისმოდა ქება წმიდა-წმიდათა (იქვე, 222).

აქ ჰლირსებიან მართალთა თანა

სავანესა მას საუკუნოსა (იქვე).

სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს

განსაცდელსა მას ეშმაკისასა (იქვე).

და ვით ჭურჭელი იგი წყმედილი

ცრემლით ურეცხავს, უსოლებია (იქვე, 223).

და ხორცთუხსმელი მზის სხივი იგი

უფლის ბრძანებით ზედ შეირჩენდა (იქვე, 224).

სტუმარი იგი დანაცრულს ცეცხლსა

ფიცხლავ მივარდა დამზრალი, სველი (იქვე, 227).

— უჰ, უჰ, რა ცივა!..—სთქვა მან სტუმარმან:—

ლამის ვაგშეშდე სიცივისაგან (იქვე).

ასეთია ნაწევრის გადმონაშთები ილიას ლექსებსა და პოემებში. მართალია, აქ დაცული არაა ნაწევრის ხმარების ის წესები, რომელიც ძველ ქართულს ახასიათებდა. აქ ხშირად ვხვდებით წინ დასმულ ნაწევარს, რაც ძველად იშვიათად იხმარებოდა. ეს წინ დასმული ნაწევარი გარდამავალი საფეხურია ჩვენებით ნაცვალსახელად გადაქცევის გზაზე. ყველაფერი ეს ასეა, მაგრამ სხვანაირად შეუძლებელიც იყო მე-19 საუკუნეში, როცა თვით დიდი ილიას, აკაკისა და იაკობ გოგებაშვილის შრომითა და ღვაწლით საბოლოოდ



